

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ეკა კვიციანი

სახარების XI საუკუნის ქართული ხელნაწერების კოდიკოლოგიურ-
ტექსტოლოგიური ანალიზი და ოთხთავის გიორგი
მთაწმინდლისეული რედაქციის ჩამოყალიბების ისტორია

დისერტაციის ხელმძღვანელი: პროფ. დარეჯან თვალთვაძე
ფილოლოგიის დოქტორი

თბილისი
2019

შინაარსი:

შესავალი	3
I თავი.....	7
ოთხთავის ქართული თარგმანის შესწავლის ისტორია	7
§1. ოთხთავის ქართული თარგმანის რედაქციები	7
§2. ოთხთავის ქართული თარგმანის გამოცემები.....	21
II თავი.....	28
სახარების XI საუკუნის ქართული ხელნაწერების პალეოგრაფიულ-კოდიკოლოგიური ანალიზი	28
§1. ათონის ქართველთა სავანე და ქართული კოლექციის ოთხთავის ხელნაწერები	30
§2. შავი მთის მონასტრები და იქ გადაწერილი ოთხთავის ქართული ხელნაწერები	65
§3. XI საუკუნის ოთხთავის სხვა ხელნაწერები	79
III თავი.....	94
სახარების XI საუკუნის ქართული ხელნაწერების ტექსტოლოგიური ანალიზი და მიმართება ბერძნულ ხელნაწერებთან	94
§1. ოთხთავის ძირითადი ბერძნული ხელნაწერები	102
§2. ბერძნული ახალი აღთქმის ტექსტის ტიპები	109
§3. Ath. 62-ის ქვედა ფენის ტექსტის, ალავერდისა და იენაშის ოთხთავების მიმართება ჯრუჭ-პარხლის, იგივე ოპიზურ რედაქციასთან და ბერძნულ ხელნაწერებთან	116
§4. Ath. 62-ის ქვედა ფენის ტექსტის, ალავერდისა და იენაშის ოთხთავების მიმართება ათონურ რედაქციასთან და ბერძნულ ხელნაწერებთან	126
§5. Ath. 62-ის ქვედა ფენის ტექსტის, ალავერდისა და იენაშის ოთხთავების ორიგინალური იკითხვისები.....	162
ძირითადი დასკვნები	175
პირობითი აღნიშვნები.....	178
ბიბლიოგრაფია	179
დანართი	

შესავალი

სახარება-ოთხთავის და, ზოგადად, ბიბლიური ტექსტების ქართულად თარგმნის საჭიროება საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებას უკავშირდება. არსებობს დღემდე მოღწეული სახარების 300-მდე სრული და ფრაგმენტული ხელნაწერი, რომლებიც საინტერესო და მნიშვნელოვან მასალას შეიცავს ოთხთავის ქართული თარგმანის ჩამოყალიბების ისტორიის შესახებ.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა წვლილი შეიტანა გიორგი მთაწმინდელმა საღვთისმეტყველო ლიტერატურის ბერძნულიდან თარგმნისა და, ზოგადად, ქართული სამწიგნობრო კულტურის განვითარების საქმეში. სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს მისი როლის შესახებ სახარების ტექსტის საბოლოო, ათონური რედაქციის ჩამოყალიბების პროცესში. ზოგს იგი ოთხთავის ხელახალ მთარგმნელად მიაჩნია, ზოგს კი – უკვე არსებული თარგმანის ბერძნულ დედანთან შემწამებლად. სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში მიზნად დავისახეთ გარკვეული სიცხადე შეგვეტანა ოთხთავის ძველი ქართული თარგმანის ისტორიის და მის ტექსტზე გიორგი მთაწმინდლის მუშაობასთან დაკავშირებულ ამ პრობლემურ საკითხში. საჭირო გახდა პალეოგრაფიულ-კოდიკოლოგიური და ტექსტოლოგიური თვალსაზრისით შეგვესწავლა ოთხთავის ქართული თარგმანის შემცველი XI საუკუნის ის ხელნაწერები, რომლებიც გიორგი მთაწმინდლის რედაქტორული მუშაობის პროცესს ასახევენ; მათი შესწავლის საფუძველზე კი ის ძირითადი პრინციპები გამოგვეკვეთა, რომლებიც გიორგი ათონელის მთარგმნელობით-რედაქტორულ საქმიანობას ახასიათებს. ჩვენი კვლევის მიზანს ოთხთავის გიორგი მთაწმინდლისეული რედაქციის ჩამოყალიბების ისტორიის რეკონსტრუირება წარმოადგენს.

მას შემდეგ, რაც საქართველომ დასავლეთის ქრისტიანული ტრადიციები გაიზიარა, საჭირო გახდა ოთხთავის არსებული თარგმანი, რომელიც აღმოსავლური ქრისტიანული ტრადიციების გათვალისწინებით იყო შესრულებული, იმდროინდელ ბიზანტიაში დამკვიდრებული ტექსტის მიხედვით გადასინჯულიყო. სავარაუდოდ, სწორედ ამ საჭიროებამ უბიძგა გიორგი მთაწმინდელს XI საუკუნეში ოთხთავის ტექსტს მიბრუნებოდა. თუ რა სამუშაო ჩაატარა მან სახარების ტექსტზე, ჩვენი კვლევის ფარგლებში სწორედ ამ კითხვაზე ვეცდებით პასუხის გაცემას.

სადისერტაციო ნაშრომი შედგება სამი თავისაგან. პირველი თავი, „*ოთხთავის ქართული თარგმანის შესწავლის ისტორია*“, ძირითადად მიმოხილვითი ხასიათისაა, მასში ორი საკითხია დეტალურად განხილული: ოთხთავის ქართული თარგმანის რედაქციებისა და გამოცემების. სახარების ტექსტი ქართულად სხვადასხვა დროს და სხვადასხვა სალიტერატურო სკოლებში უნდა თარგმნილიყო. გარდა ამისა, სხვადასხვა

დროს რედაქტორებსა თუ გადამწერებს მასში გარკვეული ცვლილებები შეჰქონდათ. შესაბამისად, ჩვენამდე მოღწეულ ოთხთავის ხელნაწერებში არაერთგვაროვანი, რედაქციულად განსხვავებული ტექსტებია დაცული. ოთხთავის ქართული ტექსტის შემცველი ხელნაწერების ნაწილისა და პალიმფსესტების შესწავლის შედეგად დღეისათვის გამოვლენილია: წინათონური (ადიშური, ოპიზური, იგივე ჯრუჟ-პარხლისა და ნარევი), ათონური (ე.წ. ექვთიმესეული და გიორგი მთაწმინდლისეული) და ელინოფილური რედაქციები. პირველ თავში ასევე განხილული და მოკლედ დახასიათებულია ოთხთავის ქართული თარგმანის ყველა გამოცემა, რომელიც XX და XXI საუკუნეებში განხორციელდა.

სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავში, რომლის სათაურია „სახარების XI საუკუნის ქართული ხელნაწერების პალეოგრაფიულ-კოდიკოლოგიური ანალიზი“, ოთხთავის ქართული თარგმანის ხელნაწერთაგან დეტალურად არის შესწავლილი XI საუკუნის ხელნაწერები, რომლებიც გიორგი მთაწმინდლის მოღვაწეობის ადგილებთან – შავ მთასთან და ათონის ივერთა მონასტერთან – არიან დაკავშირებულნი; აგრეთვე, გაანალიზებულია XI საუკუნის ოთხთავის ქართული თარგმანის შემცველი სხვა ნუსხებიც. მეორე თავს ათონის ქართულ კოლექციაში დაცული ოთხთავების ანალიზით ვიწყებთ. ამ კოლექციის ოთხთავები ყველა XI საუკუნისა არ არის, ზოგი უფრო ადრეა გადაწერილი, ზოგიც გვიანდელია. თუმცა ვინაიდან აქამდე ისინი სისტემურად არ შესწავლილა, მიზანშეწონილად მივიჩნით თითოეული მათგანის განხილვა. ათონის ქართული კოლექციის 86 ხელნაწერიდან ოთხთავის ქართული თარგმანის ტექსტი ექვსშია დაცული. ესენია: Ath.15; Ath.53; Ath.62; Ath.67; Ath.75; Ath.83. ექვსივე ხელნაწერი საინტერესოა პალეოგრაფიული თვალსაზრისით, რამდენადაც კალიგრაფიული, სტილის მიხედვით განსხვავებულ სურათს აჩვენებენ. ასევე, ოთხთავის ეს ხელნაწერები საინტერესოა ტექსტოლოგიური თვალსაზრისითაც, რადგან მათში სახარების ქართული თარგმანის სხვადასხვა ტიპია დაცული. ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო Ath.62-მა, რომელსაც ატყვია ფილოლოგიური მუშაობის კვალი. მასში წაშლილია სიტყვები, ზოგ შემთხვევაში მთელი წინადადებებიც და მათ ნაცვლად დაწერია ახალი ვარიანტი ან ადგილი ცარიელია დატოვებული; ზოგჯერ ძირითად ტექსტში სიტყვა, ფრაზა ან ასო ჩამატებულია სტრიქონის თავზე. თუ შესაძლებელია, ასოების გადაკეთებით ან გადასმით შეცვლილია მათი მნიშვნელობები. სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში მიზნად დავისახეთ გაგვერკვია ნასწორები ტექსტისა და კორექტურების მიმართება ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერთან. ათონური კოლექციის ოთხთავთა გვერდით განვიხილეთ კიდევ ერთი ნუსხა, რომელიც ლიტერატურის მუზეუმშია დაცული (12854-ბ) და „ათონური ოთხთავის“ სახელით არის ცნობილი. როგორც სახელწოდებიდანვე ჩანს, მისი წარმომავლობა ათონის ქართველთა

სავანესთან არის დაკავშირებული. სადისერტაციო ნაშრომში უარყოფილია ეს მოსაზრება და მოყვანილია არგუმენტები, რომ იგი ათონის მთაზე არ უნდა იყოს შექმნილი და ამ კოლექციის ნაწილს არ უნდა წარმოადგენდეს.

დისერტაციის მეორე თავში პალეოგრაფიული და კოდიკოლოგიური თვალსაზრისით, აგრეთვე, შესწავლილია შავი მთის მონასტრებში (კალიპოსი, სვიმეონწმიდა, რომანწმიდა, კასტანა, ეზრას მონასტერი, ლერწმისხევი, თუალთა მონასტერი, ბარლაამწმიდა) გადაწერილი ოთხთავები. შავ მთაზე გადაწერილი ხელნაწერები გამოირჩევა განსაკუთრებული მხატვრული შემკულობითა და კალიგრაფიით. ამ სამწიგნობრო კერებში შეიქმნა XI საუკუნის ოთხთავის შემდეგი ნუსხები: ალავერდის (A-484), კალიპოსის (K-76), ვატიკანის (Vat. Iberico 1), რუისის (A-845), ოთხთავები, აგრეთვე, S-962. ამ ხელნაწერებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ათონური რედაქციის ჩამოყალიბების ისტორიის რეკონსტრუქციისათვის. ზოგიერთი მათგანი უკვე შესწავლილი და გამოცემულია, ზოგი კი დამატებით შესწავლას მოითხოვდა. შავ მთაზე გადაწერილ ოთხთავთაგან ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო ალავერდის ოთხთავში დაცული ტექსტი აღმოჩნდა.

ამავე თავში მიმოვიხილავთ XI საუკუნის სხვა ოთხთავებს, რომლებიც სხვადასხვა სამწიგნობრო კერაშია გადაწერილი და ამჟამადაც სხვადასხვა კოლექციაში ინახება. მაგალითად, ურბნისისა (A-28) და პალესტინის (H-1741) ოთხთავებს, H-1240-ს, K-176-ს და K-363-ს, Sin.Geo.O.-19-ს, ვენისა (Ven.Geo.1) და იენაშის ოთხთავებს (ს.ი.ე.მ. მესტია №72). სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში დაცული იენაშის ოთხთავი აქამდე მეცნიერულად გამოკვლეული არ ყოფილა.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი ნაწილი – ტექსტოლოგიური კვლევა – წარმოდგენილია მესამე თავში, რომელიც 5 პარაგრაფისაგან შედგება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XI საუკუნის ოთხთავთაგან განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა Ath. 62, რომელსაც რედაქტორული მუშაობის კვალი ეტყობა. ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა მისი ქვედა ფენის ტექსტის, ანუ Ath. 62-ის ხელნაწერის თავდაპირველი სახის აღდგენა, ე.ი. იმ ტექსტისა, რომელსაც ხელნაწერი ჩასწორებამდე შეიცავდა, შემდეგ კი მისი ტექსტუალური ტიპის გამორკვევა. Ath. 62-ის ქვედა ფენის ტექსტის აღდგენა თავისთავად რთული პროცესი იყო და პალეოგრაფიული დეტალების გათვალისწინებას მოითხოვდა. რეკონსტრუირების პროცესში თავიდანვე გამოიკვეთა, რომ იგი ძალიან ახლოს იდგა ალავერდისა (A-484) და იენაშის (ს.ი.ე.მ. მესტია 72) ოთხთავებთან. ცხადი ხდებოდა, რომ ეს სამი ხელნაწერი (Ath. 62-ის ქვედა ფენა, ალავერდისა და იენაშის ოთხთავი) ოთხთავის ქართული თარგმანის რედაქციებს შორის ერთ ტექსტუალურ ჯგუფს ქმნიდა.

ოთხთავის ქართული თარგმანის ტექსტის განვითარების ისტორიის შესწავლისათვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს ბერძნული ოთხთავის ტექსტის ისტორიის გათვალისწინებას. ამიტომაც ქართული ოთხთავის ხსენებული ტექსტუალური ტიპის კვლევა მისი შესაძლო წყაროების გარკვევით დავიწყეთ. მესამე თავის პირველი პარაგრაფი მთლიანად ეძღვნება ოთხთავის ბერძნული ხელნაწერების, ხოლო მეორე პარაგრაფი ტექსტის ტიპების მიმოხილვას. აგრეთვე, განხილულია ბერძნული ოთხთავის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი გამოცემა.

დისერტაციის მესამე თავის მესამე პარაგრაფში გაანალიზებულია Ath. 62-ის ქვედა ფენის ტექსტის, ალავერდისა და იენაშის ოთხთავების მიმართება, ერთი მხრივ, ჯრუჭ-პარხლის (იგივე ოპიზურ) რედაქციასთან და, მეორე მხრივ, ბერძნულ ხელნაწერებთან, ხოლო მეოთხე პარაგრაფში – ათონურ რედაქციასთან და ბერძნულ ნუსხებთან. ტექსტუალური მიმართებების დასახასიათებლად მოყვანილი გვაქვს თითქმის ყველა ის განსხვავებული იკითხვისი, რომლებიც ამ ტექსტუალურ ჯგუფს ათონურ რედაქციასთან აპირისპირებს. სიტყვათა, ფრაზათა და ზოგჯერ წინადადებათა კლება/მატებანი, ლექსიკური სხვაობანი, სიტყვათა რიგის ცვლა, საკუთარი სახელების, ანთროპონიმებისა და ტოპონიმების, ზმნების (გიორგი ათონელი ზოგჯერ ცვლის ზმნის რიცხვს, ზოგჯერ – მწკრივს, ზოგჯერ – ზმნისწინს, ზოგჯერ – მთლიანად ზმნას და სხვა ეკვივალენტით გადმოაქვს იგი) განსხვავებული დაწერილობა. ცალკე პარაგრაფად გავიტანეთ Ath. 62-ის ქვედა ფენის ტექსტის, ალავერდისა და იენაშის ოთხთავების ორიგინალური იკითხვისები და მათი ანალიზი, რამაც საინტერესო შედეგებამდე მიგვიყვანა. თითოეული პარაგრაფის ბოლოს წარმოდგენილია ტექსტოლოგიური კვლევის შედეგად გამოტანილი ძირითადი დასკვნები.

დისერტაციას ახლავს კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები, გამოყენებული პირობითი აღნიშვნების განმარტება, ლიტერატურის ნუსხა.

ცალკე დანართად არის წარმოდგენილი ოთხივე სახარება, რომლის ძირითად ტექსტად გატანილია ათონური რედაქციის კრიტიკულად დადგენილი ტექსტი, ხოლო ვარიანტებად – შუალედური ხელნაწერების (*Ath.62-ის ქვედა ფენის ტექსტი, ალავერდის ოთხთავი, იენაშის ოთხთავი*) იკითხვისები.

I თავი

ოთხთავის ქართული თარგმანის შესწავლის ისტორია

§1. ოთხთავის ქართული თარგმანის რედაქციები

ოთხთავის და, ზოგადად, ბიბლიური წიგნების ქართული თარგმანის ისტორია IV-V საუკუნეებში უნდა იღებდეს სათავეს. დღემდე მოღწეულ 300-მდე სრულ და ფრაგმენტულ ხელნაწერთაგან ნაწილი გამოცემული და გამოკვლეულია, ნაწილი კი ამ დრომდე შეუსწავლელია. სახარების ქართული თარგმანის ტექსტის ისტორიის კვლევისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენამდე მოღწეული თითოეული ხელნაწერის მეცნიერულად შესწავლასა და მასში დაცული ტექსტის მიმართებების დადგენას ოთხთავის ქართული თარგმანის რედაქციებთან. ამ საჭიროებას აკაკი შანიძე საგანგებოდ უსვამს ხაზს: „როცა ყველა ძველი ხელნაწერი შესწავლილი იქნება და სათანადოდ გამოცემული იქნება კრიტიკულად დადგენილი ტექსტი, მაშინ ადვილი იქნება მთლიანად გამოირკვეს თარგმანის ისტორია და მისი გზები და ის ხვედრითი წონა, რომელიც აქვს ქართულ ვერსიებს ოთხთავის ტექსტის შემუშავებისა, გავრცელებისა და ფილიაციის საქმეში“ (შანიძე ა., ქართული ოთხთავის...1945:07).

სახარება ქართულად სხვადასხვა დროს და სხვადასხვა სალიტერატურო სკოლაში უნდა თარგმნილიყო. გარდა ამისა, დროთა განმავლობაში ამა თუ იმ რედაქტორისა თუ გადამწერის ნებისითი და უნებლიე ცვლილებების შედეგად, რომელსაც განსხვავებული მიზეზი შეიძლება ჰქონდეს, მან სახე იცვალა. ვინაიდან ოთხთავის ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერებში არაერთგვაროვანი, რედაქციულად განსხვავებული ტექსტებია დაცული, შესაძლებელია თარგმანებისა და ფილოლოგიური ჩარევების სიმრავლეც ვივარაუდოთ.

ოთხთავის ქართული ტექსტის შემცველი ხელნაწერების ნაწილისა და გამოვლენილი პალიმფსესტების შესწავლის შედეგად დღეისათვის დადგენილია, რომ ქართულმა ოთხთავმა თარგმან-რედაქტირების სამი ძირითადი ეტაპი განვლო: **წინათონური** (V-X სს.), **ათონური** (X საუკუნის ბოლო – XI საუკუნის შუა წლები) და **ელინოფილური** (XI საუკუნის ბოლო – XII საუკუნის დასაწყისი).

ხანმეტობის პერიოდში (VII საუკუნემდე) უნდა არსებულიყო ქართული ოთხთავის ორი რედაქცია: **ხანმეტური** და **საბაწმიდური** (ეს უკანასკნელიც ენობრივად ხანმეტი იქნებოდა). XI საუკუნეში ამის შესახებ წერს გიორგი მთაწმინდელი თავის ანდერძში: „ჩუენნი ყოველნი სახარებანი პირველითგან წმიდად თარგმნილია და კეთილად ხანმეტნიცა და საბაწმიდურნიცა (K-76, 310r).¹

¹ ანდერძის ტექსტის ნაწყვეტი მოგვყავს გიორგი მთაწმინდელის რედაქციის შემცველი უძველესი ხელნაწერის, კალიპოსის ოთხთავის (K-76), მიხედვით.

საბაწმიდური რედაქცია, სავარაუდოდ, V საუკუნეში საბაწმიდაში შეიქმნა. ლამარა ქაჯაიას აზრით, იგი ნაწილობრივ შემოუნახავს H-999-ის პალიმფსესტურ ქვედა ფენას (ხანმეტი) (მათე 5:45-46, 48; 6:1-6, 8-12, 14-16, 18-25, 27-33; 7:3-5, 6-8, 11-12, 14-15; ლუკა 18:40-43; 19:1-12), ხანმეტი ფორმებისაგან უკვე გასუფთავებული ფენა, 897 წლის ადიშის ოთხთავის ხელნაწერს (ლუკა 3:9-15:6 და 17:25-23:2) და პარიზის ლექციონარს (P №3, Vს.). საბაწმიდური რედაქციის სიძველის დასტურად ლამარა ქაჯაიას მოჰყავს შემდეგი არგუმენტები: არქაული ლექსიკა, კანონზომიერი პუნქტუაცია, ქარაგმების იშვიათი ხმარება, ანბანის ბოლო ასოს მ-ს გამოყენება „ო“ გრაფემის ნაცვლად და სხვა (ქაჯაია ლ., საბაწმიდური... 2014:11).

რაც შეეხება ე.წ. **ხანმეტურ** რედაქციას, იგი, თავის მხრივ, მოგვიანებით ორ დამოუკიდებელ რედაქციად ჩამოყალიბებული **ადიშურისა** (ლუკა 3:9-15:6 და 17:25-23:2-ის გამოკლებით) და **ოპიზურის** (იგივე **ჯრუჭ-პარხლის**) არქეტიპს უნდა წარმოადგენდეს (ქაჯაია ლ., საბაწმიდური... 2014:11).

იმისათვის, რომ დავეთანხმოთ ან უარვყოთ ლამარა ქაჯაიას ეს მოსაზრებები, ამ რედაქციების ზედმიწევნით ცოდნა, მათი ურთიერთ და ბერძნულ რედაქციებთან შედარებაა საჭირო, რაც მომავალი კვლევის საგანი შეიძლება გახდეს. ამ ეტაპზე მხოლოდ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრებების მიმოხილვას ვჯერდებით.

1. **ადიშური** რედაქცია შემოუნახავს რამდენიმე ხელნაწერს, კერძოდ:

- ხანმეტი ოთხთავის პალიმფსესტურ ფრაგმენტებს (მათე 5:18-11:7), (A-89-844, V-VI სს.) (ქაჯაია ლ., ხანმეტი... 1984)
- ადიშის ოთხთავის ხელნაწერს (897 წლის) (ლუკა 3:9-15:6 და 17:25-23:2-ის გამოკლებით) (ადიშის... 2003)
- ე. წ. „ანბანდიდს“ (IX ს.) ზოგიერთ მონაკვეთში (მაჩხანელი მ., ანბანდიდი, 2010)
- ქსნის ოთხთავის (A-507, IX-X სს.) ცალკეულ იკითხვისებს სხვადასხვა მუხლის ფარგლებში (ადიშური რედაქციის შემცველი მონაკვეთების გამოყოფა ძნელდება) (იმნაიშვილი ი., 1949)
- Q-213 ხელნაწერის მარკოზის სახარების ორფურცლიან ფრაგმენტს (X ს.) (Sarjveladze 2012:170)
- H-3181 ხელნაწერის ერთფურცლიან ფრაგმენტს, რომელშიც იოანეს სახარების მეექვსე თავის 51-54 და 57-58 მუხლებია დაცული (XI ს.) (Sarjveladze 2012:170)
- H-1240 ხელნაწერის მარკოზის სახარების 14:60-15:47 მუხლებს (XI ს.) (სარჯველაძე ს., ოთხთავის... 2010:290)
- ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სვანურ ფონდში დაცულ (№4) ხანმეტი პალიმფსესტის მათეს სახარების 19:20-21; 23-24; 26-28 მუხლებს (სარჯველაძე ს., 2009:215-228)
- X-XI საუკუნის ლექციონარებს (Sarjveladze 2012:170)

ადიშური რედაქცია ხანმეტობის პერიოდში რომ ხანმეტი იყო, დასტურად შეგვიძლია მოვიყვანოთ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სვანურ ფონდში დაცულ (№4) ხანმეტ პალიმფსესტში დადასტურებული 8 ხანმეტი ფორმა (ხიყავ, მიხეც, მოხილო, [მი]ხუგო, ხრქუა, დახსხდეთ, განხმჯიდეთ და ხუადვილ[ჭს] (სარჯველაძე ს., 2009:220).

აუცილებლად უნდა აღინიშნოს კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული კიდევ ერთი ნუსხა H-1445 (9-ფურცლიანი ფრაგმენტი), რომლის 3r-v ხანმეტი პალიმფსესტური გვერდებია (დადასტურებულია ხუთი ხანმეტი ფორმა: ხიყო, ხიყვნეს, ხესმა, ხრქუა, და შთახბერა). მასში წარმოდგენილია ლექციონარის საკითხავი იოანეს სახარების მეოცე თავიდან, 19-25 მუხლები. სოფიო სარჯველაძის გამოკვლევით, ეს საკითხავი არ მისდევს ოთხთავის ქართული თარგმანის არცერთი რედაქციის ტექსტს და არც სხვა ლექციონარებში დაცულ საკითხავებს. თუმცა მისი ცალკეული ვარიანტები უახლოვდება ადიშურ რედაქციას (სარჯველაძე ს., 2009:227).

2. ოპიზური, იგივე ჯრუჭ-პარხლის რედაქცია დაცულია დღეისათვის გამოვლენილ X-XVII საუკუნეების 40-მდე სრულ და ფრაგმენტულ ხელნაწერში, კერძოდ:

- ხანმეტი სახარება მათე, 11,8-იდან ბოლომდე (A-89-844, V-VI სს.), (ქაჯაია ლ., ხანმეტი... 1984)
- ე.წ. „ანზანდიდის“ ზოგიერთ მონაკვეთში (IX ს.), (მაჩხანელი მ., ანზანდიდი... 2010).
- ოპიზის (913 წლის, Ath. 83)
- ჯრუჭის (936 წლის, H-1660)
- პარხლის პირველი (973 წლის, A-1453)
- Sin.Geo.15 (978 წლის)
- Sin.Geo.30-38 (979 წლის)
- ტბეთის (995 წლის, პეტერბურგის K-212)
- წყაროსთავის (X ს., A-95)
- ბერთის (X ს.)
- ქსნის ოთხთავის მათეს სახარება (X ს., A-507)
- მარტვილის (X ს., S-391)
- S-405 (X ს.)
- პარხლის მეორე ოთხთავი (X-XI სს., S-2927)
- ურბნისის (XI ს., A-28)
- პალესტინურ ოთხთავებში (1048 წლის, H-1741)
- K-176 (XI ს.)
- H-1240 (XI ს.) (მარკ. 14:60-15:47-ის გამოკლებით) (სარჯველაძე ს., ოთხთავის... 2010:290)

აგრეთვე, X-XI საუკუნის ხელნაწერთა უმრავლესობაში. ამ რედაქციამ დიდი გავრცელება ჰპოვა ქართულ ქრისტიანულ ეკლესიაში და XI საუკუნემდე კანონიკურ ტექსტად ითვლებოდა. აკაკი შანიძემ მას „ქართული პროტოვულგატა“ უწოდა (შანიძე ა., ქართული ოთხთავის...1945:08).

როგორც ზემოთ გამოჩნდა, პალიმფსესტების სახით შემონახულ **ხანმეტ სახარებას** (A-89-844, V-VI სს.) დაუცავს ორი რედაქცია: ერთი ოპიზურს მიჰყვება, მეორე კი – ადიშურს (მათე 5:18-11:7). ლამარა ქაჯაიას გამოაქვს დასკვნა, რომ იგი გადაწერილია ოპიზური რედაქციის არქეტიპიდან. გადამწერს ხელთ ეპყრა დაზიანებული და თავნაკლული ხელნაწერი და იძულებული გახდა, ეს დანაკლისი ოთხთავის იმ ხელნაწერით შეეცხო, რომელიც განსხვავებული, კერძოდ, ადიშური რედაქციის არქეტიპს შეიცავდა (ქაჯაია ლ., ხანმეტი... 1984:327). მკვლევარმა ხანმეტ სახარებაზე მუშაობის ადრეულ ეტაპზე მიიჩნია, რომ ქართულში ხანმეტი ტექსტის ორი სხვადასხვა თარგმანი ერთმანეთის პარალელურად IV-V საუკუნეებში უკვე არსებობდა. მოგვიანებით, როგორც ზემოთ აღინიშნა, მან დააზუსტა, რომ ამ ორი რედაქციის არქეტიპს გიორგი მთაწმინდლის ანდერძში დასახელებული ხანმეტური ტექსტი უნდა წარმოადგენდეს, ანუ ისინი ერთი საერთო წყაროდან უნდა მომდინარეობნენ (ქაჯაია ლ., საბაწმიდური... 2014:11).

ხანმეტი ოთხთავის (A-89-844) ტექსტთან ძალიან ახლოს დგას XI საუკუნის H-1240 ხელნაწერში დაცული ტექსტი (სარჯველაძე ს., ოთხთავის... 2010). როგორც ხანმეტ ოთხთავს (A-89-844) დაუცავს ოპიზური და ადიშური რედაქციის მონაკვეთები, ასევე, H-1240-ს. ამ ხელნაწერის ძირითადი ნაწილი ოპიზურ რედაქციას მიჰყვება, ხოლო, როგორც ზემოთ აღინიშნა, მარკოზის სახარების 14:60-15:47 მუხლებს ადიშური რედაქცია შემოუნახავს. გარდა ამისა, H-1240-ში დასტურდება შვიდი ხანმეტური ფორმა, რაც გვავარაუდებინებს, რომ გადამწერს ხელთ ეპყრა ხანმეტი დედანი.

3. ნარევი (კონტამინირებული) რედაქცია

ოთხთავის ხელნაწერებში დაცული სახარების ტექსტის შესწავლის შედეგად ასევე გამოვლინდა ე.წ. **ნარევი (კონტამინირებული) რედაქცია**, რომლისათვის დამახასიათებელია სხვადასხვა რედაქციის იკითხვისთა შერევა ერთმანეთის გვერდით, ცალკეული მუხლის ფარგლებში. ნარევი რედაქციის შემცველია შატბერდში გადაწერილი **ქსნის ოთხთავი** (A-507), რომელიც ივანე იმნაიშვილმა IX საუკუნის გასულითა და X საუკუნის დასაწყისით დაათარილა (იმნაიშვილი ი., 1949:296). ქსნის ოთხთავი რედაქციულად რთული ძეგლია. მასში დაცულია როგორც ადიშური და ოპიზური რედაქციების წაკითხვები, ასევე, ორიგინალური, მხოლოდ ქსნის ოთხთავში დაცული ვარიანტები. მათ ივანე იმნაიშვილი საკუთრივ **ქსნურ რედაქციას** მიაკუთვნებს (იმნაიშვილი ი., 1949:302).

ნარევი (კონტამინირებული) რედაქციისაა X-XI საუკუნის ტვიბერის ოთხთავში (სიემ 73) დაცული ჩანართი (მათე 14:19-15:24) (Tvaltvadze 2009; თვალთვაძე 2009ბ; თვალთვაძე, 2010ბ:50-64; სარჯველაძე ს., 2011:99-118; თვალთვაძე 2015ა), აგრეთვე, საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის ხელნაწერთა ფონდში N107 ნომრით დაცული ოთხთავის ხელნაწერი ე. წ. „ანბანდიდი“ (მაჩხანელი მ., ანბანდიდი 2010). ქსნის ოთხთავის მსგავსად მასში მოიპოვება როგორც ადიშისა და ოპიზური რედაქციების იკითხვისები, ასევე, საკუთრივ მხოლოდ ამ ხელნაწერში დაცული ორიგინალური წაკითხვები. კვლევის შედეგად სოფიო სარჯველაძემ გამოავლინა, რომ ნარევი რედაქციის ტექსტი დაუცავს მარტვილის ოთხთავის მარკოზის სახარების ნაწილსაც, ხოლო მათეს სახარების ნარევი რედაქციის ტექსტს, ტვიბერის ოთხთავის გარდა, შეიცავს H-1836-1890 პალიმფსესტური ხელნაწერის ზედა ფენა, რომელიც XIV-XV საუკუნეებით თარიღდება (ქვედა ფენა X საუკუნეში გადაწერილ ლექციონარს წარმოადგენს) და H-1395-ის 3 ფურცლიანი პალიმფსესტური ხელნაწერის ზედა ფენა, რომელიც XIII-XIV საუკუნეებით თარიღდება (ქვედა ფენაში ოთხთავის ტექსტია დაცული). H-1395-ში დაცულია მათეს სახარების მხოლოდ 12:35-13:25 და 18:26-19:11 მუხლები (სარჯველაძე ს., ოთხთავის... 2010:271; სარჯველაძე ს., 2015:427). H-1395, თავის მხრივ, წარმოადგენს H-1871-ის ნაწილს (XIV-XV სს.), რომელშიც 101 ფურცელია წარმოდგენილი და მისი ზედა ფენა აგრეთვე ნარევი რედაქციის ტექსტს შეიცავს. ქვედა ფენაშიც ოთხთავის ტექსტია დაცული და იგი ორი სხვადასხვა ხელნაწერის, ნუსხურითა და ასომთავრულით გადაწერილი ფურცლებისგან არის შედგენილი. ორივე მათგანი სოფიო სარჯველაძეს X საუკუნეში გადაწერილად აქვს მიჩნეული. H-1871-ის 2v-ს შემდეგ ტექსტი გრძელდება H-1395-ის 1r-ზე. H-1395-ის 2v-ზე ტექსტი წყდება და გრძელდება H-1871-ის 3r-ზე (სარჯველაძე ს., 2015:425). დასახელებულ სტატიაში ეს ორი ხელნაწერი, H-1395 და H-1871, საგანგებოდ არის შესწავლილი.

სოფიო სარჯველაძეს მიაჩნია, რომ ნარევი (კონტამინირებული) რედაქცია მხოლოდ ორი დამოუკიდებელი რედაქციის, ადიშურისა და ოპიზურის, შეჯერების შედეგად შეიძლება მიგვედოს. მისივე ვარაუდით, ეს უნდა მომხდარიყო გიორგი მთაწმინდლისეული რედაქციის ჩამოყალიბებამდე, ვინაიდან ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ხელნაწერში მხოლოდ ადიშური და ოპიზური რედაქციების იკითხვისები დასტურდება (სარჯველაძე ს., 2015:438).

4. ათონური (გიორგისეული) რედაქცია

ოთხთავის საბოლოო, ქართული ეკლესიის მიერ შეწყნარებული ათონური რედაქციის ტექსტი შეიქმნა XI საუკუნის 50-იან წლებში გიორგი ათონელის (1009-1065) მიერ.

ათონური რედაქციის შემცველ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებიდან ვიცით, რომ გიორგი მთაწმინდელს ბერძნულ დედანთან ქართული თარგმანის უფრო მეტად დაახლოების მიზნით სამჯერ შეუდარებია ქართული ტექსტი ბერძნულისათვის. მისი მთავარი მიზანი იყო, დაეცვა სიზუსტე ბერძნულ დედნებთან მიმართებით. როგორც ივ. იმნაიშვილი აღნიშნავს, გიორგი ათონელი საჭიროების მიხედვით ზოგჯერ ამატებდა ქართულ ტექსტში სიტყვებს, ზოგჯერ აკლებდა; შედარებით ძველ გრამატიკულ ფორმებსა და ლექსიკურ ერთეულებს ცვლიდა ახალი ლექსიკით, რათა სახარების ტექსტი უფრო გასაგები გამხდარიყო მკითხველისთვის; ანაცვლებდა სიტყვათა რიგს წინადადებაში; მაქსიმალურად ითვალისწინებდა ბერძნული და ქართული ენების გრამატიკულ-სტილისტურ თავისებურებებს (იმნაიშვილი ი., ქართული... 1979:153).

რუისის სახარების (XI საუკუნის, A-845), იგივე შავი მთის ოთხთავის გადამწერი შავზაქარია მოგვითხრობს: *„დაიწერა წმიდაჲ ესე სახარებაჲ შავსა მთასა უდაბნოსა ლერწმისკევისსა ზღვსპირსა, რომელ არს დასასრულსა შავისა მთისასა, მახლობელად სელევკიისა კელითა უბადრუკისა და მწარედ ცოდვილისა შავ ზაქარიადსითა... ნიკოლას ხუცესსა მიეცინ ღმერთმან სასყიდელი და მადლი ჩემისა კეთილისათჳს და წყალობისა. მისითა დედითა დავწერე, რომელ მას დაეწერა გიორგი მთაწმიდელისა სახარებისაგან, რომელი გიორგი მთაწმიდელსა ბერძულთა სახარებათა შეემოწმა მესამედ. ორჯელ პირველ შეემოწმა. ღმერთმან მიეცინ სასყიდელი სულსა მისსა შრომისათჳს, ამინ“* (305v-306r) (ჟორდანიას 1908:59; აბულაძე 1973:362). როგორც ანდერძიდან ირკვევა, გიორგი მთაწმინდელი ბერძნულთან ორჯერ შედარების შემდეგ მესამედაც დაბრუნებია ოთხთავის ტექსტს.

გიორგი მთაწმინდლის დიდი ავტორიტეტის წყალობით ათონური რედაქცია ფართოდ გავრცელდა და ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში დამკვიდრდა, როგორც კანონიკური ტექსტი. დღემდე მოღწეულ ოთხთავის ქართული თარგმანის შემცველ ხელნაწერთა უმეტესობაში, დაახლოებით 200-მდე ხელნაწერში, სწორედ ათონური რედაქციის ტექსტია დაცული.

გიორგი ათონელმა ქართული ოთხთავის ტექსტს ბერძნულთან მესამედ შედარების შემდეგ ანდერძი დაურთო, რომელიც ჩვენამდე ორი, A და B, რედაქციითაა მოღწეული (შანიძე ა.1981:291-299; იმნაიშვილი ი., ქართული... 1979:54-55; თვალთვაძე 2009:129-141; Tvaltvaძე, 2008:107-119; Tvaltvaძე, 2012:213-229; თვალთვაძე 2015ბ; ალექსიძე 2016:214-225):

A – „ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რამეთუ ესე წმიდად ოთხთავი ახლად გვთარგმნია ფრიადითა იძულებითა ძმათა ვიეთმე სულიერთადათა და ბერძულთა სახარებათადა შეგვწამებია ფრიადითა გამოწულილვითა. და ვინცა ვინ დასწერდეთ, ვითა აქა ჰპოოთ, ეგრე დაწერეთ, თუ ამისგან ჯერ-გიჩნდეს დაწერაჲ, ღმრთისათჳს სიტყუათა ნუ სცვალებთ, არამედ ვითარცა აქა სწერია, ეგრე დაწერეთ; და თუ არა რამე გაშუნდეს, ჩუენნი ყოველნი სახარებანი პირველითგან წმიდად თარგმნილნია და კეთილად – ხანმეტნიცა და საბაწმიდურნიცა, მუნით დაწერეთ და ღმრთისათჳს ერთმანერთსა ნუ გაჰრევთ. და გლახაკისა გიორგისთჳს, რომელმან ესე ვთარგმნე, ლოცვა-ყავთ!“²

B – „ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რამეთუ ესე წმიდად ოთხთავი არა თუ ახლად გვთარგმნია, არამედ ფრიადითა იძულებითა ძმათა ვიეთმე სულიერთადათა და ბერძულთა სახარებათადა შეგვწამებია ფრიადითა გამოწულილვითა. და ვინცა-ვინ სწერდეთ, ვითა აქა ჰპოოთ, ეგრე დაწერეთ, თუ ამისგან ჯერ-გიჩნდეს დაწერაჲ, ღმრთისათჳს სიტყუათა ნუ სცვალებთ, არამედ ვითარცა აქა სწერია, ეგრე დაწერეთ; და თუ არა რამე გაშუნდეს, ჩუენნი ყოველნი სახარებანი პირველითგან წმიდად თარგმნილნია და კეთილად – ხანმეტნიცა და საბაწმიდურნიცა, მუნით დაწერეთ და ღმრთისათჳს ერთმანერთსა ნუ გაჰრევთ. და გლახაკისა გიორგისთჳს, ლოცვა-ყავთ!“³

ანდერძის ეს ორი ვარიანტი რამდენიმე ადგილას სხვაობს ერთმანეთისგან, კერძოდ: ანდერძის დასაწყისში A რედაქციაში გვაქვს: „ესე წმიდად ოთხთავი ახლად გვთარგმნია“, B-ში კი – „ესე წმიდად ოთხთავი არა თუ ახლად გვთარგმნია“; ანდერძის ბოლოს – „გლახაკისა გიორგისთჳს ლოცვა ყავთ“ – A ვარიანტში ჩამატებულია ფრაზა: „რომელმან ესე ვთარგმნე“. A ვარიანტის მიხედვით, გიორგი მთაწმინდელი ოთხთავის ხელახალი მთარგმნელია, B ვარიანტის მიხედვით კი – მხოლოდ რედაქტორი.⁴

² ანდერძის A ვარიანტი დაცულია შემდეგ ხელნაწერებში: გელათის ოთხთავი (Q-908), ვანის ოთხთავი (A-1335), ლაზისკალდის ოთხთავი (ს.ი.ე.მ. მესტია 71), H-2075 (XII ს.), ლაბეჭინის ოთხთავი (A-1563, XIII ს.), A-449 (XIII, XIV სს.), K-361 (XV-XVI სს.), Q-920 (1504 წ.), ვალეს ოთხთავი (A-401, 1514 წ.), H-1030 (1696 წ.), H-315 (XVII ს.), S-1351 (XVIII ს.). ჩამონათვალი, რასაკვირველია, სრული არ არის.

³ ანდერძის B ვარიანტი დაცულია შემდეგ ხელნაწერებში: ეჩმიადინის ოთხთავი (Rt XIX #1), ბრეთის ოთხთავი, ახალციხური ოთხთავი (#186), მოქვის ოთხთავი 1300 წლისა (Q-902), უბისის ოთხთავი, A-41 (XIII ს.), H-1721 (1520 წ.), H-2126 (XV ს.), S-3624 (XIV ს.), S-1247 (XVII ს.). გიორგი მთაწმინდელის ანდერძის A და B ვარიანტის დასამოწმებლად გამოვიყენეთ ზაზა ალექსიდის საერთო რედაქციით შეკრებილი „გიორგისი“ (წმიდა გიორგი მთაწმინდელის ანდერძები), რომელიც დასაბეჭდად არის გადაცემული.

⁴ ზაზა ალექსიძე განიხილავს კიდევ ერთი ტიპის ანდერძს (ალექსიძე 2016:217), სადაც კოლოფონის დასაწყისში გიორგი მთაწმინდელი რედაქტორად არის მოხსენიებული (არათუ ახლად გვთარგმნია), ხოლო ბოლოში კი – მთარგმნელად. ანდერძის მესამე ვარიანტი წარმოდგენილია შემდეგ ხელნაწერებში: საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცული ოთხთავი 1669 წ., და A-251 (XVIII ს.). მოვიყვანთ ანდერძის ტექსტს მთლიანად: „ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რამეთუ ესე წმიდად ოთხთავი არათუ ახლად გვთარგმნია, არამედ ფრიადითა იძულებითა ძმათა ვიეთმე სულიერთადათა ბერძულთა სახარებათადა

აკაკი შანიძე ვარაუდობს, უფრო მიზანშეწონილია, მივიჩნიოთ, რომ გიორგი მთაწმინდელმა რედაქტირება გაუკეთა ტექსტს, ვიდრე ხელახლა თარგმნა (შანიძე ა., 1981:284). ივანე იმნაიშვილის აზრითაც, სწორია მეორე ვარიანტი, სადაც გიორგის მიეწერება ბერძნულთან საფუძვლიანი შეჯერება-შეწამება დედანთან მაქსიმალურად დაახლოების მიზნით. ოთხთავი ხელახლა მას, რა თქმა უნდა, არ უთარგმნია (იმნაიშვილი ი., ქართული... 1979:55).

უშუალოდ გიორგი მთაწმინდლის ხელიდან გამოსულ ხელნაწერს ან მის პირს ჩვენამდე არ მოუღწევია, რომ უტყუარად გაგვერკვია, ანდერძის რომელი ვარიანტი ეკუთვნის მას. ვალერი სილოგავამ (სილოგავა 1989:153-165) და დარეჯან თვალთვაძემ (თვალთვაძე 2007:66-67; Tvaltvdze 2008:107-119; თვალთვაძე 2009b:129-141; Tvaltvdze 2012:213-229; თვალთვაძე 2015b) ყურადღება მიაქციეს 1060 წელს, შავი მთის კერაში – კალიპოსის მონასტერში – გადაწერილი ოთხთავის ნუსხას, სადაც კარგად ჩანს ანდერძის ტექსტის რედაქტირების კვალი. კალიპოსის ოთხთავი ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთსაცავში 76-ე ნომრით არის დაცული (ქუთაისის... 1953; ოთხთავი... 2008; მუმლაძე 2008ა; მუმლაძე 2008ბ). მას ზოგჯერ ლეჩხუმურ სახარებასაც უწოდებენ. ამ ხელნაწერის გადამწერი, ბასილი თორელყოფილი, ანდერძში წერს, რომ ოთხთავი 1060 წელს (ე.ი გიორგის სიცოცხლეშივე) არის გადაწერილი „*მამისა გიორგის თარგმნილისა სახარებისაგან [310r]*“ (თვალთვაძე 2015b). დარეჯან თვალთვაძის ვარაუდით, მთარგმნელის თანამედროვე გადამწერს, ბასილი თორელყოფილს, ანდერძის ის ვარიანტი უნდა ჰქონოდა ხელთ, რომელიც გიორგის ხელიდან გამოსულ ნუსხას ერთვოდა და რომელშიც ანდერძის ცნობილი სადავო ადგილი ასე იკითხება: „*ესე წმიდად ოთხთავი არა თუ ახლად გვითარგმნია...*“ ხელნაწერში კარგად ჩანს, რომ ეს ადგილი გვიან არის ჩასწორებული, წაშლილია სიტყვები „*არა თუ*“ და ზემოდან სხვა ფერის მელნით წერია სიტყვა „*ჩუენ*“ (თვალთვაძე 2007:67). ამ დამაჯერებელი არგუმენტის საფუძველზე მკვლევარი ფიქრობს, რომ გიორგი მთაწმინდელს არ შეუქმნია ახალი თარგმანი, მან უკვე არსებული სახარების ტექსტის რედაქტირება მოახდინა, მაქსიმალურად დაუახლოვა ბერძნულ დედნებს. გვიანდელმა გადამწერებმა ანდერძის ის ნაწილი, სადაც გიორგი სახარების მხოლოდ რედაქტორად სახელდება, შეცვალეს, სავარაუდოდ, იმიტომ, რომ უკეთ წარმოეჩინათ გიორგი მთაწმინდლის ღვაწლი და გაემყარებინათ მისეული რედაქციის კანონიკურ ტექსტად აღიარების ფაქტი (თვალთვაძე 2015b).

შეგვიწამებია ფრიადითა გამოწულვილითა. და ვინცა-ვინ სწერდეთ, ვითა აქა ჰპოოთ, ეგრეთ დაწერეთ. თუ ამისგან ჯერ ვიჩნდეს დაწერად, ღმრთისათვის სიტყუათა ნუ შესცვალებთ, არამედ ვითარცა აქა სწერია, ეგრეთ დაწერეთ. და თუ არა რამე გაშუნდეს, ჩუენნი ყოველნი სახარებანი პირველითგან წმიდად თარგმნილნია და კეთილად - ხანმეტნიცა და საბაწმინდურნიც - მუნით დაწერეთ და ღმრთისათვის ერთმანეთსა ნუ გაჰრევთ და გლახაკისა გიორგის თარგმანისათვის ლოცვა ყავთ.“

„გიორგი მთაწმინდლის ცხოვრებაში“ გიორგი მცირე გვეუბნება, რომ მან მთარგმნელობითი კუთხით სხვადასხვა ტიპის სამუშაო ჩაატარა: 1. თარგმნა ჯერ უთარგმნელი წიგნები, 2. ხელახლა გადმოიღო ქართულ ენაზე ოდესღაც თარგმნილი და „ვერკეთილად გადმოღებულნი“. 3. განასრულა ექვთიმე მთაწმინდლის დაუმთავრებელი თარგმანები და 4. *„კუალად სხუანი რომელნი-მე ბერძულსა შეაწამნა და ყოვლისა ნაკლულევანებისაგან განასრულნა და სიტყუა-დუბჭირობისა და ვერავობისაგან განაშვენნა და განაბრწყინვნა, ვითარცა თვით თავადი სახარებაჲ და პავლე“* (ძველი... 1967:146). როგორც ვხედავთ, „გიორგი მთაწმინდლის ცხოვრებაში“ გარკვევით წერია, რომ მან სახარების ტექსტი ბერძნულს შეაწამა და ნაკლულევანებისაგან სრულყო. ჩვენმა ტექსტოლოგიურმა კვლევამაც სწორედ ამ დასკვნამდე მიგვიყვანა. გიორგი მთაწმინდელმა იხელმძღვანელა უკვე არსებული ოპიზური, იგივე ჯრუჟ-პარხლის რედაქციით და სამგზის რედაქტირების შედეგად მაქსიმალურად დაუახლოვა იგი ბერძნულს, კერძოდ, ბიზანტიური ტექსტის ტიპს. ამ საკითხს დაწვრილებით ქვემოთ შევხებით.

მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ გიორგი მთაწმინდელამდე *ექვთიმე ათონელმა* (955-1028), აპოკალიფსისა და დავითნის გარდა, სახარებაზეც იმუშავა. ამ მოსაზრების დასტურად კორნელი კეკელიძე (კეკელიძე 1980:317) იმოწმებს ალავერდის ოთხთავის მინაწერს: *„ესე უწყოდეთ, წმიდანო მამანო, რომელნიცა მიემთხვენეთ წმიდასა ამას სახარებასა, ფრიად მართალი და წმიდაჲ არს, მამისა ეფთჳმეს სახარებათადა შეწამებული, ბერძულსა ორჯელ და ქართულსა, ყოვლითურთ უნაკლულოჲ“* (A-484, 10r) (ქართ. ხელნ. აღწერილობა, A ფონდი, 1986:212).

ივანე იმნაიშვილი მიიჩნევს, რომ სახარების ექვთიმესეული რედაქცია წარმოდგენილია ტბეთის (995 წლის), მესტიის (1039 წლის), ურბნისის (XI ს-ის I ნახ.) და პალესტინის (1048 წლის) ოთხთავებში (იმნაიშვილი ი., ქართული... 1979:49). თუმცა ამ ოთხთავების ანდერძებში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. ივანე იმნაიშვილის აზრით, ექვთიმეს რედაქცია არ წარმოადგენს დამოუკიდებელ თარგმანს. იგი ეყრდნობა ოპიზის ოთხთავს, ექვთიმე ათონელი ადარებს მას ბერძნულ დედანს და მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში შეაქვს ცვლილებები. ივ. იმნაიშვილმა, აგრეთვე, ერთმანეთს შეუდარა და იპოვა დამთხვევები ურბნისისა და პალესტინის ოთხთავებსა და ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილ იოანე ოქროპირის „მათეს სახარების თარგმანებაში“ დაცულ სახარების ტექსტს შორის. მისი აზრით, ეს არის სწორედ დამატებითი არგუმენტი იმისა, რომ ურბნისისა და პალესტინის ოთხთავებში ექვთიმე ათონელის მიერ ნარედაქტირები ტექსტია დაცული (იმნაიშვილი ი., ქართული... 1979:49).

ექვთიმეს შრომათა ნუსხებში, რომლებიც გიორგი მთაწმინდლის ჰაგიოგრაფიულ თხზულებასა (ძველი... 1967:62-64) და მისი მამის, იოანე ათონელის, ანდერძშია წარმოდგენილი (ოქროპირი 1996:14-15), ექვთიმეს მიერ სახარების თარგმნისა თუ რედაქტირების ფაქტი აღნიშნული არ არის. გარდა ამისა, დღემდე ექვთიმესეულად მიჩნეული წაკითხვების დიდი ნაწილი ოპიზური რედაქციის შემცველ ხელნაწერებშიც დასტურდება, ამიტომაც მკვლევართა ნაწილი სახარების რედაქტირების პროცესში ექვთიმეს წვლილს თითქმის გამორიცხავს. ოცდახუთზე მეტი წინათონური ხელნაწერის (წყაროსთავის (X ს.), Sin.Geo.15 (978 წლის), Sin.Geo.16 (X ს.), Sin.Geo.30 (979 წლის), ურბნისის (XI ს-ის I ნახ.), პალესტინის (1049 წლის), ტბეთის (995 წლის), მესტიის (1039 წლის) და ა.შ.), მონაცემთა შესწავლის შედეგად ზურაბ სარჯველაძემ დაადგინა, რომ ე.წ. ექვთიმეს რედაქციის ვარიანტული წაკითხვები არა მხოლოდ დასტურდება, არამედ უგამონაკლისოდ მისდევს X საუკუნის ხელნაწერებს (წყაროსთავის (X ს.), Sin.Geo.15 (978 წლის), Sin.Geo.16 (X ს.), Sin.Geo.30 (979 წლის), რომელნიც ექვთიმეს მოღვაწეობამდეა გადაწერილი და რომლებიც ტექსტუალური თვალსაზრისით ერთად დგანან (სარჯველაძე ზ., 2001:110). ზურაბ სარჯველაძის მოსაზრებით, ურბნისულ და პალესტინურ ოთხთავებში დაცული ტექსტი წყაროსთავის (X ს.), Sin.Geo.15 (978 წლის), Sin. Geo.16 (X ს.), Sin.Geo.30 (979 წლის) ხელნაწერებში დაცულ ტექსტებთან ერთად ერთ-ერთ ქვეჯგუფად თავსდება ჯრუჭ-პარხლის, იგივე ოპიზური რედაქციის ფარგლებში (სარჯველაძე ზ., 2001:124-125). ზურაბ სარჯველაძე ფიქრობს, რომ ამ ექვსი⁵ ხელნაწერის ერთიანობა შედეგია ბერძნულ დედანთან შედარების გზით მიღებული იმ რევიზიისა, რომელიც VIII საუკუნის I ნახევარში უნდა დასრულებულიყო. ამ დასკვნის საფუძველს კი ამღვეს Sin.Geo.15-სა (978 წლის) და Sin.Geo.30-ში (979 წლის) გამოვლენილი ჰაემეტობის ნაშთები (სარჯველაძე ზ., 2001:125). ზურაბ სარჯველაძეს დამატებით არგუმენტად მოჰყავს გიორგი მთაწმინდლის ცნობილი ანდერძი იმის დასტურად, რომ ექვთიმე ათონელს ოთხთავის ტექსტის რევიზია არ ჩაუტარებია. როგორც ზემოთ აღინიშნა, გიორგი მთაწმინდელი ოთხთავის ქართული თარგმანის ანდერძში ასახელებს მანამდე არსებულ ორ ძველ რედაქციას, ხანმეტსა და საბაწმიდურს, მაგრამ არაფერს ამბობს ექვთიმეს მიერ ნარედაქტირებ ტექსტზე. მისთვის რომ ამ უკანასკნელის რედაქცია ყოფილიყო ცნობილი, ამ გარემოებას აუცილებლად აღნიშნავდა (სარჯველაძე ზ., 2001:127).

⁵ 2016 წელს თსუ ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტმა, თამარ თითბერიძემ, საბაკალავრო ნაშრომის „ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის N363 ხელნაწერის (ქუთ.363) კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური ანალიზი“ ფარგლებში პროფ. დ. თვალთვამის ხელმძღვანელობით იმუშავა ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის N363 ხელნაწერზე (K-363). კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური ანალიზის შედეგად გამოჩნდა, რომ K-363-ში დაცული ტექსტი სწორედ ამ ქვეჯგუფის ხელნაწერთა გვერდით დგას. მაშასადამე, ზურაბ სარჯველაძის მიერ გამოვლენილ ექვს ხელნაწერს დაემატა მეშვიდე ხელნაწერი, K-363.

ჩვენ აბსოლუტურად ვიზიარებთ ზურაბ სარჯველაძის მოსაზრებას, რომ ივ. იმნაიშვილის მიერ ექვთიმეს რედაქციის ვარიანტულ წაკითხვებად მიჩნეული იკითხვისები დასტურდება X საუკუნის ხელნაწერებში, რომელნიც ექვთიმეს მოღვაწეობამდეა გადაწერილი. როგორც ვიცით, ეგზეგეტიკური თხზულებებიდან ექვთიმე ათონელმა არაუგვიანეს 980 წლისა ჯერ წმინდა იოანე ოქროპირის იოანეს სახარების განმარტება თარგმნა (ოქროპირი 1993), ხოლო მოგვიანებით, 1002 წელს (კეკელიძე 1980:198), მამისავე სიცოცხლეში, მისივე თხოვნით – წმინდა იოანე ოქროპირის მათეს სახარების თარგმანება გადმოიღო ქართულად. ჩვენი აზრით, სწორედ ამ თარგმანებებში დაცული ტექსტია ექვთიმესეული, რომელიც მცირედით, მაგრამ მაინც განსხვავდება ოპიზური, იგივე ჯრუჭ-პარხლისა და ათონური რედაქციის ტექსტისგან. რაც შეეხება ალავერდის ოთხთავის მინაწერს (*„ესე უწყოდეთ, წმიდანო მამანო, რომელნიცა მიემთხვევნეთ წმიდასა ამას სახარებასა, ფრიად მართალი და წმიდაა არს, მამისა ევთჳმეს სახარებათადა შეწამებული, ბერძულსა ორჯელ და ქართულსა, ყოვლითურთ უნაკლოლოდ“*) (A-484, 10r) (ქართ. ხელნ. აღწერილობა, A ფონდი, 1986:212), ტექსტოლოგიურად ნამდვილად დგინდება, რომ ალავერდის ოთხთავი მათესა და იოანეს სახარებების ნაწილში ითვალისწინებს ექვთიმეს განმარტების კიმენის ტექსტის იკითხვისებს. მათ შორის ზოგი იმგვარია იკითხვისია, რომელიც არცერთ წინათონურ რედაქციაში არ დასტურდება. ამ საკითხს ქვემოთ ტექსტოლოგიური ანალიზისას უფრო დაწვრილებით განვიხილავთ.

5. ელინოფილური რედაქცია

სახარების ელინოფილურ რედაქციას შეიცავს თეოფილაქტე ბულგარელის განმარტებების კიმენი. გიორგი მთაწმინდლის შემდგომ ოთხთავის ტექსტი ბერძნულიდან ქართულად XI საუკუნის მიწურულსა და XII საუკუნის დასაწყისში ანონიმ ავტორს უთარგმნია. ამჯერად თარგმნის მოტივს არა იმდენად ბიბლიოლოგიური მოსაზრება, არამედ ეგზეგეტიკური წარმოადგენდა (კეკელიძე 1980:414). ქართულად ითარგმნა თეოფილაქტე ბულგარელის ეგზეგეტიკური თხზულებანი, კერძოდ, „განმარტებად მარკოზის სახარებისა“ (დაცულია XII-XIII საუკუნეების K-78-ში, A-102-სა და S-404-ში (XVIII საუკუნის ხელნაწერი), ამავე თხზულების ბოლო ნაწილი დაცულია XII-XIII საუკუნეების Jer.22-ში), „განმარტებად მარკოზის სახარებისა“ დაცულია, აგრეთვე, 1782 წელს მხედრულით გადაწერილ ხელნაწერში, რომელიც თსუ ბიბლიოთეკაში ინახება (F 287); „განმარტებად ლუკას სახარებისა“ (თეოფილაქტე ბულგარელი 2010b) (დაცულია XII-XIII საუკუნის Jer.22, K-78, XVIII საუკუნის A-113, A-284 და ნაწილობრივ XIX საუკუნის – S-3625 ხელნაწერში, აგრეთვე, თსუ ბიბლიოთეკის F287 ხელნაწერში, რომელიც 1782 წელს არის გადაწერილი

მხედრული ანბანით) და „განმარტებად იოანეს სახარებისა“ (თეოფილაქტე ბულგარელი 2010ა) (XII-XIII საუკუნის A-52). მათეს სახარების განმარტება ჯერჯერობით მიუკვლეველია, სავარაუდოდ, იგი დაიკარგა. თინათინ ცქიტშივილის აზრით, ნაკლებ სავარაუდოა, რომ ის ქართულად არ ეთარგმნათ (თეოფილაქტე ბულგარელი 2010ა:4). მთარგმნელი განმარტებებთან ერთად სახარების ტექსტსაც ხელახლა თარგმნის, ამდენად იგი განსხვავებულია ოთხთავის ყველა ძველი რედაქციისაგან.

აღნიშნული „განმარტებანი“ თეოფილაქტე ბულგარელს XI საუკუნის 90-იან წლებში დაუწერია ბიზანტიის დედოფლის, ბაგრატ IV-ის ასულის, მართა-მარიამის ბრძანებით. ეს ცნობა A-52 ხელნაწერშია დაცული: *„თეოფილაქტე წმიდისა მთავარებისკოპოსისა ვულღარიაჲ[ს]სა განმარტება იოანნის თავისა წმიდისა სახარებისა, ნამუშაკევი მისი ბრძანებისა მიერ მარადის საკსენებელისა დედოფლისა, უფალა მარიაჲ[სი]“* (A-52, 1r) (ქართულ... 1973:141).

გვიანდელ ნუსხებში (XVIII საუკუნის A-113, A-284 და XIX საუკუნის S-3625, თსუ ბიბლოთეკის 1782 წლის F287 ხელნაწერში) „განმარტებად ლუკას სახარებისაჲს“ მთარგმნელად დასახელებულია იოანე ჭიმჭიმელი: *„იოანემან ჭილოსოჭოსმან ჭიმჭიმელმან ელადელოთა ჯმისაგან სპანთ მოსახლედ ჯმად გარდამოილო თარგმანება წმიდისა ევანგელისა“* (A-113, 1r) (თეოფილაქტე ბულგარელი 2010ბ:VII). კორნელი კეკელიძეს ეს თხზულება იოანე ჭიმჭიმელის თარგმნილად მიაჩნია (კეკელიძე 1980:317, 464). თინათინ ცქიტშივილს თარგმანის ენა, სტილი და მთარგმნელობითი ტრადიციები ავარაუდებინებს, რომ თეოფილაქტე ბულგარელის აღნიშნული განმარტებანი ქართულად იოანე პეტრიწს უნდა ეთარგმნა (ცქიტშივილი 2004:167). სახარების ტექსტი გადამუშავებულია იოანე პეტრიწის რედაქტორული მუშაობის იმ პრინციპების შესაბამისად, რომლებიც თინათინ ცქიტშივილმა „ეზეკიელის წიგნის“ გელათური ვერსიის ტექსტზე მუშაობისას გამოკვეთა (ეზეკიელის... 1974).

თინათინ ცქიტშივილმა ამ ეგზეგეტიკური თხზულებიდან გამოკრიბა განსამარტავი ტექსტი – იოანეს სახარების პეტრიწისეული თარგმანი – და შეუდარა ძველ რედაქციებს: ჯრუჭ-პარხლისას (შანიძე ა., ქართული ოთხთავის... 1945), ადიშურს (შანიძე ა., ქართული ოთხთავის..... 1945), ე. წ. ექვთიმესეულს (იმნაიშვილი ი., ქართული... 1979), აგრეთვე, იოანე ოქროპირის „იოანეს სახარების განმარტებებიდან“ გამოკრებილ იოანეს სახარების ტექსტს (ოქროპირი 1993) და ბერძნულ ორიგინალს და დაადგინა, რომ პეტრიწისეული ტექსტი, მიუხედავად ძველი რედაქციებისაგან მნიშვნელოვანი სხვაობისა, ახალ თარგმანს არ წარმოადგენს და უმეტესად თანხვედბა ჯრუჭ-პარხლის რედაქციას. ამ ორი რედაქციის საერთო ფენა იოანეს სახარების მთელი ტექსტის თითქმის ორ მესამედს შეადგენს (ცქიტშივილი, 2004:168). მკვლევარი ასკვნის, რომ იოანე პეტრიწი სარგებლობს ჯრუჭ-პარხლის რედაქციით, იყენებს ბერძნულ

ორიგინალს და ცვლის მას აზრობრივი სიზუსტისა თუ ინდივიდუალურ მოსაზრებათა მიხედვით. მისი მიზანია, ქართული ენის ენობრივი გამომსახველობითი საშუალებები მოარგოს სათარგმნი ენის სისტემას. კერძოდ, ზმნის პირიან ფორმას ანაცვლებს მიმღებობური კონსტრუქციით (მაგალითად, ზმნური კონსტრუქციები: „აღახილნა თუალნი“, „ედგა ეკლისა გვირგვინი“ პეტრიწისეულ რედაქციაში შეცვლილია მიმღებობური კონსტრუქციებით: „ამხუმელი თუალთა“, „მმოსელი ეკლებრსა გვრგვინსა“ და სხვ.), აზუსტებს სიტყვების მნიშვნელობას და ცვლის მათ (მაგალითად, ძველ რედაქციებში დადასტურებული ტერმინები: *სატფური*, *სატფურება*, რაც სოლომონის ტაძრის განახლება-განწმენდის დღესასწაულს აღნიშნავს, გადმოაქვს როგორც *ენკენია* – ბერძნული ἔγκαινα-ს შესატყვისად) (ცქიტიშვილი, 2004:172).

რაც შეეხება ლუკას სახარების ტექსტს, რომელიც თეოფილაქტე ბულგარელის თხზულებაში „განმარტებად ლუკას სახარებისად“ არის დაცული, გამომცემელი სოფიო სარჯველაძე მიიჩნევს, რომ იგი ელინოფილური მიმდინარეობის სკოლის ყველა მახასიათებლით შექმნილი ახალი თარგმანია და მასა და ოთხთავის სხვა ქართულ რედაქციებს შორის ბევრად ნაკლები მსგავსებაა, ვიდრე განსხვავება. თუმცა კი გამომცემელი აქვე დასძენს, რომ „*თხზულების ქართველი მთარგმნელი იცნობდა და საჭიროების შემთხვევაში იყენებდა კიდევაც ოთხთავის ქართული თარგმანის ძველ რედაქციებს*“ (თეოფილაქტე ბულგარელი 2010ბ:XLI). სოფიო სარჯველაძე გამოყოფს ელინოფილური სკოლის ძირითად მახასიათებელსაც, ეს არის ბერძნული დედნის ტექსტისადმი დამოკიდებულება ხშირ შემთხვევაში ქართული ენის ბუნების უგულვებლყოფის ხარჯზე (თეოფილაქტე ბულგარელი 2010ბ:XVL).

როგორც კორნელი კეკელიძე აღნიშნავს, ოთხთავის ტექსტის ამ თარგმანს, მძიმე და ხელოვნური, პეტრიწონისეული ენით შესრულებულს, ათონური რედაქციისათვის მეტოქეობა ვერ გაუწევია (კეკელიძე 1980:414).

განხილული ლიტერატურის საფუძველზე ოთხთავის ქართული თარგმანის რედაქციების ჩამოყალიბების სქემა შეგვიძლია ასე გამოვსახოთ (სურ. 1).


აუცილებლად უნდა აღინიშნოს ედიშერ ჭელიძის (ჭელიძე 2004) განსხვავებული მოსაზრება ოთხთავის ქართული თარგმანის რედაქციების ჩამოყალიბების ისტორიის შესახებ. მას მიაჩნია, რომ წმინდა წერილის ქართულად თარგმნა-რედაქტირების სამი ძირითადი ეტაპი გამოიყოფა:

- I. **პროტორედაქცია** (ბერძნულიდან მომდინარე პირველთარგმანი);
- II. **ადიშური რედაქცია** (სომხურთან საფუძვლიანად შეჯერებული ტექსტი);
- III. **გელათური რედაქცია** (ბერძნულთან ტერმინოლოგიურად თანმხვედრი ტექსტი, რომელიც სომხურსაც უნდა ითვალისწინებდეს) (ჭელიძე 2004:345).

ყველა დანარჩენს (გიორგი მთაწმინდლისეულს, ლექციონარების საკითხავებს) ქვერედაქციებად, თავისებურ რედაქციულ განშტოებებად გამოჰყოფს. რაც შეეხება ოპიზურ რედაქციას, ედიშერ ჭელიძეს მიაჩნია, რომ იგი რედაქციულად არ სხვაობს ადიშურისაგან, ადიშური რედაქცია ეყრდნობა ოპიზურის პროტოტიპს და იგი სომხურის მიხედვით არის გასწორებული. ბუნებრივია, ოპიზური რედაქციის პროტოტიპი არ იქნებოდა ზედმიწევნით იდენტური იმ ტექსტისა, რომელიც ჯრუჭ-პარხლისა და მათთან რედაქციულად თანმხვედრმა ოთხთავებმა შემოგვინახეს (ჭელიძე 2004:342).

როგორც ზემოთ აღინიშნა, კვლევის მოცემულ ეტაპზე ამ საკითხთან დაკავშირებით არ ვერთვებით სამეცნიერო დისკუსიაში, ვინაიდან ამისათვის ამ რედაქციათა ტექსტების ზედმიწევნით შესწავლა, მათი ურთიერთ და ბერძნულ რედაქციებთან შედარება საჭირო, ამიტომ მხოლოდ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრებების მიმოხილვას ვჯერდებით.

გარდა ამისა, ედიშერ ჭელიძეს მიაჩნია, რომ IV-V სს-ის მიჯნის ბიზანტიელი ღვთისმეტყველის, სევერიანე გაბალოვნელის, შრომის „ექვსთა დღეთათვის“ ძველ ქართულ თარგმანში (Jer.44 და Jer.74) დაცული სახარებისეული ციტატები არქაულ სახეს ამჟღავნებს და, შესაძლოა, ასახავდეს ოთხთავის ქართული თარგმანის უადრეს ტექსტობრივ ვითარებას (ჭელიძე, 1996:4-5). ამ მიმართულებით კვლევის გაგრძელებამ შეიძლება საინტერესო შედეგებამდე მიგვიყვანოს.



§2. ოთხთავის ქართული თარგმანის გამოცემები

მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებსა და ბიბლიის კვლევის სამეცნიერო ცენტრებში ახალი აღთქმის ცალკეული წიგნების აკადემიური ტექსტების მეცნიერულად შესწავლასა და გამოცემას დიდი ხნის ისტორია აქვს. ბერძნული ახალი აღთქმის შემთხვევაში ის მე-16 საუკუნის დასაწყისიდან იწყება. ბერძნული ახალი აღთქმის კრიტიკული ტექსტის გამოცემებს მეთოდოლოგიური პრობლემები ახლავს თან და არა მხოლოდ ძველ (XVI-XIX საუკუნეების) გამოცემებში, არამედ XX საუკუნის გამოცემებშიც კი.⁶

რაც შეეხება ოთხთავის ქართული თარგმანის ცალკეულ ხელნაწერებს, მათი კვლევა და პუბლიკაცია XIX საუკუნის ბოლოდან იწყება და XX და XXI საუკუნეშიც გრძელდება. ქვემოთ, შემლებისდაგვარად, მიმოვიხილავთ ოთხთავის ქართული თარგმანის შემცველი ცალკეული ხელნაწერების გამოცემებს.

ადიშის ოთხთავის, რომელიც ქართულ ოთხთავთა შორის ყველაზე ძველი თარიღიანი ძეგლია, ფოტოტიპური გამოცემა დავით ერმაკოვის ნამუშევართა მიხედვით მოსკოვის საარქეოლოგო საზოგადოებამ მოამზადა. იგი 1916 წელს გამოიცა ექვთიმე თაყაიშვილის წინასიტყვაობით (Адишское... 1916). ამ გამოცემით ადიშის ოთხთავი ხელმისაწვდომი გახდა მკვლევართა ფართო წრისათვის. შემდეგ ის ოთხჯერ გამოიცა სტამბურად. ერთი გამოცემა ეკუთვნის ამერიკელ ქართველოლოგს, რობერტ ბლეიკს, მეორე – აკაკი შანიძეს, მესამე – იოზეფ მოლითორს. რობერტ ბლეიკმა ადიშის სახარების ტექსტი დაბეჭდა ოპიზისა და ტბეთის სახარებათა ვარიანტებითურთ და დაურთო ლათინური თარგმანიც. ასე გამოსცა მან ჯერ მარკოზის თავი (The old Georgian... 1928), შემდეგ მათესი (The old Georgian... 1933), უფრო გვიან, 1950 წელს, მორის ბრიერთან ერთად – იოანესი (The old Georgian... 1950). რობერტ ბლეიკის გარდაცვალების შემდეგ მორის ბრიერმა გამოსცა ლუკას სახარებაც (La Version... 1955). ადიშის ოთხთავის ახალი ლათინური თარგმანი აგრეთვე გამოაქვეყნა გერმანელმა მეცნიერმა იოზეფ მოლითორმა (Molitor 1965). 1945 წელს ა. შანიძემ გამოსცა ადიშის ოთხთავის ტექსტი შატბერდში გადაწერილ X საუკუნის ორ სხვა, ჯრუჭისა და პარხლის, სახარებებთან ერთად (შანიძე ა., ქართული ოთხთავის... 1945). ამ გამოცემაში ადიშის სახარების ტექსტი, როგორც რედაქციულად ცალკე მდგომი, დაბეჭდილია ჯრუჭისა და პარხლის ოთხთავების ტექსტის (DE) პარალელურად, ცალკე სვეტად (C). 2003 წელს ადიშის ოთხთავი გამოიცა ზურაბ სარჯველაძის საერთო რედაქციით (ადიშის... 2003).

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ადიშის სახარება რედაქციული თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი ძეგლია. ტექსტის ძირითად ნაწილში დაცულია ადიშური

⁶ ბერძნული ოთხთავის გამოცემებს, მათ მეთოდოლოგიურ პრობლემებს ქვემოთ დეტალურად შევეხებით.

რედაქცია, ხოლო ერთ პატარა ნაწილს (ლუკა 3:9-15:6 და 17:25-23:2), ლამარა ქაჯაიას აზრით, შემოუნახავს ქართული ოთხთავის უძველესი, საბაწმიდური, რედაქცია. სამეცნიერო ლიტერატურაში არ არის ერთგვაროვანი აზრი ადიშის ოთხთავის წარმომავლობის შესახებ. მასში არმენიზმების არსებობის გამო ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ იგი სომხური დედნიდან მომდინარეობს, ზოგის აზრით კი – ბერძნულიდან (ყაუხჩიშვილი 1944). სოფიო სარჯველაძემ შეუდარა ადიშის ტექსტი ბერძნული ოთხთავის კრიტიკულ და სინოპტიკურ გამოცემებს და ოთხთავის სომხურ თარგმანს, რის შედეგადაც გამოვლინდა მრავალი რედაქციული ტიპის სხვაობა. მკვლევარმა დაასკვნა, რომ ადიშის ოთხთავში დაცული რედაქცია თარგმნილია ბერძნული დედნიდან, ხოლო მასში ალაგ-ალაგ დადასტურებული არმენიზმები კი მხოლოდ ლექსიკური ხასიათისაა, ამდენად, მეორეულია და იმ ფენაში გვხვდება, რომელიც ნუსხის რედაქტორმა ჩაასწორა ოთხთავის სომხური ტექსტის მიხედვით. რედაქციული თვალსაზრისით კი ადიშის ოთხთავის მრავალი მუხლი უპირისპირდება სომხურ თარგმანს და ნათლად ჩანს, რომ ადიშის ტექსტი მისდევს სულ სხვა ბერძნულ დედანს, ხოლო სომხური კი – სულ სხვას. ადიშის ნუსხის ტექსტი რომ სომხური ოთხთავიდან თარგმნილი ყოფილიყო, მაშინ ის უნდა გაჰყოლოდა მთლიანად სომხურ ტექსტს და მათ შორის რედაქციული სხვაობები არ უნდა გვექონოდა. ადიშის ოთხთავში არსებული არმენიზმები კი მხოლოდ რედაქტორის მიერ ლექსიკურ დონეზე ჩასწორების შედეგია და არ არის რედაქციული ტიპისა (ადიშის... 2003:69).

ქსნის ოთხთავის ლუკას თავი ივანე იმნაიშვილმა გამოაქვეყნა „ქართული ენის ისტორიულ ქრესტომათიაში“ (ქსნის... 1949:60-83; 106-124), მარკოზის თავი – პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომებში, ტ.VI (პუშკინის... 1949:211-240), მათეს თავის გადარჩენილი ნაწილი (21:28-28:20) და იოანეს თავის ორი მესამედი – პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომებში, ტ.VIII (იმნაიშვილი 1950:299-344). ქსნის ოთხთავი (A-507) შატბერდშია გადაწერილი და ივანე იმნაიშვილმა IX საუკუნის გასულითა და X საუკუნის დასაწყისით დაათარიღა (იმნაიშვილი 1949:296). იგი რედაქციულად რთული ძეგლია. მასში დაცულია როგორც ადიშური და ოპიზური რედაქციების წაკითხვები, ასევე, ორიგინალური, მხოლოდ ქსნის ოთხთავში დაცული ვარიანტები. მათ ივანე იმნაიშვილი საკუთრივ ქსნურ რედაქციას მიაკუთვნებს (იმნაიშვილი 1949:302).

ტბეთის ოთხთავი (995 წლის), რომელიც დაცულია სანკტ-პეტერბურგის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში (K212), რამდენჯერმე გამოიცა: 1909-1911 წლებში, ტბეთის ოთხთავის მათესა და მარკოზის სახარებები გამოსცა ვლადიმერ ბენეშევიჩმა (სახარებად... 1911) ოპიზის ხელნაწერთან ერთად. რობერტ ბლეიკმა ტბეთის სახარების ტექსტი დაბეჭდა ადიშისა და ოპიზისა

სახარებებთან ერთად ლათინური თარგმანით. ძირითად ტექსტად გაიტანა ადიშის ოთხთავის ტექსტი, ხოლო ტბეთისა და ოპიზის ტექსტი – ვარიანტებად აპარატში. როგორც ადიშის ოთხთავის გამოცემის შემთხვევაში აღვნიშნეთ, ასე გამოსცა მან ჯერ მარკოზის თავი (The old Georgian... 1928), შემდეგ – მათესი (The old Georgian... 1933), უფრო გვიან, 1950 წელს. მორის ბრიერთან ერთად – იოანესი (The old Georgian... 1950). რობერტ ბლეიკის გარდაცვალების შემდეგ მორის ბრიერმა გამოსცა ლუკას სახარებაც (La Version... 1955). ხოლო 1953 წელს ივანე იმნაიშვილმა გამოსცა ტბეთის ოთხთავის ჯერ ლუკას თავი (ქართული... 1953), ხოლო 1977 წელს კი – იოანეს თავი (იმნაიშვილი 1977). ტბეთის ოთხთავში ოპიზური (იგივე ჯრუჭ-პარხლის) რედაქციაა დაცული.

1945 წელს აკაკი შანიძემ გამოსცა **ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის**, ჯრუჭის (936 წლის, H-1660), პარხლის (973 წლის, A-1453) და ადიშის (897 წლის) მიხედვით (შანიძე ა., ქართული ოთხთავის... 1945). ეს ხელნაწერები გამომცემელმა შეარჩია რამდენიმე პრინციპით, პირველი, სიძველისა და რედაქციული თვალსაზრისით გამორჩეულობის გამო და მეორე – გადაწერის ადგილის მიხედვით. სამივე მათგანი შატბერდშია გადაწერილი. მათი რედაქციული კუთვნილება ზემოთ უკვე ვრცლად მიმოვიხილეთ (გვ. 8-9).

1979 წელს ივანე იმნაიშვილმა გამოსცა **ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია** (იმნაიშვილი ი., ქართული... 1979), რომელთაგან პირველი (ბოლოსწინა), მისი აზრით, ეკუთვნის ექვთიმე მთაწმინდელს, ხოლო მეორე (სულ ბოლო) – გიორგი მთაწმინდელს. ივანე იმნაიშვილს ექვთიმესეული რედაქციის ტექსტად მიაჩნდა ურბნისის (XI ს-ის I ნახ., A-28) და პალესტინურ (1048 წლის, H-1741) ოთხთავებში დაცული ტექსტი. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ მკვლევართა უმეტესობა სახარების რედაქტირების პროცესში ექვთიმე ათონელის წვლილს გამორიცხავს. ე. წ. ექვთიმესეული რედაქციის ტექსტის პარალელურ სვეტად ივანე იმნაიშვილმა გამოსცა ათონური რედაქციის შემცველი სამი ხელნაწერი: ვანის (XII-XIII სს. A-1335), ეჩმიადინისა (XII-XIII სს. Rt XIX N1) და გელათის ოთხთავები (XII ს. Q-908).

1984 წელს ლამარა ქაჯაიამ გამოსცა **ხანმეტი სახარება** ორი სხვადასხვა ხელნაწერის (A-89 და A-844) პალიმფსესტიდან (ქაჯაია ლ., ხანმეტი... 1984), რადგანაც მათი ფურცლები ერთი საერთო ხელნაწერის ნაწილს წარმოადგენს. გამომცემლის გამოკვლევის თანახმად, ხანმეტ ოთხთავს დაუცავს ორი რედაქცია: ადიშური (მათე 5:18-11:7-მდე) და ოპიზური (მათე 11:8-დან). ხანმეტი ოთხთავი წინა პარაგრაფში დეტალურად განვიხილეთ, ამიტომ აქ აღარ შევჩერდებით.

2004 წელს ელგუჯა გიუნაშვილისა და ზურაბ სარჯველაძის საერთო რედაქციით გამოიცა მათესა და მარკოზის სახარებების გიორგი მთაწმინდლის რედაქცია განმარტებებითურთ (მათეს... 2004; მარკოზის... 2004).

2007 წელს ედიშერ ჭელიძემ გამოსცა სახარება ოთხთავი სქოლიოებით, სადაც ამა თუ იმ იკითხვისზე საინტერესო დაკვირვებებია მოცემული და შედარებულია როგორც ბერძნულ, ასევე, სხვაენოვან თარგმანებს (ჭელიძე 2007).

2008 წელს ციციხო მუმლაძემ გამოსცა ათონური რედაქციის შემცველ ხელნაწერთაგან უძველესი, 1060 წლის კალიპოსის ოთხთავი, იგივე ლეჩხუმური სახარება (ოთხთავი... 2008), რომელიც ამჟამად ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთსაცავში 76-ე ნომრით ინახება (ქუთაისის... 1953). ოთხთავი უნიკალურია იმ თვალსაზრისით, რომ იგი უშუალოდ გიორგი მთაწმინდლის ხელიდან გამოსული ნუსხიდან არის გადაწერილი. ამის შესახებ გვაუწყებს კალიპოსის ოთხთავის გადამწერი, ბასილი თორელყოფილი: *„ლოცვა ყავთ, წმიდანო ღმრთისანო, უღირსისა ბასილისათვისცა, რომელმან წმიდა ესე ოთხთავი მამისა გიორგის თარგმნილისა სახარებისაგან გარდმოვწერე და შეწამებაჲ დიად მიხარკებია. ღმრთისათვის, სიტყუასა ნუ შესცვალებთ“* (ოთხთავი 2008:5). ამ ხელნაწერს ათონური რედაქციის ზუსტი ტექსტის დადგენის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

2010 წელს მანანა მაჩხანელმა გამოსცა საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის ხელნაწერთა ფონდში #107 ნომრით დაცული ნუსხა, ე.წ. „ანბანდიდი“ (მაჩხანელი მ., ანბანდიდი 2010). ხელნაწერი თავნაკლულია. აკლია მათესა და მარკოზის თავები, ლუკას 7 თავი მთლიანად და მე-8 თავის მე-7 მუხლი. იგი გადაწერილია ასომთავრული ანბანით და პალეოგრაფიული ნიშნებით სიძველეს ამჟღავნებს. გამომცემლის გამოკვლევის თანახმად, ხელნაწერი შეიცავს ნარევი რედაქციის ტექსტს. მასში მოიპოვება როგორც ადიშისა და ოპიზური რედაქციის იკითხვისები, ასევე, საკუთრივ მხოლოდ ამ ხელნაწერში დაცული ორიგინალური წაკითხვები. ტექსტოლოგიური და პალეოგრაფიული ანალიზის საფუძველზე გამომცემელი „ანბანდიდს“ IX საუკუნით ათარიღებს (მაჩხანელი მ., ანბანდიდი 2010:7).

2010 წელს ელგუჯა გიუნაშვილმა გამოსცა სინური ოთხთავები: Sin.Geo.15, Sin.Geo.30 და Sin.Geo.38 (სინური... 2010). Sin.Geo.15 (ცაგარლით 8) 978 წელს გადაწერა იოანე ზოსიმემ სინას მთაზე, წმინდა ეკატერინეს მონასტერში. ხელნაწერი გადაწერილია ნუსხურით და მასში ოთხივე სახარება სრულად არის წარმოდგენილი. Sin.Geo.30 (ცაგარლით 11) 979 წელს არის გადაწერილი ასომთავრული ანბანით. მასში დაცულია მხოლოდ მათეს, მარკოზისა და ლუკასა (მე-10 თავის 29-ე მუხლამდე) სახარებები. მისი გადამწერია ეზრა ქობულენის ძე. Sin.Geo.38 (ცაგარლით 12) აგრეთვე იოანე ზოსიმეს გადაუწერია ასომთავრული ანბანით 979 წელს. მასში დაცულია ლუკასა (მე-13 თავის მე-2 მუხლიდან) და იოანეს სახარებები. Sin.Geo.38 Sin.Geo.30-ის გაგრძელება უნდა იყოს, მით უმეტეს, რომ ორივე 979 წელს არის გადაწერილი. როგორც ჩანს, ეზრა ქობულენის ძემ და იოანე ზოსიმემ სამუშაო გაინაწილეს, პირველმა მათესა და მარკოზის სახარებები

გადაწერა, მეორემ კი – ლუკასა და იოანესი. ამ ფაქტს იოანე ზოსიმეც აღნიშნავს ერთ-ერთ ანდერძში: „ღმერთმან მოწყალემან გამიმარჯუა და დამიწერეს სალოცველად ჩემდა და მათდა ეზრა დაყუდებულმან, პატიოსანმან მღვდელმან ორი თავი მათსი და მარკოზისი. ღმერთმან აკურთხენ და იოანე ფრიად ცოდვილმან და დიად უგუნურმან ზოსიმე ორი თავი ლუკასი და იოანესი“ (სინური... 2010:12-13). სინურ ოთხთავებში (Sin.Geo.15, Sin.Geo.30, Sin.Geo.38) ოპიზური რედაქციის ტექსტია დაცული.

2010 წელს სოფიო სარჯველაძემ გამოსცა XI საუკუნის **H-1240 ხელნაწერი** (სარჯველაძე ს., ოთხთავის... 2010). მასში დაცული ტექსტი ყველაზე ახლოს დგას ხანმეტი ოთხთავის ტექსტთან. ამ ხელნაწერის მარკოზის სახარების 14:60-15:47 მუხლებს ადიშური რედაქცია შემოუნახავს. გარდა ამისა, H-1240-ში დასტურდება ზმნის შვიდი ხანმეტი ფორმა, რაც ადასტურებს, რომ გადამწერს ხელთ ეპყრა ხანმეტი დედანი.

2014 წელს ლამარა ქაჯაიამ გამოსცა **საბაწმიდური ოთხთავი** (ქაჯაია ლ., საბაწმიდური... 2014), რომელიც, სავარაუდოდ, V საუკუნეში საბაწმიდაში ითარგმნა. იგი დაცულია H-999-ის პალიმფსესტურ ქვედა ფენაში (ლუკა 18:40-43; 19:1-12). საბაწმიდური ოთხთავის ტექსტი თანხვედბა 897 წლის ადიშის ოთხთავის ხელნაწერს იმ ნაწილში (ლუკა 3:9-15:6 და 17:25-23:2), რომელშიც ადიშური რედაქცია არ არის დაცული. ლამარა ქაჯაიას ვარაუდით, H-999-ის პალიმფსესტურ ქვედა ფენასა (ლუკა 18:40-43; 19:1-12) და ადიშის ოთხთავის მცირე ნაწილში (ლუკა 3:9-15:6 და 17:25 – 23:2) დაცული ტექსტი უნდა წარმოადგენდეს ოთხთავის ძველი ქართული თარგმანის უძველეს „საბაწმიდურ“ რედაქციას, რომელიც „ხანმეტური“ რედაქციის პარალელურად არსებობდა. საბაწმიდური რედაქციის სიძველის დასტურად ლამარა ქაჯაიას მოჰყავს შემდეგი არგუმენტები: არქაული ლექსიკა, კანონზომიერი პუნქტუაცია, ქარაგმების იშვიათი ხმარება, ანბანის ბოლო ასოს Թ-ს გამოყენება „ო“ გრაფემის ნაცვლად და სხვა (ქაჯაია ლ., საბაწმიდური... 2014:11).

2015 წელს ედიშერ ჭელიძის რედაქციით გამოიცა ბიბლია ყველა არსებული რედაქციისა და ნუსხის მიხედვით (ჭელიძე 2015). გამომცემელი წინასიტყვაობაში თავად აღნიშნავს, რომ ეს გამოცემა ნაკლებად არის ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური ნაშრომი, მისი მიზანი საეკლესიო საჭიროებებიდან გამომდინარე ლიტურგიკული და, შესაბამისად, სწავლებითია.

თითქმის 20 წლის წინ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფ. ზურაბ სარჯველაძის ხელმძღვანელობით შეიქმნა მკვლევართა ჯგუფი ელგუჯა გიუნაშვილის, დარეჯან თვალთვადის, მანანა მაჩხანელისა და სოფიო სარჯველაძის შემადგენლობით, რომლის მიზანი იყო ოთხთავის ქართული თარგმანის აკადემიური გამოცემის მომზადება ჩვენამდე მოღწეული ოთხთავის ხელნაწერების (სრულის თუ ფრაგმენტულის) მიხედვით და ლექციონარებში დაცული სახარების

საკითხავების გათვალისწინებით. ამ უკანასკნელთა გარეშე შეუძლებელია სწორი დასკვნების გამოტანა ქართული ოთხთავის ჩამოყალიბების ისტორიის შესახებ.

ახალი აღთქმის შემსწავლელი ჯგუფის მიერ მომზადდა და ელექტრონულად გამოიცა ადიშის ოთხთავის, წინათონური და ათონური რედაქციების ტექსტი⁷ და უახლოეს მომავალში გამოქვეყნდება ორ წიგნად მათესა და მარკოზის სახარებათა ძველი ქართული რედაქციების აკადემიურად დადგენილი ტექსტები, რომლებიც ლექციონართა საკითხავებსაც ითვალისწინებს. 2013-2016 წლებში განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტი „ლუკას სახარების ძველი ქართული თარგმანის აკადემიური გამოცემის მომზადება“, რომლის ფარგლებში მომზადდა ლუკას სახარების აკადემიურად დადგენილი ტექსტი **წინათონური რედაქციის** შემცველი **23** ხელნაწერის მიხედვით (X – ხანმეტი ოთხთავი (VII ს.), C – ადიშის ოთხთავი (მესტია, 897 წ.), A^d – ანბანდიდი (IX ს.), O – ოპიზის ოთხთავი (Ath-83, 913 წ.), A – ქსნის ოთხთავი (A-509, X ს.), D – ჯრუჭის ოთხთავი (H-1660, 936 წ.), E – პარხლის ოთხთავი (A-1453, 973 წ.), R – Sin.-15 (975 წ.), P – Sin.-30 (979 წ.), B – ბერთის ოთხთავი (X ს. ჰარვარდის ბიბლიოთეკა, N4157), T – A-98 (RT I-213), L – ტბეთის ოთხთავი (RT III-21 995 წ.), F – ურბნისის ოთხთავი (XI ს., A28), m – მესტიის ოთხთავი (1033 წ.), G – პალესტინური ოთხთავი (1048 წ., H-1741), I – K-176 (XI ს.), h – H-1240 (XI ს.), v – K-363 (XI ს.), S – Sin-16 (XI ს.), fr-21 – Mat-5633 (X ს.), fr-12 – H-1396, XIII-XIV ს., პალიმფსესტის ზედა ტექსტი, fr-17 – H-1791 (XI ს.), c¹ – Sin-47 (977 წ., სახარებანი საცისკრონი), **გიორგი მთაწმინდლის რედაქციის** შემცველი **15** ხელნაწერის მიხედვით (a – ალავერდის ოთხთავი (A-484, 1054 წ.), α – კალიპოსის ოთხთავი (K-76, 1060 წ.), V – ვატიკანის ოთხთავი (XI ს.), o – Ath. 62 (XI ს.), n – შავი მთის ოთხთავი (A-845, XI ს.), N – Sin.-19 (1074 წ.), Q – Jer.-49 (XI ს.), H – ვანის ოთხთავი, A-1335, XII-XIII სს., I – ეფმიაძინის ოთხთავი, XII-XIII სს., K – გელათის ოთხთავი Q-908, XII-XIII სს., q – Jer.-93, XII ს., f – იენაშის ოთხთავი, ს.ი.ე.მ. მესტია N73, XIII ს., y – Sin.-81, XII-XIII სს., Z – Jer.-103 XIII ს., d – ქურაშის ოთხთავი, XII-XIII სს.) და **ექვსი ლექციონარის საკითხავების მიხედვით** (Lx -

⁷ ob. The Old Georgian Four Gospels: Khanmeti and Adishi Redaction, On the basis of the original manuscripts edited by Sophio Sarjveladze and Darejan Tvaltvadze, Tbilisi 2001-2002; ARMAZI version by Jost Gippert, Frankfurt a/M, 26.3.2002 / 18.10.2002 / 28.10.2007

(<http://titus.uni-frankfurt.de/texte/etca/cauc/ageo/nt/adisnt/adisn.htm>)

The Old Georgian Four Gospels: Preatonian Redaction, on the basis of the original manuscripts, edited by Elguja Giunashvili, Manana Machkaneli, Sofio Sarjveladze, Zurab Sarjveladze and Darejan Tvaltvadze, Tbilisi and Frankfurt a/M. 1999-2002, ARMAZI version by Jost Gippert. Frankfurt a/M, 7.6.2000/26.9.2002. (<http://titus.uni-frankfurt.de/texte/etca/cauc/ageo/nt/cinant/cinan.htm>)

The Old Georgian Four Gospels: Giorgi the Athonite' Redaction (Giorgi the Hagiorite's), on the basis of the original manuscripts, edited by Elguja Giunashvili, Manana Machkaneli, Sofio Sarjveladze, Zurab Sarjveladze and Darejan Tvaltvadze, Tbilisi and Frankfurt a/M. 1999 -2002, ARMAZI version by Jost Gippert. Frankfurt a/M, 7.6.2000/26.9.20 (<http://titus.uni-frankfurt.de/texte/etca/cauc/ageo/nt/giorn/giorn.htm>)

გრაცის VII საუკუნის ხანმეტი ლექციონარი, Lv - ვენის VII-VIII სს. საუკუნის ხანმეტი ლექციონარი (პალიმფსესტი), Ll - ლატალის X საუკუნის ლექციონარი, Lk - კალის X საუკუნის ლექციონარი, Ls - სინას X საუკუნის ლექციონარი, Lp - პარიზის XI საუკუნის ლექციონარი). საბოლოო პროდუქტი, ლუკას სახარების ძველი ქართული თარგმანის უძველესი სრული თუ ფრაგმენტული ხელნაწერების მიხედვით მომზადებული აკადემიური ტექსტი, განთავსებულია ელექტრონულ მისამართზე: <http://ogg.tsu.ge/>

2018 წლიდან დაიწყო შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „იოანეს სახარების ძველი ქართული თარგმანის აკადემიური გამოცემის მომზადება“ განხორციელება, რომლის ფარგლებში 2021 წლისათვის მომზადდება იოანეს სახარების აკადემიურად დადგენილი ტექსტი და იგი იმავე მისამართზე - <http://ogg.tsu.ge/>-ზე - განთავსდება.

ოთხთავის ქართული თარგმანის ზემოთ მოცემული გამოცემების განხილვის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩვენამდე მოღწეული ოთხთავის ტექსტის შემცველი 300-მდე ხელნაწერიდან უმეტესი ნაწილი ჯერ კიდევ გამოწვლილვით შესწავლასა და გამოცემას მოითხოვს.

II თავი

სახარების XI საუკუნის ქართული ხელნაწერების პალეოგრაფიულ-კოდიკოლოგიური ანალიზი

ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ოთხთავის ქართული თარგმანის XI საუკუნის იმ ხელნაწერთა შესწავლა, რომლებიც გიორგი მთაწმინდლის რედაქტორული მუშაობის პროცესს ასახავენ. ამიტომ, პირველ რიგში, თავი მოვუყარეთ იმ ნუსხებს, რომელნიც გიორგი მთაწმინდლის (1009-1065) მოღვაწეობის ადგილებთან – შავ მთასთან, ათონის ივერთა მონასტერთან, არიან დაკავშირებულნი. აგრეთვე, შევისწავლეთ XI საუკუნის ოთხთავის ქართული თარგმანის შემცველი სხვა ხელნაწერებიც.

იმისათვის, რომ ქრონოლოგიურად წარმოვიდგინოთ, თუ რა პერიოდში უწევდა გიორგი მთაწმინდელს ათონზე ან შავ მთაზე მოღვაწეობა, მისი ცხოვრებიდან აღვადგენთ ამ სურათს. გიორგი მცირის „გიორგი მთაწმინდლის ცხოვრებიდან“ (მკელი... 1967) ვიცით, რომ იგი 25 წლისა აღკვეცეს ბერად. ამის შემდეგ, დაახ. 1035-36 წლებში, იგი მიდის შავ მთაზე და მკვიდრდება რომანწმიდას მონასტერში გიორგი შეყენებულთან, სადაც 3 წელს დაჰყოფს. როგორც გიორგი მცირე გვიაშობს, სწორედ აქ შესრულდა გიორგი მთაწმინდელი 30 წლისა (1039 წელი). გიორგი შეყენებულის ხელით ეკურთხა იგი სქიმ-მონაზვნად. ამის შემდგომ გიორგი მთაწმინდელი მიდის წმინდა ადგილების მოსალოცად იერუსალიმში და ისევ შავ მთაზე ბრუნდება თავის მოძღვართან, გიორგი შეყენებულთან.

დაახ. 1041-42 წლებში გიორგი მთაწმინდელი შავი მთიდან ათონზე გადადის, სადაც თავდაპირველად 7 წელი მორჩილად მსახურობს. ათონზე იღებს იგი მღვდლობის პატივს და იწყებს მთარგმნელობით საქმიანობას.⁸ თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ, გიორგი შეყენებულის რჩევითა და კურთხევით, იგი ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვარი ხდება.

დაახ. 1052 წლის შემდგომ გიორგი მთაწმინდელი ტოვებს ათონს და ბრუნდება შავ მთაზე. ამ პერიოდიდან იწყებს იგი ნაყოფიერ მთარგმნელობით საქმიანობას. როგორც გიორგი მცირე აფასებს, „*ეგევითარი თარგმანი, თჳნიერ წმიდისა მამისა ჩუენისა*

⁸ ამ პერიოდში გიორგი მთაწმინდელმა თარგმნა: 1. სვინაქსარი, მისი განსაკუთრებული საჭიროების გამო, 2. გამოკრებილი საწელიწდო სახარება, 3. გამოკრებილი საწელიწდო პავლენი, 4. საწელიწდო საწინასწარმეტყველო, 5. დიდნი კურთხევანი, 6. დაბადების თარგმანება, 7. პავლენი და 8. კათოლიკე ეპისტოლეები.

ეფთჳმესსა, სხუა არა გამოჩენილა ენასა ჩუენსა და, ვჰგონებ თუ, არცა გამოჩინებად არს!“ (ძველი... 1967:145) ამჟერად გიორგი მთაწმინდელი, ძირითადად, ორ მონასტერში – სვიმეონწმიდასა და კალიპოსში, მოღვაწეობს. შავ მთაზე მის ყოფნას ემთხვევა 1054 წლის ალავერდის ოთხთავისა და 1060 წლის კალიპოსის ოთხთავის გადაწერის თარიღი. ამიტომაც განვიხილავთ XI საუკუნის შავ მთაზე გადაწერილ ხელნაწერებს პალეოგრაფიულ-კოდიკოლოგიური თვალსაზრისით. თუმცა თავდაპირველად ათონის ქართულ კოლექციაში დაცული ოთხთავების ანალიზით დავიწყებთ. ამ კოლექციის ოთხთავები ყველა XI საუკუნისა არ არის, ზოგი უფრო ადრეა გადაწერილი, ზოგიც გვიანდელია. მიუხედავად ამისა, ვინაიდან აქამდე ისინი სისტემურად არ შესწავლილა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია თითოელი მათგანის განხილვა.

ოთხთავის ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებიდან ვიცით, რომ გიორგი ათონელის მიერ რედაქტირებული დედანი პირი მთაწმინდას ინახებოდა. ვანის სახარების (XII-XIII სს. A-1335) გადამწერი, იოანე, წერს: *„საყუარელხო, ჯერ-არს, რადთა წმიდისა ამის სახარებისა ვითარობაჲ განემარტოს სიწმიდეს(ა) თქუენსა, და არა თვთ-მჯულოობით ჰგონოთ შეცვლაჲ სიტყუათაჲ წმიდისა ამის სახარებისა ანუ ანდერძისათაჲ. არამედ ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რამეთუ ყოველნივე ქართულნი, მთაწმიდით აღწერილნი და გამოსრულნი, ღირსისა მამისა გიორგის თარგმნილი საეკლესიოჲსა სახარებისაგან, რომელ მთაწმიდელნი იჰმარებენ, აღწერილნი. და არა მისგან, რომელი თვთ გიორგი თარგმნა და ნუსხად მდებარე იყო დიდსა წიგნის-საცავსა, არამედ მისგან გარდაწერილისგან. და მას ნუსხასა თანა ფრიადი ნაკლულევანებაჲ აქუს, და ვჰგონებ, რომელ თვთ-სჯულებით ვიეთმე ეკადროს მას შინა შეცვლაჲ სიტყუათაჲ, გინა ანდერძისაჲ, ვიდრე მწერლისაგან განრყუნად. ხოლო ჩუენთა ამათ შინა ჟამთა დიდი მოღუაწეთა შორის ბერი ზაქარია, მი-რად-ვიდა მთასა წმიდასა, ძიება-ყო გიორგის მიერ აღწერილისა წმიდისა მის სახარებისათჳს და პოა დიდსა წიგნის-საცავსა შინა და აღივსო სიხარულითა, და მიერ გარდმოეწერა შატბერდელსა ხუცესსა სტეფანეს. და აღმო-რად-ვიდა რომანას, მე კელ-ვეავ, ცოდვილმან იოვანე, აღწერად, რამეთუ ადრითდან სწყუროდა სულსა ჩემსა მოგებად წმიდისა სახარებისა.*

აწ ვინცა სწერდეთ, ვითა აქა ჰპოოთ, ეგრე დაწერეთ წენტლიითა და პატივთა ზედა მეორითა სიტყუთა, რამეთუ ანდერძი, ვითა აქა სწერია, ესრე პოვნილ არს ნუსხასა“ (A-1335, 266v) (იმნაიშვილი ი., ქართული... 1979:58).

ამ კოლოფონის ცნობის გათვალისწინებით, რომ გიორგი ათონელის მიერ რედაქტირებული დედანი პირი მთაწმინდას ინახებოდა, ათონური კოლექციის ოთხთავთა შესწავლა ძალიან მნიშვნელოვან საქმედ მიგვაჩნია.

§1. ათონის ქართველთა სავანე და ქართული კოლექციის ოთხთავის ხელნაწერები

ათონის ქართველთა სავანე, ივირონის მონასტერი, ქალკედონის ნახევარკუნძულზე მდებარეობს (საბერძნეთი). X საუკუნის ბოლოს, კერძოდ, 980-983 წლებში (კეკელიძე 1980:98), ქართველებმა ათონის მთაზე ააგეს იგი. მონასტრის დაარსების ისტორია დაწვრილებით მოთხრობილია გიორგი მთაწმინდლის თხზულებაში „*ცხოვრება იოვანესი და ეფთჳმესი*“ (ძველი... 1967). ამ ისტორიას მრავალი გამოჩენილი ქართველი მეცნიერი შეხებია: **ივანე ჯავახიშვილი** (ჯავახიშვილი, 1928:30-38; ჯავახიშვილი 1945:135-144, 145-151; ჯავახიშვილი 1977:142-157, 447-448; ჯავახიშვილი 1983:5-23), **კორნელი კეკელიძე** (კეკელიძე 1980:98-101; კეკელიძე 1945:218-236; კეკელიძე 1983:24-45; კეკელიძე 1955:69-86; კეკელიძე 1987:111-125, 157-159), **ლევან მენაბდე** (მენაბდე 1980:185-247; მენაბდე 1975:229; მენაბდე 1982; მენაბდე 1983:175-196; მენაბდე 2003:518-535), **ელენე მეტრეველი** (მეტრეველი 1996; მეტრეველი 1998; მეტრეველი 1982; მეტრეველი 2007:31-41), **ივანე ლოლაშვილი** (ლოლაშვილი 1975:229; ლოლაშვილი 1982), **ელგუჯა ხინთიბიძე** (ხინთიბიძე 1982; ხინთიბიძე 1983:288-313; ხინთიბიძე 2003:539-552), **რევაზ სირაძე** (სირაძე 1983:197-218), **კორნელი დანელია** (დანელია 1983:209-295), ამიტომ ჩვენ მას აქ აღარ გავიმეორებთ.

ქართველ მეცნიერთა ინტერესის საგანს ყოველთვის წარმოადგენდა საზღვარგარეთის ქართული კულტურის კერებში დაცული ხელნაწერები. ამ კუთხით გამონაკლისს არც ათონის ივერთა მონასტერი წარმოადგენს. სხვადასხვა დროს ქართულ სიძველეთა აღნუსხვის მიზნით ათონის მთაზე იმყოფებოდნენ ქართველი მოღვაწეები. მათ არქივებში სხვა სიძველეებთან ერთად გვხვდება ცნობები ქართული ხელნაწერების შესახებაც.

XVIII საუკუნის 50-იან წლებში ათონზე **ტიმოთე გაბაშვილი** ჩავიდა (1755-58 წლებში იგი სამჯერ იყო ათონზე) (გაბაშვილი 1956:032-034, 036). მას აინტერესებდა როგორც ათონზე მდებარე მონასტრების ისტორია, ტაძართა და სხვა ნაგებობათა არქიტექტურა, წარწერები და ფრესკები, ქართველ მეფე-დიდებულთა შეწირულობანი, დოკუმენტები და სააღაპე წიგნები, ასევე, წიგნსაცავები და იქ დაცული ქართული ხელნაწერები. XVIII საუკუნის 80-იან წლებში ათონზე იმყოფებოდა **იონა გედევანიშვილი**, სადაც იგი ინტერესით გასცნობია „*მამათაგან თარგმნილ წიგნებს*“ (გედევანიშვილი 1852:34). 1812 წელს ათონზე მივიდა მღვდელმონაზონი **ლავრენტი გოგელაძე**. იგი გაეცნო ქართულ სიძველეებს, თუმცა რაიმე მნიშვნელოვანი ცნობა იქ დაცული ქართული ხელნაწერების შესახებ მას არ მოუცია (მენაბდე 1980:236). XIX საუკუნის 30-იან წლებში ათონის ქართველთა სავანეში მოღვაწეობდა **ილარიონ ხუცესი (ყანჩიშვილი)**. მას ეკუთვნის ივერონის მონასტრის წიგნსაცავში დაცული ხელნაწერების

პირველი კატალოგი („ქართული წიგნების სახელები ივერიის მონასტერსა შინა მდებარეთა მთაწმიდას“),⁹ რომელიც 1836 წელს შეუდგენია დავით დადიანისა და ქართველი სამღვდელოების თხოვნით (Цагарели 1886:XVIII). რასაკვირველია, ეს კატალოგი სრულყოფილი არ არის, მაგრამ თავისთავად დიდი მნიშვნელობის მატარებელია, რადგანაც წარმოადგენს ათონზე დაცული ქართული ხელნაწერების სისტემატიზაციის პირველ ცდას. ათონზე დაცული რამდენიმე ქართული ხელნაწერი აღუწერია ლონდონის ბიბლიოლოგიური საზაგადოების წევრს, პიკერტონს (შ. ხანთაძე, 1968:148). 1849 წელს ათონზე ჩავიდა პლატონ იოსელიანი. მას იქ 85 ქართული ხელნაწერი დახვედრია, რომელთაგან 39-ის მოკლე აღწერილობა შეუდგენია (S-3061). მან საქართველოში დროებით ჩამოიტანა ოშკის, იგივე ათონის ბიბლია (Ath.1) და მისი ორი პირი გააკეთებინა. ეს პირები დღეს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება (A-471 და S-422).

ათონის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის პირველი სისტემური კატალოგის ავტორი ალექსანდრე ცაგარელია. მისი აღწერილობა 1886 წელს გამოიცა (Цагарели 1886). იგი ამ აღწერილობაში თავადვე ამბობს, რომ მის კატალოგს სისრულის პრეტენზია არ აქვს, რადგან ბერძნებმა რიგი ხელნაწერებისა არ აჩვენეს (Цагарели 1886:XXIII). 1888 წელს ათონზე იმყოფებოდა დიმიტრი ბაქრაძე. იგი გაეცნო ქართულ ხელნაწერებს, გადმოიწერა მათზე დართული ანდერძ-მინაწერები და 1889 წელს გამოსცა შენიშვნებთან ერთად (ბაქრაძე, 1889:224, 228, 232, 240-245, 248-263). მის შემდგომ, 1898 წელს, ათონზე იმყოფებოდა ნიკო მარი. იგი, ძირითადად, ალ. ცაგარლის კატალოგით ხელმძღვანელობდა, რომლის არაერთი შეცდომაც გაასწორა (ათონური კოლექცია 1986:7). ვრცლად აღწერა ხუთი¹⁰ ხელნაწერი (Март 1900). ამ აღწერილობას პირველი დამატების სახით ერთვის ალ. ცაგარლის აღწერილობაში შეტანილი ცვლილებები (დამატება I, გვ. 79-85), ხოლო მეორე დამატების სახით - ცნობები იმ ხელნაწერების შესახებ, რომლებიც ალ. ცაგარელს ნანახი არ ჰქონდა (დამატება II, გვ. 85-87). ნიკო მარმა აგრეთვე გადმოიწერა მისთვის საინტერესო ტექსტები შემდგომ გამოქვეყნების მიზნით (ათონური კოლექცია 1986:7).

⁹ H-2788, S-3677, პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერები E48, E49; Цагарели А.А., Сведения о памятниках Грузинской писменности, выпускъ I, Санктпетербургъ, 1886, ст. 1-16 (დამატება); კატალოგი ფრანგულად თარგმნა მარი ბროსემ, ხოლო გამოაქვეყნა ვ. ლანგუამ: Inventaire détaillé des manuscrits géorgiens du monastère d'Ivéron, au mont Athos, redigé en 1836 par père Hilarion, confesseur de Solomon II, denier roi d'Iméreth, á la demande de l'archim. Seraphin et traduit du géorgien par M. Brosset. Journal Asiatique, 1867, t. IX. P. 331-351.

¹⁰ ლევან მენამდეს მოყვანილი აქვს ნიკო მარის მიერ აღწერილი ამ ხუთი ხელნაწერის შესაბამისი ნომრები ცაგარლისა და ბლეიკის აღწერილობის მიხედვით: მართი 1 – ცაგარლით 50, ბლეიკით 17; მართი 2 – ცაგარლით 51, ბლეიკით 12; მართი 3 – ცაგარლით 55, ბლეიკით 84; მართი 4 – ცაგარლით 57, ბლეიკით 8; მართი 5 – ცაგარლით 73 (მენაბდე 1980:242).

1932 წელს ათონური კოლექცია აღწერა ამერიკელმა ქართველოლოგმა, რობერტ ბლეიკმა (Blake 1932), მან ხელნაწერებს ახალი ნუმერაცია მიანიჭა. ეს აღწერილობა ბევრად სრულია. მასში გასწორებულია ალ. ცაგარლის მიერ დაშვებული უზუსტობანი და გათვალისწინებულია ნიკო მარის შენიშვნები. რობერტ ბლეიკს მის მიერ აღწერილი ხელნაწერის დასასრულს აღნიშნული აქვს იმავე ხელნაწერისათვის ალ. ცაგარლის მიერ მინიჭებული ნომერი. მან 19 ხელნაწერს ვერ მოუძებნა ასეთი შესატყვისი (მენაბდე 1980:245).

ალექსანდრე ცაგარლისა და რობერტ ბლეიკის ათონურ ხელნაწერთა აღწერილობები დღემდე სამაგიდო წიგნად რჩება ამ კოლექციით დაინტერესებულ მეცნიერთათვის. გარდა ამისა, მათ მიერ საუკუნის წინ გაკეთებული აღწერილობა ძალიან მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ მკვლევრებს ხელნაწერები უშუალოდ ჰქონდათ ნანახი, რისი შესაძლებლობაც, სამწუხაროდ, ჩვენ არ გვქონია. ჩვენი ამჟამინდელი კვლევა ეფუძნება მხოლოდ ფოტოპირებს.

ათონის კოლექციაში სულ 86 ქართული ხელნაწერია. წლების განმავლობაში ქართველ სპეციალისტებს ხელი მიუწვდებოდათ ათონში დაცულ მხოლოდ რამდენიმე¹¹ ხელნაწერზე. მათ შორის იყო: ათონის ბიბლია; ოპიზის სახარება 913 წლისა, რომელიც 1898 წელს ათონის მთაზე სამეცნიერო ექსპედიციის დროს იპოვა ნ. მარმა¹². ოპიზის სახარების მათესა და მარკოზის თავები 1909-11 წლებში გამოსცა ვლადიმერ ბენეშევიჩმა ტბეთის ოთხთავთან (995 წლის) ერთად. ოთხი ათონური ხელნაწერი (ასკეტიკონი 1047 წლისა – A-1101; გრიგოლ, ჰრომთა პაპი, დიალოღონი და სხვ. XI ს – A-1103; აგიოგრაფიულ-ასკეტიკური კრებული XI ს – A-1104; მამათა ცხოვრება (პატერიკი) XI ს. – A-1105) ილია ფანცულაიამ¹³ ჩამოიტანა საქართველოში, ზოგიერთისა კი პირი გაუკეთებია (არქ. ხელნ. 176 – ანდრია კრიტელის თხზულება, A-1054 – ბასილი კესარიელი, ფსალმუნთა თარგმანება 1906 წ.; A-1142 – ასკეტიკური კრებული 1915 წლის, გადაწერილი 977 წლის დედნიდან, A-1144 – გიორგი ალექსანდრიის პატრიარქი, იოანე ოქროპირის ცხოვრება, 1915 წლის). ორი ხელნაწერი – A-1140 და A-1141 – არის ილია ფანცულაიას მიერ შედგენილი ათონის ივერთა მონასტრის ქართულ ხელნაწერთა კატალოგი, რომლებშიც 15-მდე ხელნაწერია აღწერილი.

¹¹ ზურაბ სარჯველაძე და კორნელი დანელია „ქართულ პალეოგრაფიაში“ წერენ, რომ ქართველ მეცნიერებს 12 ხელნაწერზე მიუწვდებოდათ ხელი, თბ., 1997, გვ. 166.

¹² პოვნას იმიტომ ვამბობთ, რომ ნ. მარი, ძირითადად, ალ. ცაგარლის კატალოგით ხელმძღვანელობდა, ალ. ცაგარელს კი ოპიზის ოთხთავი ნანახი არ ჰქონდა და, შესაბამისად, არ აღუწერია იგი.

¹³ ილია სიმონის ძე ფანცულაია (ათონელი) (გარდ. XX ს-ის 30-იან წ.) – საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირი, მღვდელმონაზონი. საქართველოში მოღვაწეობამდე იგი წლების განმავლობაში ათონის მთაზე, ივერონის მონასტრის ტერიტორიაზე მდებარე ელია წინასწარმეტყველის კელიაში ცხოვრობდა. 1920 წელს სხვა ქართველ ბერებთან ერთად მასაც მოუხდა ათონიდან სამშობლოში დაბრუნება.

1952-53 წლებში საერთაშორისო პროექტის „ბერძნული ახალი აღთქმა“ ფარგლებში ამერიკელმა ე.უ. სინდერზმა ათონის მთაზე დაცულ ბერძნულ, სომხურ, არაბულ და სირიულ ხელნაწერთან ერთად გადაიღო 4 ძველი ქართული ხელნაწერი (N42, 62, 78, 83). ამ ხელნაწერების მიკროფირები ამჟამად ვაშინგტონში, კონგრესის ბიბლიოთეკაში, ინახება ნომრით 5042 (A Descriptive... 1957). ახლახანს ბიბლიოთეკამ ამ ოთხი ხელნაწერის დასკანერებული ციფრული ვერსიებიც გამოაქვეყნა ბმულზე: <https://www.loc.gov/search/?in=&q=athos+Georgian&new=true>

ქართველ მეცნიერებს მხოლოდ მას შემდეგ მიეცათ ათონზე დაცული ქართული ხელნაწერების სრული კოლექციის შესწავლის საშუალება, რაც 1982 წელს კინორეჟისორმა გურამ პატარაიამ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერთანამშრომელმა ავთანდილ მიქაბერიძემ მოახერხეს ათონის ივერთა მონასტერში დაცული ყველა ქართული ხელნაწერის გადაღება (ათონური კოლექცია 1986:9) და მიკროფირთა საქართველოში ჩამოტანა. ამ ფოტოპირების საფუძველზე კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა მოამზადა და გამოსცა ათონური კოლექციის რამდენიმე ხელნაწერის აღწერილობა (ათონური კოლექცია 1986). პირველ ტომში, ძირითადად, ლიტურგიკული ხასიათის ხელნაწერები შევიდა. ივანე ლოლაშვილმა გამოსცა წიგნი „ათონურ ქართულ ხელნაწერთა სიახლენი“ (ლოლაშვილი 1982). ამჟამად, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი ამზადებს ათონის ქართული კოლექციის სრულ კატალოგს, ხოლო საერთაშორისო სამეცნიერო პროექტის „ქართული პალიმფსესტური ხელნაწერების“¹⁴ ფარგლებში გერმანელი ქართველოლოგის, იოსტ გიპერტის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს ათონის ქართული ხელნაწერების დიგიტალიზაცია.

ათონის ქართული კოლექციის ხელნაწერთაგან ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ოთხთავის ხელნაწერები, რომელებიც სისტემურად აქამდე არ შესწავლილა. 86 ხელნაწერიდან ექვსში ოთხთავის ქართული თარგმანის ტექსტია დაცული. ესენია: Ath.15; Ath.53; Ath.62; Ath.67; Ath.75; Ath.83.¹⁵ ისინი აღწერილი აქვს ალ. ცაგარელსაც და რ. ბლეიკსაც. მხოლოდ ერთი წარმოდგენს გამონაკლისს, Ath. 83, ე.წ. ოპიზის ოთხთავი, რომელიც ალ. ცაგარელს არ უნახავს და, შესაბამისად, არ აღუწერია. ექვსივე ხელნაწერი საინტერესოა პალეოგრაფიული თვალსაზრისით, რამდენადაც კალიგრაფიის, სტილის მიხედვით განსხვავებულ სურათს აჩვენებენ. ასევე, ოთხთავის ეს ხელნაწერები საინტერესოა ტექსტოლოგიური თვალსაზრისითაც, რადგან მათში სახარების ქართული თარგმანის სხვადასხვა ტიპის ტექსტია დაცული. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ოპიზის ოთხთავის გარდა (913 წელი), არც ერთი მათგანის გადაწერის

¹⁴ პროექტის ნომერი: Az. 84 408-1; <https://www.volkswagenstiftung.de/>

¹⁵ ხელნაწერთა ნომრები მითითებულია რობერტ ბლეიკის აღწერილობის მიხედვით (Blake 1932).

თარიღი კოლოფონებში მოცემული არ არის. ისინი ალექსანდრე ცაგარელმა და რობერტ ბლეიკმა პალეოგრაფიული კრიტერიუმების საფუძველზე სხვადასხვა დროით დაათარიღეს.

Ath. 62-ის პალეოგრაფიულ-კოდიკოლოგიური აღწერილობა

ათონის ქართულ კოლექციაში დაცულ ოთხთავთა შორის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია XI საუკუნით დათარიღებული 62-ე ნომრად აღნუსხული ხელნაწერი, ვინაიდან მას კარგად ატყვია რედაქტორული მუშაობის კვალი. რედაქტორი ასწორებს ძირითად ტექსტს, შლის ან ამატებს მასში სხვა რედაქციის წაკითხვებს. სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში მიზნად დავისახეთ ქვედა ფენის ტექსტის აღდგენა და ქვედა და ზედა ფენის რედაქციული კუთვნილების დადგენა.

ამ ხელნაწერით ჯერ კიდევ მაგისტრატურაში სწავლის პერიოდში დავინტერესდით. სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში განხორციელებული კვლევა ეფუძნებოდა მათეს სახარების ტექსტოლოგიურ ანალიზს. ბუნებრივია, მხოლოდ ერთი სახარების ტექსტის ანალიზის საფუძველზე ვერ მივიღებდით ამ ხელნაწერის რედაქტირების პროცესის ამსახველ სრულ სურათს. სადისერტაციო ნაშრომში შევისწავლეთ ოთხივე სახარების ტექსტი.

Ath.62 აღწერილი აქვს როგორც ალექსანდრე ცაგარელს (ალ. ცაგარლით N4) (Цагарели 1886), ასევე, რობერტ ბლეიკს (Blake 1932). იგი მეცნიერებაში ცნობილია სახარების ოშკური ხელნაწერის სახელწოდებით. საინტერესოა, საიდან და რატომ მიიღო Ath.62-მა ეს სახელწოდება. თუკი იგი ოშკში, ტაო-კლარჯეთში მდებარე მონასტერშია გადაწერილი, როგორ და როდის მოხვდა ათონის ივერთა მონასტერში? მეოცე საუკუნის დასაწყისში ზოგიერთ ქართველ მკვლევარს ოშკი ათონზე ეგულებოდა. ალექსანდრე ცაგარელი რამდენიმე ხელნაწერის აღწერილობაში პირდაპირ უთითებს, რომ ოშკის მონასტერი ათონზე მდებარეობს. მაგალითად, საყოველთაოდ ცნობილი ოშკის ბიბლია, რომელიც 978 წელსაა გადაწერილი, მისი აზრით, ათონის მთაზე, ოშკის მონასტერში, იოანე ნათლისმცემლის ლავრაში შექმნილა, სანამ ივერიის მონასტერი აშენდებოდა (Цагарели 1886:72). 69-ე ნომრად აღნუსხული ხელნაწერის, „სამოთხის“, ანუ იოანე ოქროპირის ქადაგებანის (რ. ბლეიკით #9, მისი პირი A-1142), შესახებ მსჯელობისას კი აღნიშნავს, რომ ეს ხელნაწერი გადაიწერა 977 წელს ათონზე ქართულ ლავრაში, ოშკში (ხელნაწერის ანდერძი: „დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი დიდებულსა ლავრასა ოშკს, საყოფელსა წმიდისა ნათლისმცემლისასა, მამობასა საბაძსა, ხელითა სტეფანე დეკანოზისათა და მისივე ხელითა შეიმოსა. ქორონიკონი იყო რ~ჟზ (977 წ.)“, (Цагарели 1886:89). იმავეს იმეორებს დიმიტრი ბაქრაძეც (ბაქრაძე 1889:243) და დასძენს, რომ ოშკის

ლავრას ახლაც ქართველები ფლობენო. ხოლო ჭოროხის ხეობაში, თორთუმის ხეობის მახლობლად აგებული ეოშქის მონასტრის შესახებ მსჯელობისას ამბობს, რომ მას სახელი ათონის მთაზე არსებული მონასტრის ანალოგიით ეწოდაო (ბაქრაძე 1889:223). ვიცით, რომ ზოგიერთი ათონური ხელნაწერი (A-1101, A-1103, A-1104, A-1105) ილია ფანცულაიამ ჩამოიტანა საქართველოში, ზოგიერთისა კი პირი გაუკეთებია (A-1054, A-1140, A-1141, A-1142, A-1144). ალ. ცაგარლით 52-ე, ხოლო რ. ბლეიკით მე-3 ნომრით (გიორგი ალექსანდრიელი, ცხოვრება იოვანე ოქროპირისა) აღნუსხული ხელნაწერის (A-1144) აღწერილობაში ილია ფანცულაია ასეთ კომენტარს აკეთებს: „*ოშქი ბატონი ცაგარლის სიტყვით, ისევ ივერიის მონასტერი არისო და ბერძნულად ახლაც ოშქს უძახიანო, მე ფრიად ვეცადე ეს გამეგო, მაგრამ ბერძნულში ასეთი სიტყვა არ არის და შეიძლება ბერძნული სკია ქართულად ოშქად დაწერეს, რომელიც ჩრდილსა ქვიან*“ (ქართულ... 1954:190). ოშქის მონასტრის არსებობა დიდი ხნის განმავლობაში უცნობი იყო ქართული სინამდვილისთვის XVI საუკუნის მიწურულს სამხრეთ საქართველოს თურქეთის მიერ მიტაცების გამო (საქართველოს... 2012:194). მხოლოდ ერთგან, XVI საუკუნის დასაწყისის საბუთში, „კათალიკოსის სამწყსონი თავადნი და სოფელნი სამცხე-საათაბაგოში“, აღნიშნულია, რომ „*მონასტერი ოშქი, მისთა შესავლითა*“ საკათალიკოსო სამწყსოა (ქართული...1970ბ:244). ოშქის მონასტერს არც ქართველი გეოგრაფი და ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი იცნობდა (თაყაიშვილი 1960:46). ამ სავანისა და, ზოგადად, ტაო-კლარჯეთში არსებული ქართული კულტურის ძეგლები მეოცე საუკუნის დასაწყისში მეცნიერულად შეისწავლა ექვთიმე თაყაიშვილმა (თაყაიშვილი 1960). უახლესი გამოკვლევა ოშქის შესახებ კი ეკუთვნის ვალერი სილოგავას (სილოგავა 2006). მეცნიერები, სავარაუდოდ, შეცდომაში შეიყვანა იმ ფაქტმა, რომ ათონზე აღმოჩენილ ზოგიერთ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში ეწერა მათი გადაწერის ადგილი, ოშქი, და მოხსენიებულნი იყვნენ ათონზე მოღვაწე პირები. მაგალითად, სამი ხელნაწერის, ოშქის ბიბლია (ალ. ცაგარლით #1, რ. ბლეიკით #1), „სამოთხე“ – ასკეტურ-ჰომილეტიკური კრებული (ალ. ცაგარლით #69, ხოლო რ. ბლეიკით #9) და გიორგი ალექსანდრიელის „ცხოვრება იოვანე ოქროპირისა“ (ალ. ცაგარლით #52 ნომრად, ხოლო რ. ბლეიკით #3) მომგებელნი, როგორც ანდერძებიდან ირკვევა, ცნობილი ათონელი მოღვაწეები, იოანე-თორნიკე და იოანე-ვარაზვაჩე, იყვნენ.

Ath.62-ს პირობითად ლათინური **o** ლიტერით აღნიშნავენ მისი წარმომავლობის მიხედვით. ამავე ლიტერით აღნიშნავს Ath.62-ს ოთხთავის ქართული თარგმანის აკადემიური გამოცემის მომზადებაზე მომუშავე ჯგუფიც. Ath. 62-ის ფოტოპირი და მიკროფირი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული. როგორც აღვნიშნეთ, 1952-53 წლებში გადაღებული ფირის დასკანერებული ციფრული ვერსია ახლახანს გამოქვეყნდა ვაშინგტონის კონგრესის ბიბლიოთეკის ვებგვერდზეც

(<https://www.loc.gov/item/00271050331-ma/>). ვინაიდან რობერტ ბლეიკსა და ალ. ცაგარელს Ath. 62 უშუალოდ ჰქონდათ ნანახი, მათი აღწერილობების თარგმანებს უცვლელად მოვიტანთ. აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის დასასრულს მოგვისწრო გერმანელი ქართველოლოგის, იოსტ გიპერტის, მიერ საერთაშორისო სამეცნიერო პროექტის „ქართული პალიმფსესტური ხელნაწერების (პროექტის ნომერი: Az. 84 408-1)“ ფარგლებში ათონის ქართული ხელნაწერების გადაღებულმა ფერადმა ფოტოებმა, მათ შორის, Ath. 62-ის ფოტოებმაც. ფერად ფოტოებზე ჩვენი დაკვირვების შედეგებს ქვემოთ განვიხილავთ.

ცაგარლის აღწერილობის მიხედვით, ხელნაწერი ოთხთავის ზომებია 11 ½ სიგრძე, 8 სიგანე, 315 ფურცელი, ეტრათი. მწყობრი, წვრილი, ულამაზო, მაგრამ მკაფიო ნაწერი. დასაწყის 6 ფურცელზე განთავსებული ქართული ტრადიციით გამშვენებული კამარების ქვეშ დაწერილი კითხვის ადრეული ტაბულები. ხელნაწერის ბოლოში მინაწერში ვკითხულობთ, რომ ეს ოთხთავი თარგმნა (ბერძნულიდან) გიორგი მთაწმინდელმა. ცაგარელი ფიქრობს, რომ მანვე გადაწერა ეს ეგზემპლარი XI საუკუნეში. აღმწერს აგრეთვე გადმოწერილი აქვს ანდერძის ფრაგმენტი: „გიორგისთვის, რომელ ვთარგმნე, ლოცვა ჰყავთ“.

რობერტ ბლეიკის აღწერილობის მიხედვით, Ath. 62 შეიცავს სახარების გიორგი მთაწმინდლის რედაქციის ტექსტს, დაწერილია XI საუკუნის მონაცრისფრო-მოთეთრო, სქელ და უკვე გაყვითლებულ ეტრატზე. ხელნაწერი არ არის დათარიღებული. სავარაუდოდ, მისი შექმნის ადგილი ათონია. საწერად გამოყენებულია ცუდი ხარისხის მოყავისფრო მელანი. მანუსკრიპტის პირველ ოთხ ფურცელზე კამარებში კოლონებად წერია ევსებიოსის კანონები და ეპისტოლე ევსებიოს კარპიანეს მიმართ. კამარები დაბალი ხარისხის ფერადი საღებავებითაა შესრულებული (აგურისფერი, ნარინჯისფერი, ლურჯი, იისფერი). ნაწერია საშუალო სიდიდის მარჯვნივ დახრილი ნუსხური ასოებით, ორ სვეტად, სტრიქონების რაოდენობა – 19, ფურცლის ზომა – 204×160, სვეტის ზომა – 132×98, კოლონებს შორის მანძილი – 11 მმ, მანუსკრიპტი შეიცავს 315 ფურცელს, ჩასმულია იასამნისფერ ტყავადაკრულ ყდაში, ბოლო ფურცელი მოხეულია, ორნამენტები არ აქვს. რობერტ ბლეიკი ვარაუდობს, რომ ხელნაწერში დაცულია ტექსტი, რომელიც გიორგი მთაწმინდელმა გაასწორა ბერძნულის მიხედვით, რათა შეექმნა სახარების თავისი ვერსია. მისი აზრით, შესაძლოა, ეს ყოფილიყო სახარების წმ. ექვთიმეს მიერ რედაქტირებული ტექსტი. ხელნაწერი შეიცავს: 1v - 6r - ევსებიოსის კანონები, 6v-8v - მათეს სახარების თავთა საძიებელი; 9r-100v - მათეს სახარება; 101r - სუფთა ფურცელი; 101v-102v - მარკოზის სახარების თავთა საძიებელი; 103r-155v - მარკოზის სახარება; 156r-159r - ლუკას სახარების თავთა


საძიებელი; 159v-249v - ლუკას სახარება; 249v-251r - იოანეს სახარების თავთა საძიებელი; 250v - სუფთა ფურცელი; 252r-315v - იოანეს სახარება.

როგორც აღწერილობებში აღინიშნა, ხელნაწერს არ უზის გადაწერის თარიღი. რ. ბლეიკიცა და ალ. ცაგარელიც მას XI საუკუნით ათარიღებენ. მანუსკრიპტს არ ახლავს არც გადაწერის ანდერძი. შესაბამისად, არ ვიცით მისი გადაწერისა თუ მომგებლის ვინაობა. რაც შეეხება რობერტ ბლეიკის ვარაუდს, რომ ხელნაწერში დაცული ტექსტი (სავარაუდოდ, ექვთიმეს მიერ რედაქტირებული) გიორგი მთაწმინდელმა გაასწორა ბერძნულის მიხედვით (Blake 1932:146), ვფიქრობთ, ძალიან საყურადღებოა. ამ საკითხზე მოგვიანებით, ტექსტოლოგიური კვლევის შედეგების გათვალისწინებით უფრო ფართოდ ვიმსჯელებთ.


რობერტ ბლეიკი ასევე ვარაუდობს, რომ Ath. 62-ის შექმნის ადგილი ათონია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კალიგრაფიული თვალსაზრისით იგი სრულიად განსხვავებულია ათონური კოლექციის სხვა ოთხთავებისაგან. ნაწერია მარჯვნივ დახრილი წვრილი, კუთხოვანი ნუსხური ასოებით.

ჩვენი აღწერილობით, Ath. 62-ის პირველ 9 გვერდზე გაფორმებულ კამარებში კოლონებად წერია ევსებიოსის კანონები (1v-5v) და ეპისტოლე ევსებიოს კარპიანეს (6r) მიმართ, რომელიც, ზოგადად, ოთხთავის შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია.¹⁶ Ath.62-ის მხატვრული გაფორმების თვალსაზრისით არ არის გამორჩეული ხელნაწერი. აქ არ გვხვდება მახარებელთა მინიატურები, არც კამარები სახარებების დასაწყისში (სურ. 1). აზრს აცხადებს და თავების დასაწყისში გამოყენებული დიდი, მთავრული, საზედაო ასოები, რომლებიც ზოგჯერ სინგურით, ზოგჯერ იმავე ფერის მელნით არის დაწერილი (სურ. 2). მხოლოდ კანონების კამარებია პრიმიტიული მხატვრობით გაფორმებული (სურ. 3). პაგინაცია – რვეულებრივი, გამოყენებულია მუხლების ძველი სათვალავი. ჩვენ ხელთ არსებული ფოტოების მიხედვით, წარმოდგენილია 297 ფურცელი. დაუწერელია: 1r, 92r და 275v. პუნქტუაციის ნიშნებიდან ხშირად გვხვდება ორწერტილი წინადადებების, ხოლო სამწერტილი – აზრს აცხადებს ბოლოს. თავების დასასრულის მისანიშნებლად გამოყენებულია სპეციალური განკვეთილობის ნიშანი.

¹⁶ მესამე საუკუნის მოღვაწეს, ამონიოს ალექსანდრიელს, ოთხთავი მცირე თავებად დაუყვია, რის საფუძველზეც შეიქმნა ევსებიოსის კანონები. ძველ ქართულ ოთხთავებში თავთა დაყოფისა და დასაწყისში კანონების დართვის პრინციპი დასტურდება, თუმცა საკითხი საგანგებოდ შესასწავლია, კერძოდ, დასადგენია, როდიდან ჩნდება ქართულ პრაქტიკაში თავთა დაყოფის ამონიოსისეული პრინციპები და რა მიმართებები არსებობს ამ კუთხით ბერძნულ ხელნაწერებთან. ჯერ კიდევ 1945 წელს აკაკი შანიძე წერს: „რაც შეეხება ძველ სტიქომეტრიულ სისტემას, მას ამ გამოცემაში მოვერიდეთ, რადგან საკითხი სათანადოდ შესწავლილი არ არის ქართული ხელნაწერების მიმართ“ (ქართული... 1945:052). აკაკი შანიძის შემდგომ ამ საკითხს კორნელი დანელია შეეხო, არა სისტემურად, არამედ წარმოადგინა მისეული დაკვირვების ზოგიერთი მომენტი (დანელია 1998:239-242). ვფიქრობთ, საკითხი კვლავაც მოითხოვს კომპლექსურ მეცნიერულ შესწავლას ქართულ და ბერძნულ ოთხთავთა მიმართებების გათვალისწინებით.



სურ. 1 Ath.62, 150v




სურ. 2, Ath.62, 109v




სურ. 3, Ath.62, 4r-5v

განკანონების ზუსტი ზომების მითითება გვიჭირს, ვინაიდან ფოტოთი ვხელმძღვანელობთ. გარე აშიებს ატყვია ფარგლის ნაჩხვლეტები (სურ. 4). Lerroy-ის სისტემით Ath.62-ის ლინირების სქემის კოდია: 00E2 (Répertoire 1995:46). E ისეთ საწერ ბადეს აღიშნავს, როცა ხაზები ტექსტის ძირითადი ხაზიდან არ გადადის, არ კვეთს საზედაო ასოებისათვის დატოვებულ არეს და გარე აშიებს. E-ს შემდეგ მითითებული ციფრი კი აღნიშნავს სვეტების რაოდენობას (იხ. სურ. 5).



სურ. 4 Ath.62, 150v



სურ. 5


როგორც აღინიშნა, Ath.62 შეიცავს ოთხივე მახარებლის სახარებას, თითოეულ სახარებას წინ უძღვის თავთა საძიებელი.

1. 6v-8v – მათეს სახარების თავთა საძიებელი, 9r-91v – მათეს სახარება.
2. 92v-93v – მარკოზის სახარების თავთა საძიებელი, 94r-146v – მარკოზის სახარება.
3. 147r-150r – ლუკას სახარების თავთა საძიებელი, 150v-238v – ლუკას სახარება.
4. 238v-240r – იოანეს სახარების თავთა საძიებელი, 240v-297v – იოანეს სახარება.

ხელნაწერის ყურადღებით დათვალიერების შედეგად ნათლად ჩანს, რომ მასზე მუშაობდა ორი ადამიანი, გადამწერი და რედაქტორი. გადამწერი წერს ძირითად, ქვედა ფენის ტექსტს, მისი ნუსხური ასოები წვრილი და თხელია, ღია ყავისფერი მელნით შესრულებული, ხოლო რედაქტორი ასწორებს ძირითად ტექსტს, შლის ან ამატებს მასში სხვა რედაქციის წაკითხვებს. მისი ასოები, შავი ფერის მელნით დაწერილი, შედარებით მსხვილია, კუთხოვანი და მარცხნივაა გადახრილი (Ath. 62-ის ქვედა ფენის ტექსტი o* (original) პირობითი ნიშნით აღვნიშნეთ, მეორეული, რედაქტორის მიერ გასწორებული – o° (corrector) ნიშნით).

ხელნაწერის რედაქტორს ძირითად ტექსტში შეაქვს შემდეგი სახის ცვლილებები:


1. იგი საგულდაგულოდ ფხეკს და შლის სიტყვას, ზოგ შემთხვევაში მთელ წინადადებასაც და მის ნაცვლად წერს ახალ ვარიანტს (სურ. 6).




სურ. 6 Ath.62, 150v

2. აკლებს ძირითად ტექსტს: შლის ასოებს, სიტყვებს, ფრაზებს, ზოგჯერ მთლიან აზნაცასაც და ადგილს ცარიელს ტოვებს (სურ. 7).
3. ძირითად ტექსტში ამატებს სიტყვას, ფრაზას ან ასოს, რომელსაც წერს სტრიქონის თავზე (სურ. 8).
4. თუ შესაძლებელია, ასოების გადაკეთებით ან გადასმით ცვლის სიტყვებს. მაგ.: ძირითად ტექსტში ეწერა **გესმა** და რედაქტორმა იგი შეცვალა სიტყვით **გასმიეს** [მათ. 5:21]; გვექონდა სიტყვა **დაიმარილოს** და რედაქტორმა მის ნაცვლად დაწერა **შეიმარილოს** [მათ. 5:13] (სურ. 9).


ბუნებრივად ჩნდება კითხვები: რომელი რედაქციის შემცველია ქვედა ფენის ტექსტი, რის მიხედვით გაასწორა იგი სხვა გადამწერმა თუ რედაქტორმა და რატომ გახდა ეს საჭირო? რომელი რედაქცია აიღო მან დედნად და ითვალისწინებს თუ არა იგი გიორგი მთაწმინდლის მიერ რედაქტირებულ ათონურ რედაქციას?



სურ. 7, Ath.62, 17r



სურ. 8, Ath.62, 30r



სურ. 9, Ath.62, 16v

პირველ თავში უკვე განვიხილეთ, რომ გიორგი მთაწმინდელი ბერძნულ დედანთან ქართული თარგმანის უფრო მეტად დაახლოების მიზნით სამჯერ მიბრუნებია ოთხთავის ტექსტს, ამიტომ ამჯერად დაწვრილებით აღარ შევჩედებით.

Ath. 62-ის მეორეული ტექსტი შევადარეთ ივანე იმნაიშვილის მიერ გამოცემულ ვანის (H), ეჰმიადინის (I) და გელათის (K) ოთხთავების წაკითხვებს (იმნაიშვილი ი., ქართული... 1979), აგრეთვე, 1060 წლის კალიპოსის ოთხთავსა (ოთხთავი... 2008) და ოთხთავის ქართული თარგმანის აკადემიური გამოცემის მომზადებაზე მომუშავე ჯგუფის მიერ ელექტრონულად გამოცემულ ათონური რედაქციის ტექსტს.¹⁷ შედარებამ აჩვენა, რომ რედაქტორის სწორებები ხდება გიორგი მთაწმინდლის უკვე საბოლოო, ბერძნულ დედნებთან მესამედ შეჯერებული, ტექსტის მიხედვით. შესაბამისად, მეორეული ტექსტი გიორგისეული რედაქციისაა მცირედი ვარიანტული სხვაობებით, რომლებიც ამ რედაქციის შემცველ ხელნაწერებს გადამწერთა მიერ შეტანილი უნებლიე ცვლილებების შედეგად ისედაც ახასიათებს.

Ath. 62-ის მეორეული ტექსტის ათონურ რედაქციასთან იგივეობის დამადასტურებელი მაგალითები აქ არ მოგვყავს შემდეგი მიზეზით: სადისერტაციო ნაშრომის დანართში ძირითად ტექსტად წარმოდგენილია ოთხთავის ქართული თარგმანის ათონური რედაქცია. აპარატში გატანილი ვარიანტებიდან ნათლად ჩანს, რომ Ath. 62-ის მეორეული ტექსტი (o^c), განსხვავებით ქვედა ფენისაგან (o*), არ სხვაობს ძირითად ტექსტად წარმოდგენილი საბოლოო ათონური რედაქციის კრიტიკული ტექსტისაგან. Ath. 62-ის ქვედა ფენის (o*) ტექსტის რაობას ქვემოთ დაწვრილებით განვიხილავთ (III თავის §3, §4, §5).

რაც შეეხება გიორგი მთაწმინდლის ცნობილ ანდერძს, რომელიც მან ქართული ოთხთავის ბერძნულთან შედარების შემდეგ ჩამოყალიბებულ ტექსტს დაურთო, რ. ბლეიკი გვაწვდის ცნობას 315v-ზე (Ath. 62) ამ ანდერძის ფრაგმენტის არსებობის შესახებ. კერძოდ, რომელი ფრაგმენტი, ამაზე მკვლევარი არაფერს ამბობს. სამაგიეროდ, ალ. ცაგარელი წერს: Ath. 62 ხელნაწერის ბოლოში გადამწერისვე ხელით ვკითხულობთ, რომ ოთხთავი თარგმნა (ბერძნულიდან) გიორგიმ (მთაწმინდელმა). მას მოხმობილი აქვს ანდერძის მხოლოდ ეს ფრაგმენტი: *"...გიორგისათვის, რომელ ვთარგმნე, ლოცვა ჰყავთ"* (Цагарели 1886:75). ალ. ცაგარლის მიერ მოტანილი კოლოფონის ეს ფრაგმენტი გიორგი მთაწმინდლის ანდერძის იმ ვარიანტს თანხვდება, რომლის მიხედვითაც ათონელი მამა ოთხთავის ხელახალი მთარგმნელია. Ath. 62-ის შავ-თეთრ ფოტოებზე აღნიშნული ანდერძი არ არის დაცული. შავ-თეთრი ფოტოპირის უკანასკნელი ფურცელია 297r. იგი

¹⁷ იხ. The Old Georgian Four Gospels: Giorgi the Athonite' Redaction (Giorgi the Hagiorite's), on the basis of the original manuscripts, edited by Elguja Giunashvili, Manana Machkaneli, Sofio Sarjveladze, Zurab Sarjveladze and Darejan Tvaltvaдзе, Tbilisi and Frankfurt a/M. 1999 -2002, ARMAZI version by Jost Gippert. Frankfurt a/M, 7.6.2000/26.9.20 (<http://titus.uni-frankfurt.de/texte/etca/cauc/ageo/nt/giorn/giorn.htm>)

მოხეულია და მისი აღწერილობა თანხვედება რ. ბლეიკის მიერ 315v-ს აღწერილობას. ჩვენ საგანგებოდ შევუდარეთ ბლეიკისეული პაგინაცია შავ-თეთრ ფოტოებზე აღბეჭდილი ხელნაწერის პაგინაციას და აღმოჩნდა, რომ ისინი ერთმანეთს არის აცდენილი 18 ფურცლით. ბლეიკით 315v, რომელზეც, მისი აღწერილობით, ანდერძია განთავსებული, ფოტოზე უნდა იყოს 297v. ხოლო 297r-ზე მოცემულია იოანეს სახარების დასასრული და ანდერძის კვალიც კი არ ჩანს.


გერმანელი ქართველოლოგის, იოსტ გიპერტის, მიერ გადაღებულ Ath. 62-ის ფოტოებს შორის ის გვერდიც აღმოჩნდა, რომელზეც გიორგი მთაწმინდლის ანდერძის ნაწილია დაცული და რომლის შესახებაც საუბრობენ ალ. ცაგარელი და რობერტ ბლეიკი.¹⁸ ანდერძის გვერდი მართლაც მოხეულია და დასაწყისი, სამწუხაროდ, დაკარგული. თუმცა ბოლო ნაწილი შემოგვრჩა და მასზე ისეთი სწორების კვალი ჩანს, რომელსაც არც რ. ბლეიკი და არც ალ. ცაგარელი არ უთითებენ. არადა, ეს სწორება ფრიად მნიშვნელოვანია. მოვიყვანთ ანდერძის შემორჩენილი ნაწილის ტექსტს უცვლელად (297v): „...[შე]გჯწამებია [ფრიადი]თა გამოწულილვითა. და ვინცა-ვინ დასწერდეთ, ვითა აქა ჰპოოთ, ეგრე დაწერეთ, თუ ამისგან ჯერ-გიჩნდეს დაწერაჲ, ღმრთისათჳს, სიტყუათა ნუ სცვალებთ, არამედ... ღმრთისათჳს, ერთმანერთსა ნუ გაჰრევთ. და გლახაკისა გ~ისთჳს, რომელმან ესე ვთარგმნე, ლოცვა-ყავთ!“

ქვემოთ მოცემულ ფოტოზე (სურ. 10) ნათლად ჩანს, რომ ფრაზა: „**რომელმან ესე ვთარგმნე**“ ჩამატებულია გადამწერის ფერის მელნითვე, რაც თავისთავად საინტერესო ვარაუდებს ბადებს.

გამოდის, რომ Ath. 62-ის ქვედა ფენის ტექსტში დაცული გიორგი მთაწმინდლის ანდერძი იმ იშვიათ ვარიანტს წარმოადგენს, რომელშიც ათონელი მამა მხოლოდ რედაქტორად არის მოხსენიებული. დამატებული ფრაზა კი მეორეულია. სამწუხაროდ, მოხეულია ანდერძის დასაწყისი ნაწილი, თუმცა კი თამამად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ იქაც ქვედა ფენის ტექსტში ეწერებოდა „**ესე წმიდაჲ ოთხთავი არათუ ახლად გვთარგმნია**“ და „**არა თუ**“ წაშლილი იქნებოდა.

Ath. 62-ის ანდერძში დადასტურებული სწორება კიდევ ერთხელ ამყარებს იმ ფაქტს, რომ ეს ხელნაწერი ერთ-ერთი უძველესია, რომელშიც ათონური რედაქციაა დაცული და იგი მეცნიერებისათვის აქამდე ცნობილ 1060 წელს გადაწერილ კალიპოსის ოთხთავს (K-76) დაუდგა გვერდით, რომლის ანდერძშიც მსგავსი სწორებებია შეტანილი.

¹⁸ ეს გვერდი კონგრესის ბიბლიოთეკის გვერდზე გამოქვეყნებულ ციფრულ ვერსიაშიც არის. იხ.: <https://www.loc.gov/resource/amedmonastery.00271050331-ma/?sp=310&r=0.179.0.249.0.635.0.254.0>



სურ. 10, Ath.62, 297v

დასკვნის სახით კიდევ ერთხელ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ Ath. 62 წარმოადგენს ათონური რედაქციის შემცველ ერთ-ერთ უძველეს ნუსხას და მასში დაცული ტექსტი მეტად მნიშვნელოვანია როგორც ტექსტის სანდოობის თვალსაზრისით, ასევე, გიორგი მთაწმინდლის რედაქტორული მუშაობის პროცესის რეკონსტრუქციისათვის.

Ath. 67-ის პალეოგრაფიულ-კოდიკოლოგიური აღწერილობა


ოთხთავი, რომელიც რობერტ ბლეიკს¹⁹ 67-ე ნომრად აქვს აღნუსხული (ცაგარლით 8²⁰) ეტრატზეა შესრულებული. დაწერილია ორ სვეტად, 26 სტრიქონად, ზომა: 28x18.

¹⁹ რ. ბლეიკის აღწერილობის მიხედვით, სახარება შეიცავს გიორგი მთაწმინდელის რედაქციის ტექსტს. კარგი ხარისხის, საშუალო სისქის თეთრი ეტრატი. XII-XIII საუკუნეების. მელანი – მონაცრისფრო-შავი. საზედაო ასოები შესრულებულია წითელი ფერის მელნით. ორ სვეტად, 26 სტრიქონად. მრგვალი, მწეობრი, საშუალო ზომის ნუსხური ასოები. გვერდის ზომები: 280/180 მმ. ნაწერის ზომები: 170/125 მმ. სვეტებს შორის მანძილი – 17 მმ. 8 ფურცლიანი რვეულები. პაგინაცია გაკეთებულია დიდი მთავრული ასოებით, რვეულის დასაწყისში – ზედა შუა აშიაზე, ხოლო რვეულის დასასრულს – ქვედა აშიაზე. 18 რვეული სრულად არის წარმოდგენილი, მხოლოდ 3 რვეული არის დაკარგული. მათ შორის ორი

60v-ზე იოანე მახარებლის მინიატურა ბერძნული წარწერით: წმიდა იოანე ღვთისმეტყველი (სურ. 11). 64r-ზე იოანეს სახარების დასაწყისი დეკორირებულია (სურ. 12). მსგავსადვე არის დეკორირებული ლუკას სახარების დასაწყისი 20r-ზე.



სურ. 11 Ath.67, 60v



სურ. 12 Ath.67, 64r


ათონის ივერთა მონასტერში დაცული ოთხთავების კომპლექსური შესწავლისა და ურთიერთშედარების დროს განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ მათ მსგავსება-განსხვავებებს პალეოგრაფიული თვალსაზრისით. Ath. 67-ის მრგვალი, მწყობრი, სამუალო ზომის ნუსხური ასოები სრულიად განსხვავებულია Ath. 62-ის ქვედა ფენის გადამწერის ხელისაგან (სურ. 13). არც საზედაო ასოებია განსაკუთრებულად

მარკოზის, ხოლო ერთი – მათეს სახარებას შეიცავს. ფურცლები არ არის დანომრილი. სავარაუდოდ, უნდა იყოს 88. უყდო. ჩადებულია შავი ნაჭრის თანამედროვე პორტფოლიოში. **ხელნაწერი შეიცავს: მარკოზის** სახარებას (1r-15v-ზე სახარების ტექსტი, იწყება მარკ. 7-26). **ლუკას** სახარებას (16r-17r-ზე ლუკას სახარების თავთა საძიებელი, 18r-58v-ზე სახარების ტექსტი). **იოანეს** სახარებას (58v-59r-ზე იოანეს სახარების თავთა საძიებელი, 59r-60r – სუფთა ფურცელი; 61r-88v-ზე სახარების ტექსტი. 60v-ზე იოანე მახარებლის მინიატურა ბერძნული წარწერით: წმიდა იოანე ღვთისმეტყველი.

²⁰ ცაგარლის აღწერილობა: სახარება, 5 ½ სიგრძე, 4 ½ სიგანე, 94 ფურცელი, ეტრატი, ხელნაწერი თავ-ბოლო ნაკლული. მწყობრი და მკაფიო ნაწერი. XI-XII საუკუნეების. ხელნაწერში არის წმ. იოანეს მინიატურაც.

დეკორირებული და ისინიც განსხვავდება Ath. 62-ის სათაო ასოების სტილისაგან. დაწერილია ზოგჯერ სინგურით, ზოგჯერ იმავე ფერის მელნიით. ლინირება ფოტოებზე, სამწუხაროდ, სრულიად არ ჩანს.

ოთხთავის შედგენილობა: სახარება თავბოლონაკლულია. ტექსტი არასრულად არის წარმოდგენილი. მთლიანად აკლია მათეს სახარება. **მარკოზის** სახარება – 1r-17v; იწყება მარკ. 3:7-დან („...ხოლო იესუ მოწაფითურთ განემორა მათგან და მოვიდა ზღვსკიდედ...“). ლუკას სახარების თავთა საძიებელი 18r-19r; ლუკას სახარება – 20r-62v. იოანეს სახარების თავთა საძიებელი – 62v-63r; იოანეს სახარება – 64r-90v. წყდება იოვ. 19-8-ზე: „ვითარცა ესმა სიტყუაჲ ესე პილატეს, უფროჲს შეეშინა.“



სურ. 13, Ath. 67, 20r

ვერაფერს ვიტყვით ამ ხელნაწერის შედგენილობის შესახებ,²¹ უძლოდა თუ არა მას წინ კამარებში ჩასმული ევსებოზის კანონები, რომლებიც არანაკლებ მნიშვნელოვანია

²¹ ახალი აღთქმის ბევრ ხელნაწერში მკითხველის დასახმარებლად წარმოდგენილია ე. წ. დამხმარე საშუალებები. ეს საშუალებები შექმნილია სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას. ის გადაეცემოდა თაობიდან თაობას და დროთა განმავლობაში მისი მოცულობა გაიზარდა. კერძოდ:

1. **თავების დაყოფა:** თავების დაყოფის ყველაზე ადრეული სისტემა, რომელიც ჩვენთვის არის ცნობილი, დაცულია მეოთხე საუკუნის ვატიკანის კოდექსში (B). ამ ხელნაწერში 170 თავია მათეს სახარებაში, 62 – მარკოზის, 152

– ლუკას და 50 – იოანეს სახარებაში. თავთა დაყოფის სხვა სისტემა დაცულია მეხუთე საუკუნის ალექსანდრიულ კოდექსში (A), ასეთივე სისტემა ბერძნული ხელნაწერების უმრავლესობაში. ამ სისტემის მიხედვით, მათეს სახარებაში არის 68 თავი, მარკოზთან – 48, ლუკასთან – 83 და იოანესთან – 18. არც ერთ შემთხვევაში სახარების პირველი თავი არ იწყება პირველივე მუხლებით (ეს გვიანდელი დაყოფითაა პირველი მუხლი), სავარაუდოდ, იმიტომ, რომ წიგნს უნდა ჰქონოდა შესავალი. ამიტომაც, მაგალითად, მარკოზის სახარების პირველი თავი იწყებოდა: მარკოზი 1.23-დან.

2. თავების სათაურები: თითოეულ თავს, რომელიც დაფიქსირებულია ალექსანდრიულ კოდექსში და მომდევნო პერიოდის ხელნაწერთა უმრავლესობაში, აქვს თავისი სათაური. ეს სათაურები რეალურად არის თავების მოკლე შინაარსი. თითოეული თავის სათაური იწყება სიტყვით "შესახებ" (ბერძ. περί) და ხშირად დაწერილია წითელი მელნით. მაგალითად, იოანეს პირველი თავი, რომელიც იწყება 2.1-ზე, სათაურად ჰქვია "კანას ქორწილის შესახებ". თავთა საძიებლები, ძირითადად, მოთავსებულია თითოეული სახარების წინ.

3. ევსებიოსის კანონები: კანონების ორიგინალური სისტემა შექმნა ევსებიოს კესარიელმა, რომ დახმარებოდა მკითხველს ოთხთავში პარალელური პასაჟების მოძებნაში. მისი სისტემა აღმოჩნდა ძალიან კარგი მოსახმარი, რადგანაც ეს სისტემა დართული აქვს ოთხთავების არა მხოლოდ ბერძნულ, არამედ ლათინური, სირიული, კოპტური, გოთური, სომხური და ქართული თარგმანების ძალიან დიდ ნაწილს. ეს სისტემა შედგენილია შემდეგი პრინციპით: თითოეული სახარება დაყოფილია გრძელ ან მოკლე თემატურ ნაწილებად. ეს ნაწილები დანომრილია ზედმიწევნით ოთხივე სახარებაში (355 – მათესთან, 233 – მარკოზთან, 342 – ლუკასთან, 232 – იოანესთან). ევსებიოსმა შექმნა კანონების ათი ტაბულა. პირველი შეიცავს დანომრილ პარალელებს ოთხივე სახარების მიხედვით. მეორე კანონში – მათეს, მარკოზისა და ლუკას საერთო პასაჟები. მესამე კანონში – მათეს, ლუკასა და იოანეს საერთო პასაჟები და ასე გრძელდება ყველა შესაძლო კომბინაცია. ბოლო ტაბულა გვაძლევს მითითებებს თითოეული სახარების თავისებურების შესახებ. ეს რიცხვებით აღნიშნული (ნუმერირებული) პასაჟების ტაბულები, დაწერილი სვეტებად, ოთხთავს წინ აქვს დართული. ოთხთავის ტექსტის გასწვრივ არსებულ დაწერილია ამა თუ იმ პასაჟის ნომერი, რის მიხედვითაც შესაძლებელია მისი მოძებნა. მაგალითად, იოანეს სახარებაში წერია: "თავადი იესო წამებდა, ვითარმედ: წინაწარმეტყუელსა თვისსა სოფელსა პატივი არა აქუს" (იოვ. 4. 44). პარალელის საპოვნელად არშიაზე ამ მუხლის გასწვრივ ვნახავთ ნომერს 35. შემდეგ ჩახედავთ კანონების პირველ ტაბულას, იოანეს სახარების ვერტიკალურ სვეტში ვიპოვით 35 და ჰორიზონტალურად მის გასწვრივ აღმოვაჩინთ, რომ იგივე პასაჟი გვაქვს მათესთან – 142, მარკოზთან – 51, ლუკასთან – 21.

ზოგიერთ ხელნაწერში წარმოდგენილია ტაბულების გამარტივებული ვარიანტი. ტაბულებში მოცემული ინფორმაციის გამოყენებით გადამწერები ფურცლის ქვედა ნაწილში წერდნენ იმ გვერდზე აღწერილი ნაწყვეტის პარალელს სხვა სახარებასთან.

ევსებიოსმა განმარტა თავისი ორიგინალური სისტემა ეპისტოლეში კარპიანოსის მიმართ, ამ წერილის ასლი დართული აქვს ბევრ სახარებას კანონების წინ. მეოცე საუკუნეში გამოცემულ რამდენიმე სახარებაშიც არის წარმოდგენილი ევსებიოსის კანონები, რაც საშუალებას აძლევს თანამედროვე მკითხველს, გაეცნოს კანონების მოხმარების წესს.

4. ჰიპოთეზები, „ცხოვრებანი“: ჰიპოთეზები არის პროლოგი ან წიგნის მოკლე შესავალი, რომელიც განკუთვნილია მკითხველისთვის და შეიცავს ინფორმაციას ავტორის, წიგნის შინაარსისა შესახებ. ამ ტიპის ჰიპოთეზების ფორმა და შინაარსი ხშირ შემთხვევაში სტერეოტიპულია. ზოგიერთ ხელნაწერში ამ ჰიპოთეზების ავტორობა მიეწერება ევსებიოსს, მაგრამ ხშირად ისინი ანონიმურია. ზოგჯერ ამ ჰიპოთეზებში წარმოდგენილია ტრადიციული ინფორმაცია თითოეული მახარებლის ცხოვრების შესახებ (βίος). ეს „ცხოვრებანი“ უნდა შექმნილიყო მეშვიდე საუკუნის პირველ ნახევარში ვინმე დოროთეუსის ან სოფრონიუსის, იერუსალიმის პატრიარქის, მიერ.

5. ანდერძები და მინაწერები: ახალი აღთქმის ძველ ხელნაწერებში წიგნების სათაურები მოკლე და მარტივია, მაგალითად, მათეს სახარება, მომდევნო საუკუნეებში ეს სათაურები დაგრძელდა და უფრო კომპლექსური გახდა. ანდერძები, რომლებიც დართულია წიგნის ბოლოს, თავიდან იყო მოკლე და მარტივი, ძირითადად, მიუთითებდა წიგნის დასასრულზე. დროთა განმავლობაში ისინი გადამუშავდა და მოგვიანო პერიოდის ხელნაწერებში შეიცავს ინფორმაციას ხელნაწერის გადაწერის ადგილის, გადაწერისა და წიგნის დამკვეთის შესახებ.

6. პუნქტუაცია: ადრეული ხანის ხელნაწერებში პუნქტუაციის ნიშნები ნაკლებად იყო გამოყენებული. ჩესტერ ბითისა და ბოდმერის პაპირუსებში პუნქტუაციის ძალიან ცოტა ნიშანი დაფიქსირებული, ისევე როგორც ადრეული ხანის უნციალურ ხელნაწერებში. მე-6 და მე-7 საუკუნეებიდან გადამწერებმა დაიწყეს პუნქტუაციური ნიშნების გამოყენება. მე-9 საუკუნემდე კითხვის ნიშანი იშვიათად გამოიყენებოდა.

7. გლოსები, სქოლიო, კომენტარები, კატენები: გლოსები არის მოკლე განმარტება რთული სიტყვის ან ფრაზის. ამ ტიპის შენიშვნები, ძირითადად, მიწერილია ხელნაწერის არშიაზე, ხანდახან კი – სტრიქონებს შორის. სქოლიო – განმარტებითი სახის შენიშვნაა, რომელიც მიწერილია ტექსტის გვერდით და განკუთვნილია მკითხველისთვის. თუკი სქოლიო სისტემატურად განმარტავს მკითხველისთვის ძირითად ტექსტს, ამას უკვე კომენტარები ეწოდება.

ოთხთავის შესწავლისა და დათარიღების საქმეში. ქვედა აშიაზე არ ჩანს არც ტაბულების ამონიოსისეული გამარტივებული ვარიანტი, იგივე „განთესული“. ალ. ცაგარელი ამ ნუსხას XI-XII საუკუნეებს აკუთვნებს, ხოლო რობერტ ბლეიკი უფრო მოგვიანო პერიოდით – XII-XIII საუკუნეებით ათარიღებს. რა კრიტერიუმებით ხელმძღვანელობენ მკვლევრები დათარიღებისას, აღწერილობაში არ არის მოცემული. ხელნაწერის თანამედროვე პაგინაცია არ ემთხვევა რ. ბლეიკის პაგინაციას.

რაც შეეხება Ath. 67-ში დაცულ ოთხთავის ტექსტს, რობერტ ბლეიკი ამბობს, რომ ის ათონური ტექსტის ტიპს შეიცავს. ჩვენც შევუდარეთ ათონურ რედაქციას Ath. 67-ის ტექსტი და სავსებით ვეთანხმებით რობერტ ბლეიკის დასკვნას. ეს ოთხთავი ამჯერად ჩვენი ინტერესის საგანს არ წარმოადგენს.

Ath. 75-ის პალეოგრაფიულ-კოდიკოლოგიური აღწერილობა


შემდეგი ოთხთავი რობერტ ბლეიკის²² აღწერილობის მიხედვით არის N75 (ცაგარლით 6²³). იგი ეტრატზეა შესრულებული, ორ სვეტად, 23 სტრიქონად. სულ 78 ფურცელი. 63-64 ფურცლებს შორის ჩასმულია სხვა ხელნაწერის ორი განსხვავებული

კომენტარი უფრო ვრცელია, სქოლიოში ჩვეულებრივ ალტერნატიული ვარიანტები და მათი წარმომავლობა დასახელებული. სქოლიო და კომენტარები ხანდახან მოთავსებულია არშიაზე ძირითადი ტექსტის გარშემო. უნციალურ ხელნაწერებში განმარტებები მინუსკულურით არის გაკეთებული. ეს მაშინ, როცა ძველ კოდექსს იღებდნენ კომენტარებისთვის. თუმცა მეშვიდე საუკუნის codex Zacynthius-ში (Ξ) კომენტარები უნციალურით არის გაკეთებული, ე.ი. კომენტარები ძველია. ხოლო როცა მანუსკრიპტი მინუსკულურით არის დაწერილი, ჩველებრივ, სქოლიოც მინუსკულურით არის გაკეთებული. **კატენები** – არის მწიგნობრების მიერ გაკეთებული კომენტარების „ჯაჭვი“. კომენტარების ავტორის იდენტიფიცირება ხდება მათი სახელის აბრევიატურის მიხედვით, თუმცა ხანდახან აღნიშნული აბრევიატურები კომენტარებს არ ახლავს (მასალა მომზადებულია Bruce M. Metzger, Bart D. Ehrman, The Text of the New Testament, Its Transmission, Corruption and Restoration, Fourth Edition, 2005-ის მიხედვით).

²² რ. ბლეიკის აღწერილობის მიხედვით, სახარება შეიცავს გიორგი მთაწმიდელის რედაქციას. უყდო, თავ-ბოლო ნაკლული. არ არის აღნიშნული გადაწერის სახელი და გადაწერის დრო. XII-XIII საუკუნეების. მოყვითალო ფერის ეტრატი, კუთხეები დაზიანებული. მელანი – შავი ფერის. საზედაო ასოები შესრულებულია წითელი ფერის მელნით. ორ სვეტად, 23 სტრიქონად. მრგვალი ნუსხური. გვერდის ზომები: 231/183 მმ. ნაწერის ზომები: 155/108 მმ. სვეტებს შორის მანძილი – 11 მმ. 79 ფურცელი, დანომრილი ფანქრით, გვიანდელი ხელით ქვედა არშიაზე. 8 ფურცლიანი რვეულები. პაგინაცია გაკეთებულია დიდი მთავრული ასოებით რვეულის დასასრულს ქვედა არშიაზე, სავარაუდოდ, XVII საუკუნეში. 63-64 ფურცლებს შორის ჩასმულია სხვა ხელნაწერის ორი განსხვავებული ფურცელი. პირველი არის ლიტურგიკული დანიშნულების (XIII-XIV სს) თხელ ნაცრისფერ ეტრატზე მომრგვალებული და წვრილი ნუსხური ასოებით. დაწერილი ერთ სვეტად, 28 სტრიქონად. მელანი ყავისფერი. მეორე ფურცელზე შესრულებულია ჰომილიის ნაწყვეტი სინაიტკური ტიპის ნუსხურით (XI ს). ერთ სვეტად, 26 სტრიქონად. **შეიცავს: მარკოზის** სახარებას: (მარკ. 10,29-დან) 17v-მდე ტექსტი, **ლუკას** სახარებას: 18r-v – ლუკას სახარების თავთა სამიებელი. მე-19 ფურცელი დატოვებულია სუფთად. 20r-79v – ლუკას სახარება. ლუკა 23,34-მდე.

²³ ალ. ცაგარლის აღწერილობა: სახარება, 5 ½ სიგრძე, 4 ½ სიგანე, 71 ფურცელი, ეტრატი, ნაკლული. წარმოდგენილია მხოლოდ მარკოზისა და ლუკას სახარებები. არ არის აღნიშნული გადაწერის სახელი და ხელნაწერის გადაწერის დრო. დაწერილია ორ სვეტად, ლამაზი და მწყობრი XI-XII საუკუნეების ხელით.


ფურცელი. როგორც რობერტ ბლეიკი აღნიშნავს, პირველი უნდა იყოს ლიტურგიკული დანიშნულების (XIII-XIV სს), მეორე ფურცელზე შესრულებულია ჰომილიის ნაწყვეტი (XI ს). Ath. 75 გადაწერილია მრგვალი ნუსხური ასოებით (სურ. 14). Ath. 67-ისა და Ath. 62-ისაგან განსხვავებული სტილითაა გაფორმებული ლუკას სახარების დასაწყისი 20r-ზე (სურ. 15).



სურ. 14, Ath.75, 76r

რაც შეეხება საზედაო ასოებს, ისინი მეტ-ნაკლებად დეკორირებულია, განსაკუთრებულად გაფორმებულია ლუკას სახარების დასაწყისში (სურ. 15). ზოგჯერ სინგურით არის შესრულებული, ზოგჯერ კი – შავი ფერის მელნით. საზედაო დონი,

რომლის მუცელშიც არის ჩაწერილი „ა“, სტილით Ath. 67-ის საზედაო ასოებს ემსგავსება. თუმცა ამ ორი ნუსხის გადამწერის ხელი განსხვავებულია.



სურ. 15, Ath.75, 20r

ოთხთავის შედგენილობა: Ath. 75-შიც სახარებების ტექსტი არასრულად არის წარმოდგენილი. აკლია მათესა და იოანეს სახარებები მთლიანად, ხოლო მარკოზისა და ლუკას სახარებების ნაწილი. **მარკოზის სახარება** – 1r-17v; იწყება 10:30-დან: „...და დედა და შვილნი და აგარაკნი შემდგომად დევნისა...“ ლუკას სახარების თავთა საძიებელი – 18r-v; **ლუკას სახარება** – 20r-78v. წყდება ლ. 23:32-ზე: „მაშინ მოჰყუანდეს სხუანიცა ორნი ძვირისმოქმედნი მოკლავად მის თანა.“

ვერც ამ ხელნაწერის შედგენილობის შესახებ ვიტყვით რამეს, უძლოდა თუ არა მას წინ კამარებში ჩასმული ევსებიოსის კანონები. ქვედა აშიაზე არ ჩანს არც ტაბულების ამონიოსისეული გამარტივებული ვარიანტი, იგივე „განთესული“. ფოტოებზე არ ჩანს არც ლინირების კვალი.

აღ. ცაგარელი მას XI-XII საუკუნეებით ათარილებს, ხოლო რობერტ ბლეიკი – XII-XIII საუკუნეებით. თავად ხელნაწერს არც გადაწერის ანდერძი ახლავს და არც გადაწერის თარიღია მითითებული. რობერტ ბლეიკის ვარაუდით, Ath. 75-ში ათონური ტექსტის ტიპია დაცული. ჩვენმა კვლევამ ზუსტად იგივე შედეგი მოგვცა. Ath. 75-ში მართლაც გიორგი მთაწმინდლის რედაქციის ტექსტია წარმოდგენილი. ეს ოთხთავიც არ წარმოადგენს ამჟამად ჩვენი ინტერესის საგანს.


Ath. 53-ის პალეოგრაფიულ-კოდიკოლოგიური აღწერილობა

რობერტ ბლეიკის²⁴ აღწერილობის მიხედვით 53-ე ნომრად აღნუსხული ოთხთავი (ცაგარლით 7²⁵) ძლიერ დაზიანებულია. გადაწერილია ეტრატზე ორ სვეტად, 25 სტრიქონად. სულ 163 ფურცელი. მყარად აკინძული, შედარებით ახალ ტყავგადაკრულ მუყაოს ყდაშია ჩასმული. არც გადაწერის თარიღი ახლავს და არც გადაწერის სახელია მითითებული. თავბოლონაკლული.

Ath. 53 გადაწერილია საშუალო სიდიდის, მრგვალი, მწყობრი ნუსხური ასოებით, და პალეოგრაფიული თვალსაზრისით ძალიან ჰგავს Ath. 75-ს. მართალია, სახარების დასაწყისები ისეთივე გამშვენებული არ არის, როგორც Ath. 75-ის, მაგრამ იოანეს სახარების დასაწყისი საზედაო ასოები ძალიან ემსგავსება Ath. 75-ის სტილს (სურ.16). ორივე ხელნაწერი თითქმის ერთი ზომისაა.

²⁴ Ath. 53 რ. ბლეიკის აღწერილობის მიხედვით, ოთხივე სახარებაში დაცულია გიორგი მთაწმინდლის რედაქცია. ხელნაწერი მთლიანად დაზიანებულია. არც გადაწერის თარიღი და არც გადაწერის სახელია მითითებული. XIV-XVI საუკუნის. საშუალო სისქის ყვითელი ეტრატი, მელანი შავი ფერის. სათაურები წითელი ფერის მელნით არის შესრულებული. საშუალო სიდიდის, მრგვალი, მწყობრი ნუსხური ასოები. დაწერილია ორ სვეტად, 25 სტრიქონად. გვერდების ზომები: 225/165 მმ. ნაწერის ზომები: 175/50 მმ. სვეტებს შორის მანძილი – 18 მმ. 8 ფურცლიანი რვეულები, მინაწერი არ ახლავს. 149 ფურცელი. დანომრილი ქვედა არშიაზე. მყარად აკინძული, შედარებით ახალი, იისფერი, ტყავგადაკრული მუყაოს ყდა. ორნამენტების გარეშე. **შიცავს: მათეს** სახარებას (იწყება მათე 12-31-დან, 37r-მდე სახარების ტექსტი). **მარკოზის** სახარებას (37r-38r-ზე მარკოზის სახარების თავთა სამიებელი, 38r-v – სუფთა ფურცლები, 39r-77r-ზე სახარების ტექსტი). **ლუკას** სახარებას (77v-80r-ზე ლუკას სახარების თავთა სამიებელი, 80r-v – სუფთა ფურცელი; 81r-143r -ზე სახარების ტექსტი). **იოანეს** სახარებას (144r-v-ზე იოანეს სახარების თავთა სამიებელი, 145r-v - სუფთა ფურცელი; 146r-149v-ზე სახარების ტექსტი, რომელიც არ არის სრულად წარმოდგენილი, წყდება იოანე 2-19-ზე).

²⁵ აღ. ცაგარლის აღწერილობა: სახარება, 4,1/2 სიგრძე, 3,3/4 - სიგანე. 156 ფურცელი. ეტრატი. სრულად არის წარმოდგენილი მარკოზისა და ლუკას ოთხთავები. მათეს სახარება არასრულია. ხოლო იოანეს სახარება საერთოდ არ არის. მწყობრი და ლამაზი ნაწერი, XI-XII საუკუნეების. გადაწერის სახელი, გადაწერის დრო არის მითითებული.



სურ. 16, Ath.53, 160r

ოთხთავის შედგენილობა: მათეს სახარება – 1r-37r (იწყება მათე 12-29-დან: „...[ჭურჭელი მი]სი გამოტყუწნვად, უკუეთუ არა შეკრას პირველად ძლიერი იგი...“ მარკოზის სახარების თავთა საძიებელი – 37r-38r; მარკოზის სახარება – 39r-77r. ლუკას სახარების თავთა საძიებელი – 77v-80r; ლუკას სახარება – 81r-157r. იოანეს სახარების თავთა საძიებელი – 158r-v; იოანეს სახარება – 160r-163v, წყდება ი. 2:15-ზე: „და შექმნა შოლტი საბლისად ყოველი იგი გამოასხა ტა[ძრით]...“ 163v ძლიერ გადარეცხილია და მასზე სახარების ტექსტის ამოკითხვა ჭირს.

Ath. 75-ის შემთხვევაშიც ბუნდოვანია სახარების შედგენილობის საკითხი, ვინაიდან მათეს სახარება მხოლოდ მე-12 თავიდან იწყება, არ ვიცით, უძლოდა თუ არა კამარებში ჩაწერილი კანონები. ქვედა აშიაზე არ ჩანს არც ტაბულების ამონიოსისეული გამარტივებული ვარიანტი, იგივე „განთესული“. არც ლინირების სქემა ჩანს. დათარიღებაშიც მთელი 3 საუკუნით ცდებიან ალ. ცაგარელი და რ. ბლეიკი ერთმანეთს. ალ. ცაგარელი Ath. 53-ს XI-XII საუკუნეებით ათარიღებს, ხოლო რ. ბლეიკი – XIV-XVI საუკუნეებით. ჩვენი აზრით, იგი იმავე პერიოდში უნდა იყოს გადაწერილი, რომელშიც Ath. 75. 7r-ზე არის მხედრული მინაწერი: „დაუკიბე მე მაკარი მონაზონი ქართუვემ“ ჩ⁷შგ (1903 წელს).

რ. ბლეიკის აზრით, ოთხივე სახარებაში დაცულია გიორგი მთაწმინდლის რედაქციის ტექსტი. ჩვენ შევამოწმეთ Ath. 53-ის ტექსტი. მარკოზის, ლუკასა და იოანეს სახარებების შემთხვევაში მკვლევარს აბსოლუტურად ვეთანხმებით. მხოლოდ მათეს

სახარების ტექსტის შედარებამ ათონურ რედაქციასთან გააჩინა ეჭვი, რომ მასში გიორგი მთაწმინდლის საბოლოოდ ჩამოყალიბებული რედაქცია არ უნდა იყოს დაცული, რადგანაც ზოგიერთი ადგილი განსხვავდა მისგან. ამ ეტაპზე ფრთხილად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ Ath.53-ში დაცული მათეს სახარების ტექსტი არ არის გიორგი მთაწმინდლის რედაქციის აბსოლუტურად იდენტური. ვფიქრობთ, ამ კუთხით Ath.53-ის მათეს სახარების ტექსტი დამატებით შესწავლას მოითხოვს.


Ath. 15-ის პალეოგრაფიულ-კოდიკოლოგიური აღწერილობა

ოთხთავი, რომელიც რობერტ ბლეიკს²⁶ მე-15 ნომრით აქვს აღნიშნული (ა. ცაგარლით 10²⁷), ქაღალდზეა შესრულებული, ორ სვეტად, 24 სტრიქონად. გადაწერილია დიდი, მრგვალი, ოდნავ კუთხოვანი სტანდარტული მწყობრი ნუსხური ასოებით (სურ. 17). ზომა: 33,2x24,5. შეიცავს 237 ფურცელს (რ. ბლეიკის აღწერილობით - 233ფ; ა. ცაგარელის აღწერილობის მიხედვით 235ფ.). დაუწერელია: 66v, 182v, 183r-v. თავბოლონაკლული, აკლია შიგნითაც ცალკეული ფურცლები. დაზიანებული, ჭიისაგან შეჭმული. გადაწერილია ყავისფერი მელნით, საზედაო ასოები – სინგურით.

ხელნაწერის გადამწერია იოსები („*უცხად მწერალი იოსებ ლოცვასა მომ[ი]კსენე], ღმერთო*“ 107v; „*ცოდვილისა იოსებ მწერლისათჳს ლოცვა ყავ, მამო წმიდაო, რადთა ღმერთმან შენცა მოგიკსენოს სასუფეველსა მისსა*“ 182r).

²⁶ რობერტ ბლეიკის მიხედვით, ოთხივე სახარებაში დაცულია გიორგი მთაწმინდლის რედაქცია. გადამწერი იოსები (ფოლ. 105v, 179r). XII-XIII საუკუნის. აღმოსავლური ტიპის გლუვი ქაღალდი. ჭიისაგან შეჭმული. დაწერილია ორ სვეტად, 24 სტრიქონად, დიდი, მრგვალი, სტანდარტული მწყობრი ნუსხური ასოებით. მონაცრისფრო-ყავისფერი მელანი. საზედაო ასოები გამოყვანილია მკრთალი წითელი ფერის მელნით. გვერდების ზომები: 332/245 მმ. ნაწერის ზომები: 230/152 მმ. სვეტებს შორის მანძილი – 19 მმ. 8 ფურცლიანი რვეულები, პაგინაცია – დიდი ასომთავრული ასოებით რვეულის დასაწყისში შესრულებულია ზედა შუა აშიაზე, ხოლო რვეულის დასასრულს – ქვედა არშიაზე. 233 სრული ფურცელი არ არის დანომრილი. მაგარი ტყავის ყავისფერი ყდა. მოჭედილი. მორთული ნახატი ორნამენტებით. გამოსახულია ჯვარი. **შეიცავს: მათეს** სახარებას (1r-v-ზე მათეს სახარების თავთა სამიებელი, 2r-62v-ზე სახარების ტექსტი). **მარკოზის** სახარებას (63r-ზე მარკოზის სახარების თავთა სამიებელი, 63v - სუფთა ფურცელი; 64r-105v-ზე სახარების ტექსტი). **ლუკას** სახარებას (106r-v-ზე ლუკას სახარების თავთა სამიებელი, 107 - სუფთა ფურცელი; 108r-178v-ზე სახარების ტექსტი). **იოანეს** სახარებას (179r-ზე იოანეს სახარების თავთა სამიებელი, 180 - სუფთა ფურცელი; 181r-233v-ზე სახარების ტექსტი).

²⁷ ალ. ცაგარლის აღწერილობა: ოთხთავი, 8,3/4 სიგრძე, 5,1/2 - სიგანე. 235 ფურცელი. ქაღალდი. მწყობრი და ლამაზი ნაწერი, XIV-XVI საუკუნეების. გადამწერი იოსები. ხელნაწერი ძლიერ არის ჭიისაგან შეჭმული. მასში დაცულია ადრეული წაკითხვები და თავთა და მუხლთა დაყოფის ძველი ტრადიცია. ბოლოში აკლია ფურცლები.



სურ. 17, Ath.15, 67r

ოთხთავის შედგენილობა: სრულად შეიცავს ოთხივე სახარებას. არ ახლავს ეპისტოლე ევსებოს კარპიანეს მიმართ და არც კამარებში ჩასმული კანონები. ქვედა აშიებზე არ ჩანს ტაბულების ამონიოსისეული გამარტივებული ვარიანტი, იგივე „განთესული“. თითოეულ სახარებას წინ უძღვის თავთა საძიებელი. მათეს სახარების თავთა საძიებელი: 1r-v; მათეს სახარება: 2r-65v; იწყება მთ. 1:20-დან „... [ნუ გე]შინინ მიყვანებად მარიამისა ცოლისა შენისა, რამეთუ რომელ-იგი მისგან იშვეს...2r“; ხოლო სრულდება მთ. 21:4-ზე: „ესე ყოველი იქმნა რადთა ა[ღესრულოს]...“ 42v. მარკოზის სახარების თავთა საძიებელი ფოტოს აკლია, თუმცა ბლეიკის აღწერილობიდან ჩანს, რომ

იგი მას ჰქონია. მარკოზის სახარება: 67r-107v. ლუკას სახარების თავთა საძიებელი: 108r-v. ლუკას სახარება: 109r-181v. იოანეს სახარების თავთა საძიებელი: 182r. იოანეს სახარება: 184r-237v. იოანეს სახარების ტექსტი წყდება 20, 31-ზე: „...ხოლო ესე დაიწერა, რადთა გრწმენეს, რამეთუ იესუ არს ქრისტე ძე ღმრთისა და ცხორებად გაქუნდეს სახელი[თა მისითა.]“ 237r.

მინაწერები:

1. მარკოზის სახარების დასასრულს: „დაესრულა მარკოზის სახარებად, თავი 5[~]ზ, მუკლი 8[~]ფ[~]ჟ[~]. მეათერთმეტესა წელსა აღიწერა ბრძანებითა პეტრესითა, ხოლო იკითხონ წმიდათა მარხვათა“ 107v.

2. ლუკას სახარების დასასრულს: „აღიწერა სახარებად ლუკასი შემდგომად ნათლისღებისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა, წელსა მეათხუთმეტესა. სტრიქონი ორათას სამეოც და მუკლი. თავნი საკითხავთანი 5[~]ვ“ 181v; „დიდებად მამასა და ძესა და წმიდასა სულსა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ“ 181v.

გვიანდელი მინაწერები:

1. †, მე, ფრიად ცოდვილი მესხი იოვანე, მღდელი მარკოზის შვილი ახალციხელმან, მოვედი და ვიხილე წმიდა ესე მონასტერი. კურთხეულ არს ღმერთი, რომელმან ..ლი ვინცა შენდობად ბრძანოთ, თქვენცა შევინდოს ღმერთმან, ამინ“ 1v, ნუსხურით.

2. „ღმერთმან ყოვლისა მპყრობელმან უწყის, რომე მე, გერმანე ბერძენი მცჯთ (?) მინდოდა ქართულის წიგნის სწავლა, მაგრა ოსტატი არა მყოლებია“ 237r, მხედრულით.

3. ბერძნული მინაწერი 23r-v-ზე.

Ath.15-ს რ. ბლეიკი XII-XIII საუკუნით ათარიღებს, ხოლო ალ. ცაგარელი – XIV-XVI საუკუნეებით. ბლეიკის მიხედვით, ოთხივე სახარებაში დაცულია გიორგი მთაწმინდლის რედაქცია. ჩვენ საგულდაგულოდ გადავსინჯეთ ოთხთავის ტექსტი და დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასში ათონური რედაქციის ტექსტია დაცული.

Ath. 83-ის პალეოგრაფიულ-კოდიკოლოგიური აღწერილობა

Ath.83, ე.წ. ოპიზის ოთხთავი, ბევრი თვალსაზრისით გამორჩეული და საინტერესო ხელნაწერია. იგი 913 წელს არის გადაწერილი. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ხელნაწერი არ უნახავს ალ. ცაგარელს, იგი 1898 წელს ათონის მთაზე სამეცნიერო ექსპედიციის დროს იპოვა ნ. მარმა. ხელნაწერი აღწერილი აქვს რ. ბლეიკს²⁸.

²⁸ Ath.83, რ. ბლეიკის აღწერილობის მიხედვით, ოპიზის სახარება, გადაწერილია ოპიზის მონასტერში 913 წელს გრიგოლის მიერ. თეთრი, მონაცრისფრო თხელი ეტრატი, გაყვითლებული ხელის შეხების ადგილებში. მუქი ყავისფერი მელანი. სათაურები შესრულებულია წითელი ფერის მელანით. დაწერილია

Ath.83, ოპიზის სახარება, გადაწერილია ოპიზის მონასტერში 913 წელს გრიგოლის მიერ (248v-249r). ხელნაწერი იმითაც არის გამორჩეული, რომ ათონზე დაცულ ოთხთავებს შორის მხოლოდ ის არის გადაწერილი ასომთავრულით, შესაბამისად, მათ შორის ყველაზე ძველია (სურ.18). ხელნაწერში წარმოდგენილია 260 ფურცელი.

ოპიზის ოთხთავი სრულად შეიცავს მარკოზის, ლუკასა და იოანეს სახარებებს, ხოლო მათეს სახარება იწყება მთ. 4, 12-დან. 248v-249r-ზე არის გადამწერის ანდერძი: „*მე გლახაკი და ცოდვილი გრიგოლ ღირს-მყო უფალმან ღმერთმან იესუ ქრისტემან მოგებად და დაწერად ჰელითა ჩემითა წმიდაა ესე ოთხთავი სახარება... დაიწერა წმიდაა ესე სახარება ლავრასა შინა წმიდისა ნათლის მცემელისასა უპიზას. დედისაგან უცთომელისა სიტყვით და ზანდუკით გამოწმედილისა. და ქორონიკონი იყო რ~ლგ.*“²⁹

დიდი ხანია შესწავლილია, რომ ოპიზის სახარება ოპიზური რედაქციის ტექსტს შეიცავს. ეს სწორედ ის ოთხთავია, რომლის სახელიც ჰქვია ოპიზურ, იგივე ჯრუჭ-პარხლის რედაქციას, ვინაიდან სწორედ მასშია ტექსტის ეს ტიპი დაცული. ჯერ კიდევ 1909-11 წლებში ოპიზის სახარების მათესა და მარკოზის თავები გამოსცა ვლადიმერ ბენეშევიჩმა ტბეთის ოთხთავთან (995 წლის) ერთად. რ. ბლეიკმა დაბეჭდა ტბეთის სახარების ტექსტი ადიშისა და ოპიზისა სახარებათა ვარიანტებითურთ და დაურთო ლათინური თარგმანიც. ასე გამოსცა მან ჯერ მარკოზის თავი (The old Georgian... 1928), შემდეგ მათესი (The old Georgian... 1933), უფრო გვიან – იოანესი (1950 წელს მ. ბრიერთან ერთად) (The old Georgian.... 1950). რ. ბლეიკის გარდაცვალების შემდეგ მ. ბრიერმა გამოსცა ლუკას სახარებაც (La Version... 1955). ოპიზის ოთხთავის ჩვენებები გათვალისწინებული აქვს სახარების ქართული თარგმანის აკადემიური გამოცემის მომზადებაზე მომუშავე ჯგუფს. ოპიზის ოთხთავი სამეცნიერო გამოცემებში აღნიშნულია O ლიტერით.

ორ სვეტად, 21 სტრიქონად. პატარა და ოთხკუთხედი ასომთავრული ასოები, გადახრილი მარჯვნივ. გვერდის ზომები: 139/124 მმ. ნაწერის ზომები: 110/84 მმ. სვეტებს შორის მანძილი 8 მმ. 8 ფურცლიანი რვეულები. პაგინაცია გაკეთებულია დიდი მთავრული ასოებით რვეულის დასაწყისში ზედა შუა აშიაზე და რვეულის ბოლოს – ქვედა აშიაზე. მინაწერები თითქმის მოჭრილია ამკინძავის მიერ. 260 ფურცელი, დანომრილი ფანქრით რექტობზე. უფრო ძველი პაგინაციაა ვერსოებზე, რომელიც დღეს მოჭრილია. სქელი ყდა, არც ისე ძველი, შავი ტყავის, ხეზე გადაკრული. მორთული მცენარეების უბრალო ნახატებით. ჯვარცმის გამოსახულება წინა ყდაზე. მარიამ ღვთისმშობლის გამოსახულება უკანა ყდაზე. ორი საკეტი. **შეიცავს: მათეს** სახარებას: მთ. 4, 12-დან. 67r-მდე - მათეს სახარება. 67r-v – სუფთა ფურცელი. **მარკოზის** სახარებას: 68r-113r – მარკოზის სახარება. 113v – სუფთა ფურცელი. **ლუკას** სახარებას: 114r-191v - ლუკას სახარება. 192 – სუფთა ფურცელი. **იოანეს** სახარებას: 193r-249r – იოანეს სახარება. მინაწერი არის 248v/249r-ზე, ჩასმულია წითელი ფერის ჩარჩოში. მინაწერიდან მოჰყავს მნიშვნელოვანი პასაჟი: „*მე გლახაკი და ცოდვილი გრიგოლ ღირს მყო უფალმან ღმერთმან იესუ ქრისტემან მოგებად და დაწერად ჰელითა ჩემითა წმიდაა ესე ოთხთავი სახარება... დაიწერა წმიდაა ესე სახარება ლავრასა შინა წმიდისა ნათლის მცემელისასა უპიზას. დედისაგან უცთომელისა სიტყვით და ზანდუკით გამოწმედილისა. და ქორონიკონი იყო რ~ლგ.*“

²⁹ რ~ლგ = 133; 133+780=913 წელი.

Handwritten text in two columns, likely a manuscript page. The text is written in a dark ink, possibly a medieval script. There are several red initials and rubrics scattered throughout the text, indicating specific sections or headings. The page is numbered '57' in the bottom right corner.

Handwritten text in two columns, likely a manuscript page. The text is written in a dark ink, possibly a medieval script. There are several red initials and rubrics scattered throughout the text, indicating specific sections or headings. The page is numbered '57' in the bottom right corner.

ლიტერატურის მუზეუმის ხელნაწერთა კოლექციაში დაცული ათონური ოთხთავის პალეოგრაფიულ-კოდიკოლოგიური აღწერილობა

გარდა ზემოთ განხილული ოთხთავის ექვსი ხელნაწერისა, მივაკვლიეთ სახარების კიდევ ერთ ნუსხას რომლის წარმომავლობა ათონის ქართველთა სავანეს უკავშირდება³⁰. ლიტერატურის მუზეუმის ხელნაწერთა კოლექციაში 12854-ხ ნომრით დაცულია ოთხთავის ხელნაწერი, რომელსაც XII საუკუნით ათარიღებენ. ეს ოთხთავი³¹ ნახსენები არ აქვს არც ალექსანდრე ცაგარელს და არც რობერტ ბლეიკს.

ზემოთ დასახელებული ექვსი ათონური ოთხთავის საერთო კონტექსტში ლიტერატურის მუზეუმში დაცული ათონური ოთხთავი არ განხილულა. ქვემოთ შევეცდებით დავასაბუთოთ, რომ ამის საჭიროება არც არსებობს. სანამ ამ საკითხზე უშუალოდ გადავალთ, წარმოვადგენთ ხელნაწერის აღწერილობას.

ლიტერატურის მუზეუმში 12854-ხ ნომრით დაცული ხელნაწერი შეიცავს 244 ფურცელს. დაუწერელი გვერდები: 1r, 6v, 7v, 75r-v, 76r-v, 114r-v, 180v, 228v. ფურცლის ზომა: 7×9 სმ., სვეტების რაოდენობა: 2, სვეტებს შორის მანძილი: 1 სმ., სვეტების ზომა: 3×7 სმ, სტრიქონების რაოდენობა: 26. მასალა – ეტრატი. ხელნაწერი ჩასმულია ტყავგადაკრულ ხის ყავისფერ ყდაში.

ტექსტი გადაწერილია მწყობრი ნუსხურით, შავი ფერის მეღვინით. საზედაო ასოები და სათაურები გამოყვანილია სინგურით, მაგრამ მოგვიანებით ისინი ოქროსფერი მეღვინით არის გაცხოველებული, ნაწილობრივია გაცხოველებული ზანდუკში გამოყენებული სინგური. ხელნაწერს აქვს რვეულებრივი პაგინაცია, თითოეულ რვეულში 6 ფურცელია. პაგინაცია გაკეთებულია მთავრული ასოებით რვეულის დასაწყისში ზედა შუა არშიაზე, ხოლო რვეულის ბოლოს – ქვედა აშიაზე. ხელნაწერში დაცულია მახარებლების: მათეს, მარკოზის, ლუკასა და იოანეს მინიატურები (7r, 77r, 115r, 180r) (სურ. 19). მინიატურები შესრულებულია ქაღალდზე, როგორც ჩანს, ისინი გვიან არის ჩაკერებული. თითოეული სახარების დასაწყისში გაკეთებულია კამარის მსგავსი თავკაზმულობა (8r, 78r, 116r, 181r).

ათონურ ოთხთავში ოთხივე სახარება სრულადაა წარმოდგენილი: მათეს სახარება (8r-73v), მარკოზის სახარება (78r-111v), ლუკას სახარება (116r-179v), იოანეს სახარება (181r-227v). თითოეულ სახარებას უძღვის თავთა საძიებლები: მათეს – 3r-6r, მარკოზს – 74r-v, ლუკას – 111v-113v, იოანეს – 179r-v.

³⁰ <http://literaturemuseum.com/manuscripts.html?lang=GE>

³¹ ვინაიდან ამ ხელნაწერს სამეცნიერო ლიტერატურაში აქამდე ათონური ოთხთავის სახელით მოიხსენიებდნენ, ქვემოთ ჩვენც ასე ვუწოდებთ მას.



სურ. 19, 12854-ბ, 180v, იოანე მახარებელი

ოთხთავს დასაწყისში დართული აქვს ეპისტოლე ევსებოს კარპიანეს მიმართ (1v-3r). ჩვეულებრივ, ოთხთავის ხელნაწერებში ეპისტოლეს ევსებოს კარპიანეს მიმართ მოსდევს კამარებში ჩასმული კანონები ევსებოს კესარიელი ეპისკოპოსისა, თუმცა ჩვენს საკვლევ სახარებას ამგვარი კანონები არ ახლავს. ზოგიერთ ხელნაწერში კი ტაბულების გამარტივებული ვარიანტი ფურცლის ქვედა ნაწილში, აშიაზეა მოცემული. ათონური ხელნაწერის შემთხვევაში არც ამგვარი გამარტივებული ტაბულებია წარმოდგენილი.

ხელნაწერს ბოლოში დართული აქვს „ზანდუკი სახარებისა საძიებლისაჲ საწელიწდოჲ...“ (229r-244v).

ხელნაწერს არ ახლავს გადამწერის ანდერძი, შესაბამისად, არ ვიცით მომგებელისა და გადამწერის ვინაობა. მითითებული არ არის არც გადამწერის თარიღი.

ხელნაწერის აღწერისას აღვნიშნეთ, რომ წითელი ფერის მელნით შესრულებული საზედაო ასოები და სათაურები მოგვიანებით ოქროსფერი მელნით არის



სურ. 19, 12854-ბ, 8v

გაცხოველებული. სწორედ ამ ოქროსფერი მელნით მათეს სახარების დასაწისში (8v) გაკეთებულია ერთი საინტერესო მინაწერი ნუსხურად: „*ბახულისა ღვთისმშობელო, შეიწყალე ბატონიშვილი თეკლა, ამენ. უფალო ღმერთო, მფარველ ექმენ ორსავე შინა ცხოვრებასა*“ (სურ. 20). საქართველოს ისტორიაში ცნობილია ერთი თეკლა ბატონიშვილი, ერეკლე II-ის ასული, რომელიც რომანტიკოსი პოეტი ქალი იყო. ზემოთ აღნიშნული მინაწერი და, აგრეთვე, საგულდაგულოდ გაცხოველებული სინგურით შესრულებული საზედაო ასოები და სათაურები გვაფიქრებინებს, რომ შესაძლებელია ეს ოთხთავი

გარკვეულ დროს თეკლა ბატონიშვილის მფლობელობაშიც ყოფილიყო.

იმავე ოქროსფერი მელნით, ამჯერად უკვე მხედრულით და არაბული ციფრებით, ხელნაწერის ბოლო ფურცელზე (244v) გაკეთებულია მინაწერი: „*246 ფურცელი*“. მხედრული ანბანით შესრულებული ეს მოკლე მინაწერი ადასტურებს, რომ თეკლა ბატონიშვილის მოსახსენებელი ნუსხური მინაწერიც გვიანდელი უნდა იყოს და, შესაძლოა, მასვე ეკუთვნოდეს.

63v-ზე მარცხენა არშიაზე გაკეთებულია მინაწერი: „*არცა ძემან: ესე სიტყუდ სამთა სახარებათა არა ეწერა და არცა მე დავწერე*“.³²

92r-ზე მარკოზის სახარების მე-8 თავის მე-10 მუხლის, „...და წარვიდა ადგილთა მაგდალოძსათა“, გასწვრივ დაწერილია „*დალმანუთაძსათა*“.

³² ამ მინაწერის შესახებ იხილეთ: ეკა კვიციანი, *სახარების ომკური ხელნაწერის (ათონ. 62) ერთი მინაწერის შესახებ*, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, №II, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2011, გვ. 188–197.

161v-ზე ლუკას სახარების მე-18 თავის 25-ე მუხლის, „უადვილეს არს მანქანისა საბელი...“; გასწვრივ არშიაზე მიწერილია „აქლემი“.

239v-ზე, რომელზეც საწელიწდო სახარების საძიებელი, იგივე ზანდუკია განთავსებული, არშიაზე ჩამატებაა გაკეთებული.

ათონურ ოთხთავს გადამწერისვე ხელით აგრეთვე დართული აქვს გიორგი მთაწმინდლის ცნობილი ანდერძი, რომელიც შემდეგი რედაქციითაა წარმოდგენილი: „ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რამეთუ ესე წმიდაჲ ოთხთავი ახლად გვთარგმნია ფრიადთა იძულებითა ძმათა ვიეთმე სულიერთადთა და ბერძულთა სახარებათადა შეგვჩამებია ფრიდითა გამოწულილვითა. და ვინცა ვინ დასწერდეთ, ვითა აქა ჰპოოთ, ეგრე დაწერეთ, თუ ამისგან ჯერ გიჩნდეს დაწერაჲ, ღმრთისათჳს, სიტყუათა ნუ სცვალებთ, ვითარცა აქა სწერია, ეგრე დაწერეთ. და თუ არა რადმე გაშუნდეს, ჩუენნი ყოველნი სახარებანი პირველითგან წმიდად თარგმნილნი არიან და კეთილად, ხანმეტნიცა და საბაწმიდურნიცა, მუნით დაწერეთ და ღმრთისთჳს ერთმანეთს ნუ გაჰრევთ და გლახაკისა გიორგისთჳს, რომელმან ესე დიდითა ღუაწლითა ვთარგმნე, ლოცვა ყავთ”³³

როგორც ვხედავთ, ათონურ ოთხთავში გიორგი მთაწმინდლის ანდერძის A რედაქციის ტექსტია დაცული, თუმცა კი აქამდე ცნობილისაგან ვარიანტული სხვაობით, კერძოდ, „რომელმან ესე დიდითა ღუაწლითა ვთარგმნე...“³⁴ „დიდითა ღუაწლითა“, ჩვენი აზრით, დამატებულია, რათა კიდევ უფრო მეტად გაემყარებინათ გიორგი მთაწმინდლის ღვაწლი ქართული ოთხთავის კანონიკური ტექსტის ჩამოყალიბების საქმეში და შერყვნისაგან დაეცვათ წმიდა წერილი.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ მღვდელმონაზონი ილია ფანცულაია ერთ-ერთი უკანასკნელი მოღვაწე იყო ათონზე, იგი ელია წინასწარმეტყველის კელიაში ცხოვრობდა. 1920 წელს სხვა ქართველ ბერებთან ერთად მასაც მოუხდა ათონიდან სამშობლოში დაბრუნება. ამ პიროვნებას გარკვეული წვლილი მიუძღვის ქართული ხელნაწერების მოვლა-პატრონობის საქმეში. მან ოთხი ათონური ხელნაწერი ჩამოიტანა საქართველოში, ზოგიერთისა კი პირი გააკეთა. ორი ხელნაწერი – A-1140 და A-1141 – არის მღვდელმონაზონ ილია ფანცულაიას მიერ შედგენილი ათონის ივერთა მონასტრის ქართულ ხელნაწერთა კატალოგი, რომლებშიც 15-მდე ხელნაწერია აღწერილი. უბრალოდ დასახელებული – ბევრად უფრო მეტი.

³³ ამის შეახებ იხ. აკაკი შანიძე, უძველესი ქართული ტექსტების აღმოჩენის გამო, თხზულებანი, II ტომი, 1981, გვ. 284.

³⁴ ანდერძის ეს ვარიანტი წარმოდგენილია აგრეთვე სანკტ-პეტერბურგის რუსეთის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცულ XII-XIII საუკუნის რუსუდან დედოფლის ოთხთავში. დაწვრილებით იხილეთ: ვაჟა კვიციანი, *რუსუდან დედოფლის ოთხთავი პეტერბურგიდან*, საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, IX, თბილისი, 2008, გვ. 54-57.

ცნობილია მღვდელმონაზონ ილია ფანცულაიას პირადი მიმოწერა მოსე ჯანაშვილთან, სარგის კაკაბაძესთან. ეს წერილები „ლიტერატურულ მატრიანეშია“ დაბეჭდილი (ლიტერატურული... 1986:164-168). ამ მიმოწერიდან ჩვენთვის საინტერესოა ორი მათგანი, რადგან ისინი ათონური ოთხთავის თავგადასავალს შეეხება. ორივე წერილის ტექსტს უცვლელად მოვიყვანთ: „ს. კაკაბაძეს, ამასთანავე გაახლებთ ტყავზე ნაწერ პატარა სახარებას, რომელიც მე მოტანილი მაქვს ძველ ათონიდან, რადგანაც ძალიან გაჭირვებაში ვარ, გთხოვთ მომიხერხოთ ამ სახარების განაღდება რომელიმე დაწესებულებაზე. მღვდელმონაზონი ილია სიმონის ძე ფანცულაია. 4/1.1929 წელი“ (ჭიჭინაძე 1986ა:168). როგორც ვხედავთ, წერილი 1929 წელს არის დაწერილი და ამ დროს მღვდელმონაზონი ილია ფანცულაია თბილისში იმყოფება, მას ათონიდან ჩამოტანილი სახარებაც თან აქვს და მძიმე სოციალური მდგომარეობის გამო ხელნაწერთა შემგროვებელი რომელიმე დაწესებულებისათვის მისი მიყიდვა განუზრახავს. 15 წლის შემდეგ, 1944 წლის 17 ოქტომბერს, სარგის კაკაბაძემ ლიტერატურის მიზეუმის მაშინდელ დირექტორს, გიორგი ლეონიძეს, შემდეგი შინაარსის წერილი მისწერა: „გთხოვთ შეიძინოთ ტყავზე დაწერილი სახარება – ოთხთავი ფერადიანი მინიატურებით ჩამოტანილი ათონიდან მღვდელმონაზონ ილია სიმონის ძე ფანცულაიასაგან, რომლისაგან მე ეს სახარება შევიძინე 1929 წელს. ხელნაწერს თან აქვს გაკეთებული იარლიყი №1 (ათონის მონასტრის წიგნსაცავისა). სახარება მიეკუთვნება დაახლ. მე-13 საუკუნეს და წარმოადგენს ერთ-ერთ მეტად საინტერესო ხელნაწერს ქართული ოთხთავისას. თავისი ტექსტით ის უდგება ეგრეთ წოდებულ ჯრუჭისეულ მე-11 საუკუნის ხელნაწერს“ (ლიტერატურული... 1986:168) როგორც ჩანს, 1929 წელს სარგის კაკაბაძემ თავად შეიძინა ეს სახარება ილია ფანცულაიასაგან და მხოლოდ 1944 წელს გადასცა იგი ლიტერატურის მუზეუმს. ბუნებრივია, რობერტ ბლეიკს, რომელმაც 1932 წელს აღწერა ათონზე დაცული ქართული ხელნაწერები, სახარების ეს მანუსკრიპტი ნანახი არ ექნებოდა.

სარგის კაკაბაძე გიორგი ლეონიძისადმი მიწერილ წერილში აგრეთვე აღნიშნავს, რომ ათონურ ოთხთავს ახლავს იარლიყი №1 ათონის მონასტრის წიგნსაცავისა. ეს იარლიყი ამჟამად ხელნაწერზე არ არის. თუმცა 1986 წელს ათონური ოთხთავის შესახებ გამოქვეყნებულ სტატიაში ავტორი სირა ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ ამ ხელნაწერის „არსებობა ათონის მონასტერში დადასტურებულია საუკუნეების მანძილზე და მის ყუაზე ათონის მონასტრის წიგნსაცავის იარლიყია მოთავსებული პირველი ნომრის აღნიშვნით“ (ჭიჭინაძე 1986ბ:216).

სარგის კაკაბაძე გიორგი ლეონიძისადმი მიწერილ წერილში ვარაუდობს, რომ „თავისი ტექსტით ის (ათონური ოთხთავი – ე. კ.) უდგება ეგრეთ წოდებულ ჯრუჭისეულ მე-11 საუკუნის ხელნაწერს“. თუკი სარგის კაკაბაძე მეათე საუკუნის

ჯრუჭის სახარებას (936 წლის, H-1660) გულისხმობს, დღეისათვის დადგენილია, რომ მასში წინაათონური, ოპიზის, იგივე ჯრუჭ-პარხლის რედაქციის ტექსტია დაცული.

ჩვენ საგანგებოდ შევისწავლეთ ათონურ ოთხთავში დაცული მათეს, მარკოზის, ლუკასა და იოანეს სახარებების ტექსტები. ისინი გიორგი ათონელის რედაქციის ოთხთავის ტექსტის იდენტურია. როგორც ჩანს, სარგის კაკაბაძის ზემოთ აღნიშნული ვარაუდი ტექსტოლოგიურ კვლევას არ ეფუძნება.

მიუხედავად ჩვენამდე მოღწეული წერილებისა, რომლებიც ზემოთ განვიხილეთ, ათონური ოთხთავის წარმომავლობის საკითხი მაინც ბუნდოვანი რჩება. პასუხგაუცემელია კითხვები: გადაიწერა თუ არა ეს ხელნაწერი ათონის ქართველთა სავანეში? თუკი მანუსკრიპტი ათონზე გადაწერეს და 1920 წლამდე იქ ინახებოდა, საიდან გაჩნდა მასზე თეკლა ბატონიშვილის მოსახსენებელი მინაწერი? თუკი იქ არ გადაწერილა, როგორ მოხვდა ათონზე? ამ კითხვებზე პასუხი რომ მოგვეძიებინა, გადავწყვიტეთ, საგანგებოდ შეგვესწავლა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული მღვდელმონაზონ ილია ფანცულაიას შედგენილი ორი კატალოგი (A-1140 და A-1141), რომლებშიც მის მიერ გაკეთებული ათონურ ხელნაწერთა აღწერილობაა დაცული. მათგან A-1141-ში აღწერილია ხელნაწერები და ნაბეჭდი წიგნები, რომლებიც ინახება ათონის წმინდა ელია წინასწარმეტყველის ეკლესიაში ივერიის მონასტრის ტერიტორიაზე. პირველივე ნომრად მას სწორედ ჩვენთვის საინტერესო ათონური ოთხთავი აქვს აღწერილი. რასაკვირველია, მას ათონური ოთხთავის სახელით არ მოიხსენიებს. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ილია ფანცულაიას მიერ პირველ ნომრად აღწერილი ოთხთავი ჩვენი კვლევის საგანი – ათონური ოთხთავია. მის მიერ შენიშნული ყველა დეტალი, მინაწერები, თანხედება ჩვენ მიერ გაკეთებულ აღწერილობას. მღვდელმონაზონ ილია ფანცულაიას მიერ აღწერილი ოთხთავის დეტალებს აქ აღარ მოვიტანთ. აღვნიშნავთ მხოლოდ ჩვენთვის საინტერესო ადგილებს. კერძოდ, იგი წერს: *„ეს სახარება ჩემდა ბოძებული აქვს ბანძის საზოგადოების სოფელ ვედიდკარის წმიდა მთავარანგელოზთა 2 შტატიანი ეკლესიის აწ განსვენებული მღვდლის იოანე ფოჩხუას ძმისწულს, მონაზონს ნატალიას 1911 წელს, 17 ივნისს“*. ამ მინაწერის წაკითხვის შემდეგ ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ მღვდელმონაზონ ილია ფანცულაიას ან საქართველოში მოუპოვებია და თავად ჩაუტანია ათონის მთაზე ე. წ. ათონური ოთხთავი, ან მონაზონმა ნატალიამ გაუგზავნა მას იგი.³⁵ თავისთავად ცხადია, რატომ არ ჩანს ეს ხელნაწერი 1886 წლის ალ. ცაგარლის აღწერილობაში და რატომ ვერ ნახა 1898 წელს იგი ნიკო მარმა ათონზე ყოფნისას. შესაბამისად, არ

³⁵ A-1140 ხელნაწერზე, რომელშიც მღვდელმონაზონ ილია ფანცულაიას 7 ხელნაწერი აქვს აღწერილი, ბოლოში დაურთავს მისი ათონზე ყოფნის ისტორია. ამ დანართის მიხედვით იგი 1905 წლიდან ჩანს ათონზე.

გამოვრიცხავთ, რომ ათონური ოთხთავი თეკლა ბატონიშვილის ან სამეფო კარის რომელიმე წევრის მფლობელობაში ყოფილიყო, რისი ვარაუდის საფუძველს ზემოთ დასახელებული ოქროს ვარაყით შესრულებული მინაწერი („*ხახულისა ღმრთისმშობლო შეიწყალე ბატონიშვილი თეკლა აწ. უფალო ღმერთო მფარველ ექმენ ორსავე შინა ცხორებასა*“) გვაძლევს. ჩვენი აზრით, ლიტერატურის მუზეუმის ხელნაწერთა კოლექციაში 12854-ხ ნომრით დაცული ოთხთავის ხელნაწერი უდავოდ ძველია. თუმცა ვარაუდს, რომ იგი ათონზე დაცული ქართული კოლექციის ნაწილი უნდა იყოს, ზემოთ განხილული არგუმენტების საფუძველზე, ვერ გავიზიარებთ.

დასკვნა

ათონის ქართველთა სავანეში დაცული ოთხთავის ქართული თარგმანის შემცველი ექვსი ხელნაწერის (Ath.15; Ath.53; Ath.62; Ath.67; Ath.75; Ath.83) განხილვის შედეგად დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ისინი განსხვავებული არიან როგორც პალეოგრაფიული, ასევე, ტექსტოლოგიური თვალსაზრისით, რადგან მათში სახარების ქართული თარგმანის სხვადასხვა ტიპია დაცული. მათ შორის, გამორჩეულია XI საუკუნეში გადაწერილი Ath.62, რომელზეც ჩანს რედაქტორული მუშაობის კვალი. პალეოგრაფიული თვალსაზრისით Ath.62 ფრიად განსხვავებულია ოთხთავის დანარჩენი ხელნაწერებისაგან. ერთი შეხედვითაც ადვილად შესამჩნევია ნუსხური ასოების კუთხოვანება და სიწვრილე. რაც შეეხება მასში დაცულ ტექსტს, ისიც განსხვავებულია ზემოთ ხსენებული ყველა დანარჩენი ოთხთავისაგან, ამაზე ქვემოთ დაწვრილებით გვექნება საუბარი.

კალიგრაფიის, სტილის მიხედვით ერთმანეთს ემსგავსებიან Ath.53 და Ath.75. ხოლო Ath.67 და Ath.15 განსხვავებული ნუსხურით არის გადაწერილი. რაც შეეხება ამ ოთხ ოთხთავში დაცულ ტექსტს, მათში გიორგი მთაწმინდლის რედაქციაა წარმოდგენილი. Ath. 53-ის მათეს სახარების ტექსტში გიორგი მთაწმინდლის საბოლოოდ ჩამოყალიბებული რედაქცია არ უნდა იყოს დაცული, რადგანაც ზოგიერთი ადგილი განსხვავდა მისგან. ვფიქრობთ, ამ კუთხით Ath.53-ის მათეს სახარების ტექსტი დამატებით შესწავლას მოითხოვს.

პალეოგრაფიული და ტექსტოლოგიური თვალსაზრისით სრულიად ცალკე დგას Ath.83, რომელიც ასომთავრულით არის გადანუსხული. ამ ოთხთავებს შორის იგი ყველაზე ძველია და მასში ჯრუჟ-პარხლის, იგივე ოპიზური რედაქციაა დაცული.

რაც შეეხება ლიტერატურის მუზეუმის ხელნაწერთა კოლექციაში 12854-ხ ნომრით დაცულ ოთხთავის ხელნაწერს, იგი, ჩვენი აზრით, ათონის ივერთა მონასტრის კოლექციის ნაწილს არ უნდა წარმოადგენდეს.

§2. შავი მთის მონასტრები და იქ გადაწერილი ოთხთავის ქართული ხელნაწერები

შავი მთა, იგივე საკვირველი მთა, ისტორიულად სირიის ანტიოქია, ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზე მდებარეობს. იქ არსებული ქართული მონასტრების შესახებ მწირი ისტორიული ცნობები გვაქვს. ძირითად წყაროს შავი მთის სავანეებისა და X-XIII საუკუნეებში ქართველთა მწიგნობრული საქმიანობის შესახებ იქ გადაწერილი ხელნაწერების კოლოფონები წარმოადგენს. სწორედ ამ ანდერძ-მინაწერთა საფუძველზე გამოვლინდა შავი მთის რვა მონასტერი (მენაბდე 1980:152-167): კალიპოსი, სვიმეონწმიდა, რომანწმიდა, კასტანა, ეზრას მონასტერი, ლერწმისხევი, თუალთა მონასტერი, ბარლაამწმიდა (ჯობაძე 2001:418-435), რომლებშიც სხვადასხვა დროს მოღვაწეობნენ ქართველი მწიგნობრები: გიორგი შეყენებული, გიორგი ათონელი, გიორგი მცირე, ეფრემ მცირე და სხვანი. შავ მთაზე გადაწერილი ხელნაწერები გამოირჩევა განსაკუთრებული მხატვრული შემკულობითა და კალიგრაფიით. ანტიოქიის რეგიონის ქართულმა ხელნაწერებმა მცირე რაოდენობით მოაღწია ჩვენამდე. მათი რაოდენობა დაახლოებით ოცამდეა და ამჟამად სხვადასხვა კოლექციაში ინახება, მათ შორის 10-მდე ხელნაწერი საქართველოშია (უცხოეთში... 2018:15-16). შავი მთის სამწიგნობრო კერებში შეიქმნა XI საუკუნის ოთხთავის ქართული თარგმანის შემცველი უძვირფასესი ნუსხები: ალავერდის (A-484), კალიპოსის (K-76), ვატიკანის (Vat. Iberico 1), რუისის (A-845) ოთხთავები და S-962 (თვალთვაძე 2015ბ). ამ ხელნაწერებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ათონური რედაქციის ისტორიის შესწავლის საქმეში. ზოგიერთი მათგანი უკვე გამოკვლეული და გამოცემულია, ზოგი კი უფრო დეტალურ შესწავლას საჭიროებს. ჩვენ თითოეულ მათგანს ცალ-ცალკე განვიხილავთ როგორც პალეოგრაფიული, ასევე, კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური თვალსაზრისით.

ალავერდის ოთხთავის (A-484)

პალეოგრაფიულ-კოდიკოლოგიური აღწერილობა

ალავერდის ოთხთავი (A-484) ერთ-ერთი ყველაზე მაღალმხატვრული და ძვირფასი ხელნაწერია ქართული ოთხთავის ტექსტის შემცველ ნუსხებს შორის. იგი კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციაში ინახება და სათანადოდაც არის აღწერილი (ქართ. ხელნ. აღწერილობა, A ფონდი, 1986:210-216). აქ მხოლოდ ჩვენთვის საინტერესო და მნიშვნელოვან ინფორმაციას მოვიტანთ.

ალავერდის ოთხთავში 324 ფურცელია, ზომები: 24×19, დაწერილია კარგად გამოყვანილ სპილოსძვლისფერ ეტრატზე, ჩასმულია მოჭედილ ვერცხლის ყდაში და

შემკულია 70 ძვირფასი თვლით. საწერად გამოყენებულია ოქროსფერი მელანი, საზედაო ასოებისათვის – ზოგან სინგური. გადაწერილია წვრილი, კუთხოვანი ნუსხურით და ამ თვალსაზრისით ემსგავსება Ath.62-ს. მათი ზომებიც თითქმის იდენტურია.


ხელნაწერში ჩართულია მახარებელთა მინიატურები ბერძნული წარწერებით: მათე (14v), მარკოზი (101v), ლუკა (156v), იოვანე (243v). სახარებების დასაწყისები დეკორირებულია შავი მთის სკოლისათვის დამახასიათებელი კამარებითა (სურ. 1) და ასევე დეკორირებული საზედაო ასოებით.




სურ.1. A-484, 14v-15r

ოთხთავის ტექსტს უძღვის კამარებში ჩასმული ევსებოსის კანონები (2v-9r), ეპისტოლე ევსებოსის კარპიანეს მიმართ (1v-2r) და ერთვის აპოკრიფული თხზულება „ავგაროზის ეპისტოლე“ (317r-323v), რომელიც ქართულ ხელნაწერებში ორი, მოკლე და ვრცელი, რედაქციით არის დაცული (ჩხიკვაძე 2007). ალავერდის ოთხთავი ერთადერთი ნუსხაა, სადაც თხზულების მოკლე ვერსიაა წარმოდგენილი. ეპისტოლე ილუსტრირებულია: სარეცელზე მწოლარე ედესის მთავარი ავგაროზი შიკრიკს აძლევს ეპისტოლეს, რომელიც მან, ევსებოს კესარიელის გადმოცემის თანახმად, იესო ქრისტეს უნდა გადასცეს. სწეული მეფე ავგაროზი მაცხოვარს განკურნებას სთხოვს. სურათი ჩასმულია კამარაში (316v). თვით ეპისტოლეში კი ჩართულია მცირე მინიატურები: იესო ქრისტესი (318r), ისევ იესო ქრისტესი (320v), ტაძრის (321v) და ნათლისმცემლის (323v). ავგაროზის ეპისტოლეში 34 არაჩვეულებრივად დეკორირებული საზედაო ასოა.

აქვე დავამატებთ ხელნაწერის ლინირების საკითხს, რომელიც აღწერილობაში არ არის მითითებული. ლინირება ალავერდის ოთხთავის ძირითად ნაწილში ასე გამოიყურება:³⁶



განსხვავებულია ლინირება ავგაროზის ეპისტოლს ნაწილში, Lerroy-ის სისტემის მიხედვით ეს არის P2 20E2 (Répertoire 1995:248):



³⁶Lerroy-ის სისტემაში (Répertoire 1995) ალავერდის ოთხთავის ლინირების მსგავსი სისტემა არ იძებნება. ამ სქემას Lerroy-ის სისტემის ნომრების მინიჭების სისტემის მიხედვით L 20E2 მივანიჭეთ, სადაც L ისეთ ბადეს აღიშნავს, როცა ტექსტის ადგილის ჩარჩო ხაზები და საზედაო ასოებისთვის გავლებული ხაზი არ კვეთს გარე აშიებს, ხოლო E – მიემართება მხოლოდ ორ კოლონად ნაწერ ტექსტებს, როცა საწერი ხაზები გავლებულია კოლონების შემომსაზღვრელ ხაზებს შორის, ისე რომ არ იკვეთება კოლონებს შორის აშია. E-ს შემდეგ მითითებული ციფრი კი აღნიშნავს სვეტების რაოდენობას.

ხელნაწერი მდიდარია ანდერძებითა და მინაწერებით, რომელთა მეშვეობითაც დგინდება, რომ ის რამდენიმე პირს გადაუწერია. კერძოდ, ანდერძში დასახელებული არიან **სვიმეონი** („*იესუ ქრისტე, შეიწყალე სვიმეონ (ს~მნ)*“, 100r; „*დიდება ღმერთსა, განსრულდა მარკოზის თავიცა სახარებაჲ. იესუ ქრისტე, შეიწყალე სვიმეონ*“, 152r), **გიორგი** („*განსრულდა ესეცა თავი სახარებისაჲ შეწევნითა და მომადლებითა წმიდისა და თაყუანისსაცემელისა სამებისა, ერთარსებისა და ერთღმრთე[ე]ებისა, მამისა და ძისა და წმიდისა სულისაჲთა და მეოხებითა წმიდისა ლუკა მახარებელისაჲთა, ჰელითა ფრიად ცოდვილისა გიორგისითა*“, 241v) და **იოანე დვალი** („*ლოცვა-ყავთ წმიდანო მამანო, სულითა საწყალობელისა ცოდვილისა ბერისა იოვანე დვალისათჳს, უცხად მჩხრეკალისა, ღმერთმან გარწმუნოს*“ (323v), რომელთაც ერთგვაროვანი კალიგრაფიული სტილი შეუნარჩუნებიათ.

ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში მითითებულია, რომ ხელნაწერი გადაწერილია 1054 წელს კალიპოსში, წმინდა ღვთისმშობლის ლავრაში (ქართ. ხელნ. აღწერილობა, A ფონდი, 1986:212). მეცნიერებაში ეს თარიღი არის გაზიარებული. სინამდვილეში, ანდერძში გადაწერის თარიღი ზუსტად მოცემული არ არის. კოლოფონი ასე იკითხება: „*დაიწერა კალიპოსს ლავრასა წმიდისა ღმრთისმშობელისასა, მეფობასა კოსტანტი მონამახისსა, ანტიოქიას პატრიარქობასა პეტრესსა და ბაგრატის აფხაზთა მეფისა ნოველისიმოსისა სამეუფეოს ყოფასა, ლოცვა ყავთ მიქაელ და გიორგისთჳს გლახ. იესუ ქრისტე, შეუნდვენ, ამენ. ქრონიკონი იყო (?)*“ (314r).

როგორც ვხედავთ, ქრონიკონის თარიღი ანდერძში არ წერია. აღწერილობაში ნათქვამია, რომ დათარიღების საფუძვლად აღებულია ფრაზა: „*დაიწერა ბაგრატის აფხაზთა მეფისა ნოველისიმოსისა სამეუფეოს ყოფასა*“, რაც 1054 წელს მომხდარა (ქართ. ხელნ. აღწერილობა, A ფონდი, 1986:212). დასტურად მოტანილია ილია აბულაძის მიერ პალეოგრაფიულ აღბოძში „ქართული წერის ნიმუშები“ გამოთქმული მოსაზრება. აი, რას წერს ილია აბულაძე: „*ისტორიიდან ცნობილია, რომ ბაგრატ IV კოსტანტინეპოლს, სამეფო კარზე, 1054 წელს იყო და, ამდენად, იგი უნდა მივიჩნიოთ ამ დროის ხელნაწერად*“ (აბულაძე 1973:361).

ჩვენი აზრით, ხელნაწერის დათარიღება მხოლოდ ბაგრატ IV-ის კონსტანტინოპოლში ყოფნის ფაქტს არ უნდა დაეფუძნოს. მით უმეტეს, რომ იგი ბიზანტიაში მხოლოდ ერთ წელიწადს არ იმყოფებოდა. ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია ორი ვერსია ბაგრატ IV-ის ბიზანტიაში ცხოვრების შესახებ: 1051-1054, ან 1052-1055 წლები (ბერძნიშვილი 1978:46-47; ქრონიკები... 1892, 2004:198-199; სამუშია 2011:125-153). რაც შეეხება იმ საკითხს, თუ როდის მიიღო ბაგრატ IV-მ ნოველისიმოსის ტიტული, თანამედროვე ისტორიოგრაფიაში უკვე გარკვეულია, რომ ის მას 1050-60 წლებში ფლობდა (თავაძე 2012:112-117).

გარდა ამისა, ალავერდის ოთხთავის ანდერძში ისიც წერია, რომ იგი გადაწერილია ანტიოქიაში პეტრე III-ის პატრიარქობისას, რომელიც პატრიარქი 1052 წლის ივნისიდან 1056 წლის აგვისტომდე ყოფილა (Православная... 2001:529), ხოლო ბიზანტიაში კონსტანტინე IX მონომახის იმპერატორობისას, რომელიც 1042 წლის 12 ივნისიდან 1055 წლის 11 იანვრამდე მეფობდა (Sear 1996:355). გამოდის, რომ ალავერდის ოთხთავი უნდა გადაწერილიყო 1052-1055 წლებში.³⁷

ოთხთავში დასტურდება სხვა მნიშვნელოვანი კოლოფონიც, რომელიც მასში დაცულ ტექსტს შეეხება. ის გიორგი მთაწმინდელს უნდა ეკუთვნოდეს. 314v-ზე ვკითხულობთ: „ესე უწყოდეთ, წმიდანო მამანო, რომელნიცა მიემთხვნეთ წმიდასა ამას სახარებასა. ფრიად მართალი და წმიდაა არს, მამისა ეფთვემეს სახარებათადა შეწამებული ბერძულსა ორჯელ და ქართულსა, ყოვლითურთ უნაკლულოდ რიცხვთა და კანონითა. და განთესულნი არღარა დაეწერენ ამისთვის, რამეთუ ზანდუკი მასვე მოასწავებს, და რად არს ჭირი ორკეცი, პატივიცა წიგნისა დაუშუერდებოდა. და ყოველსავე ზედა შემინდვეთ, ღმერთმან გარწმუნოს“. ამ ანდერძისა და ჩატარებული ტექსტოლოგიური ანალიზის საფუძველზე დარეჯან თვალთვამე ფიქრობს, ალავერდის ოთხთავში დაცულია ოთხთავის ქართულ თარგმანზე გიორგი ათონელის მუშაობის შუალედური ეტაპი (თვალთვამე 2008:12-20; თვალთვამე 2015b). ამ საკითხს ქვემოთ უფრო დაწვრილებით შევეხებით, ვინაიდან ჩანს, რომ ალავერდის ოთხთავი ერთ-ერთი იმ ოთხთავთაგანია, რომელიც გამოწვლილვით შესასწავლია გიორგი მთაწმინდლის რედაქტორული მუშაობის პრინციპების გამოსავლენად.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ალავერდის სახარებას (A-484) არ ერთვის გიორგი მთაწმინდლის ცნობილი ანდერძი (თვალთვამე 2008:12-20). ალავერდის ოთხთავი სახარების აკადემიური გამოცემის მომზადებაზე მომუშავე ჯგუფს ა ლიტერით აქვს აღნიშნული, ამიტომ ჩვენც ასე აღვნიშნავთ მას.

კალიპოსის ოთხთავის (K-76) პალეოგრაფიულ-კოდიკოლოგიური აღწერილობა


კალიპოსის ოთხთავი შავ მთაზე გადაწერილ ხელნაწერთაგან ერთ-ერთი გამორჩეული ნუსხაა, როგორც პალეოგრაფიული, ასევე, ტექსტოლოგიური თვალსაზრისით. იგი ამჟამად ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ინახება

³⁷ ზაგრატ IV-ის ბიზანტიაში ყოფნის, მისთვის ნოველისიმუსის ტიტულის გადაცემისა და სხვა ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხების გარკვევაში დაგვეხმარა ლერი თავადის სადოქტორო დისერტაცია „ბიზანტიური საიმპერიო ტიტულატურა საქართველოში“. იხილეთ ელვერსია: <http://old.press.tsu.ge/GEO/internet/disertaciebi/DISERTACIA%20Leri%20Tavadze.pdf>, გვ. 112-117.

ნომრით K-76 (ქუთაისის... 1953). გადაწერილია ეტრატზე შედარებით წვრილი და კუთხოვანი ნუსხურით. ზომა – 21×16 სმ, შედგება 353 ფურცლისაგან. მინიატურები: 94v (მარკოზი); 147v (ლუკა), 241v (იოანე და წმინდა პროხორე). შავი მთის სკოლის ხელნაწერთა შემკულობის, კამარებისა და საზედაო ასოების საილუსტრაციოდ მოვიტანთ კალიპოსის ოთხთავის რამდენიმე ფოტოს (სურ, 2, სურ. 3):



სურ. 2, K-76, 6v



სურ. 3, K-76, 98r


ოთხთავის შედგენილობა: ევსებოსის წერილი ამონიოსისადმი (1v); კამარებში ჩაწერილი კანონები (2r-6v); მათეს (9v-94v), მარკოზის (96v-146v), ლუკასა (191v-241r) და იოანეს სახარებებს (243r-309v); წყდება იოვ. 21:18-ზე (309v). თითოეულ სახარებას წინ უძღვის მახარებლის გამოსახულება ასომთავრული წარწერებით. ბოლოში დართულია „განგებად სახარებათა საძიებლისად, წელიწდისა დღესასწაულთაჲ, ვითა მივალს სჯნაქსარი წესსა ზედა ბერძულსა სრულებით“ (310v-350r) და უსათაურო დოქსოლოგიური ხასიათის თხზულება, პირობითად, „შესხმად ოთხთავისა“ (350v-353r) (სილოგავა 1989:153-165; თვალთვაძე 2010).

ხელნაწერი გადაუწერია ბასილი თორელყოფილს („დაიწერა კელითა ცოდვილისა ბასილის თორელყოფილისადთა სანახებსა ასურეთისას დიდებულისა ქალაქისა დიდისა ანტიოქიისასა მონასტერსა წარჩინებულსა დიდისა კალიპოსელისასა სადიდებელსა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისასა სამკვდრებელსა“ 353r; „უფალო, მოიქსენე

წყლობით სული ბასილი ამის ოთხთავისა დამწერელისა და შეიწყალე გლახაკი კეთილთაგან სული მისი, ამენ.“ 94v) 1060 წელს („ხოლო ოდეს აღიწერა წმიდაა სახარება, ქრონიკონი იყო მაშინ სჳ“ 353v) (მუმლაძე 2006:20-23).

სახარებას ერთვის გიორგი მთაწმინდლის ცნობილი ანდერძი: „ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რამეთუ ესე წმიდაა ოთხთავი ჩუენ ახლად გვთარგმნია ფრიადითა იძულებითა ძმათა ვიეთმე სულიერთადთა და ბერძულთა სახარებათა შეგვჩამებია ფრიადითა გამოწულილვითა. და ვინცა ვინ სწერდეთ, ვითა აქა ჰპოოთ, ეგრე დაწერეთ, თუ ამისგან ჯერ-გიჩნდეს დაწერა. ღმრთისათჳს, სიტყუათა ნუ სცვალებთ, არამედ ვითარცა აქა სწერია, ეგრე დაწერეთ. და თუ არა რამე გაშუნდეს, ჩუენნი ყოველნი სახარებანი პირველითგან წმიდად თარგმნილ არს და კეთილად ხანმეტნიცა და საბაწმიდულნიცა, მუნით დაწერეთ და ღმრთისათჳს, ერთმანერთსა ნუ განჰრევთ, და გლახაკისა გიორგისთჳს ლოცვა-ყავთ.

ლოცვა ყავთ, წმიდანო ღმრთისანო, უღირსისა ბასილისთჳსცა, რომელმან წმიდაა ესე ოთხთავი მამისა გიორგის თარგმნილისა სახარებისაგან გარდმოვწერე და შეწამებაა დიად მიხარკებია. ღმრთისათჳს, სიტყუასა ნუ შესცვალებთ თვინიერ საძიებელთა (310r)“ (სურ. 4).



სურ. 4, K-76, 310r

ეს ანდერძი წინა თავში უკვე განვიხილეთ. ამიტომ აქ მოკლედ შევნიშნავთ, რომ კოლოფონში ჩანს ტექსტის რედაქტირების კვალი (თვალთვაძე 2007:66-67; Tvaltvadze 2008:107-119; თვალთვაძე 2009ბ:129-141; Tvaltvadze 2012:213-229; თვალთვაძე 2015ბ). გადამწერი, ბასილი თორელყოფილი, წერს, რომ კალიპოსის ოთხთავი 1060 წელს, ე.ი გიორგის სიცოცხლეშივე, არის გადაწერილი „*მამისა გიორგის თარგმნილისა სახარებისაგან [310r]*“ (თვალთვაძე 2015ბ). დარეჯან თვალთვაძის ვარაუდით, მთარგმნელის თანამედროვე გადამწერს, ბასილი თორელყოფილს, ანდერძის ის ვარიანტი უნდა ჰქონოდა ხელთ, რომელიც გიორგის ხელიდან გამოსულ ნუსხას ერთვოდა და რომელშიც ანდერძის ცნობილი სადავო ადგილი ასე იკითხება: „*ესე წმიდაჲ ოთხთავი არა თუ ახლად გვთარგმნია...*“ ხელნაწერში კარგად ჩანს, რომ ეს ადგილი გვიან არის ჩასწორებული, წაშლილია სიტყვები „*არა თუ*“ და ზემოდან სხვა ფერის მელნით წერია სიტყვა „*ჩუენ*“ (თვალთვაძე 2007:67).

კალიპოსის ოთხთავი სახარების აკადემიური გამოცემის მომზადებაზე მომუშავე ჯგუფს α ლიტერით აქვს აღნიშნული. ხელნაწერი 2008 წელს გამოსცა ციციხო მუმლაძემ (ოთხთავი... 2008). ვინაიდან ეს ნუსხა გიორგი მთაწმინდლის თარგმნილი სახარებიდან არის გადაწერილი, მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ათონური რედაქციის ზუსტი ტექსტის დადგენის საქმეში.

ვატიკანის ოთხთავის (Vat. Iberico 1) პალეოგრაფიულ-კოდიკოლოგიური აღწერილობა

XI საუკუნეში გადაწერილია კიდევ ერთი ხელნაწერი, ვატიკანის ოთხთავი,³⁸ რომლის წარმომავლობაც, ასევე, შავ მთას უკავშირდება. ხელნაწერი ამჟამად ვატიკანის სამოციქულო ბიბლიოთეკაშია დაცული (Vat. Iberico 1).³⁹ მისი ფოტოპირები კი კორნელი

³⁸ ვატიკანის ოთხთავის შედგენილობის, მხატვრული შემკულობის, მისი ისტორიის საკითხები შეისწავლა თამარ შურღაიამ, იხ.: 1. თ. შურღაია, ვატიკანის ოთხთავის მხატვრული შემკულობა, საენათმეცნიერო ძიებანი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ბ. ჯორბენაძის საზოგადოება, XXIII, 2006 (გვ. 340-348); 2. თ. შურღაია, სახარების ერთი ძველი ქართული ხელნაწერის შედგენილობის საკითხისათვის, კავკასიის მაცნე, №14, 2006 (გვ.157-163); 3. თ. შურღაია, შავი მთის ოთხთავის ქართული ხელნაწერი, ცისკარი, სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი, №1, 2006 (გვ. 131-135). 4. თ. შურღაია, ვატიკანის ოთხთავის თავგადასავალი, კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა, №11, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბ. 2006.

³⁹ ვატიკანის ოთხთავის ფერადი ფოტოების ნახვა შესაძლებელია ვატიკანის ბიბლიოთეკის ვებგვერდზე: https://digi.vatlib.it/view/MSS_Vat.iber.1 უნდა აღინიშნოს, რომ ვებგვერდზე გამოქვეყნებული ხელნაწერის პაგინაცია ჩვენსას არ ემთხვევა.

კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება. მიხეილ თარხნიშვილის აღწერილობით (Tarchnishvili 1962:61-71) ხელნაწერი შეიცავს 305 ფურცელს. მასალად გამოყენებულია ეტრატი. ზომაა 22×16,5 სმ. ხელნაწერი გადაწერილია ძირითადად ნუსხურით, თუმცა არის ადგილები, რომლებიც მხედრულისკენ გარდამავალი ხელით ან ასომთავრულითაა დაწერილი.

ვატიკანის ოთხთავის შედგენილობა: 1. ეპისტოლე ევსებოს კარპიანეს მიმართ (2r-2v); 2. კამარებში ჩასმული კანონები (3r-8v); 3. მათეს (9r-90v), მარკოზისა (93r-144v) და იოვანეს (225r-279r) სახარებები სრულადაა წარმოდგენილი, ლუკას სახარებას (148r-223r) აკლია დასაწყისი ნაწილი (1-დან მე-5 მუხლის ნახევრის ჩათვლით). ხელნაწერში დაცულია მარკოზის სახარების თავთა საძიებელი (91r-92r), ლუკას სახარების თავთა საძიებელი (145r-147v), იოვანეს სახარების თავთა საძიებელი (223v-224r). 4. საწელიწდო სახარება (279r, 281r-283r, 285r-288v, 290v-297v, 299r-300r, 301r-305v) და 5. დოქსოლოგიური ძეგლი (283v, 284r-v), რომელიც სახარების ხოტბას წარმოადგენს (შურღაია 2006გ:157). იგი ძირითადი ტექსტისაგან განსხვავებული, კალიგრაფიული ნუსხურით არის დაწერილი.


ვატიკანის ოთხთავი ალავერდისა და კალიპოსის ოთხთავების მსგავსად შავი მთის სკოლისათვის დამახასიათებელი მხატვრული სტილით არის დეკორირებული: ულამაზეს კამარებში ჩასმული კანონები (სურ.5), თითქმის ყველა გვერდზე გაფორმებული საზედაო ასოები (სურ.6), კამარები სახარებების დასაწყისში (სურ.7).

იოვანეს სახარების დასასრულს წარმოდგენილია გადამწერის ანდერძი, საიდანაც ცნობილი ხდება, რომ ოთხთავი გადაუწერია დიაკონ მიქაელს. მომგებელი კი ბერი სვმეონია: *„დიდება შენდა უფალო, დაესრულა წმიდა სახარება ოთხთავი, ჯელითა უღირსისა მიქაელ დიაკონისადათა სულიერისა ძმისა კეთილისა ბერისა სვმეონისთჳს. ღმერთმან შეაწიენ წმიდანი მახარობელნი და აკმარენ ნებასა შინა ღმრთისასა წმიდად ესე სახარებად, ამინ“* (279r).


ვატიკანის ოთხთავში დაცულ კოლოფონებში არ არის წარმოდგენილი პირდაპირი ცნობები მისი გადაწერის ადგილისა და თარიღის შესახებ. თამარ შურღაიას მიაჩნია, რომ იგი შავი მთის ერთ-ერთ ქართულ კერაში უნდა იყოს შექმნილი. მისი აზრით, ამის დასტურია ხელნაწერის შემკულობის სტილი, მასში გამოყენებული დეკორული სამკაულებისა და კომპოზიციების დიდი მსგავსება შავ მთაზე გადაწერილ ალავერდის ოთხთავთან (A-484, 1054 წ.) და S-962-თან (1054 წ.), ასევე, მომგებლის, სვიმონ ბერის ანდერძში (279r) მოხსენიებული წმინდანები, მათ შორის, ნეტარი სვმეონი და დედად მართა (შურღაია 2006დ:132).



სურ. 5. Vat. Iberico 1, 3v



სურ. 6. Vat. Iberico 1, 14v



სურ. 7, Vat. Iberico 1, 225r

დარეჯან თვალთვადის აზრით, ერთ-ერთი არგუმენტი, რომ ვატიკანის ოთხთავი შავ მთაზე გადაწერილი, არის მასზე დართული უსათაურო დოქსოლოგიური ხასიათის თხზულება, პირობითად, „შესხმად ოთხთავისა“⁴⁰, რომელიც, აგრეთვე, დაცულია შავ მთაზე გადაწერილ კალიპოსის ოთხთავში (K-76) (თვალთვადე 2010ა). ვინაიდან ვატიკანის ოთხთავი გაფორმების თვალსაზრისით ემსგავსება შავ მთაზე გადაწერილ რამდენიმე ხელნაწერს, ალავერდის ოთხთავს (A-484, 1054 წ.) და S-962-ს (1054 წ.), ხოლო შედგენილობის თვალსაზრისით კალიპოსის ოთხთავსაც (K-76), მკვლევრებმა იგი შავი მთის სავანეს დაუკავშირეს და მისი შექმნის სავარაუდო დროდ XI საუკუნე განსაზღვრეს.

რაც შეეხება ვატიკანის ოთხთავში დაცული სახარების ტექსტის რედაქციას, სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ნინო ჩახვაშვილმა იგი შეუდარა ივ. იმნაიშვილის მიერ გამოცემულ ვანის, ეჩმიაძინისა და გელათის ოთხთავებს (იმნაიშვილი ი., ქართული... 1979) და ტექსტოლოგიური ანალიზის საფუძველზე დაადგინა, რომ მასში ათონური რედაქციის ტექსტია დაცული (ჩახვაშვილი 2015).

ვატიკანის ოთხთავი სახარების აკადემიური გამოცემის მომზადებაზე მომუშავე ჯგუფს V ლიტერით აქვს აღნიშნული.

რუისის ოთხთავის (A-845)

პალეოგრაფიულ-კოდიკოლოგიური აღწერილობა

რუისის სახარება, იგივე შავი მთის ოთხთავი, გადაწერილია შავ მთაზე, სელევკიის მახლობლად. ხელნაწერი შესრულებულია ეტრატზე ნუსხურით ორ სვეტად, შეიცავს 336 ფურცელს (სურ. 8). უყდო, ნაკლული. ზომა – 16×13. 307-328 ფურცლები დაწერილია გვიანდელი ნუსხურით, ხოლო 329-336 ფურცლები შესრულებულია ქაღალდზე, ასევე, გვიანდელი ნუსხურით; შექმნის თარიღზე კოლოფონებში არაფერია ნათქვამი. პალეოგრაფიული ანალიზის საფუძველზე ილია აბულაძე მას XI საუკუნით ათარიღებს (აბულაძე 1973:363). გადამწერია შავზაქარია (305v), მინიატურებისა და კამარების მხატვარი – ანანია (9v, 101r).

ოთხთავს წამდვარებული აქვს: ევსებიოსის წერილი ამონიოსისადმი (1r-v), კამარებში ჩაწერილი კანონები (2r-8v), რომლებიც ორნამენტულად არის გაფორმებული. თითოეულ სახარებას უძღვის თავთა სამიებელი: მათეს სახარების (10r-12r); მარკოზის სახარების (99v-102r); ლუკას სახარების (154r-158r); იოვანეს სახარების (243r-244r).


⁴⁰ ეს ტექსტი ერთვის კალიპოსის ოთხთავს (K-76), H-1791-ს (1213–1216 წწ.), ხოლო შემოკლებული ვერსია XIV-XV საუკუნეებით დათარიღებულ ქვათახევის ოთხთავს (A-357).

ხელნაწერში დაცულია ოთხივე სახარება: მათეს (12r-99v), მარკოზის (102r-154r), ლუკასა (158r-242v) და იოვანეს სახარება (245r-306r). ბოლოში დართულია ზანდუკი (307r-336v).

ხელნაწერი მხატვრულად არის გაფორმებული, ერთვის სამი მახარებლის მინიატურა: მათეს (9v), მარკოზის (102v) და ლუკასი (157v). მინიატურები და კამარები შესრულებულია XV საუკუნეში, ვინაიდან მათი მხატვარი ანანია ყვარყვარე ათაბაგის შვილების – ბაადურისა და ქაიხოსროს თანამედროვეა („პატრონსა ათაბაგ ამირ სპასალარისა ყვარყვარეს ძეთა პატრონსა ბაადურს ცოდვანი მისნი შეუნდვნეს ღმერთმან, და მათსა ძმასა პატრონსა ქაიხოსროს შეუნდვნეს ღმერთმან. და მათსა მონასა

და ამისსა მხატვარსა ანანიას შეუნდვნეს ღმერთმან“ (9r).

სწორედ რუისის ოთხთავს ახლავს გადაწერ შავზაქარიას ანდერძი, საიდანაც ვიგებთ, რომ გიორგი მთაწმინდელი ბერძნულთან ორჯერ შედარების შემდეგ მესამედაც დაუბრუნდა ოთხთავის ტექსტს: „დაიწერა წმიდაჲ ესე სახარებაჲ შავსა მთასა უდაბნოსა ლერწმისკევისსა ზღვსპირსა, რომელ არს დასასრულსა შავისა მთისასა, მახლობელად სელეუკიისა კელითა უბადრუკისა და მწარედ ცოდვილისა შავ ზაქარიადსითა... ნიკოლას ხუცესსა მიეცინ ღმერთმან



სურ. 8, A-845, 126r

სასყიდელი და მადლი ჩემისა კეთილისათვის და წყალობისა. მისითა დედითა დავწერე, რომელ მას დაეწერა გიორგი მთაწმინდელისა სახარებისაგან, რომელი გიორგი მთაწმინდელსა ბერძულთა სახარებათა შეემოწმა მესამედ. ორჯელ პირველ შეემოწმა. ღმერთმან მიეცინ სასყიდელი სულსა მისსა შრომისათვის, ამინ“ (305v-306r) (ქორდანია 1908:59; აბულაძე 1973:362).

რუისის ოთხთავი სახარების აკადემიური გამოცემის მომზადებაზე მომუშავე ჯგუფს II ლიტერით აქვს აღნიშნული. ხელნაწერში გიორგი მთაწმინდლის რედაქციაა დაცული.

S-962-ის პალეოგრაფიულ-კოდიკოლოგიური აღწერილობა

S-962⁴¹ გადაწერილია 1054 წელს მიქაელის ხელით („ლოცვა ყავთ მიქაელისათვის მწრლ... წმიდანო მამანო“ (265r) კარგად დამუშავებულ ეტრატზე. შეიცავს 266 ფურცელს. ზომა: 14,5×11,4 სმ. გადაწერილია ორ სვეტად კალიგრაფიული ასომთავრულით, ყავისფერი მელნით. საზედაო ასოები ორნამენტებით არის გაფორმებული. ხელნაწერი უყდოა, დაშლილი, კიდევბემოცვეთილი და ნაკლული. შემკულია კამარებით (1r-4v). მინიატურები: მარკოზი (85v), ლუკა (132r). 84v-სა და 131v-ზე გამოსახული ჯვრები ბერძნული წარწერებით (სურ.9).



სურ. 9, S-962, 84v

⁴¹ ხელნაწერი აღწერილია ძალიან მოკლედ (ქართულ... 1959:626-627). შედარებით ვრცელი აღწერილობა ჩვენია (ე. კ.).

ოთხთავის შედგენილობა: გაფორმებულ კამარებში კოლონებად დაწერილ ევსებიოსის კანონები (1r-3v) და ეპისტოლე ევსებიოს კარპიანეს მიმართ (4r-v). 1) მათეს სახარება (5r-84v), რომელიც თავნაკლულია. იწყება მათე 2:1-ით. „...*მეფისათა, აჰა, მოგუნი აღმოსავალით მოვიდეს...*“; 2) მარკოზის სახარება, რომელიც აგრეთვე თავნაკლულია, იწყება მარკოზი 1:26-ით (86r-130v); 3) ლუკას სახარების თავთა საძიებელი (130r-131r), ლუკას სახარება (133r-204r) და 4) იოვანეს სახარების თავთა საძიებელი (204r-204v), იოვანეს სახარება, რომელიც აგრეთვე თავნაკლულია, იწყება იოვანე 1:15-ით (205r-265r). ოთხთავს ერთვის: ა) პასქალური ცხრილი (265v-266v), რომელიც 1054 წლით იწყება. სავარაუდოდ, ეს უნდა იყოს ხელნაწერის გადაწერის თარიღი. S-962-ში წარმოდგენილია ოპიზური რედაქციის ტექსტი. სახარების აკადემიური გამოცემის მომზადებაზე მომუშავე ჯგუფს იგი c ლიტერით აქვს აღნიშნული.

ანტიოქიის რეგიონში, შავ მთაზე, გადაწერილ ხელნაწერთა გაფორმების გამორჩეულობაზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. აქ იმასაც დავამატებთ, რომ ამ თვალსაზრისით საინტერესოა კონსტანტინოპოლში გადაწერილი ხელნაწერებიც: რჯულისკანონი (ექვთიმე მთაწმინდელის თარგმანი), XI საუკუნის 20-იანი წწ. (S-143), გრიგოლ ღვთისმეტყველი, საკითხავები (ექვთიმე მთაწმინდელისა და დავით ტბელის თარგმანები), [1031](A-1), მცირე რჯულისკანონი (ექვთიმე მთაწმინდელის თარგმანი), 1031 წ. (A-96), ვანის ოთხთავი (გიორგი მთაწმინდელის რედაქცია), XII-XIII სს. მიჯნა (A-1335) (უცხოეთში... 2018:15-16). მათაც კამარათა გამორჩეული მორთულობა და ფერები ახასიათებთ.

ანტიოქიის რეგიონში, შავ მთაზე, გადაწერილი თითოეული ოთხთავი მეტად მნიშველოვანია როგორც პალეოგრაფიული (კალიგრაფია, შემკულობა, მოხატულობა და ა.შ.), ასევე ტექსტოლოგიური თვალსაზრისით. სამ მათგანში, კალიპოსის (K-76), ვატიკანისა (Vat. Iberico 1) და რუისის (A-845) ოთხთავებში ათონური რედაქციის ტექსტია დაცული. S-962-ში წარმოდგენილია ოპიზური რედაქციის ტექსტი. რაც შეეხება ალავერდის ოთხთავს (A-484), ტექსტოლოგიური თვალსაზრისით იგი სრულიად განსხვავებულ სურათს აჩვენებს. როგორც აღინიშნა, მასში წარმოდგენილია გიორგი ათონელის მუშაობის შუალედური ეტაპი. ამ ოთხთავში დაცულ ტექსტს ქვემოთ ცელკე განვიხილავთ.

§3. XI საუკუნის ოთხთავის სხვა ხელნაწერები

XI საუკუნის სხვა ოთხთავები სხვადასხვა სამწიგნობრო კერებშია გადაწერილი და ამჟამად სხვადასხვა კოლექციაში ინახება. მაგალითად, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული XI საუკუნეში გადაწერილი ოთხთავები: ურბნისისა (A-28) და პალესტინის (H-1741), აგრეთვე, H-1240; ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში ინახება K-176 და K-363. XI საუკუნეშია გადაწერილი სინას მთის, წმიდა ეკატერინეს მონასტრის, ქართული კოლექციის ხელნაწერი Sin.Geo.O.19, ხოლო ვენის ოთხთავი (Ven.Geo.1) აგრეთვე X საუკუნის ბოლოს - XI საუკუნის დასაწყისში უნდა იყოს გადაწერილი და დაცულია ვენის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში. ამ ოთხთავებში, ძირითადად, ოპიზური, იგივე ჯრუჟ-პარხლის რედაქციის ტექსტებია დაცული. ამიტომ მათ მოკლედ მიმოვიხილავთ. განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენთვის სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში დაცული იენაშის ოთხთავი (ს.ი.ე.მ. მესტია №72), რომელსაც ქვემოთ დაწვრილებით შევხებით.

ურბნისის ოთხთავის (A-28)

პალეოგრაფიულ-კოდიკოლოგიური აღწერილობა

ურბნისის ოთხთავი (A-28) შესწავლილი და გამოცემული აქვს ივანე იმნაიშვილს (იმნაიშვილი ი., ქართული 1979). ხელნაწერი XI საუკუნეშია გადაწერილი.

ხელნაწერის აღწერილობის მიხედვით (ქართულ... 1973:92-96), ურბნისის ოთხთავი გადაწერილია ეტრატზე ასომთავრულით, ზომა – 19,8×14,5; სვეტის ზომა – 15,5×4,5 სმ. შედგება 222 ფურცლისაგან. გადაწერილია ორ სვეტად, თითოეულ სვეტში 22 სტრიქონი. მელანი – შავი ფერის, საზედაო ასოები – ძირითადად შავი ფერის მელნით, ზოგჯერ ძალიან ლამაზად დეკორირებული. პაგინაცია – რვეულებრივი. რვეულის ნომერი მიწერილია დასასრულ ქვედა აშიაზე.

ხელნაწერის გადამწერია იოვანე ტატანელი (1. „*იესუ ქრისტე შეიწყალე იოვანე ტატანელი და მოიკსენე სული მისი, ამენ*“ (3r). 2. „*წმიდანო ღმრთისანო, ვინ იმსახურებდეთ წმიდასა ამას ოთხთავსა, მოიკსენეთ სული იოვანე ტატანელისა*“ (67v). 3. „*წმიდანო ღმრთისანო, მოიკსენეთ სული იოვანე ტატანელისა ლოცვასა*“ (105v). 4. „*ვინ იმსახურებდეთ, ღმერთმან გარწმუნოს, მოიკსენეთ სული იოვანე ტატანელისა*“ (108v). 5. „*წმიდანო ღმრთისანო, მოიკსენეთ სული იოვანესი გლახ ტატანელისა ლოცვასა შინა წმიდასა თქუნსა*“ (173v).

ოთხთავის შედგენილობა: ევსებიოს კესარიელი ეპისკოპოსის კანონები (1r-3r), ყოველ თავს უძღვის თავთა საძიებელი: 1. *სასწაულნი მათესი* (4r-v). 2. *[სასწაულნი*

მარკოზისნი] (65v-67v). 3. სასწაული ლუკას თავისა (106r-108v). 4. სასწაულნი იოვანესნი (173v).

ოთხივე სახარება წარმოდგენილია სრულად: მათეს სახარება (5r-65r); მარკოზის სახარება (68r-105v); ლუკას სახარება (109r-173r); იოანეს სახარება (174r-222r) – „...ხოლო არს სხუადცა მარვალ, რავდენი ქმნა იესუ, უკუეთუმცა აღწ...“ თითოეულ გვერდზე გვაქვს ტაბულების ამონიოსისეული გამარტივებული ვარიანტი, ე. წ. „განთესული“. ოთხთავს არ ერთვის „ზანდუკი“. არც მინიატურებია წარმოდგენილი. ხელნაწერს ახლავს გვიანდელი მინაწერები.

ხელნაწერი უთარილოა. ივ. იმნაიშვილს (იმნაიშვილი ი., ქართული 1979:9), ილ. აბულაძის (აბულაძე 1973:346) მსგავსად, მიაჩნია, რომ იგი XI საუკუნის I ნახევარში უნდა იყოს გადაწერილი. იგი დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში A-28 ნომრით. ივანე იმნაიშვილი თავის გამოცემაში ურბნისის ოთხთავს F ლიტერით აღნიშნავს.


პალესტინის (H-1741) ოთხთავის

პალეოგრაფიულ-კოდიკოლოგიური აღწერილობა

პალესტინის ოთხთავი (H-1741) შესწავლილი და გამოცემული აქვს ივანე იმნაიშვილს (იმნაიშვილი ი., ქართული... 1979). ის თარიღანია და 1048 წელს არის გადაწერილი („ქორონიკონი იყო სძს“ - 297r) ნუსხურად, კარგად გამოყვანილ ეტრატზე (სურ.1). ხელნაწერის ზომაა 21,8×15 სმ. ცალკე სვეტისა 17×4,8 სმ. შეიცავს 343 ფურცელს, მათ შორის 2 დაუწერელია, ბოლო ნაწილი კი (298r-343v) – პალიმფსესტური. ნაწერია ორ სვეტად, გარდა პირველი ორი ფურცლისა, რომლებიც ერთ სვეტად არის დაწერილი. თითოეულ სვეტში 23 სტრიქონია. მელანი – შავი ფერის, საზედაო ასოები – სინგურით. პაგინაცია – რვეულებრივი. რვეულის ნომერი მიწერილია დასაწყის ზედა და დასასრულ ქვედა აშიაზე. ხელნაწერში დაცულია ჯვრის გამოსახულება (1r), მათე მახარებლის მინიატურა (1v), ხოლო (2a)r-ზე – დაუწერლად დატოვებული კამარები. არადეკორირებული საზედაო ასოები უფრო ხშირად შავი ფერის მელნით არის დაწერილი, იშვიათად – სინგურით. სახარებათა დასაწყისები – სინგურით.

ხელნაწერის გადამწერია მწირი მიქაელი (1. „მწირი გლახ მიქაელ შეიწყალე“ (1v); 2. „დაესრულა სახარებაჲ მათესი შეწევნითა ქრისტესითა. მე, საწყალი მწირი მიქაელ, გვედრები ლოცვასა, წმიდაო მღდლო სტეფანე და ყოველთა მკითხველთა ერთობით გვედრები, ამენ“ (80v). 3. „დაესრულა სახარებაჲ მარკოზის თავისაჲ. კეთილო მღდლო სტეფანე მოძღუარო, მწირი გლახ მიქაელ ლოცვასა თქუენსა წმიდასა გვედრები და

ყოველთა მოწესეთა, რომელნი აღმოიკითხვიდეთ წმიდასა ამას სახარებასა და შემინდვეთ (130v). 4. „დაიწერა წმიდასა ადვილსა გესმანიას, საფლავსა წმიდასა ღმრთისმშობლისასა, დედისაგან საბაწმიდისა, განგებასა ზედა ბერძულსა, დიად ხარკებითა კელითა საწყალობელისა მიქელ მწირისა მცხეთისავე მიწისაგან. წმიდანო ღმრთისანო, ჩემგან უძროლისა რომელი ეგებოდა, მიშრომია და მომიჭირვებია, რომელი დედასა არს: მსგევსითა და საუფლოთა დღესასწაულთა ჟამისწირვისა საკითხავითა და სხვთა ყოვლითა განგებითა, რიცხვთა და განთესულითა, ჯუარითა, მასკლავითა, ისრითა და ღელვა-ვრცელითა. რომელი ვინ ჩემდა უმეცრებით ცთომილი ჰპოთ ანუ მოგზუდეს, შემინდვეთ ღმრთისათჳს. ამენ“ (297r).



სურ. 1, H-1741, 84r

ხელნაწერის მომგებელი არის სტეფანე ხუცესი („სახელითა ღმრთისაჲთა და მადლითა და სარწმუნოებითა წმიდისა კათოლიკე ეკლესიისა მცხეთისაჲთა მე, გლახაკი სტეფანე, ხუცესი პალავრელი, მნათე ყოფილი, ყოველთა მოწესეთა ნარჩევი, მიწაჲ და მტურე, შვილი მცხეთისაჲ ღირს მყო ღმერთმან მოუგონებელსა კეთილსა და წყალობასა მისსა და მოვიწიე წმიდასა ქალაქსა იერუსალჴმსა, ადგომასა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა და წმიდასა გოლგოთასა და მოვილოცენ ყოველნი წმიდანი ადგილნი მისნი მოწყალებითა ქრისტესითა და დამაწესეს მწირველად ქართლისა კათალიკოზისა ოქროპირისა – ადიდენ ღმერთმან – წმიდასა ეკლესიასა გარდამოკსნისასა ძლოცველად. და მოვიგე წმიდაჲ ესე ოთხთავი, სრული ყოვლითა საკმარითა, სალოცველად ცოდვილისა სულისა ჩემისა და მშობელთა და მოძღუართა ჩუენტასა და ყოველთა ქრისტეანეთა სალოცველად. ქორონიკონი იყო სჲჴ. შემდგომად ჩემდა, ვისცა ღმერთმან მოგცეს, და რომელნი აღმოიკითხვიდეთ წმიდასა ამას ოთხთავსა, სულთა განმანათლებელსა, წმიდასა ლოცვასა თქუენსა ჩუენცა თანამოგჴკსენებდით“ (296v-297r).

ოთხთავის შედგენილობა: ხელნაწერში დაცულია ოთხივე სახარება. მათეს სახარება – 3r-80v; მარკოზის სახარება – 81r-130v; ლუკას სახარება – 131r-221v; იოანეს სახარება – 222r-280v. არ არის წარმოდგენილი თავთა საძიებლები, არც ეპისტოლე ევსებოზის კარპიანეს მიმართ და არც ევსებოზის კესარიელი ეპისკოპოსის კანონები. თითოეულ გვერდზე გვაქვს ტაბულების ამონიოსისეული გამარტივებული ვარიანტი, ე. წ. „განთესული“. ოთხთავს ახლავს „ზანდუკი“ (281r-343v).

პალესტინის ოთხთავი დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში H-1741 ნომრით. ივანე იმნაიშვილი თავის გამოცემაში მას G ლიტერით აღნიშნავს. იგი მიიჩნევს, რომ ურბნისისა და პალესტინურ ოთხთავებში დაცული ტექსტი იმდენად ახლოს დგას ერთმანეთთან, დაშვებული შეცდომების თვალსაზრისითაც კი, რომ პალესტინური ოთხთავი ურბნისის პირს უნდა წარმოადგენდეს. გარდა ამისა, მათში დაცულია სახარების ის რედაქცია, რომელიც ექვთიმე მთაწმინდელმა შექმნა (იმნაიშვილი ი., ქართული... 1979:47). პირველ თავში ჩვენ დაწვრილებით განვიხილეთ ექვთიმესეული რედაქციის არსებობის საკითხი, აქ მოკლედ აღვნიშნავთ, რომ, ზურაბ სარჯველადის თანახმად, ე.წ. ექვთიმეს რედაქციის ვარიანტული წაკითხვები არა მხოლოდ დასტურდება, არამედ უგამონაკლისოდ მისდევს X საუკუნის ხელნაწერებს (წყაროსთავის (X ს.), Sin.Geo.15 (978 წლის), Sin.Geo.16 (X ს.), Sin.Geo.30 (979 წლის), რომელნიც ექვთიმეს მოღვაწეობამდეა გადაწერილი და რომლებიც ტექსტუალური თვალსაზრისით ერთად დგანან (სარჯველადე ზ., 2001:110). ზურაბ სარჯველადის მოსაზრებით, ურბნისულ და პალესტინურ ოთხთავებში დაცული ტექსტი წყაროსთავის (X ს.), Sin.Geo.15 (978 წლის), Sin. Geo.16 (X ს.), Sin.Geo.30 (979 წლის) ხელნაწერებში დაცულ ტექსტებთან ერთად ერთ-ერთ ქვეჯგუფად თავსდება


ჯრუჭ-პარხლის, იგივე ოპიზური რედაქციის ფარგლებში (სარჯველაძე ზ., 2001:124-125). მეცნიერი ფიქრობს, რომ ამ ექვსი ხელნაწერის ერთიანობა შედეგია ბერძნულ დედანთან შედარების გზით მიღებული იმ რევიზიისა, რომელიც VIII საუკუნის I ნახევარში უნდა დასრულებულიყო.

K-363-ის პალეოგრაფიულ-კოდიკოლოგიური აღწერილობა


ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში 363-ე ნომრით დაცულია ნაკლული ოთხთავი, რომელშიც წარმოდგენილია მხოლოდ ლუკას სახარების ნაწილი და იოანეს სახარების დასაწყისი (ლუკა 14:34 - იოვანე 1:46). იწყება სიტყვებით: *„...კეთილ არს მარილი, უკუეთუ მარილი განქარდეს, რადთა დაიმარილოს“* (ლუკა 14:34) და წყდება იოანეს სახარების სიტყვებით: *„ჰრქუა მას ფილიპე: მოვედ და იხილე. იხილა რა იესუ...“* (იოანე 1:46).

ამ ოთხთავით პირველად დაინტერესდა არქიმანდრიტი ამბროსი ხელაია. მან 1916 წელს გამოაქვეყნა მცირე ნაწყვეტი ლუკას სახარებიდან და ხელნაწერის ანდერძი – სრულად (ხელაია 1916:30-31). მანვე განსაზღვრა ოთხთავის გადაწერის დროც. 1935 წელს ოთხთავის აღწერილობა გამოაქვეყნა გიორგი ბოჭორიძემაც (ბოჭორიძე, 1935:289-338). ხელნაწერის აღწერილობა სულ ბოლოს, 1964 წელს, გამოიცა, ამჯერად – ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერთა ორტომიანი აღწერილობის ფარგლებში ევსევი ნიკოლაძის მიერ (ნიკოლაძე, 1964:74-76).

ხელნაწერი შეიცავს 50 ფურცელს. ზომა 12×9, მასალა – ეტრატი. უყდო, გადაწერილია ნუსხური ანბანით (სურ. 2); ოთხთავში ქვედა არშიებზე სინგურით მიწერილია ე.წ. „განთესულები“, სათანხმებლის გამარტივებული ვარიანტი. ხელნაწერის გადამწერია ათანასე, ხოლო მომგებელი ლატავრი – *„დედად გურგენ ბერი ერისთავისა“* (*„ღირს ვიქმენ მე გლახაკი დედად გურგენ ბერი ერისთავისა მოგებად და დაწერად წმიდათა ამათ ოთხთავთა სალოცველად და სალხინებელად სულისა ჩემისა და სულისა ვაჩე მელესელისა და ყოველთა თუისთა ჩუწნთა გარდაცვალებულთათჳს და დღეგრძელობისათჳს შვილისა და მეფისა ჩემისა, გურგენ ბერი ერისთავისა და ძმათა მათთა და ყოველთა შვილთა ჩემთათჳს“* (043v) (სურ. 3); *„ხოლო დაიწერნეს წმიდანი ესე სახარებანი ლავრასა წმიდასა ღმრთისმეტყუელისასა სალოდებელს ჳელითა ცოდვილისა და უნარჩევწს ყოველთა მღდელთაჲსა ათანასე წიბნაურისაჲთა, რომელი ძმა ვეყვოდე სულდიდებულსა არსენი ჳერამელსა და ვიყავ მამულობითა მამასახლისად წინაშე წმიდისა ღმრთისმშობელისა“* (044v).



სურ. 2. K-363, 1v



სურ. 3. K-363, 43v

ხელნაწერს დართული აქვს ანდერძი. ევსევი ნიკოლადის აღწერილობის მიხედვით, მას მთელი ათი გვერდი (40r-44v) უჭირავს. მასში ოთხთავის გადაწერის ადგილია მოხსენიებული. მთლიან ტექსტს ახლა აქ არ მოვიტანთ. აღვნიშნავთ, რომ K-363-ის გადაწერის საკითხს ვრცლად შეეხო თეიმურაზ ჯოჯუა თავის სტატიაში „1013 წლის ოთხთავის (K-363-ის) გადაწერის ადგილისათვის“ (ჯოჯუა 2002:55-57). იგი თვლის, რომ ანდერძის ის ნაწილი, სადაც გადაწერის ადგილია დასახელებული, ასეთი სახით უნდა წავიკითხოთ: „დაიწერნეს წმიდანი ესე სახარებანი ლავრასა წმიდისა ღმრთისმშობლისასა, სალოდებელს“. ზუსტდება სიტყვების, „ლავრისა“ და „სალოდებლის“, მნიშვნელობასაც. პირველი საზოგადო სახელია და მონასტერს აღნიშნავს, მეორე კი – საკუთარი სახელია და კონკრეტულ ტოპონიმს წარმოადგენს. ამრიგად, გამოდის, რომ აღნიშნული ოთხთავი კალიგრაფ ათანასე წიბნაურს გადაუწერია სალოდებლის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ლავრაში, ანუ მონასტერში. თეიმურაზ ჯოჯუამ დაასკვნა, რომ ტოპონიმი სალოდებელი გეოგრაფიულად სრულად ფარავს გვიანდელ მეტეხს და ვარაუდობს, რომ K-363-ის „სალოდებლის ლავრა“ და მოგვიანო პერიოდის მეტეხის მონასტერი ერთსა და იმავე სავანეს წარმოადგენდა. როგორც ჩანს, არაბი ამირების მმართველობის ჟამს, თბილისის ქართული, ქრისტიანული თემი მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მართლაც ფლობდა საკუთარ სავანეს, სალოდებლის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ლავრას და ის ადრინდელი ტაძარიც, რომლის გეგმასაც XIII საუკუნის ბოლოს მეტეხის ღმრთისმშობლის ტაძარი

დაამყარეს, სწორედ ამ მონასტრის თავი ეკლესია უნდა ყოფილიყო. მეცნიერი ფიქრობს, რომ K-363 გადაწერილი და შემოსილია თბილისის საამიროში, სალოდებლის (XII საუკუნიდან – მეტეხის) ღმრთისმშობლის ლავრაში, ხორნაბუჯელი ერისთავის, გურგენ ბერის დედის, ლატავრის, საფასით, ქერემელი ეპისკოპოსის არსენის ძმისა და სალოდებლის ლავრის „მამულობით მამასახლისის“, ათანასე წიბნაურის, ხელით. თეიმურაზ ჯოჯუა გამოთქვამს მოსაზრებას, რომ K-363 სამეცნიერო მიმოქცევაში „თბილისის“ ან „სალოდებლის ოთხთავის“ სახელით უნდა დამკვიდრდეს.

ევსევი ნიკოლაძემ ანდერძში დაცული ცნობების საფუძველზე K-363-ის კოლოფონში მითითებული თარიღი – ქრონიკონი სლგ (233) და ოთხთავის გადაწერის დრო – 1545 (233+1312) წლით განსაზღვრა. თეიმურაზ ჯოჯუა მიიჩნევს, რომ ევსევი ნიკოლაძის დათარიღება მცდარია და მოჰყავს დამატებითი არგუმენტები: კოლოფონში იხსენიება ერისთავი გურგენ ბერი, რომელიც ქართული ისტორიოგრაფიისათვის კარგად არის ცნობილი. იგი 1040-იან წლებში მეფე ბაგრატ IV-ის (1027-1072 წწ.) წინააღმდეგ მებრძოლი ხორნაბუჯელი ერისთავის ვაჩეს მამაა და XI საუკუნის დასაწყისის მოღვაწედ გვევლინება. შესაბამისად, K-363 უნდა დათარიღდეს არა 1545, არამედ - 1013 წლით.

უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წელს თსუ ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტმა, თამარ თითბერიძემ, საბაკალავრო ნაშრომის ფარგლებში პროფ. დ. თვალთვაძის ხელმძღვანელობით იმუშავა ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის N363 ხელნაწერზე (K-363) (თითბერიძე 2016). მას ეს ხელნაწერი v ლიტერით აქვს აღნიშნული. კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური ანალიზის შედეგად გამოჩნდა, რომ K-363-ში დაცული ტექსტი სწორედ იმ ქვეჯგუფის ხელნაწერთა გვერდით დგას, რომელიც ზურაბ სარჯველაძემ ჯრუჭ-პარხლის, იგივე ოპიზური რედაქციის ფარგლებში გამოყო (ურბნისის (XI ს.), პალესტინის (1048 წ.), წყაროსთავის (X ს.), Sin.Geo.15 (978 წლის), Sin. Geo.16 (X ს.), Sin.Geo.30 (979 წლის) ოთხთავები). შესაბამისად, ზურაბ სარჯველაძის მიერ გამოვლენილ ექვს ხელნაწერს დაემატა მეშვიდე ხელნაწერი, K-363.

K-176-ის (XI ს.) პალეოგრაფიულ-კოდიკოლოგიური აღწერილობა

ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცულია კიდევ ერთი XI საუკუნის სახარება-სამოციქულო ნომრით K-176. იგი გადაწერილია ეტრატზე ასომთავრულით (სურ. 4), ზომა – 19×25, შეიცავს 173 ფურცელს. ხელნაწერი უყდოა, დაზიანებული და ნაკლული. ზოგი ფურცელი ამოცვენილია, ზოგი –


ამოჭრილი. ფურცლების უმეტესობას არშიები აქვს შემოჭრილი და ამის გამო ტექსტი დაკარგულია.

ოთხთავის შედგენილობა: 1. მათეს სახარებას მე-20 თავის 20-21 მუხლებიდან (1r-5r); 2. მარკოზის სახარება მე-16 თავის მე-6 მუხლამდე (5r-27v); 3. ლუკას სახარება პირველი თავის მე-7 მუხლიდან 24-ე თავის მე-5 მუხლამდე (28r-61v); 4. იოანეს სახარებას 21-ე თავის მე-2 მუხლამდე (63r-86v).

სამოციქულო: 1. წამძღვარებული აქვს შესავალი (87r-95v); 2. შეიცავს პავლეს ეპისტოლეებს (96r-164v), საქმე მოციქულთას (165r-173v).

მინაწერი 115v-ზე: „*უფალო იესუ ქრისტე, შეუდვენ ყოველნი ბრალნი ზაქარია მამათმთავართა მთავარსა და დაასაყდრე წმიდათა მოციქულთა თანა კურთხეული [სული მათი, ამენ].“*

K-176-ში ჯრუჭ-პარხლის, იგივე ოპიზური რედაქციას დაცული. სახარების აკადემიური გამოცემის მომზადებაზე მომუშავე ჯგუფს იგი I ლიტერით აქვს აღნიშნული.




სურ. 4, K-176, 63r

H-1240-ის (XI ს.) პალეოგრაფიულ-კოდიკოლოგიური აღწერილობა

ხელნაწერი XI საუკუნეშია გადაწერილი. იგი შესწავლილი და გამოცემული აქვს სოფიო სარჯველაძეს (სარჯველაძე ს., ოთხთავის... 2010). ზომები: 14,5×11,5. შეიცავს 171 ფურცელს. ტექსტი წერილი ნუსხური ასოებით შესრულებულია ეტრატზე, ორ სვეტად (სურ. 5). თითოეულ სვეტში 25 სტრიქონია. ასომთავრულით ნაწერია სახარებათა სათაურები, ძველი დამუხვლის რიცხვები. ხელნაწერი თავბოლონაკლულია. ხელნაწერი ნახანძრალია, ამის გამო ძლიერ დაზიანებული. ერთადერთი მინიატურა იოანე მახარებლისა თითქმის მთლიანად გადასულია (133v).

ოთხთავის შედგენილობა: მათეს სახარება (1r-29v) „...აღმოიღე იგი და განაგდე (მთ.



სურ. 5. H-1240, 57v

რედაქციის „ხანმეტი ოთხთავის“ ფრაგმენტების ტექსტთან. ხოლო მარკოზის სახარების 14:60-15:47 მუხლები ტექსტის ადიშური რედაქციის არქეტიპს განეკუთვნება.

H-1240 სახარების აკადემიური გამოცემის მომზადებაზე მომუშავე ჯგუფს **h** ლიტერით აქვს აღნიშნული.


18:9); მარკოზის სახარება (30r-67v); ლუკას სახარება (68r-132v); იოანეს სახარება (134r-171v), წყდება: „უწინარეს ყოფის ჩემისასა...“ (იოვ. 17:5). არ არის წარმოდგენილი თავთა საძიებლები.

ხელნაწერი მრავალმხრივ არის საინტერესო და მნიშვნელოვანი. მასში გვხვდება ზმნის შვიდი ხანმეტი ფორმა, რაც ადასტურებს ნუსხის ტექსტის ხანმეტი დედნიდან მომდინარეობას. ხელნაწერის ძირითადი ტექსტი ოპიზური რედაქციისაა. იგი დღეისათვის გამოვლენილი და შესწავლილი ნუსხების ტექსტიდან ყველაზე ახლოს დგას ოთხთავის ქართული თარგმანის ოპიზური

Sin.Geo.O.19-ის პალეოგრაფიულ-კოდიკოლოგიური აღწერილობა

XI საუკუნის კიდევ ერთი მნიშველოვანი სინური ხელნაწერია Sin.Geo.O.19, რომელსაც ასეთი ანდერძი ახლავს: „ქრისტესმოყვარენო მამანო და ძმანო, ვისთანაცა მოიწიოს წმიდა ესე სახარებაჲ შემდგომად ჩუენსა, ლოცვა-ყავთ, ღმრთისათჳს, და რომელი დამეკლოს, შემინდევით; ახალთარგმნილისაგან დაგჳწერია და დედად დიად მართალი არს, ამათ ძუელთა სახარებათა ზოგ-ზოგი სიტყუა არა ეწამების“ (262r). როგორც ანდერძიდან ჩანს, Sin.Geo.O.19-ში ათონური რედაქციის ერთ-ერთი სარწმუნო ტექსტია დაცული.

Sin.Geo.O.19 აღწერილი აქვს ალექსანდრე ცაგარელს (ცაგარლით 10) (Цагарели 1888:200-201), ივანე ჯავახიშვილს (ჯავახიშვილი 1947:41-42), ნიკო მარს (Mapp 1903-26-27) ადოლფ ჰარნაკს (Harnack 1903:837) და ჟერარ გარიტს (Garitte 1956:53-58). ხელნაწერი



სურ. 6. Sin.Geo.O.19, 199v

წმიდასა სინას, საყოფელსა წმიდისა და ღმრთისმხილველისა მოსესსა. ქრონიკონ იყო სჳდ რიცხჳ ლაღსთენ (?) ეწ[...].ეტრატი და მწერალი ორნივე... ქრისტე, ავმარე მოსეს ნებისაებრ შენისა... ლოცვა-ყავთ, ღმრთისათჳს“ (262r). „ქრისტე, შეიწყალე მოძღუარი დავით და მიქაელ მხრეკალი და მოსე და მიქაელ და ჭიტაჲ და სჳმიონ, ამენ. ახალთარგმანილისაგან დაგჳწერია და დედად დიად [...] მართალი არს. უცბად ჩხრეკისათჳს შემინდევით და მცირედისა შრომისათჳს ლოცვა-ყავთ, ღმრთისათჳს“ (53v).

შედგება 284 ფურცლისგან. გადაწერილია ეტრატზე ნუსხურად, ერთ სვეტად (გარდა 262v-278r, 283v გვერდებისა) (სურ.6). ზომა – 20,5x14 სმ.

ოთხთავის შედგენილობა: 1) მათეს სახარება (1r-53v), რომელიც თავნაკლულია. იწყება მათე 10:1-ით: „...ეგებაჲ სულთა ზედა არაწმიდათა.“ 2) მარკოზის სახარება (55r-107v); 3) ლუკას სახარება (109r-199v) და 4) იოვანეს სახარება (201r-262r). ოთხთავს ერთვის: ა) ზანდუკი (262v-278r). ბ) „პავლენი სამსგებსონი“ (278v-283r); გ) პასქალია (283v -284r).

ხელნაწერი გადაწერილია სინას მთაზე 1074 წელს მიქაელის მიერ („ქრისტე, შეიწყალე მოძღუარი ჩუენი დავით და მიქაელ უცბად მხრეკალი და მოსე და მიქაელ და ჭიტაჲ და სჳმიონ და გერასიმე და გრიგოლ და მშობელნი და ძმანი მათნი, ამენ. ხოლო დაიწერა მთასა

„მიქაელ და მოსე და მიქაელ ჭიტაჲ... ნი და...] მათითა ფრიად [...] იყავნ“ (54 v). „ქრისტე, შეიწყალენ მოძღუარი დავით და მიქაელ მხხრეკალი და მოსე და მიქაელ ჭიტაჲ და სვმიონ, ამენ. ლოცვა-ყავთ, ღმრთისათვს და რომელი დამეკლოს, შემინდევით“ (107v). „ქრისტე, შეიწყალე მოსე, მიქაელ...“ (108r). „ლოცვა-ყავთ. ქრისტე, შეიწყალე მოძღუარი დავით და მიქაელ უცხად მხხრეკალი და ძმანი მათნი, ამენ. ლოცვა-ყავთ, ღმრთისათვის და რომელი დამეკლოს, შემინდევით“ (199v). „ქრისტე, შეიწყალენ მოსე, მიქაელ, მიქაელ ჭიტაჲ“ (200v). „ქრისტე, შეიწყალე სული გლახაკისა (?) მიქაელ უცხად მხხრეკალისაჲ, ამენ. ლოცვა-ყავთ, ღმრთისათვს“ (283r).

სახარების აკადემიური გამოცემის მომზადებაზე მომუშავე ჯგუფს Sin.Geo.O.19 აქვს აღნიშნული N ლიტერით.

ვენის ოთხთავის (Ven.Geo.1)

პალეოგრაფიულ-კოდიკოლოგიური აღწერილობა


ვენის ოთხთავზე (Ven.Geo.1) სხვადასხვა დროს რამდენიმე მეცნიერმა იმუშავა. პირველი სამეცნიერო სტატია გრიგოლ ფერაძემ გამოაქვეყნა 1940 წელს გერმანულენოვან ჟურნალში (Peradze 1940); ოთხთავი დეტალურად აღწერა და მასზე დართული ანდერძ-მინაწერები წყაროთმცოდნეობითი კუთხით განიხილა თემო ჯოჯუამ (ჯოჯუა 2005), ვახტანგ იმნაიშვილმა საგანგებოდ შეისწავლა ქართული ხელნაწერების ავსტრიაში მოხვედრის ისტორია (იმნაიშვილი ვ. 1979; იმნაიშვილი 2004).

ვენის ოთხთავი გადაწერილია ეტრატზე ნუსხური ანბანით, 24 სტრიქონად, ერთ სვეტად, რაც მის სიძველეზე მიუთითებს. შეიცავს 257 ფურცელს, ზომა: 17×10,9, ტექსტის ზომა: 13,3×8,2. პაგინაცია: რვეულებრივი. 1r-233v ფურცლებზე გამოყენებულია ყავისფერი, ზურმუხტისფერი და იშვიათად წითელი ფერის მელანი, ხოლო 234r-257v-ზე – შავი და მკვეთრი წითელი ფერის მელანი. ხელნაწერი არ არის გაფორმებული. თუ არ ჩავთვლით 49v-დახატულ პრიმიტიულ ნახატს (სურ. 7). გადამწერი: გიორგი.

ოთხთავის შედგენილობა: პირველ 233 ფურცელზე გადაწერილია ოთხი სახარება. იგი თავნაკლულია. მათეს სახარება (1r-50v) „...[უვა]რ-ყოს“ (მთ. 12:29); მარკოზის სახარების სასწაულნი (50r-52v); მარკოზის სახარება (53v-93v); ლუკას სახარების სასწაულნი (93r-96r); ლუკას სახარება (96r-168r); გამოკრებილნი სასწაულნი ოთხივე სახარებიდან (168v-169v); იოანეს სახარება (171r-231v); იოანესა სახარების თავთა საძიებელი (231v-233v). ბოლო 24 ფურცელზე გადაწერილია (234r-257v) სახარების ზანდუკი.

პალეოგრაფიული ნიშნებით თემო ჯოჯუა 1r-233v-ს X ს-ის I ნახევრითა და XI ს-ის II ნახევრით ათარიღებს, ხოლო 234r-257v-ს XII საუკუნის შემდგომი პერიოდით (ჯოჯუა 2005:188-189).

ანდერძები: 1. „უფალო, შეიწყალო სული მშობელთა გიორგისთაჲ, ამენ, და შეუნდვნენ ძმათა მისთა ცოდვანი, ამენ“ (49v, შესრულებულია მწვანე ფერის მელნით). 2. „სახელითა მამისაჲთა, ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა, ძალითა და შეწევნითა ცხოველსმყოფელისა პატიოსნისა ჯუარისაჲთა. მეოხებითა და წყალობითა წმიდისა წინაჲსწარმეტყუელისა და



სურ. 7, Ven. Geo. 1, 49v

წინამორბედისა იოვანე ნათლისმცემელისაჲთა, წმიდათა და ყოვლად ქებულთა მოციქულთა [...] მახარებელთა [...] და წმიდისა და საკუთრველთმოქმედისა სუიმეონისითა და ტძრსა (?) წმიდისა [...] ხელითა მოძღურისა ჩემისა კეთილისა [...] მყო (?) მე [...] ხოლო (?) და ქუეყანისამან, მე, გლახაკმან ღმრთისამან, უმრწემსმან მონაზონთამან გიორგი. და წერილ(…) ჩემთა განმანათლებლად(…) და სახსენებლად მშობელთა ჩემთათჳს. წმიდაჲ ესე სახარებაჲ წერილ არს სტეფანესათჳს, ფებრონიასათჳს და გუარანდუხტისათჳს და კვრიკესათჳს, იოვანესათჳს და დავითისათჳს.“ (233v, თემო ჯოჯუას წაკითხვა, ჯოჯუა 2005:205).

თემო ჯოჯუას მოსაზრებით, ხელნაწერი თავდაპირველად 233 ფურცელს შეიცავდა და იგი საერო ოჯახის (სტეფანეს, ფებრონიას, და გუარანდუხტის, კვრიკეს,

იოვანესა და დავითის) საკუთრებას წარმოადგენდა. XII საუკუნის შემდგომ უცნობმა მწიგნობარმა სახარების ტექსტი ამონიოსის სისტემის საკითხავების მიხედვით დაყო (რაზეც ნუსხაში შავი მელნით გაკეთებული საკითხავების აღმნიშვნელი რიცხვებიც მიუთითებს), ახალ დამატებით ფურცლებზე (234r-257v) გადაწერილი ზანდუკი დაურთო და ამ გზით შესძინა მას ლიტურგიკული დანიშნულება (ჯოჯუა 2005:208-210).

რაც შეეხება ვენის ოთხთავში დაცულ ტექსტს, არსებობს ორი ერთამნეთისაგან განსხვავებული და ტექსტოლოგიური კვლევის გარეშე მიღებული დასკვა, ერთი მხრივ, გრიგოლ ფერადის მოსაზრება, რომ ხელნაწერში გიორგი მთაწმინდლისეული რედაქციის ტექსტია დაცული (Peradze 1940:161) და, მეორე მხრივ, თემო ჯოჯუას ვარაუდი, რომ X საუკუნის ხელნაწერში შეუძლებელია გვიანდელი, ამ შემთხვევაში ათონური რედაქციის

ტექსტი იყოს წარმოდგენილი და იგი მეტ საერთოს ამჟღავნებს ჯრუჟ-პარხლის რედაქციასთან (ჯოჯუა 2005:214).

უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წელს თსუ ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტმა, ქეთევან სოსელიამ, საბაკალავრო ნაშრომის ფარგლებში იმუშავა ვენის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცულ ხელნაწერ Ven.Geo.1-ზე (სოსელია 2018). მას და სახარების აკადემიური გამოცემის მომზადებაზე მომუშავე ჯგუფს ეს ხელნაწერი **w** ლიტერით აქვთ აღნიშნული. კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური ანალიზის შედეგად ქეთევან სოსელიამ დაასკვნა, Ven.Geo.1 შეიცავს წინაათონური რედაქციის ტექსტს, რომელსაც გაკვეთილი ცვლილებები განუცდია. თუმცა ნაშრომში ბოლომდე არ არის დასაბუთებული, თუ რა ცვლილებები განიცადა ტექსტმა და რით განხვავდა იგი ჯრუჟ-პარხლის რედაქციისაგან. ამიტომ, ვფიქრობთ, Ven.Geo.1-ის ოთხივე სახარების ტექსტი უფრო დეტალურ შესწავლას მოითხოვს.

იენაშის ოთხთავის (ს.ი.ე.მ. მესტია 72)

პალეოგრაფიულ-კოდიკოლოგიური აღწერილობა

სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში დაცულია ერთი ოთხთავი, რომლის ტექსტი აქამდე მეცნიერულად არ შესწავლილა. იგი იენაშის ოთხთავის სახელწოდებით არის ცნობილი (ს.ი.ე.მ. მესტია #72). მისი ფოტოპირი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება. ხელნაწერი პირველად აღწერა ელენე მეტრეველმა (27/483) და იგი XIII საუკუნის დასასრულით დაათარიდა.⁴² იენაშის ოთხთავი მის მიერ შედგენილ სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის ხელნაწერთა კატალოგში 43-ე ნომრითაა შეტანილი.⁴³ ხელნაწერის მომგებელია ეპიფანე კათალიკოსი.

ელენე მეტრეველის აღწერილობის მიხედვით, ოთხთავი შეიცავს 252 ფურცელს. მისი ზომებია 26,6×20,5. ტექსტი შესრულებულია ეტრატზე ორ სვეტად, ნუსხურით. აზნაულების დასაწყისში გამოყენებული ასომთავრული ასოები დაწერილია სინგურით. ხელნაწერის ახლავს მახარებლის ოთხი მინიატურა (11v, 81v, 124v, 190v) და თავსამკაულები (1v, 12r, 82r, 125r, 191r) (სურ. 8). ოთხთავის ტექსტს წინ უძღვის კამარებში ჩაწერილი ევსებიოს კარპიანეს წერილი (1v-2v) და ევსებიოსის კანონები (3r-8v), სულ 12 ფურცელი. ყოველ სახარებას წინ უძღვის თავთა საძიებელი. მანუსკრიპტი

⁴² თუმცა ამ დათარიღებას წინ ეღობება ტექსტის ის რედაქცია, რომელიც მასშია დაცული. ამ საკითხს ქვემოთ დაწვრილებით განვიხილავთ.

⁴³ ელენე მეტრეველის მიერ შედგენილი სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის ხელნაწერების კატალოგი გამოცემული არ არის. იგი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, მის არქივში, ნომრით 369.

ჩასმულია ტყავგადაკრულ ხის ყდაში. ყდის ზემოთა და ქვემოთა ნაწილი მოოქროვილი ვერცხლითაა მოჭედული, მაგრამ ძალზედ დაზიანებულია. კუთხეებში მედალიონებია მახარებელთა გამოსახულებებით. დარჩენილია მხოლოდ მათეს გამოსახულება ასომთავრული წარწერით და იოანეს მახარებლის თავი. ცენტრში, სავარაუდოდ, უნდა ყოფილიყო ჯვარცმა. ამ კომპოზიციიდან დარჩენილია მხოლოდ ჯვრის ქვედა ნაწილი და ღვთისმშობლის ფიგურა; ქვემო ყდაზე, მარჯვენა მხარეს, სვეტიცხოველია გამოსახული. მარცხენა მხარეს – ეპიფანე კათალიკოსი. იგი, როგორც აღვნიშნეთ, ხელნაწერის მომგებელია, ამას ადასტურებს ასომთავრული წარწერა ყდის მარცხენა კუთხეში: „ამის ნეტარისა ეპიფანე ქ(ართლის) კათალიკოზისაგან მოგებული მისგანვე შეიმკო კათოლიკე ეკლესიისათჳს სახარებაჲ ესე. მოიკსენე ქრისტე“.



სურ. 8. ს.ი.ე.მ. მესტია 72, 82r

ვინმე იონა. მათეს სახარების ბოლოს დაცულია გადამწერის ანდერძი: „სრულ იქმნა მათეს თავი სახარებაჲ ჯელითა ცოდვილისა იონადსითა“. იგივე ანდერძია მარკოზის სახარების ბოლოს: „დაესრულა თავი მარკოზისი ჯელითა ფრიად ცოდვილისა იონადსითა მოძღურისა ჩემისა ეპიფანესთჳს“. ხელნაწერს ერთვის ზანდუკი (240r-252v). მანუსკრიპტში დაცულია მოგვიანო ხანის მინაწერებიც (XIV-XV ს.). საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ შავ-თეთრ ფოტოებზე, რომლითაც ჩვენ ვისარგებლეთ, სამწუხაროდ, ლინირების კვალი არ ჩანს.

საბედნიეროდ, იენაშის ოთხთავის ტექსტი დაუზიანებლად არის ჩვენამდე მოღწეული. მასში დაცულია ოთხივე სახარება. საკუთრივ ტექსტი აქამდე შესწავლილი და გამოქვეყნებული არ

ყოფილა. თავისთავად საინტერესოა, ჩვენთვის ცნობილი რომელი რედაქციის შემცველია იგი. ელენე მეტრეველის აღწერილობაში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. როგორც აღვნიშნეთ, იენაშის სახარება XIII საუკუნის დამლევითაა დათარიღებული. ლოგიკურად მასში გიორგი მთაწმინდლის რედაქციის ტექსტი უნდა იყოს დაცული, მაგრამ ტექსტოლოგიურმა ანალიზმა აჩვენა, რომ იენაშის ოთხთავის ტექსტი

განსხვავდება სახარების ათონური რედაქციის ტექსტისაგან. ამ საკითხს ქვემოთ დაწვრილებით მივუბრუნდებით. აქ კი შევნიშნავთ, რომ ეს ერთადერთი შემთხვევა არ არის, როცა გვიანდელ ხელნაწერში ადრეული რედაქციის ტექსტია წარმოდგენილი. არსებობს ქართული ოთხთავის 30-მდე სრული და ფრაგმენტული ხელნაწერი, რომლებიც წინათონური რედაქციის ტექსტს შეიცავენ და მათი გადაწერის თარიღი X-XVII საუკუნეებს შორის მერყეობს. როგორც ჩანს, იენაშის ოთხთავის გადამწერი ათონური რედაქციის შემცველი დედნით არ სარგებლობს. ამიტომ შესაძლებელია იგი მასში დაცული ტექსტის გამო უფრო ადრე, XI საუკუნით დავათარილოთ. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ იენაშის ოთხთავს არ ერთვის გიორგი მთაწმინდლის ცნობილი ანდერძი. იენაშის ოთხთავის ტექსტს ქვემოთ f ლიტერით აღვნიშნავთ.

ზემოთ განხილული XI საუკუნის ოთხთავებიდან, რომლებიც სხვადასხვა კოლექციას მიეკუთვნებიან, ტექსტოლოგიური თვალსაზრისით ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა სვანეთის მუზეუმში დაცული იენაშის ოთხთავი, რომელიც დაგვეხმარება გიორგი მთაწმინდლის რედაქტორული მუშაობის პროცესის აღდგენაში.

III თავი

სახარების XI საუკუნის ქართული ხელნაწერების ტექსტოლოგიური ანალიზი და მიმართება ბერძნულ ხელნაწერთან

სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავში განხილული სახარების XI საუკუნის ხელნაწერთაგან ტექსტოლოგიური თვალსაზრისით Ath.62-ის ტექსტი განსაკუთრებით საინტერესოა, ვინაიდან იგი რედაქტორული მუშაობის ამსახველია. პალეოგრაფიულ-კოდიკოლოგიურ აღწერილობაში უკვე მივუთითეთ, რომ იგი გასწორებულია ათონური რედაქციის მიხედვით. Ath. 62-ის ქვედა ფენის ტექსტი o* (original) პირობითი ნიშნით გვაქვს აღნიშნული, მეორეული, რედაქტორის მიერ გასწორებული – o^c (corrector) ნიშნით. გარდა ამისა, თავისთავად საინტერესოა იმის დადგენაც, უშუალოდ გიორგი მთაწმინდლის მიერ ნარედაქტირებ ოთხთავთან ხომ არ გვაქვს საქმე. ჩვენი დაკვირვების შედეგებს ქვემოთ დაწვრილებით განვიხილავთ.

სამწუხაროდ, ჯერჯერობით, ლუკას სახარების გარდა, არ გვაქვს ოთხთავის ქართული თარგმანის აკადემიური გამოცემა, რომელშიც მნიშვნელოვან ხელნაწერთა წაკითხვა მოიყრიდა თავს. ოთხთავის ქართული თარგმანის აკადემიური გამოცემის მომზადებაზე მომუშავე ჯგუფის წევრთა მიერ უკვე მომზადდა მათესა და მარკოზის სახარებათა ძველი ქართული თარგმანების აკადემიური გამოცემა, რომელშიც წარმოდგენილია ყველა რედაქციის (ადიშური, ოპიზური, ათონური, ნარევი) ტექსტი ძირითადი ხელნაწერებისა და ლექციონარების საკითხავთა მონაცემების გათვალისწინებით. ამ ჯგუფის მიერ ჩატარებული სამუშაოს ნაწილი განთავსებულია TITUS-ის ელექტრონული ტექსტების ბაზაში.⁴⁴

2013-2016 წწ. განხორციელდა რუსთაველის ეროვნული ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტი „ლუკას სახარების ძველი ქართული თარგმანის აკადემიური გამოცემის მომზადება“. საბოლოო პროდუქტი, ლუკას სახარების ძველი ქართული თარგმანის უძველესი სრული თუ ფრაგმენტული ხელნაწერების მიხედვით მომზადებული აკადემიური ტექსტი, განთავსებულია შემდეგ მისამართზე: <http://ogg.tsu.ge/>

⁴⁴ <http://titus.uni-frankfurt.de/texte/etca/cauc/ageo/nt/cinant/cinan.htm> – ოპიზური (იგივე ჯრუჟ-პარხლის) რედაქციის შემცველი 11 ხელნაწერის მიხედვით მომზადებული ტექსტი.
<http://titus.uni-frankfurt.de/texte/etca/cauc/ageo/nt/giornt/giorn.htm> – ათონური რედაქციის შემცველი 10 ხელნაწერის მიხედვით მომზადებული ტექსტი.
<http://titus.uni-frankfurt.de/texte/etca/cauc/ageo/nt/adisnt/adisn.htm> – ადიშისა და ხანმეტი სახარების ტექსტი.

სწორედ ამ ჯგუფის მომზადებული მასალის გამოყენებით შევეცადეთ Ath. 62-ის რედაქტორის მიერ წაშლილი ადგილების აღდგენას და აღდგენილი ქვედა ფენის რედაქციის დადგენას. Ath. 62-ის ქვედა ფენის აღდგენის პროცესში თავიდანვე გამოიკვეთა ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება, რომ ოთხთავის ქართული თარგმანის აკადემიურ გამოცემაზე მომუშავე ჯგუფის მიერ მომზადებულ ხელნაწერთა იკითხვისებს შორის იგი ძალიან ახლოს იდგა ალავერდისა (A-484) და იენაშის ოთხთავებთან (ს.ი.ე.მ. მესტია 72). Ath.62-ის ქვედა ფენის აღდგენა თავისთავად რთული პროცესი იყო. ვაკვირდებოდით წაშლილი ადგილის მოცულობას, რათა გაგვერკვია, რამდენი ასოს აღდგენა იყო შესაძლებელი; გადარეცხილი ასოების დარჩენილ კვალს, მათ რეგისტრს, რაც საშუალებას გვაძლევდა უზუსტესად აღგვედგინა რედაქტორის მიერ წაშლილი სიტყვა, ფრაზა და ზოგიერთ შემთხვევაში წინადადებაც კი. მუშაობის პროცესში ცალსახად და უეჭველად ჩანდა, რომ მის აღდგენაში ყველაზე მეტად ზემოთ აღნიშნული მხოლოდ ეს ორი ხელნაწერი გვეხმარებოდა. ცხადი ხდებოდა, რომ ეს სამი ხელნაწერი ოთხთავის ქართული თარგმანის რედაქციებს შორის გარკვეულ ტექსტუალურ ჯგუფს ქმნიდა. ამიტომ, პირველ რიგში, ალავერდისა (A-484) და იენაშის ოთხთავებით (ს.ი.ე.მ. მესტია 72) და მათში დაცული ტექსტის რედაქციით დავინტერესდით.

როგორც ცნობილია, ბერძნულ დედანთან ქართული თარგმანის მეტად დაახლოების მიზნით გიორგი ათონელმა სამჯერ გადაამუშავა ოთხთავის ქართული თარგმანის ოპიზური, იგივე ჯრუჭ-პარხლის რედაქცია. ამას ადასტურებს რუისის სახარების (XI საუკუნის, A-845), იგივე შავი მთის ოთხთავის, გადამწერი შავ ზაქარიაც („ნიკოლოას ხუცესსა მიეცინ ღმერთმან სასყიდელი და მადლი ჩემისა კეთილისათჳს და წყალობისა. მისითა დედითა დავწერე, რომელ მას დაეწერა გიორგი მთაწმიდელისა სახარებისაგან, რომელი გიორგი მთაწმიდელსა ბერძულთა სახარებათა შეემოწმა მესამედ. ორჯელ პირველ შეემოწმა“) (ქორდანია 1908:59). როგორც ვხედავთ, გიორგი მთაწმინდელი ბერძნულთან ორჯერ შედარების შემდეგ მესამედაც დაბრუნებია ოთხთავის ტექსტს.

მეორე ყურადსაღები ანდერძი ახლავს ალავერდის ოთხთავს, რომელიც, აგრეთვე, გიორგი ათონელს უნდა ეკუთვნოდეს: „...მამისა ეფთჳმეს სახარებათადა შეწამებული ბერძულსა ორჯელ და ქართულსა“ (314v). ამ ანდერძისა და ჩატარებული ტექსტოლოგიური ანალიზის საფუძველზე დარეჯან თვალთვამე ფიქრობს, ალავერდის ოთხთავში დაცული გვაქვს ოთხთავის ქართულ თარგმანზე გიორგი ათონელის მუშაობის შუალედური ეტაპი, როცა ძველი ქართული თარგმანების ტექსტი მას მხოლოდ ორჯერ აქვს შედარებული ბერძნულთან, რედაქტირების პროცესი ჯერ არ არის დასრულებული. შესაბამისად, არც ათონური რედაქციის ტექსტია საბოლოო სახით

ჩამოყალიბებული, რადგან მესამე და საბოლოო შედარება, რის შედეგადაც მივიღეთ ქართული ეკლესიის მიერ ვულგატად აღიარებული ტექსტი, ჯერ არ განხორციელებულა (თვალთვაძე 2008:12-20).

ლოგიკურად გამომდინარეობს დასკვნა, რომ ვინაიდან Ath. 62-ის ქვედა ფენა (o*) და იენაშის ოთხთავი ზედმიწევნით თანხვდება ალავერდის ოთხთავს, ისინიც, ისევე როგორც ალავერდის ოთხთავი, წარმოადგენს ბერძნულთან ორჯერ შედარების გზით მიღებულ ვერსიას.

უფრო ნათელი რომ გახდეს სურათი, კიდევ ერთხელ ვიტყვით, რომ გიორგი მთაწმინდელმა გადასამუშავებლად და ბერძნულთან მაქსიმალურად დაახლოების მიზნით იხელმძღვანელა ჯრუჭ-პარხლის რედაქციით. მისი ორგზის მუშაობის შედეგები ასახულია Ath. 62-ის ქვედა ფენაში, ალავერდისა და იენაშის ოთხთავებში. გიორგი მთაწმინდელი მესამედ მალევე მიუბრუნდა რედაქტირების პროცესს, ამიტომაც ორგზის შედარების შედეგად მიღებულმა ვერსიამ ფართო გავრცელება ვერ ჰპოვა. ამ სამი სახარების გარდა, დღეისათვის სხვა ხელნაწერი მიკვლეული არ არის. მესამედ შედარების შედეგად კი მივიღეთ საბოლოო ათონური რედაქციის ტექსტი, რომელიც დამკვიდრდა ქართულ ღვთისმსახურებაში.

ჩვენთვის უფრო მეტად მნიშვნელოვანია იმის გარკვევა და დასაბუთება, თანხვდება თუ არა ტექსტოლოგიური ანალიზი კოლოფონებში დაცულ ცნობებს. ამ სამი ოთხთავის მიმართების დადგენა ჯრუჭ-პარხლისა და ათონურ რედაქციებთან და, აგრეთვე, პარალელურად მის ბერძნულ ტექსტთან შედარება არის ჩვენი კვლევის ძირითადი მიზანი. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი გიორგი მთაწმინდლის რედაქტორული მუშაობის ძირითადი პრინციპების გამოკვეთა.

ჯერ კიდევ 1945 წელს აკაკი შანიძე წერს ოთხთავის ქართული თარგმანის ბერძნულთან მიმართებების დადგენის აუცილებლობაზე. თანაც ეს მიმართებები უნდა დადგინდეს არა ფრაგმენტული, არამედ ტექსტის ყოველმხრივი შესწავლისა და კრიტიკული განხილვის ნიადაგზე, სრული შედარების გზით ბერძნულ რედაქციებთან (შანიძე ა., ქართული ოთხთავის... 1945:06). კვლევის სხვაგვარად წარმართვის შემთხვევაში ვერ წარმოჩნდება ოთხთავის ქართული თარგმანის ისტორიის სრული სურათი. აკაკი შანიძის აზრით, ამგვარი კვლევა აქამდე ვერ განხორციელდა ორი მიზეზით, ჯერ ერთი, არ არსებობდა ოთხთავის ქართული თარგმანის კრიტიკულად დადგენილი და სათანადოდ გამოცემული ტექსტი და, მეორე, არ იყო გათვალისწინებული თვით ბერძნული ტექსტის ისტორია. „საჭიროა გათვალისწინება იმისა, თუ რას წარმოადგენს თვით ქართული ტექსტი, რა ურთიერთობაშია ძველ ხელნაწერთა ვარიანტები, რა და რა რედაქცია მოგვეპოვება და სხვა. მხოლოდ ასეთი წინასწარი სამუშაოების შესრულების შემდეგ შეიძლება მართებულად დაისვას და

სათანადოდ გადაიჭრას ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები“ (შანიძე ა., ქართული ოთხთავის... 1945:07).

ოთხთავის ქართული თარგმანის ბერძნულთან მიმართების საკითხით თავის დროზე დაინტერესდა რობერტ ბლეიკი (The Caesarean... 1928:207-404). მისი ანალიზი ეფუძნება ადიშის, ოპიზისა და ტბეთის ოთხთავების მხოლოდ მარკოზის სახარებას, რადგან სხვა სახარებათა ანალიზს, შესაძლოა, სხვა შედეგი მიეცა. იგი ფიქრობს, რომ ადიშისა და ოპიზა-ტბეთის⁴⁵ ოთხთავებში დაცული ტექსტი თანხვდება ბერძნულ კესარიულ ტექსტის ტიპს. ტექსტის გამომცემლებმა, კირსოფ ლეიკმა (Kirsopp Lake), რობერტ ბლეიკმა (Robert P. Blake) და სილვა ნიუმ (Silva New) ამ ქართული ხელნაწერების იკითხვისები გამოიყენეს კესარიული ტიპის ტექსტის მარკოზის სახარების აღდგენისას.

ოთხთავის ქართული თარგმანის ბერძნულთან მიმართების საკითხი ასევე შესწავლილი აქვს სოფიო სარჯველაძეს. იგი წერს, რომ ადიშური რედაქციის ტექსტი ძირითადად მიჰყვება ბერძნულ კესარიულ ტექსტულურ ტიპს და მისი წაკითხვები უმთავრესად ემთხვევა Θ-ს (კორიდეთის ოთხთავს), ნუსხურ 28, 565, 700 და f^1 და f^{13} ოჯახების ვარიანტებს. ადიშური რედაქციის ზოგიერთი იკითხვისი W 032-ს (ვაშინგტონური ოთხთავი, V საუკუნე) ემთხვევა მაშინაც, როდესაც თვით ეს ხელნაწერი კესარიულ ტიპს მიჰყვება ან მისი წაკითხვა ცალკე დგას (სარჯველაძე ს., ოთხთავის... 2010:272-273). რაც შეეხება ჯრუჭ-პარხლის, იგივე ოპიზურ რედაქციას, როგორც სოფიო სარჯველაძე წერს, მისი მიმართების დადგენა ბერძნულ სახარებასთან ძალიან ჭირს, იმიტომ რომ რიგ შემთხვევებში ის მისდევს როგორც კესარიულ, ისე ალექსანდრიულ, ზოგ შემთხვევაში კი ბიზანტიური ტიპის ტექსტს.

ბუნებრივია, ოთხთავის ქართული თარგმანის რედაქციებს შორის განსხვავებები სხვადასხვა მიზეზით არის განპირობებული, პირველი, ბერძნული ოთხთავის რედაქციებითა და ვარიანტული სიჭრელით, მეორე, ერთი და იმავე ბერძნული ვარიანტების სხვადასხვაგვარად გადმოტანით, მესამე, ქართული თარგმანების რედაქტირებით ბერძნული ხელნაწერების გაუთვალისწინებლად (სარჯველაძე ს., ოთხთავის... 2010:272).

სულ ეს არის ის, რაც აქამდე დადგენილა ქართულ-ბერძნული ოთხთავების მიმართებების შესახებ. როგორც ვხედავთ, თუ რომელ ბერძნულ ტექსტულურ ტიპს თანხვდება ოთხთავის ქართული თარგმანის ათონური რედაქცია, ამ კითხვაზე პასუხი სამეცნიერო ლიტერატურაში არ ჩანს. ლოგიკურად ის უნდა თანხვდებოდეს ბიზანტიურ ტექსტულურ ტიპს, ვინაიდან იგი ფართოდ იყო გავრცელებული მთელს ბიზანტიის

⁴⁵ ამ ოთხთავებში დაცული ტექსტი ორივე წინათონურია, ადიშის ოთხთავში დაცულია ადიშური რედაქცია, ხოლო ოპიზა-ტბეთის ოთხთავებში – ჯრუჭ-პარხლის.

იმპერიაში (სადაც ბერძნული ენა იყო გავრცელებული). მეშვიდე საუკუნიდან ბიზანტიური ტექსტის ტიპი იმდენად დომინანტური გახდა ბერძნული ტექსტუალური ტრადიციისათვის, რომ დღემდე მოღწეულ ხელნაწერთა უზარმაზარ რაოდენობაში სწორედ ტექსტის ეს ტიპია დაცული. თუმცა ამ ჰიპოთეზას აუცილებლად სჭირდება დადასტურება ტექსტოლოგიური ანალიზით. ჩვენი კვლევის მიზანია, მეტ-ნაკლები სიზუსტით განვსაზღვროთ, ბერძნული ოთხთავის რომელი ტექსტის ტიპის შემცველი ხელნაწერებით სარგებლობს გიორგი მთაწმინდელი ოთხთავის ქართული თარგმანის რედაქტირების დროს და გამოვკვეთოთ მისი ფილოლოგიური მუშაობის ზოგადი პრინციპები.

ტექსტოლოგიური ანალიზისათვის გამოვიყენეთ ბერძნული ხელნაწერების ჩვენებები რუბენ სვანსონისა (Swanson 1995) და ალანდების გამოცემის (The Greek... 2013) მიხედვით. ამ გამოცემებში გათვალისწინებულია ძალიან ბევრი ბერძნული ხელნაწერის: პაპირუსების, უნციალურ და მინუსკულურ მანუსკრიპტთა, ლექციონართა ჩვენებები.⁴⁶

⁴⁶ ბერძნული ახალი აღთქმის გამოცემებს შორის გამორჩეულია სვანსონის გამოცემა, რომელიც ტექსტის გამოცემის სრულიად განსხვავებულ პრინციპს ეფუძნება. მასში ყოველი ხელნაწერის ვარიანტი სრულად არის მოცემული პარალელური სტრიქონების ფორმატში. გამომცემელი არ ადგენს კრიტიკულ ტექსტს და არ არჩევს, რომელი წაკითხვაა უფრო მართებული და მნიშვნელოვანი, არამედ წარმოადგენს წყაროდ გამოყენებული ყველა ტექსტის ჩვენებას. ათონური რედაქციის ბერძნული ტექსტის ტიპებთან შესადარებლად სწორედ ეს გამოცემა გამოვიყენეთ. იმისათვის, რომ ამ გამოცემის სანდოობა დავასაბუთოთ, ძალიან მოკლედ მიმოვიხილავთ ახალი აღთქმის სხვა გამოცემებსაც და მათ მეთოდოლოგიურ პრობლემებს.

ტექსტის სამეცნიერო გამოცემის რამდენიმე ტიპი არსებობს: **ისტორიულ-კრიტიკული, დიპლომატიური** და **ფაქსიმილური**. სამეცნიერო გამოცემის ტიპის შერჩევა დამოკიდებულია გამოცემის მიზანზე. ამ სამი ტიპის გამოცემიდან ყველაზე მეტად ისტორიულ-კრიტიკულ გამოცემებს ახლავს მეთოდოლოგიური პრობლემები. ცნობილია, რომ ამა თუ იმ მოვლენის გაგება და შეფასება სხვადასხვა ეპოქაში, ან სხვადასხვა ვითარებაში და ცოდნის სხვადასხვა ეტაპზე იცვლება. გამომცემლის მიერ ამა თუ იმ იკითხვის არჩევანი ხშირად ამა თუ იმ ეპოქაში გავრცელებული შეხედულების თუ მეცნიერული მეთოდის ნაყოფია და, ამდენად, სუბიექტური. ამასთან ერთად, გამომცემლის მიერ კრიტიკულად დადგენილ ტექსტში ხშირად ვერ აისახება მისი ორჭოფობა, იგი იძულებულია შეჩერდეს ერთ-ერთ ვარიანტზე, მაშინაც კი, როდესაც არ არის ბოლომდე დარწმუნებული თავისი არჩევანის სისწორეში. ან საერთოდაც, მან შეიძლება კრიტიკული ტექსტის დადგენისას მცდარი გადაწყვეტილება მიიღოს. კრიტიკული ტექსტის დადგენისას გამომცემლის მიზანი არ უნდა იყოს მხოლოდ ის, რომ მოგვცეს ტექსტის საკუთარი ინტერპრეტაცია, არამედ ის, რომ მოახდინოს არსებულ მონაცემთა დოკუმენტირება და მთელი სიზუსტით გადმოსცეს ხელნაწერებში არსებული ინფორმაცია.

ამგვარი მეთოდოლოგიური პრობლემები არსებობს ბერძნული ახალი აღთქმის კრიტიკული ტექსტის არა მხოლოდ ძველ, XVI-XIX საუკუნეების, გამოცემებში, არამედ XX საუკუნის გამოცემებშიც კი. ქვემოთ შევეცდებით განვიხილოთ ბერძნული ახალი აღთქმის ძირითადი გამოცემები.

უადრესი ნაბეჭდი ტექსტი ახალი აღთქმისა, რომელსაც ეძახიან The Complutensian Polyglot Bible, დაიბეჭდა კარდინალ ხიმენესის (Cardinal Ximenes de Cisneros) მიერ 1514. იგი ემყარებოდა რამდენიმე გვიანდელ ხელნაწერს, რომელთა იდენტიფიცირებაც გამომცემელმა ვერ შეძლო. ამიტომაც ამ გამოცემას დღეს სამეცნიერო ღირებულება არ აქვს. მეორე ნაბეჭდი ტექსტი, რომელიც პირველ გამოცემად ითვლება, რადგან ტექსტის კრიტიკულად დადგენის პირველ მცდელობას წარმოადგენს, მოამზადა ერასმუს როტერდამელმა (Erasmus Roterodamus) ექვსი თუ შვიდი მინუსკულური ხელნაწერის მიხედვით,

რომლებიც ბაზელში მცხოვრები მბეჭდავის, სახელად ფრობენის (Froben), საკუთრებას წარმოადგენდნენ. Erasmus-მა თავისი გამოცემისთვის საბაზისოდ გამოიყენა მინუსკულური ხელნაწერი 2, იგი ხანდახან ცვლიდა წაკითხვებს მინუსკულური ხელნაწერი 1-დან, იმ მოტივით, რომ მისი წაკითხვები მიაჩნდა უმჯობესად ან უფრო ავთენტურად, ვიდრე მინუსკულური ხელნაწერი 2-ისა. თანამედროვე მკვლევრებმა აჩვენეს, რომ ორივე ხელნაწერი, 1 და 2, მეთორმეტე საუკუნისაა, ხელნაწერი 1 შეიცავს უკეთეს ტექსტს ბევრ პასაჟში, ვიდრე ხელნაწერი 2. მათი აზრით, ამ გამოცემიდან მხოლოდ მინუსკულურ ხელნაწერს 1-ს აქვს ჭეშმარიტად მეცნიერული ღირებულება.

ზემოთ ხსენებული ეს ორი გამოცემა საფუძვლად დაედო ახალი აღთქმის წიგნების ყველა მომდევნო გამოცემას, მათ შორის, 1550 წელს რობერტ სტეფანუსის (Robert Stephanus) მიერ მომზადებულ მესამე გამოცემას, რომელიც პარიზში დაიბეჭდა. სამეცნიერო აპარატი წარმოდგენილი იყო თექვსმეტი ხელნაწერის ჩვენებების მიხედვით. ლიტერი α შეესაბამებოდა 1514 წელს დაბეჭდილ კარდინალ ხიმენესის (Cardinal Ximenes de Cisneros) გამოცემას. სხვა ლიტერები თხუთმეტ სხვა ბერძნულ ხელნაწერს, რომელთა შორის უძველესი იყო ე. წ. ბიზეს კოდექსი. მას შეესაბამებოდა ლიტერი β . სტეფანუსის „მკითხველისადმი წერილის“ მიხედვით, მან ეს ხელნაწერები იტალიაში მეგობრების დახმარებით შეკრიბა. ამ ხელნაწერთა ჩვენებების შეჯერებით სტეფანუსმა ტექსტში შეიტანა 389 ვარიანტული წაკითხვა (როგორც დათვალა ფ.სკრივენერმა (F. H. A. Scrivener)).

ახალი აღთქმის პირველი ორი გამოცემა საფუძვლად დაედო თეოდორე დე ბეზას (Théodore de Bèze) (1624 წელი) გამოცემასაც. 1633 წელს დაბეჭდილი აბრაჰამ ელზევირის (Abraham Elzevir) გამოცემა კი დაეფუძნა სტეფანუსისა (Stephanus) და ბეზას (Bèze) შრომებს. 1633 წლის ამ გამოცემას მიენიჭა „Textus Receptus“-ის სტატუსი (საყოველთაოდ მისაღები ტექსტი).

ყველა მოგვიანო პერიოდის კრიტიკული გამოცემა არის მცდელობა, შეავსონ „Textus Receptus“-ი დამატებითი ხელნაწერების ჩვენებებით და ახალი შესწორებებით შეძლებისდაგვარად მიიყვანონ იგი პირველად ტექსტამდე. „Textus Receptus“ შექმნის დღიდან ეკლესიური ტექსტი იყო. რაც ნიშნავს იმას, რომ კრიტიკულ ტექსტში სხვადასხვა ხელნაწერებიდან ამოღებული სიტყვები და ფრაზები ერთმანეთში ისეა შერეული, რომ წყარო არ არის მითითებული. ამგვარი ტექსტი უკვე აღარ არის სანდო, იმიტომ რომ მკითხველი ვერასოდეს გაიგებს პარალელური ვარიანტები მართლა ვარიანტია ოთხთავის ტექსტისა, თუ იგი შექმნილია გამომცემელთა მიერ ტექსტის რედაქტირების პროცესში.

Textus Receptus-ის ავტორიტეტისაგან გათავისუფლების პროცესი XVIII ს-ის დასაწყისიდან დაიწყო. Textus Receptus-ისგან განსხვავებულ ვარიანტებს, რომლებიც ძველი ხელნაწერებიდან იყო აღებული, თავდაპირველად შენიშვნების სახით ურთავდნენ ტექსტს, მომდევნო ეტაპზე კი გამომცემლებს „უკეთესი ვარიანტები“ თავად ტექსტში შეჰქონდათ. „უკეთეს“ ვარიანტებს არჩევდნენ იმ არგუმენტით, რომ მათ ხელნაწერთა უმრავლესობა იზიარებდა, მაგრამ შემდგომ ამ ვარიანტების შერჩევა ხელნაწერთა ურთიერთდამოკიდებულების გარკვევას დაუკავშირდა. ტექსტოლოგიის განვითარების ამ ეტაპის თვალსაჩინო წარმომადგენელია ალბრეხტ ბენგელი (Albrecht Bengel) (1734), რომელიც საჭიროდ მიიჩნევდა ახალი აღთქმის წყაროები გენეალოგიური ხის სახით წარმოედგინა. ამას გარდა, აღნიშნავდა, რომ ხელნაწერების სიმრავლეს, რომელიც ერთი დედნიდან მოდიოდა (სულერთია, ეს დედანი ფაქტობრივად არსებობდა თუ აღდგენილი იყო), ერთი ხელნაწერის ღირებულება ჰქონდა და მოითხოვდა, რომ მხოლოდ იმ ვარიანტებისათვის მიეცათ უპირატესობა, რომლებიც ხელნაწერთა სხვადასხვა ოჯახში იყო დამოწმებული. ამდენად, ალბრეხტ ბენგელთან (Albrecht Bengel) უკვე ჩანს მონახაზი ხელნაწერების გენეალოგიური ხის (stemma codicum) მოდელისა.

ახალი აღთქმის ტექსტის ბევრად შევსებული გამოცემა დაიბეჭდა ლონდონში 1707 წელს, როდესაც ჯონ მილმა (John Mill) ოცდაათწლიანი მუშაობის შემდეგ ხელახლა გამოსცა სტეფანუსის ტექსტი საგრძნობლად გაზრდილი კრიტიკული აპარატით, რომელიც შეადგინა ხელნაწერებისა და წმინდა მამების ციტაციების მიხედვით, მასში დაახლოებით 30 000 ვარიანტული წაკითხვა.

შემდეგი დიდი ნაბიჯი ახალი აღთქმის ტექსტის გამოცემაში გადადგა შვედმა სწავლულმა, რომელიც ნიდერლანდებში ცხოვრობდა, იოჰან იაკობ ვეტსტეინმა (Johan Jakob Wettstein). მის მიერ 1751-52 წლებში ორ ტომად გამოცემულმა ტექსტმა მოიცვა ორჯერ მეტი ხელნაწერის ჩვენება, ვიდრე მანამდე.

სწორედ მან შექმნა სიმბოლოთა სისტემა ხელნაწერებისათვის, უნციალური ხელნაწერები აღნიშნა დიდი ასოებით, ხოლო მინისკულები – არაბული ციფრებით.

მომდევნო საუკუნეში, 1869-72 წლებში, კულმინაცია ახალი აღთქმის ტექსტის გამოცემის თვალსაზრისით იყო კონსტანტინე ფონ ტიშენდორფის (Constantin von Tischendorf) პუბლიკაცია. ამ წიგნის ხელახალი გამოცემა 1969 წელს არის ინდიკატორი იმისა, რომ ერთი საუკუნის შემდეგ იგი კვლავაც წარმოადგენდა მკვლევართა ინტერესის საგანს.

მეოცე საუკუნეში მონუმენტური გამოცემა და ბერძნული სახარების ტექსტის სამეცნიერო აპარატი მოამზადა ჰერმან ფონ ზოდენმა (Hermann von Soden) (1913). ფონ ზოდენის ბერძნულ მინუსკულურ ხელნაწერებზე ხანგრძლივი მუშაობისა და, ასევე, ბერძნული ტექსტის ისტორიის ინტენსიური შესწავლის მიუხედავად, კრისტოფ ლეიქის (Kirsopp Lake) სიტყვებით, მისი გამოცემა აღმოჩნდა „დიდებულად წარუმატებელი“ („a magnificent failure“).

ახალი აღთქმის ტექსტის ყველაზე ფართოდ გამოყენებადი გამოცემებია: 1. Westcott-Hort's *The New Testament in the Original Greek* 2. Nestle-Aland's *Novum Testamentum Graece* და 3. United Bible Societies' *The Greek New Testament*.

დაახლოებით 28 წლიანი მუშაობის შედეგად 1881 წელს ბრიტანელმა მეცნიერებმა, ბრუკ ვესტკოტმა (Brooke Fross Westcott) და იოანე ჰორტმა (Fenton John Anthony Hort), ორ წიგნად გამოსცეს *The New Testament in the Original Greek*. პირველი წიგნი შეიცავს ახალი აღთქმის ბერძნული ხელნაწერების ტექსტებს ვარიანტული წაკითხვებით, მეორე წიგნში კი წარმოდგენილია ძალიან მნიშვნელოვანი შესავალი და დანართი, რომელშიც გამომცემლების ძირითადი პრინციპები და მიდგომები და, აგრეთვე, ზოგიერთი პრობლემური პასაჟია განხილული. როდესაც გამომცემლები ვერ თანხმდებიან ამა თუ იმ საკითხზე, თითოეულის მოსაზრება მათი ინიციალებით არის აღნიშნული.

ბრუკ ვესტკოტმა (Brooke Fross Westcott) და იოანე ჰორტმა (Fenton John Anthony Hort) არა მხოლოდ გამოსცეს ახალი აღთქმის ტექსტი, არამედ ხელნაწერებს შორის ნათესაური კავშირებიც იკვლიეს და ტექსტის ტიპების საკუთრი ვერსია შემოგვთავაზეს. ერთი ტიპის ტექსტს ისინი უწოდებენ „სირიულს“, რომელსაც სახელი იმიტომ დაერქვა, რომ თანხვედრა სირიულ პეშიტას. ამ ტექსტიდან ციტატები არ არის დადასტურებული იოანე ოქროპირამდე (ახალი წ. აღ. 407). ანალიზის საფუძველზე გამომცემლებმა აჩვენეს, რომ „სირიული“ ტიპი მიღებულია ორი სხვა ტექსტის შეერთებით. ესენია ე.წ. „საშუალო“ (Neutral) (რომლისგანაც შემდგომში მეოთხე, „ალექსანდრიულ“ ტექსტად წოდებული ტიპი წარმოიშვა) და „დასავლური“.

მეორე პოპულარული გამოცემა ახალი აღთქმისა არის Nestle-Aland's *Novum Testamentum Graece*. იგი გამოსცა ებერჰარდ ნესტლემ (Eberhard Nestle) და კურტ ალანდმა (Kurt Aland) (შტუტგარტი, 1979). მათ ტექსტი მოამზადეს კონსტანტინე ფონ ტიშენდორფის (Tischendorf), ბრუკ ვესტკოტის (Brooke Fross Westcott) და იოანე ჰორტის (Fenton John Anthony Hort) და ბერნჰარდ ვეისის (Bernhard Weiss) გამოცემების შედარების საფუძველზე. არსებობს მოსაზრება, რომ მათ თავიანთ გამოცემაში გადმოჰქონდათ ის იკითხვისები, რომლებიც მინიმუმ ორ ზემოთ ხსენებულ გამოცემაში ერთმანეთს დაემთხვეოდა.

ბიბლიის საზოგადოებამ მომზადა და 1966 წელს გამოსცა *The Greek New Testament* (ე.წ. შტუტგარდის გამოცემა). ტექსტის მომზადებაში მონაწილეობას იღებდა ხუთი ქვეყნის ბიბლიური საზოგადოება: ამერიკის, ბრიტანეთის, გერმანიის, შოტლანდიის და ვურტემბერგის (გერმანიის ერთ-ერთი მხარეა, შტუტგარტი – დედაქალაქი). ამ გამოცემაში ახალი აღთქმის ვერსიების ჩვენებებიც არის შესული, მაგალითად, ლათინური, სირიული, კოპტური, სომხური, ქართული, ეთიოპური და ძველი სლავური სახარებების. 1993 წელს გამოვიდა ამ წიგნის მეოთხე შევსებული გამოცემა, 2013 წელს კი მისი ახალი ტირაჟი მეჩვიდმეტედ დაიბეჭდა.

ზემოთ ხსენებულ სამივე გამოცემაში გამოყენებულია ტექსტუალური განსხვავებების ჩვენების მეტ-ნაკლებად ტრადიციული ფორმატი და, მიუხედავად ამ გამოცემების პოპულარულობისა, მათში წარმოდგენილი კრიტიკული ტექსტიც ეკლექტურია. ხელნაწერებში დაცული იკითხვისები შეცვლილია გამომცემელთა მიერ ისე, რომ ეს ცვლილება არ არის აღნიშნული აპარატში. ამგვარი მცდარი და დაუსრულებელი იკითხვისები ახალი აღთქმის ტექსტით დაინტერესებულ მკვლევარს ვერ აძლევს სრულფასოვან ინფორმაციას, რათა განსაჯოს, რომელ ხელნაწერში დაცული ვარიანტია უფრო ძველი.

სანამ Ath.62-ის ქვედა ფენის, ალავერდისა და იენაშის ოთხთავების ტექსტოლოგიურ ანალიზს შევუდგებოდეთ, აუცილებლად მიგვაჩნია ჯერ ბერძნული ახალი აღთქმის ტექსტუალური კრიტიციზმის, სახარების შემცველი ძირითადი ხელნაწერებისა და ტექსტის ტიპების შესახებ თეორიული საკითხების მოკლე განხილვა.

ამ თვალსაზრისით ყველასგან განსხვავებულია სვანსონის გამოცემა, რომელიც გამოცემის სრულიად ახალ პრინციპს დაეფუძნა. ეს გამოცემა გვთავაზობს ორ განსხვავებულ მიდგომას ბერძნული ახალი აღთქმის გამოცემის თვალსაზრისით. ერთი მხრივ, თავს არიდებს ეკლექტიზმს, რომელიც დამახასიათებელია ყველა დანარჩენი გამოცემისათვის და, მეორე მხრივ, განსხვავდება მათგან მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, რამდენადაც ყოველი ვარიანტი სრულად არის მოცემული პარალელური სტრიქონების ფორმატში. სვანსონის მიზანი იყო, რომ ახალი გამოცემა ყოფილიყო სრული, ზუსტი და ეფექტური. სისრულეში არ უნდა ვიგულისხმოთ, რომ აქ წარმოდგენილია ჩვენები ახალი აღთქმის ბერძნული ხელნაწერებიდან, ვერსიებიდან, ლექციონარიდან და ეკლესიის მამების ნაშრომებიდან, არამედ სრულყოფილად არის წარმოდგენილი თავად ყოველი ვარიანტული წაკითხვა, მაგალითად, სიტყვის განსხვავებული დაწერილობაც კი, რადგან ესეც შესაძლებელია ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია იყოს ხელნაწერთა ურთიერთმიმართებების დასადგენად. გამომცემელი არ ადგენს კრიტიკულ ტექსტს და არ არჩევს, რომელი წაკითხვაა უფრო მართებული და მნიშვნელოვანი, არამედ წარმოადგენს წყაროდ გამოყენებული ყველა ტექსტის ჩვენებას. სიზუსტისთვის გამომცემლები ორჯერ და ზოგიერთი ხელნაწერის შემთხვევაში სამჯერაც მიუბრუნდნენ წყაროებს იკითხვისების გადასამოწმებლად. რაც შეეხება სვანსონის გამოცემის ეფექტურობას, აქ იგულისმება ვარიანტების ჩაწერის ტექნიკა, კერძოდ, თუ ვესტკოტის (Westcott) და ჰორტის (Hort), ნესტლე-ალანდისა (Nestle-Aland) და ბიბლიური საზოგადოებების მიერ გამოცემულ წიგნებში ყველა ვარიანტული წაკითხვა სქოლიოშია ჩატანილი ერთმანეთის მიყოლებით, რაც უდავოდ აძნელებს მის წაკითხვას, სვანსონის გამოცემაში ყველა ვარიანტი ჰორიზონტალური პწკარედებით არის წარმოდგენილი და თვალისათვის უფრო ადვილი აღსაქმელია. ამავე დროს, ეს გამოცემა ინარჩუნებს სხვა გამოცემების ტექნიკასაც ვარიანტული წაკითხვების სიმბოლოებით გამოხატვის თვალსაზრისით. სვანსონის გამოცემაში არ არის წარმოდგენილი ვარიანტული წაკითხვები ლექციონარებიდან და ახალი აღთქმის სხვაენოვანი ვერსიებიდან, რადგანაც ეს ენების მცოდნე ადამიანურ რესურსებთან იყო დაკავშირებული. წმინდა მამებიდან კი გათვალისწინებულია კლიმენტი ალექსანდრიელთან დადასტურებული ციტატები (მასალა ძირითადად მომზადებულია რუბენ სვანსონის მიერ გამოცემული ბერძნული ახალი აღთქმის (Reuben J. Swanson, New Testament Greek Manuscripts (Matthew, Mark, Luke, John), 1995) შესავლის მიხედვით.

§1. ოთხთავის ძირითადი ბერძნული ხელნაწერები

ოთხთავის და, ზოგადად, ბიბლიური ტექსტების ქართულად თარგმანის საჭიროება საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებას უკავშირდება. ერთ-ერთი ვარაუდით, სახარების ქართული ტექსტი ბერძნულიდან ითარგმნა. ამიტომაც ჩვენამდე მოღწეული ოთხთავის ქართული თარგმანის ტექსტის განვითარების ისტორიის შესწავლისათვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს ბერძნული ოთხთავის ტექსტის ისტორიის ცოდნასა და გათვალისწინებას.

ტექსტუალურ კრიტიციზმს, როგორც მეცნიერებას, დიდი ხნის ისტორია და ტრადიცია აქვს. ის განვითარდა ალექსანდრიელი და პერგამონელი სწავლულების ხელში, რომლებიც კლასიკური ლიტერატურის ავთენტური ტექსტების დადგენას ცდილობდნენ (Reynold 1974; Wilson 1983).

და მაინც, რას ვეძახით ჩვენ ტექსტუალურ კრიტიციზმს? ნევილ ბერძოლის (Neville Birdsall) განმარტებით, ეს არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ვარიანტულ განსხვავებებს სხვადასხვა ხელნაწერში დაცული ერთი და იმავე ტექსტისა. ტექსტის ანალიზის ამ პროცესში სამი ძირითადი ფაზის გამოყოფა შეიძლება: განსხვავებული იკითხვისების გამოვლენა, მათი აღნუსხვა ზედმიწევნითი სიზუსტით და კრიტერიუმების შემუშავება, რის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება ამ განსხვავებების ახსნა (Birdsall 2006:4).

რა წყაროებს ეყრდნობა ახალი აღთქმის ტექსტოლოგია, როგორც მეცნიერება? პირველი, ეს არის ბერძნული ხელნაწერები, რომლებმაც შემოგვინახეს ორიგინალ ენაზე დაწერილი ტექსტები. აღნუსხულია სულ 5366 ხელნაწერი, რომლებიც სრულად ან ნაწილობრივ შეიცავენ ბერძნულ ახალ აღთქმას. ზოგჯერ სახარების ტექსტი წარმოდგენილია ბიბლიის კრებულში, ზოგჯერ – ახალი აღთქმის კრებულში, ზოგჯერ ცალკე, დამოუკიდებლად, ან ლიტურგიკული დანიშნულების კრებულებში (აპრაკოსები, ლექციონარები). ახალი აღთქმის ხელნაწერთა რიცხვი ახალი აღმოჩენების შემდეგ მუდმივად იზრდება. მაგალითად, მათ რიცხვს სინას მთაზე წმ. ეკატერინეს მონასტერში აღმოჩენილი საცავის შემდეგ ახალი ხელნაწერებიც შეემატა. ბერძნული ახალი აღთქმის შემცველი უძველესი ხელნაწერები მე-2 საუკუნით თარიღდება.

მეორე, ახალი აღთქმის ძველი თარგმანები, რომლებიც სხვადასხვა დროსაა შესრულებული, ძირითადად, მე-2 საუკუნიდან მე-10 საუკუნემდე. თითოეულ მათგანს აქვს დამოუკიდებელი განვითარების ისტორია და ტექსტუალური პრობლემები. მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რომელი ბერძნული წყაროდან ითარგმნა ან შესწორდა ისინი. ბერძნულიდან არის თარგმნილი ახალი აღთქმის ლათინური, კოპტური, არაბული, ეთიოპიური, სირიული, სპარსული, სოგდური (ნაკლებად ცნობილი ენა ცენტრალურ აზიაში), სომხური, ქართული, ალბანური, გოთური და ძველი

სლავური თარგმანები.

მესამე, ახალი აღთქმის ტექსტის ისტორიის შესასწავლად სერიოზულ წყაროს წარმოადგენს წმინდა წერილის კომენტარებში დაცული კიმენის ტექსტები და ციტატები წმინდა მამებთან, რომლებიც მათ ეგზეგეტიკური ხასიათის კომენტარებს უკეთებდნენ, ან იყენებდნენ ჰიმნოგრაფიასა და ლიტურგიკული დანიშნულების წიგნებში. ეს ციტატები გვეხმარება დავათარილოთ ან განვსაზღვროთ ხელნაწერის გადაწერის ადგილი სპეციფიკური თავისებურებების გამოვლენის საშუალებით. ამგვარი შრომა აქვს ჩატარებული, მაგალითად, ნევილ ბერძოლს მეცხრე საუკუნის პატრიარქის, ფოტიუსის, შრომებში დამოწმებული სახარების ციტატებზე მუშაობისას.⁴⁷

ახალი აღთქმის ბერძნული ხელნაწერები რამდენიმე კატეგორიად იყოფა მასალის (პაპირუსზე და ეტრატზე დაწერილი მანუსკრიპტები), დამწერლობის სისტემის (უნციალური და მინუსკულური ხელნაწერები) და დანიშნულების (ახალი აღთქმის წიგნთა და ლექციონარების კრებულები) მიხედვით.

პაპირუსზე დაწერილი ახალი აღთქმის ფრაგმენტების რაოდენობა 116 შეადგენს. მნიშვნელოვანი პაპირუსებია:⁴⁸

ხელნაწერის ნომერი	შენახვის ადგილი	სახელი	თარიღი
p ¹	Piladelphia		III
p ²	Florence		VI
p ⁵	London		III
p ⁶	Strasbourg		IV

⁴⁷ “The text of the Gospels in Photius”, Jurnal of Theological Studies n.s. Vol.7 (1956), pages 43-45, 190-8; “the text of the Acts and Epistles in Photius”, ibid. Vol.9 (1958), pages 278-291.

⁴⁸ **ჩესტერ ბითის პაპირუსები (p⁴⁵, p⁴⁶, p⁴⁷)** – 1930-1931 წლებში ინგლისელმა მოგზაურმა ჩესტერ ბითიმ ეგვიპტეში ფელახებისაგან პაპირუსის ხელნაწერები იყიდა და ბრიტანეთში ჩაიტანა. მათი გაწმედისა და გაცხოველების შემდეგ უძველესი ნაწილი II საუკუნით დათარიღდა, უგვიანესი – III საუკუნით. ხელნაწერები წარმოდგენილი იყო არა გრანული ფორმით, როგორც ეს მაშინ იყო გავრცელებული, არამედ კოდექსის სახით. ეს პაპირუსები ძველი და ახალი აღთქმის წიგნებს შეიცავდნენ. მამასადამე, ბიბლიის წიგნები ჯერ კიდევ II საუკუნეში ერთ მთლიანობად იყო აღქმული და ერთ წიგნში იყო თავმოყრილი. **გრინფილდის პაპირუსი (p⁵²)** – ამ პაპირუსში დაცულია იოანეს სახარების ფრაგმენტი. იგი ბერნარდ პ. გრენფილდმა 1920 წელს აღმოაჩინა და მანჩესტერის ბიბლიოთეკას გადასცა. ს. ხ. რობერტსმა ფრაგმენტი II ს-ის დასაწყისით დაათარიღა. ეს პაპირუსი სახარების ყველაზე ძველ ნიმუშად ითვლება. **ბოდმერის პაპირუსი (p⁶⁶, p⁷², p⁷⁴, p⁷⁵)** – მარტინ ბოდმერმა პაპირუსების მდიდარი ბიბლიოთეკა შექმნა. მათ შორის ყველაზე ძველია p⁶⁶, რომელიც იოანეს სახარების ტექსტს შეიცავს. იგი 1956 წელს ვიქტორ მარტინმა გამოსცა და დაახ. 200 წლით დაათარიღა.

p ¹⁹	Oxford		IV/V
p ²²	Glasgow		III
p ²⁵	Berlin		late IV
p ³⁵	Florence		IV (?)
p ³⁵	Florence		VI
p ³⁷	Ann Arbor, Mich		IX
p ³⁹	Rochester, N.Y.		III
p ⁴⁵	Dublin	Chester Beatty	III
p ⁴⁶	Dublin	Chester Beatty	III
p ⁴⁷	Dublin	Chester Beatty	III
p ⁵²	Manchester	Bernard P. Grenfell	II
p ⁵³	Ann Arbor, Mich		III
p ⁵⁹	New York: P. Colt 3		VII
p ⁶⁰	New York: P. Colt 4		VII
p ⁶²	Oslo		IV
p ⁶³	Berlin		about 500
p ⁶⁶	Geneva	P. Bodmer II	about 200
p ⁷²	Geneva	P. Bodmer	III
p ⁷⁴	Geneva	P. Bodmer XVII	VII
p ⁷⁵	Geneva	P. Bodmer XIV, XV	early III
p ⁷⁶	Vienna		VI
p ⁸²	Strasbourg		IV/V

ეტრატზე დაწერილი უნციალური (იგივე მაიუსკულური) ხელნაწერების რაოდენობა 310-ია. ოთხთავის ბერძნული გამოცემების (Swanson 1995) კრიტიკულ აპარატში უნციალურ მანუსკრიპტებს აღნიშნავენ დიდი ლათინური ან ბერძნული

ასოებით, ერთი ხელნაწერი (სინას კოდექსი) კი ებრაული ასოთია აღნიშნული (א-aleph). მას შემდეგ, რაც მაიუსკულური ხელნაწერების რაოდენობამ ლათინური, ბერძნული და ებრაული ასოების რაოდენობას გადააჭარბა, მისი აღნიშვნა დაიწყო არაბული რიცხვებით. ცხრილში მოტანილია ყველაზე მნიშვნელოვანი უნციალური ხელნაწერები, გადაწერის თარიღისა და შენახვის ადგილის მითითებით:⁴⁹

ლიტერი	ხელნაწერის ნომერი	შენახვის ადგილი	სახელი	თარიღი
א	01	London	Sinaiticus	IV
A	02	London	Alexandrinus	V
B	03	Rome	Vaticanus	IV
C	04	Paris	Ephraemi Rescriptus	V
D	05	Paris	Bezae Cantabrigiensis	V/VI
E	07	Basel		VIII
F	09	Utrecht		IX
G	012	Dresden	Boernerianus	IX
H	013	Hamburg and Cambridge		IX

⁴⁹ **სინას კოდექსი (א)** დაცულია ბრიტანეთის სახელმწიფო მუზეუმში. თარიღდება IV საუკუნის პირველი ნახევრით. იგი ერთადერთი უნციალური ხელნაწერია, რომელიც ახალი აღთქმის ტექსტს სრულად შეიცავს. აგრეთვე შეიცავს ძველი აღთქმის წიგნებს. ამ ხელნაწერის აღმოჩენა და შესწავლა გერმანელი მეცნიერის, კონსტანტინე ფონ ტიშენდორფის სახელთანაა დაკავშირებული. **ვატიკანის კოდექსი (B)** შეიცავს ძველი და ახალი აღთქმის კანონს და რამდენიმე არაკანონიკურ ტექსტსაც. ნაკლულია. ხელნაწერი ვატიკანის ბიბლიოთეკაში ინახება. დადასტურებულია 1475 წელს შედგენილ კატალოგში. თარიღდება IV საუკუნის შუა წლებით. **ეფრემის კოდექსი (C)** პალიმფსესტია, ინახება პარიზის ნაციონალურ მუზეუმში. ქვედა ფენა, რომელშიც ბიბლიის ტექსტია დაცული, V საუკუნით თარიღდება. XII საუკუნეში ზედ გადაწერეს ეფრემ ასურის ასკეტური შინაარსის ტრაქტატები და ქადაგებები. **ბიზეს კოდექსი (D)** ინახება კემბრიჯის ბიბლიოთეკაში. დათარიღებულია V-VI საუკუნით. შეიცავს სახარებისა და საქმე მოციქულთას ტექსტს. ხელნაწერი ბილინგვურია: მარცხნივ ლათინურია, მარჯვნივ – ბერძნული. **კორიდეთის კოდექსი (H)** აღმოჩნდა კვირიკესა და ივლიტას ეკლესიაში სოფ. კალაში, სვანეთში. გადაწერილია IX საუკუნეში, სავარაუდოდ, ტაო-კლარჯეთის სოფ. კორიდეთში (დღევანდელი ართვინი). კორიდეთის კოდექსის სრული ტექსტი გუსტავ ბერმანმა და ს. რ. გრეგორიმ 1913 წელს ლაიფციგში დაბეჭდეს.

K	017	Paris		IX
L	019	Paris	Regius	VIII
M	021	Paris		IX
N	022	St. Petersburg and elsewhere		VI
P	024	Wolfenbittel		VI
Q	026	Wolfenbittel		V
S	028	London		VI
T	029	Rome		V
U	030	Venice		IX
W	032	Washington	Freer Gospels	V
Y	034	Cambridge		IX
Γ	036	St. Petersburg and Oxford		X
Δ	037	St. Gall		IX
Θ	037	Tiflis	Koridethi	IX
Λ	039	Oxford		IX
Π	041	St. Petersburg		IX
Ψ	044	Athos		VIII/IX
Ω	045	Athos		IX
	0171	Florence		IV

დღემდე მოღწეული მინუსკულური ხელნაწერების რაოდენობა 2877 შეადგენს. მეცნიერებმა ტექსტოლოგიური შესწავლის შედეგად აღმოაჩინეს, რომ ზოგიერთი მინუსკულური ხელნაწერი ერთსა და იმავე ტექსტის ტიპს შეიცავდა, ამიტომ ისინი „ოჯახებში“ გააერთიანეს.

Fam. 1. მეოცე საუკუნის დასაწყისში Krisopp Lake-მა (Lake 1932:3-25) ერთ ოჯახში გააერთიანა შემდეგი ხელნაწერები: 1, 118, 131 და 209, რომლებიც გადაწერილია XI-XIV საუკუნეებში. ამ „ოჯახის“ ხელნაწერების ტექსტის ტიპი ხშირად ეთანხმება კოდექს Θ-ს (კორიდეთის სახარება). ბოლო დროს დადგინდა, რომ 1582 ხელნაწერის მათეს სახარებაც

ამ ოჯახის ტექსტის ტიპს მიჰყვება.

Fam.13. 1868 წელს დუბლინის უნივერსიტეტის ლათინური ენის პროფესორმა William Hugh Ferrar-მა აღმოაჩინა, რომ შუასაუკუნეების პერიოდის რამდენიმე მანუსკრიპტი: 13, 69, 124 და 346 ტექსტუალური თვალსაზრისით ძალიან ახლოს იდგნენ ერთმანეთთან. მის მიერ შედარებული ტექსტები 1877 წელს, მისი სიკვდილის შემდეგ, გამოსცა მისმა მეგობარმა და კოლეგამ T.K. Abbott-მა. დღეისათვის ცნობილია, რომ ეს ჯგუფი (Ferrar-ის ჯგუფი) მოიცავს უამრავ ხელნაწერს, მათ შორის, 230, 543, 788, 826, 983, 1689 და 1709. ისინი XI-XIV საუკუნეებშია გადაწერილი.

ოჯახი 9 – ამ ოჯახში გაერთიანებულია ბიზანტიური ტექსტის ტიპის შემცველი ხელნაწერები: EFGHSYΩ.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი Fam. 1. და Fam.13. არის ის, რომ ეპიზოდი მრუში ქალის შეახებ (იოანე 7.53-8.11) იოანეს სახარებაში კი არ არის წარმოდგენილი, არამედ ლუკას სახარებაში 21-ე თავის 38 მუხლის შემდეგ.⁵⁰

სხვა მნიშვნელოვანი მინუსკულური ხელნაწერებია:

ხელნაწერის ნომერი	შენახვის ადგილი	თარიღი
2	Basle	XII
28	Paris	XI
33	Paris	IX
81	London, British library	1044
157	Rome, Vatican Library	1122
565	St. Petersburg	IX
579	Paris	XIII
700	London, British library	XI
788	Athens	XI
1071	Mt. Athos	XII
1424	Maywood, III	IX, X

⁵⁰ ასევეა ოპიზურ (იგივე ჯრუჟ-პარხლის) და ათონურ რედაქციაშიც.

ლექციონარები – აღწერილია ბერძნული ახალი აღთქმის 2 432 ლექციონარი, თუმცა კი კრიტიკულად მხოლოდ რამდენიმეა შესწავლილი. ლექციონარები აღნიშნულია L ლიტერით და შემდეგ მოსდევს ხელნაწერის ნომრის არაბული რიცხვი. მხოლოდ L ლიტერით აღნიშნავენ ლექციონარს, სადაც შესულია საკითხავები ოთხთავიდან, L^a ლიტერით – ლექციონარებს საკითხავებით საქმე მოციქულთაგან და ეპისტოლეებიდან. ხოლო L^{*a} -თი კი იმ ლექციონარებს, რომლებიც შეიცავენ ოთხთავის, საქმე მოციქულთას და ეპისტოლეების საკითხავებს. ბერძულ ლექციონარებში არ არის დაცული საკითხავები იოანეს გამოცხადებიდან.

§2. ბერძნული ახალი აღთქმის ტექსტის ტიპები⁵¹

ახალი აღთქმის თითოეულ წიგნს თავისი ტექსტუალური ისტორია აქვს და პირველადი ტექსტის დადგენა თითოეულისათვის ინდივიდუალური მეთოდებით ხდება. ოთხთავის შემთხვევაში კი მისი დადგენა კიდევ უფრო რთულია, რადგან იგი, სავარაუდოდ, ზეპირ თხრობას დაეფუძნა. ეს ნიშნავს, რომ მისი ჩაწერა შემდეგ მოხდა მსმენელის მიერ. ოთხთავის ტექსტის მკვლევრების უპირველეს ამოცანას სწორედ ამ ჩაწერილი ტექსტის აღდგენა წარმოადგენს. თუმცა პირველადი ტექსტის დადგენა მარტივი საქმე არ არის, განსაკუთრებით თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტსაც, რომ პირველწყაროებს ჩვენამდე არ მოუღწევია. ახალი აღთქმის წიგნების უდიდესი მკვლევარი, ამერიკელი მეცნიერი, ბრიუს მეცგერი მიიჩნევს (Metzger 2005:274), რომ ორიგინალი ტექსტი არის ის, რომელიც კონკრეტულ დროსა და კონკრეტულ ადგილას ან სხვა პირის მიერ არის ჩაწერილი, ან დაიწერა თავად ტექსტის ავტორის მიერ. მისი აზრით, სწორედ ეს არის ტექსტის „ფინალური გამოცემა“, რომლის აღდგენასაც ცდილობენ კრიტიკოსები და რომელიც საფუძვლად დაედო ყველა შემდგომ ასლს.

ქრისტიანობის პირველივე საუკუნეებიდანვე, როგორც კი ახალი აღთქმის წიგნების დაწერა დასრულდა, ეკლესიის მესვეურებმა დაიწყეს ზრუნვა მათ გავრცელებაზე მთელს ქრისტიანულ სამყაროში. ეს არის სწორედ ის პროცესი, რომელსაც ძველ დროში წიგნის გამოცემას ეძახდნენ: ერთი დედნიდან ერთი ან რამდენიმე ასლის გაკეთება, რათა მისი მოსმენა სხვებსაც შეძლებოდათ. ამ პერიოდში „მკითხველის“ ფენომენი მასიური არ იყო, უმრავლესობა ჯერ კიდევ „მსმენელი“ იყო. პირველი ეგზემპლარებიც საჯარო კითხვისთვის იყო გამიზნული. ვინაიდან წიგნების საჭიროება დიდი იყო, ეს პროცესი ადამიანურ რესურსებსაც დიდი რაოდენობით მოითხოვდა. ამიტომაც პირველი ასლები არაპროფესიონალმა გადაამწერებმა გააკეთეს. როგორც ბრიუს მეცგერი აღნიშნავს, დილექტანტმა გადაამწერებმა ტექსტების გადაწერისას ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვეს. ტექსტები ამგვარი შეცდომებით გავრცელდა ადრეულ საუკუნეებშივე. გავრცელების არეალი კი ფართო იყო (Metzger 2005:275).

რა ტიპის იყო ის შეცდომები, რომლებიც ტექსტის პირველმა გამავრცელებლებმა დაუშვეს და რამაც შემდგომში ტექსტის ცვლილებები გამოიწვია? გადაამწერებს უნებლიედ გამორჩებოდათ სიტყვა ან მთლიანი სტრიქონი მსგავსი თავ-კიდურწერილობის გამო, რასაც homoioarcton-homoioteleuton-ს ვუწოდებთ, ამ პირიქით, იმავე მიზეზით ორჯერ გადაწერდნენ ერთსა და იმავეს; სტილისტურად ცვლიდნენ წინადადებებს ან ერთ სიტყვას – მეორეთი, მანამდე დაშვებულ აშკარა შეცდომებს

⁵¹ ეს პარაგრაფი ძირითადად მომზადებულია შემდეგი წიგნის მიხედვით: Bruce M. Metzger, Bart D. Ehrman, *The Text of the New Testament, Its Transmission, Corruption and Restoration*, Fourth Edition, 2005, pg. 272-280; 305-313.

ასწორებდნენ, მაგლითად, მარცვლის გამეორებას (dittographia) და პირიქით, ამოვარდნას (haplographia), სიტყვათა გამეორებას და ა. შ. როგორც ვხედავთ, ტექსტში შედიოდა, ერთი მხრივ, უნებლიე, მექანიკური შეცდომები, რომლებიც ნაკლებ ზიანს აყენებს ტექსტს და ადვილი აღმოსაჩენია, მეორე მხრივ, ნებისითი, განზრახული და გააზრებული. ამ ცვლილებების შედეგად ადრეულ პერიოდშივე გადაწერილი ტექსტი უფრო მეტად შორდებოდა ორიგინალს, ვიდრე შუა საუკუნეებში გადაწერილი, რადგან ამ დროს გადაწერის სიზუსტე მეტად კონტროლდებოდა, რომ ახალი ცვლილებები აღარ შესულიყო მასში. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს თეორია (Scriptores Deteriores) უკვე მოძველებულია. ტექსტში შესული ცვლილებების მთლიანად გადამწერებზე გადაბრალევა და მათი, როგორც „გამფუჭებლების“ წარმოდგენა, არ უნდა იყოს მთლად მართებული. ცვლილებები წმინდა წერილში უფრო კომპლექსურმა მიზეზებმა განაპირობა.

მეორე საუკუნის შუა წლებში უკვე ახალი აღთქმის ხელნაწერთა იმდენი რაოდენობა დაგროვდა, რომ სკრიპტორიუმებში შეეძლოთ პარალელური ტექსტების გამოყენება ამა თუ იმ პასაჟის დაზუსტების თვალსაზრისით. ამ გზით ხდებოდა იკითხვისების შერევა. ერთი მხრივ, ამგვარი შერევა ართულებს ავთენტური ტექსტის დადგენის პროცესს და ზოგიერთ შემთხვევაში შეუძლებელსაც კი ხდის შევქმნათ ოთხთავის ტექსტის განვითარების გენეალოგიური ხე. თუმცა, მეორე მხრივ, ტექსტებში შესული გარკვეული ტიპის ცვლილებები, მაგ., გამოტოვებული ფრაზები, ლექსიკური ხასიათის ცვლილებები, ხანდახან მეტ შესაძლებლობას იძლევა სხვადასხვა ხელნაწერის ტექსტების მიმართებების დასადგენად.

ბერძნული ახალი აღთქმის ტექსტოლოგების მიერ დადგენილია, რომ V საუკუნემდე უკვე არსებობდა ტექსტის 3 ტიპი: *დასავლური*, *ალექსანდრიული* და *კესარიული*. სამივე მათგანი პრე-კოინე ტექსტის ტიპია. *კოინე* კი, იგივე *ბიზანტიური* ტიპი, მოგვიანებით შეიქმნა. იგი ბერძნულ ხელნაწერთა უმრავლესობაშია დაცული.

დასავლური ტიპი. ოთხთავის ტექსტის დასავლური ტიპი დაცულია შემდეგ ხელნაწერებში: \aleph (იოვანე 1.1-8.38), D, W (მარკოზის სახარებაში 1.1-5.30), 0171, ძველ ლათინურ, Syr^p , Syr^c (ნაწილობრივ), ადრეული პერიოდის ბერძენ და ლათინ მამებთან, Tatiain's Diatessaron.

დასავლური ტექსტის მთავარი მახასიათებლებია: პერიფრაზები, სიტყვების, მუხლების ან საერთოდ მთელი წინადადებების თავისუფალი ცვლა, მათი გამოტოვება ან დამატება.

ტერმინი „დასავლური“ ამ ტიპის ტექსტს უწოდა პროფ. იოჰან გრისბახმა (Johann Jakob Griesbach) მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, რადგანაც ხელნაწერთა უმრავლესობა, რომლებშიც ტექსტის ეს ტიპია დაცული, დასავლური წარმოშობისაა

(მაგ., ბიზეს კოდექსი, ძველი ლათინური ხელნაწერები, ციტატები ლათინ მამებთან). თუმცა მისი გავრცელების გეოგრაფიული არეალი არ იყო შემოსაზღვრული მხოლოდ დასავლეთით, იგი წარმოდგენილია ხელნაწერებში არა მხოლოდ ჩრდილოეთ აფრიკიდან, იტალიიდან ან გალიიდან (რომლებიც რეალურად გეოგრაფიულად დასავლეთია), არამედ ეგვიპტიდანაც (ცოტათი განსხვავებული ტექსტის ფორმა) და აღმოსავლეთიდან. ძველი სირიული და კოპტური ოთხთავების ზოგიერთ ნაწილშიც ტექსტის ეს ტიპია დაცული. ამიტომაც ტერმინი „დასავლური“ ამ შემთხვევაში უფრო მეტად საკუთარი სახელია, ვიდრე გეოგრაფიული არეალის აღმნიშვნელი.

დასავლური ტექსტის ტიპი წარმოდგენილია მეორე და მესამე საუკუნის დასაწყისის წმინდა მამების ციტატებში (მარკიანე, იუსტინიანე (შესაძლოა, ტატიანესთან), ჰერაკლიონი, ჰიერონიმე და ტერტულიანე), ამიტომაც მას ათარიღებენ მეორე საუკუნის შუა წლებითა და მესამე საუკუნის დასაწყისით (Delobel 1997:401-10; Aland 1987:37-61). თუმცა ბიზეს კოდექსისა და ზოგიერთი სხვა ხელნაწერის გარკვეული იკითხვისეების ანალიზის შედეგად არ გამორიცხავენ, რომ ტექსტის ეს ტიპი უფრო ადრეული ხანის წაკითხვებსაც შეიცავდეს (Martini 1979 :34; Birdsall 1989:3-17).

არსებობს რამდენიმე თეორია დასავლური ტექსტის ტიპის სიძველის შესახებ. ვესტკოტი (Brooke Fross Westcott) და ჰორტი (Fenton John Anthony Hort) მიიჩნევდნენ, რომ იგი წარმოიშვა მეორე საუკუნეში საგანგებო რევიზიის შედეგად. სხვები შეეცადნენ დაესაბუთებინათ, რომ დასავლური ტექსტი მიღებულია სირიულიდან ან ძველი ლათინურიდან ახალი თარგმანის შედეგად. ხელახალი თარგმანი დასჭირდათ, სავარაუდოდ, იმიტომ რომ ბერძნული მიეახლოვებინათ სირიულ ან ძველ ლათინურ თარგმანთან, რათა შეექმნათ ბილინგვური მანუსკრიპტები. ზოგიერთი მკვლევრის აზრით კი, დასავლური ტექსტის ტიპი გამიზნულად შეიქმნა ერთი ან რამდენიმე ადამიანის მიერ, რომლებმაც რევიზია ჩაუტარეს მანამდე არსებულ ტექსტს (Ropes 1926:viii; Hatch:1937). მხოლოდ დასავლური ტექსტისათვის დამახასიათებელი იკითხვისეები ყველაზე მკაფიოდ ლუკას სახარებასა და „საქმე მოციქულთაშია“ წარმოდგენილი. ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, რომ ლუკა მახარებელმა თვითონვე შექმნა ორი ვერსია ამ წიგნებისა, ერთი მეორეზე გრძელი იყო, გრძელი ვერსია არის დასავლური ტექსტის ტიპი. აზრთა სხვადასხვაობაა იმაზეც, გრძელი ტექსტი იყო პირველადი თუ მოკლე.

ზოგიერთი მეცნიერი საერთოდაც ეჭვქვეშ აყენებს დასავლური ტექსტის, როგორც დამოუკიდებელი რედაქციის არსებობას, რადგან იგი არ არის ერთგვაროვანი, დასავლური ტექსტის ტიპის წაკითხვები მოიპოვება სხვა ტექსტის ტიპებშიც. ამგვარი საერთო წაკითხვების არსებობის გამო მას არ მიიჩნევენ ადრეული ტექსტის რევიზიის შედეგად მიღებულად, არამედ თვლიან, რომ იგი განვითარდა მეორე საუკუნეში

უკონტროლოდ და „ველური“ პრინციპით.

დასავლური ტექსტის შესწავლა კვლავაც გრძელდება. ახალი აღთქმის მკვლევართა უმეტესობა აცნობიერებს, რომ სამივე პრე-კოინე ტექსტის ფორმა იმსახურებს ყურადღებას და შესაძლოა რომელიმე მათგანში იყოს დაცული პირველადი წაკითხვები.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლოდროინდელ თეორიებს, რომლებიც დასავლური ჯგუფის ხელნაწერების შედარების საფუძველზე იქმნება, ნაკლები საერთო აქვთ ერთმანეთთან, მათი ავტორების შემოთავაზებების, მეთოდებისა და დასკვნების შედარებამ შეიძლება მოიტანოს დასავლური ტექსტის შესახებ ისეთი შედეგი, რომელიც მეტნაკლებად ახლოს იქნება პრობლემის გადაწყვეტასთან. მნიშვნელოვანი მიმოხლვა ამგვარი მცდელობებისა აქვს ჯოელ დელობელს (Joël Delobel) „Focus on the ‘Western Text in Recent Studies’”, *Ephemerides theologicae Louanienses*, Ixxiii (1997), pp. 401-10, სადაც 40 წიგნსა და სტატიაზე მეტია განხილული. და კიდევ *Codex Bezae: Studies from the lunel Colloquium*, June 1994, edited by D.C. Parker and C.-B. Amphoux (Leiden, 1996), სადაც არის მცდელობა ბიზეს კოდექსი განიხილოს დასავლური ტექსტის ნაწილად და გამოთქმულია მოსაზრება, რომ მასში დაცულია დასავლური ტიპის ავთენტური ტექსტი.

ალექსანდრიული ტიპი. გამოყოფენ პირველად და მეორეულ ალექსანდრიულს. ოთხთავის ტექსტის ალექსანდრიული ტიპი დაცულია შემდეგ ხელნაწერებში: **პირველადი ალექსანდრიული:** P⁴⁶ P⁶⁶ და P⁷⁵ Ⴚ (იოანეს სახარების გამოკლებით 1.1-8. 38), B, Sah (ნაწილობრივ), Clem, Orig და პაპირუსების ფრაგმენტების უმრავლესობა.

მეორეული ალექსანდრიული: (C), L, T, W (ლუკას სახარების ნაწილში 1.1-8.12 და იოანეს სახარებაში), (X), Z, Δ (მხოლოდ მარკოზის სახარება), E, Ψ (მარკოზის სახარებაში, ნაწილობრივ ლუკასთან და იოანესთან), 33, 579, 892, 1241, Boh, დიდძალ ალექსანდრიელი (ბრმა) და ათანასე ალექსანდრიელი.

ყველა კულტურულ და საგანმანათლებლო ცენტრში უკონტროლოდ არ ვრცელდებოდა საღმრთო წერილი. ქალაქ ალექსანდრიაში ახალი აღთქმის ტექსტის გადაწერის სისწორე უფრო მეტად კონტროლდებოდა.

ალექსანდრიას, რომელიც საყოველთაოდ ცნობილია, როგორც ანტიკური სამყაროს კულტურისა და განათლების დიდი ცენტრი, მწიგნობრობის დიდი ხნის ისტორია ჰქონდა. ამიტომაც ის ხელნაწერები, რომელნიც ალექსანდრიასთანაა დაკავშირებული, მაღალი ხარისხით გამოირჩევა. აქ გადაწერეს და კარგად შემოინახეს ახალი აღთქმის ერთ-ერთი ადრეული ვერსია, რომელიც მესამე და მეოთხე საუკუნის ალექსანდრიული ეკლესიის ისეთი მამების ნაშრომებშია დაცული, როგორებიც იყვნენ: ორიგენე, ათანასე ალექსანდრიელი, დიდძალ ალექსანდრიელი (ბრმა) და ისეთ ცნობილ ხელნაწერებში, როგორებიცაა P⁶⁶ P⁷⁵, ვატიკანის და სინას კოდექსი. ტექსტის ეს ტიპი

შემდეგ გადავიდა კოპტურ ვერსიებშიც. მე-4 საუკუნის ვატიკანის კოდექსისა და მე-3 საუკუნის დასაწყისის p⁷⁵-ს ტექსტების შედარების საფუძველზე ნათლად ჩანს, რომ ალექსანდრიის ქრისტიანი სწავლულები ბეჯითად და გულმოდგინედ მუშაობდნენ, რათა შეენარჩუნებინათ შეურყვნელი ტექსტი.

მიუხედავად ამგვარი მცდელობებისა, ახალ აღთქმაში ალექსანდრიაშიც კი მცირედი ცვლილებები შევიდა და ამ ცვლილებებით გავრცელდა იგი შემდგომ. ამიტომაც ალექსანდრიული ტექსტი კლასიფიცირდება ორ ჯგუფად, ერთი, p⁷⁵-B (ვატიკანის კოდექსი) ტიპისა, რომელშიც შედის p⁶⁶-ც, კარგად შენახული და თითქმის შეურყვნელი, და მეორეული ალექსანდრიული ტექსტი, რომელშიც ზოგი გრამატიკული და სტილისტური ხარვეზი გასწორდა. იგი დაცულია ხელნაწერებში: C (Ephraemi Rescriptus), L (Regius), 33 და დიდძალ ალექსანდრიელის (ბრმა) ციტატებში (Ehrman 1986:262-267).

გ. ცუნცი (Günther Zuntz) მიიჩნევს, რომ ალექსანდრიული ტექსტი მომზადებულია ალექსანდრიული სკოლის ტრადიციებზე აღზრდილი რეცენზენტების მიერ (Zuntz 1953:272-276). ის ტექსტი, რომელსაც ისინი ეყრდნობოდნენ და რომლის საფუძველზეც შეიქმნა ალექსანდრიული ტიპის ტექსტი, აუცილებლად ძველი იქნებოდა. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში ცნობილი იყო ამ ტიპის ტექსტის ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროები: B (ვატიკანის კოდექსი) და X (Codex Sinaiticus), დათარიღებული მეოთხე საუკუნის შუა ხანებით. p⁶⁶ და p⁷⁵ პაპირუსების აღმოჩენის შემდეგ, რომლებიც თარიღდებიან მეორე საუკუნის ბოლოთი ან მესამე საუკუნის დასაწყისით, დადასტურდა, რომ ისინი ალექსანდრიული ტიპის ტექსტის არქეტიპს წარმოადგენენ. ამ აღმოჩენის შემდეგ შესამღებელი გახდა ალექსანდრიული ტიპის ტექსტის დათარიღება მეორე საუკუნის დასაწყისით. ალექსანდრიული ტიპის ეს ადრეული ტექსტები, რომლებსაც შეიძლება ეწოდოს „პირველადი“ ალექსანდრიული ტექსტი, სხვა ტექსტის ტიპებთან შედარებით მოკლეა (დასავლური ტიპის ტექსტი ზოგადად ალექსანდრიულ, კესარიულ და ბიზანტიურ ტექსტის ტიპთან შედარებით გრძელია).

როგორც ვხედავთ, მეორე და მესამე საუკუნეში არსებობდა ბერძნული ახალი აღთქმის ორი ძირითადი ტექსტის ტიპი: ერთი პერიფრაზირებისაკენ მიდრეკილი და ე. წ. „ველური“ პრინციპით განვითარებული დასავლური ტექსტი და სიფრთხილით შენახული და თითქმის ხელუხლებელი ალექსანდრიული ტექსტი, რომელიც ბრიუს მეცგერის ვარაუდით, ყველაზე ახლოს უნდა იყოს ორიგინალთან (Metzger 2005:312).

კესარიული ტიპი. ბ. სტრიტერმა (Burnett Hillman Streeter) დაადგინა ტექსტის ტიპი, რომელიც კესარიაში იყო გავრცელებული და იგი დაუკავშირა Θ, fam 1, fam.13 და სხვა ხელნაწერებს. ლეიკის (Lake), ბლეიკის (Blake) და უახლესი გამოკვლევების

მიხედვით, კესარიული ტექსტი, სავარაუდოდ, წარმოიშვა ეგვიპტეში და ორიგენემ წაიღო იგი კესარიაში. შემდეგ ის მოხვდა იერუსალიმშიც (კესარიულ ტიპის ტექსტის შემცველ ბევრ ხელნაწერზე დართულია ე.წ. იერუსალიმური კოლოფონები, მაგ, კოდექსი 157), სომხეთში და საქართველოში (კორიდეთის კოდექსი, ინახება საქართველოში).

კესარიული ტიპის ტექსტში შერეულია დასავლური და ალექსანდრიული ტიპის ტექსტების წაკითხვები. ამ ტექსტის შემქმნელმა იცის ორივე მათგანი და მიმართავს კომპრომისებს. რეალურად, ის მიჰყვება ალექსანდრიულ ტექსტს, ამავდროულად ინარჩუნებს დასავლური ტექსტის ისეთ წაკითხვებს, რომლებიც უმჯობესად მიაჩნია. Glob-ი ავითარებდა თვალსაზრისს, რომ კესარიული ვარიანტი პერიფრაზებით და გრამატიკული დეტალებით ჰგავს დასავლურ ტექსტს (Glob 1984:126). სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე ლ. ჰურტადო (Hurtado) მივიდა იმავე დასკვნამდე. მან არგუმენტირებულად დაამტკიცა, რომ კესარიული ტექსტი დაეფუძნა დასავლური ტიპის ტექსტს და მისი შემდგომი ფორმირება მოხდა აღმოსავლეთში (Hurtado 1981:88).

Ayuso და სხვები კესარიული ტექსტის განვითარებაში ორ საფეხურს გამოყოფენ (მარკოზის სახარების მიხედვით) (Metzger 2005:311). 1 ძველ ეგვიპტური ტექსტი, რომელიც ორიგენემ წაიღო კესარიაში, მას შეიძლება დაერქვას „პრე-კესარიული“. ის დაცულია p⁴⁵, W (მარკ. 5.31-16.20), fam. 1, fam.13, 28 და ბევრ ბერძნულ ლექციონარში. 2, გადამუშავებული კესარიული ტექსტი – კესარიაში პრე-კესარიული ტექსტი ჩამოყალიბდა იმ ფორმით, როგორც არის დაცული შემდეგ ხელნაწერებში: Θ, 565 და 700, აგრეთვე ციტატებში ორიგენესთან და ევსებიოსთან, ძველ სომხურ და ძველ ქართულ ვერსიებში, და ზოგიერთ სირიულ ხელნაწერში (Syr^{s, c}). ჰურტადო (Hurtado) ცდილობდა რა კესარიული ტიპის ტექსტების, p⁴⁵ და W-ს (Freer Gospels) მჭიდრო კავშირის არგუმენტირებულად დასაბუთებას, აჩვენა, რომ fam.13 არის მეორეული ტექსტი p⁴⁵ და W-ისა, ხოლო დანარჩენი სამი, 565, 700 და Θ, არ არის მჭიდროდ დაკავშირებული კესარიულ ტიპთან. შეიძლება ითქვას, რომ „პრე-კესარიული“ ტექსტები არ არის სავსებით იგივე, რაც კესარიული (Hurtado 1981:88).

რომ შევაჯამოთ, კესარიული ტექსტი არის ტექსტის სხვა ტიპებთან შედარებით ყველაზე შერეული და განსხვავდება მათგან, ამიტომაც მისცეს მას ცალკე ტიპის კლასიფიკაცია.

კოინე, ანუ ბიზანტიური ტიპი. ოთხთავის ტექსტის კოინე, ანუ ბიზანტიური ტიპი, დაცულია შემდეგ ხელნაწერებში: ოთხთავები: A, E, F, G, H, K, P, S, V, W (მათე და ლუკა 8.13-24.53) Π, Ψ (ლუკა და იოანე) Ω, Δ (მარკოზის სახარების გარდა) და მინუსკულური ხელნაწერების უმეტესობა.

კიდევ ერთი დიდი ჯგუფი ერთი ტიპის ტექსტებისა ეს არის ბიზანტიური,

ხანდახან მას მოიხსენიებენ როგორც სირიულ ტექსტს (ასე ეძახდნენ ვესკოტი და ჰორტი (Westcott, Hort), ან კოინეს (ასე ეძახდა ფონ ზოდენი (von Soden), საეკლესიო (Ekklesiastical) (ასე ეძახდა ლეიკი (Lake) და ანტიოქიური (ასე ეძახდა როპესი (Ropes)). დღეს ახალი აღთქმის ტექსტის თითქმის ყველა მკვლევარი თანხმდება, რომ ბიზანტიური ტიპი ყველაზე გვიან განვითარდა ახალი აღთქმის ტექსტის ისტორიაში. ბოლოდროინდელი კვლევები ბიზანტიური ტექსტისა აჩვენებს, რომ მისი ჩანასახოვანი სახე მეოთხე საუკუნის ისეთი წმინდა მამების ნაშრომებში გვხვდება, როგორებიც იყვნენ: ბასილი დიდი და იოანე ოქროპირი (Racine 2004). კლაუს ვაჩტელიმ (Klaus Wachtel) საბოლოო სახით ჩამოყალიბებული ბიზანტიური ტექსტის შესწავლის შემდეგ დაასკვნა, რომ იგი ნელ-ნელა ვითარდებოდა და უეცრად არ წარმოქმნილა რომელიმე კონკრეტულ დროსა და კონკრეტულ ადგილას (Wachtel 1995). სხვა სიტყვებით, ეს არ არის რეცენზია, რომელიც მიზანმიმართულად შექმნა ერთმა კონკრეტულმა ადამიანმა ან ადამიანთა ჯგუფმა. სავარაუდოდ, ბიზანტიელი რედაქტორები მხოლოდ ადრეული ტექსტებიდან იღებდნენ ზოგიერთ წაკითხვებს, მათ შორის არჩევდნენ უმჯობესს და თავად არ ქმნიდნენ მათთვის მისაღებ ახალ ვარიანტებს (Sturz 1994).

ბიზანტიური ტექსტის მთავარი მახასიათებელი არის მისი სიცხადე და სისრულე. მათ, ვინც ამ ტექსტს ქმნიდნენ დიდი ხნის განმავლობაში, ეს მოახერხეს არასწორი ენობრივი ფორმების აღმოფხვრით, ორი განსხვავებული წაკითხვის შეერთებით, შერწყმით (ტერმინი conflation), სხვადასხვა წყაროში გაბნეული პარალელური პასაჟის ჰარმონიზირებით. უეჭველია, ამ ტიპის კორექტირებამ გახადა ტექსტის ეს ტიპი ასეთი პოპულარული. შუასაუკუნეებში გადამწერთა უმრავლესობა სწორედ მას ირჩევდა დედნად. ყველაზე ადრე ამ ტექსტის ტიპის წაკითხვები ჩანს მეხუთე საუკუნეში, ალექსანდრიის კოდექსში (ოთხთავში და არა საქმე მოციქულთაში, ან ეპისტოლეებში, ან გამოცხადებაში). ის დასტურდება მოგვიანო პერიოდის ბევრ უნციალურ ხელნაწერში და მინუსკულური ხელნაწერების დიდ უმრავლესობაში.

ბიზანტიური ტექსტის პოპულარობა განაპირობა ისტორიულმა ფაქტებმაც: ის იყო ტექსტი, რომელიც პოპულარული გახდა კონსტანტინოპოლში, შემდეგ ფართოდ გავრცელდა მთელ ბიზანტიის იმპერიაში (სადაც ბერძნული ენა იყო გავრცელებული). არც ის ფაქტია მოულოდნელი, რომ მეშვიდე საუკუნიდან იგი იმდენად დომინანტური გახდა ბერძნული ტექსტუალური ტრადიციისათვის, რომ დღემდე მოღწეულ ხელნაწერთა უზარმაზარ რაოდენობაში სწორედ ტექსტის ეს ტიპია დაცული.

§3. Ath. 62-ის ქვედა ფენის ტექსტის, ალავერდისა და იენაშის ოთხთავების მიმართება ჯრუჭ-პარხლის, იგივე ოპიზურ რედაქციასთან და ბერძნულ ხელნაწერებთან

დავუბრუნდეთ Ath. 62-ის ქვედა ფენის ტექსტის (o*) ალავერდისა (a) და იენაშის (f) ოთხთავების ტექსტოლოგიურ ანალიზს. ისინი, ერთი მხრივ, შევადარეთ ოპიზურ რედაქციას (O), მეორე მხრივ კი, გიორგი ათონელის მიერ ნარედაქტირებ, ბერძნულთან სამგზის შედარებულ ტექსტს (G). ანალიზმა აჩვენა, რომ იგი (o*af) არცერთის იდენტური არ არის.

რა ტიპის ცვლილებები შეიტანა გიორგი ათონელმა ორგზის შედარებულ ტექსტში? Ath. 62-ის ქვედა ფენის ტექსტი (o*), ალავერდისა (a) და იენაშის (f) ოთხთავები უმრავლეს შემთხვევებში მისდევს ჯრუჭ-პარხლის რედაქციის წაკითხვებს. მხოლოდ ცალკეული იკითხვისები განსხვავდება მისგან. უფრო ხშირად გვხვდება კვანტიტატიური (კლებისა და მატების) შემთხვევები. ქვემოთ მოვიყვანთ მაგალითებს ამ სამი ოთხთავის ოპიზური რედაქციისაგან განსხვავებული წაკითხვების დასადასტურებლად და ბერძნულ ხელნაწერებთან შედარებით შევეცდებით ავხსნათ ამ ცვლილებების მიზეზები.

კლება

პირველ ეტაპზე განვიხილავთ ისეთ მაგალითებს, როცა ესა თუ ის იკითხვისი ოპიზურ რედაქციაში დასტურდება და ორგზის რედაქტირების შედეგად მიღებულ შუალედურ ხელნაწერებში (o*af) გიორგი მთაწმინდელმა ბერძნული დედნის გათვალისწინებით ამოიღო. ამგვარი შემთხვევები ბევრი არ არის.

O: მოუკდა მათ იესუ, ეტყოდა და ჰრქუა: მომეცა მე ყოველი კელმწიფებაჲ ცათა შინა და ქუეყანასა ზედა. ვითარცა მომავლინა მე მამამან, მეცა წარგავლინებ თქუნენ. [მთ. 28:18].

καθὼς ἀπέσταλκέν με ὁ πατήρ, καὶ γὰρ ἀποστείλω ὑμᾶς **ვითარცა მომავლინა მე მამამან, მეცა წარგავლინებ თქუნენ**] > oafG

ბერძნულ ხელნაწერებში მხოლოდ კორინდეთის (Θ) სახარებაში დასტურდება მუხლის ამგვარი გაგრძელება. იგივე ფრაზა მეორდება იოანეს სახარებაში: **G:** რქუა მათ იესუ კუალად: მშვიდობაჲ თქუნენ თანა! ვითარცა მომავლინა მე მამამან, მეცა წარგავლინებ თქუნენ [იოვ. 20:21]. ასევე იკითხება იგი ბერძნულ ხელნაწერებშიც (BYZ **John 20:21** Εἶπεν οὖν αὐτοῖς ὁ Ἰησοῦς πάλιν, Εἰρήνη ὑμῖν· καθὼς ἀπέσταλκέν με ὁ πατήρ, καὶ γὰρ πέμψω ὑμᾶς.⁵²) როგორც ჩანს, იგი მათეს სახარების ორგანული ნაწილი არ უნდა იყოს, ამიტომაც არ დასტურდება სხვა ბერძნულ ხელნაწერებში და გიორგი მთაწმინდელი აკლებს მას.

⁵² ძირითადად დამოწმებული გვაქვს ბიზანტიური ტექსტუალური ტიპის კრიტიკული ტექსტი. რომელსაც აღვნიშნავთ ასე ^{BYZ}

О: უკუეთუ გიყუარდენ მოყუარენი ხოლო თქუნენი, რა სასყიდელი გაქუს? რამეთუ მეზუერენიცა და ცოდვილნი ამასვე იქმან [მთ. 5:46].

და ცოდვილნი] > oafG | ამასვე] ეგრევე afo°G, ეგრეთვე o* | იქმან] ყვიან oafG |

ცოდვილნი არც ერთ ბერძნულ ხელნაწერში არ არის, ამიტომაც გიორგი ათონელმა იგი ამოიღო. ბერძნულად მუხლი ასე იკითხება: ^{BYZ} Matthew 5:46 Ἐὰν γὰρ ἀγαπήσητε τοὺς ἀγαπῶντας ὑμᾶς, τίνα μισθὸν ἔχετε; Οὐχὶ καὶ οἱ τελῶναι τὸ αὐτὸ ποιοῦσιν] B uwr⁵³ rell⁵⁴

საინტერესო ტექსტოლოგიური ისტორია აქვს მარკოზის სახარების მე-15 თვის მე-13 მუხლს. იგი ოპიზურ რედაქციაში ასეა წარმოდგენილი: ხოლო იგინი კუალად ღალადებდესვე ბირებითა მღდელთ-მოდღუართათა და იტყოდეს: ჯუარს-აცუ ეგე! [მრკ. 15:13] მუხლის ამგვარი წაკითხვა გვაქვს მხოლოდ G და f¹³-ში: Οἱ δὲ πάλιν ἔκραζαν ἀνασειομένοι ὑπὸ τῶν ἀρχιερέων καὶ ἔλεγον, Σταύρασον αὐτόν. [Mark 15:13] რაც შეეხება შუალედურ (o*af) ოთხთავებსა და გიორგი ათონელის საბოლოო რედაქციას (G), იქ მუხლი შემოკლებულია და ასე იკითხება: ხოლო მათ კუალად ღალად (ღალატ- oa) -ყვეს და ჰრქუეს: ჯუარს-აცუ ეგე! [მრკ. 15:13] როგორც ვხედავთ, ამოღებულია მღდელთმოდღართა იძულების პასაჟი. ასე იკითხება მუხლი შემდეგ ბერძნულ ხელნაწერებში: ΑΥΚΜΠ 565 700. Οἱ δὲ πάλιν ἔκραξαν λέγοντες, Σταύρασον αὐτόν. (Mark 15:13) უმეტეს ბერძნულ ხელნაწერში (B¹C¹W¹N¹P¹U¹F¹Δ¹Θ¹Ψ 118 2 33 157 579 f¹ 1424) λέγοντες და ჰრქუეს: არ დასტურდება. თუმცა გიორგი მთაწმინდელი მას ტოვებს თავის ნარედაქტირებ ტექსტში.

მატება

გვაქვს სხვა ტიპის შემთხვევებიც, როდესაც ესა თუ ის იკითხვისი არ დასტურდება ჯრუჭ-პარხლის რედაქციაში და გიორგი მთაწმინდელი ორგიზის რედაქტირებისას ამატებს შუალედურ ხელნაწერებში (o*af) ბერძნულ დედნებთან შეჯერების შედეგად.

⁵³ uwr – იგულისხმება გამოცემები:

u – Barbara and Kurt Aland, Johannes Karavidapoulos, Carlo M. Martini, and Bruce M. Metzger, Editors, The Greek New Testament, 4th ed., United Bible Societies, 1993;

w – Westcott, Brooke Foss and Hort, Fenton John Anthony, The New Testament in the Original Greek (New York: Macmillan), 1935;

τ – H KAINH ΔΙΑΘΗΚΗ, Reproduced by photographic offset at the University of Chicago Press from H KAINH ΔΙΑΘΗΚΗ (Oxford, 1873).

⁵⁴ „rell“ – ეს ტერმინი, რომელიც აღნიშნავს „ყველა დანარჩენ ხელნაწერში“, გამოიყენება მაშინ, როდესაც არ არის საჭიროება ყველა ხელნაწერის სათითაოდ ჩამოთვლისა, ვინაიდან ისინი ერთასა და იმავე სურათს აჩვენებენ.

ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია მრკ. 9:44, რომელიც ოპიზურ რედაქციაში საერთოდ არ გვაქვს.

[მრკ. 9:44] ὅπου ὁ σκῶληξ αὐτῶν οὐ τελευταῖ, καὶ τὸ πῦρ οὐ σβέννυται *სადა-იგი მატლი მათი არა მოაკლდების, და ცეცხლი არა დაშრტების oafG*] > O

ეს მუხლი აკლია შემდეგ ბერძნულ ხელნაწერებს: B¹CLWΔΨ^f 28 565, აგრეთვე, ზოგიერთ სირიულ, კოპტურ და სომხურ ნუსხებს. ხოლო დასტურდება შემდეგ ბერძნულ ხელნაწერებში: AD¹JKMNUΠ^f 13 2 157 579 700 1071, რომელთაგან უმეტესი ბიზანტიური ტიპის ტექსტს შეიცავს.

[მთ. 18:11] Ἦλθεν γὰρ ὁ υἱὸς τοῦ ἀνθρώπου σῶσαι τὸ ἀπολωλός. *რამეთუ მოვიდა ძე კაცისაჲ მოძიებად (ცხორებად G) წარწყმედულისა ὁ*afG*] > O

ეს მუხლი აკლია ბერძნული ხელნაწერების ნაწილს: B¹NL*O* 1* 1582 ^f13 33 788 uw, აგრეთვე, ზოგიერთ სირიულ და კოპტურ ნუსხებს. ხოლო დასტურდება შემდეგ ბერძნულ ხელნაწერებში: D¹JKM*NUWΘ^cΠ 1582^c 118 124 2 28 565 700 1071 1424 τ. მათი უმეტესი ნაწილი ბიზანტიური ტექსტის ტიპის შემცველია.

O: და რავდენტა არა შევიწყნარნენ თქვენ და არცა ისმინონ თქუენი, გამო-რად-ხვდოდით მიერ, განიყარეთ მტურერი ფერჯთაგან თქუენტა საწამებელად მათა.

რავოდენტა] o | მტურერი] f | ფეჯთაგან] a | მათა] + Ἄμην λέγω ὑμῖν, ἀνεκτότερον ἔσται Σοδόμοις ἢ Γομόρροις ἐν ἡμέρᾳ κρίσεως, ἢ τῆ πόλει ἐκεῖνῃ. *ამენ გეტყვ თქუენ: უმოღბინეს იყოს სოდომისა და გომორისა დღესა მას საშჯელისასა ვიდრე ქალაქი იგი oafG | იყოს] > σ*

ეს მუხლი სრულად არის წარმოდგენილი ბიზანტიური ტექსტის ტიპის შემცველ ხელნაწერებში და ასე იკითხება: ^{BYZ} **Mark 6:11** Καὶ ὅσοι ἂν μὴ δέξωνται ὑμᾶς, μηδὲ ἀκούσωσιν ὑμῶν, ἐκπορευόμενοι ἐκεῖθεν, ἐκτινάξατε τὸν χοῦν τὸν ὑποκάτω τῶν ποδῶν ὑμῶν εἰς μαρτύριον αὐτοῖς. Ἄμην λέγω ὑμῖν, ἀνεκτότερον ἔσται Σοδόμοις ἢ Γομόρροις ἐν ἡμέρᾳ κρίσεως, ἢ τῆ πόλει ἐκεῖνῃ] A¹JKMNUΠ^f 1 ^f13 2 157 700 1071 1424τ. შესაბამისად, გიორგი ათონელმა ორგზის შედარების შედეგად მუხლი სრულყო.

O: და დააბნია იგი ვეცხლი ტაძარსა მას შინა და განემორა და წარვიდა და შიშთვილ-იბა და მოკუდა [მთ. 27:5]

დააბნია] + τριάκοντα *ოვდაათი ὁ*af* | და მოკუდა] > oafG

ბერძნული ხელნაწერებიდან *ოვდაათი* (τριάκοντα) დასტურდება მხოლოდ სინას კოდექსში (A). რაც შეეხება და მოკუდა-ს, იგი არცერთ ბერძნულ ხელნაწერში არ არის და ამიტომ გასაგებია, რატომ აკლებს მას გიორგი მთაწმინდელი. ბიზანტიური ტექსტის ტიპის შემცველ ხელნაწერებში (და არა მხოლოდ) მუხლი ასე იკითხება: ^{BYZ} **Matthew**

27:5 Καὶ ῥίψας τὰ ἀργύρια ἐν τῷ ναῷ, ἀνεχώρησεν· καὶ ἀπελθὼν ἀπήγγατο (AῤKMUWΠI f¹ 565 1424 τ).

O: და დაგიტევებიეს მცნებაჲ ღმრთისაჲ და გიპყრიეს მოძღუროებაჲ კაცთაჲ. [მრკ. 7:8] კაცთაჲ] + βαπτισμούς ξεστῶν καὶ ποτηρίων· καὶ ἄλλα παρόμοια τοιαῦτα πολλὰ ποιεῖτε, განრცხაჲ სასუმელეობისაჲ და სტამნებისაჲ; და სხუასა ესევითარსა მრავალსა ჰყოფთ oafG |

მუხლის ამგვარი გაგრძელება არ დასტურდება შემდეგ ბერძნულ ხელნაწერებში: B^sDLWΔΘ 124 28 565 **uw**. ხოლო ბიზანტიური ტექსტის ტიპის შემცველ ნუსხებში (და არა მხოლოდ მათში) მუხლი სრულად არის და ამგვარად იკითხება: ^{BYZ} **Mark 7:8** Ἀφέντες γὰρ τὴν ἐντολὴν τοῦ θεοῦ, κρατεῖτε τὴν παράδοσιν τῶν ἀνθρώπων, βαπτισμούς ξεστῶν καὶ ποτηρίων· καὶ ἄλλα παρόμοια τοιαῦτα πολλὰ ποιεῖτε] **AFKΠΩῤMUIΓ f¹³ 2 33 118 157 579 700 1424 τ**

O: ხოლო მათ ჰრქუეს მას: არავინ დამიდგინნა ჩუენ. ჰრქუა მათ: წარვედიოთ თქუენცა ვენაჲსა ჩემსა. [მთ. 20:7]

ვენაჲსა] + მას af | ჩემსა] + καὶ ὁ ἐὰν ἧ δίκαιον λήψεσθε, და რაჲ-იგი იყოს სამართალი, მიიღოთ oafG |

მუხლის ამგვარი გაგრძელება არ გვაქვს შემდეგ ბერძნულ ხელნაწერებში: B^sLΘ 1 1582* **uw**. ხოლო სადაც გვაქვს, მუხლი ასე იკითხება: ^{BYZ} **Matthew 20:7** Λέγουσιν αὐτῷ, "Ὅτι οὐδεὶς ἡμᾶς ἐμισθῶσατο. Λέγει αὐτοῖς, Ὑπάγετε καὶ ὑμεῖς εἰς τὸν ἀμπελῶνα, καὶ ὁ ἐὰν ἧ δίκαιον λήψεσθε.] **CῤKMUWΔ1582^c 118 f¹³ 2 33 28 157 700 788 1071 1424 τ**

O: რამეთუ ყოველსა, რომელსა აქუნდეს, მიეცეს და მიემატოს; და რომელსა არა აქუნდეს და რომელსა-იგი აქუნდეს, მო-ვე-ელოს მისგან. [მთ. 25:29]

მისგან] + Ταῦτα λέγον ἐφῶναι ὁ ἔχων ᾧτα ἀκοῦειν ακουέτω და ამას (მას a) ეტყოდა ჯმითა: რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ oaf, და ამას რაჲ იტყოდა ჯმა-ყო: რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ G |

მუხლის ამგვარი გაგრძელება დასტურდება შემდეგ ბერძნულ ხელნაწერებში: C^{mg} F^c G H Y^c M^c 2. ეფრემის კოდექსში (C) ფრაზა ჩამატებულია ამიაზე (mg), FYM ხელნაწერების შემთხვევაში ტექსტი შესწორებულია (c). ისიც უნდა ითქვას, რომ ბიზანტიური ტექსტის ტიპის შემცველ ზოგიერთ ნუსხაში მუხლის ამგვარი გაგრძელება არ დასტურდება.

^{BYZ} **Matthew 25:29** Τῷ γὰρ ἔχοντι παντὶ δοθήσεται, καὶ περισσευθήσεται· ἀπὸ δὲ τοῦ μὴ ἔχοντος, καὶ ὁ ἔχει, ἀρθήσεται ἀπ' αὐτοῦ.

O: „და მიგცემდენ თქუენ შესაკრებელთა და კრებულთა შორის გტანჯვიდენ თქუენ, და წინაშე მთავართა და მეფეთა წარსდგეთ ჩემთვის საწამებელად მათა და ყოველთა წარმართთა [მრკ. 13:9].

და] ხოლო ეკრძალებით, რამეთუ o*af, ხოლო ეკრძალებით თქვენ თავთა თქვენთა, რამეთუ G | tr. მეფეთა და მთავართა o*afG |

ბერძნულ ხელნაწერებში, სადაც ხოლო ეკრძალებით წერია, გვაქვს თქვენ თავთა თქვენთა-ც. ეს ფრაზა მთლიანად აკლია შემდეგ ბერძნულ ხელნაწერებს: D 700 W Θ 1 1582c 124 28 565. ხოლო დასტურდება შემდეგ ბერძნულ ხელნაწერებში: **Ⲭⲥ AⲘKMΥΠΠ 1582^c 118 f¹³ 2 33 157 579 1071** τ. მუხლი კი ასე იკითხება:

^{BYZ} **Mark 13:9** Βλέπετε δὲ ὑμεῖς ἑαυτοῦς: παραδῶσουσιν γὰρ ὑμᾶς εἰς συνέδρια, καὶ εἰς συναγωγὰς δαρήσεσθε, καὶ ἐπὶ ἡγεμόνων καὶ βασιλέων σταθίσησθε ἕνεκεν ἔμοῦ, εἰς μαρτύριον αὐτοῖς.

O: *მაშინ აღესრულა თქუმული იგი იერემია წინაწარმეტყუელისად.* [მთ. 2:17] *წინაწარმეტყუელისად* + λέγοντος რომელსა იტყვს o*afG.

λέγοντος წარმოდგენილია ყველა ბერძნულ ხელნაწერში, ამიტომაც გასაგებია, რატომ ამატებს მას გიორგი მთაწმინდელი (^{BYZ} **Matthew 2:17** Τότε ἐπληρώθη τὸ ῥηθὲν ὑπὸ Ἱερεμίου τοῦ προφήτου, λέγοντος).

O: *და შეკრეს იგი და მიიყვანეს და მისცეს იგი პილატეს მთავარსა.* [მთ. 27:2] *იგო²* + Ποντίᾳ პონტოელსა o*afG |

Ποντίᾳ აკლია მხოლოდ რამდენიმე ბერძნულ ხელნაწერს, კოდექსებს, სინას (Ⲭ) და ვატიკანის(B) და L 33 uw-ს. ხოლო გვაქვს ბიზანტიური ტექსტის ტიპის შემცველ ხელნაწერთა უმრავლესობაში (და არა მხოლოდ): **AC^c ⲘMUWΠ f¹ 69 124 157 565 700 788 1071 1424** τ.

^{BYZ} **Matthew 27:2** καὶ δῆσαντες αὐτὸν ἀπήγαγον καὶ παρέδωκαν αὐτὸν Ποντίᾳ Πιλάτῳ τῷ ἡγεμόνι.

O: *და მოუკდეს მას ფარისევლები და სადუკეველები, გამოსცდიდეს მას, რადთა სასწაული ზეციით უჩუენოს მათ.* [მთ. 16:1]

მას]+ ἐπηρώτησαν *და ეტყოდეს o*afG* | *უჩუენოს f*

ἐπηρώτησαν/ ἐπηρώτων დასტურდება ყველა ბერძნულ ხელნაწერში და მუხლი ასე იკითხება: ^{BYZ} **Matthew 16:1** Καὶ προσελθόντες οἱ Φαρισαῖοι καὶ Σαδδουκαῖοι πειράζοντες ἐπηρώτησαν αὐτὸν σημεῖον ἐκ τοῦ οὐρανοῦ ἐπιδείξαι αὐτοῖς.

O: *ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მათ: ელია მოვიდეს და კუალადაგოს ყოველი.* [მთ. 17:11]

მოვიდეს]+ πρῶτον *პირველად o*afG* |

πρῶτον უმეტესად დასტურდება ბიზანტიური ტექსტის ტიპის შემცველ ბერძნულ ხელნაწერებში და სხვა ტექსტის ტიპის შემცველ ხელნაწერებშიც: **CⲘKMUΔΠ f¹³ 2 28 124 157 565 1071 1346** τ. ხოლო არ დასტურდება შემდეგ ნუსხებში: **Θ 579 1424 700 788**. მუხლი

კი ასე იკითხება: ^{BYZ} **Matthew 17:11** Ὁ δὲ Ἰησοῦς ἀποκριθεὶς εἶπεν αὐτοῖς, Ἡλίας μὲν ἔρχεται πρῶτον, καὶ ἀποκαταστήσει πάντα.

O: ვიდრე ზოგისამდე სამეუფოა ჩემისა. [მრკ. 6:23]

pr καὶ ἄμοσεν αὐτῆ ὅτι Ὁ ἐάν με αἰτήσης, δῶσω σοί და ეფუცა მას, ვითარმედ: რაღცა ითხოო (ითხოვო f) მიგვე შენ **o*afG** | სამეუფოა] მეფობისა **o*afG**, მეფეობისა **σ** |

καὶ ἄμοσεν αὐτῆ ὅτι Ὁ ἐάν με αἰτήσης, δῶσω σοί – მუხლის ეს დასაწყისი ფრაზა არ დასტურდება ორ ბერძნულ ხელნაწერში: V საუკუნის ვაშინგტონურ სახარებასა (W 032) და X საუკუნის სანკტპეტერბურგსა და ოქსფორდში დაცულ Γ 036-ში. დანარჩენ ხელნაწერებში მეტ-ნაკლები სხვაობებით მუხლი სრულად არის წარმოდგენილი და ასე იკითხება: ^{BYZ} **Mark 6:23** καὶ ἄμοσεν αὐτῆ ὅτι Ὁ ἐάν με αἰτήσης, δῶσω σοί, ἕως ἡμῖσους τῆς βασιλείας μου.

O: და ეტყოდეს მას: რომლითა ჯელმწიფებითა იქმ ამას, და ვინ მოგცა შენ ჯელმწიფებაჲ ესე? [მრკ. 11:28]

ესე] + ἵνα ταῦτα ποιῆς **რაღცა ამას იქმოდო o*afG** |

ἵνα ταῦτα ποιῆς არ დასტურდება რამდენიმე ბერძნულ ხელნაწერში: W^Θ 565 28. ხოლო დანარჩენ ხელნაწერებში იგი არის. მუხლი კი ასე იკითხება: ^{BYZ} **Mark 11:28** καὶ λέγουσιν αὐτῷ, Ἐν ποίᾳ ἐξουσίᾳ ταῦτα ποιεῖς; Καὶ τίς σοι τὴν ἐξουσίαν ταύτην ἔδωκεν ἵνα ταῦτα ποιῆς;

O: მიუგო იესუ და ჰრქუა მას: წერილ არს: უფალსა ღმერთსა შენსა თაყუანის-სცე და მას მხოლოსა ჰმსახურებდე. [ლკ. 4:8]

მას] + Ἵπαγε ὀπίσω μου Σατανᾶ **წარვედ მართლუკუნ ჩემგან ეშმაკო o*afG** |

Ἵπαγε ὀπίσω μου Σατανᾶ არ დასტურდება BNDLW 1 33 579 700 788 1582* uw. ხოლო არსებობს: A⁹KMUG^ΘΠ 1582^c 28 157 565 ხელნაწერებში.

^{BYZ} **Luke 4:8** Καὶ ἀποκριθεὶς αὐτῷ εἶπεν ὁ Ἰησοῦς, Ἵπαγε ὀπίσω μου, Σατανᾶ· γέγραπται, Προσκυνήσεις κύριον τὸν θεόν σου, καὶ αὐτῷ μόνῳ λατρεύσεις.

O: ზეთი თავსა ჩემსა არა მცხე, ხოლო ამან ნელსაცხებელი მცხო. [ლკ. 7:46]

მცხე] მცხ^ა a, სცხო **σ** | მცხო] სცხო **G** | მცხო] + μου τοὺς πόδας. ფერჯთა ჩემთა **o*afG** |

μου τοὺς πόδας არ გვაქვს V-VI საუკუნეების ბიზეს კოდექსი (D 05) და V საუკუნის ვაშინგტონურ ოთხთავში (W 032). ხოლო დასტურდება შემდეგ ხელნაწერებში: **ΝΥΚΜΛΠΔΨ f¹ f¹³ 28 69 579 157 565**. ^{BYZ} **Luke 7:46** Ἐλαίῳ τὴν κεφαλῆν μου οὐκ ἤλειψας· αὕτη δὲ μύρω ἤλειψέν μου τοὺς πόδας.

O: დავარღვნი საუნჯენი ჩემნი და უფროდსნი აღვაშენნი და შევკრიბო მუნ ყოველი ნაცოფი ჩემი და კეთილი ჩემი [ლკ. 12:18]

pr. Καὶ εἶπεν, Τοῦτο ποιήσω **და თქუა: ესე ვყო**]o*afG | შევკრიბო a |

Καὶ εἶπεν, Τοῦτο ποιήσω დასტურდება უკლებლივ ყველა ბერძნულ ხელნაწერში. ^{BYZ}

Luke 12:18 **Καὶ εἶπεν, Τοῦτο ποιήσω.** καθελῶ μου τὰς ἀποθήκας, καὶ μείζονας οἰκοδομήσω, καὶ συνάξω ἐκεῖ πάντα τὰ γενήματά μου καὶ τὰ ἀγαθά μου.

O: რომელი ჩემსა შემდგომად მოსლვად არს, რომლისა არა ღირს ვარ მე, რადთა განვჰქსნნი საბელნი ჯამლთა მისთანნი. [იოვ. 1:27]

არს] + ὃς ἔμπροσθέν μου γέγονεν რომელი პირველ ჩემსა იყო o*afG |

ὃς ἔμπροσθέν μου γέγονεν არ გვაქვს: B ḲC* L W^{sup} f¹ 33 579 1071 P⁵ P⁶⁶ P⁷⁵ Ψ wu. ხოლო დასტურდება იმ ნუსხებში, რომელთა უმეტესი ნაწილი ბიზანტიურ ტექსტის ტიპს შეიცავს: AC^c ʒKMN^c UΔΛΠ 118 f¹³ 2 157 565 700 1424 G S Θτ. ^{BYZ} John 1:27 Αὐτός ἐστιν ὁ ὀπίσω μου ἐρχόμενος, **ὃς ἔμπροσθέν μου γέγονεν.** οὗ ἕγω οὐκ εἶμι ἄξιος ἵνα λύσω αὐτοῦ τὸν ἱμάντα τοῦ ὑποδήματος.

O: რადთა, რომელსა ჰრწმენეს იგი, აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოდ [იოვ. 3:15]

რადთა] + πᾶς ყოველსა o*afG | იგი] + μὴ ἀπόληται, ἀλλ' არა წარწყმდეს, არამედ o*afG |

πᾶς ყოველსა წარმოდგენილია უკლებლივ ყველა ბერძნულ ხელნაწერში. რაც შეეხება μὴ ἀπόληται, ἀλλ'-ს, იგი აკლია: B P⁶⁶ P⁷⁵ W^{sup} L Ḳ 1 1582* 118 33 565 124 wu ხელნაწერებს. ხოლო წარმოდგენილია: AʒMΛΨ f¹³ 2 28 157 700 1071 1424 G KUA ΘΠ 1582^c 579 1346 τ. ^{BYZ} John 3:15 ἵνα **πᾶς** ὁ πιστεύσων εἰς αὐτὸν μὴ ἀπόληται, ἀλλ' ἔχη ζωὴν αἰώνιον.

O: და ამისთვის სდევნიდეს ჰურიანი იგი იესუს, რამეთუ ამას იქმოდა შაბათთა შინა. [იოვ. 5:16]

იესუს] + καὶ ἐζήτουν αὐτὸν ἀποκτεῖναι და ენება მოკლვად მისი o*afG |

καὶ ἐζήτουν αὐτὸν ἀποκτεῖναι არ არის შემდეგ ბერძნულ ნუსხებში: B P⁶⁶ P⁷⁵ ḲC L W D 1 1582* 565 579 69 33 wu. ხოლო დასტურდება: AʒKMNΔΘΛ* ΠΨ 1582^c 2 28 157 700 τ, რომელთა უმეტესი ნაწილი ბიზანტიურ ტექსტს შეიცავს. ^{BYZ} John 5:16 Καὶ διὰ τοῦτο ἐδίωκον τὸν Ἰησοῦν οἱ Ἰουδαῖοι, καὶ ἐζήτουν αὐτὸν ἀποκτεῖναι, ὅτι ταῦτα ἐποίει ἐν σαββάτῳ.

O: მცნებანი იცნი: ნუ კაც-ჰკლავ, ნუ იპარავ, ნუ ცილსა სწამებ, პატევ-ევ მამასა შენსა და დედასა შენსა. [მრკ. 10:19]

სწამებ] + μὴ ἀποστερήσης ნუ დააკლებ (დააკლდები for) კეთილის-ყოფად o*afG |

μὴ ἀποστερήσης აკლია შემდეგ ბერძნულ ხელნაწერებს: B*ΚΔΠΨW f¹ 28 69* 579 700 788, ხოლო წარმოდგენილია: B^c AḲ CFNΘD ʒRMU f¹³ 69^c 2 157 1424 124 565 1071 uwτ. ამ მუხლში საინტერესოა ისიც, რომ ოპიზურ და ათონურ რედაქციას რატომღაც აკლია

ერთი ფრაზა, რომელიც ყველა ბერძნულ ხელნაწერშია დაცული: Μη μοιχεύσης/არა იმრუმო. იგი დაცულია ადიშურ რედაქციაშიც:

C: *მცნებანი იცნი: ნუ იმრუმებ, ნუ კაც-ჰკლავ, ნუ იპარავ, ნუ ცილსა სწამებ, თავ-უყავ მამასა შენსა და დედასა შენსა.*

^{BYZ} **Mark 10:19** Τὰς ἐντολὰς οἶδας, Μὴ μοιχεύσης, μὴ φονεύσης, μὴ κλέψης, μὴ ψευδομαρτυρήσης, μὴ ἀποστερήσης, τίμα τὸν πατέρα σου καὶ τὴν μητέρα.

ლექსიკა

ოპიზურ, იგივე ჯრუჭ-პარხლის რედაქციასა და Ath. 62-ის ქვედა ფენის (o*), ალავერდისა (a) და იენაშის (f) ოთხთავების ტექსტს შორის გვაქვს ლექსიკური ტიპის სხვაობებიც. გიორგი ათონელს ორგზის შედარების შედეგად სახარების ტექსტში ამ ტიპის ცვლილებებიც შეაქვს.

O: *მაშინ ჰკითხეს მას ფარისეველთა მათ და მწიგნობართა: რადსათვის მოწაფენი შენნი არა ვლენან (ვლენ oa) მოძღურებისაებრ ხუცესთადას, არამედ შეგინებულთა ჯელითა ჭამენ პურსა?“ [მრკ. 7:5].*

შეგინებულთა] *უბანელითა* oafG | *ვლენან*] *ვლენ* oa

ბერძნულ ხელნაწერებშიც ამ კონტექსტში ორი სხვადასხვა სიტყვა გვაქვს: *κοινός*, რომელიც უსუფთაოს, არაწმინდას ნიშნავს და დასტურდება შემდეგ ხელნაწერებში: B¹ Δ¹ W*¹ Θ¹ f¹ f¹³ 28 33 124 565 579 700 788 uw და *ἀπίπτος*, რომელიც სიტყვასიტყვით დაუბანელს აღნიშნავს და წარმოდგენილია: ^{NC} A¹ B¹ L¹ M¹ U¹ Δ¹ Γ¹ K¹ Π¹ 2 157 1071 1424 τ ხელნაწერებში. სახარების პირველმთარგმნელები, როგორც ჩანს, სარგებლობდნენ იმ ბერძნული ხელნაწერებით, სადაც *κοινός* გვაქვს და იგი ქართულად შეგინებულთ თარგმნეს, ხოლო გიორგი ათონელმა იხელმძღვანელა ბიზანტიური ტიპის ტექსტით, სადაც გვაქვს *ἀπίπτος* და იგი *უბანელით* გადმოიტანა.

O: *უადვილეს არს მანქანისა საბელი ჯურელსა ნემსისასა განსლვად, ვიდრე მდიდარი სასუფეველსა ღმრთისასა შესლვად. [მრკ. 10:25]*

κάμηλον *მანქანისა საბელი*] *აქლეში* oafG |

ამ მუხლში გიორგი მთაწმინდელი ძველ მთარგმნელთა შეცდომას ასწორებს და *κάμηλος* გადმოაქვს შესაბამისი შესატყვისით: *აქლეში*. ყველა ბერძნულ ხელნაწერში წერია *κάμηλος*.

O: და ხვალისაგან მოვიდა კუალად ტაძრად და ყოველი იგი ერი მოვიდოდეს მისა, და იგი ასწავებდა მათ. [იოვ. 8:2]

ხვალისაგან” Ὁρθρου განთიად oafG | მისა/ + მიმართ და დაჯდა oafG | იგი > oafG |

ბერძნულ ხელნაწერებში ყველგან, უგამონაკლისოდ, წერია Ὁρθρου, რაც ქართულად ითარგმნება, როგორც დილით ადრე. სახარების ქართულ თარგმანებში დადასტურებულ ეკვივალენტებს შორის (ხვალისაგან/განთიად) უფრო სწორია გიორგი მთაწმინდლის ვარიანტი.

საკუთარი სახელები

ოპიზურ რედაქციასა (O) და Ath. 62-ის ქვედა ფენის (o*), ალავერდისა (a) და იენაშის (f) ოთხთავების ტექსტს შორის განსხვავებები დასტურდება ტოპონიმებშიც. მაგალითად:

O: და მოვიდეს (მოვიდა af) წიად ზღუასა მას, სოფელსა მას გერგესეველთასა. [მრკ. 5:1] გერგესეველთასა/ ლადარინელთასა oafG |

ბუნებრივია, ეს ცვლილება ბერძნული ხელნაწერებით არის განპირობებული, Γεργεσθουδ დასტურდება შემდეგ ბერძნულ ხელნაწერებში: $\text{K}^c \text{U } f^1 \text{L } \Delta \Theta \text{ 28 565 700 1424}$, ხოლო Γαδαρθουდ უმეტესად ბიზანტიური ტექსტის ტიპის შემცველ შემდეგ ნუსხებში და არა მხოლოდ მათში: AFYKSPICEM 2 157 124 1346 G f^1 τ.

ზმნა

ოპიზურ რედაქციასა (O) და შუალედურ ხელნაწერებს შორის (o*af) გვაქვს აგრეთვე ზმნურ ფორმათა ცვლილების შემთხვევები:

O: და რომელმან არა აღილოს ჯუარი თვისი და მომდევდეს მე, იგი არა არს ჩემდა ღირს. [მთ. 10:38].

ἀκίλοισθεῖ მომდევდეს/ შემომიდგეს oafG

ბერძნულ ხელნაწერებში უგამონაკლისოდ წერია ἀκίλοισθεῖ.

განხილული მაგალითების საფუძველზე შეგვიძლია პასუხი გავცეთ ამ პარაგრაფის დასაწყისში დასმულ შეკითხვას: რა ტიპის ცვლილებები შეიტანა გიორგი ათონელმა სახარების ქართული თარგმანის ოპიზურ რედაქციაში ორგონის შედარების შედეგად? Ath. 62-ის ქვედა ფენის ტექსტის (o*), ალავერდისა (a) და იენაშის (f) ოთხთავების შედარებამ ოპიზურ რედაქციასთან აჩვენა, რომ შუალედური ხელნაწერები (o*af) უმრავლეს შემთხვევებში მისდევს ოპიზური რედაქციის წაკითხვებს. მხოლოდ ცალკეული იკითხვისები განსხვავდება მისგან. კერძოდ, გვაქვს კლება-მატებისა და ლექსიკური ცვლილების შემთხვევები. თითოეულ ამ ცვლილებას თავისი ახსნა მოეპოვება ბერძნულ ხელნაწერებთან შედარების შედეგად.

რეალურად სურათი ასე რეკონსტრუირდება: გიორგი მთაწმინდელი ხელმძღვანელობს, მისი აზრით, სარწმუნო ბერძნული ტექსტით. მას, სავარაუდოდ, 3 ხელნაწერი ექნებოდა ხელთ. ამას გვავარაუდებინებს Ath.62-ში მათეს სახარების 24-ე თავის 36-ე მუხლის გასწვრივ რედაქტორის ხელით შესრულებული მინაწერი: „ესე სიტყუაჲ სამთა სახარებათა არა ეწერა, არცა მე დავწერე“ (74v). რომელ ტექსტს შეიცავს ეს ხელნაწერები, ამაზე პასუხს ტექსტოლოგიური კვლევა გვაძლევს: გიორგი მთაწმინდელს ოპიზური რედაქციაში შეაქვს ცვლილება იმ შემთხვევაში, თუ ბერძნულ ხელნაწერებში მსგავსი წაკითხვა გვაქვს, ან ბიზანტიური ტექსტის ტიპის შემცველ ბერძნულ ხელნაწერებში ასე წერია. როგორც ზემოთ აღინიშნა, სწორედ ბიზანტიური ტექსტია პოპულარული იმდროინდელ ბიზანტიის იმპერიაში.

ოპიზური რედაქციისა და შუალედური ხელნაწერების (o*af) ურთიერთმიმართებების ანალიზის დროს ისიც გამოჩნდა, რომ მესამე და საფუძვლიანი შეჯერება ბერძნულ ხელნაწერებთან ჯერ არ არის განხორციელებული.

§4. Ath. 62-ის ქვედა ფენის ტექსტის, ალავერდისა და იენაშის ოთხთავების მიმართება ათონურ რედაქციასთან და ბერძნულ ხელნაწერებთან

გიორგი მთაწმინდელის მიერ ოთხთავის ქართული თარგმანის რედაქტირების პროცესის სრული სურათის წარმოსადგენად აუცილებლად მიგვაჩნია შუალედური ხელნაწერების (o*af) შედარება საბოლოო ათონურ რედაქციასთან და იმის გარკვევა, თუ რა ტიპის ცვლილებები შეაქვს გიორგი მთაწმინდელს ოპიზურ რედაქციაში ოთხთავის ქართული თარგმანის მესამედ რედაქტირებისას. საინტერესოა ისიც, თუ რა კავშირი აქვს ამ ცვლილებებს სახარების ბერძნულ ხელნაწერებთან. ტექსტოლოგიური ანალიზისას გამოვლინდა, რომ ამჯერად ცვლილება ბევრად მეტია, ვიდრე ორგზის შედარების შემდგომ და მათ ბერძნული ხელნაწერების გათვალისწინებით თავისი ახსნა მოეპოვება. ქვემოთ ცვლილების თითოეული შემთხვევა ცალ-ცალკეა გაანალიზებული და დაჯგუფებულია შემდეგი ნიშნის მიხედვით: კვანტიტატიური (კლებისა და მატების შემთხვევები), ლექსიკური, სიტყვათა რიგის, საკუთარი სახელების (ანთროპონიმებისა და ტოპონიმების), დაწერილობის ცვლილებები. გიორგი ათონელი ზოგჯერ ცვლის ზმნის მწკრივს, ზოგჯერ – ზმნისწინს, ზოგჯერ – რიცხვს, ზოგჯერ – ზმნის პირიან ფორმას მიმღეობით, ზოგჯერ – ზმნის პირს, ან მთლიანად ზმნას და სხვა ეკვივალენტით გადმოაქვს იგი.

კლება

პირველ ეტაპზე განვიხილავთ ისეთ მაგალითებს, როცა ესა თუ ის იკითხვისი შუალედურ ხელნაწერებში (o*af) არსებობდა და გიორგი მთაწმინდელმა მესამედ რედაქტირებისას ბერძნული ხელნაწერების გათვალისწინებით ისინი ამოიღო. ბერძნულ ხელნაწერებთან მიმართებებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ გიორგი მთაწმინდელი ხშირად ტექსტს აკლებს ისეთ იკითხვისებს, რომლებიც არცერთ ბერძნულ ხელნაწერში არ დასტურდება. და მაინც, საიდან მოხვდა ისინი ქართულ თარგმანში? ამ შემთხვევაში თითოეულ მაგალითს ცალ-ცალკე გაანალიზება სჭირდება. ამგვარი იკითხვისები არის ან რომელიმე უცხო სიტყვის დაზუსტება ქართველი მკითხველისათვის, ან ისეთი შემთხვევა, როცა აზრის ნათლად ჩამოყალიბებისათვის ქართულმა სინტაქსმა მოითხოვა წინადადების მეტად განვრცობა. ზოგიერთი იკითხვისი დასტურდება ადიშურ რედაქციაში და, სავარაუდოდ, ამ რედაქციიდან გადმოვიდა ოპიზურში. ამიტომ საჭირო შემთხვევებში ადიშური რედაქციის წაკითხვებსაც მოვიტანთ. ზოგიერთი შემთხვევის ახსნა კი ძალზედ რთულია. უფრო ხშირად გიორგი მთაწმინდელი იკითხვისს აკლებს იმიტომ, რომ მისთვის სარწმუნო ბერძნულ ხელნაწერში ის არ წერია.

მაგალითად, მათეს სახარების მე-5 თავის 22-ე მუხლი შუალედური ჯგუფის

ხელნაწერებში (o*af) ასეა წარმოდგენილი: „ხოლო მე გეტყვ თქვენ, რამეთუ რომელი განურისხნეს ძმასა თვისსა ცუდად, თანამდებ არს საშჯელისა; და რომელმან ჰრქუას (ჰრქუა o^c, ჰქუას o*) ძმასა თვისსა რაკა, რომელ არს საძაგელ, თანამდებ არს იგი კრებულისაგან განსლვად; და რომელმან ჰრქუას ძმასა თვისსა ცოფ, თანამდებ არს იგი გეჰენიასა ცეცხლისასა“ [მთ. 5:22]. რაკას განმარტება – რომელ არს საძაგელ – გვაქვს ოპიზური რედაქციის ხელნაწერებში. ხოლო ათონურ რედაქციაში იგი ამოღებულია ბერძნულ ხელნაწერთა ჩვენებების მიხედვით, ვინაიდან არცერთ მათგანში რომელ არს საძაგელ არ დასტურდება. ადიშურ რედაქციაში რაკას ნაცვლად გვაქვს შესულელებულ განმარტების გარეშე. ῥακά არამეული წარმოშობის სიტყვაა. მისი ქართული შესატყვისია უჭკუო, სულელი. როგორც ჩანს, სახარების პირველმა მთარგმნელებმა საჭიროდ მიიჩნიეს რაკა განემარტათ ქართველი მკითხველისთვის. გიორგი მთაწმინდელმა კი ეს განმარტება ამოიღო, ვინაიდან მისი მიზანი იყო ოთხთავის ქართული თარგმანი მაქსიმალურად დაახლოვება ბერძნულ ხელნაწერებთან (^{BYZ} **Matthew 5:22** ἐγὼ δὲ λέγω ὑμῖν ὅτι πᾶς ὁ ὀργιζόμενος τῷ ἀδελφῷ αὐτοῦ εἰπὼν ἔνοχος ἔσται ἢ κρίσει· ὃς δ' ἂν εἴπῃ τῷ ἀδελφῷ αὐτοῦ· ῥακά, ἔνοχος ἔσται τῷ συνεδρίῳ· ὃς δ' ἂν εἴπῃ τῷ ἀδελφῷ αὐτοῦ μαρῆ, ἔνοχος ἔσται εἰς τὴν γέενναν τοῦ πυρός. **B uwt** rell).

ამგვარი შემთხვევა გვაქვს ლუკას სახარების მე-2 თავის 41-ე მუხლშიც, რომელიც o*af-ში ასე იკითება: „და აღმოვიდინ მამა-დედანი მისნი წლითი წლად იერუსალჴმდ დღესასწაულსა (დღესასწაულსა a) მას პასექისასა, რომელ არს ვნებაჲ [ლკ. 2:41]. პასექის განმარტება, რომელ არს ვნებაჲ, გვაქვს ოპიზური რედაქციის ხელნაწერებში. ზემოთ მოყვანილი მაგალითის მსგავსად, გიორგი მთაწმინდელი აკლებს ლუკას სახარების ტექსტს განმარტებას - რომელ არს ვნებაჲ, ვინაიდან მსგავსი რამ არცერთ ბერძნულ ხელნაწერში არ არის წარმოდგენილი (^{BYZ} **Luke 2:41** Καὶ ἐπορεύοντο οἱ γονεῖς αὐτοῦ κατ' ἔτος εἰς Ἱερουσαλὴμ τῆ ἑορτῆ τοῦ Πάσχα. **B uwt** rell).

აზრის მეტი სიცხადისთვის Oo*af-ში ზოგიერთი მუხლი ისეა განვრცობილი, რომ მას ანალოგი ბერძნულ ხელნაწერებში არ აქვს. მაგალითად, მათეს სახარების 27-ე თავის მე-7 მუხლი Oo*af-ში ასეა წარმოდგენილი: „და ზრახვა-ყვეს და მოიღეს ვეცხლი იგი და მოიყიდეს მითა აგარაკი იგი მეკეცისაჲ საფლავად უცხოთა [მთ. 27:7]. და მოიღეს ვეცხლი იგი არ დასტურდება ადიშურ რედაქციაში. არ დასტურდება, ასევე, არცერთ ბერძნულ ხელნაწერში. ამიტომაც გიორგი მთაწმინდელი მას აკლებს. (^{BYZ} **Matthew 27:7** Συμβόλιον δὲ λαβόντες ἡγόρασαν ἐξ αὐτῶν τὸν ἀγρὸν τοῦ κεραμέως, εἰς ταφὴν τοῖς ξένοις. **B uwt** rell).

მსგავსი შემთხვევა გვაქვს მარკოზის სახარების მე-4 თავის მე-15 მუხლში, რომელიც Oo*af-ში ასე იკითხება: „ხოლო ესენი არიან, რომელნი-იგი გზასა ზედა, სადა-იგი დაეთესის სიტყუაჲ; და რაჟამს ისმინიან სიტყუაჲ იგი მისი, მესყულად მოვიდის ეშმაკი და მიუღის მათ სიტყუაჲ იგი გულთაგან მათთა“ [მრკ. 4:15]. სიტყუაჲ იგი მისი არ

დასტურდება ადიშურ რედაქციაში. მსგავსი ფრაზა არ არის არცერთ ბერძნულ ხელნაწერში, ამიტომ გიორგი მთაწმინდელმა იგი დააკლო. როგორც ჩანს, სახარების პირველმთარგმნელებმა აზრის სრულყოფილად ჩამოყალიბების მიზნით საჭიროდ ჩათვალეს, განევრცოთ ეს მუხლი. (^{BYZ} **Mark 4:15** Οἱ τὸι δὲ εἰσιν οἱ παρὰ τῆς ἔδῃς, ὅπου σπείρεται ὁ λόγος, καὶ ὅταν ἀκούσῃσιν, εὐθέως ἔρχεται ὁ Σατανᾶς καὶ αἶρει τὸν λόγον τὸν ἐσπαρμένον ἐν ταῖς καρδίαις αὐτῶν. **AJKMUII 124 2 157 τ**).

ქვემოთ მოვიყვანთ მრავალთაგან რამდენიმე მსგავს მაგალითს. აქვე შევნიშნავთ, რომ თითოეულ მუხლში ხაზგასმული სიტყვები საბოლოო ათონური რედაქციის ტექსტში დაკლებულია. რაც შეეხება Ath. 62-ის ქვედა ფენის ტექსტს (o*), ალავერდისა (a) და იენაშის (f) ოთხთავებს შორის არსებულ ვარიანტულ წაკითხვებს, მათ მუხლშივე ფრჩხილებში ვუთითებთ.

Oo*af: და მისდევდა მას ერი მრავალი გალილეათ და ათქალაქით და იერუსალჴმით და ჰურასტანით და წიაღიორდანისათ და განკურნნა იგინი [მთ. 4:25].

და განკურნნა იგინი] > G |

C: და მისდევდა მას ერი მრავალი. განკურნა იგინი.

რაც შეეხება ამ მაგალითს, და განკურნნა იგინი არცერთ ბერძნულ ხელნაწერში არ დასტურდება. ივანე იმნაიშვილს თუ დავემოწმებით (იმნაიშვილი ი., ქართული... 1979:196), და განკურნნა იგინი დასტურდება სომხურ სახარებაში. მაშასადამე, იგი გვაქვს ადიშურ რედაქციასა და სომხურ თარგმანში. ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, ოპიზურ რედაქციაში და შემდგომ **o*af**-ში, შესაძლებელია, ადიშური რედაქციის გავლენით მოხვედრილიყო. (^{BYZ} **Matthew 4:25** καὶ ἰκοιούθησαν αὐτῶ ὄχλοι πολλοὶ ἀπὸ τῆς Γαλιλαίας καὶ Δεκαπόλεως καὶ Ἱεροσολύμων καὶ Ἰουδαίας καὶ πέραν τοῦ Ἰορδάνου. **B uwτ rell**)

Oo*af: და რომელი წარგიქცევდეს შენ მძღურად მილიონ ერთ, მივლე მის თანა ორიცა [მთ. 5:41].

მძღურად] > G |

C: და თუ ვინმე წარგიძღუანებდეს შენ მილიონ ერთ, მივედ შენ მის თანა ორიცა.

როგორც ვხედავთ, მძღურად გვაქვს მხოლოდ ოპიზურ რედაქციასა და **o*af**-ში. ეს მაგალითი განხილული აქვს ივანე იმნაიშვილსაც. მისი აზრით, „წარქცევა“ თავისთავად ნიშნავს წინ წამძღვარებას, ამიტომ „მძღურად“ აქ სრულიად ზედმეტია (იმნაიშვილი ი., ქართული... 1979:196). (^{BYZ} **Matthew 5:41** καὶ ὅστις σε ἀγγαρεύσει μίλιον ἔν, ὑπάγε μετ' αὐτοῦ δύο. **S M U Π Ω f¹ f¹³ 2 28 565 579 700 1071 1346 uwτ**)

Oo*af: *ხოლო გეტყვ თქუნ, რამეთუ ქუეყანა იგი სოდომისა და გომორისა უმოლხინეს იყოს დღესა მას საშჯელიასა, ვიდრე შენ [მთ. 11:24].*

და გომორისა > G |

C: *რამეთუ გეტყვ თქუნ: ქუეყანა იგი სოდომისა და გომორისა უმოლხინეს იყოს დღესა მას სასჯელიასა, ვიდრე შენ.*

და გომორისა არ დასტურდება არცერთ ბერძნულ ხელნაწერში. მიუხედავად იმისა, რომ გვაქვს ორივე წინაათონურ რედაქციაში, ადიშურსა და ოპიზურში, გიორგი მთაწმინდელი ბერძნული დედნის გავლენით მას აკლებს. (^{BYZ} **Matthew 11:24** Πλὴν λέγω ὑμῖν, ὅτι γῆ Σοδὸμων ἀνεκτότερον ἔσται ἐν ἡμέρᾳ κρίσεως, ἢ σοί. **B uwt** rell)

Oo*af: *მაშინ ჰრქუა იესუ მოწაფეთა თვისთა: რომელსა ჰნებავს შემოდგომად ჩემდა და მოსლვად, უვარ-ყავნ თავი თვისი და აღიღენ ჯუარი თვისი და შემომიდევინ მე [მთ. 16:24].*

და მოსლვად > G |

პირველმთარგმნელებს ბერძნული ὀπίσω μου ἔλθειν ὅραδ აქვთ გადმოტანილი: 1. შემოდგომად ჩემდა, 2. და მოსლვად. მეორე ნაწილი ნამდვილად აღარ იყო საჭირო და ამიტომაც აკლებს მას გიორგი მთაწმინდელი. რაც შეეხება ადიშურ რედაქციას, იქ გვაქვს მხოლოდ ამგვარი ფრაზა: *კუალსა ჩემსა შედგომად.* (^{BYZ} **Matthew 16:24** Τότε ὁ Ἰησοῦς εἶπεν τοῖς μαθηταῖς αὐτοῦ· εἰ τις θέλει ὀπίσω μου ἔλθειν, ἀπαρνησάσθω ἑαυτὸν καὶ ἀράτω τὸν σταυρὸν αὐτοῦ καὶ ἀκολουθεῖτω μοι. **B uwt** rell)

Oo*af: *ხოლო მან არა ისმინა მისი, არამედ უფროდსლა აურვებდა მას წარვიდა (წარვიდა) – o*a) და შეგდო იგი საპყრობილესა, ვიდრემდე მისცეს მას თანანადები იგი [მთ. 18:30].*

უფროდსლა აურვებდა მას > G |

უფროდსლა აურვებდა მას არცერთ ბერძნულ ხელნაწერში არ დასტურდება. არც ადიშურ რედაქციაში გვაქვს მსგავსი რამ. ამიტომ გიორგი მთაწმინდლის გადაწყვეტილება აბსოლუტურად ლოგიკურია. (^{BYZ} **Matthew 18:30** Ὁ δὲ οὐκ ἤθελεν, ἀλλὰ ἀπελθὼν ἔβλεπεν αὐτὸν εἰς φυλακὴν, ἕως οὗ ἀποθῆ τὸ ὀφειλόμενον.)

o*af: *მიუგო პეტრე და ჰრქუა მას: დაღათუ (დაღაცათუ o*) სხუანი ყოველნი დაბრკოლდენ (დაჰბრკოლდენ o^c) შენდა მომართ, ხოლო მე არასადა დავბრკოლდე (დაჰბრკოლდე o^c) შენდა მომართ [მთ. 26:33]. **F***

სხუანი > G | *ἐν σοί შენდა მომართ* > G |

სხუანი არცერთ ბერძნულ ხელნაწერში არ დასტურდება. რაც შეეხება *ἐν σοί შენდა მომართ*, იგი გვაქვს ერთადერთ ბერძნულ ხელნაწერში: F 09 – უტრეხტის ბიბლიოთეკაში დაცულ ნუსხაში. ოპიზური რედაქციის შემცველი ხელნაწერების

ნაწილში *სხუანი* და *შენდა მომართ* წერია, ნაწილში კი – არა. (BYZ **Matthew 26:33** Ἀποκριθεὶς δὲ ὁ Πέτρος εἶπεν αὐτῷ, Εἰ πάντες σκανδαλισθήσονται ἐν σοί, ἐγὼ δὲ οὐδέποτε σκανδαλισθήσομαι.)

Oo*af: *ხოლო მიმცემელსა მას მისსა მიეცა მცნება სასწაულად და ჰრქუა: რომელსა მე ამბორს-უყო, იგი არს, შეიპყართ იგი [მთ. 26:48].*

მცნება] > G |

მიეცა მცნება სასწაულად – ამ ფრაზის ფარდად ბერძნულში გვაქვს ἔδωκεν αὐτοῖς σημεῖον. σημεῖον ძვ. ბერძნულად ნიშნავს ზებუნებრივ, ღვთაებრივ ნიშანს, სასწაულს. არცერთ ბერძნულ ხელნაწერში მცნების ფარდი სიტყვა არ გვხვდება. იგი არ გვაქვს არც ადიშურ რედაქციაში. ამიტომაც ნათელია, რატომ აკლებს მას გიორგი მთაწმინდელი. (BYZ **Matthew 26:48** Ὁ δὲ παραδιδούς αὐτὸν ἔδωκεν αὐτοῖς σημεῖον, λέγων, Ὅν ἂν φιλήσω, αὐτός ἐστιν· κρατήσατε αὐτόν.)

Oo*af: *ხოლო თავადმან ჰრქუა მას: ასულო, სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ. წარვედ სახიდ შენდა მშვიდობით და იყავ შენ ცოცხალ გუემულებისაგან შენისა! [მრკ. 5:34].*

სახიდ შენდა] > G |

სახიდ შენდა არცერთ ბერძნულ ხელნაწერში არ დასტურდება (BYZ **Mark 5:34** Ὁ δὲ εἶπεν αὐτῇ, Θύγατερ, ἡ πίστις σου σέσωκεν σε· ὕπαγε εἰς εἰρήνην, καὶ ἴσθι ὑγιής ἀπὸ τῆς μάστιγος σου.). არ გვაქვს არც ადიშურ რედაქციაში. მარკოზის სახარების ეს მუხლი საინტერესოა ერთი თვალსაზრისითაც: ბერძულ ხელნაწერებში მისი ორი ვარიანტი გვხვდება, ერთი იწყება ასე: „ხოლო ჰრქუა მას“, ხოლო მეორე ამგვარად: „ხოლო იესუ ჰრქუა მას“. ჩვენი აზრით, ქართულმა თარგმანმა მოითხოვა სუბიექტი. პირველმთარგმნელს იესუ არ დაუწერია, ჩანს, იგი იმ ხელნაწერთაგან ერთ-ერთით სარგებლობდა, სადაც სუბიექტი საერთოდ არ იყო. ხოლო ქართულად აზრის მეტი სიცხადისთვის დაამატა „*თავადმან*“. იგი *იესუთი* არც გიორგი მთაწმინდელს არ შეუცვლია. იესუ არ წერია შემდეგ ბერძნულ ხელნაწერებში: BAWX⁹KLMc NUΔΠ 2 33 157 1071 1424 579 uwτ; ხოლო წერია: C^c D M^c Θ 118 124 565 700 f¹³ 28 1346.

Oo*af: *და იყვნეს იგინი გზასა ზედა და აღმოვიდოდეს იერუსალჳმდ; და იესუ წინაუძლოდა მათ, და დაუკვრდებოდა მოწაფეთა. ხოლო იგინი მოსდევდეს მას და ემინოდა კითხვად მისა. და წარმოიყვანნა კუალად ათორმეტნი იგი და იწყო თხრობად მათა მერმისა, რომელი შემთხუევად (შემთხუვავად) იყო მისა [მრკ. 10:32].*

იგინი] > G | *კითხვად მისა*] > G |

არც *იგინი* და არც *კითხვად მისა* არ დასტურდება არცერთ ბერძნულ ხელნაწერში. *იგინი* დასტურდება ადიშურ რედაქციაში. (BYZ **Mark 10:32** Ἦσαν δὲ ἐν τῇ ὁδῷ ἀναβαίνοντες

εἰς Ἱεροσόλυμα· καὶ ἦν προάγων αὐτοὺς ὁ Ἰησοῦς, καὶ ἐθαμβοῦντο, καὶ ἀκολουθοῦντες ἐφοβοῦντο. Καὶ παραλαβὼν πάλιν τοὺς δώδεκα, ἤρξατο αὐτοῖς λέγειν τὰ μέλλοντα αὐτῶ συμβαίνειν·)

o*af: და ჰრისხვიდეს მას მრავალნი, რადთა დადუმნეს; ხოლო იგი უფროდს (უფროდსა o*) ლაღადებდა და იტყოდა (+ იესუ f): ძეო დავითისო, შემიწყალე მე! **მრკ. 10:48:** და იტყოდა] > G |

და იტყოდა დასტურდება ოპიზური რედაქციის შემცველ ხელნაწერთა ნაწილში და ადიშურ რედაქციაში. რაც შეეხება ბერძნულ ხელნაწერებს, იქ არცერთ მათგანში არ გვაქვს. რაც შეეხება იესუ-ს, რომელიც მხოლოდ იენაშის ოთხთავში არის დადასტურებული, გვხვდება ბერძნული ხელნაწერების f¹³ ოჯახში. ^{BYZ} **Mark 10:48** Καὶ ἐπετίμων αὐτῶ πολλοί, ἵνα σιωπήσῃ· ὁ δὲ πολλῶ μᾶλλον ἔκραζεν, Ὑιὲ Δαυίδ, ἐλέησόν με.

Oo*af: და მოვიდა მისა ერთი მწიგნობართაგანი, ესმოდა რაჲ მათი, ვითარ-იგი გამოეძიებდეს მის თანა სიტყუასა მას, იცოდა, რამეთუ კეთილად მიუგო მათ, ჰკითხა მას მანცა, ვითარმედ: რომელი არს პირველი მცნებაჲ? [მრკ. 12:28]. სიტყუსა მას] > G |

სიტყუასა მას არ დასტურდება არცერთ ბერძნულ ხელნაწერში, არ გვაქვს არც ადიშურ რედაქციაში. (^{BYZ} **Mark 12:28** Καὶ προσελθὼν εἰς τῶν γραμματέων, ἀκούσας αὐτῶν συζητούντων, εἰδὼς ὅτι καλῶς αὐτοῖς ἀπεκρίθη, ἐπηρώτησεν αὐτόν, Ποία ἐστὶν πρώτη πάντων ἐντολή).

Oo*af: და მიიქცეს და წარვიდეს მწყემსნი იგი (+ და a), აღიდებდეს და აქებდეს და აკურთხევდეს ღმერთსა ამას ყოველსა ზედა, რომელი ესმა და იხილეს, ვითარცა-იგი ითქუნეს მათა (მათდა of) მიმართ [ლკ. 2:20]. და აკურთხევდეს] > G |

და აკურთხევდეს არ დასტურდება არცერთ ბერძნულ ხელნაწერში. არ გვაქვს არც ადიშურ რედაქციაში. (^{BYZ} **Luke 2:20** Καὶ ὑπέστρεψαν οἱ ποιμένες, δοξάζοντες καὶ αἰνοῦντες τὸν θεὸν ἐπὶ πᾶσιν οἷς ἤκουσαν καὶ εἶδον, καθὼς ἐλάληθη πρὸς αὐτούς. **B uwτ** rell).

Oo*af: ვითარ უკულ⁸ იტყუან თქუნებანნი ვინმე ქრისტესა ძედ დავითისა? [ლკ. 20:41] თქუნებანნი ვინმე] > G |

თქუნებანნი ვინმე ბერძნულ ხელნაწერებში არ ჩანს. (^{BYZ} **Luke 20:41** Εἶπεν δὲ πρὸς αὐτούς, Πῶς λέγουσιν τὸν χριστὸν υἱὸν Δαυίδ εἶναι).

Oo*af: და იხილა იგი მკვევალმან ვინმე მჯდომარე ნათელსა მას, მიჰხედა და იხილა იგი და თქუა: ესეცა მის თანა იყო [ლკ. 22:56]. იხილა იგი და] > G |

იხილა იგი და არ ჩანს არცერთ ბერძნულ ხელნაწერში (BYZ **Luke 22:56** Ἰδοὺσα δὲ αὐτὸν παιδίσκη τις καθήμενον πρὸς τὸ φῶς, καὶ ἀτενίσασα αὐτῷ, εἶπεν, Καὶ οὗτος σὺν αὐτῷ ἦν.)

Oo*af: გამოეძიებდით (გამოიძიებდით o^c) წიგნთაგან, რამეთუ თქვენ ჰგონებთ თავთა თქვენთა შინა, ვითარმედ გაქუს ცხორებაჲ საუკუნოდ მათ მიერ; და იგინი არიან, რომელნი წამებენ ჩემთვის. [იოვ. 5:39]

თავთა თქვენთა შინა] > G |

თავთა თქვენთა შინა ბერძნულ ხელნაწერებში არ ჩანს. არ ჩანს არც ადიშურ რედაქციაში. (BYZ **John 5:39** Ἐρευνᾶτε τὰς γραφάς, ὅτι ἡμεῖς δοκεῖτε ἐν αὐταῖς ζᾶν αἰῶνας ἔχειν, καὶ ἐκεῖναί εἰσιν αἱ μαρτυροῦσαι περὶ ἐμοῦ.)

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ესა თუ ის იკითხვისი დასტურდება რომელიმე ბერძნულ ხელნაწერში, მაგრამ გიორგი მთაწმინდელი აკლებს მას მისთვის სარწმუნო ბერძნულ ხელნაწერზე დაყრდნობით. ამგვარი შემთხვევები მეტად საინტერესოა იმაზე დასაკვირვებლად, თუ რომელი ბერძნული ტექსტუალური ტიპის შემცველი ნუსხებით სარგებლობს ათონელი მამა და რის საფუძველზე აკლებს იკითხვისს. მაგალითად, მათეს სახარების მე-5 თავის 27-ე მუხლი **o*af**-ში ასე იკითხება: „გესმა (გასმიეს af), რამეთუ ითქუა პირველთა მათ მიმართ (τοῖς ἀρχαίοις): არა იმრუშო“ [მთ. 5:27]. პირველთა მათ მიმართ დასტურდება შემდეგ ბერძნულ ხელნაწერებში LMAΘf¹³ 2^c 33 579 788 τ. თუმცა არ გვაქვს ათონურ რედაქციაში (G: გესმა, რამეთუ ითქუა: არა იმრუშო [მთ. 5:27]) და არც შემდეგ ბერძნულ ხელნაწერებში: BD³Π¹ N¹K U W f¹ 2c 28 118 565 1424 157 700 1346 uw. რაც შეეხება ოპიზური რედაქციის შემცველ ხელნაწერებს, ნაწილში დაცულია ეს ფრაზა, ნაწილში – არა. (BYZ **Matthew 5:27** Ἦκούσατε ὅτι ἐρρέθη οὐ μοιχεύσεις.)

Oo*af: უტევებით ეგენი, რამეთუ ბრძანი არიან და წინამძღუარნი ბრმათანი, რამეთუ ბრმაჲ ბრმასა თუ წინაუძღვნ, შესცთიან ორნივე მთხრებლსა შთაცკვიან. [მთ. 15:14]

σφαλίσεται შესცთიან] > G |

σφαλίσεται (εφάλλα), რაც ბერძნულად წაბორძიკებას ნიშნავს, დასტურდება მხოლოდ რამდენიმე ბერძნულ ხელნაწერში: Θf¹³ 788 1346. ბიზანტიური ტექსტის ტიპის შემცველ ხელნაწერებში ეს სიტყვა არ არის, შესაბამისად, მას აკლებს გიორგი მთაწმინდელიც. (BYZ **Matthew 15:14** Ἐφετε αὐτούς· ὁδηγοὶ εἰσιν τυφλοὶ τυφλῶν· τυφλὸς δὲ τυφλὸν ἐὰν ὀδηγῆ, ἀμφοτέροι εἰς βῆθσον πεσοῦνται.)

Oo*af: ხოლო ქუეყანისმოქმედთა მათ ვითარცა იხილეს იგი მიმავალი მათა თქუეს ურთიერთას: ესე არს მკვდრი მისი, მოვედით და მოვკლათ იგი, და ჩუენდა იყოს სამკვდრებელი ესე [მრკ. 12:7].

Θεασάμενοι αὐτόν ἐρχόμενον ვითარცა იხილეს იგი მიმავალი მათა] > G |

Θεασάμενοι αὐτόν ἐρχόμενον ვითარცა იხილეს იგი მიმავალი მათა ბერძნულ ხელნაწერთა ნაწილში გვაქვს (Θ f¹³ 28 565 700 1071), ხოლო ბიზანტიური ტექსტის ტიპის შემცველ ხელნაწერებში კი არა (A⁹ KUII 118 2 157^c τ). (BYZ Mark 12:7 Ἐκεῖνοι δὲ οἱ γεωργοὶ εἶπον πρὸς ἑαυτοὺς ὅτι Οὐτός ἐστιν ὁ κληρονόμος· δεῦτε, ἀποκτείνωμεν αὐτόν, καὶ ἡμῶν ἔσται ἡ κληρονομία.)

Oo*af: და შეასმენდეს მღდელთმოძღუარნი იგი ფრიად და მან არა რაჲ მიუგო მათ. [მრკ. 15:3].

αὐτόσ δὲ σὺδὲν ἀπεκρίνατο და მან არა რაჲ მიუგო მათ] > G |

αὐτόσ δὲ σὺδὲν ἀπεκρίνατο და მან არა რაჲ მიუგო მათ დასტურდება შემდეგ ბერძნულ ხელნაწერებში: NUΔΨWΘ f¹³ 33 565 579 1071 1424. ხოლო ძირითადად არ დასტურდება ბიზანტიური ტექსტის ტიპის შემცველ ხელნაწერებში, თუმცა არ გვაქვს სხვა რედაქციის შემცველ ნუსხებშიც: B ⁹AC D ⁹KMΠI f¹ 2 28 157 700 uwτ (BYZ Mark 15:3 Καὶ κατηγόρουσ αὐτοῦ οἱ ἀρχιερεῖσ πολλὰ).

განხილული მაგალითებიდან გამოიკვეთა, რომ Ath. 62-ის ქვედა ფენის ტექსტში (o*), ალავერდისა (a) და იენაშის (f) ოთხთავებში დაცული ზოგიერთი იკითხვის სახარების ათონური რედაქციის ტექსტში აღარ დასტურდება. კლების ტენდენციაზე დაკვირვებამ ბერძნულ ხელნაწერებთან შედარების საფუძველზე აჩვენა, რომ გიორგი მთაწმინდელი ბიზანტიური ტექსტის ტიპის შემცველი ხელნაწერებით სარგებლობს.

მატება

გვაქვს სხვა ტიპის შემთხვევებიც, როდესაც პირიქით, Ath. 62-ის ქვედა ფენის ტექსტში (o*), ალავერდისა (a) და იენაშის (f) ოთხთავებში არარსებული წაკითხვები ათონურ რედაქციაში არის დამატებული.

კლების შემთხვევების მსგავსად, მატების მაგალითების ანალიზის დროსაც გამოიკვეთა, რომ რიგ იკითხვისებს გიორგი მთაწმინდელი თავის რედაქციაში ამატებს იმიტომ, რომ ისინი უგამონაკლისოდ არსებობს ბერძნულ ხელნაწერებში, ან ათონელი მამა ამა თუ იმ იკითხვისს ამატებს იმიტომ, რომ ისინი დასტურდება მისთვის სარწმუნო ბერძნულ ნუსხებში. ჯერ მოვიყვანო პირველი ტიპის მაგალითებს:

საინტერესო შემთხვევა გვაქვს მარკოზის სახარების მე-5 თავის 33-ე მუხლში, რომელიც o*af-ში ასე იკითხება: „ხოლო დედაკაცსა მას შეეშინა და ძრწოდა, რაჲ-იგი

იქმნა მის ზედა, მოვიდა და შეუვრდა მას და უთხრა მას ყოველივე ბრალი“ [მრკ. 5:33]. სახარების ათონურ რედაქციაში სიტყვა *ძრწოდას* შემდეგ წარმოდგენილია *უწყოდა* („ხოლო დედაკაცსა მას შეეშინა და ძრწოდა, უწყოდა...“); *უწყოდა* **oīda** დასტურდება უკლებლივ ყველა ბერძნულ ხელნაწერში (BYZ **Mark 5:33** Ἡ δὲ γυνή φοβηθεῖσα καὶ τρέμουσα, **είδῃα** ὃ γέγονεν ἐπ’ αὐτῆς, ἤλθεν καὶ προσέπεσεν αὐτῷ, καὶ εἶπεν αὐτῷ πᾶσαν τὴν ἀλήθειαν). საინტერესოა, რომ იგი გავქვს ოპიზური რედაქციის შემცველ ხელნაწერებშიც, გარდა რამდენიმე მათგანისა, კერძოდ, მარტვილის (S-391, X ს.), ტბეთის (995 წ.), ვენისა (Ven.Geo.1, X ს.) და A-411 (XVI-XVII სს.) ოთხთავებისა.

აგრეთვე საინტერესო შემთხვევა გვაქვს მათეს სახარების მე-4 თავის 23-ე მუხლში, რომელიც **o*af**-ში ასე იკითხება: *და მოჰვლიდა (მოჰვლიდა o*) იესუ ყოველსა გალილეასა და ასწავებდა შესაკრებელთა შორის მათთა და ქადაგებდა სასუფეველსა და განჰკურნებდა ყოველსა სენსა და ყოველსა უძღურებასა ერსა შორის [მთ. 4:23].*

*სასუფეველსა] **εὐαγγέλιον τῆς βασιλείας** სახარებასა სასუფეველისასა G |*

***εὐαγγέλιον τῆς βασιλείας** სახარებასა სასუფეველისასა* დასტურდება ყველა ბერძნულ ხელნაწერში (BYZ **Matthew 4:23** Καὶ περιῆγεν ὄλην τὴν Γαλιλαίαν ὁ Ἰησοῦς, διδάσκων ἐν ταῖς συναγωγαῖς αὐτῶν, καὶ κηρῦσσαν τὸ **εὐαγγέλιον τῆς βασιλείας**, καὶ θεραπεύων πᾶσαν νόσον καὶ πᾶσαν μαλακίαν ἐν τῷ λαῷ (B uwt rel)). ოპიზური რედაქციის შემცველ ხელნაწერთა მცირე ნაწილში, კერძოდ, X საუკუნის სინურ ოთხთავებში, წარმოდგენილია *სასუფეველსა* (Sin.15, Sin.30/38, Sin.16, აგრეთვე, S-962 (1054 წ.), A-18 (XII ს.), ბერთის (X ს.), ურბნისისა (XI ს.) და მესტიის (1033 წ.) ოთხთავებში). ხოლო ნაწილში *სახარებასა სასუფეველისასა*. იოანე ოქროპირის მათე სახარების განმარტებაში დასტურდება *სასუფეველსა*, რაც განსაკუთრებულად საინტერესოა ფაქტია.

Oo*af: *უკუეთუ შეგცოდოს შენ ძმამან შენმან, მივედ და ამხილე მას, რაჟამს შენ და იგი ხოლო იყვნეთ. უკუეთუ ისმინოს შენი, შეიძინო ძმა იგი შენი [მთ. 18:15]. უკუეთუ] pr. ხოლო G | იყვნეთ] + **μόνον** მარტონი G. |*

***μόνον** მარტონი* დასტურდება უკლებლივ ყველა ბერძნულ ხელნაწერში (BYZ **Matthew 18:15** Ἐὰν δὲ ἁμαρτήσῃ εἰς σὲ ὁ ἀδελφός σου, ὕπαγε καὶ ἔλεγξον αὐτὸν μετὰξὺ σοῦ καὶ αὐτοῦ **μόνου**. Ἐὰν σου ἀκούσῃ, ἐκέρδησας τὸν ἀδελφόν σου). როგორც ჩანს, მესამედ რედაქტირებისას გიორგი მთაწმინდელმა დაუმატა *მარტონი* (რაჟამს შენ და იგი ხოლო იყვნეთ *მარტონი* G). ოპიზურ და შუალედურ (**o*af**) ხელნაწერებში *მარტონის* ეკვივალენტი არის *ხოლო* (რაჟამს შენ და იგი ხოლო იყვნეთ **Oo*af**). ხოლო ამ კონტექსტში, ბუნებრივია, კავშირი არ არის, იგი იგივეა, რაც მარტო. გიორგი მთაწმინდელმა, მიუედავად იმისა, რომ ბერძნული დედნების დარად დაამატა *მარტონი*, ხოლო მაინც არ დააკლო. რაც შეეხება დასაწყისში დამატებულ კავშირს *ხოლო*, ისიც

უმრავლეს ბერძნულ ხელნაწერში დასტურდება, გარდა რამდენიმე მათგანისა: Θf^{13} 788 565.

o*af: მოვიდა, რომელსა იგი ორი ქანქარი მიეღო, და ჰრქუა: უფალო, ორი ქანქარი მომეც მე, აჰა, სხუად ორი შევსძინე [მთ. 25:22].

მოვიდა] + იგიცა G | ორი³] + $\tau\acute{\alpha}\lambda\alpha\nu\tau\alpha$ ტალანტი G |

ოპიზურ ხელნაწერებში $\tau\acute{\alpha}\lambda\alpha\nu\tau\alpha$ ტალანტი-ის ნაცვლად ზოგან გვაქვს ქანქარი, ან ქანქარიღა, რამდენიმე ხელნაწერში დასტურდება ტალანტი. რაც შეეხება ბერძნულ ხელნაწერებს, $\tau\acute{\alpha}\lambda\alpha\nu\tau\alpha$ ტალანტი დასტურდება უკლებლივ ყველგან. (BYZ Matthew 25:22 Προσελθὼν δὲ καὶ ὁ τὰ δύο τάλαντα λαβὼν εἶπεν, Κύριε, δύο τάλαντά μοι παρέδωκας· ἴδε, ἄλλα δύο $\tau\acute{\alpha}\lambda\alpha\nu\tau\alpha$ ἐκέρδησα ἐπ’ αὐτοῖς). ქანქარი და ტალანტი სინონიმებია. მიუხედავად იმისა, რომ გიორგი მთაწმინდელი ბერძნული $\tau\acute{\alpha}\lambda\alpha\nu\tau\alpha$ -ს მიხედვით ქართულ ტექსტში ამატებს ტალანტს (უფალო, ორი ქანქარი მომეც მე, აჰა, სხუად ორი ტალანტი შევსძინე G), იმავე მუხლში, სადაც ქანქარი გვაქვს, მას არ ცვლის ტალანტით. ასეთი რამ კი მას სხვა შემთხვევებში არ ახასიათებს. კერძოდ, ლექსიკური ცვლილებანის განხილვის დროს ვნახავთ, რომ იგი იმგვარ ფორმებს ამჯობინებს, რომლებიც ბერძნულის მსგავსად ჟღეს, მაგალითად, მთ. 4:10: Σατανᾶ ემმაკო Oo*af] სატანა G | გარდა ამისა, გიორგი მთაწმინდელს წინადადებისათვის დაუმატებია სუბიექტი იგიცა, რაც ბერძნულ ტექსტში არ ჩანს.

Oo*af: მღვდელი ვინმე შთავიდოდა მასვე გზასა და მიემთხვა იხილა იგი და თანაწარჰკვდა [ლკ. 10:31].

მღვდელი] pr. Κατὰ συγχυρίαν δὲ ხოლო დამთხუევით G |

ოპიზურ რედაქციასა (O) და შუალედურ ხელნაწერებში (o*af) ლუკას სახარების მე-10 თავის 31-ე მუხლი იწყება ასე: „მღვდელი ვინმე შთავიდოდა მასვე გზასა...“ გიორგი მთაწმინდელი დასაწყისში საბოლოო ვერსიაში უმატებს სიტყვებს: ხოლო დამთხუევით და ტექსტი ასე იკითხება: „ხოლო დამთხუევით მღვდელი ვინმე შთავიდოდა მასვე გზასა...“, რაც ბერძნულით აიხსნება, სადაც უკლებლივ ყველა ხელნაწერში წერია Κατὰ συγχυρίαν δὲ (BYZ Luke 10:31 Κατὰ συγχυρίαν δὲ ἰερεὺς τις κατέβαινεν ἐν τῇ ὁδῷ ἐκείνῃ· καὶ ἰδὼν αὐτὸν ἀντιπαρῆλθεν). მისი შესატყვისია სწორედ ქართული „ხოლო დამთხუევით“.

Oo*af: რომელსა ჰრწმენეს მისი, არა დაისაჯოს; ხოლო რომელსა არა ჰრწმენეს, აწვე დაშჯილ (დასჯილ f) არს, რამეთუ არა ჰრწმენა სახელისა მიმართ მისა ღმრთისა [იოვ. 3:18].

ღმრთისა] + τοῦ μονογενοῦς მხოლოდშობილისა G |

τοῦ μονογενοῦς θβολλοδშობილის წერია უკლებლივ ყველა ბერძნულ ხელნაწერში. (BYZ John 3:18 Ὁ πιστεύων εἰς αὐτὸν οὐ κρίνεται· ὁ δὲ μὴ πιστεύων ἤδη κέκριται, ὅτι μὴ πεπίστευκεν εἰς τὸ ὄνομα τοῦ μονογενοῦς υἱοῦ τοῦ θεοῦ).

ქვემოთ მოვიყვანთ მეორე ტიპის შემთხვევებს, როდესაც გიორგი მთაწმინდელი ამა თუ იმ იკითხვისს ამატებს იმიტომ, რომ მისთვის უფრო სარწმუნო ბერძნულ ხელნაწერებში ის დასტურდება. მაგალითად, მარკოზის სახარების მე-9 თავის 49-ე მუხლი o*af-ში და, ასევე, ოპიზურ რედაქციაში ასეა წარმოდგენილი: „*რამეთუ ყოველივე ცეცხლითა დაიმარილოს*“ [მრკ. 9:49]. ათონურ რედაქციაში კი სიტყვის დაიმარილოს შემდეგ დამატებულია ფრაზა: „*და ყოველი შესაწირავი მარილითა დაიმარილოს (καὶ πᾶσα θυσία ἀλλ᾽ ἀλισθήσεται)*“. მრკ. 9:49 მუხლის მოკლე ვარიანტი დაცულია შემდეგ ბერძნულ ხელნაწერებში: B L Δ Ξ W 28* 1 1582c 118 565 700 788 uw. ხოლო ვრცელი ვარიანტი: A B C K M N U P I O f¹³ 124 2 28^c 157 1582^c 1071 1424 τ (BYZ Mark 9:49 Πᾶς γὰρ πῦρ ἀλισθήσεται, *καὶ πᾶσα θυσία ἀλλ᾽ ἀλισθήσεται*). გიორგი მთაწმინდელი უპირატესობას ანიჭებს სწორედ ამ მეორე ჯგუფს, რომელშიც შედის ბიზანტიური ტიპის ტექსტის შემცველი ხელნაწერები.

Oo*af: *უძლურთა განჰკურნებდით, კეთროვანთა განსწმედდით (განჰსწმედდით a), ეშმაკთა განასხემდით; უსასყიდლოდ მიგიღებთ (+ და o*a) უსასყიდლოდ (უსასყიდლოდცა o*a) მისცემდით* [მთ. 10:8].

განჰკურნებდით + νεκρούς ἐγείρετε *მკუდართა აღადგინებდით* G |

ამ მუხლში უცნაური ის არის, რომ *νεκρούς ἐγείρετε* *მკუდართა აღადგინებდით* არ დასტურდება ბიზანტიური ტექსტის ტიპის შემცველ ხელნაწერებში (C^c B KLMUIP 118 124 579 700* 788 1071 FΘ 2 1424^c). ხოლო დასტურდება: B Ξ D N 1 1582c f¹³ 33 157 565 700^c 1346 uw. გიორგი მთაწმინდელი კი ამატებს მას.

^{BGT} **Matthew 10:8** ἀσθενοῦντας θεραπεύετε, *νεκρούς ἐγείρετε*, λεπρούς καθαρίζετε, δαιμόνια ἐκβάλλετε· δαρεὰν ἐλάβετε, δαρεὰν δότε.

^{BYZ} **Matthew 10:8** Ἀσθενοῦντας θεραπεύετε, λεπρούς καθαρίζετε, δαιμόνια ἐκβάλλετε· δαρεὰν ἐλάβετε, δαρεὰν δότε.

Oo*af: *ერი ესე ბავითა მათითა პატივ-მცემს მე, ხოლო გულნი მათნი შორს განშორებულ არიან ჩემგან* [მთ. 15:8].

ერი] pr. Ἐγγίξει μοι *მახლობელ არს ჩემდა* G | *ესე*] + στόματι αὐτῶν, *καὶ პირითა მათითა და* G |

მაშასადამე, გიორგი მთაწმინდელი ასე ცვლის ტექსტს: „*მახლობელ არს ჩემდა ერი ესე პირითა მათითა და ბავითა მათითა პატივ-მცემს მე, ხოლო გულნი მათნი შორს განშორებულ არიან ჩემგან*“ (G). Ἐγγίξει μοι *მახლობელ არს ჩემდა* და στόματι αὐτῶν, *καὶ*

პირითა მათითა და არსებობს უმეტესად ბიზანტიური ტექსტის ტიპის შემცველ ხელნაწერებში (BYZ Matthew 15:8 Ἐγγίξτε μοι ὁ λαὸς οὗτος τῷ στόματι αὐτῶν, καὶ τοῖς χεῖλεσίν με τιμᾷ· ἡ δὲ καρδία αὐτῶν πόρρω ἀπέχει ἀπ’ ἐμοῦ) და რამდენიმე სხვა ტექსტის ტიპის ნუსხაშიც: **CṘKMNUWΠI 118 2 565 157 1071 1346 f¹³ E* F τ.** ხოლო არ დასტურდება: **BṠDLΘ 124 33 579 700 788 1424 uw**

Oo*af: *მაშინ გულისჯმა-ყვეს, რამეთუ არა ჰრქუა მათ კრძალვად ცომისაგან, არამედ მოძღურებისაგან ფარისევლთადას (ფარისევლთადას o) და სადუკველთადას [მთ. 16:12]. ცომისაგან] + τοῦ ἄρτου პურისა G |*

τοῦ ἄρτου პურისა დასტურდება შემდეგ ბერძნულ ხელნაწერებში: **B Ṡ^c L 157 28 CṘKMUWΔΠI 118 f¹³ 2 700 1071 1346 τ.** ხოლო არ გვაქვს: **D Θ 124 565 788.** (BYZ Matthew 16:12 *Τότε συνήκαν ὅτι οὐκ εἶπεν προσέχειν ἀπὸ τῆς ζύμης τοῦ ἄρτου, ἀλλὰ ἀπὸ τῆς διδασχῆς τῶν Φαρισαίων καὶ Σαδδουκαίων*). ამ შემთხვევაშიც გიორგი მთაწმინდელმა დაამატა *პურისა* იმიტომ, რომ ბიზანტიური ტიპის ტექსტის შემცველ ხელნაწერებში იგი დასტურდება.

Oo*af: *ფარისევლნო ბრმანო, განწმიდეთ პირველად შინაგანი იგი სასუმელისაჲ, რაჲთა იყოს გარეშეცა იგი წმიდა [მთ. 23:26].*

სასუმელისაჲ] + τῆς παροψίδος და პაროფსიდისა G | იგო²] მისი G |

τῆς παροψίδος და პაროფსიდისაჲ გვაქვს შემდეგ ბერძნულ ხელნაწერებში: **BṠGf¹³ ΔCṘKLMUWΠI 1582^c 2^c 28 33 157 565 579 788 1346 1071 1424 τ.** ხოლო არ გვაქვს: **D Θ 1 118 700 1582* 2* u.** (BYZ Matthew 23:26 *Φαρισαῖε τυφλέ, καθάρισον πρῶτον τὸ ἐντὸς τοῦ ποτηρίου καὶ τῆς παροψίδος, ἵνα γένηται καὶ τὸ ἐκτὸς αὐτῶν καθαρὸν*). ეს მაგალითიც არის დასტური იმისა, რომ გიორგი ათონელმა *და პაროფსიდისაჲ* დაამატა ბიზანტიური ტექსტის ტიპის შემცველი ხელნაწერების გათვალისწინებით.

Oo*af: *მაშინ შეკრბეს მღდელოთმოძღუარნი იგი და მოხუცებულნი ერისანი ეზოსა მას კაიაფადასსა (კაიაფადასა f) მღდელოთმოძღურისასა [მთ. 26:3].*

იგი] + καὶ οἱ γραμματεῖς და მწიგნობარნი G |

καὶ οἱ γραμματεῖς და მწიგნობარნი დასტურდება შემდეგ ბერძნულ ხელნაწერებში: **ṘKMUΠI 2 28 157 579 1346τ.** ხოლო არ დასტურდება: **B^c ṠADLΘf¹ f¹³ 565 700 788 1424 uw.** (BYZ Matthew 26:3 *Τότε συνήχθησαν οἱ ἀρχιερεῖς καὶ οἱ γραμματεῖς καὶ οἱ πρεσβύτεροι τοῦ λαοῦ εἰς τὴν ἀσλῆν τοῦ ἀρχιερέως τοῦ λεγομένου Καϊάφα*). ზემოთ მოტანილი მაგალითების მსგავსად ეს შემთხვევაც ადასტურებს, რომ გიორგი მთაწმინდელმა გაითვალისწინა ბიზანტიური ტექსტის ტიპის შემცველ ხელნაწერთა ჩვენებები და ამის მიხედვით დაამატა *და მწიგნობარნი*. ქვემოთ უკომენტაროდ გავაგრძელებთ მსგავსი მაგალითების მოყვანას.

Oo*af: და, აჰა, იესუ შეემთხვა მათ და ჰრქვა: გიხაროდენ! ხოლო იგინი მოვიდეს და შეუვრდეს ფერჯთა მისთა და თაყუანის-სცეს მას [მთ. 28:9].

და¹] *pr.* Ὡς δὲ ἐπορεύοντο ἀπαγγεῖλαι τοῖς μαθηταῖς αὐτοῦ და ვითარ-იგი მივიდოდეს თბროზად მოწაფეთა მისთა G |

Ὡς δὲ ἐπορεύοντο ἀπαγγεῖλαι τοῖς μαθηταῖς αὐτοῦ და ვითარ-იგი მივიდოდეს თბროზად მოწაფეთა მისთა წარმოდგენილია უმეტესად ბიზანტიური ტექსტის ტიპის შემცველ ხელნაწერებში (^{BYZ} **Matthew 28:9** Ὡς δὲ ἐπορεύοντο ἀπαγγεῖλαι τοῖς μαθηταῖς αὐτοῦ, και ἰδού, Ἰησοῦς ἀπήτησεν αὐταῖς, λέγων, Χαίρετε. Αἱ δὲ προσελθοῦσαι ἐκράτησαν αὐτοῦ τοὺς πόδας, και προσεκύνησαν αὐτῷ), აგრეთვე, სხვა ტექსტის ტიპის შემცველ რამდენიმე ნუსხაში: **ACJKLMUΔΠf¹ 124 2 28 157 565 579 1071 1346** τ. ხოლო არ დასტურდება: **ΘBNDW 33 69 700 uw**

Oo*af: განუტევე ერი ესე, რაათა წარვიდენ გარემო სოფლებსა (სოფლებისა af), სანახებსა და იყიდონ თავისა მათისა რაე იგი ჭამონ [მრკ. 6:36].

სოფლებსა] + და G | *Πι φάγασιν რაე იგი ჭამონ*] *Τί γὰρ φάγασιν οὐκ ἔχουσιν* საზრდელი რამეთუ რაიმეა ჭამეს არა აქუს G |

Τί φάγασιν რაე იგი ჭამონ გვაქვს შემდეგ ბერძნულ ხელნაწერებში: **B D L WA 28 788 uw**. ხოლო *Πι γὰρ φάγασιν οὐκ ἔχουσιν* საზრდელი რამეთუ რაიმეა ჭამეს არა აქუს: **AJKΠf¹³ 2 0171** τ. (^{BYZ} **Mark 6:36** ἀπόλυσον αὐτούς, ἵνα ἀπελθόντες εἰς τοὺς κύκλω ἀγροὺς και κῶμας ἀγοράσωσιν ἑαυτοῖς ἄρτους. Τί γὰρ φάγασιν οὐκ ἔχουσιν).

Oo*af: რომელნი, ოდეს იგი იყო გალილეას იესუ, შეუდგეს მას, და სხუანი მრავალნი, რომელნი მის თანა აღსრულ (აღმოსრულ a) იყვნეს იერუსალემად [მრკ. 15:41].

მას] + *και διηκόνουν* და ჰმსახურებდეს G |

και διηκόνουν და ჰმსახურებდეს წარმოდგენილია: **B L ΨΘ 565 1071 uwτ**, ხოლო არ გვაქვს: **CDA 2 579**. (^{BYZ} **Mark 15:41** αἱ και, ὅτε ἦν ἐν τῇ Γαλιλαίᾳ, ἠκολούθουν αὐτῷ, και διηκόνουν αὐτῷ, και ἄλλαι πολλαὶ αἱ συναναβᾶσαι αὐτῷ εἰς Ἱεροσόλυμα).

Oo*af: და მოიქცეს მოციქულნი და უთხრეს იესუს, რაოდენი ქმნეს. და წარიყვანნა იგინი და განემორა თვსაგან ადგილსა ქალაქისასა, რომელსა ჰრქვან ბეთსაიდაე [ლკ. 9:10].

ადგილსა] + *ἔρημον* უდაბნოსა G |

ἔρημον უდაბნოსა დასტურდება ბერძნულ ხელნაწერთა უმეტესობაში: **CJKMNUWΓΑΠΔ 2 28 124 1071 1424** τ, ხოლო არ გვაქვს: **f¹ 700**-ში. (^{BYZ} **Luke 9:10** Καὶ ὑποστρέψαντες οἱ ἀπόστολοι διηγῆσαντο αὐτῷ ὅσα ἐποίησαν. Καὶ παραλαβὼν αὐτούς, ὑπεχώρησεν κατ' ἰδίαν εἰς τόπον ἔρημον πόλεως καλουμένης Βηθσαϊδάν).

Oo*af: ხოლო გეტყვ თქვენ: არა ვინ მათ კაცთაგანმან გემოე იხილოს სერობისა ამისგან ჩემისა [ლკ. 14:24].

ჩემისა] + Πολλοὶ γὰρ εἰσιν κλητοί, ὀλίγοι δὲ ἐκλεκτοί. *რამეთუ მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულ* G |

Πολλοὶ γὰρ εἰσιν κλητοί, ὀλίγοι δὲ ἐκλεκτοί. *რამეთუ მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულ* დასტურდება: F^{m8} GYM* ΓΛΩ 1^c 118^c f¹³ 2 28^c 700 1071, ხოლო არ დასტურდება: B P⁴⁵ P⁷⁵ ΘNW 1 118 uwт. (BYZ Luke 14:24 Λέγω γὰρ ὑμῖν ὅτι οὐδεὶς τῶν ἀνδρῶν ἐκείνων τῶν κεκλημένων γεύσεταιί μου τοῦ δείπνου. Πολλοὶ γὰρ εἰσιν κλητοί, ὀλίγοι δὲ ἐκλεκτοί).

Oo*af: (ხოლო f) გეტყვ თქვენ, რომელსა აქუნდეს, მიეცეს; ხოლო რომელსა არა აქუნდეს და რომელსა-იგი აქუნდეს, მო-ვე-ელოს მისგან [ლკ. 19:26].

თქვენ] + *ὅτι παντὶ ვιστარმედ ყოველსა* G |

ὅτι παντὶ ვιστარმედ ყოველსა არცერთ ბერძნულ ხელნაწერს არ აკლია. ზოგიერთს აკლია მხოლოდ *ვისტარმედ* (ὅτι) L 1 1582. (BYZ Luke 19:26 Λέγω γὰρ ὑμῖν, ὅτι παντὶ τῷ ἔχοντι δοθήσεται. ἀπὸ δὲ τοῦ μὴ ἔχοντος, καὶ ὃ ἔχει ἀρθήσεται ἀπ’ αὐτοῦ).

Oo*af: განცოცხლდა კაცი იგი და აღილო ცხედარი თვისი და წარვიდა. ხოლო იყო შაბათი დღე (დღე f) იგი [იოვ. 5:9].

განცოცხლდა] pr. *Καὶ εὐθέως და მეყსეულად* G |

Καὶ εὐθέως და მეყსეულად აკლია **ℵ* 2* 28 565**, ხოლო წარმოდგენილია ბერძნულ ხელნაწერთა უმრავლესობაში: B **ℵ^c EAKC LMΘP⁶⁶ ΨK^{UW}^{sup} ΔΛΠΥ^{2c} 33 157 118 579 1582 700 1071 1424 u.** (BYZ John 5:9 Καὶ εὐθέως ἐγένετο ὑγιῆς ὁ ἄνθρωπος, καὶ ἤρεν τὸν κράββατον αὐτοῦ καὶ περιεπάτει. Ἦν δὲ σάββατον ἐν ἐκείνῃ τῇ ἡμέρᾳ).

Oo*af: და ჰრქუეს მას: მოძლუარ, ესე დედაკაცი ცხადად მრუმეზასა დაეპყრა [იოვ. 8:4].

მას] + *πειράζοντες რამეთუ გამოსცდიდეს* G |

πειράζοντες რამეთუ გამოსცდიდეს დასტურდება რამდენიმე ბერძნულ ხელნაწერში: **ΨKΠ 2* 579.** ხოლო არ დასტურდება: **MSΩ f¹ 2^c 28 τ.** (BYZ John 8:4 λέγουσιν αὐτῷ, πειράζοντες, Διδάσκαλε, αὕτη ἡ γυνὴ κατελήφθη ἐπ’ αὐτοφόρῳ μοιχευομένη).

Oo*af: ხოლო ესე თქუეს (თქუზს f) და გამოსცდიდეს მას, რაათა აქუნდეს შესმენად მისა. ხოლო იესუ ქუეყანად დადრკა და თითითა ქუეყანასა წერდა [იოვ. 8:6].

წერდა] + *μὴ προσποιούμενος და არარას ეტყოდა* G |

μὴ προσποιούμενος და არარას ეტყოდა დასტურდება რამდენიმე ბერძნულ ხელნაწერში: **ΨK 2* 579 1346.** ხოლო არ დასტურდება: **ΣΩ UA f¹ f¹³ 28** (BYZ John 8:6 Τοῦτο δὲ

ἔλεγον πειράζοντες αὐτόν, ἵνα ἔχωσιν κατηγορεῖν αὐτοῦ. Ὁ δὲ Ἰησοῦς κάτω κύψας, τῷ δακτύλῳ ἔγραφεν εἰς τὴν γῆν, μὴ προσποιούμενος).

Oo*af: ხოლო მათ ვითარცა ესმა, განვიდოდეს თითოე: იწყეს მოხუცებულთგან, ვიდრემდის დაშთა თავადი მარტო, და დედაკაცი იგი დგა წინაშე მისსა [ოივ. 8:9].

ესმა] + ὑπὸ τῆς συνειδήσεως ἐλεγχόμενοι მხოლეზულნი სზნიდისისაგან G |

ὑπὸ τῆς συνειδήσεως ἐλεγχόμενοι მხოლეზულნი სზნიდისისაგან წარმოდგენილია: **SUPΩf¹ 28 700**, ხოლო არ დასტურდება: **ἄΚ 118 2 579 1346 τ** (^{BYZ} John 8:9 Οἱ δέ, ἀκούσαντες, καὶ ὑπὸ τῆς συνειδήσεως ἐλεγχόμενοι, ἐξήρχοντο εἰς καθ' εἷς, ἀρξάμενοι ἀπὸ τῶν πρεσβυτέρων· καὶ κατελείφθη μόνος ὁ Ἰησοῦς, καὶ ἡ γυνὴ ἐν μέσῳ οὔσα).

Oo*af: მან მიუგო და ჰრქუა მათ: კაცსა რომელსა ჰრქვან იესუ, თიჯად შექმნა და მცხო თუალთა ჩემთა და მრქუა მე: წარვედ სილოამდ და დაიბანე. მივედ და დავიბანე და აღვიბილენ [ოივ. 9:11].

წარვედ] + τὴν κολυμβήθραν საბანელსა მას G |

τὴν κολυμβήθραν საბანელსა მას წარმოდგენილია შემდეგ ბერძნულ ხელნაწერებში: **AἄΥΛ 2 700 τ**, ხოლო აკლია: **P⁶⁶ ἄLWf¹ 565 uw**. (^{BYZ} John 9:11 Ἀπεκρίθη ἐκεῖνος καὶ εἶπεν, Ἄνθρωπος λεγόμενος Ἰησοῦς πηλὸν ἐποίησεν, καὶ ἐπέχρισέν μου τοὺς ὀφθαλμούς, καὶ εἶπέν μοι, Ὑπαγε εἰς τὴν κολυμβήθραν τοῦ Σιλωάμ, καὶ νίψαι. Ἀπελθὼν δὲ καὶ νιψάμενος, ἀνέβλεψα).

Oo*af: მცირედლა, და არღარა მხედვიდეთ მე (+ და of); კულადა მცირედლა, და მიხილოთ მე [ოივ. 16:16].

მე?] + ὅτι ὑπάγω πρὸς τὸν πατέρα. რამეთუ მე მივალ მამისა ჩემისა G |

ὅτι ὑπάγω πρὸς τὸν πατέρα. რამეთუ მე მივალ მამისა ჩემისა წარმოდგენილია უმეტესად ბიზანტიური ტექსტის ტიპის შემცველ ხელნაწერებში, აგრეთვე სხვა ტექსტის ტიპის შემცველ ნუსხებშიც: **A ἄMNUΓΔΘΠΨf¹f¹³ 2 28 157 565 700 1424**, ხოლო არ დასტურდება: **B P⁶⁶ W P⁵ ἄDL 1071**. (^{BYZ} John 16:16 Μικρὸν καὶ οὐ θεωρεῖτέ με, καὶ πάλιν μικρὸν καὶ ὄψεσθέ με, ὅτι ὑπάγω πρὸς τὸν πατέρα).

Oo*af: ოდეს ვიყავ მათ თანა, მე ვსცევდ მათ სახელითა შენითა; რომელნი მომცენ მე და დავიცვენ, და არავინ მათგანი წარწყმდა, გარნა ძე (მე of) იგი წარწყმედისა, რადთა წერილი აღესრულოს [ოივ. 17:12].

თანა] + ἐν τῷ κόσμῳ სოფელსა შინა G |

ἐν τῷ κόσμῳ სოფელსა შინა დასტურდება ძრითადად ბიზანტიური ტექსტის ტიპის შემცველ ხელნაწერებში, აგრეთვე სხვა ტექსტის ტიპის შემცველ ნუსხებშიც: **A ἄKMNUGΔΛΠΨ 1582^c f¹³ 2 28 33 157 565^{sup} 1424τ**. ხოლო აკლია: **B P⁶⁰ P⁶⁶ ἄDL 1582c 1071**.

(^{BYZ} John 17:12 “Ὅτε ἦμην μετ’ αὐτῶν ἐν τῷ κόσμῳ, ἐγὼ ἐτήρουν αὐτοὺς ἐν τῷ ὄνόματί σου· οὐκ ἐδέσκακός μοι, ἐφύλαξα, καὶ οὐδεὶς ἐξ αὐτῶν ἀπώλετο, εἰ μὴ ὁ υἱὸς τῆς ἀπωλείας, ἵνα ἡ γραφή πληρωθῆ”).

არის ისეთი შემთხვევაც, როდესაც საბოლოო ათონურ რედაქციაში მთელი მუხლია ჩამატებული. მაგალითად, მარკოზის სახარების მე-9 თავის 46-ე მუხლი არც o*af-ში და არც ოპიზურ რედაქციაში არ დასტურდება, ათონურ რედაქციაში კი ასე იკითხება: *სადა-იგი მატლი მათი არა დაესრულების, და ცეცხლი არა დაშრტების* [მრკ. 9:46]. ეს მუხლი აკლია შემდეგ ბერძნულ ხელნაწერებს: **ΒΙϞΛΩΔΨ¹ 28 565 u**, ხოლო წარმოდგენილია ძირითადად ბიზანტიური ტექსტის ტიპის შემცველ ხელნაწერებში, თუმცა გვაქვს სხვა ტექსტის ტიპის შემცველ ნუსხებშიც: **ADΘ¹IKMNU¹1¹³ 2 157 579 700 1071 1346 1424^τ**. (^{BYZ} Mark 9:46 ὅπου ὁ σαῦληξ αὐτῶν οὐ τελευτᾷ, καὶ τὸ πῦρ οὐ σβέννυται).

რომ შევაჯამოთ, ყველა ის მაგალითი, რომლებიც ზემოთ წარმოვადგინეთ (გარდა ერთისა) აჩვენებს, რომ გიორგი მთაწმინდელი საბოლოოდ რედაქტირებისას სახარებას უმატებს იმ იკითხვისებს, რომლებიც დასტურდება ბიზანტიური ტიპის ტექსტის შემცველ ხელნაწერებში. შესაძლებელია ისინი სხვა ტიპის ტექსტის შემცველ ნუსხებშიაც დასტურდებოდეს, თუმცა მათი ურთიერთკავშირის კვლევა ამ ეტაპზე ჩვენს ამოცანს სცილდება და ბიზანტიური ტექსტით დაინტერესებული მკვლევრებისათვის არის საინტერესო. გიორგი მთაწმინდელისათვის ამოსავალ წერტილს სწორედ ბიზანტიური ტექსტი წარმოადგენს და მას ადარებს ქართულ სახარებას (ამ კონკრეტულ შემთხვევაში მის ხელში უკვე გამოვლილ ე. წ. შუალედურ ვერსიას, რომელსაც საბოლოო სახეს აძლევს).

ლექსიკა

გარდა სიტყვის, ფრაზის, ზოგჯერ მთელი წინადადების ან მუხლის კლება-მატებისა, Ath. 62-ის ქვედა ფენის ტექსტი (o*), ალავერდისა (a) და იენაშის (f) ოთხთავები ათონური რედაქციის ტექსტისაგან ლექსიკური ერთეულებითაც სხვაობს.

მაგალითად, o*af-ში მარკოზის სახარების მე-9 თავის 50-ე მუხლის ასეთი წაკითხვა გვაქვს: *კეთილ არს მარილი; უკუეთუ მარილი წბილ იყოს, რაათა დაიმარილოს? გაქუს თავისა თქუენისა მარილი და მშჯდობით იყვენით ურთიერთას* [მრკ. 9:50]. ათონურ რედაქციაში *წბილ იყოს* სინტაგმის ნაცვლად დასტურდება *უმარილო იქმნეს, დაიმარილოს* ნაცვლად – *შეინელოს*. ანუ მუხლის პირველი ნაწილი იკითხება: *კეთილ არს მარილი; უკუეთუ მარილი უმარილო იქმნეს, რაათა შეინელოს?*

რა ვითარება გვაქვს ბერძნულ ხელნაწერებში? ყველგან დასტურდება ἔαν δὲ τὸ ἄλας ἄναλον γένηται (Mk. 9:50 BYZ) (*უკუეთუ მარილი უმარილო იქმნეს*), როგორც ვხედავთ, გიორგი მთაწმინდელი ზედმიწევნით თარგმნის ბიზანტიურ ტექსტს. მხოლოდ

ვაშინგტონურ ოთხთავში (W 032) დასტურდება ἔάν δὲ τὸ ἄλλα ἄναλον μαρτυρή, რაც ნიშნავს: *უკუეთუ მარილი უგემო იქმნეს*. მსგავსი შემთხვევაა 579 ხელნაწერში: ἔάν δὲ τὸ ἄλλα μαρτυρή. რაც შეეხება ოპიზურ რედაქციას, იგიც შუალედური ხელნაწერების ჩვენებას იმეორებს: „*უკუეთუ მარილი წვილ იყოს, რადთა დაიმარილოს?“ ხოლო ადიშის სახარებაში მუხლი ასე იკითხება: „*უკუეთუ მარილი განწვილდეს, რადთამე შეიმარილოს?“*“*

ლექსიკური სხვაობების ანალიზმა აჩვენა, რომ გიორგი მთაწმინდელი, ერთი მხრივ, ასწორებს, აზუსტებს ძველ მთარგმნელთა შეცდომებს, ხოლო, მეორე მხრივ, ცვლის ლექსიკურ ერთეულს იმ სინონიმით (ზოგჯერ ბერძნულის კალკით), რომელიც მას უფრო სწორად მიაჩნია. ჯერ მოვიყვანთ პირველი შემთხვევების ნიმუშებს:

მთ. 4:16: ἐν χάρα *ბნელსა* Oo*af/ *სოფელსა* G | ბერძნულ ხელნაწერებში ყველგან გვაქვს *χάρα*, ავ, ἦ, რაც სოფელს ნიშნავს.

მთ. 5:19: ἐλάχιστος *უმრწემეს* Oo*af/ *უმცირეს* G | ἐλάχιστος არის ὀλίγιος-ის უფროობითი ხარისხი და ქართულად პატარას, მცირეს ნიშნავს.

მთ. 5:21: τῆ κρίσει *სიკუდილისა* Oo*af/ *საშჯელისა* G | κρίσις ქართულად სასჯელს, სამართალს ნიშნავს.

მთ. 7:20: τῶν καρπῶν *საქმეთა* Oo*af/ *ნაყოფთა* G | καρπός ქართულად ნიშნავს ნაყოფს.

მთ. 8:21: Ἐτερος *ერთმან* Oo*af/ *სხუამან* G | Κύριε *მოძღუარ* Oo*af/ *უფალო* G | Ἐτερος ქართულად ცალსახად ნიშნავს სხვას, ხოლო Κύριος – უფალს.

მთ. 11:30: ἐλαφρόν *მცირე* Oo*af/ *სუბუქ* G | ἐλαφρός ქართულად მსუბუქს, სატარებლად ადვილს ნიშნავს.

მთ. 12:41: πλείον *უდიდესი* Oo*af/ *უფროის* G | πῶς ქართულად ნიშნავს ბევრს რაოდენობრივად.

მთ. 13:35: κεκρυμμένα *იგავთა* Oo*af/ *დაფარულთა* G | κρύπτο ქართულად ნიშნავს დამალვას, დაფარვას, ხოლო *იგავს* ბერძნულში სხვა შესატყვისი აქვს: παραβολή. ეს სიტყვა ამავე მუხლში არის დადასტურებული (*აღვალო იგავით პირი ჩემი Ἄνοιξα ἐν παραβολαῖς τὸ στόμα μου*). გიორგი მთაწმინდელი ცდილობს დაიცვას ეკვივალენტების სიმყარე.

მთ. 18:11: σῶσαι *მოძიებად* o*af/ *ცხორებად* G | σῶζω ქართულად ხსნას, გადარჩენას ნიშნავს. (მთ. 18:11 მუხლი ოპიზურ რედაქციას აკლია).

მთ. 18:28: συνδούλων *მოყუასი თვისი* Oo*af/ *თანამონაჲ* G | σύνδουλος-ს ინგლისური ეკვივალენტია: fellow-slave, fellow-servant, რომლის უფრო ზუსტი თარგმანი გიორგი ათონისეულია – თანამონაჲ.

მთ. 18:35: ἀδελφῆ *მოყუასსა* Oo*af/ *ძმასა* G | ἀδελφός ქართულად ძმას ნიშნავს.

მთ. 19:28: τῆ παλιγγενεσίᾳ *მოსლვასა* Oo*af/ *შობასა* G | φιλὰς *ნათესავთა* Oo*af/ *ტომთა* G | παλιγγενεσία ქართულად ნიშნავს განახლებას, ხელახლა შობას. ამ მუხლში სწორედ

მეორედ მოსვლაზე, მეორედ შობაზე არის საუბარი. *φσλή*-ს ქართული შესატყვისი კი არის ტომი.

მთ. 19:29: *ἡ ἀγρὸς* **ქუეყანა** Oo*af/ **აგარაკნი** G | *ἀγρὸς* თანამედროვე ქართულად ყანას, დასამუშავებელ, სასოფლო-სამეურნეო მიწას ნიშნავს.

მთ. 20:8: *ὁ κύριος τοῦ ἀμπελῶνος* **სახლისა უფალმან** Oo*af/ **უფალმან სავენაკისამან** G | *ἀμπελῶν*-ის ქართული შესატყვისია ვენახი, ვაზის ბაღი.

მთ. 21:32: *αἱ πόρται* **ცოდვილთა** Oo*af/ **მეძვთა** G | *πόρται* ქართულად სწორედ მეძავს ნიშნავს.

მთ. 22:2: *τῶν οὐρανῶν* **ღმრთისაჲ** Oo*af/ **ცათაჲ** G | ბერძნულ ხელნაწერებში ყველგან გვაქვს *οὐρανός*.

მთ. 22:25: *σπέρμα* **ნათესავი** Oo*af/ **თესლი** G | ბერძნულ ხელნაწერებში ყველგან გვაქვს *σπέρμα*.

მთ. 23:29: *τὰ μνημεῖα* **მოსაქსენებელსა** Oo*af/ **სამარებსა** G | ყველა ბერძნულ ხელნაწერში გვაქვს *μνημεῖον*, რომელიც ქართულად საფლავს ნიშნავს.

მთ. 25:41: *τοῖς ἀγγέλοις* **მსახურთა** Oo*af/ **ანგელოზთა** G | ყველა ბერძნულ ხელნაწერში გვაქვს *ἀγγέλος*, რომელიც ქართულად ანგელოზს ნიშნავს.

მთ. 26:36: *χαρὶον* **დაბასა** Oo*af/ **ადგილსა** G | ყველა ბერძნულ ხელნაწერში გვაქვს *χαρῖον*, რომელიც ქართულად ადგილს ნიშნავს.

მთ. 27:41: *πρεσβυτέρων* **ხუცესთა** Oo*af/ **მოხუცებულთა** G | ყველა ბერძნულ ხელნაწერში გვაქვს *πρεσβύτερος*, რომელიც ქართულად მოხუცებულს ნიშნავს. სიტყვა **ხუცესის** თავდაპირველი მნიშვნელობაა „უფროსი“. სწორედ მისგან არის ნაწარმოები „უხუცესი“ (სარჯველაძე ზ., 1984:31). შესაბამისად, ხუცესი და მოხუცებული ძველ ქართულში სინონიმებია დანელია 1998:67). თუმცა ამ ორი ფორმიდან გიორგი მთაწმინდელი მოხუცებულს ირჩევს, სავარაუდოდ, იმიტომ, რომ მას ხუცესისგან (მღვდელი) განსხვავებით სხვა მნიშვნელობა არ აქვს. *πρεσβύτερος*-იდან წარმოდგება სიტყვა პრესვიტერიც.

ლკ. 1:72: *διαθήκης* **შჯული** Oo*af / **აღთქუმისა** G ყველა ბერძნულ ხელნაწერში გვაქვს *διαθήκη*, რაც ქართულად აღთქმას ნიშნავს.

ლკ. 5:39: *χρηστότερός* **უტკბილეს** Oo*af/ **უმჯობეს** G | ბერძნული ხელნაწერების უმეტესობაში (K τ rell) გვაქვს *χρηστότερός* - კარგის უფროობითი ხარისხის ფორმა, ზოგან კი (B¹LW u[w] 157) *χρηστός* – დადებითი ხარისხის ფორმა.

ლკ. 8:23: *τὴν λίμνην* **ზღუასა** Oo*af/ **ტბასა** G | ყველა ბერძნულ ხელნაწერში გვაქვს *λίμνη*, რომელიც ქართულად ნიშნავს ტბას.

ლკ. 9:12: *δᾶδεκα* **მოწაფენი** Oo*af/ **ათორმეტნი** G | ყველა ბერძნულ ხელნაწერში გვაქვს *δᾶδεκα* (თორმეტი).

ლვ. 12:58: τῷ πράκτορι *სეფე კაცსა* Oo*af/ *მეხარკესა* G | ὁ πράκτωρ *სეფე კაცმან* Oo*af/ *მეხარკემან* G | ყველა ბერძნულ ხელნაწერში გვაქვს ὁ πράκτωρ. ივანე იმნაიშვილის აზრით, ὁ πράκτωρ-ის (გადასახადების ამკრეფი) ძველი შესატყვისი – სეფე კაცი – XI საუკუნისათვის გაუგებარი იქნებოდა. მეხარკე კი მისი ეკვივალენტი ახალი ტერმინია, რომლითაც გიორგი მთაწმიდელის მას ანაცვლებს.⁵⁵

იოვ. 6:61: ἐν ἔαυτῷ *სულითა თვსითა* Oo*af/ *თავით თვსით* G | ყველა ბერძნულ ხელნაწერში გვაქვს ἐν ἑαυτῷ, რაც ქართულად ნიშნავს *თავად, თვითონ*.

როგორც ლექსიკური სხვაობების მაგალითებიდან გამოჩნდა, გიორგი მთაწმიდელი ან ასწორებს ძველ მთარგმნელთა შეცდომებს, ან მისთვის თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენისათვის დამახასიათებელი ფორმებით ცვლის.

ქვემოთ მოვიყვანთ მეორე ტიპის მაგალითებს, როცა გიორგი ათონელი ცვლის ლექსიკურ ერთეულს იმ სინონიმით (ზოგჯერ ბერძნულის კალკით), რომელიც მას უფრო სწორად მიაჩნია.

მთ. 2:6: ἡγούμενος *მთავარი* Oo*af/ *წინამძღუარი* G |

მთ. 2:11: τοὺς θησαυροὺς *საფასეთა* Oo*af/ *საუნჯეთა* G |

მთ. 4:10: Σατανᾶ *ეშმაკო* Oo*af/ *სატანა* G |

მთ. 13:52: μαθητευθεὶς *რომელი მოწაფე ყოფილ არს* Oo*af/ *დამოწაფებული* G |

მთ. 18:24: ταλάντων *შანთისაჲ* Oo*af/ *ტალანტისაჲ* G |

მთ. 21:15: Ὡσανᾶ *კურთხევაჲ* Oo*af/ *ოსანა* G |

მთ. 25:3: τὰς λαμπάδας *სანთელნი* Oo*af/ *ლამპარნი* G |

მთ. 25:4: τῶν λαμπάδων *სანთელნი* Oo*af/ *ლამპართა* G |

ლვ. 1:71: σωτηρίαν *გამოქსნასა* Oo*af/ *ცხოვრებასა* G |

ლვ. 15:23: τὸν σιτευτὸν *მსუქანე* Oo*af/ *ჭამებული* G |

ლვ. 20:17: εἰς κεφαλῆν γωνίας *თავ საკიდურისა* / *თავ კიდეთა* G |

გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ბერძნულ ხელნაწერებში ორივე ლექსიკური ფორმა დადასტურებული. ამ შემთხვევაში გიორგი მთაწმიდელი მისთვის სარწმუნო ხელნაწერს ეყრდნობა. მაგალითად: მთ. 13:43: *სასუფეველსა ცათასა* Oo*af/ *სასუფეველსა მამისა მათისასა* G | τῆ βασιλείᾳ τοῦ πατρὸς αὐτῶν გვაქვს B Ḳ* Θ^c awt tell, ხოლო τῆ βασιλείᾳ τῶν οὐρανῶν გვაქვს: Θ* 124 700 788.

მათეს სახარების მე-17 თავის მე-20 მუხლში ასეთი ვითარება გვაქვს Oo*af-ში: *ხოლო თავადმან* *ჰრქუა მათ: მცირედმორწმუნეობითა თქუენითა. ამენ გეტყჳ თქუენ.* [მთ. 17:20].

თავადმან Oo*af/ *იესუ* G | *მცირედმორწმუნეობითა თქუენითა* Oo*af/ *ურწმუნოებისა თქუენისათჳს* G |

⁵⁵ ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივანე იმნაიშვილმა, თბ., 1979, გვ. 163.

ეს მუხლი საინტერესოა შემდეგი თვალსაზრისითაც: ბერძულ ხელნაწერებში მისი ორი ვარიანტი გვხვდება, ერთი იწყება ასე: „*ხოლო ჰრქუა მათ*“, ხოლო მეორე ამგვარად: „*ხოლო იესუ ჰრქუა მათ*“. ჩვენი აზრით, ქართულ თარგმანში საჭირო იყო სუბიექტი. პირველმთარგმნელს იესუ არ დაუწერია, ჩანს, იგი იმ ხელნაწერთაგან ერთ-ერთით სარგებლობდა, სადაც სუბიექტი საერთოდ არ იყო. ხოლო ქართულად აზრის მეტი სიცხადისთვის დაამატა „*თავადმან*“, რომელიც გიორგი მთაწმინდელმა *იესუთი* შეცვალა. *იესუ* არ წერია შემდეგ ბერძნულ ხელნაწერებში: B¹Θ 124 33 579 700 788 uw. ხოლო წერია: C¹ⲚKLMUWΔΠ 118 2 28 157 565 1071 1424τ. საინტერესოა ისიც, რომ ἁλιγοπιστιαν ἡμῶν *მცირედმორწმუნეობითა თქუენითა* Oo*af დასტურდება იმავე ხელნაწერებში, სადაც ბერძნულში სუბიექტი არ გვაქვს (B¹Θ 124 33 579 700 788 uw), ხოლო ἁπιστιαν ἡμῶν *ურწმუნეობისა თქუენისათვის* G დასტურდება იმ ხელნაწერებში, სადაც *იესუ* წერია (C¹ⲚKLMUWΔΠ 118 2 28 157 565 1071 1424τ).

საინტერესო შემთხვევა გვაქვს მათეს სახარების 24-ე თავის 42-ე მუხლში, რომელიც შუალედურ ხელნაწერებში (o*af) ასე იკითხება: *იღვძებდით უკუფ, რამეთუ არა იცით, რომელსა დღესა უფალი თქუენი მოვიდეს* [მთ. 24:42]. სიტყვა *დღესა*-ს ნაცვლად საბოლოო ათონურ რედაქციაში გვაქვს *ჟამსა* (ἡμέρα *დღესა* Oo*af] ἄρα *ჟამსა* G |). ბერძნულ ხელნაწერებში ორივე მათგანი დასტურდება. ἡμέρα *დღესა* დაცულია: BD¹WΘ^f13 Δ 1582* 33 157 788 1424 uw, ხოლო ἄρα *ჟამსა*: F* 579 Ⲛ K L M U Π 1582^c 2 28 565 700 1071 1346 τ.

მთ. 24:43-ში ოპიზურ რედაქციასა და შუალედურ ხელნაწერებში გვაქვს *ჟამსა* (ხოლო ესემცა იცით: *უკუეთუმცა* (უკუჭეთუმცა f) *უწყოდა სახლისა უფალმან, რომელსა ჟამსა მპარავი მოსლვად არს, იღვძებდამცა და არა უტევა დათხრად გუერდი სახლისა თვისისა* (თვისისა af), ხოლო გიორგი მას ცვლის სიტყვით *საჯუმბილავსა* (*ჟამსა* Oo*af] *საჯუმბილავსა* G |). ბერძნული ხელნაწერების უმრავლესობაში (B uwτ rell) გვაქვს φιλαιη, რაც ქართულად დაცვას, საგუშაგოს ნიშნავს. სწორედ ეს მნიშვნელობა აქვს ძველ ქართულში საჯმბილავსაც (სადარაჯო, საგუშაგო). რამდენიმე ბერძნულ ხელნაწერში (GΘ^f13 33 788 1346) დასტურდება ἄρα, რომელიც ქართულად შეიძლება ითარგმნოს როგორც წუთი, წამი, დრო, დღის ერთი საათი. როგორც ჩანს, Oo*af-ში *ჟამი* სწორედ ამ ბერძნული ხელნაწერების გავლენით არსებობდა.

რაც შეეხება მრკ. 5:33-ს, ოპიზურ რედაქციასა და შუალედურ ხელნაწერებში ის ასე იკითხება: *ხოლო დედაკაცსა მას შეეშინა და ძრწოდა, რად-იგი იქმნა მის ზედა, მოვიდა და შეუვრდა მას და უთხრა მას ყოველივე ბრალი*. გიორგი მთაწმინდელი *ბრალ-ს* ცვლის სიტყვით *ჭეშმარიტი* (*ბრალი* Oo*af] *ჭეშმარიტი* G |). ბერძნული ხელნაწერების უმრავლესობაში (Ⲛ¹ⲚKLNУΔΠBACDMΘ 2 33 118 124 157 565 700 1071 1424 1582^c 579 uwτ)

წერია τῆν ἀλήθειαν (ჭეშმარიტება), ხოლო რამდენიმე ხელნაწერში (W 1 1582* f¹³ 28 1346) გვაქვს ἀπίον (ბრალი, დანაშაული).

Oo*af-ში მარკოზის სახარების მე-3 თავის მე-4 მუხლის ასეთი წაკითხვა გვაქვს: და ჰრქუა მათ იესუ: *ჯერ-არსა შაბათსა კეთილისა საქმე, ანუ ბოროტისა? სულისა ცხოვნება, ანუ წარწყმედა?* ხოლო იგინი დუმნეს. საბოლოო ათონურ რედაქციაში ნაცვლად სიტყვისა *წარწყმედა* გვაქვს *მოკლვა*. (*წარწყმედა Oo*af | მოკლვა G |*) ბიზანტიური ტექსტის ტიპში და აგრეთვე სხვა ხელნაწერებშიც (B uwt rell) დასტურდება ინფინიტივის ფორმა ἡ ἀποκτεῖναι, რაც ცალსახად მოკვლას ნიშნავს. რამდენიმე ხელნაწერში (LΔΘWf¹ 124 28 579 565 700 1424) გვაქვს ἡ ἀπολέσαι, რაც განადგურებას, დაკარგვას ნიშნავს და გადატანითი მნიშვნელობით სულის წარწყმედასაც გულისხმობს.

ლკ. 10:42-შიც ვარიანტულ ლექსიკურ სხვაობას ბერძნული ხელნაწერების მიხედვით ახსნა მოეპოვება. Oo*af-ში მუხლი ასე იკითხება: *აქა მცირედი არს საქმარ. ხოლო მარიამ კეთილი ნაწილი გამოირჩია (გამოიჩია o*, გამოიძია f), რომელი არასადა მიეღოს მისგან.* ათონურ რედაქციაში *მცირედის* ნაცვლად გვაქვს *ერთისა* (ბლყან *მცირედი Oo*af | ღბზ ერთისა G |*). ბლყან *მცირედი* დასტურდება შემდეგ ბერძნულ ხელნაწერებში: B^NL C^c 1 33 579 1582* [w]. ხოლო ღბზ *ერთისა* გვაქვს: P⁴⁵ P⁷⁵ ΓΛΨ 69 157 1071 1424 1582^c AC* R KMPUWΔΘΠ 118 f¹³ 2 28 565^{sub} 700 ut.

საინტერესო შემთხვევა გვაქვს ლუკას სახარების მე-14 თავის მე-12 და მე-13 მუხლებში, სადაც ორივე შემთხვევაში **Oo*af-ში** დასტურდება *სადილი*, ხოლო საბოლოო რედაქციაში – *სამხარი*. ბერძნული ხელნაწერების შემთხვევაში, **ლკ. 14:12-ში** გვაქვს ἄριστον (საუზმე, სადილი), ხოლო **ლკ. 14:13-ში** – *δοχή* (მიღება).

ლკ. 14:12: ἄριστον *სადილსა Oo*af | სამხარსა G |*

ლკ. 14:13: δοχή *სადილსა Oo*af | სამხარსა G |*

მოყვანილი მაგალითებიდან გამოჩნდა, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ბერძნულ ხელნაწერებში ორივე ლექსიკური ფორმაა დასტურდება, გიორგი მთაწმინდელის არჩევანი იმ ხელნაწერთა ჩვენებებს თანხვდება, რომელთა უმეტესობაში ბიზანტიური ტექსტის ტიპია დაცული.

ტრანსპოზიციის

Ath. 62-ის ქვედა ფენის ტექსტი (o*), ალავერდისა (a) და იენაშის (f) ოთხთავებში დაცული ტექსტი ათონური რედაქციისაგან იმითაც სხვაობს, რომ სიტყვათა თანმიმდევრობა არის შეცვლილი. მაგალითად: **Oo*af-ში მთ. 10:22** ასე იკითხება: *ხოლო რომელმან დაითმინოს იგი სრულიად, ცხოვნდეს (ცხოვნდეს af).* გიორგი ათონელი ფრაზას ასე ცვლის: *ხოლო რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხოვნდეს* (tr.

სრულიად იგი G |). ამგვარი ცვლილება მუხლის შინაარსსაც ცვლის: ცხონდეს ის, ვინც ბოლომდე დაითმენს. ბერძნულ ხელნაწერებშიც ზუსტად ასე გვაქვს: ὁ δὲ ἵπομείνας εἰς τέλος, οὐτος σαθήσεται.

მთ. 17:17: თქვენ თანა ვიყო Oo*af. ამგვარი წაკითხვა (μεθ' ἑμῶν ἔσομαι) დასტურდება შემდეგ ბერძნულ ხელნაწერებში: **ΒΨCDΘf¹ 124 33 565 579 700 788 uw.** გიორგი მთაწმინდელი კი ამგვარად ცვლის: **tr. ვიყო თქვენ თანა G,** რასაც, თავის მხრივ, ახსნა მოეძებნება ბერძნული ხელნაწერების მიხედვით: ἔσομαι μεθ' ἑμῶν **ϞKLMUWΔΠ 118 2 28 157 1071 1424 τ.**

მთ. 26:10 მუხლი ბერძნულ ხელნაწერებში ასე იწყება: Γνωσὲς δὲ ὁ Ἰησοῦς. **Oo*af-ში** ასე იყო გადმოტანილი: **გულისკმა-ყო იესუ, ხოლო-ს** გარეშე. გიორგი მთაწმინდელი ამატებს **ხოლო-ს** და სიტყვებსაც უცვლის მიმდევრობას: **tr. ხოლო იესუ გულისკმა-ყო G |**

სხვადასხვა სურათს აჩვენებს **Oo*af** და **G** მარკოზის სახარების მე-7 თავის 33-ე მუხლში, რაც, აგრეთვე, ბერძნული ხელნაწერებით არის განპირობებული. **Oo*af-ში** ეს მუხლი ასე იკითხება: **და განიყვანა ერისა მისგან თვსაგან და დაასხნა (დასხნა o*f) თითონი მისნი და ჰნერწყუა ყურთა მისთა და შეახო ენასა მისსა [მრკ. 7:33]. და ჰნერწყუა ყურთა მისთა** – სიტყვათა ამგვარი თანმიმდევრობა გვაქვს რამდენიმე ბერძნულ ხელნაწერში: εἰς τὰ ῥῆματα αὐτοῦ, καὶ πύσας **Wf¹³ 28.** ხოლო გიორგი მთაწმინდელი სიტყვათა თანმიმდევრობას უმრავლესი ბერძნული ხელნაწერის ჩვენების საფუძველზე ამგვარად ცვლის: **tr. ყურთა მისთა და ჰნერწყუა G,** εἰς τὰ ῥῆματα αὐτοῦ, καὶ πύσας **ΒΨLΓΔΑϞKMNUIf¹ 2 33 118 157 1424 uwτ.**

საკუთარი სახელები

Ath. 62-ის ქვედა ფენის ტექსტი (o*), ალავერდისა (a) და იენაშის (f) ოთხთავებში საკუთარი სახელების – ანთროპონიმებისა და ტოპონიმების – დაწერილობაც სხვაობს ათონური რედაქციისაგან. ამგვარი სხვაობები ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა ოთხთავის ქართული თარგმანის ბერძნულ დედანთან მიმართების თვალსაზრისით. მაგალითად, **o*af-ში** გვხვდება ტოპონიმ Καπαρναισῦ-ის ამგვარი დაწერილობა: **კაფარნაომ** (ასევეა ჯრუჭ-პარხლის, იგივე ოპიზური რედაქციის სხვა ხელნაწერებშიც), რომელსაც სისტემურად ცვლის გიორგი მთაწმინდელი საბოლოო რედაქციაში ფორმით **კაპერნაუმ**, იმიტომ რომ ბიზანტიური ტექსტის ტიპის შემცველ ხელნაწერებში არსებობს პარალელური ფორმა Καπερναισῦ. იგივე შეიძლება ითქვას ფორმაზე **მაგდანელი**, რომელსაც გიორგი მთაწმინდელი ცვლის **მაგდალინელი-ით**, **ჰეროდისა** ცვლის **ჰეროდიადა-თი**, **გერგესველთას** – **გადარინელთა-თი** და ა. შ.

ანთროპონიმები

მრკ.15:47: მაგდანელი o*af] მაგდალენელი G | ოპიზურ რედაქციაში ჭრელი სურათი გვაქვს, დასტურდება რამდენიმე ფორმა: *მაგდალწნელი / მაგდალენელი / მაგდანელი / მაგდალინელი*. *მაგდალენელი/მაგდალინელი* იტაციზმის შედეგი უნდა იყოს, როცა ბერძნულსი η იკითხება ი-დ. ამ მუხლში ბერძნულში ყველგან გვაქვს Μαγδαληνη, რამდენიმე ხელნაწერში (ΔΨf¹³ 28 1071 1424 118 33) დასტურდება ფორმა Μαγδαλινη. როგორც ედიშერ ჭელიძე აღნიშნავს, ქართულ ხელნაწერებში დადასტურებული ამ სიტყვის ფონეტიკური ნაირგვარობებიდან ძირითადია ორი: „*მაგდანელი*“ და „*მაგდალენელი*“. იგი უპირატესობას ფორმას „*მაგდანელი*“ ანიჭებს, ვინაიდან, მისი აზრით, ეს ფორმა უფრო მკაფიოდ მიანიშნებს „მაგდალას მკვიდრზე“, საიდანაც იყო მარიამი (ჭელიძე 2007:154). იგივე ვითარება გვაქვს სხვა მუხლებშიც, კერძოდ: **მრკ. 16:1: მაგდანელმან o*af] მაგდალენელმან G** | ზედა მაგალითის მსგავსად, ამ მუხლშიც ოპიზური რედაქცია ჭრელ სურათს აჩვენებს: *მაგდალწნელმან / მაგდალენელმან / მაგდანელმან / მაგდალინელმან*. ბერძნულში ყველგან გვაქვს Μαγδαληνη, რამდენიმე ხელნაწერში (ΓΔCΨf¹³ 118 28 1071 1424 33) დასტურდება ფორმა Μαγδαλινη; **ლკ.8:2: მაგდანელი o*af] მაგდალენელი G** | ოპიზურ რედაქციაში იგივე სურათია: *მაგდალწნელი / მაგდალენელი / მაგდანელი*. ბერძნულში ყველგან გვაქვს Μαγδαληνη, რამდენიმე ხელნაწერში (FHYA 28 565 1071) – Μαγδαλινη; **იოვ. 19:25: მაგდანელი o*af] მაგდალენელი G** | ოპიზურ რედაქციაში ამ ადგილას გვაქვს: *მაგდალწნელი / მაგდალენელი / მაგდანელი*. ბერძნულში ყველგან – Μαγδαληνη, რამდენიმე ხელნაწერში (Π 124 1071) – Μαγδαλινη.

მრკ. 6:17: ჰეროდიადასტვს Oo*af] ჰეროდიადასტვს G | ბერძნულში ყველგან გვაქვს Ἡρωδιάδα. იმიტომ, რომ ბერძნული წინადადების წყობა აქ აკუზატივს მოითხოვს (^{BYZ} **Mark 6:17** Αὐτὸς γὰρ ὁ Ἡρώδης ἀποστείλας ἐκράτησεν τὸν Ἰωάννην, καὶ ἔδησεν αὐτὸν ἐν φυλακῇ, διὰ **Ἡρωδιάδα** τὴν γυναικὰ Φιλίππου τοῦ ἀδελφοῦ αὐτοῦ, ὅτι αὐτὴν ἐγάμησεν): Ἡρωδιάδα აკუზატივია, მისი ნომინატივია **Ἡρωδιάς, ἄδοξ, ἡ**. მეორე შემთხვევაში **მრკ. 6:19: ჰეროდიას o*af] ჰეროდიადას G** | ბერძნულში ყველგან გვაქვს Ἡρωδιάς, ნომინატივის ფორმა (^{BYZ} **Mark 6:19** Ἡ δὲ **Ἡρωδιάς** ἐνεῖχεν αὐτῷ, καὶ ἠθέλην αὐτὸν ἀποκτεῖναι· καὶ οὐκ ἠδύνατο). გიორგი მთაწმინდელს სისტამატურად გადმოაქვს *ჰეროდიადა*.

მთ. 26:69: τοῦ Ναζωραίου C, *ნაზარეველისა Oo*af]* τοῦ Γαλιλαίου AῤKLMUWΔΘΠf¹ f¹³ 2 33 28 157 565 700 788 1071 1424 *საუტგალილეველისა G* | როგორც ვხედავთ, უმეტესი ბერძნული ხელნაწერების შესაბამისად გიორგი ათონელს *ნაზარეველის* ნაცვლად *გალილეველის* ფორმა გადმოაქვს.

ლკ. 6:15: Μαθηαῖον B*ND uw, მათეოს Oo*f (მათეოზ a) / Ματθαῖον B^c AῤMQUTΠAΨKLΘf¹ f¹³

124 2 28 565 579 700 69 33 157 1071 1424τ, *მატეოს G* | ამ მაგალითშიც ბიზანტიური ტექსტის ტიპის ხელნაწერთა ჩვენებაა გათვალისწინებული. გვაქვს იმავე ტიპის სხვა შემთხვევებიც: მთ. 9:9: Μαθηῶν BND, *მატეოს Oaf (მათეოზ o*)*] Μαθηῶν S 1 1582 118 B^c C^{f13} Ἡ ΚΜΥΔΠ 2 33 157 565 579 700 788 1071 1346 1424 τ *მატეოს G* | მთ. 10:3: Μαθηαῖος B*Dwu, *მატეოს Oo*af*] Μαθηαῖος CṚKUWΔΘΠF¹ f¹³ 2 33 28 157 565 700 788 1071 1424^c 579 1346 τ *მატეოს G* |

ქალთა სახელების გადმოტანისას გიორგი მთაწმინდელი უპირატესობას ანიჭებს ორ ერთნაირ თანხმოვნიან ფორმას, ითვალისწინებს რა ბერძნულ ხელნაწერთა ჩვენებებს:

ლვ. 8:3: Ἰωάννα BDw, *იოჰანა Oo*af*] Ἰωάννα ἸΑἩΚΛΜΥΓΔΘΛΠΥΦΗΩ 1 118 f¹³ 2 33 28 157 700 1071 565 1424 1582 579 uτ, *იოანნა G* |

ლვ. 8:3: Σουσάνα Θ*, *სუსანა Oo*af*] Σουσάνα BKWf¹³ ἸΑΛΠΥΔf¹ Ἡ U ΔΘ^c Λ 2 28 1424 565 579 700 1071 E* uw, *სუსანნა G* |

იოვ. 18:13: Ἄναν G^{sup}, *ანასა Oo*af*] Ἄναν B uwτ rell, *ანნასა G* |

იოვ. 18:24: ὁ Ἄνας Θ, *ანა o*af*] ὁ Ἄνας B uwτ rell, *ანნა G* |

გამონაკლისს წარმოადგენს *ნიკოდიმოს* ფორმა, რომელიც ბერძნულ ხელნაწერებში ძირითადად წარმოადგენილია Νικόδημος ფორმით. იოვ. 7:50: Νικόδημος P⁶⁶ ἩΜΓΑΠΣΥΚΥΔΠΛΝΩΘ f¹³ 2^c 28 700 1424 1582 1 33 118 565 579 157 1071 [u]wτ, *ნიკოდემოს Oo*af*] Νικόδημος 2*, *ნიკოდიმოს G* | ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში იტაციზმთან უნდა გვქონდეს საქმე, როცა ბერძნულსი იკითხება ი-დ.

ტოპონიმები

რაც შეეხება ტოპონიმებს, ბუნებრივია, ყველა მათგანს აქ ვერ განვიხილავთ. მოვიტანთ მხოლოდ მათ, რომლებიც გიორგი მთაწმინდლის რედაქტორული მუშაობისათვის არის ნიშანდობლივი. ზემოთ უკვე ითქვა, რომ შუალედურ ხელნაწერებში (o*af), ასევე ჯრუჭ-პარხლის, იგივე ოპიზური რედაქციის შემცველ სხვა ხელნაწერებში გვხვდება ტოპონიმ Καπαρναῖμ-ის ამგვარი დაწერილობა: კაფარნაიმ, რომელსაც სისტემურად ცვლის გიორგი მთაწმინდელი საბოლოო რედაქციაში ფორმით კაპერნაუმ, იმიტომ რომ ბიზანტიური ტექსტის ტიპის შემცველ ნუსხებში დასტურდება ფორმა Καπερναῖμ. ამ ტიპის შემთხვევები გვაქვს:

მთ. 8:5: Καφαρναοῦ ΒΝ 33 uw, კაფარნაუმდ Of, კაფარნაომდ o*a] Καπερναοῦ KMNSUWΓΔΘΠΩΕC f¹ f¹³ 124 157 565 579 700 788 1071 1346 1424 კაპერნაუმდ G |

მრკ.1:21: Καφαρναοῦ ΒWΛΘΝD 33 69 124 565 700* uw, კაფარნაომდ o*a (კაფარნაუმდ Of)] Καπερναοῦ ACῚKMUIΠL f¹ 2 28 579 700^c 157 788 1071 1346 1424 τ, კაპერნაუმდ G |

მრკ. 2:1: Καφαρναοῦ ΒΝΘDWA 33 565 124 700* uw, კაფარნაომდ o*a (კაფარნაუმდ Of)] Καπερναοῦ G LS ACEYKMUIΠΩ f¹ f¹³ 2 28 157 579 700^c 1071 1424τ, კაპერნაუმდ G |

მრკ.9:33: Καφαρναοῦ ΒΝWDΔΨ 565 uw კაფარნაუმდ Oo*af] Καπερναοῦ ACῚKLMNUIΠ f¹ f¹³ 124 2 28 157 579 788 1346 1424 700 1071 τ კაპერნაუმდ G |

ლკ. 4:23: Καφαρναοῦ ΒΝWDΨ33uw, კაფარნაუმს Oo*af] Καπερναοῦ AKNAΠLῚMUΓΔΘ f¹ f¹³ 28 157 1071 124 565 579 700 788 1424τ, კაპერნაუმს G |

ლკ. 7:1: Καφαρναοῦ BP⁷⁵ ῚDC*W33 700uw, კაფარნაუმს Oo*af] Καπερναοῦ ΗΛΨ 2 118 1071 AC^c ῚKLMUΓΔΘΠΨ f¹ f¹³ 28 157 565 579 1424τ, კაპერნაუმს G |

იოვ. 2:12: Καφαρναοῦ BP⁶⁶P⁷⁵ Ὶuw, კაფარნაუმდ Oo*af] Καπερναοῦ AῚKLNΔΘΛΠΨ 118 f¹³ 2 33 28 HM 124 f¹ 565 1424 788, კაპერნაუმდ G |

იოვ. 4:46: Καφαρναοῦ ΒΝDP^{66.75} C W^{sub}Ψ 33 u[w], კაფარნაუმს Oo*af] Καπερναοῦ AῚKMUΔΘΛΠLN f¹³ f¹ 28 157 565 579 579 700 1424 1071τ, კაპერნაუმს G |

ლკ. 8:26: τῶν Γεργεσηῶν Ὶ f¹ LΘ 118 157 700*, გერგესეელთას Oo*af] τῶν Γαδαρηῶν AῚΓΠΨEMSΩUWA f¹³ 28 1424 2 565 700^c τ, გადარინელთას G | ამ შემთხვევაშიც გიორგი ათონელი უპირატესობას გადარინელთა ფორმას ანიჭებს, ვინაიდან იგი ბიზანტიური ტექსტის შემხველ ხელნაწერებში გვაქვს.

ზმნა

Ath. 62-ის ქვედა ფენის ტექსტი (o*), ალავერდისა (a) და იენაშის (f) ოთხთავებში ზმნური ფორმებიც განსხვავდება ათონური რედაქციისაგან. გიორგი ათონელი ზოგჯერ ცვლის ზმნის მწკრივს, ზოგჯერ – ზმნისწინს, ზოგჯერ – რიცხვს, ზოგჯერ – ზმნის პირს, ან მთლიანად ზმნას და სხვა ეკვივალენტით გადმოაქვს იგი.

მწკრივის ცვლილებანი:

მთ. 5:3-11 მუხლებში ყველგან, სადაც გვაქვს ნეტარ არიან შეცვლილია II კავშირებითის (მომავალი დრო, სრული ასპექტი) ფორმით: ნეტარ იყვნენ. (არიან o*af/ იყვნენ G |) o*af: ნეტარ არიან მგლოვარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგემინისცემულ იქმნენ (იყვნენ af). ნეტარ არიან მშუდნი, რამეთუ მათ დაიმკვდრონ ქუეყანაჲ. ნეტარ არიან, რომელთა ჰშიოდის (შიოდის f) და სწყუროდის სიმართლისათჳს, რამეთუ იგინი განძენ. ნეტარ არიან მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ. ნეტარ არიან წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ. ნეტარ არიან მშუდობისყოფენი, რამეთუ იგინი ძედ ღმრთისა იწოდნენ. ნეტარ არიან დევნულნი სიმართლისათჳს, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაჲ.

ოპიზური რედაქციის შემცველი ხელნაწერების ნაწილში დასტურდება არიან, ხოლო ნაწილში იყვნენ. რაც შეეხება ბერძნულ ხელნაწერებს, იქ ყველგან გვაქვს Μακάριοι – ზედსართავი სახელი მრ. რიცხვში, რომელიც ნეტარს, ბედნიერს აღნიშნავს. ბერძნულში აქ ზმნა არ გვაქვს, ქართულში კი აუცილებლად სჭირდება. სწორედ ამით არის განპირობებული სხვადასხვა ვარიანტის (არიან ან იყვნენ) არსებობა ქართულ რედაქციებში. ჩვენი აზრით, II კავშირებითის (მომავალი დრო, სრული ასპექტი) ფორმა უფრო მართებულია კონტექსტის მიხედვით, ვინაიდან პირობითობა მომავალში მისაღებ ბედნიერებას გულისხმობს. სხვანოვან თარგმანებში ასეთ ვითარება გვაქვს: ^{NAS} **Matthew 5:3** "Blessed are the poor in spirit, for theirs is the kingdom of heaven (ინგლ); **Matthew 5:3** Блаженны нищие духом, ибо их есть Царство Небесное (რუს.)

მთ. 5:21: გასმიეს Oo*af/ გესმა G | ბერძნულში ყველგან გვაქვს ἤκουσατε (I აორისტი, მეორე პირი, მრავლობითი რიცხვი), რომელიც გიორგი მთაწმინდელს გადმოაქვს წყვეტილის მწკრივით **გესმა**. ანალოგიური შემთხვევა გვაქვს სხვა მუხლებშიც: **მთ. 5:38: გასმიეს Oo*af/ გესმა G** | **მთ. 5:43: გასმიეს Oo*af/ გესმა G** | ამავედროულად ამ მაგალითთან ისიც ჩანს, რომ გიორგი მთაწმინდელი ცდილობს ზმნის ამა თუ იმ ფორმის გადმოტანისას დაიცვას სიმყარე.

მთ. 5:33: მიეც Oo*af/ მისცე G | ბერძნულ ხელნაწერებში უკლებლივ ყველგან გვაქვს ἀπιδώσειδ - მომავალი დრო, მეორე პირი, მხოლოდითი რიცხვი. ამ შემთხვევაშიც გიორგი მთაწმინდელი მაქსიმალურად ცდილობს დაიცვას დედნის სიზუსტე.

მთ. 8:28: ჯელ-ეწიფა Oo*af/ ჯელ-ეწიფებოდა G | ყველა ბერძნულ ხელნაწერი გვაქვს ინფინიტივის ფორმა ἵσχυειν, რომლის ქართულად გადმოსატანად გიორგი მთაწმინდელს წყვეტილის მწკრივის ნაცვლად უმჯობესად უწყვეტლის მწკრივი

მიუჩნევია. მსგავსი შემთხვევა გვაქვს მრკ. 3:20-შიც (*კელ-ეწიფა* Oo*af/ *კელ-ეწიფებოდა* G |), თუმცა ბერძნულ ხელნაწერებში ამჯერად ყველგან გვაქვს ისევ ინფინიტივის ფორმა δὲνασθαι. ἰσχύα და δὲνασθαι ქართულად ორივე შემთხვევას ნიშნავს.

მთ. 18:5: *შემიწყნაროს* Oo*af/ *შემიწყნარებს* G | ბერძნულში ყველგან გვაქვს δέχεται - აწმყო დრო, III პირი, მხ. რ. გიორგი მთაწმინდელი II კავშირებითის ფორმით გამოხატულ მყოფადს, *შემიწყნაროს*, ცვლის ახალი ფორმით, ზმნისწინიანი აწმყოთი (შემდგომში მყოფადის მწკრივი) - *შემიწყნარებს*.

მთ. 20:26: *იყოს* Oo*af/ *იყავნ* G | *იყოს* II კავშირებითის ფორმით გამოხატული მყოფადია, ხოლო *იყავნ* II ბრძანებითი. რა ვითარებაა ამ მხრივ ბერძნულ ხელნაწერებში? ბიზანტიურ ტექსტში (CKNUΔΘΠWML^{f1} f¹³ 33 565 700 788 1346 u[w] გვაქვს მომავალი დროის ფორმა: ἔσται (III პირი, მხ. რ.). თუმცა სხვა ბერძნულ ხელნაწერებში (B9RΓY 2 1071 1424 28 579 τ) დასტურდება ბრძანებითი კილოს ფორმაც: ἔστω. იმის ახსნა, თუ რატომ არ მისდევს ამ შემთხვევაში გიორგი მთაწმინდელი ბიზანტიურ ტექსტს, რთულია. მსგავსი შემთხვევა გვაქვს მთ. 23:11-ში: *იყოს* Oo*af/ *იყავნ* G | ამ მუხლში ბერძნულ ხელნაწერებში ყველგან დასტურდება მომავალი დროის ფორმა: ἔσται (III პირი, მხ. რ.).

მთ. 23:23: *ჯერ-არს* Oo*af/ *ჯერ-იყო* G | შესაბამის ადგილას ბერძნულში ყველგან გვაქვს ἔδει - იმპერფექტი, III პირი, მხ. რ., რომელიც ნიშნავს *საჭიროა*. იმას, რომ გიორგი მთაწმინდელი წყვეტილის (ჯერ-იყო) ფორმას იყენებს, ბერძნულის მიხედვით ახსნა მოეპოვება.

მრკ. 12:18: *იტყოდეს* Oo*af/ *იტყვან* G | ბერძნულში ყველა ხელნაწერში გვაქვს λέγεισιν, აწმყო დროის III პირი, მრ. რ. გიორგი მთაწმინდელმა წყვეტილის მწკრივის ფორმა (*იტყოდეს* – III პ., მრ. რ.) ბერძნულის შესაბამისად ჩაანაცვლა აწმყოს მწკრივის ფორმით *იტყვან* (III პ., მრ. რ.).

მრკ. 15:2: *ჰკითხვიდა* Oo*af/ *ჰკითხა* G | ბერძნულ ხელნაწერებში დასტურდება | აორისტის ფორმა ἐπηρώτησεν (III პ., მხ. რ.). მის შესაბამისად გიორგი მთაწმინდელი უწყვეტლის ფორმას (*ჰკითხვიდა*) ცვლის წყვეტილის ფორმით – *ჰკითხა*. იმავე მუხლში გვაქვს შემდეგი ცვლილება: *სთქუ* Oo*af/ *იტყვ* G | ბერძნულში წარმოდგენილია აწმყო დროის ფორმა λέγεις (II პირი, მხ. რ.), ამიტომაც კონტექსტიდან გამომდინარე გიორგი მთაწმინდელი წყვეტილის მწკრივის ფორმას (*სთქუ*) ცვლის უწყვეტლის ფორმით

(იტყვ). (მრკ. 15:2: და ჰკითხა მას პილატე და ჰრქუა: შენ ხარა მეუფეჲ ჰურიათაჲ? ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მას: შენ იტყვ G).

საინტერესო შემთხვევა გვაქვს ლკ. 9:7-ში, სადაც მუხლის დასაწყისი Oo*af-ში ასე იკითება: *ესმა ჰეროდეს მეოთხედ მთავარსა საქმე იგი*, რომელსაც გიორგი მთაწმინდელი ასწორებს ამგვარად: *ესმნეს ჰეროდეს მეოთხედ მთავარსა ყოველნი იგი საქმენი*. ყველა ბერძნულ ხელნაწერში *ესმა/ესმნეს* ფარდად დასტურდება I აორისტის III პირის, მხ. რიცხვის ფორმა: Ἡρισθεν. რაც შეეხება ფრაზის დაბოლოებას, *საქმე იგი/ყოველნი იგი საქმენი*, ბერძნულ ხელნაწერებში იგი დასტურდება მრავლობით რიცხვში. ძველ ქართულში კი ასეთი წესი მოქმედებდა: სახელობით ბრუნვაში მდგარი პირდაპირი ობიექტის მრავლობითობა, თუკი იგი -ნ სუფიქსითაა გამოხატული, ზმნაში ყოველთვის აღინიშნებოდა -ენ, რედუქციით -ნ სუფიქსით. სწორედ პირდაპირი ობიექტის მრავლობითობა ასახა გიორგი მთაწმინდელმა ზმნაში *ესმ-ნ-ეს* (წყვეტილის მწკრივი, III პ., მრ. რ.).

ლკ. 10:26: *აღმოკითხი Oo*af/ აღმოკითხავ G* | ბერძნულში ყველგან გვაქვს ἀναγινώσκεις - აწმყო დრო, II პირი, მხ. რ. გიორგი მთაწმინდელი II ხოლმებითის ფორმით გამოხატულ განგრძობით მოქმედებას ახლანდელ დროში *აღმოკითხი*, ცვლის ზმნისწინიანი აწმყოთი (შემდგომში მყოფადის მწკრივი) - *აღმოკითხავ*.

იოვ. 4:13-ის დასასრული ასე იკითხება: *ყოველი რომელი სუამს წყლისა ამისგან, სწყუროდის კუალად*. ბერძნულ ხელნაწერებში ყველგან დასტურდება აწმყო დროის მიმღეობა – ὁ πίνω. გიორგი მთაწმინდელი პირიანი ფორმით თარგმნილ აწმყო მწკრივის ფორმას *სუამს* ცვლის I კავშირებითის მწკრივის ფორმით *სუმიდეს (სუამს Oo*af/ სუმიდეს G* |).

იოვ. 6:63: *გეტყოდე Oo*af/ გეტყვ G* | ბერძნულ ხელნაწერებში დასტურდება λελάληκα/ λαλέω აწმყო დროის ფორმები (I პ. მხ. რ.). გიორგი მთაწმინდელი უწყვეტლის მწკრივის ფორმას *გეტყოდე* ცვლის I კავშირებითის ფორმით *გეტყვ*.

იოვ. 11:3: *გიყუარდა Oo*af/ გიყუარს G* | გიორგი მთაწმინდელი წყვეტილის მწკრივის ფორმას (*გიყუარდა*) ცვლის აწმყო მწკრივის ფორმით (*გიყუარს*), იმიტომ რომ ყველა ბერძნულ ხელნაწერში გვაქვს φιλέω ზმნა ახლანდელი დროის ფორმით φιλείς (II პ., მხ. რ.).

იოვ. 18:32: *აუწყა* Oo*af/ *აუწყებდა* G | ბერძნულ ხელნაწერებში შესაბამის ადგილას ყველგან დასტურდება აწმყო დროის მიმღეობა – *σημαίνω* (John 18:32 *ἵνα ὁ λόγος τοῦ Ἰησοῦ πληρωθῆ, ὃν εἶπεν, σημαίνω ποιῶ θανάτῳ ἤμελλεν ἀποθνήσκειν*). გიორგი მთაწმინდელი პირიანი ფორმით თარგმნილ წყვეტილის მწკრივის ფორმას (*აუწყა*) ცვლის უწყვეტლის მწკრივის ფორმით (*აუწყებდა*). იოვ. 18:32: *რადთა აღესრულოს სიტყუა იგი იესუსი, რომელ თქუა და აუწყებდა, რომლითა სიკუდილითა ეგულებოდა მოსიკუდიდ G.*

იოვ. 19:38: *მოვიდეს* Oo*af/ *მოვიდა* G | *აღიღეს* Oo*af/ *აღიღო* G | ორივე შემთხვევაში ბერძნულში გვაქვს II აორისტის, III პირისა და მხ. რიცხვის ფორმა: ἤλθεν და ἦρεν. ბერძნულის შესაბამისად გიორგი მთაწმინდელი II კავშირებითის მწკრივის ფორმებს (*მოვიდეს, აღიღეს*) ცვლის წყვეტილის მწკრივის ფორმით (*მოვიდა, აღიღო*).

ზმნისწინის ცვლილებანი:

მთ. 17:27: *მოიღე* Oo*af/ *აღიღე* G | შესაბამის ადგილას ბერძნულში გვაქვს ზმნა *αἶρα* (*ἄρον*), რაც *აღებას* ნიშნავს. იმავე მუხლის ბოლოს დასტურდება ზმნა *λαβάνω* (*λαβάν*), რომელიც *მოტანას* ნიშნავს და თარგმნილია, როგორც *მოიღე*. როგორც ვხედავთ, ზმნისწინის (*მო-* *აღ-*) ცვლილებით გიორგი მთაწმინდელმა ეს ორი ზმნა (*αἶρα, λαβάνω*) თარგმანში აზრობრივად განასხვავა ერთმანეთსაგან (Oo*af-ში ორივე თარგმნილი იყო როგორც *მოიღე*). (*ხოლო რადთა არა დავაბრკოლნეთ იგინი, წარვედ (წავედ o*) ზღუად და მთააგდე სამჭედური, და, რომელი პირველად აღმოკდეს თევზი, მოიღე და აღულე პირი მისი და ჰპოო მის შორის სატირი (სასწორი f), მოიღე იგი და მიეც მათ შენთვის და ჩემთვის. Ἴνα δὲ μὴ σκανδαλίσωμεν αὐτούς, πορευθεὶς εἰς τὴν θάλασσαν βάλε ἄγκιστρον, καὶ τὸν ἀναβαίνοντα πρῶτον ἴχθυν ἄρον· καὶ ἀνοίξας τὸ στόμα αὐτοῦ, εὐρήσεις στατήρα· ἐκεῖνον λαβάνω δὲς αὐτοῖς ἀντὶ ἐμοῦ καὶ σοῦ.*)

მთ. 20:4: *მივედით* Oo*af/ *წარვედით* G | ყველა ბერძნულ ხელნაწერში წერია Ἔπαγετε (*ἐπάγω*), რაც წასვლას ნიშნავს. ამ სიტყვის *წარვედით* თარგმანი დასტურდება ოპიზური რედაქციის შემცველ რამდენიმე ხელნაწერში (ხანმეტ, წყაროსთავის ოთხთავებსა და H-1240-ში). გიორგი მთაწმინდელმა უმჯობესად სწორედ ეს ფორმა მიიჩნია.

მთ. 28:8: *წარვიდეს* Oo*af/ *გამოვიდეს* G | ბერძნულ ხელნაწერთა ნაწილში (B¹ C¹ L¹ Θ 69 124 33 788 1346 uw) გვაქვს *ἀπελθῆσαι* (*ἀπέρχομαι*), რომელიც ქართულად ითარგმნება, როგორც გასვლა, გაყოლა. ხოლო ბიზანტიური ტექსტის (და არა მხოლოდ) შემცველ ხელნაწერებში (AD¹ B¹ K¹ M¹ U¹ W¹ Δ¹ Π¹ f¹ 2 28 157 1582 565 579 700 1071 1424τ) დასტურდება *ἐξέλθῆσαι* (*ἐξέρχομαι*), რომელიც გამოსვლას, გარეთ გასვლას ნიშნავს. შესაბამისად,

გიორგისეული ვარიანტი (*გამოვიდეს*) ზუსტია. იგივე ზმნა – ἐξῆλθον (ἐξέρχουμαι) დასტურდება ბერძნულ ხელნაწერებში **მრკ. 8:11-ში**, რომელიც **Oo*af** თარგმნილია როგორც *მოვიდეს*, ხოლო მთაწმინდელი იცავს ეკვივალენტების სიმყარეს და მას თარგმნის, როგორც *გამოვიდეს (მოვიდეს Oo*af/ გამოვიდეს G |)*

მრკ. 10:32: აღმოვიდოდეს Oo*af/ აღვიდოდეს G | შესაბამის ადგილას ბერძნულ ხელნაწერებში დასტურდება ἀναβάνοντες (ἀναβάνω), რაც ასვლას (ზმნისწინი ἀνα=ა/აღ და არა აღმო), ზემო მიმართულებით სვლას ნიშნავს. ოპიზური რედაქციის შემცველ რამდენიმე ხელნაწერიში (Sin.-16, S-962, ტბეთის, ურბნისის, პალესტინისა და ავსტრიის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცულ N1 ოთხთავში) დასტურდება ფორმა *აღვიდოდეს*, რომელსაც გიორგი მთაწმინდელი ტოვებს თავის რედაქციაში. იმავე მუხლში გვაქვს ზმნისწინის ცვლილების კიდევ ერთი შემთხვევა: *მოსდევდეს Oo*af/ მისდევდეს G |* ამ ადგილას ბერძნულ ხელნაწერებში გვაქვს ἀκολουθοῦντες (ἀκολουθέω), რაც თან გაყოლას ნიშნავს. ამ შემთხვევაში გიორგისეული ცვლილება (*მისდევდეს*), იქითა მიმართულების ზმნისწინის გამოყენება უმჯობესია.

ლკ. 12:17: დავიკრიბო Oo*af/ შევიკრიბო G | შესაბამის ადგილას ბერძნულ ხელნაწერებში გვაქვს συσάξω (συσάγω), რაც ქათულად შეგროვებას, შეკრებას ნიშნავს.

იოვ. 14:27: მოსცის Oo*af/ მისცის G | ყველა ბერძნულ ხელნაწერებში გვაქვს δίδωμι (δίδωμι), რომლის ქართული შესატყვისია მიცემა.

რიცხვის ცვლილებანი:

მრკ. 2:16: სჭამთ Oo*af/ ჭამს G | სუამთ Oo*af/ სუამს G | ამ მუხლში ბერძნულ ხელნაწერებში ძალიან ჭრელი სურათია. ბიზანტიურ ტექსტში (A¹ B¹ C¹ M¹ U¹ P¹ f¹³ 2 33 28 157 [w]τ) ზმნები *სჭამთ* და *სუამთ* მხ. რიცხვშია (ἐσθίει, πίνει). სწორედ ამით აიხსნება ათონურ რედაქციაში მათი გამხოლობითება. (*რადასათვს მეზუერეთა (მეზუზრეთა f) და ცოდვილთა თანა სჭამთ და სუამთ (ჰსუამთ a)?* ^{BYZ} **Mark 2:16** Καὶ οἱ γραμματεῖς καὶ οἱ Φαρισαῖοι, ἰδόντες αὐτὸν ἐσθίοντα μετὰ τῶν τελωνῶν καὶ ἁμαρτανῶν, ἔλεγον τοῖς μαθηταῖς αὐτοῦ, Τί ὄτι μετὰ τῶν τελωνῶν καὶ ἁμαρτανῶν ἐσθίει καὶ πίνει; **მრკ. 2:16: და მწიგნობართა მათ და ფარისეველთა ვითარცა იხილეს იგი, რამეთუ მეზუერეთა და ცოდვილთა თანა ჭამს, ეტყოდეს მოწაფეთა მისთა: რადასათვს მეზუერეთა და ცოდვილთა თანა ჭამს და სუამს? G)** რიცხვის ცვლილება აზრობრივადაც ცვლის სათქმელს. როდესაც ეს ზმნები მხოლობითშია, იგულისხმება მხოლოდ იესუ, რომელიც სადილობს ცოდვილებთან, ხოლო თუ მრავლობითში – იგულისხმებიან იესუ და მისი მოწაფეები, რომლებიც

მასთან ერთად სადილობენ. აზრობრივადაც უფრო სწორი, ალბათ, მხოლოებითის ფორმას, ვინაიდან როდესაც ფარისევლები და მწიგნობარნი ამ კითხვას სვამენ, აქცენტს სწორედ იესოზე აკეთებენ, ასე რატომ იქცევაო.

მრკ. 8:22: *მოვიდეს ოო*af/ მოვიდა G* | ბერძნული ხელნაწერების ნაწილში ეს ზმნა მრავლობით რიცხვშია წარმოდგენილი (ἐρχονται): B¹C L¹³ P⁴⁵ CDWA 28 1071 69 33 579, თუმცა ბიზანტიური ტიპის ტექსტის შემცველ ხელნაწერებში მხოლოდით რიცხვშია (ἐρχεται): N* A¹RKMUTII 1 N 1582 118 157 2 565 700 1424 τ. მუხლის საერთო კონტექსტი ასეთია: **მრკ. 8:22:** და მოვიდა ბეთსაიდად, და მოჰკუარეს მას ბრმა და ევედრებოდეს მას, რაათა შეახოს მას G.

ლკ. 7:12: *მთავლნეს ოო*af/ მთავლას G* | ბერძნულ ხელნაწერებში შესაბამის ადგილას გვაქვს ἡγῆσεν (მხ. რ.).

პირის ცვლილებანი:

ლკ. 1:31: და უწოდიან სახელი მისი იესუ. *ო*af*

*უწოდიან ოო*af/ უწოდი G* | ოპიზური რედაქციის შემცველი ხელნაწერების ნაწილში უწყვეტლის ხოლმეობითის მრ. რიცხვის მესამე პირის ფორმა *უწოდიან* დასტურდება, ნაწილში კი მხ. რიცხვის მეორე პირისა *უწოდი*. რაც შეეხება ბერძნულ ხელნაწერებს, იქ უკლებლივ ყველგან დასტურდება მეორე პირის ფორმა *καλέσεις* (*καλέω*).

ზმნური ფორმის სხვა ეკვივალენტით გადმოტანა:

მთ. 3:15: *ჯერ-არს ოო*af/ შუენის G* | შესაბამის ადგილას ბერძნულ ხელნაწერებში დასტურდება ზმნა *πρέπω*, რომელიც შესაფერის, შესაბამისს ნიშნავს. ოპიზური რედაქციის შემცველ რამდენიმე ხელნაწერიში (Sin.15. Sin. 30-38, ბერთისა და ტბეთის ოთხთავი) თარგმანის ეს ვერსიაც გვაქვს: შეჰგავს. (**მთ. 3:15:** *მიუგო იესუ და ჰრქუა მას: აცადე აწ, რამეთუ ესრეთ შუენის ჩუენდა აღსრულებად ყოველი სიმართლე. მაშინ მიუშუა მას.* ^{BYZ} **Matthew 3:15** Ἀποκριθεὶς δὲ ὁ Ἰησοῦς εἶπεν πρὸς αὐτόν, Ἄφες ἄρτι· οὐτως γὰρ **πρέπων** ἐστὶν ἡμῖν πληρῶσαι πᾶσαν δικαιοσύνην. Τότε ἀφίησιν αὐτόν). გიორგი ათონელი ამჯობინებს *πρέπων* ἐστὶν შუენის ზმნით გადმოსცეს.

მთ. 4:16: *გამოუჩნდა ოო*af/ აღმოუბრწყინდა G* | ოპიზური რედაქციის შემცველ ხელნაწერთა ნაწილში დასტურდება სხვა ფორმაც: *გამოუბრწყინდა*, ხოლო ყველა

ბერძნულ ნუსხაში შესაბამის ადგილას გვაქვს *ἀνατέλλω* (ზმნისწინი *ἀνα=ა/აღ*), რომლის ზუსტი შესატყვისი გიორგისეული ვარიანტია.

მთ. 12:26: *განასხამს ოო*af/ განჰკდის G* | ბერძნულ ხელნაწერებში შესაბამის ადგილას დასტურდება *ἐκβλάω*, რაც ქართულად განდევნას ნიშნავს. გიორგი მთაწმიდელი ამ სიტყვის გადმოსატანად უმჯობესად *განჰკდა-ს* არჩევს.

მთ. 13:17: *გული ეტყოდა ოო*af/ გული უთქუმიდა G* | ბერძნულში შესაბამის ადგილას დასტურდება *ἐπιθυμέω*, რაც ძლიერ სურვილს, ნდომას ნიშნავს. ინგლისურ თარგმანში შესაბამის ადგილას გვაქვს **desired** (Matthew 13:17 "For truly I say to you, that many prophets and righteous men **desired** to see what you see, and did not see it; and to hear what you hear, and did not hear it.

მთ. 16:8: *გაქუს ოო*af/ მოიხუენით G* | ამ ადგილას ბერძნულ ხელნაწერებში ორი სხვადასხვა სიტყვა დასტურდება. ხელნაწერთა ნაწილში (B¹ D¹ Θ¹ f¹³ 124 579 700 788 1346 uw) დასტურდება *ἔχω*, რაც ქართულად ქონას ნიშნავს. ოპიზურ რედაქციასა და შუალედურ ხელნაწერებში სწორედ მისი შესატყვისი *გაქუს* დასტურდება. ბერძნულ ხელნაწერთა მეორე და უმეტეს ნაწილში (W Δ 1071τ rell) გვაქვს *λαμβάνω*, რომელიც აღებას, დაჭერას ნიშნავს.

მთ. 17:5: *ჰფარვიდა ოო*af/ აგრილობდა G* | უნდა აღინიშნოს, რომ ოპიზური რედაქციის შემცველ ზოგიერთ ხელნაწერში (ოპიზის, ჯრუჭის, პარხლის, ბერთის ოთხთავებში) დასტურდება ფორმა *აგრილობდა*. ხოლო ბერძნულ ხელნაწერებში შესაბამის ადგილას გვაქვს *ἐπισκιάζω*, რომელიც *დაჩრდილვას* ნიშნავს.

მთ. 18:31: *იყო ოო*af/ იქმნა G* | ყველა ბერძნულ ხელნაწერში დასტურდება *γίνομαι*, რომელიც ქართულად *გახდომას* ნიშნავს. მსგავსი შემთხვევა გვაქვს კიდევ რამდენიმე მუხლში, კერძოდ, **მთ. 26:5-ში** (*იყოს ოო*af/ იქმნეს G* |). ამ მუხლშიც ბერძნულ ხელნაწერებში შესაბამის ადგილას გვაქვს *γίνομαι*; **მთ. 26:56:** *იყო ოო*af/ იქმნა G* | ამ შემთხვევაშიც ბერძნულ ხელნაწერებში გვაქვს *γίνομαι*. **მრკ. 9:50:** *იყოს ოო*af/ იქმნეს G* | **ლკ. 6:16:** *იყო ოო*af/ იქმნა G* | ამ ორ მუხლშიც ბერძნულ ხელნაწერებში დასტურდება *γίνομαι*. როგორც მოყვანილი მაგალითიდან ჩანს, გიორგი მთაწმინდელი ცდილობს დაიცვას ეკვივალენტების სიმყარე.

მთ. 24:50: *ჰგონებდეს* Oo*af/ *მოელოდის* G | უნდა აღინიშნოს, რომ ოპიზური რედაქციის შემცველ ხელნაწერთა ნაწილში უკვე დასტურდება ფორმა *მოელოდის*. სწორედ ამ ზმნის შესატყვისი *προσδοιᾶς* გვაქვს ყველა ბერძნულ ხელნაწერში.

მთ. 26:26: *აკურთხა* Oo*af/ *ჰმადლობდა* G | ბერძნულ ხელნაწერებში ორი სხვადასხვა შემთხვევა გვაქვს, რომელიც ქართულ თარგმანებშიც არის ასახული. მაგალითად, ხელნაწერთა ნაწილში (B¹C¹GL P³⁷ P⁴⁵D^Θ 33 157 700 1071 usw) დასტურდება *εὐλογῆς* (კურთხევა), ხოლო მეორე ნაწილში, ბიზანტიური ტექსტის ტიპის ხელნაწერებში (A¹Ⲛ¹KU¹Π¹M¹W¹Δ f¹ f¹³ 788 1346 579 124 2 28 565) – *εὐχαριστέας* (მადლობის თქმა).

მთ. 27:4: *უწყი* Oo*af/ *იხილე* G | უკლებლივ ყველა ბერძნულ ხელნაწერში დასტურდება *ἰράς*, რაც ქართულად დანახვას ნიშნავს. ამ მაგალითიდან კარგად ჩანს, როგორ აზუსტებს გიორგი მთაწმინდელი თითოეული სიტყვის ქართულ ეკვივალენტს.

მრკ. 1:17: *მომდევდით* Oo*af/ *მოვედით* G | ოპიზური რედაქციის შემცველი ხელნაწერების ნაწილში დასტურდება *მოვედით*, რომელიც გიორგი მთაწმინდელს გადმოაქვს ათონური რედაქციაში, ვინაიდან ბერძნულ ხელნაწერებში უკლებლივ ყველგან დასტურდება *Δεῦτε* (მოდიოთ!).

მრკ. 1:40: *მოუკდა* Oo*af/ *მოვიდა* G | ყველა ბერძნულ ხელნაწერში ამ ზმნის შესატყვისად გვაქვს *ἔρχομαι*, რაც ქართულად *მოსვლას* ნიშნავს. მსგავსი შემთხვევა გვაქვს **იოვ. 3:19-შიც** (*მოივლინა* Oo*af/ *მოვიდა* G |), რომლის ფარდად ბერძნულში ასევე გვაქვს *ἔρχομαι*. ამ შემთხვევაშიც გიორგი მთაწმინდელი იცავს ეკვივალენტების სიმყარეს.

მრკ. 2:13: *წარმოვიდოდა* Oo*af/ *განვიდა* G | ოპიზური რედაქციის შემცველი ხელნაწერების ნაწილში დასტურდება *განვიდა*, რომელიც გიორგი მთაწმინდელს გადმოაქვს ათონური რედაქციაში, ვინაიდან ბერძნულ ხელნაწერებში უკლებლივ ყველგან დასტურდება *ἔξῃρχομαι*, რაც ქართულად *გასვლას* ნიშნავს. იმავე მუხლში გაქვს ზმნური ფორმის კიდევ ერთი ცვლილება: *მოსდევდა* Oo*af/ *მოვიდოდა* G | როგორც ზედა მაგალითში, ამ ცვლილებასაც ბერძნული ხელნაწერების მიხედვით ახსნა მოეპოვება, რადგან იქ ყველგან დასტურდება *ἔρχομαι*, რას *მოსვლას* ნიშნავს.

მრკ. 12:12: *და ეგულეზოდა შეპყრობაჲ მისი* Oo*af/ *და ეძიებდეს მას შეპყრობად* G | ბერძნულ ხელნაწერებში ეს მუხლი ასე იწყება: *Καὶ ἐζήτησεν αὐτὸν καταΐσαι. ζήτησ* ქართულად ნიშნავს *ძებნას*. ასე რომ, გიორგი მთაწმინდლის მიერ ტექსტში შეტანილი ცვლილება ძალიან ზუსტია.

ლკ. 1:52: *გარდამოსთხინა Oo*af/ დაამკუნა G* | ბერძნულ ხელნაწერებში ამ სიტყვის ფარდად დასტურდება *καβαίρῃ*, რაც ქართულად დანგრევას, დამხოზას ნიშნავს.

ლკ. 15:17: *განიზრახვიდა თავსა თჳსსა Oo*af/ და მოეგო რაჲ თავსა თჳსსა G* | შესაბამის ადგილას ბერძნულში გვაქვს ფრაზა: *Εἰς ἑαυτὸν δὲ ἔλθων*, რაც თანამედროვე ქართულ ენაზე ნიშნავს: *მოეგო რა გონს*.

იოვ. 4:40: *ეტყოდეს Oo*af/ ევედრებოდეს G* | ბერძნულ ხელნაწერებში ამ სიტყვის ფარდად დასტურდება *ἔρωτάω*, რაც ქართულად *თხოვნას, ვედრებას* ნიშნავს.

იოვ. 8:38: *გასმიეს Oo*af/ იხილეთ G* | ბერძნულ ხელნაწერებში ორი სხვადასხვა შემთხვევა გვაქვს, რომელიც ქართულ თარგმანებშიც არის ასახული. მაგალითად, ხელნაწერთა ნაწილში (B P⁷⁵ Ⴀ^C CYKΘ f¹ f¹³ LW 69 33 565 1346 uw) დასტურდება *ἀκισά* (გაგება), ხოლო მეორე ნაწილში (P⁶⁶ Ⴀ* D⁸⁷MA 28 NSUAΨΩ 118 2 157 700 1424 124 579 1071 τ) – *ἰράω* (დანახვა).

იოვ. 16:28: *მოვივლინე Oo*af/ მოვედ G* | ყველა ბერძნულ ხელნაწერში დასტურდება *ἔρχομαι*, რაც მოსლას ნიშნავს.

იოვ. 16:30: *ვიციით Oo*af/ გურჯამს G* | ბერძნულ ხელნაწერებში დასტურდება *πιστεύω*, რწმენის ქონას ნიშნავს.

ტმესი:

არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ზმნურ ფორმებში ზმნისწინსა და ფუძეს შორის ნაწილაკის დამატებით გიორგი ათონელი ქმნის ტმესს და ამით განსხვავდება Oo*af საბოლოო ათონური რედაქციისაგან.

მთ. 16:5: და *მოვიდეს მოწაფენი მისნი მიერ წიაღ და დაავიწყდა ჰური მიღებად. Oo*af მოვიდეს Oo*af/ მო-რაჲ-ვიდეს G* |

ბიზანტიურ ტიპში მუხლი ასე იკითხება: ^{BYZ} **Matthew 16:5** *Καὶ ἔλθόντες οἱ μαθηταὶ αὐτοῦ εἰς τὸ πέραν ἐπελάθοντο ἄρτους λαβεῖν. შესაბამის ადგილას გვაქვს ზმნა *ἔρχομαι* (მოსვლა).*

მთ. 17:8: და ალიხილნეს თუალნი მათნი და არა ვინ იხილეს, გარნა იესუ ხოლო. **Oo*af**
ალიხილნეს Oo*af | აღ-რაფ-იხილნეს G |

ბიზანტიურ ტიპში მუხლი ასე იკითხება: ^{BYZ} **Matthew 17:8** Ἐπάραντες δὲ τοὺς ὀφθαλμοὺς αὐτῶν, οὐδένα εἶδον, εἰ μὴ τὸν Ἰησοῦν μόνον. შესაბამის ადგილას გვაქვს ზმნა **ἐπαίρω**, რაც თვალის გახელას ნიშნავს.

ზემოთ მოტანილი ეს ორი მაგალითი გვაფიქრებინებს, ხომ არ ცდილობს გიორგი ათონელი მიმდებარე კონსტრუქციების გადმოსატანად გამოიყენოს ტმესიანი ფორმები. უფრო მეტი მაგალითი რომ გვქონდეს, თამამად შევძლებდით ამ მოსაზრების დასაბუთებას.

წარმოდგენილი მაგალითებიდან ჩანს, რომ Ath. 62-ის ქვედა ფენის ტექსტი (o*), ალავერდისა (a) და იენაშის (f) ოთხთავები განსხვავდება ათონური რედაქციის ტექსტისაგან. ტექსტოლოგიური ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ მესამედ რედაქტირებისას გიორგი მთაწმინდელმა ტექსტში ბერძნული ნუსხების გათალისწინებით ბევრად მეტი ცვლილება შეიტანა, ვიდრე ორგზის შედარების შემდგომ. კერძოდ, გვაქვს კვანტიტატიური (კლებისა და მატების), ლექსიკური, სიტყვათა თანმიმდევრობის, საკუთარი სახელების, ანთროპონიმებისა და ტოპონიმების, დაწერილობის ცვლილებები. ყველა ცვლილებას, რომლებიც მის მიერ არის ტექსტში შეტანილი, ბერძნული ხელნაწერების გათვალისწინებით თავისი ახსნა მოეპოვება. იკითხვისთა ბერძნულ ნუსხებთან შედარების შედეგად გამოვლინდა, რომ, ერთ შემთხვევაში, გიორგი მთაწმინდელს ტექსტში ცვლილება შეაქვს მაშინ, როდესაც უკლებლივ ყველა ბერძნული ხელნაწერის ჩვენება ამას მოითხოვს. ხოლო, მეორე შემთხვევაში, იგი ითვალისწინებს ბიზანტიური ტექსტის შემცველ ხელნაწერთა ჩვენებებს. კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ ბიზანტიური ტექსტის ტიპი დაცულია შემდეგ ხელნაწერებში: ოჯახი Ⴍ, რომელშიც ერთიანდება: EFGHSYΩ ნუსხები, აგრეთვე, AEFHGKPSV W (მათე და ლუკა 8.13-24.53) Π,Ψ (ლუკა და იოანე) Ω, Δ (მარკოზის სახარების გარდა) და მინუსკულური ხელნაწერების უმეტესობა, რომელთა ლიტერები რიცხვებია. ლექსიკური სხვაობების ანალიზმა აჩვენა, რომ გიორგი მთაწმინდელი, ერთი მხრივ, ასწორებს, აზუსტებს პირველმთარგმნელთა შეცდომებს, ხოლო, მეორე მხრივ, ცვლის ლექსიკურ ერთეულს იმ სინონიმით (ზოგჯერ ბერძნულის კალკით), რომელიც მას უფრო სწორად მიაჩნია. ზმნური ფორმების გადმოტანის შემთხვევაშიც იგი მაქსიმალურად ინარჩუნებს ეკვივალენტების სიმყარეს, იცავს დედნის სიზუსტეს მწკრივის, რიცხვისა და ზმნისწინის დონეზეც კი.

აღსანიშნავია ერთი ძალიან საინტერესო გარემოება, იენაშის ოთხთავში ის ადგილები, რომლებიც სხვაობს გიორგი მთაწმინდლის საბოლოო რედაქციისაგან,

აღნიშნულია ოთხი წერტილით (÷), რაც იმის მანიშნებელია, რომ ვილაცას უფრო ადრე ჩაუტარებია ფილოლოგიური სამუშაო, შეუნიშნავს ათონურ რედაქციასთან მიმართებით არსებული ეს სხვაობები და შესაბამისად აღუნიშნავს.

რომ შევაჯამოთ წინა ორ პარაგრაფში განხილული შუალედურ ხელნაწერთა (o*af) ჩვენებები, მივიღებთ ასეთ სურათს: Ath. 62-ის ქვედა ფენის ტექსტში (o*), ალავერდისა (a) და იენაშის (f) ოთხთავებში, ერთი მხრივ, დასტურდება განსხვავებული იკითხვისები ოპიზური რედაქციის ტექსტისაგან, მეორე მხრივ კი, იგი უპირისპირდება გიორგი ათონელის მიერ ნარედაქტირებ, ბერძნულთან სამგზის შედარებულ ტექსტს. ეს სამი ოთხთავი ქმნის ოპიზური და ათონური რედაქციისაგან განსხვავებულ ტექსტუალურ ჯგუფს. ტექსტოლოგიური თვალსაზრისით ეს ფაქტი უტყუარია.

§5. Ath. 62-ის ქვედა ფენის ტექსტის, ალავერდისა და იენაშის ოთხთავების ორიგინალური იკითხვისები

ცალკე აღნიშვნის ღირსია Ath. 62-ის ქვედა ფენის ტექსტში (o*), ალავერდისა (a) და იენაშის (f) ოთხთავებში არსებული ორიგინალური იკითხვისები, რომლებიც გიორგი ათონელის მუშაობის ერთ მნიშვნელოვან თავისებურებას ავლენს. კერძოდ, შუალედურ ხელნაწერებში შეცვლილ ზოგიერთ იკითხვისს, რამაც განასხვავა იგი ოპიზური, იგივე ჯრუჭ-პარხლის რედაქციისაგან, მესამედ შედარების შედეგად გიორგი ათონელი ისევ აბრუნებს. საინტერესოა, იგი ძველ, ყურსმიჩვეულ ფორმას ამჯობინებს მის მიერვე დაწუნებულ/გასწორებულ ზოგიერთ წაკითხვას თუ ამას სხვა რაიმე მიზეზი აქვს?! ქვემოთ შევეცდებით გავაანალიზოთ ამ ტიპის თითოეული შემთხვევა და შესაბამისი დასკვნაც გამოვიტანოთ.

კლება

შუალედურ ხელნაწერებში მთ. 12:4 ასე იკითხება: „*ვითარ იგი შევიდა სახლსა ღმრთისასა და პურნი იგი შესაწირავთანი შეჭამნა, რომელთად არა ჯერ-იყო ჭამად, გარნა მღდელთა ხოლო*“. ჯრუჭ-პარხლისა და საბოლოო ათონურ რედაქციაში კი სიტყვა ჭამადის შემდეგ წერია: *მისა არცა მისთანათა მათ (ჭამად) + მისა არცა მისთანათა მათ OGo*). წმინდა იოანე ოქროპირის მათეს სახარების განმარტების ექვთიმესეულ თარგმანში კი გვაქვს: *მისთანათა მათ* (ოქროპირი 2014ბ:15). რაც შეეხება ბერძნულ ხელნაწერებს, იქ ეს ფრაზა უკლებლივ ყველა ხელნაწერში დასტურდება და მუხლი ასე იკითხება: ^{BYZ} **Matthew 12:4** πᾶς εἰσῆλθεν εἰς τὸν οἶκον τοῦ θεοῦ, καὶ τοὺς ἄρτους τῆς προθέσεως ἔφαγεν, οἷς οὐκ ἔξιβη ἧν ἀπέψα φαγεῖν, οὐδὲ τοῖς μετ' αὐτοῦ, εἰ μὴ τοῖς ἱερῆσιν μόνις (**B uwr** *rell*), ანუ საბოლოო ათონურ რედაქციაში გვაქვს: „*ვითარ იგი შევიდა სახლსა ღმრთისასა და პურნი იგი შესაწირავთანი შეჭამნა, რომელთად არა ჯერ-იყო ჭამად მისა, არცა მისთანათა მათ, გარნა მღდელთა ხოლო*“, როგორც ბიზანტიური ტიპის ხელნაწერებში, ხოლო შუალედურ ხელნაწერებში (o*af) ეს ფრაზა აკლია.

მთ. 14:19: და უბრძანა ერსა მას დასხდომად თივასა ზედა. და მოიღო ხუთი იგი პური და ორი თევზი, აღიხილნა ზეცად და აკურთხა და მისცა პური იგი მოწაფეთა თვსთა, და მოწაფეთა მათ მისცეს ერსა მას. o*af

აკურთხა] + და განტება OGo | ოპიზური რედაქციის შემცველ ხელნაწერთა ნაწილში და განტება გვაქვს, ნაწილში – კი არა. იგი დასტურდება წმინდა იოანე ოქროპირის მათეს სახარების განმარტების ექვთიმესეულ თარგმანშიც (ოქროპირი 2014ბ:98) და ყველა

ბერძნულ ხელნაწერში: ^{BYZ} **Matthew 14:19** Καὶ κελεύσας τοὺς ὄχλους ἀνακλιθῆναι ἐπὶ τοὺς χόρτους, λαβῶν τοὺς πέντε ἄρτους καὶ τοὺς δύο ἰχθύας, ἀναβλέψας εἰς τὸν οὐρανόν, εὐλόγησεν, καὶ κλάσας ἔδωκεν τοῖς μαθηταῖς τοὺς ἄρτους, οἱ δὲ μαθηταὶ τοῖς ὄχλοις. **B uwt** rell

მრკ. 5:33: ხოლო დედაკაცსა მას შეეშინა და ძრწოდა, რად-იგი იქმნა მის ზედა, მოვიდა და შეუვრდა მას და უთხრა მას ყოველივე ბრალი. **o*af**

ძრწოდა] + **უწყოდა** OGo^c | **უწყოდა** არ დასტურდება ერთადერთ ბერძნულ ხელნაწერში Δ 037 – IX საუკუნის სანგალენსის კოდექსში. ყველა დანარჩენში კი გვაქვს. ^{BYZ} **Mark 5:33** Ἡ δὲ γυνή φοβηθεῖσα καὶ τρέμουσα, εἰδούσα ὅ γέγονεν ἐπ’ αὐτῆς, ἦλθεν καὶ προσέπεσεν αὐτῷ, καὶ εἶπεν αὐτῷ πᾶσαν τὴν ἀλήθειαν. **B uwt** rell

მატება

OGo^c: და ჰრქუა მონათა თვსთა: ესე არს იოვანე ნათლისმცემელი, იგი აღდგომილ არს მკუდრეთით, და მისთვის იქმნებიან ძალნი ესე მის თანა“ [მთ. 14:2].

ნათლისმცემელი] + ὅν ἐγὼ ἀπεκεφάλισα რომელი მე მოვკალ **o*af** | **მკუდრეთით**] > f | **მისთვის**] ამისთვის **af**

ოპიზურ რედაქციაში, აგრეთვე, საბოლოო ათონურ რედაქციაში **რომელი მე მოვკალ** არ დასტურდება. **რომელი მე მოვკალ** (ὅν ἐγὼ ἀπεκεφάλισα) გვაქვს ერთადერთ ბერძნულ ხელნაწერში, ბიზეს კოდექსში (D). და მაინც საიდან გაჩნდა ეს სინტაგმა შუალედური ხელნაწერებში?! ძიების შედეგად მას წმინდა იოანე ოქროპირის მათეს სახარების განმარტების ექვთიმესეულ თარგმანში მივაგენით (ოქროპირი 2014ბ:87), სადაც მუხლი ასე იკითება: და ჰრქუა მონათა თვსთა: ესე არს იოვანე ნათლისმცემელი, რომელი მე მოვკალ. იგი აღდგომილ არს მკუდრეთით, და მისთვის იქმნებიან ძალნი ესე მის თანა“.

OGo^c: ხოლო რომელთამე მათგანთა თქუეს: ბელზებულითა, მთავრითა მით ეშმაკთაჲთა, განასხამს ეშმაკთა. [ლკ. 11:15]

ეშმაკთა] + ὁ δὲ ἀποκριθεὶς εἶπον πῶς δύναται σατανας σατανᾶν ἐκβάλλειν, (და **f**) **მიუგო და ჰრქუა ვითარ შემძლეებელ არს ეშმაკი ეშმაკისა განჯდად** **o*af** |

მუხლის ამგვარი გაგრძელება დასტურდება შემდეგ ბერძნულ ხელნაწერებში: **AD KMP 157 579 1346**, სხვა დანარჩენებში კი მუხლი ასე იკითება: ^{BYZ} **Luke 11:15** Τινὲς δὲ ἐξ αὐτῶν εἶπον, Ἐν Βεελζεβοῦλ ἄρχοντι τῶν δαιμονίων ἐκβάλλει τὰ δαιμόνια.

OGO: *ამენ, ამენ გეტყვ თქუნ: რომელსა ჰრწმენეს ჩემი, აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოდ* [იოვ. 6:47].

საუკუნოდ] + *და მე აღვადგინო იგი უკანასკნელსა მას დღესა* o*af |

საიდან უნდა გვექონდეს მუხლის ამგვარი გაგრძელება შუალედურ ხელნაწერებში?! მით უმეტეს, რომ იგი არცერთ ბერძნულ ხელნაწერში არ დასტურდება (BYZ John 6:47 Ἀμὴν ἄμην λέγει ἡμῖν, ὁ πιστεύων εἰς ἐμέ, ἔχει ζωὴν αἰώνιον). იოანეს სახარების მეექვსე თავის ყურადღებით გადასინჯვის შედეგად გამოვლინდა, რომ ამ ფრაზით (*და მე აღვადგინო იგი უკანასკნელსა მას დღესა*) რამდენიმე მუხლი მთავრდება, კერძოდ:

იოვ. 6:40: *რამეთუ ესე არს ნებაჲ მომავლინებელისა ჩემისაჲ, რაჲთა ყოველი რომელი ხედვიდეს ძესა და ჰრწმენეს მისი, აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოდ, და მე აღვადგინო იგი უკანასკნელსა მას დღესა (G);* იოვ. 6:44: *ვერვის კელ-ეწიფების მოსლვად ჩემდა, უკუეთუ არა მამამან, მომავლინებელმან ჩემმან, მოიყვანოს იგი ჩემდა, და მე აღვადგინო იგი უკანასკნელსა მას დღესა (G);* იოვ. 6:54: *ხოლო რომელი ჰამდეს ჯორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოდ, და მე აღვადგინო იგი უკანასკნელსა მას დღესა (G).* და ა. შ. ჩვენი ვარაუდით, იოვ. 6:47-ში შუალედურ ხელნაწერებში დადასტურებული მუხლის ამგვარი გაგრძელება მსგავსი დაბოლოების მქონე რამდენიმე მუხლის არსებობით არის განპირობებული. საბოლოო რედაქტირებისას გიორგი მთაწმინდელმა დაშვებული უზუსტობა გაასწორა.

OGO: *და იყვნეთ თქუნ მოძულეებულ ყოველთაგან სახელისა ჩემისათჳს, ხოლო რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხოვნდეს* [მთ. 10:22].

ყოველთაგან] + *წარმართთა* o*af |

ჯრუჴ-პარხლის რედაქციის შემცველ მხოლოდ ორ ხელნაწერში, A-411-სა და მესტიის ოთხთავში დასტურდება *წარმართთა*. არ გვაქვს არც ადიშურ რედაქციაში, არც ბერძნულ ხელნაწერებში და არც წმინდა იოანე ოქროპირის მათეს სახარების განმარტების ექვთიმესეულ თარგმანში.

OGO: *ვითარცა-იგი რაჟამს წარვალნ კაცი გზასა (გზასა] > Gσ) და მოუწესნ (მოუწესის Gσ) მონათა თჳსთა და მისცა (მისცის Gσ) მათ მონაგები თჳსი.* [მთ. 25:14].

კაცი] + *მეუფჳ* o*af |

ოპიზური რედაქციის შემცველ სხვა ხელნაწერებში *მეუფჳ* არ ჩანს. საინტერესოა, რომ იგი დასტურდება წმინდა იოანე ოქროპირის მათეს სახარების განმარტების ექვთიმესეულ თარგმანში (ოქროპირი 2014ბ:397). რაც შეეხება ბერძნულ ხელნაწერებს, იქ არც *მეუფჳ* დასტურდება და არც *გზასა* და მუხლი ასე იკითება: ^{BYZ} Matthew 25:14 "Ὀσπερ

γὰρ ἄνθρωπος ἀποδημῶν ἐκάλεσεν τοὺς ἰδίους δούλους, καὶ παρέδωκεν αὐτοῖς τὰ ὑπάρχοντα αὐτοῦ· **B**
uwt rell

OGo: და ჰრისხვიდეს მას მრავალნი, რადთა დადუმნეს; ხოლო იგი უფროდს ღალადებდა:
ძეო დავითისო, შემოწყალე მე! [მრკ. 10:48].

უფროდსა o* | ღალადებდა] + და იტყოდა (+ იესუ f) o*af |

ოპიზური რედაქციის შემცველ ხელნაწერთა ნაწილში დაცულია **და იტყოდა**, ნაწილში – არა). ხოლო არ ჩანს არც ერთ ბერძნულ ხელნაწერში. ბიზანტიურ ტექსტში მუხლი ასე იკითება: ^{BYZ} **Mark 10:48** Καὶ ἐπετίμων αὐτῷ πολλοί, ἵνα σιωπήσῃ· ὁ δὲ πολλῶ μᾶλλον **ἔκραζεν**, Ὡς Δαυίδ, ἐλέησόν με.

ლექსიკა

მთ. 2:2: ახლადშობილი იგი o*af] რომელი-იგი იშვა OGo |

შუალედური ხელნაწერების მსგავსად ოპიზური რედაქციის შემცველ რამდენიმე ნუსხაში დასტურდება **ახლადშობილი იგი**, კერძოდ, ჯრუჭის, ურზნისისა და პალესტინის ოთხთავებში. წმინდა იოანე ოქროპირის მათეს სახარების განმარტების ექვთიმესეულ თარგმანშიც წერია **რომელი-იგი იშვა**. ბერძნულ ხელნაწერებში შესაბამის ადგილას დასტურდება ნამყო დროის მიმღეობა ὁ τεχθεῖς (τίκτω) და შობილს ნიშნავს. ამ სიტყვას არა აქვს ახლად შობის შინაარსი. ალბათ, ამიტომ არჩია გიორგიმ „ახლადშობილი იგი“-ის „რომელი-იგი იშვა“. ^{BYZ} **Matthew 2:2** λέγοντες, Ποῦ ἐστὶν ὁ **τεχθεῖς** βασιλεὺς τῶν Ἰουδαίων; Εἶδομεν γὰρ αὐτοῦ τὸν ἀστέρα ἐν τῇ ἀνατολῇ, καὶ ἠλθομεν προσκυνῆσαι αὐτῷ. **მთ. 2:2:** სადა არს რომელი-იგი იშვა მეუფე ჰურიათაჲ? რამეთუ ვიხილეთ ვარსკულავი მისი აღმოსავალით და მოვედით თაყუანის-ცემად მისა (**G**).

მთ. 21:31: ცათასა oaf] ღმრთისასა OG |

ოპიზური რედაქციის შემცველ არცერთ ხელნაწერში არ ჩანს **ცათასა**, დასტურდება მხოლოდ წმინდა იოანე ოქროპირის მათეს სახარების განმარტების ექვთიმესეულ თარგმანში (ოქროპირი 2014b:287). რაც შეეხება ბერძნულ ხელნაწერებს, მხოლოდ ^f13-ში გვაქვს τῶν οὐρανῶν, დანარჩენებში დასტურდება τοῦ θεοῦ. **მთ. 21:31:** *ვინ ორთა ამათგანმან ყო ნებაჲ მამისა თვისისაჲ? ჰრქუეს მას: პირველმან მან. ჰრქუა მათ იესუ: ამენ გეტყვ თქვენ, რამეთუ მეზუერენი და მეძავნი წინაგიძლოდიან თქვენ სასუფევეელსა ღმრთისასა (**G**).*

მთ. 27:9: პატიოსნისაჲ ო*af/ განსყიდულისაჲ OGo^o |

ოპიზური რედაქციის შემცველ არცერთ ხელნაწერში **პატიოსნისაჲ** არ ჩანს. იგი დასტურდება მხოლოდ წმინდა იოანე ოქროპირის მათეს სახარების განმარტების ექვთიმესეულ თარგმანში (ოქროპირი 2014ბ:464). რაც შეეხება ბერძნულ ხელნაწერებს, იქ ყველგან წერია ნამყო დროის მიმღეობა τὸν τετιμῆμένον (τιμᾶω). **მთ. 27:9: მაშინ აღესრულა თქუმული იგი იერემია წინაწარმეტყუელისაჲ, რომელსა იტყვის: და მოვიღე ოცდაათი იგი ვეცხლი, სასყიდელი განსყიდულისაჲ მის, რომელი მოიყიდეს ძეთაგან ისრაჴლისათა (G).**

ლკ. 1:2: მსმენელ ო*af/ მსახურ OGo^o |

ოპიზური რედაქციის შემცველ ხელნაწერთაგან **მსმენელ** დასტურდება მხოლოდ ურბნისისა და პალესტინურ ოთხთავებში. რაც შეეხება ბერძნულს, იქ გვაქვს ἰσχυρέται (ἰσχυρέτης, οὐ, ὶ), რაც მსახურს ნიშნავს.

ლკ. 1:50: თესლითი თესლადმდე ო*af/ ნათესავითი ნათესავადმდე OGo^o |

ოპიზური რედაქციის შემცველ არცერთ ხელნაწერში არ გვაქვს **თესლითი თესლადმდე**. დასტურდება მხოლოდ ადიშურ რედაქციაში. რაც შეეხება ბერძნულს, იქ გვაქვს γενεά, ἄς, ἡ, რომელსაც ქართულად *მოდგმა, შთამომავლობა, წარმომავლობა* შეესაბამება (მელიქიშვილი 2011:217). დამანა მელიქიშვილის მიხედვით, **ნათესავითმა** შეიძლება სამი მნიშვნელობა გადმოსცეს: 1) მოდგმა, 2) ერთი წარმოშობის ხალხი, დღევანდელი გაგებით ერი და 3) რაიმე კლასი, გვარი, ფენა. მისი დაკვირვებით, თესლი უფრო ხშირად მაშინ დასტურდება ქართულ თარგმანში, როდესაც შესაბამის ადგილას ბერძნულში გვაქვს φυλή, ἡς, ἡ ან ἔθνος, οὐς, τῶ. ამიტომ მოცემულ შემთხვევაში გიორგი მთაწმინდელი სწორად იქცევა, როდესაც γενεά, ἄς, ἡ **ნათესავით** გადმოაქვს და არ **თესლით**.

ლკ. 21:22: ბოროტნი ო*af/ შურის-გებისა O, შურის-გებისანი Go^o |

ოპიზური რედაქციის შემცველ არცერთ ხელნაწერში არ გვაქვს **ბოროტნი**. ბერძნულ ნუსხებში კი ყველგან გვაქვს ἐκδιχθεσας (ἐκδιχθεις, εσας, ἡ), რომელიც ქართულად შურისძიებას ნიშნავს. **ლკ. 21:22: რამეთუ დღენი შურის-გებისანი ესე არიან, რადთა აღესრულნენ ყოველნი წერილნი (G).**

მრკ. 11:30: ნათლის-ღებაჲ ო*af/ ნათლის-ცემაჲ OGo^o |

შუალედური ხელნაწერების (ო*af) მსგავსად ფორმა **ნათლის-ღებაჲ** არცერთ სხვა ხელნაწერში არ ჩანს. ხოლო ბერძნულ ხელნაწერებში გვაქვს არსებითი სახელი ნომინატივში: Τὸ βάπτισμα. **ნათლის-ღებაჲ/ცემაჲ** კორნელი დანელიას აზრით,

ორიგინალური ტერმინებია, რომელთა საფუძველი არის *ნათელი*. მათ პარალელი სხვა ენებში არ ეძებნება (დანელია 1998:183) ამიტომაც ბერძნული **βήπισμα, ατος, τς** ამ შემთხვევაში სახარების ქართულ ტექსტში ცვლილების ასახსნელ გასაღებს ვერ გვაძლევს.

ანთროპონიმები

ლკ. 3:27: *ზორაბაბელისა* oaf] *ზორაბაბელისა* OGo° |

ერთადერთი შემთხვევა, რომელიც შუალედურ ხელნაწერებს თანხვდება, დასტურდება ოპიზის ოთხთავში. რაც შეეხება ბერძნულ ნუსხებს, ყველა ნუსხაში გვაქვს **Ζοριβαβελ**. ერთადერთ ნუსხარში, ვენეციის ოთხთავში (U 030) წერია: **Ζαριβαβελ**.

ზმნა

მთ. 12:26: *მტკიცე არს* o°af] *დამტკიცნეს* OGo° |

ერთადერთი შემთხვევა, რომელიც შუალედურ ხელნაწერებს თანხვდება, დასტურდება წმინდა იოანე ოქროპირის მათეს სახარების განმარტების ექვთიმესეულ თარგმანში, სადაც ასევე გვაქვს *მტკიცე არს* (ოქროპირი 2014ბ:27). ბერძნულ ხელნაწერებში შესაბამის ადგილას გვაქვს მომავალი დროის ფორმა **σταιθήσεται** (III პ., მხ. რ.).

მთ. 24:28: *დაეცის* o°af] *იყო* OGo° |

ამ მუხლშიც ერთადერთი შემთხვევა, რომელიც შუალედურ ხელნაწერებს თანხვდება, დასტურდება წმინდა იოანე ოქროპირის მათეს სახარების განმარტების ექვთიმესეულ თარგმანში, სადაც გვაქვს ფორმა **დაეცეს** (ოქროპირი 2014ბ:369). ბერძნულ ხელნაწერებში კი ყველგან გაქვს აწმყო დროის გამომხატველი **ἦ (εἶμι)**.^{BYZ} **Matthew 24:28** Ὁπου γὰρ ἐὰν ἦ τὸ πᾶμα, ἐκεῖ συναχθήσονται οἱ ἄετοι.

მრკ. 3:21: *გამოვიდოდეს* o°af] *გამოვიდეს* OGo° |

შუალედური ხელნაწერების მსგავსად უწყვეტლის მწკრივის მრ. რიცხვის *გამოვიდოდეს* ოპიზური რედაქციის შემცველ ხელნაწერებს შორის დასტურდება A-411-ში, რომელიც ათონურ რედაქციაში შეცვლილია წყვეტილის მწკრივის მრ. რიცხვის ფორმით *გამოვიდეს*. რაც შეეხება ბერძნულ ხელნაწერებს, იქ შესაბამის ადგილას გვაქვს **ἐξῆλθον** (II აორისტი, III პირი, მრ. რ.).

მრკ. 13:20: *შეამოკლნეს* o°af] *შეამოკლნა* OGo° |

შუალედური ხელნაწერების (o*af) მსგავსად წყვეტილის მწკრივის მრ. რიცხვის ფორმა *შეამოკლნეს* ოპიზური რედაქციის შემცველ ხელნაწერებს შორის დასტურდება A-411-ში. ხოლო ოპიზურ და ათონურ რედაქციაში წარმოდგენილია მხოლოდითი რიცხვის ფორმით. ყველა ბერძნულ ხელნაწერში ეს ზმნა მხოლოდით რიცხვში დასტურდება *ἐκισίβασεν* (*ἐκισίβω*). მრკ. 13:20: *და არა თუმცა ღმერთთან შეამოკლნა დღენი იგი, არამცა ცხოვნდა ყოველი ჯორციელი; არამედ რჩეულთა მათთვის, რომელნი გამოირჩინა, შეამოკლნა დღენი იგი (G).*

ლკ. 17:11: *განვიდა o*af/ განვიდოდა OGo^c |*

შუალედური ხელნაწერების მსგავსად წყვეტილის ფორმა არცერთ სხვა ხელნაწერში არ ჩანს. ბერძულში კი გავქვს *διήρχετο* (*διέρχομαι*), იმპერფექტი, III პირი, მხ. რ.

ლკ. 17:13: *შემეწიენ o*af/ შემიწყალენ OGo^c |*

შუალედური ხელნაწერების დარად *შემეწიენ* ფორმა ოპიზური რედაქციის შემცველ არცერთ სხვა ხელნაწერში არ დასტურდება. რაც შეეხება ბერძნულ ნუსხებს, ყველგან გაქვს I აორისტის ბრძანებითი კილოს ფორმა: *ἐλέησον* (*ἐλεέω*), რომლის ზუსტი ქართული შესატყვისია *შემიწყალენ*.

იოვ. 6:44: *მოავლინოს o*af/ მოიყვანოს OGo^c |*

შუალედური ხელნაწერების მსგავსად *მოავლინოს* არცერთ სხვა ხელნაწერში არ ჩანს. არც წმინდა იოანე ოქროპირის იოანეს სახარების განმარტების ექვთიმესეულ თარგმანში დასტურდება. რაც შეეხება ბერძნულ ნუსხებს, იქ შესაბამის ადგილას გვაქვს *ὁ πέμψας* (*πέμψω*), რომელიც გაგზავნას ნიშნავს.

იოვ. 7:7: *ვამხილებ o*af/ ვწამებ OGo^c |*

შუალედური ხელნაწერების მსგავსად *ვამხილებ* არცერთ სხვა ხელნაწერში არ ჩანს. დასტურდება მხოლოდ წმინდა იოანე ოქროპირის იოანეს სახარების განმარტების ექვთიმესეულ თარგმანში (ოქროპირი 1993ა:336). რაც შეეხება ბერძნულ ნუსხებს, იქ ყველგან გვაქვს *μαρτυρᾶ* (*μαρτυρέω*), რაც დამოწმებას ნიშნავს.

იოვ. 15:2: *მოჰკუთოს o*af/ აღილოს OGo^c |*

შუალედური ხელნაწერების დარად *მოჰკუთოს* არცერთ სხვა ხელნაწერში არ ჩანს. დასტურდება მხოლოდ წმინდა იოანე ოქროპირის იოანეს სახარების განმარტების ექვთიმესეულ თარგმანში (ოქროპირი, 1993ბ:235). რაც შეეხება ბერძნულ ნუსხებს, იქ ყველგან გვაქვს *αἴρει* (*αἴρω*), რაც ქართულად აღებას ნიშნავს.

ტრანსპოზიცია

მრკ. 1:25: *პირი დაიყავ* o*af] *tr. დაიყავ პირი* OGo° |

ამგვარი ტრანსპოზიციის შემთხვევა, რომელიც შუალედურ ხელნაწერებს თანხვდება, გვაქვს ოპიზური რედაქციის შემცველ მხოლოდ ორ, A-18 და A-411, ხელნაწერში. ტბეთის ოთხთავში ამგვარი ფორმაა წარმოდგენილი: *პირი დაიყავნ*. ხოლო ბერძნულ ხელნაწერებში გვაქვს II აორისტის ბრძანებითი კილოს ფორმა, Φιμᾶσθι (φίμῶ), რომელიც გაჩუმებას ნიშნავს. *დაიყავ პირი* ფრაზეოლოგიზმია, რომელიც ნიშნავს *გაჩუმდი!*

სხვა ტიპის შემთხვევები:

OGo°: *ვითარ-იგი იწრო არს ბქწ და საჭირველ გზად, რომელი მიიყვანებს ცხორებასა, და მცირედნი არიან, რომელნი ჰპოებენ მას.* [მთ. 7:14]

იწროა f | ბქე of | რომელნი ჰპოებენ მას / მავალნი მას შინა o*af |

ოპიზური რედაქციის შემცველ ხელნაწერთაგან ერთადერთში, მხოლოდ A-411-ში დასტურდება *მავალნი მას შინა*. ძალიან საინტერესოა, რომ წმინდა იოანე ოქროპირის მათეს სახარების განმარტების ექვთიმესეულ თარგმანშიც წერია *მავალნი მას შინა* (ოქროპირი 2014ბ:372). რაც შეეხება ბერძნულ ხელნაწერებს, იქ მუხლის დასასრული ასე იკითხება: και ἄλιγοι εἰσιν οἱ ἐπίσχοιτες ἀπτή, რომლის სიტყვასიტყვითი თარგმანია: *რომელნი ჰპოებენ მას*.

მთ. 25:34: *დასაბამითგან სოფლისადთ* OGo° / *პირველ სოფლის დაბადებისა* o*af |

ამ მუხლშიც ერთადერთი შემთხვევა, რომელიც შუალედურ ხელნაწერებს თანხვდება დასტურდება წმინდა იოანე ოქროპირის მათეს სახარების განმარტების ექვთიმესეულ თარგმანში, აქაც წერია *პირველ სოფლის დაბადებისა* (ოქროპირი 2014ბ:403). რაც შეეხება ბერძნულ ხელნაწერებს, ყველგან გვაქვს ἀπὸ καταβολῆς κόσμου, რომლის ზუსტი თარგმანია *დასაბამითგან სოფლისადთ*.

Ath. 62-ის ქვედა ფენის ტექსტის (o*), ალავერდისა (a) და იენაშის (f) ოთხთავების ორიგინალური იკითხვისების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა სხვადასხვა ვითარება: ზოგ შემთხვევაში მათ ორიგინალურ წაკითხვებს ანალოგი მხოლოდ ბერძნულ ნუსხებში მოეპოვება, ან პირიქით, ანალოგი არცერთ ბერძნულ ნუსხაში არ ჩანს; ზოგჯერ მსგავსი იკითხვისი დასტურდება ოპიზური რედაქციის შემცველ რამდენიმე ნუსხაში, ზოგჯერ კი მხოლოდ წმინდა იოანე ოქროპირის მათესა და იოანეს სახარებების განმარტების

ექვთიმესეულ თარგმანში. ეს უკნასკნელი კი ძალიან საინტერესო პრეცედენტია. როგორ მოხდა, რომ შუალედურ ხელნაწერებსა (o*af) და წმინდა იოანე ოქროპირის მათესა და იოანეს სახარებების განმარტების ექვთიმესეულ თარგმანში მსგავსი ორიგინალური იკითხვისები დასტურდება, რომლის ანალოგი ჩვენს ხელთ არსებულ ბერძნული ტექსტების გამოცემებში არ ჩანს და არც ქართულ რედაქციებში? ამგვარი შემთხვევები, მართალია, მცირე რაოდენობით არის, მაგრამ, ჩვენი აზრით, ძალიან საყურადღებო და მნიშვნელოვან ინფორმაციას წარმოადგენს.

ორიოდე სიტყვით შევხებით ზემოთ არაერთგზის აღნიშნულ ექვთიმესეული რედაქციის არსებობის საკითხს. ზურაბ სარჯველაძის მოსაზრებით, ივ. იმნაიშვილის მიერ ექვთიმეს რედაქციის ვარიანტულ წაკითხვებად მიჩნეული იკითხვისები დასტურდება X საუკუნის ხელნაწერებში, რომელნიც ექვთიმეს მოღვაწეობამდე გადაწერილი (სარჯველაძე ზ., 2001:110). არაერთგზის აღვნიშნეთ ალავერდის ოთხთავში არსებული ერთი საინტერესო მინაწერიც: *„ესე უწყოდეთ, წმიდანო მამანო, რომელნიცა მიემთხვევნეთ წმიდასა ამას სახარებასა, ფრიად მართალი და წმიდაა არს, მამისა ეფთჳმეს სახარებათადა შეწამებული, ბერძულსა ორჯელ და ქართულსა, ყოვლითურთ უნაკლოლოდ“* (A-484, 10r) (ქართ. ხელნ. აღწერილობა, A ფონდი, 1986:212). როგორც ანდერძიდან ჩანს, ალავერდის ოთხთავში დაცული ტექსტი (და, შესაბამისად, Ath. 62-ის ქვედა ფენისა და იენაშის ოთხთავის ტექსტიც) ექვთიმე ათონელისეულ სახარებად მიჩნეულ ტექსტთან არის შეწამებული. ტექსტოლოგიურმა ანალიზმა დაადასტურა, რომ ალავერდის ოთხთავი მათესა და იოანეს სახარებების ნაწილში ითვალისწინებს ექვთიმესეული ტექსტის იკითხვისებს, რომლებიც მის მიერვე თარგმნილ ეგზეგეტიკურ თხზულებებში: წმინდა იოანე ოქროპირის მათეს სახარების განმარტებასა და წმინდა იოანე ოქროპირის იოანეს სახარების განმარტებაში არის დაცული. ჩვენი აზრით, მხოლოდ ამ თარგმანებებში წარმოდგენილი ტექსტი უნდა მივიჩნიოთ ექვთიმესეულად.

კიდევ ერთ საინტერესო გარემოებას გავუსვამთ ხაზს: რობერტ ბლეიკი Ath.62-ის აღწერილობაში ვარაუდობს, რომ ხელნაწერში დაცულია ტექსტი, რომელიც გიორგი მთაწმინდელმა გაასწორა ბერძნულის მიხედვით, რათა შეექმნა სახარების თავისი ვერსია. მისი აზრით, შესაძლოა, ეს ყოფილიყო სახარების ექვთიმეს მიერ რედაქტირებული ტექსტი (Blake 1932:146). არ ვიცით, რითი ხელმძღვანელობდა რობერტ ბლეიკი, როცა ამ საინტერესო ვარაუდს გამოთქვამდა, ფაქტი კი ერთია: მასში ნამდვილად არის ჭეშმარიტება.

აქვე გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ეფრემ მცირის ერთ საინტერესო ცნობაზე, რომელიც „სამოციქულოს თარგმანების“ წინასიტყვაობაში აქვს აღნიშნული (Jer.16, 2r-3v): *„აწ უკუე, სადაცა კიდესა სტიქონისასა ანუ სიტყუასა ზედა იოტად ჰპოო და სიტყუასა თანა „უსაკუთრესი“; ცან, ვითარმედ მცირედ ცვალებად ჰნებებია მას სიტყუასა,*

რომელ-იგი წმიდასა მამასა ჩუენსა გიორგის არა ეგოდენ სხვსა რაღსმე მიზეზისაგან, რაოდენ ძუჭლისავე პავლისა წაყოლისაგან დაუტეოებია; რამეთუ პირველნი დავითნიცა, რომელ ახლად ეთარგმნეს, მრავალი სიტყუად ძუჭლისა ჩუჭულებისადა მიეყვანა, ვიდრემდის უკანადასკნელ დიდისა მის მოლუაწისა გიორგი დაყუდებულისა იძულებით ბრძანებითა კუალად უსრულესად და უწმიდესად ეთარგმნნეს. ამის მიზეზითა, ვკგონებ, სამოციქულოდასცა ამის წიგნისასა, ვითარმედ რომელი მრავალსა პირსა აღიარებდა, იგი ძუელისავე თარგმნილისადა მიუყვანებია“ (თვალთავძე 2009ა:206). ფსალმუნისა და სამოციქულოს ტექსტზე მუშაობის გიორგი მთაწმინდლის სტილი შესაძლებელია ოთხთავზეც განვაზოგადოთ. როგორც კოლოფონის ნაწყვეტიდან ჩანს, მისთვის არ იყო უცხო ძველი თარგმანების „წაყოლა“, ყურს ჩვეული ფორმების დატოვება. ამიტომაც ჩათვალა მან საჭიროდ, მესამედაც მიბრუნებოდა ოთხთავის ტექსტს და ის საბოლოოდ გაეწმინდა ისეთი იკითხვისებისაგან, რომელთაც ანალოგი ბერძნულ ხელნაწერებში არ მოეპოვებოდა, მათ შორის იმ იკითხვისებისაგან, რომლებიც წმინდა იოანე ოქროპირის მათესა და იოანეს სახარებების განმარტების ექვთიმესეული თარგამანის გათვალისწინებით პირველ ეტაპის რედაქტირებისას უკვე ჰქონდა შეტანილი ტექსტში.

ამ მოცემულობის გათვალისწინებით, საინტერესოა, რა მიმართება აქვს მათესა და იოანეს სახარების განმარტებებში დაცულ სახარების ტექსტს სხვა ქართულ რედაქციებთან, გარდა ამისა, რა მეთოდოლოგიით ხელმძღვანელობს ექვთიმე, როდესაც განმარტებებში დაცული სახარებების ტექსტები ქართულად გადმოაქვს, ხელახლა თარგმნიდა მას, თუ უკვე არსებულ ტექსტს ასწორებს იოანე ოქროპირის თხზულების მიხედვით. ამ კითხვებზე პასუხი ჯერ კიდევ გასაცემია. ექვთიმეს სახარების ტექსტზე მუშაობის მეთოდოლოგიის დასადგენად საჭიროა იოანე ოქროპირის განმარტებების სანდო ბერძნული გამოცემისა ან უშუალოდ ხელნაწერის მოძიება და ტექსტოლოგიური კვლევის ჩატარება. ეს მომავლაში აუცილებლად გასაკეთებელი საქმეა, რომელიც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ოთხთავის ქართულად თარგმნის ისტორიის საკითხების მოწესრიგებაში.

რომ დავუბრუნდეთ ჩვენ მიერ ჩატარებულ ტექსტოლოგიურ კვლევას, გამოიკვეთა, რომ Ath. 62-ის ქვედა ფენის, ალავერდისა და იენაშის ოთხთავების ტექსტი ერთი საერთო წყაროდან უნდა მომდინარეობდნენ. მათ ერთმანეთისგან განასხვავებს მხოლოდ გადამწერთათვის დამახასიათებელი თავისებურებანი, დაშვებული შეცდომები, ორთოგრაფიული განსხვავებანი. ნიმუშად მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითს: მათეს სახარების მე-7 თავის 3-4 მუხლებში სიტყვა *წუელი* იენაშის ოთხთავში წერია როგორც *წუჭლი*, დვრე – Ath. 62-ის ქვედა ფენის ტექსტსა და იენაშის სახარებაში – *დირე*, ხოლო ალავერდის სახარებაში – *დირჭ*. იენაშის ოთხთავის

გადამწერის ერთი მკვეთრად გამოხატული თავისებურებაა ზ გრაფემის ხშირი გამოყენება, კერძოდ, ნუსხაში პარალელურად და უსისტემოდ დასტურდება ფორმები: *ძე/ძს, დლე/დლს, ქრისტე/ქრისტს, ღამე/ღამს, მეფე/მეფს, უკუე/უკუს, უკუეთუ/უკუთუ, ნუუკუე/ნუუკუეს*. უ-ს მომდევნო პოზიციაში ე ხმოვნის გამოსახატავად გადამწერი ყველგან *უზ დაწერილობას იყენებს: თქუზნ, მსხუზრპლი, საზუზრე, ძუზლი, მტუზრი, გამოხუზდით, განგისუზნო, მოართუზს, იგუზმებოდა, ქუზწარმპრომელნი, მარჯუზნით, განრლუზული და სხვ.* სწორედ ამგვარი ორთოგრაფიული ვარიანტები განასხვავებს ამ ტექსტს ალავერდის ოთხთავისა და Ath. 62-ის ქვედა ფენის ტექსტისაგან.

განვსაზღვრეთ რა Ath. 62-ის ორივე ფენაში არსებული ტექსტის რედაქციული კუთვნილება (ქვედა ფენა წარმოადგენს გიორგი მთაწმინდლის რედაქტორული მუშაობის ამსახველ შუალედურ ეტაპს, ხოლო ზედა – საბოლოოდ რედაქტირებულ ტექსტს), შეგვიძლია დავაზუსტოთ ალ. ცაგარლის მიერ აღწერილობაში გამოთქმული ერთი მოსაზრება. მკვლევარი ფიქრობს, რომ ეს ნუსხა, სავარაუდოდ, გადაწერილი უნდა იყოს თვით გიორგი მთაწმინდლის მიერ. რომელი ფენის გადამწერად გულისხმობს ალ. ცაგარელი გიორგი ათონელს, ქვედა ფენისა თუ ზედა ფენის, ან რა უდევს მის ვარაუდს საფუძვლად, სამწუხაროდ, აღწერილობაში დამატებით არაფერია ნათქვამი. ლოგიკური იქნებოდა, გვეფიქრა, რომ სწორედ ზედა ფენის ტექსტია თვით გიორგის მიერ Ath. 62-ის ქვედა ფენის ტექსტის ჩასწორების შედეგად მიღებული. ლოგიკურია ისიც, რომ ამ ხელნაწერის თარიღი ათონზე გიორგი მთაწმინდლის მოღვაწეობას თანხვედბა. ჩვენ საგანგებოდ შევისწავლეთ ათონელი წმინდა მამის ავტოგრაფული ხელნაწერები (Ath. 45, Ath. 73, Ath. 65, Ath. 70). ერთი შეხედვით, მისი არასისტემური, სწორი (არა მარჯვნივ გადახრილი) ასოები ძალიან ჰგავს Ath. 62-ის ზედა ფენის ტექსტის გადამწერის ხელს. ზოგიერთი ასოს მოხაზულობაც თითქოს იდენტურია. თუმცა Ath. 62-ის რედაქტორის მიერ ტექსტში შეტანილი შესწორებები, ჩვენი აზრით, არ არის საკმარისი პალეოგრაფიული ანალიზის სრულყოფილად ჩასატარებლად და ცალსახა დასკვნის გასაკეთებლად. გარდა ამისა, Ath. 62 არ უნდა წარმოადგენდეს ათონელი მამის, ასე ვთქვათ, სამუშაო ვერსიას. ვინაიდან რედაქტორმა ზუსტად იცის, რა უნდა გაასწოროს, რომელი ადგილი რითი უნდა ჩაანაცვლოს. იგი ამ სამუშაოს ძალიან ფრთხილად და ზუსტად ასრულებს, ტექსტში ზედმეტი ჩარევის გარეშე. აქედან გამომდინარე, გადაჭრით ძნელია იმის მტკიცება, რომ Ath. 62 უშუალოდ გიორგი მთაწმინდლის ხელით არის შესწორებული.

ახლა კი შევეხებით საკითხს, რომლის გარკვევაც ჩვენს ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენდა. რომელი ბერძნული ხელნაწერებით ან ტექსტუალური ტიპით სარგებლობს გიორგი მთაწმინდელი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არ აღმოჩნდა მარტივი

და ცალსახა. ეს თავიდანვე ასეც იყო მოსალოდნელი. გავერკვიეთ რა თავად ბერძნული ტექსტუალური ტიპების მრავალფეროვნებაში, ცხადი შეიქნა, რომ რიგ შემთხვევებში ქართულ რედაქციებში განსხვავებული იკითხვისების არსებობა სწორედ ბერძნული ნუსხების სიჭრელით იყო განპირობებული.

შუალედურ ხელნაწერებსა (*Ath.62-ის ქვედა ფენის ტექსტი, ალავერდის ოთხთავი, იენაშის ოთხთავი*) და ოპიზურ რედაქციას შორის, აგრეთვე, შუალედურ ხელნაწერებსა და ათონურ რედაქციას შორის არსებული განსხვავებული იკითხვისების შედარებამ ბერძნულ ხელნაწერებთან კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, თუ რამდენად სკულპულოზურად უდგება გიორგი მთაწმინდელი რედაქტორულ საქმიანობას. იგი ზედმიწევნით ადარებს თითოეულ მუხლს ბერძნულ ხელნაწერებს და ცდილობს, მაქსიმალურად გაწმინდოს იგი ისეთი იკითხვისებისაგან, რომლებიც ბერძნულ დედანში არ არსებობს, ან პირიქით, ქართულ თარგმანში ასახოს ყველა ის სიტყვა, ფრაზა, ზოგჯერ მთელი წინადადებაც კი, რომელიც დასტურდება ყველა მნიშვნელოვან ბერძნულ ნუსხაში. ჩვენ ხელთ არსებული ბერძნული ოთხთავის გამოცემების მიხედვით ჩატარებულმა ტექსტოლოგიურმა კვლევამ აჩვენა, რომ, ერთ შემთხვევაში, გიორგი ათონელის მიერ ქართულ ტექსტში შეტანილია ის ცვლილებები, რომელსაც უკლებლივ ყველა ბერძნული ხელნაწერი უჭერს მხარს, ხოლო, მეორე შემთხვევაში, მის მიერ განხორციელებული ცვლილებები თანხვდება ბიზანტიური ტექსტის შემცველ ხელნაწერთა ჩვენებებს (ოჯახი 9, რომელშიც ერთიანდება: EFGHSYΩ ნუსხები, აგრეთვე, AEFHGKPSV W (მათე და ლუკა 8:13-24:53) Π,Ψ (ლუკა და იოანე) Ω, Δ (მარკოზის სახარების გარდა) და მინუსკულური ხელნაწერების უმეტესობა, რომელთა ლიტერები რიცხვებია).

მეორე მხრივ, შუალედურ ხელნაწერებში (*Ath.62-ის ქვედა ფენის ტექსტი, ალავერდის ოთხთავი, იენაშის ოთხთავი*) არსებულმა იკითხვისებმა, რომლებიც განსხვავდება ათონური რედაქციის ტექსტისაგან და რომლებშიც ასახულია ძველი, ჯრუჭ-პარხლის რედაქციის ტრადიცია, შესაბამისად, საერთო გამოამჟღავნეს ბერძნულ ძველ რედაქციებთან. კერძოდ, როგორც დასავლურ და ალექსანდრიულ, ისე კესარიული ტექსტის ტიპის შემცველ ხელნაწერებთან, ვინაიდან ეს უკანასკნელი რედაქცია თავის თავში მოიცავს, როგორც დასავლური, ისე ალექსანდრიული ტექსტის ტრადიციებს.

რაც შეეხება ათონური რედაქციის ახლობლობას ბიზანტიური ტექსტის ტიპთან, ეს ასეც იყო მოსალოდნელი. ბუნებრივია, რომ XI საუკუნეში გიორგი მთაწმინდელი იხელმძღვანელებდა იმ ტექსტით, რომელიც იმდროინდელ ბიზანტიაში ფართოდ იყო გავრცელებული. ბიზანტიური ტექსტი ჯერ კიდევ მეშვიდე საუკუნიდან გახდა დომინანტური ბერძნული ტექსტუალური ტრადიციისათვის. შუა საუკუნეებში გადამწერთა უმრავლესობა სწორედ მას ირჩევდა დედნად.

სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ გიორგი მთაწმინდელი სახარების ტექსტზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებული კრიტერიუმებით ხელმძღვანელობს. შუალედურ ხელნაწერებში დადასტურებული ორიგინალური იკითხვისების არსებობა, რომლებიც იოანე ოქროპირის მათესა და იოანეს სახარების განმარტებებში დაცული ექვთიმე ათონელისეული ტექსტის იკითხვისებს იმეორებს, გვაფიქრებინებს, რომ მუშაობის პირველ ეტაპზე გიორგი სანდო ბერძნული ხელნაწერების გათვალისწინებასთან ერთად ქართული წყაროების ჰარმონიზაციასაც ახდენს. მუშაობის საწყის ეტაპზე იგი ბიზანტიური ტექსტის ტიპის მიხედვით ასწორებს მხოლოდ აუცილებლად შესაცვლელს, ყურს ჩვეულ ფორმებს კი ტოვებს. მესამე და საბოლოო რედაქტირებისას კი იგი თავადვე უარყოფს მის მიერ პირველ და მეორე სწორებისას სახარების ტექსტში შეტანილ ან დატოვებულ ზოგიერთ ცვლილებას, ვინაიდან მუშაობის ამ ეტაპზე იგი მკაცრად ითვალისწინებს მხოლოდ ბიზანტიური ტექსტის ტიპის შემცველი ბერძნული ხელნაწერების ჩვენებებს.

მას შემდეგ, რაც განვსაზღვრეთ გიორგი მთაწმინდლის მიერ სახარების ტექსტში შეტანილი ცვლილებები, გვსურს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულ ერთ ტერმინოლოგიურ უზუსტობას შევუხოთ. ტერმინი „რედაქცია“ ზოგადად გულისხმობს ტექსტში შეტანილ გარეშე, სტრუქტურული ხასიათის ცვლილებებს, როგორც არის სხვადასხვა ტექსტების ერთ კრებულად გაერთიანება, ტექსტის თავებად და მუხლებად დაყოფა, ტექსტის შემადგენელი ნაწილების გადაადგილება და ა.შ. (ხარანაული, სალექციო მასალები, გვ. 37-38). ხოლო ტერმინი „რეცენზია“ გულისხმობს ტექსტის შიგნით ერთი რეცენზენტის მიერ მიზანმიმართულად შეტანილ სხვადასხვა ტიპის ცვლილებებს მისი შესწორების მიზნით, კერძოდ, ენობრივ, სტილისტურ, იდეოლოგიურ, მოცულობით (გლოსები და ინტერპოლაციები) და ა. შ.⁵⁶ რაც ყველაზე მნიშველოვანია, სხვადასხვა ხელნაწერში ერთმანეთისგან დაშორებული ერთი ტექსტის არსებობის შემთხვევაში ტექსტის რეცენზირება *textus receptus*-ის შექმნის მიზნით, თარგმანების შემთხვევაში უცხოენოვან დედანთან შეპირისპირების საფუძველზე (ხარანაული, სალექციო მასალები, გვ. 38).

ამ თეორიული საფუძვლის გათვალისწინებით, უპრიანი იქნება გიორგი მთაწმინდლის ტექსტი სამეცნიერო ლიტერატურაში არა რედაქციად, არამედ რეცენზიად იწოდებოდეს, მით უმეტეს, რომ იგი რეზენციისათვის დამახასიათებელ ყველა ნიშანს აკმაყოფილებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ არ გვაქვს საკითხის სრულად ამოწურვის პრეტენზია.

⁵⁶ The Encyclopedia of New Testament Textual Criticism by Robert B. Waltz, Inspired by Rich Elliott, Last Preliminary Edition: <http://www.skypoint.com/members/waltzmn/>

ათონური რედაქციის მიმართებების ანალიზი ბიზანტიური ტექსტის ტიპთან ძალიან ფართოა და ბევრი კუთხით იძლევა დაკვირვებისა და შესწავლის საშუალებას. ოთხთავის ტექსტიც ძალიან მოცულობითია. ვაცნობიერებთ, რომ ჩვენი დისერტაცია არის უზარმაზარ ლაბორინთში გარკვევის ერთგვარი მცდელობა, რომელიც სამომავლოდ მეტად დაკონკრეტებასა და დაზუსტებას მოითხოვს.

ძირითადი დასკვნები

სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა ოთხთავის ქართული თარგმანის XI საუკუნის იმ ხელნაწერთა პალეოგრაფიულ-კოდიკოლოგიური და ტექსტოლოგიური ანალიზი, რომლებიც გიორგი მთაწმინდლის რედაქტორული მუშაობის პროცესს ასახევენ; მათი შესწავლის საფუძველზე იმ ძირითადი პრინციპების გამოკვეთა, რომლებიც გიორგი ათონელის მთარგმნელობით-რედაქტორულ საქმიანობას ახასიათებს; შედეგად კი, ოთხთავის გიორგი მთაწმინდლისეული რედაქციის ჩამოყალიბების ისტორიის რეკონსტრუირება. ოთხთავის ქართული თარგმანის ხელნაწერებს შორის გამოვარჩიეთ XI საუკუნის ის ხელნაწერები, რომლებიც გიორგი მთაწმინდლის (1009-1065) მოღვაწეობის ადგილებთან, შავ მთასთან, ათონის ივერთა მონასტერთან, არიან დაკავშირებული.

- პალეოგრაფიულ-კოდიკოლოგიური თვალსაზრისით სისტემურად შევისწავლეთ ათონის ივერთა მონასტერში დაცული ოთხთავის ხელნაწერები (Ath.15; Ath.53; Ath.62; Ath.67; Ath.75; Ath.83). ისინი აქამდე ერთიან კონტექსტში არ გამოკვლეულა.
- ათონური კოლექციის ოთხთავთა გვერდით განვიხილეთ კიდევ ერთი ხელნაწერი, რომელიც ლიტერატურის მუზეუმში ინახება (12854-ხ). იგი „ათონური ოთხთავის“ სახელით არის ცნობილი და მისი წარმომავლობა ათონის ქართველთა სავანესთან არის დაკავშირებული. სადისერტაციო ნაშრომში უარყოფილია ეს მოსაზრება და არგუმენტირებულად დასაბუთებულია, რომ ეს ნუსხა არ არის ათონის მთის ქართული კოლექციის ნაწილი.
- პალეოგრაფიულ-კოდიკოლოგიური და ტექსტოლოგიური თვალსაზრისით განვიხილეთ შავი მთის მონასტრებში გადაწერილი ნუსხები (ალავერდის (A-484), კალიპოსის (K-76), ვატიკანის (Vat. Iberico 1), რუისის (A-845), S-962) და XI საუკუნის სხვა ოთხთავები, რომლებიც სხვადასხვა სამწიგნობრო კერებშია გადაწერილი და ამჟამად სხვადასხვა კოლექციაში ინახება (ურბნისის (A-28), პალესტინის (H-1741), K-363, K-176, H-1240, Sin.Geo.O.-19, ვენისა (Ven.Geo.1) და იენაშის ოთხთავები (ს.ი.ე.მ. მესტია #72).

- განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს, რომ პალეოგრაფიულ-კოდიკოლოგიური და ტექსტოლოგიური თვალსაზრისით შევისწავლეთ ისეთი ხელნაწერები, რომლებიც აქამდე საფუძვლიანად გამოკვლეული არ ყოფილა. მაგალითად, ათონის ივერთა მონასტერში 62-ე ნომრად დაცული ოთხთავი და იენაშის ოთხთავი (ს.ი.ე.მ. მესტია 72), რომელიც სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში ინახება. Ath. 62-ის შემთხვევაში, რომელსაც ეტყობა რედაქტორული მუშაობის კვალი, აღვადგინეთ რედაქტორის მიერ წაშლილი ადგილები, რომლის აღდგენის პროცესში გამოვლინდა მისი ახლობლობა ალავერდისა (A-484) და იენაშის ოთხთავებთან (ს.ი.ე.მ. მესტია 72).
- სახარების XI საუკუნის ხელნაწერთა კოდიკოლოგიური და ტექსტოლოგიური კვლევის შედეგად გარკვეული სიცხადე შევიტანეთ ოთხთავის ქართული თარგმანის ისტორიასთან დაკავშირებულ ზოგიერთ პრობლემურ საკითხში. კერძოდ, გიორგი მთაწმინდლის მიერ რედაქტირებული ათონური რედაქციის ფარგლებში გამოვყავით ტექსტუალური ჯგუფი, Ath.62-ის ქვედა ფენის ტექსტი, ალავერდის ოთხთავი, იენაშის ოთხთავი, რომლებიც ათონელი მამის სახარების ტექსტზე მუშაობის შუალედურ ეტაპს ასახავენ. როგორც ჩანს, გიორგი მთაწმინდელი მესამედ მალევე მიუბრუნდა რედაქტირების პროცესს, ამიტომაც ორგზის შედარების შედეგად მიღებულმა ვერსიამ ფართო გავრცელება ვერ ჰპოვა. ამ სამი სახარების გარდა, დღეისათვის ე. წ. შუალედური ჯგუფის სხვა ხელნაწერი მიკვლეული არ არის.
- ტექსტოლოგიური ანალიზით დავადასტურეთ, რომ ალავერდის ოთხთავში დაცული ტექსტი (და, შესაბამისად, Ath. 62-ის ქვედა ფენისა და იენაშის ოთხთავის ტექსტიც) ექვთიმე ათონელისეულ სახარებად მიჩნეულ ტექსტთან არის შეწამებული, როგორც ამას მოწმობს ალავერდის ოთხთავის კოლოფონი, რომელიც გიორგი მთაწმინდელს უნდა ეკუთვნოდეს: „...*მამისა ეფთჳმეს სახარებათადა შეწამებული ბერძულსა ორჯელ და ქართულსა*“ (A-484, 314v). შუალედური ხელნაწერები მათესა და იოანეს სახარებების ნაწილში ითვალისწინებენ ექვთიმესეული ტექსტის იკითხვისეებს, რომლებიც მის მიერვე თარგმნილ ეგზეგეტიკურ თხზულებებში: იოანე ოქროპირის მათესა და იოანეს სახარებების განმარტებებში არის დაცული. ჩვენი აზრით, მხოლოდ ამ თარგმანებებში წარმოდგენილი ტექსტი უნდა მივიჩნიოთ ექვთიმესეულად.
- შუალედური ხელნაწერების (Ath.62-ის ქვედა ფენის ტექსტი, ალავერდის ოთხთავი, იენაშის ოთხთავი), ერთი მხრივ, ჯრუჭ-პარხლის, იგივე ოპიზურ რედაქციასთან და ბერძნულ ხელნაწერებთან, ხოლო, მეორე მხრივ, ათონურ რედაქციასთან და ბერძნულ ნუსხებთან შედარების საფუძველზე გამოკვვეთეთ ის

ძირითადი პრინციპები, რომლებიც გიორგი მთაწმინდელს სახარების რედაქტირებისას ახასიათებს. თანმიმდევრულად გავაანალიზეთ სიტყვათა, ფრაზათა და ზოგჯერ წინადადებათა კლება/მატებანი, ლექსიკური სხვაობანი, სიტყვათა რიგის ცვლილებანი, საკუთარი სახელებისა (ანთროპონიმებისა და ტოპონიმების) და ზმნების განსხვავებული დაწერილობანი. ის ცვლილებები, რომლებიც გიორგი მთაწმინდელს ბერძნული დედნის გათვალისწინებით ორგზის სწორების შედეგად შეაქვს ოპიზური რედაქციის ტექსტში, Ath.62-ის ქვედა ფენის ტექსტში უკვე ასახულია. ხოლო მესამედ რედაქტირებისას შეტანილი ყველა ცვლილება ნათლად ჩანს Ath.62-ის ზედა ფენაში, სწორებების შედეგად მიღებულ ტექსტში. შესწორებათა რაოდენობა აჩვენებს, რომ გიორგი მთაწმინდელმა ცვლილებების უმეტესი ნაწილი მესამედ რედაქტირებისას შეიტანა.

- სადისერტაციო ნაშრომში საგანგებოდ განვიხილეთ ოთხთავის ბერძნული ხელნაწერები, ბერძნული სახარების ტექსტის ტიპები (დასავლური, ალექსანდრიული, კესარიული და ბიზანტიური) და მნიშვნელოვანი აკადემიური გამოცემები, ვინაიდან ამ საკითხების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურა ქართულ ენაზე თითქმის არ არსებობს.
- შუალედური ხელნაწერებისა (Ath.62-ის ქვედა ფენის ტექსტი, ალავერდის ოთხთავი, იენაშის ოთხთავი) და ათონური რედაქციის იკითხვისთა ბერძნულ ხელნაწერებთან შედარების შედეგად დავადასტურეთ, რომ გიორგი მთაწმინდელი რედაქტირებისას ითვალისწინებს ბიზანტიური ტექსტის შემცველ ხელნაწერთა ჩვენებებს.
- შუალედური ხელნაწერებისა (Ath.62-ის ქვედა ფენის ტექსტი, ალავერდის ოთხთავი, იენაშის ოთხთავი) და ოპიზური რედაქციის იკითხვისთა ბერძნულ ხელნაწერებთან შედარების შედეგად დავადგინეთ, რომ გიორგი მთაწმინდელი ხელმძღვანელობს ოპიზური რედაქციით, რომელიც, თავის მხრივ, საერთოს ამჟღავნებს ბერძნულ ძველ რედაქციებთან, კერძოდ, როგორც დასავლური და ალექსანდრიული, ისე კესარიული ტექსტის ტიპის შემცველ ხელნაწერებთან.
- შევადგინეთ სტემა, ოთხთავის ქართული თარგმანის რედაქციების ურთიერთმიმართების დიაგრამული გამოსახულება, გენეალოგიური ხე.

სადისერტაციო ნაშრომს ერთვის პირობითი აღნიშვნები და კვლევისას გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა. გარდა ამისა, ცალკე დანართად არის წარმოდგენილი ოთხივე სახარება, რომლის ძირითად ტექსტად გატანილია ათონური რედაქციის კრიტიკულად დადგენილი ტექსტი, ხოლო ვარიანტებად – შუალედური

ხელნაწერების (*Ath.62-ის ქვედა ფენის ტექსტი, ალავერდის ოთხთავი, იენაშის ოთხთავი*) იკითხვისები.

პირობითი აღნიშვნები

o* – Ath.62-ის ქვედა ფენის ტექსტი

o^c – მეორეული, რედაქტორის მიერ გასწორებული ტექსტი

a – ალავერდის ოთხთავის (A-484)

f – იენაშის ოთხთავი (ს.ი.ე.მ. მესტია 72)

G – ათონური რედაქცია

O – ოპიზური (იგივე ჯრუჟ-პარხლის) რედაქცია

] ლემა, რომლის მარჯვენა და მარცხენა მხარეს სხვადასხვა რედაქციის ტექსტია წარმოდგენილი

| ლემის დასასრული

pr დამატება ლემის წინ

+ დამატება ლემის შემდეგ

om, > გამოტოვება

tr გადაადგილება

⚡ იკითხვისი, რომელიც წერია არშაზე

ბიბლიოგრაფია

1. აბულაძე 1973: აბულაძე ი., ქართული წერის ნიმუშები, პალეოგრაფიული ალბომი, მეორე შევსებული გამოცემა, თბილისი, 1973 წელი.
2. ადიშის... 2003: ადიშის ოთხთავი 897 წლისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ელგუჯა გიუნაშვილმა, დარეჯან თვალთვაძემ, მანანა მაჩხანელმა, ზურაბ სარჯველაძემ და სოფიო სარჯველაძემ, ზურაბ სარჯველაძის საერთო რედაქციით, თბ., 2003.
3. ათონური კოლექცია 1986: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექცია, I, 1986.
4. ალექსიძე 2016: ალექსიძე ზ., გიორგი მთაწმიდლის ქართული ოთხთავის ანდერძები, ქრისტიანული კავკასია, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, №3, თბილისი 2016, გვ. 214-225.
5. ბაქრაძე 1889: ბაქრაძე დ., ისტორია საქართველოსი (უძველესი დროიდან X საუკუნის დასასრულამდე), 1889 წელი.
6. ბერძნიშვილი 1978: ბერძნიშვილი მ., „მატიანე ქართლისაის“ ერთი ადგილის დაზუსტებისთვის, ქართული წყაროთმცოდნეობა, ტომი V, თბ. 1978, გვ. 46-47.
7. ბოჭორძე 1935: ბოჭორძე გ., რაჭის ისტორიული ძეგლები, ჟურნალი „საქართველოს ისტორიის მოამბე“, 1935 წ., ტ. VIII გვ. 289-338.
8. გაბაშვილი 1956: გაბაშვილი ტ., მიმოსლვა, ელ. მეტრეველის გამოცემა, თბ., 1956.
9. გედევანიშვილი 1852: გედევანიშვილი ი., მიმოსულა, ანუ მგზავრობა იოანე რუისის მიტროპოლიტისა, პლატონ იოსელიანის გამოცემა, თფ. 1852.
10. დანელია 1998: დანელია კ., ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან, I, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1998.
11. დანელია 1983: დანელია კ., ქართული სამწერლობო ენის საკითხები, თბ. 1983.
12. ეზეკიელის... 1974: ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები, გამოსაცემად მოამზადა თინათინ ცქიტიშვილმა, 1974 წელი.
13. თავაძე 2012: თავაძე ლ., სადოქტორო დისერტაცია „*ბიზანტიური საიმპერიო ტიტულატურა საქართველოში*“, 2012 წელი,
<http://old.press.tsu.ge/GEO/internet/disertaciebi/DISERTACIA%20Leri%20Tavadze.pdf>
(ბოლო ნახვა 10 თებერვალი, 2018 წელი)
14. თაყაიშვილი 1960: თაყაიშვილი ე., 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, 1960.

15. თეოფილაქტე ბულგარელი 2010ა: ბულგარელი თეოფილაქტე, „განმარტება იოანეს სახარებისა“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და ლექსიკონი დაურთო თინათინ ცქიტიშვილმა, თბილისი 2010.
16. თეოფილაქტე ბულგარელი 2010ბ: ბულგარელი თეოფილაქტე, „განმარტება ლუკას სახარებისა“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო სოფიო სარჯველაძემ, თბილისი 2010.
17. თვალთვაძე 2007: თვალთვაძე დ., კალიპოსის ოთხთავი – გიორგი მთაწმიდლის რედაქციის ოთხთავის ერთ-ერთი უძველესი ნუსხა, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის I სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი ა. შანიძის 120 წლისთავისადმი, კონფერენციის მასალები, თბ., 2007.
18. თვალთვაძე 2008: თვალთვაძე დ., რომელი რედაქციის ტექსტს შეიცავს ალავერდის ოთხთავი? „რელიგია“, #1, 2008, გვ. 12-20.
19. თვალთვაძე 2009ა: თვალთვაძე დ., ეგრემ მცირის კოლოფონები, 2009.
20. თვალთვაძე 2009ბ: თვალთვაძე დ., მესტიის მუზეუმის M-41 ხელნაწერში დაცული სახარების ტექსტისათვის, მოხსენების მასალები, კ. დანელიას დაბადებიდან 75-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, თბ., 2009 წლის 18 დეკემბერი.
21. თვალთვაძე 2009გ: თვალთვაძე დ., ქართული ოთხთავის ათონური რედაქციის ჩამოყალიბების ისტორიიდან: საქართველო და ევროპული სამყარო – ფილოსოფიურ-კულტურული დიალოგი, ტ. I, თბ., 2009, გვ. 129–141;
22. თვალთვაძე 2010ა: თვალთვაძე დ., დოქსოლოგიური ხასიათის ერთი თხზულება შავ მთაზე გადაწერილ ოთხთავის ხელნაწერებში, მოხსენების მასალები. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მე-4 სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 2010.
23. თვალთვაძე 2010ბ: თვალთვაძე დ., სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის N41 ხელნაწერში დაცული მათეს სახარების ტექსტისათვის, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, I, თბ., 2010, 50–64.
24. თვალთვაძე 2015ა: თვალთვაძე დ., კვირკველია ე., სვანეთში დაცული ოთხთავის ხელნაწერები, მოხსენების მასალები, *საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია* კავკასიური ცივილიზაცია: ინტერდისციპლინარული კვლევები, მესტია, საქართველო, 6-10 სექტემბერი, 2015.
25. თვალთვაძე 2015ბ: თვალთვაძე დ., ოთხთავის ათონური რედაქციის უძველეს ხელნაწერებზე დართული კოლოფონები და ათონური რედაქციის ჩამოყალიბების საკითხი: თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის

ელექტრონული ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი „სპეკალი“, 2015, N9.
<http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/9/90>

26. თითბერიძე 2016: თითბერიძე თ., ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის N363 ხელნაწერის (ქუთ.363) კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური ანალიზი, ნაშრომი შესრულებულია ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, 2016 წელი.
27. იმნაიშვილი ვ. 1979: იმნაიშვილი ვახტანგ, ვინ ყიდდა ავსტრიაში ქართულ ხელნაწერებს? ცისკარი #8, 1979.
28. იმნაიშვილი 2004: იმნაიშვილი ვახტანგ, უძველესი ქართული ხელნაწერები ავსტრიაში, თბ. 2004.
29. იმნაიშვილი 1977: იმნაიშვილი ი., ტბეთის ოთხთავი, გამოკვლევა და ტექსტი, ძვ. ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 20, 1977 წელი.
30. იმნაიშვილი ი., ქართული... 1979: ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივანე იმნაიშვილმა, თბ., 1979.
31. იმნაიშვილი 1950: იმნაიშვილი ი., ქსნის ოთხთავის თავისებურებანი მათესა და იოვანეს თავების მაგალითზე, პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომებში, ტ. VIII, 1950, გვ. 299-344.
32. იმნაიშვილი ი., 1949: იმნაიშვილი ი., ქსნის ოთხთავის რედაქცია, ლიტერატურული ძიებანი, ტ. V, 1949.
33. ოქროპირი 1993: იოანე ოქროპირი, თარგმანებად იოვანეს სახარებისად, ნაწ. I, II, თბილისი, 1993 წელი.
34. ოქროპირი 1993ა: იოანე ოქროპირი, თარგმანებად იოვანეს სახარებისად, ნაწ. I, თბილისი, 1993 წელი.
35. ოქროპირი 1993ბ: იოანე ოქროპირი, თარგმანებად იოვანეს სახარებისად, ნაწ. II, თბილისი, 1993 წელი.
36. ოქროპირი 1996: იოანე ოქროპირი, თარგმანებად მათეს სახარებისად, წ. I, II, III, თბილისი 1996.
37. ოქროპირი 2014ა: იოანე ოქროპირი, თარგმანებად მათეს სახარებისად, წ. I, თბილისი 2014.
38. ოქროპირი 2014ბ: იოანე ოქროპირი, თარგმანებად მათეს სახარებისად, წ. II, თბილისი 2014.
39. კეკელიძე 1945: კეკელიძე კ., ათონის ლიტერატურული სკოლის ისტორიიდან, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბ. 1945, გვ. 218-236.
40. კეკელიძე 1983: კეკელიძე კ., ათონის ლიტერატურული სკოლის ისტორიიდან, კრებული „ივირონი – 1000“, თბ. 1983, გვ. 24-45.

41. კეკელიძე 1987: კეკელიძე კ., ბარამიძე ალ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ. 1987.
42. კეკელიძე 1955: კეკელიძე კ., მიტაცება ბერძენთა მიერ ქართული ლიტერატურის კერისა ათონზე და მისი მდგომარეობა მე-16-17 საუკუნეებში, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, თბ. 1955, გვ. 69-86.
43. კეკელიძე 1980: კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I. თბილისი, 1980.
44. კვიციანი 2011: კვიციანი ე., სახარების ომკური ხელნაწერის (ათონ. 62) ერთი მინაწერის შესახებ, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, #II, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2011, გვ. 188–197.
45. კიკნაძე 2008: კიკნაძე ვ., რუსუდან დედოფლის ოთხთავი პეტერბურგიდან, საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, IX, თბილისი, 2008, გვ. 54-57.
46. ლოლაშვილი 1975: ლოლაშვილი ივ., „ათონის კრებული“, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, I, 1975.
47. ლოლაშვილი 1982: ლოლაშვილი ივ., ათონურ ქართულ ხელნაწერთა სიახლენი, თბ. 1982.
48. მათეს... 2004: მათეს სახარება, გიორგი მთაწმიდლის რედაქცია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს და განმარტებები დაურთეს ელგუჯა გიუნაშვილმა და ზურაბ სარჯველაძემ, თბილისი, 2004 წელი.
49. მარკოზის... 2004: მარკოზის სახარება, გიორგი მთაწმიდლის რედაქცია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს და განმარტებები დაურთეს ელგუჯა გიუნაშვილმა და ზურაბ სარჯველაძემ, თბილისი, 2004 წელი.
50. მაჩხანელი მ., ანბანდიდი, 2010: ანბანდიდი, სახარება-ოთხთავის IX საუკუნის ხელნაწერი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მანანა მაჩხანელმა, გამომცემლობა „ნეკერი“, 2010 წელი.
51. მელიქიშვილი 2011: მელიქიშვილი დ., ძველი ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის ისტორიიდან, თბ., 2011.
52. მენაბდე 1975: მენაბდე ლ., ათონის ივერთა მონასტერი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, I, 1975.
53. მენაბდე 1982: მენაბდე ლ., ქართული კულტურის კერა ათონზე, თბ. 1982.
54. მენაბდე 1983: მენაბდე ლ., ქართული მწერლობის ათასწლოვანი კერა, კრებული „ივირონი – 1000“, თბ. 1983, გვ. 175-196;
55. მენაბდე 2003: მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, ნათელი ქრისტესი, საქართველო, წიგნი I, 2003, გვ. 518-535.

56. მენაბდე 1980: მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, წიგნი II, თბილისი 1980.
57. მეტრეველი 1998: მეტრეველი ე., ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი, თბ. 1998.
58. მეტრეველი 1996: მეტრეველი ე., ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან, გამომცემლობა „ნეკერი“, 1996 წელი.
59. მეტრეველი 1982: მეტრეველი ე., ქართული კულტურის დიდი კერა, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 12.11.1982, №46.
60. მეტრეველი 2007: მეტრეველი ე., ქართული კულტურის დიდი კერა, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი. ნაკვ. I (ეძღვნება ე. მეტრეველის დაბადებიდან 90 წლისთავს). თბ. 2007, გვ. 31-41.
61. მუმლაძე 2008ა: მუმლაძე ც., „ქორონიკონი იყო მაშინ სპ“, #76 ხელნაწერი ოთხთავის დათარიღებიათვის, შეწამებად დიად მიხარკებია (ფილოლოგიური ძიებანი), ქუთაისი, 2008, გვ. 35-44.
62. მუმლაძე 2008ბ: მუმლაძე ც., „...გარდმოვწერე და შეწამებად დიად მიხარკებია“, შეწამებად დიად მიხარკებია (ფილოლოგიური ძიებანი), ქუთაისი, 2008, გვ. 45-66.
63. ნიკოლაძე 1964: ნიკოლაძე ე., ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, II ტომი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1964 წელი.
64. ოთხთავი... 2008: ოთხთავი, 1060 წელი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და ლექსიკონი დაურთო ციციხო მუმლაძემ, საგამომცემლო ცენტრი, ქუთაისი, 2008 წელი.
65. ჟორდანია 1908: ჟორდანია თ., ჯანაშვილი მ., საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, წიგნი III, თბილისი, 1908 წელი.
66. სამუშია 2011: სამუშია ჯ., ბაგრატ IV-ის კონსტანტინოპოლში სამწლიანი ტყვეობა და საქართველო-ბიზანტიის 1055 წლის ზავი, თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტომი II, თბ. 2011, გვ. 125-153.
67. სარჯველაძე ზ., 1997: სარჯველაძე ზ., დანელია კ., ქართულ პალეოგრაფია, თბ. 1997.
68. სარჯველაძე ზ., 1984: სარჯველაძე ზ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.
69. სარჯველაძე ზ., 2001: სარჯველაძე ზ., წყაროსთავის ოთხთავი და ქართული ოთხთავის ეფთვიმესეული რედაქციის საკითხები, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 29, 2001.
70. სარჯველაძე 2011: სარჯველაძე ს., თვალთვაძე დ., სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში დაცული ტვიბერის ოთხთავის ხელნაწერი, Folia

- Caucasica, იოსტ გიპერტის 55 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, ფრანკფურტი მაინზე-თბილისი, 2011, გვ. 99-118.
71. სარჯველაძე ს., ოთხთავის... 2010: ოთხთავის ქართული თარგმანის ერთ-ერთი უძველესი რედაქცია, ტექსტი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული H-1240 XI საუკუნის ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ს. სარჯველაძემ, თბ., 2010.
 72. სარჯველაძე ს., 2009: სარჯველაძე ს., ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ორი ხანმეტი პალიმფსესტური ფრაგმენტის შესახებ, ენათმეცნიერების საკითხები, 1-2, თბილისი 2009 წელი, გვ. 215-228.
 73. სარჯველაძე ს., 2015: სარჯველაძე ს., ახალი მასალები ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის H კოლექციაში დაცული ოთხთავის ნუსხების შესახებ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, ტიპოლოგიური ძიებანი, VII, თბილისი 2015.
 74. საქართველოს... 2012: საქართველის ისტორია XIII საუკუნიდან XIX საუკუნემდე, ტომი III, თბ., 2012.
 75. სახარებად 1911: სახარებად ოთხთავი. ორთა ჯელნაწერთაგან შ ი გ და შ ყ ე წელთა გამოსცა ვლადიმირე ბენეშევიჩმან. ნაკვეთი ა. სახარებად მათჳს თავისად, ს.-პეტერბ., 1909. ნაკვეთი ბ. სახარებად მარკოზის თავისად, 1911.
 76. სილოგავა 1989: სილოგავა ვ., XI საუკუნის ქართველი მწიგნობარი ბასილი თორელ-ყოფილი და მისი ანდერძი, მრავალთავი, XV, 1989 წელი, გვ. 153-165.
 77. სილოგავა 2006: სილოგავა ვ., ოშკი, X ს. მემორიალური ტაძარი. თბ., 2006.
 78. სინური... 2010: სინური ოთხთავი, 978-979 წწ. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელგუჯა გიუნაშვილმა, თბილისი, გამომცემლობა „ნეკერი“, 2010 წელი.
 79. სირაძე 1983: სირაძე რ., ქართული მწერლობის საზღვარგარეთული კერების ურთიერთობის ისტორიიდან, კრებული „ივირონი – 1000“, თბ. 1983, გვ. 197-218;
 80. სოსელია 2018 სოსელია ქეთევან, ვენის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული ქართული ოთხთავის (Ven.Geo.1) კოდიკოლოგიურ-ტექსტუალური ანალიზი, ნაშრომი შესრულებულია ქართული ფილოლოგიის ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად, 2018.
 81. ჰუმკინის... 1949: ქსნის ოთხთავი, მარკოზის სახარება, ჰუმკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, 1949, გვ. 211-240.
 82. უცხოეთში... 2018: უცხოეთში გადაწერილი ქართული ხელნაწერები საქართველოს სიძველეთსაცავებში, ილუსტრირებული კატალოგი, შემდგენლები:

- ვლადიმერ კეკელია, ნათია მიროტაძე, თამარ ოთხმეზური, დალი ჩიტუნაშვილი, რედაქტორი: თამარ ოთხმეზური, თბ. 2018.
83. ფერაძე 2004: ფერაძე გრიგოლ, ქართული ხელნაწერების შესახებ ავსტრიაში, წერილი გერმანულიდან თარგმნა ც. კილაძემ, აღმანახი „მწიგნობარი“ 04, თბ. 2004 წ. გვ.160-181.
 84. ქართულ 1954: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია), ტომი IV, თბ. 1954.
 85. ქართულ... 1955: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია), ტომი V, თბ. 1955.
 86. ქართულ... 1959: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია, ტომი I, თბილისი 1959.
 87. ქართულ... 1973: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა ტომი I₁, თბილისი, 1973 წელი.
 88. ქართ. ხელნ. აღწერილობა, A ფონდი, 1986: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმი (A) კოლექციისა, ტომი II₁, ელენე მეტრეველის რედაქციით, თბილისი, 1986.
 89. ქართული... 1953: ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, II, 1953 წელი.
 90. ქართული... 1970ა: ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, III, 1970 წელი.
 91. ქართული... 1970ბ: ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1970.
 92. ქაჯაია ლ., საბაწმინდური... 2014: საბაწმინდური ოთხთავი, პალიმფსესტი, ტექსტი ამოიკითხა, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი სიტყვა და სიმფონია დაურთო ლამარა ქაჯაიამ, თბილისი, 2014 წელი.
 93. ქაჯაია ლ., ხანმეტი... 1984: ხანმეტი ტექსტები, ნაკვეთი I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სიმფონია დაურთო ლამარა ქაჯაიამ, თბილისი, „მეცნიერება“ 1984 წელი.
 94. ქრონიკები... 1892, 2004: ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თედო ჟორდანიას მიერ, წიგნი I, პირველი გამოცემა ტფ. 1892, მეორე ფოტოფირული გამოცემა, თბ. გამომცემლობა არტანუჯი, 2004, გვ. 198-199;
 95. ქსნის... 1949: ქსნის ოთხთავი, ლუკას სახარება, გამოაქვეყნა ივანე იმნაიშვილმა, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, 1949, გვ. 60-83; 106-124.

96. ქუთაისის... 1953: ქუთაისის სახელწიფო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, შედგენილია და დასაბეჭდად მომზადებული ე. ნიკოლაძის მიერ, ტ. I, თბ., 1953.
97. ყაუხჩიშვილი 1944: ყაუხჩიშვილი ს., ადიშის ხელნაწერის ბერძნიზმები, ენიმკის მოამბე, IV, თბილისი, 1944.
98. შანიძე ა., 1981: შანიძე ა., უძველესი ქართული ტექსტების აღმოჩენის გამო, თხზულებანი, II ტომი, 1981 წელი.
99. შანიძე ა., ქართული ოთხთავის...1945: ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (897, 936 და 973 წ. წ.), გამოსცა ა. შანიძემ, თბ. 1945.
100. შურღაია 2006ა: შურღაია თ., ვატიკანის ოთხთავის თავგადასავალი, კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა, №11, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბ. 2006.
101. შურღაია 2006ბ: შურღაია თ., ვატიკანის ოთხთავის მხატვრული შემკულობა, საენათმეცნიერო ძიებანი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ბ. ჯორბენაძის საზოგადოება, XXIII, 2006, გვ. 340-348.
102. შურღაია 2006გ: შურღაია თ., სახარების ერთი ძველი ქართული ხელნაწერის შედგენილობის საკითხისათვის, კავკასიის მაცნე, №14, 2006, გვ.157-163.
103. შურღაია 2006დ: შურღაია თ., შავი მთის ოთხთავის ქართული ხელნაწერი, ცისკარი, სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი, №1, 2006, გვ. 131-135.
104. ჩახვაშვილი 2015: ჩახვაშვილი ნ., ვატიკანის ოთხთავის კოდიკოლოგიურ-ფილოლოგიური ანალიზი, ნაშრომი შესრულებულია ქართველური ენათმეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, 2015 წელი.
105. ჩხიკვაძე 2007: „ავგაროზის ეპისტოლის“ ძველი ქართული რედაქციები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ნესტან ჩხიკვაძემ, თბ., 2007 წელი.
106. ცქიტიშვილი 2004: ცქიტიშვილი თ., „იოვანეს სახარების“ ძველი ქართული თარგმანის ახალი რეცენზია, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 31, თბ., 2004 წელი.
107. ძველი... 1967: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II, (XI-XV სს.), ილია აბულაძის რედაქციით, თბილისი, 1967.
108. ჭელიძე 1996: ჭელიძე ე., არსებობდა თუ არა სახარების კიდევ სხვა ძველი ქართული რედაქცია? (წმინდა რელიკვიების ძველქართული ტერმინოლოგიის მიხედვით), გაზ. „მამული“, N11 (ნოემბერი), 1996 წელი.

109. ჭელიძე 2004: ჭელიძე ე., წმინდა წერილის ქართულად თარგმნა-რედაქტირების ძირითადი ეტაპები, ქრისტიანობის ოცი საუკუნე საქართველოში, თბილისი, 2004.
110. ჭელიძე 2007: სახარება ოთხთავი, სპეკალი მართლმადიდებლობისა, ტექსტი გამოსცა და სკოლიოები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, თბ., 2007.
111. ჭელიძე 2015: ბიბლია ყველა არსებული რედაქციისა და ნუსხის მიხედვით გამოსაცემად მოამზადა და სკოლიოები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, თბ., 2015
112. ჭიჭინაძე 1986ა: მღვდელმონაზონ ილია ფანცულაიას პირადი მიმოწერა მოსე ჯანაშიელთან და სარგის კაკაბაძესთან, გამოსცა სირა ჭიჭინაძემ, ლიტერატურული მატთანე, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1986 წელი, გვ. 164-168.
113. ჭიჭინაძე 1986ბ: ჭიჭინაძე ს., ათონის ქართული კულტურის კერის ისტორიისათვის, ლიტერატურული მატთანე, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1986 წელი.
114. ხანთაძე 1968: ხანთაძე შ., ნარკვევები ევროპული ქართველოლოგიის ისტორიიდან (XIX საუკუნის 20-იან წლებამდე), „ქართული ისტორიოგრაფია“, I, 1968 წელი.
115. ხარანაული, სალექციო მასალები: ხარანაული ანა, ტექსტოლოგია, სალექციო მასალები.
116. ხელაია 1916: ხელაია ა., ჟურნალი „ცხოვრება“, 1916 წელი, N17, გვ. 30-31.
117. ხინთიბიძე 1982: ხინთიბიძე ე., ათონის ქართული ლიტერატურული სკოლა, ჟურნ. „მნათობი“, 1982, #2.
118. ხინთიბიძე 1983: ხინთიბიძე ე., ათონის ქართული ლიტერატურული სკოლის ისტორიისათვის, კრებული „ივირონი – 1000“, თბ. 1983, გვ. 288-313;
119. ხინთიბიძე 2003: ხინთიბიძე ე., ათონის ქართული საღვთისმეტყველო-ლიტერატურული სკოლა, ნათელი ქრისტესი, საქართველო, წიგნი I, 2003, გვ. 539-552.
120. ჯავახიშვილი 1928: ჯავახიშვილი ივ., ეფთვიმე მთაწმინდელის ნაშრომები და სარედაქციო მუშაობა, ქართული სამართლის ისტორია, I, ტფ., 1928.
121. ჯავახიშვილი 1945: ჯავახიშვილი ივ., ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა. წიგნი I, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V-XVIII სს.), მეორე-მესამე შეესებული გამოცემა. თბ.: 1945.
122. ჯავახიშვილი 1947: ჯავახიშვილი ივ., სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, თბილისი, 1947, გვ. 41-42.

123. ჯავახიშვილი 1977: ჯავახიშვილი ივ., გიორგი მთაწმიდელი, თხზულებანი (თორმეტ ტომად), ტ. VIII, თბ., 1977.
124. ჯავახიშვილი 1983: ჯავახიშვილი ივ., ორი ნარკვევი „ძველი ქართული საისტორიო მწერლობიდან“, კრებული „ივირონი – 1000“, თბ. 1983.
125. ჯობაძე 2001: ჯობაძე ვ., წმ. ბარლამის მონასტერი კასიუსის მთაზე: 1962-67 წლებში გათხრების დროს გამოვლენილი ქართული სკულპტურის ნიმუშები და ეპიგრაფიკული მასალა, „მრავალთავი“, 2001, №19, გვ. 418-435.
126. ჯოჯუა 2002: ჯოჯუა თ., 1013 წლის ოთხთავის (ქუთ.363-ის) გადაწერის ადგილისათვის, ჟურნალი „საქართველოს სიძველენი“, N2, 2002 წელი, გვ. 55-57.
127. ჯოჯუა 2005: ჯოჯუა თემო, ვინმე გიორგი მონაზონის მიერ გადაწერილი X-XI საუკუნეების ოთხთავი ვენის ნაციონალური ბიბლიოთეკიდან (ven.1), საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები, VIII, 2005.
128. A Descriptive... 1957: A Descriptive Checklist of Selected Manuscripts in the monasteries of mount athos, 1957.
129. The Greek... 2013: Aland B. and Aland K, Johannes Karavidapoulos, Carlo M. Martini, and Bruce M. Metzger, Editors, The Greek New Testament, 4th ed., United Bible Societies, 2013.
130. Aland 1987: Aland K., “Alter und Entstehung des D-Textes im Neuen Testament; Betrachtung zu P⁶⁹ und 0171”, *Miscellanea papirologica Ramon Roca-Puig, ed. by Sebastià Janeras*, Barcelona, 1987.
131. Birdsall 1989: Birdsall J. Neville, “The Western text in the Second Century,” in Gospel Traditions in the Second Century, ed. by William L. Peterson, Notre Dame, 1989.
132. Birdsall 2006: Birdsall J. Neville, Collected Papers in Greek and Georgian Textual Criticism, Gorgias press, 2006.
133. Blake 1932: Blake Robert P., Catalogue des Manuscrits Georgiens de la Bibliothèque de la laure D’Ivion au mont antos, I, Paris, Librairie auguste picard, 82, Rue Bonaparte, 1932.
134. Delobel 1997: Delobel J., “Focus on the ‘Western’ Text in Recent Studies”, *Ephemerides Theologicae Lovanienses*, Ixxiii, 1997.
135. Ehrman 1986: Ehrman D. Bart, Didymus the blind and the Text of the Gospels, Atlanta, 1986.
136. Garitte 1956: Gérard Garitte, Manuscrits Géorgiens Littéraires du Mont Sinai, Louven, 1956.
137. Glob 1984: Glob A., “Serapion of Thmuis as a Witness to the Gospel Text Used by Origen in Caesarea”, *Novum Testamentum*, xxvi, 1984.

138. H KAINH ΔΙΑΘΗΚΗ, Reproduced by photographic offset at the University of Chicago Press from H KAINH ΔΙΑΘΗΚΗ, Oxford, 1873.
139. Harnack 1903: Harnack A., *Forschungen auf dem Gebiete der alten grusinischen und armenischen Litteraturen*: Sitzungsber. d. Konigl. Preuss. Akad. d. Wiss., 34, 1903.
140. Hatch 1937: Hatch W. H. P., *The "Western" Text of the Gospels*, Evanston, IL, 1937.
141. Hurtado 1981: Hurtado W. Larry, *Text-Critical Methodology and the Pre-Caesarean Text: Codex W in the Gospel of Mark*, Grand Rapids, MI, 1981.
142. Inventaire détaillé des manuscrits géorgiens du monastère d'Ivéron, au mont Athos, redigé en 1836 par père Hilarion, confesseur de Solomon II, denier roi d'Iméreth, á la demande de l'archim. Seraphin et traduit du géorgien par M. Brosset. *Journal Asiatique*, 1867, t. IX.
143. La Version 1955: La Version géorgienne ancienne de l'Évangile de Luk, d'après les évangiles d'Adysh avec les variantes des évangiles d'Oiza et de Tbet, Ed. avec une trad. Latine par Maurice Brière, *Patrologia Orientalis*, t. XXVII: fasc. 3. Paris, 1955.
144. Lake 1932: Lake K. and New S., *Six Collations of New Testament Manuscripts*, Harvard Theological Studies, xvii; Cambridge, MA, 1932.
145. Martini 1979: Martini C. M., "La Tradition textuelle des Actes des Apôtres et les tendances de L'église ancienne", in *Les Actes des Apôtres; Traditions, rédaction, théologie*, ed. By J. Kremer, Leuven, 1979.
146. Metzger 2005: Metzger M. Bruce, Ehrman D. Bart, *The Text of the New Testament, Its Transmission, Corruption and Restoration*, Fourth Edition, 2005.
147. Molitor 1965: Molitor J. *Synopsis latina Evangeliorum ibericorum antiquissimorum secundum Mattaeum, marcum, Lukam, Desumpta e codicibus Adysh, Opiza, Tbeth. Necnon e fragmentis biblicis et patristicis quae dicuntur chanmeti et haemeti*, Louvain, 1965, *Corpus Scriptorum Christianorum Orientalium*, vol. 256, Subs. t. 24.
148. Peradze 1940: Peradze Gregor, "Über die Georgischen Handschriften in Österreich, Wiener Zeitschrift für die Kunde des Morgenlandes" XLVII, 3-4, Wien, 1940, p. 219-232.
149. Racine 2004: Racine J., *The Text of Matthew in the Writings of Basil of Caesarea*, Atlanta, 2004.
150. Reyniold 1974: Reyniold L. D., Wilson N. G., *Scribes and scholars, A guide to the transmission of Greek and Latin Literature*, Second edition, Oxford, 1974;
151. Ropes 1926: Ropes J. Hardy, *The Text of Acts, The Beginnings of Christianity, Part I*, vol. iii; London, 1926).
152. Répertoire 1995: Répertoire de réglures dans les manuscrits grecs sur parchemin, Base de données établie par Jacques-Hubert Satuel à l'aide du Fichier Lerroy et des catalogues

- récents à l'histoire des textes (CRNS) Ouvrage publié avec le Centre National de la Recherche et Scientifique. Brepols: Turnhout, 1995.
153. Sarjveladze S., 2012: Sarjveladze S., The Problem of Establishing the Recensions of the Georgian Version of the Gospels: *Novum Testamentum. Supplements to Novum Testamentum. Volume 142; Textual Research on the psalms and Gospels: Papers from the Tbilisi Colloquium on the Editing and History of Biblical Manuscripts*, Edited by Christian-B. Amphoux & J. Keith Elliott with Bernard Outtier, Brill, Leiden. Boston p. 167-190, 2012.
 154. Sear 1987: Sear R. David, *Byzantine Coins and their values*. Second edition revised and enlarged published by B.A. Seaby in 1987. London, 1996.
 155. Sturz 1994: Sturz H., *The Byzantine Text-type and the New Testament*, Nashville, 1994.
 156. Swanson 1995: Swanson J. Reuben, *New Testament Greek Manuscripts (Matthew, Mark, Luke, John)*, 1995.
 157. Tarnishvili 1962: Tarnishvili M., *Les Manuscrits Géorgiens du Vatican*, *Bedi Kartlisa*, (No 41 – 42), Paris 1962.
 158. The Caesarean... 1928: *The Caesarean Text of the Gospel of Mark* Author(s): Kirsopp Lake, Robert P. Blake and Silva New, Source: *The Harvard Theological Review*, Vol. 21, No. 4, Oct., 1928.
 159. The old Georgian 1928: *The old Georgian version of the Gospel of Mark, From the Adysh Gospels with the variants of the Opiza and Tbet` Gospels*, Edited with a Latin translation by Robert P. Blake, *Patrologia Orientalis*, t. XX: fasc. 3. Paris, 1928.
 160. The old Georgian 1933: *The old Georgian version of the Gospel of Matthew, From the Adysh Gospels with the variants of the Opiza and Tbet` Gospels*, Edited with a Latin translation by Robert P. Blake, *Patrologia Orientalis*, t. XXIV: fasc. 3. Paris, 1933.
 161. The old Georgian 1950: *The old Georgian version of the Gospel of John, From the Adysh Gospels with the variants of the Opiza and Tbet` Gospels*, Edited with a Latin translation by Robert P. Blake and Maurice Brière, *Patrologia Orientalis*, t. XXVI: fasc. 4. Paris, 1950.
 162. *The text of the Acts and Epistles in Photius*, *ibid.* Vol.9, 1958.
 163. *The text of the Gospels in Photius*, *Jurnal of Theological Studies n.s.* Vol.7, 1956.
 164. Tvaltvadze 2008: Tvaltvadze D., *Aus der Geschichte der Übersetzung der Tetraevangelien ins Georgische: Georgica*, 31, 2008.
 165. Tvaltvadze 2015 Tvaltvadze D., *Electronic Bilingual Scholarly Peer-Reviewed Journal SPEKALI of the Faculty of Humanities at Ivane Javakhishvili Tbilisi State University*, 2015, N9, <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/9/90>

166. Tvaltvadze 2012: Tvaltvadze D., The Manuscripts of Georgian Translations of the Four Gospels From the Black Mountain: Novum Testamentum. Supplements to Novum Testamentum. Volume 142; Textual Research on the psalms and Gospels: Papers from the Tbilisi Colloquium on the Editing and History of Biblical Manuscripts, Edited by Christian-B. Amphoux & J. Keith Elliott with Bernard Outtier, Brill, Leiden. Boston p. 213-229, 2012.
167. Tvaltvadze 2009: Tvaltvadze D., Tviberi Four Gospels, 1st International Symposium Georgian Manuscripts, Tbilisi, 19 - 25 October, 2009.
168. Wachtel 1995: Wachtel K., Der byzantinische text der kathilischen Briefe: eine Untersuchung zur Entstebung der koine des Neuen Testament, Berlin, 1995.
169. Westcott, Brooke Foss and Hort, Fenton John Anthony, The New Testament in the Original Greek (New York: Macmillan), 1935.
170. Wilson 1983: Wilson N.G., Scholars of Byzantium, London, 1983.
171. Zuntz 1953: Zuntz G., The Text of the Epistels, a Disquistion upon the Corpus Paulinum, London, 1953.
172. Адишское 1916: Адишское евангелие, 200 фототипических таблиц и предисловие Е. С. Такаишвили, Материалы по истории Кавказа, вип. XIV, под редакцией П. С. Уваровой, А. С. Хаханов и Е. С. Такаишвили, Москва, 1916.
173. Марр 1903: Марр Н. Я., Предварительный отчет о работах на Синае. веденных в сотрудничестве с И. А. Джавахишвили, и в Иерусалиме, в поездку 1902 г. (апрель – ноябрь): Сообщения Императ. Правосл. Палестин. Общества, 14, 2 (1903).
174. Марр 1900: Марр Н., Агиографические материалы по грузинским рукописям Ивера. ч. I. Описание пяти пергаментных рукописей, СПб., 1900 г.
175. Православная 2001: Православная Энциклопедия. Том II. Под общей редакцией Патриарха Московского и всея Руси Алексия II. М. 2001.
176. Цагарели 1888: Цагарели А., Каталог грузинских рукописей Синайского монастыря: Палестинский сборник, IV, СПб., 1888.
177. Цагарели 1886: Цагарели А.А., Сведения о памятниках Грузинской писмености, выпуск I, Санктпетербург, 1886.

ელექტრონული გამოცემები:

1. ადიშისა და ხანმეტი სახარების ტექსტი:
<http://titus.uni-frankfurt.de/texte/etca/cauc/ageo/nt/adisnt/adisn.htm>
(ბოლო ნახვა 10 თებერვალი, 2018 წელი)
2. ოპიზური რედაქციის შემცველი 11 ხელნაწერის მიხედვით მომზადებული ტექსტი: <http://titus.uni-frankfurt.de/texte/etca/cauc/ageo/nt/cinant/cinan.htm>
(ბოლო ნახვა 10 თებერვალი, 2018 წელი)
3. ათონური რედაქციის შემცველი 10 ხელნაწერის მიხედვით მომზადებული ტექსტი: <http://titus.uni-frankfurt.de/texte/etca/cauc/ageo/nt/giornt/giorn.htm>
(ბოლო ნახვა 10 თებერვალი, 2018 წელი)
4. ლუკას სახარების ძველი ქართული თარგმანის უძველესი სრული თუ ფრაგმენტული ხელნაწერების მიხედვით მომზადებული აკადემიური ტექსტი: <http://ogg.tsu.ge/> (ბოლო ნახვა 10 თებერვალი, 2018 წელი)
5. იოანე ოქროპირის მათეს სახარების თარგმანების ტექსტი: <http://titus.uni-frankfurt.de/texte/etcg/cauc/ageo/johchrys/mttargm/mttar.htm>
(ბოლო ნახვა 10 თებერვალი, 2018 წელი)
6. იოანე ოქროპირის იოანეს სახარების თარგმანების ტექსტი: <http://titus.uni-frankfurt.de/texte/etcg/cauc/ageo/johchrys/iogan/iogan.htm>
(ბოლო ნახვა 10 თებერვალი, 2018 წელი)
7. The Encyclopedia of New Testament Textual Criticism by Robert B. Waltz, Inspired by Rich Elliott, Last Preliminary Edition: <http://www.skypoint.com/members/waltzmn/>
(ბოლო ნახვა 10 თებერვალი, 2018 წელი)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ეკა კვიციანი

სახარების XI საუკუნის ქართული ხელნაწერების
კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური ანალიზი და
ოთხთავის გიორგი მთაწმინდლისეული რედაქციის
ჩამოყალიბების ისტორია

დისერტაციის დანართი

დისერტაციის ხელმძღვანელი: პროფ. დარეჯან თვალთვაძე
ფილოლოგიის დოქტორი

თბილისი
2019

შინაარსი

პირობითი აღნიშვნები	3
მათეს სახარება	4
მარკოზის სახარება	95
ლუკას სახარება	151
იოანეს სახარება	244

პირობითი აღნიშვნები

ძირითადი ტექსტი წარმოადგენს ათონური რედაქციის კრიტიკულად დადგენილ ტექსტს.

o – ოშკის სახარება (Ath.62, XI)

a – ალავერდის ოთხთავი (A-484, XI)

f – იენაშის ოთხთავი (სიემ მესტია 72)

* ქველა ფენის ტექსტი (original)

^c რედაქტორის მიერ გასწორებული ტექსტი (corrector)

] ლემა, რომლის მარჯვენა და მარცხენა მხარეს სხვადასხვა ვარიანტია წარმოდენილი

| ლემის დასასრული

pr დამატება ლემის წინ

+ დამატება ლემის შემდეგ

> გამოტოვება

tr გადაადგილება

^{mg} იკითხვისი, რომელიც წერია აშიაზე

მათეს სახარება*

1

1. წიგნი შობისა იესუ ქრისტესი, ძისა დავითისი, ძისა აბრაჰამისი.
* პირველი თავი სახარებისა მათეს თავისაა ო| წმიდა სახარება თავი პირველი მატთესი a | წმიდა სახარება თავი მათესი f |
2. აბრაჰამ შვა ისაკ; ისაკ შვა იაკობ; იაკობ შვა იუდა და ძმანი მისნი;
2. ისაკ¹]ისაკი a | ისაკ²] ისაკმან a | იაკობ¹]იკობ o | იაკობი a | იაკობ²]იკობმან a |
3. ზოლო იუდა შვა ფარეზ და ზარა თამარისგან; და ფარეზ შვა ესრომ; ესრომ შვა არამ;
4. არამ შვა ამინადაბ; ამინადაბ შვა ნასონ; ნასონ შვა სალმონ;
4. ნასონ¹]ნასონ oa | ნასონ] + ზოლო f | ნასონ²]ნასონ oa |
5. სალმონ შვა ბოოს რექაბისგან; ბოოს შვა იობედ რუთისგან; იობედ შვა იესე.
6. იესე შვა დავით მეფე; დავით მეფემან შვა სოლომონ ურიის ცოლისაგან;
6. შვა¹] > o* | მეფე]მეფე a |
7. სოლომონ შვა რობოამ; რობოამ შვა აბია; აბია შვა ასა;
7. ასა]ასაფ a, ასაფი f | იორამ¹]იორამი f |
8. ასა შვა იოსაფატ; იოსაფატ შვა იორამ; იორამ შვა ოზია;
8. ასა]ასაფ af | იორამ¹]იორამი f |
9. ოზია შვა იოათამ; იოათამ შვა აქაზ; აქაზ შვა ეზეკია;
10. ეზეკია შვა მანასე; მანასე შვა ამონ; ამონ შვა იოსია;
11. იოსია შვა იეჟონია და ძმანი მისნი ტყუეობასა მას ბაბილოვნელთასა.
11. ტყუეობასა]ტყუშობასა f | ბაბილოვნელთასა]ბაბილოვნელთაგან af |
12. შემდგომად ტყუეობისა მის ბაბილოვნისა იეჟონია შვა სალათიელ; სალათიელ შვა ზორობაბელ;
12. ტყუეობისა]ტყუშობისა f | სალათიელ¹]სალათაელ a | სალათიელ²]სალათაელ a |
13. ზორობაბელ შვა აბიუდ; აბიუდ შვა ელიაკიმ; ელიაკიმ შვა აზორ;
13. აბიუდ¹]აბიოდ a | აბიუდ²]აბიოდ a |
14. აზორ შვა სალუკ; სალუკ შვა აქიმ; აქიმ შვა ელიუდ;
15. ელიუდ შვა ელეაზარ; ელეაზარ შვა მატთან; მატთან შვა იაკობ;

16. იაკობ შვა იოსებ, ქმარი მარიამისი, რომლისაგან იშვა იესუ, რომელსა ჰრქჳან ქრისტე.

16. ქრისტე|ქრისტჳ a |

17. ყოველი ნათესავი აბრაჰამისითგან ვიდრე დავითისადმდე ნათესავი ათოთხმეტ; და დავითისითგან ვიდრე ტყუენვადმდე ბაბილოვნისა ნათესავი ათოთხმეტ; და ტყუენვითგან ბაბილოვნისაჲთ ვიდრე ქრისტესამდე ნათესავი ათოთხმეტ.

17. და¹] > o*af | ტყუენვადმდე|ტყუენვადმდე f | ბაბილოვნისა|ბაბილოვნელთაგან af | და²] > o*af | ტყუენვითგან|ტყუენვითგან f |

18. ხოლო იესუ ქრისტეს შობაჲ ესრეთ იყო: რამეთუ თხოვილ იყო დედაჲ მისი მარიამ იოსებისა და ვიდრე შერთვადმდე მათა იპოვა იგი მიღგომილ სულისაგან წმიდისა.

18. თხოვილ|თხოილ f |

19. ხოლო იოსებ, ქმარი ამისი, მართალი იყო და არა უნდა განმხილებაჲ მისი, იზრახა ფარულად განტევებაჲ მისი.

19. ამისი|მისი o*af |

20. და ვითარ იგი ამას განიზრახვიდა ოდენ, აჰა, ანგელოზი უფლისაჲ ჩუენებით გამოუჩნდა მას და ჰრქჳა: იოსებ, ძეო დავითისო, ნუ გეშინინ მიყვანებად მარიამისა, ცოლისა შენისა, რამეთუ, რომელი-იგი მისგან იშვეს, სულისაგან წმიდისა არს.

21. შვეს ძე, და უწოდიან სახელი მისი იესუ, რამეთუ მან იქსნეს ერი თჳსი ცოდვათა მათთაგან.

21. ძე|ძჳ oa |

22. ესე ყოველი იქმნა, რაჲთა აღესრულოს სიტყუაჲ იგი უფლისაჲ, პირითა წინაწარმეტყუელისაჲთა თქუბული:

23. აჰა, ქალწული მიუდგეს და შვეს ძე, და უწოდიან სახელი მისი ეჰმანუელ, რომელ არს თარგმანებით: *ჩუენ თანა ღმერთი.*

23. ძე|ძჳ a | ეჰმანუელ|ეჰმანოელ f |

24. განიღუბა იოსებ ძილისა მისგან და ყო ეგრე, ვითარცა უბრძანა მას ანგელოზმან უფლისამან, და წარიყვანა ცოლი თჳსი.

25. და არა იცოდა იგი, ვიდრემდე შვა ძე იგი მისი პირმშოჲ, და უწოდა სახელი მისი იესუ.

25. ძჳ o | უწოდა|უწოდეს o*f |

1. ხოლო იესუმს შობასა ბეთლემს ჰურიასტანისასა, დღეთა ჰეროდე მეფისათა, აჰა, მოგუნი აღმოსავალით მოვიდეს იერუსალმდ და იტყოდეს:
 1. იესუმს $|$ იესუ $o^*f|$ იესუმს $|$ + ქრისტეს $f|$
2. სადა არს, რომელი-იგი იშვა მეუფე ჰურიათაჲ? რამეთუ ვინილეთ ვარსკულავი მისი აღმოსავალით და მოვედით თაყუანის-ცემად მისა.
 2. რომელი-იგი იშვა $|$ ახლადშობილი $o^*af|$ რომელი-იგი იშვა $|$ + იგი $f|$ მეუფე $|$ მეუფმ $af|$ ვარსკულავი $|$ ვარსკულავი $o^*|$
3. ვითარცა ესმა ესე ჰეროდეს მეფესა, შეძრწუნდა, და ყოველი იერუსალმში მის თანა.
4. და შეკრიბნა ყოველნი მღვდელთმოდუარნი და მწიგნობარნი ერისანი და იკითხვიდა მათგან: სადა უკუე შობად არს ქრისტე?
 4. უკუე $|$ უკუე $f|$
5. ხოლო მათ ჰრქუეს მას: ბეთლემს ჰურიასტანისასა. რამეთუ ესრეთ წერილ არს წინაწარმეტყუელისა მიერ:
 6. და შენ, ბეთლემ, ქუეყანაჲ ეგე იუდაჲსი, არასადა უმრწემეს ხარ მთავართა შორის იუდაჲსთა, რამეთუ შენგან გამოვიდეს წინამძღუარი, რომელმან დამწყსოს ერი ჩემი ისრაჲლი.
 6. უმრწემეს $|$ ურწემეს $f|$ წინამძღუარი $|$ მთავარი $o^*af|$
 7. მაშინ ჰეროდე იღუმალ მოუწოდა მოგუთა მათ და გამოიკითხა მათგან ჟამი იგი გამოჩინებულისა მის ვარსკულავისაჲ.
 7. გამოჩინებულისა $|$ გამოჩინებისა $o^*a,$ გამოჩინებისაჲ $f|$ ვარსკულავისაჲ $|$ ვარსკულავისაჲ $o^*|$
 8. და წარავლინნა იგინი ბეთლემდ და ჰრქუა: მივედით და გამოიკითხეთ ჭემმარიტად ყრმისა მისთვის და, რაჟამს ჰპოვოთ იგი, მითხართ მე, რაჲთა მეცა მივიდე და თაყუანის-ვცე მას.
 8. იგინი $|$ $> o^*af|$ ბეთლემდ $|$ ბეთლემად $f|$ ჰპოვოთ $|$ ჰპოვოთ $a|$ თაყუანის-ვცე $|$ თაყუანი-სცე $o^*|$
 9. ხოლო მათ ვითარცა ესმა ესე მეფისა მისგან, წარვიდეს. და, აჰა, ვარსკულავი იგი, რომელი იხილეს აღმოსავალით, წინაუძღოდა მათ, ვიდრემდე მოვიდა და დაადგრა ადგილსა მას, რომელსა იყო ყრმაჲ იგი.
 9. მეფისა მისგან $|$ მეფისაგან $f|$
 10. ხოლო მათ ვითარცა იხილეს ვარსკულავი იგი, განიხარეს სიხარულითა დიდითა ფრიად.
 10. ვარსკულავი $|$ ვარსკულავი $o^*|$
54. ხოლო ასისთავმან მან და მისთანათა, რომელნი სცვიდეს იესუს, იხილეს რაჲ ძრვაჲ იგი და რაჲ-იგი იქმნა, შეეშინა ფრიად და იტყოდეს: ჭეშმარიტად ძმ ღმრთისაჲ იყო ესე.

54. ხოლო]და f| მისთანათა] + და 0*a| რაჲ] > 0*af| ძმ]ბე of|

55. იყვნეს მუნ დედანიცა მრავალნი, რომელნი შორით ხედვიდეს, რომელნი შეუღგეს იესუს გალილეათ და ჰმსახურებდეს მას,

56. რომელთა თანა იყო მარიამ მაგდალენელი და მარიამ იაკობისი და იოსეს დედაჲ და დედაჲ ძეთა ზებედესთაჲ.

56. მაგდალენელი]მაგდანელი 0af|

57. და ვითარცა შემწუხრდა, მოვიდა კაცი მდიდარი არიმათიათ, სახელით იოსებ, რომელ-იგიცა მოწაფე ყოფილ იყო იესუმსა.

57. მოწაფე]მოწაფს a|

58. ესე მოვიდა პილატესა და გამოითხოვა გუამი იესუმსი. მაშინ პილატე უბრძანა მიცემად გუამი იგი მისი.

59. და მოილო გუამი იგი მისი იოსებ და წარგრაგნა იგი ამრენაკსა წმიდასა

59. წარგრაგნა]შეგრაგნა 0*af|

60. და დადვა იგი ახალსა მისსა საფლავსა, რომელი გამოეკუეთა კლდისაგან, და მიაგორვა ლოდი დიდი კარსა მას საფლავისასა და წარვიდა.

60. გამოეკუეთა]გამოეკუთა f| კლდისაგან]კლდისა მისგან 0*af| დიდი] > f|

61. იყო მუნ მარიამ მაგდალენელი და სხუაჲ იგი მარიამ, და სხდეს წინაშე საფლავსა მას.

61. მაგდალენელი]მაგდანელი af|

62. ხოლო ხვალისაგან, რომელ არს შემდგომად პარასკევისა, შეკრბეს მღდელთმოდღუარნი იგი და ფარისეველნი პილატესა,

62. ხოლო] > 0*af| ხვალისაგან]ხვალისა დღს 0*a, ხვალისა დღე f|

63. და ჰრქუეს: უფალო, მოვიქსენეთ, რამეთუ მან მაცთურმან თქუა, ვიდრე ცოცხალლა იყო, ვითარმედ შემდგომად სამისა დღისა აღვდგეო.

64. აწ უკუე ბრძანე დაკრძალვად საფლავი იგი ვიდრე მესამედ დღემდე, ნუუკუე მოვიდენ მოწაფენი მისნი და წარიპარონ იგი და უთხრან ერსა, ვითარმედ აღდგა იგი მკუდრეთით. და იყოს უკუანაღსკენელი საცთური უძვრეს პირველისა.

64. უკუე] > 0*af| ნუუკუე]ნუუკუს of| იგი²] > 0^c|

65. ჰრქუა მათ პილატე: გაქუს თქუნ დასი; წარველით და დაჰკრძალეთ, ვითარცა იცით.

65. დასი|დასისაგანნი 0^*a , დასისაგანი f |

66. ხოლო იგინი წარვიდეს და დაჰკრძალეს საფლავი იგი და დაჰბეჭდეს ლოდსა მას დასისა თანა.

28

1. ხოლო მწუხრი შაბათთასა, რომელი განთენებოდა ერთშაბათად, მოვიდა მარიამ მაგდალენელი და სხუაჲ იგი მარიამ ხილვად საფლავისა მის.

1. ხოლო] > 0^*af | შაბათთასა|შაბათსა af | განთენებოდა|განთენდებოდა of |
მაგდალენელი|მაგდანელი of |

2. და, აჰა, ძრვაჲ იყო დიდი, რამეთუ ანგელოზი უფლისაჲ გარდამოკდა ზეცით, მოვიდა და გარდაავორვა ლოდი იგი კარისა მისგან საფლავისა და დაჯდა მას ზედა.

3. ხოლო იყო ხილვაჲ მისი, ვითარცა ელვაჲ, და სამოსელი მისი სპეტაკ, ვითარცა თოვლი.

3. ხოლო] > 0^*f |

4. ხოლო საშინელებისაგან მისისა შეძრწუნდეს მცველნი იგი და იქმნეს, ვითარცა მკუდარნი.

4. იქმნეს|იქმნეს f |

5. მიუგო ანგელოზმან მან და ჰრქუა დედათა მათ: ნუ გეშინინ თქუნ, ვიცი, რამეთუ იესუს ნაზარეველსა, ჯუარცუმულსა, ეძიებთ.

6. არა არს აჰა, რამეთუ აღდგა, ვითარცა თქუა. მოველით და იხილეთ აღგილი, სადა დაიდვა უფალი.

6. დაიდვა უფალი|დადვეს იგი 0^*af |

7. და ადრე წარველით და უთხართ მოწაფეთა მისთა, ვითარმედ: აღდგა მკუდრეთით და, აჰა, წინაგიძღუს თქუნ გალილეას. მუნ იხილოთ იგი. აჰა, ესერა, გარქუ თქუნ.

7. მკუდრეთით] > 0^*af | ესერა|ეგერა 0^*af | თქუნ|თქუნ f |

8. ხოლო იგინი გამოვიდეს ადრე მიერ საფლავით შიშითა და სიხარულითა დიდითა; მირბიოდეს თხრობად მოწაფეთა მისთა.

8. გამოვიდეს|წარვიდეს 0^*af | მირბიოდეს|მორბიოდეს a | თხრობად|თხოზად 0^* |

9. და, ვითარ-იგი მივიდოდეს თხრობად მოწაფეთა მისთა და, აჰა, იესუ შეემთხვა მათ და ჰრქუა: გიხაროდენ! ხოლო იგინი მოვიდეს და შეუვრდეს ფერქთა მისთა და თაყუანის-სცეს მას.

9. და, ვითარ-იგი მივიდოდეს თხრობად მოწაფეთა მისთა] > 0^*af .

10. მაშინ ჰრქუა მათ იესუ: ნუ გეშინინ! წარვედით და უთხაროთ ძმათა ჩემთა, რამთა წარვიდენ გალილეას და მუნ მიხილონ მე.

11. და ესენი ვითარცა წარვიდეს, აჰა, ესერა, დასისა მისგანნი შევიდეს ქალაქად და უთხრეს მღვდელთმოდღუართა მათ ყოველი ესე, რამცა იქმნა.

12. ხოლო ივინი შეკრბეს მოხუცებულთა თანა და ზრახვა-ყვეს, ვეცხლი დიდძალი მისცეს ერისაგანთა მათ

12. ივინი|იგი f | და] > 0* | ერისაგანთა|ერისგანთა 0* |

13. და ჰრქუეს: ესრეთ თქუთ, ვითარმედ მოწაფენი მისნი ღამე მოვიდეს და წარიჰარეს იგი, ვიდრე ჩუენ მეძინა.

13. ღამე|ღამხ a |

14. უკუეთუ ესმეს ესე მთავარსა მას, ჩუენ ვარწმუნოთ, და თქუენ უზრუნველ-გყვნეთ.

15. ხოლო მათ მიიღეს ვეცხლი იგი და ყვეს ეგრე, ვითარცა ისწავეს მათგან. და განითქუა სიტყუაჲ ესე ჰურიათა შორის ვიდრე დღენდელად დღედმდე.

16. ხოლო ათერთმეტნი იგი მოწაფენი წარვიდეს გალილეას, მთასა მას, სადაცა უბრძანა მათ იესუ.

16. ათერთმეტნი|ათორმეტნი a | მას] + და a |

17. იხილეს იგი და თაყუანის-სცეს მას, ხოლო რომელნიმე შეორგულდეს.

17. რომელნიმე|რომელნი 0ⁿa | შეორგულდეს|შეურგულდეს 0* |

18. მოუკდა მათ იესუ, ეტყოდა და ჰრქუა: მომეცა მე ყოველი კელმწიფებაჲ ცათა შინა და ქუეყანასა ზედა.

18. მომეცა|მომეცა a |

19. წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელ-სცემდით მათ სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა,

19. მოიმოწაფენით|მოწაფენი a |

20. და ასწავებდით მათ დამარხვად ყოველი, რაოდენი გამცენ თქუენ. და, აჰა, ესერა, მე თქუენ თანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა. ამენ!

20. რაოდენი|რავდენი af | თქუენ|თქუნ f | ვარ|ვარარ a | აღსასრულადმდე|აღსასრულამდე a |

მინაწერი:

0(რედაქტორის ხელით): ბერძულად თავნი ტ-ჲ. დაესრულა მათეს თავი სახარებაჲ თავი ტ-ნე, მუკლი ცვოდ. აღიწერა იმრუსალემს ებრაელებრითა სიტყუთა მერვესა წელსა ქრისტეს ამადლებითგან. ხოლო იკითხვიდეს მარხვაჲთგან ვიდრე სეკდენბერადმდე.

მარკოზის სახარება*

1

1. დასაბამი სახარებისა იესუ ქრისტესი, ძისა ღმრთისაჲ.

* სახარებაჲ მარკოზის თავი σ | წმიდაჲ სახარებაჲ თავი მეორე მარკოზისი a | სახარებაჲ მარკოზის თავი f |

1. სახარებისა a |

2. ვითარცა წერილ არს ესაია წინაწარმეტყუელსა: აჰა, ესერა, მე წარვაგლინო ანგელოზი ჩემი წინაშე პირსა შენსა, რომელმან განჰმზადნეს გზანი შენნი წინაშე შენსა.

2. ესაია|ესაიასა σ^* | პირსა $] > \sigma^*af$ |

3. კმაჲ ღაღადებისაჲ უდაბნოსა: განჰმზადენით გზანი უფლისანი და წრფელ-ყვენით ალაგნი მისნი.

3. განჰმზადენით|განმზადენით f |

4. იყო იოვანე უდაბნოსა და ნათელ-სცემდა და ქადაგებდა ნათლის-ცემასა სინანულისასა მისატყვეებელად ცოდვათა.

5. და განვიდოდა მისა ყოველი სოფლები ჰურიასტანისაჲ და იერუსალმელნი ყოველნი და ნათელ-იღებდეს მისგან ყოველნი იორდანესა მდინარესა და აღუვარებდეს ცოდვათა მათთა.

5. ყოველნი¹] $> \sigma^*$ | ნათელ-|ნათელს- f | ყოველნი²] $> \sigma^*af$ |

6. და ემოსა იოვანეს სამოსლად თმისაგან აქლემისა, და სარტყელი ტყავისაჲ წელთა მისთა, და ჭამდა იგი მკალსა და თაფლსა ველურსა,

6. და σ^* |ხოლო σ^* |

7. ქადაგებდა და იტყოდა: აჰა, ესერა, მოვალს უძლიერესი ჩემსა შემდგომად ჩემსა, რომლისა ვერ ღირს ვარ განჰსნად საბელთა კამლთა მისთასა.

7. აჰა] $> \sigma^*$ | განჰსნად|განჰსნად σ^* | საბელთა|საბელსა of |

8. მე ნათელ-გცემ თქუენ წყლითა, ხოლო მან ნათელ-გცეს თქუენ სულითა წმიდითა.

8. -გცემ|-გეც σ^* , -გეცით σ^* | თქუენ²] $> \sigma^*f$ |

9. და იყო, მათ დღეთა შინა მოვიდა იესუ ნაზარეთით გალილეაჲსაჲთ და ნათელ-ილო იოვანესგან იორდანესა.

9. იოვანესგან|იოვანესგან of , იე-ნსგნ a | იორდანესა|იორდანესა a |

10. და მეყსეულად აღმოსლვასა მისსა მიერ წყლით იხილნა ცანი განხუმულნი და სული ღმრთისაჲ გარდამომავალი, ვითარცა ტრედი, მის ზედა.

11. და კმაჲ იყო ზეცით: შენ ხარ ძმ ჩემი საყუარელი, შენ სათნო-გიყავ.

11. ძმ|ძე of |

12. და მეყსეულად სულმან განიყვანა იგი უდაბნოდ.
13. და იყო მუნ ორმოც დღე და გამოიცადებოდა ეშმაკისაგან და იყო მკეცთა თანა, და ანგელოზნი ჰმსახურებდეს მას.
13. დღე|დღს a | ანგელოზნი|ანგელოსნი a |
14. და შემდგომად მიცემისა იოვანესისა მოვიდა იესუ გალილეად, ქადაგებდა სახარებასა სასუფეველისა ღმრთისასა
14. იოვანესისა|იოვანესა o , o -ესა f |
15. და იტყოდა, რამეთუ: აღსრულებულ არს ჟამი და მოახლებულ არს სასუფეველი ღმრთისაჲ; შეინანეთ და გრწმენინ სახარებისაჲ.
15. რამეთუ o^* |ვითარმედ o^c |
16. და ვიდოდა რაჲ ზღუს-კიდესა მას გალილეაჲსასა, იხილა სიმონ და ანდრეა, ძმაჲ მისი, ითხველიდეს რაჲ ზღუასა მას ზედა, რამეთუ იყვნეს იგინი მესათხვევლე.
16. ხოლო ვიდოდა რაჲ ზღუს კიდესა | და ვითარცა წარვიდოდა ზღუასა o^*af | იხილა|იხინა a , იხილნა of | რაჲ $> o^*f$ | მესათხვევლე|მესათხვევლს a | რამეთუ $> f$ |
17. და ჰრქუა მათ იესუ: მოვედით და შემომიდეგით მე, და გყვნე თქუნ მესათხვევლე კაცთა.
17. მოვედით|მომდეგდით o^*af | მესათხვევლე|მესათხვევლს a |
18. ხოლო მათ მეყსეულად დაუტევნეს ბადენი მათნი და მისდევდეს მას.
19. და მცირედ წარვიდა და იხილა იაკობ ზებედესი და იოვანე, ძმაჲ მისი, და იგინი განაგებდეს ბადეთა ნავსა შინა.
20. და უწოდა მათ. ხოლო მათ მეყსეულად დაუტევეს ზებედე, მამაჲ მათი, ნავსა შინა მუშაკთა მისთა თანა და მისდევდეს მას.
21. და შევიდეს და კაპერნაუმდ მეყსეულად დღესა შაბათსა შევიდა შესაკრებელსა მათსა და ასწავებდა მათ.
21. კაპერნაუმდ|კაფარნაომდ o^*a , კაფარნაუმდ f |
22. და განუკურდებოდა ერსა მას მოძღურებაჲ იგი მისი, რამეთუ ასწავებდა მათ, ვითარცა-იგი ვის აქუნ კელმწიფებაჲ, და არა ვითარ-იგი მწიგნობარნი მათნი.
22. აქუნ|აქუნდა o^*f |
23. და იყო კრებულსა მას შინა მათსა კაცი, რომლისა თანა იყო სული არაწმიდაჲ, ღალად-ყო
23. ღალად-|ღალატ- o |
24. და თქუა: ეჰა, რაჲ არს ჩუენი და შენი, იესუ ნახარეველო? მოსრულ ხარ წარწყმედად ჩუენდა. გიცით შენ, ვინ ხარ, წმიდაჲ ეგე ღმრთისაჲ.

25. შეპრისხნა მას იესუ და ჰრქუა: პირი დაიყავ და განვედ მაგისგან!
26. და დასცა იგი სულმან მან არაწმიდამან, და კმა-ყო კმითა ღიღითა და განვიდა მისგან.
27. და დაუკვრდებოდა ყოველთა, ვიდრე გამოძიებადმდე ურთიერთას, და იტყოდეს: რაჲ არს მოძღურებაჲ ესე ახალი, რამეთუ კელმწიფებით სულთაცა არაწმიდათა უბრძანებს, და ერჩიან მას?
27. რაჲ]რაჲმე of |
28. და განკლა ჰამბავი მისი ყოველსა მას სოფელსა გალილეაჲსასა.
28. ჰამბავი]ჰანბავი of | სოფელსა]სოფლებსა o |
29. და მიერ შესაკრებელით გამოვიდა და მოვიდა სახლსა სიმონისსა და ანდრეაჲსსა იოვანეს და იაკობის თანა.
29. ანდრეაჲსსა]ანდრეაჲსა f |
30. ხოლო სიდედრი სიმონისი დავრდომილ იყო მკურვალეებითა. და უთხრეს იესუს მისთვის.
31. და მოვიდა და უპყრა კელი მისი და აღადგინა იგი; და დაუტევა იგი მკურვალეებამან მან, და აღდგა და ჰმსახურებდა მათ.
31. და¹] > a | და⁴] + მეყსეულად of |
32. და ვითარ შემწუხრდებოდა, და მზმ დაჰვიდოდა, მოჰყვანდეს მისა ყოველნი სნეულნი და ეშმაკეულნი.
32. ვითარ]ვ~ a | მზმ]მზე f |
33. და ყოველი ქალაქი შეკრებულ იყო წინაშე კართა.
34. და განკურნნა ყოველნი ბოროტთაგან სენტა და თითოსახეთაგან სნეულებათა და ეშმაკნი მრავალნი განასხნა და არა უტევებდა სიტყუად ეშმაკთა მათ, რამეთუ იცოდეს იგი, ვითარმედ ქრისტე არს.
34. ქრისტე]ქრისტე a |
35. და განთიად რიჟურაჟუს ოდენ აღდგა და გამოვიდა მიერ და განვიდა უდაბნოსა ადგილსა და მუნ ილოცვიდა.
36. და მისდევდეს მას სიმონ და მისთანანი.
37. და პოვეს იგი და ჰრქუეს მას, ვითარმედ: ყოველნი გეძიებენ შენ.
37. პოვეს]პოვეს a |
38. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: მოვედით და წარვიდეთ მახლობელსა დაბნებსა და ქალაქებსა, რაჲთა მუნ უქადაგოთ, რამეთუ ამისთვის მოვივლინე.
38. მოვივლინე]მოვივლინე a |

39. და ქადაგებდა შესაკრებელთა მათთა და ყოველსა გალილევასა და ეშმაკთა განასხმიდა.
40. მაშინ მოუკლა მას ერთი განკეთრებული, ევედრებოდა მას და მუკლნი დაიდგნა და ეტყოდა: უფალო, უკუეთუ გინდეს, ძალ-გიც განწმედად ჩემდა.
40. განკეთრებული|განკეთროვნებული of | და¹ > af |
41. ხოლო იესუს შეეწყალა იგი, განყო კელი, შეახო მას და ჰრქუა: მნებავს, განწმიდენი!
42. და ვითარცა ესე თქუა, მეყსეულად განეყარა მას კეთროვნებაჲ იგი, და განწმიდნა იგი,
43. და შეჰრისხნა მას და მეყსეულად გამოადო იგი,
44. და ჰრქუა მას: იხილე, ნუ ვის უთხრობ, არამედ მივედ და უჩუენე თავი შენი მღდელსა და შეწირე განწმედისა შენისათვის, რომელ-იგი ბრძანა მოსე საწამებელად მათა.
44. უჩუენე|უჩუენე f | მოსე|მოსე a |
45. ხოლო იგი გამოვიდა მიერ და იწყო ქადაგებად ფრიად და მიმოდადებად სიტყვსა მის, ვითარმედ ვერღარა კელ-ეწიფა მას ცხადად ქალაქად შესლვად, არამედ გარე უდაბნოთა ადგილთა იყოფვოდა. და მოვილოდეს მისა ყოვლით კერძო.
45. იყოფვოდა|იყოფოდა af |

2

1. და შევიდა კუალად კაპერნაუმდ შემდგომად მცირედთა დღეთა; და ესმა, რამეთუ სახლსა შინა არს.
1. კუალად|მერმე o*af | კაპერნაუმდ|კაფარნაომდ o*a, კაფარნაუმდ f |
2. და მეყსეულად შეკრბა მუნ სიმრავლე ერისაჲ, ვიდრემდე ვერღარა იტევდა წინაშე კართა მათ, და ეტყოდა მათ სიტყუასა.
3. და მოვიდეს მისა და მოაქუნდა განრლუეული, ზეკიდებული ოთხთავან.
3. განრლუეული|განრლუული f |
4. და ვითარ ვერ შეუძლეს მიახლებად მისა ერისა მისგან, აღსძარცუეს სართული სახლისაჲ მის, სადა იგი იყო, და აღიღეს და გარდაუტევეს ცხედარი იგი, რომელსა ზედა იდგა განრლუეული იგი.
4. აღსძარცუეს|აღსძარცუეს f | განრლუეული|განრლუული f |
5. და იხილა იესუ სარწმუნობაჲ იგი მათი და ჰრქუა განრლუეულსა მას: შვილო, მიგეტევენ შენ ცოდვანი შენნი!
5. განრლუეულსა|განრლუულსა f | შენნი > o* |

6. ხოლო იყენებს ვინმე მუნ მსხდომარენი მწიგნობართაგანნი და ზრახვიდეს გულთა შინა მათთა და იტყოდეს,

6. ხოლო $| > 0 \cdot af |$ და $| > a |$ შინა $| > 0 \cdot af |$

7. ვითარმედ: ესე გმობასა იტყვს; ვის კელ-ეწიფების მიტევებად ცოდვათა, გარნა მხოლოსა ღმერთსა?

7. ვითარმედ ესე გმობასა იტყვს $| > a |$

8. ხოლო იესუ მეყსეულად გულისკმა-ყო სულითა, რამეთუ ესრეთ ზრახვენ გულთა შინა მათთა, და ჰრქუა მათ: რასა მაგას ჰზრახავთ გულთა შინა თქუენთა?

8. მეყსეულად $| > a |$ შინა $| > 0 \cdot af |$ რასა რამასა $| 0 \cdot af |$ ჰზრახავთ ზრახავთ $| f |$ შინა $| > 0 \cdot af |$ თქუენთა $|$ თქუენთა $| f |$

9. რად უადვილეს არს სიტყუად განრღუეულისა ამის: მიგეტვენენ ცოდვანი შენნი, ანუ თქუმად: აღდეგ, აღილე ცხედარი შენი და ვიდოდე?

9. განრღუეულისა $|$ განრღუეულსა $| a,$ განრღუეულისა $| f |$ ამის $|$ ამას $| a |$ თქუმად $|$ რქუმად $| a |$

10. ხოლო რამათა უწყოდით, რამეთუ კელმწიფებად აქუს ძესა კაცისასა ქუეყანასა ზედა მიტევებად ცოდვათა, – და ჰრქუა განრღუეულსა მას:

10. განრღუეულსა $|$ განრღუეულსა $| f |$

11. შენ გეტყვ: აღდეგ და აღილე ცხედარი შენი და წარვედ სახიდ შენდა!

12. და მეყსეულად აღდგა იგი და აღილო ცხედარი თვისი და გამოვიდა წინაშე ყოველთასა, ვითარმედ განუკურდებოდაცა ყოველთა და აღიღებდეს ღმერთსა და იტყოდეს, ვითარმედ: არასადა ესრეთ ვიხილეთ.

13. და კუალად განვიდა ზღვსკიდესა, და ყოველი ერი მოვიდოდა მისა, და მუნ ასწავებდა მათ.

13. კუალად $|$ მერმეცა $| 0 \cdot af |$ განვიდა $|$ წარმოვიდოდა $| 0 \cdot af |$ ყოველი $| +$ იგი $| 0 \cdot af |$ მოვიდოდა $|$ მოსდევდა $| 0 \cdot af |$ მისა $|$ მას $| 0 \cdot af |$

14. და წარ-რამ-ვიდოდა, იხილა ლევი ალფესი, მჯდომარე საზუერესა ზედა, და ჰრქუა მას: მომდევდი მე! – და აღდგა და მისდევდა მას.

14. და $| +$ მერმე $| 0 \cdot af |$ წარ-რამ-ვიდოდა $|$ წარმოვიდოდა $| af |$ წარ-რამ-ვიდოდა $| +$ და $| 0 \cdot af |$ მჯდომარე $|$ ჯდა რამ $| 0 \cdot af |$ მჯდომარე $| +$ იგი $| 0 \cdot af |$

15. და იყო, ვითარცა ინაკით-ჯდა იგი სახლსა შინა მისსა, და მრავალნი მეზუერენი და ცოდვილნი სხდეს იესუმს თანა და მოწაფეთა მისთა თანა, რამეთუ იყენეს მუნ მრავალნი და მისდევდეს მას.

15. მეზუერენი $|$ მეზუერენი $| f |$

16. და მწიგნობართა მათ და ფარისეველთა ვითარცა იხილეს იგი, რამეთუ მეზუერეთა და ცოდვილთა თანა ჭამს, ეტყოდეს მოწაფეთა მისთა: რამათუს მეზუერეთა და ცოდვილთა თანა ჭამს და სუამს?

16. მეზუერეთა $|$ მეზუერეთა $| f |$ ეტყოდეს $|$ ჰრქუეს $| 0 \cdot af |$ მეზუერეთა $|$ მეზუერეთა $| f |$ ჭამს $|$ სჭამთ $| 0 \cdot af |$ სუამს $|$ სუამთ $| a,$ სუამთ $| 0 \cdot f |$

17. და ესმა ესე იესუს და ჰრქუა მათ: არა უკმს ცოცხალთა მკურნალი, არამედ სნეულთა. არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა – სინანულად.

18. და იყვნეს მოწაფენი იოვანესნი და ფარისევლნი მარხვასა შინა, და მოვიდეს მისა და ჰრქუეს მას: რადსათუხ მოწაფენი იოვანესნი და ფარისევლთანი იმარხვენ, და მოწაფენი შენნი არა იმარხვენ?

18. ფარისევლთანი¹ | ფარისევლთანი a |

19. ჰრქუა მათ იესუ: ვერ კელ-ეწიფების ძეთა სიძისათა, ვიდრე სიძე იგი მათ თანა არს, მარხვად.

19. სიძე | სიძე f |

20. არამედ მოვლენან დღენი, ოდეს ამალდეს სიძე იგი მათგან, და მაშინ იმარხვიდენ, მას დღესა შინა.

20. სიძე | სიძე f |

21. არა ვინ სადგმელი ახალი დაადგის სამოსელსა ძუელსა, უკუეთუ არა, მოაპის მისგან ცოცხალიცა იგი ახალმან მან ძუელისაჲ მის, და უძრესად განიპის.

21. ძუელსა | ძუელსა f | ძუელისაჲ | ძუელისაჲ f |

22. და არა ვინ შთაასხის ღვინოჲ ახალი თხიერთა ძუელთა, რადთა არა განხეთქნეს ღვინომან ახალმან თხიერნი იგი, და ღვინოჲ დაითხიოს, და თხიერნი წარწყმდენ; არამედ ღვინოჲ ახალი თხიერთა ახალთა შთაასხიან.

22. ძუელთა | ძუელთა f |

23. და იყო, ვითარ-იგი თანაწარჰვიდოდა შაბათსა ყანებისაგან, და მოწაფეთა მისთა იწყეს გზასა სლვად და მუსრვად თავსა კუვილისასა.

23. კუვილისასა | კუვისასა o*, კუვილისასა f |

24. ხოლო ფარისევლნი იგი ეტყოდეს მას: იხილე, რასა ზმენ მოწაფენი შენნი შაბათსა შინა, რომელი არა ჯერ-არს ყოფად!

25. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: არასადა აღმოგიკითხავსა, რად-იგი ყო დავით, რაჟამს-იგი უკმდა და შეემშია მას და მისთანათა?

26. ვითარ-იგი შევიდა სახლსა ღმრთისასა აბიათარ მღვდელთმოდურისა ზე და პურნი იგი შესაწირავთანი შეჭამნა და სცა მისთანათაცა, რომელთაჲ არა ჯერ-არს ჭამად, გარნა მღვდელთა ხოლო.

26. ზე | ზე a | რომელთაჲ | რომელი o*af | ჭამად | ჭამად f | მღვდელთა | მღვდელთა of |

27. და ეტყოდა მათ: შაბათი კაცისათუხ დაებადა, და არა თუ კაცი შაბათისათუხ.

28. ვინაჲცა უფალ არს ძე კაცისაჲ შაბათისაცა.

28. ვინაჲცა | არამედ o*af | ძე | ძე a | შაბათისაცა | შაბათისა o*af |

3

1. და მერმე შევიდა შესაკრებელსა. და იყო მუნ კაცი, რომელსა კელი განკმელ ეღვა.

2. და უმზირდეს მას, უკუეთუ შაბათსა განკურნოს იგი, რაათა შეასმინონ იგი.

3. და მას ჟამსა ჰრქუა იესუ კაცსა მას, რომელსა კელი განკმელ ეღვა: აღდგე და წარმოდგე შორის!

4. და ჰრქუა მათ იესუ: ჯერ-არსა შაბათსა შინა კეთილისა საქმს, ანუ ბოროტისაჲ? სულისა ცხოვნებაჲ, ანუ მოკლვაჲ? ხოლო იგინი დუმნეს.

4. შინა] > o*af | საქმს]საქმე of | ცხოვრებაჲ]ცხ~რბჲ o*af, ცხვ~ნებაჲ o° | მოკლვაჲ]წარწყმელაჲ o*af |

5. და მიმოიხილა მათა რისხვით და მწუხარედ სიბრძმისათჳს გულთა მათთაჲსა და ჰრქუა კაცსა მას: განირთხ კელი შენი! – და მან განირთხა, და კუალად მოეგო კელი იგი, ვითარცა ერთი იგი.

5. განირთხა] + კელი o*af |

6. და ვითარცა გამოვიდეს მიერ ფარისეველნი იგი ჰეროდიაწელთა თანა, ზრახვა-ყვეს მისთჳს, რაათა წარწყმიდონ იგი.

7. ხოლო იესუ მოწფითურთ განეშორა მათგან და მოვიდა ზღვსკიდედ, და მრავალი ერი შეუდგა მას გალილეაჲთ და ჰურიასტანით,

7. მას] > af | ჰურიასტანით]ჰურასტანით a | მას] > o* |

8. იერუსალჴმით და იდუმიამთ, წიად იორდანით და ტზროსით კერძო და სიღონით. ესმა მრავალსა სიმრავლესა, რაოდენსა-იგი იქმოდა, და მოვიდეს მისა.

8. იდუმიამთ]იდუმიამთ af | კერძო]კერძონი o*af | სიღონით]სიღონიამთ o*af | რაოდენსა]რაგდენსა af | მოვიდეს]მოვილოდეს o*af |

9. და ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა, რაათა ნავი განუმზადონ მას ერისა მისთჳს, რაათა არა შეაიწრონ იგი.

9. შეიწრონ]შეეახლნენ o*af | იგი]მას და o*af |

10. რამეთუ მრავალთა განჰკურნებდა, ვითარმედ ზედაცა დაესხმოდა მას ერი იგი, რაათა შე-ოდენ-ეხნენ. და რაოდენთა აქუნდა უძლურებაჲ და შეეხნეს, განიკურნებოდეს.

10. რაოდენთა]რაგდენთა af |

11. და სულები იგი არაწმიდაჲ ხეღვიდეს მას და შეუვრდებოდეს, ღალადებდეს და იტყოდეს: შენ ხარ ძმ ღმრთისაჲ.

11. შეუვრდებოდეს|შეუვრდებოდეს $f | dx | dx$ of |
12. და ფრიად შეჭრისხნა მათ იესუ, რაათა არა გამოაცხადონ იგი.
13. და აღვიდა მთასა და მოუწოდა, რომელთაჲ უნდა მას; და მოვიდეს მისა.
13. აღვიდა| + იგი $a |$
14. და ყვნა ათორმეტნი იგი, რაათა იყვნენ მის თანა, და წარავლინნეს იგინი ქადაგებად,
14. ქადაგებად|ქადაგებად $o^* |$
15. და რაათა აქუნდეს კელმწიფებაჲ განსხმად ეშმაკთა.
15. რაათა| $> o^*af |$ აქუნდეს| + მათ $a |$
16. და დასდვა სახელები: სიმონს პეტრე,
16. პეტრე|პეტრე $a |$
17. და იაკობ ზებედესი და იოვანე, ძმაჲ იაკობისი; და დასდვა მათ სახელები ბანერგეს, რომელ არს: ძენი ქუხილისანი;
17. და| $> o^*af |$
18. ანდრეა და ფილიპე, ბართლომე და მატთეოს, თომა და იაკობ ალფესი, თადეოს და სიმონ კანანელი
18. და| $> a |$ ალფესი|ალფესი $a |$
19. და იუდა ისკარიოტელი, რომელმანცა მისცა იგი.
20. და მოვიდეს სახლსა, და შეკრბა კუალად მისა ერი, ვიდრემდის ვერ კელ-ეწიფებოდა მათ ვერცალა პურისა ჭამად.
20. ვიდრემდის|და $o^*af |$ კელ-ეწიფებოდა|კელ-ეწიფა $o^*af |$ ვერცალა|ვერცა $o^*af |$
21. და ესმა მის კერძოხსათა და გამოვიდეს შეპყრობად მისა, რამეთუ იტყოდეს, ვითარმედ: განკროთომილ არს.
21. გამოვიდეს|გამოვიდოდეს $o^*af |$
22. და მწიგნობარნი იგი, რომელნი იერუსალჴმით შთამოსრულ იყვნეს, იტყოდეს, ვითარმედ: ბელზებული მის თანა არს, და მთავრითა ეშმაკთაჲთა განასხამს ეშმაკთა.
23. და მოუწოდა მათ და იგავით ეტყოდა: ვითარ კელ-ეწიფების ეშმაკსა ეშმაკისა განკლად?
23. განკლად|განსხმაჲ $o^*af |$
24. და უკუეთუ მეუფებაჲ მეუფებასა განეველთას, ვერ კელ-ეწიფების დამტკიცებად მეუფებაჲ იგი.
24. განეველთას|განეველთას $o^* |$

25. და უკუეთუ სახლი სახლსა განეგლთას, ვერ კელ-ეწიფების სახლი იგი დამტკიცებად.

25. განეგლთას|განეგთას o^* |

26. და უკუეთუ ეშმაკი თავსა თვსსა ზელა აღდგომილ არს და განყოფილ არს, ვერ კელ-ეწიფების დამტკიცებად, არამედ აღსასრული აქუს.

27. და არცა ვის კელ-ეწიფების შესლვად სახლსა ძლიერისასა და ჭურჭელი მისი გამოტყუენვად, არა თუ პირველად ძლიერი იგი შეკრას და მაშინლა სახლი მისი გამოტყუენოს.

27. გამოტყუენვად|გამოტყუენვად f | გამოტყუენოს|გამოტყუენოს f |

28. ამენ გეტყვ თქუნ, ვითარმედ ყოველივე მიეტეოს ძეთა კაცთა ცოდვანი და გმობანი, რაოდენსაცა ჰგმობდენ;

28. რაოდენსაცა|რაოდენსაცა af |

29. ხოლო რომელმან თქუას გმობაჲ სულისა წმიდისათუს, არა აქუს მიტეებაჲ უკუნისამდე, არამედ თანამდებ არს საუკუნოჲსა საშჯელისა.

29. თქუას გმობაჲ| tr გმობაჲ თქუას a | უკუნისამდე $> a$ | არს| + იგი o^*f | საშჯელისა|სასჯელისა f |

30. რამეთუ იტყოდეს, ვითარმედ: სული არაწმიდაჲ არს მის თანა.

31. მოვიდეს უკუე ძმანი მისნი და დედაჲ მისი, და გარეშე დგეს და მოუვლინეს მას და გამოჰხადოდეს.

31. და მოვიდეს o^*af | უკუე $> o^*af$ | გამოჰხადოდეს|გამოხადოდეს of |

32. და სხდა გარემო მისა ერი მრავალი; და ვითარცა ჰრქუეს მას: აჰა, დედაჲ შენი და ძმანი შენნი გარე დგანან და გეძიებენ შენ,

32. და² $> a$ |

33. მიუგო იესუ და ჰრქუა: ვინ არს დედაჲ ჩემი, ანუ ძმანი ჩემნი?

34. და მიმოიხილა გარემო მისა მოწაფეთა თვსთა მსხლომარეთა და ჰრქუა: აჰა, დედაჲ ჩემი და ძმანი ჩემნი!

35. რამეთუ, რომელმან ყოს ნებაჲ ღმრთისაჲ, ესე არს ძმაჲ ჩემი და დაჲ ჩემი და დედაჲ ჩემი.

4

1. მერმე კუალად იწყო სწავლად ზღვსკიდესა; და შეკრბა მისა ერი მრავალი, ვიდრე შესლვადმდე მისა ნავად, და დაჯდა იგი ნავსა მას ზღუასა შინა; და ყოველი იგი ერი ზღვსკიდესა ქუეყანასა ზელა დგა.

1. ზღვსკიდესა| + ზელა o^*af |

2. და ასწავებდა მათ იგავით ფრიად და ეტყოდა მათ სწავლასა მას მისსა:

3. ისმინეთ ესე: გამოვიდა მთესვარი თესვად.
4. და იყო თესვასა მას მისსა, რომელიმე დავარდა გზასა ზედა, მოვიდეს მფრინველნი და შეჭამეს იგი.
5. და სხუად დავარდა კლდოვანსა ზედა, სადა არა იყო მიწად ფრიად, და მეყსეულად აღმოსცენდა, და რამეთუ არა იყო სიღრმე მიწისად,
5. კლდოვანსა|კლდოვანსა a | ზედა > f | აღმოსცენდა|აღმოსცელა a | სიღრმესიღრმს a |
6. და ვითარცა მზს აღმოჰკდა და დასცხა, და, რამეთუ ძირნი არა დაებნეს, განკმა.
6. მზს|მზე f |
7. და სხუად დავარდა ეკალთა შორის; და აღმოსცენდეს ეკალნი და შეაშთვეს იგი, და ნაყოფი ვერ გამოიღო.
7. ეკალნი|+ იგი a |
8. და სხუად დავარდა ქუეყანასა კეთილსა და მოსცემდა ნაყოფსა, აღმოვიდოდა და აღორძნდებოდა და მოაქუნდა ოცდაათეული, სამეოცეული და ასეული.
8. სამეოცეული o*|სამოცეული o^af |
9. და ეტყოდა: რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!
10. და ოდეს იყო იგი თჳსაგან, ჰკითხეს მას მოწაფეთა მისთა: რად არს იგავი ესე?
11. ხოლო იგი ეტყოდა მათ: თქუნდა მოცემულ არს ცნობად საიდუმლოდ იგი სასუფვეელისა ღმრთისად, ხოლო გარემეთა მათ – ყოველივე იგავით სიტყუად.
12. რამათა ხედვით ხედვიდენ და არა იხილონ და სმენით ესმოდის და ვერ გულისკმა-ყონ, ნუუკუე მოიქცენ და მიეტეოს მათ ცოდვაჲ მათი.
12. რამათა|რამეთუ o*af | ნუუკუენუუკუზ of |
13. და ჰრქუა მათ: არა იცითა იგავი ესე? და ვითარ უკუე ყოველნი იგავნი გულისკმა-ჰყენეთ?
13. უკუე|უკუზ of | -ჰყენეთ-ჰყენით a |
14. რომელი-იგი სთესავს, სიტყუასა მას სთესავს.
14. მას| > a |
15. ხოლო ესენი არიან, რომელნი-იგი გზასა ზედა, სადა-იგი დაეთესის სიტყუად; და რაჟამს ისმინიან, მეყსეულად მოვიდის ეშმაკი და მიუღის მათ სიტყუად იგი გულთაგან მათთა.
15. ისმინიან|+ სიტყუად იგი მისი o*af |

16. და ესენი არიან კლდოვანსა მას დათესულნი, რომელთა-იგი რაჟამს ისმინიან სიტყუაჲ, მეცხეულად სიხარულით მიიღიან,
17. და, რამეთუ არა უბნ ძირი მათ შორის, არამედ საწუთო არიედ; და, რაჟამს მოიწიის ჭირი, ანუ ღვეწულებაჲ სიტყვსა მისთჳს, მეცხეულად დაბრკოლდიან.
17. დაბრკოლდიან|დაპბრკოლდიან a |
18. და რომელნი ეკალთა შორის დაეთესნეს, ესენი არიან, რომელთა სიტყუაჲ იგი ისმინიან,
19. და ზრუნვანი ამის სოფლისანი და საცთური სიმდიდრისაჲ შეუკდის, და შეაშთვიან სიტყუაჲ იგი, და უნაყოფო იქმნის.
20. და ესენი არიან, რომელნი კეთილსა ქუეყანასა დაეთესნეს, რომელთა ისმინიან სიტყუაჲ იგი და შეიწყნარიან და ნაყოფი გამოიღიან ოცდაათეული და სამოცეული და ასეული.
20. ესენი| > o*af | და⁴ | > af | სამოცეული|სამოცეული ao |
21. და ეტყოდა მათ: ნუ სანთელი მოიღიან და კჳძირსა ქუეშე შედგიან, ანუ ცხედარსა ქუეშე დადგიან? ანუ არა სასანთლესა ზედა დადგიან?
21. ქუეშე¹ქუეშე f | ქუეშე²ქუეშე f | დადგიან|დაადგიან o* |
22. რამეთუ არა არს დაფარული, რომელი არა გამოცხადნეს, არცა იყოს საიდუმლოდ, არამედ რაჲთა განცხადებულად მოვიდეს.
23. რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!
24. და ეტყოდა მათ: იხილეთ, რაჲ-ესე გესმის: რომლითა საწყაულითა მიუწყოთ, მოგეწყოს თქუენ და ზედადაგერთოს თქუენ, რომელთა-ეგე გესმის.
25. რამეთუ, რომელსა აქუნდეს, მიეცეს მას, და, რომელსა არა აქუნდეს, და რომელთა-იგი აქუნდეს, მო-ვე-ელოს მას.
25. რამეთუ|ხოლო a | აქუნდეს²აქუს of |
26. და ეტყოდა მათ: ესრეთ არს სასუფეველი ღმრთისაჲ, ვითარცა-იგი კაცმან დასთესის თესლი ქუეყანასა
27. და დაიძინის; და აღდგის ღამე და ღღე, და თესლი იგი აღმოსცენდის და განორძნდებინ, ვითარ-იგი მან არა უწყინ,
27. დაქელამჲ a | ღღელღჲ a | თესლი|თესული a |
28. რამეთუ თჳსით თავით ქუეყანაჲ ნაყოფსა გამოიღებს: პირველად წუელი, მერმე თავი, მაშინლა სავსე იფქლი თავსა მას შინა.
28. გამოიღებს|გამოიღებნ af | წუელი|წუელი f | სავსესავს a |
29. და რაჟამს მოსცის ნაყოფი, მეცხეულად მოავლინის მანგალი, რამეთუ მოიწია მკაჲ.

30. და ეტყოდა: რასა გამსგავსოთ სასუფეველი ღმრთისაჲ? ანუ რომელი იგავი მოვილოთ მისთვის?

30. გამსგავსოთ|გამსგავსო o* | მოვილოთ|მოვილო o*f |

31. ვითარცა მღოვჯსა მარცუალი, რომელი დაეთესის ქუეყანასა, რამეთუ უმცირეს არს იგი ყოველთა თესლთა, რომელნი არიან ქუეყანასა ზედა.

32. და ოდეს დაეთესის, და აღმოკდის და იქმნის იგი უფროჲს ყოველთა მხალთა და გამოიხუნის რტონი დიდ-დიდნი, ვითარმედ შესაძლებელ არნცა ქუეშე საგრილსა მისსა მფრინველთა ცისათა დადგრომად.

32. ქუეშე|ქუშე f |

33. და ესევეითარითა იგავითა ეტყოდა მათ სიტყუასა, ვითარცა შემძლებელ იყვნეს იგინი სმენად.

34. და თჳნიერ იგავისა არა რას ეტყოდა მათ; ხოლო თჳსაგან მოწაფეთა გამოუთარგმანის იგი ყოველი.

34. და'] > f | გამოუთარგმანის|გამოუთარგმანის a |

35. მას ღლესა შინა, ვითარცა შემწუხრდა, ჰრქუა მათ: წიაღვეკდეთ მიერ კერძო.

36. და დაუტევეს ერი იგი და წარიყვანეს იგი მოწაფეთა, ვითარცა იყო ნავსა მას შინა, და სხუადცა ნავები, რომელ იყო მის თანა.

36. რომელ|რომელი a |

37. და იყო მეყსეულად ბორბალი ქარისაჲ დიდი და ღელვასა მას შთაასხმიდა ნავსა, ვითარმედ აღ-ცა-ივსებოდა ნავი იგი.

38. და თავადი იყო პირით კერძო თავსა მის ნავისასა და ეძინა. და განაღძებდეს მას და ეტყოდეს: მოძღუარ, არას ჰზრუნავ, რამეთუ წარვწყმდებით?

39. და აღღგა და შეჰრისხნა ქარსა მას და ზღუასა და ჰრქუა: დადუმენ და პირი დაიყავ! – და დასცხრა ქარი იგი, და იქმნა დაყულება დიდ.

40. და ჰრქუა მათ: რაჲსა ესოდენ მოშიშ ხართ? ვითარ არა გაქუს სარწმუნოებაჲ?

41. და შეეშინა მათ შიშითა დიდითა და იტყოდეს ურთიერთას: ვინმე არს ესე, რამეთუ ქარნიცა და ზღუადცა ერჩიან მას?

5

1. და მოვიდეს წიაღ ზღუასა მას, სოფელსა მას დადარინელთასა.

1. მოვიდეს|მოვიდა af |

2. და ვითარცა გამოვიდა იგი ნავით, მეყსეულად მოეგებოდა მას საფლავებისაგან კაცი, რომლისა თანა იყო არაწმიდაჲ სული,
2. რომლისა|რლ~სა o*, რლ~ისა o^c |
3. რომელსა საყოფლადვე აქუნდა საფლავები და არცაღა ჯაჭუებითა ვის კელ-ეწიფა შეკრვად იგი.
3. საყოფლადვე|საყოფლად f | ჯაჭუებითა|ჯაჭუშბითა f |
4. რამეთუ მრავალგზის ჯაჭუთა და ბორკილითა შეკრულ იყო იგი და განხეთქის და შემუსრის, და არა ვის ეძლო დაყენებად მისა.
5. და მარადის ღამე და ღღე საფლავებსა და მათთა გარე იქცევიან, ღალადებნ და დაიკოდნ თავსა თუსსა ლოდითა.
5. ღამე|ღამშ a | ღღე|ღღშ a |
6. და ვითარცა იხილა მან იესუ შორით, მორბიოდა და თაყუანის-სცა,
7. ღალადებდა კმითა ღიდითა და იტყოდა: რაჲ ძეს ჩემი და შენი, იესუ, ძეო ღმრთისა მალღისაო? გაფუცებ შენ ღმერთსა, ნუ მტანჯავ მე.
7. ჩემი|ჩ~ნი f | შენი|შ~ნი f | ძეო|ძშო a |
8. რამეთუ ეტყოდა მას იესუ: სული ეგე არაწმიდაჲ, განვედ კაცისა მაგისგან!
9. და ჰკითხა მას: რაჲ არს სახელი შენი? და ჰრქუა მას: ლეგეონ არს სახელი ჩემი, რამეთუ მრავალ ვართ.
10. და ევედრებოდა მას ფრიად, რაჲთა არა განასხნეს იგინი გარეშე სოფელსა.
11. და იყო მუნ კოლტი ღორთაჲ ღიდძალი, მთასა გარე მძოვარი.
12. და ევედრებოდეს მას ყოველნი იგი ეშმაკნი და ეტყოდეს: მიმავლინენ ჩუენ ღორებსა იმას, რაჲთა მათა შევიდეთ.
13. და უბრძანა მათ და განვიდა სულეები იგი არაწმიდაჲ კაცისა მისგან და შევიდა ღორებსა მას, და მიიმართა კოლტმან მან ღორებისამან კბოდესა მას ზღუად, რამეთუ იყვნეს ვითარ ორ ათას, და დაიშთენეს ზღუასა მას შინა.
14. ხოლო მწყემსნი იგი მათნი ივლტოდეს და უთხრეს ქალაქსა და დაბნებსა. და გამოვიდეს ხილვად, რაჲძი არს, რომელი-იგი იქმნა.
14. მწყემსნი|მწყემში o | და³ | > a |
15. და მოვიდეს იესუჲსა და იხილეს ეშმაკეული იგი მჯდომარე, შემოსილი და გონიერი, რომლისა თანა-იგი ყოფილ იყო ლეგეონი, და შეეშინა.
15. მჯდომარე|მჯდომარეშ a | თანა-იგი|თანა f |

16. და უთხრობდეს მათ, რომელთა-იგი ეხილვა, ვითარ-იგი იქმნა ეშმაკეულისა მისთვის და ღორებისა მისთვის.
16. მისთვის²] > a |
17. და ევედრებოდეს მას, რაათა წარვიდეს საზღვართა მათთაგან.
17. და აღ-რა-ად-ვიდა იესუ ნავსა, ევედრებოდა მას, რომელი-იგი იყო პირველ ეშმაკეული, რაათა მის თანა იყოს.
18. ეშმაკეული¹ეშმაკულ a |
19. და არა უტევა იგი, არამედ ჰრქუა მას: წარვედ სახიდ შენდა თვსთა შენთა თანა და უთხარ მათ, რაოდენი გიყო შენ უფალმან და შეგიწყალა.
19. რაოდენი¹რაოდენი af | უფალმან¹ღ¹ნ a |
20. და წარვიდა იგი და იწყო ქადაგებად ათქალაქსა მას, რაოდენი უყო მას იესუ: და ყოველთა უკურდა.
20. ათქალაქსა¹ქალაქსა o* | მას¹მათ f | რაოდენი¹რაოდენი af |
21. და წიაღჯდა რა-ად კუალად იესუ მიერ კერძო, შეკრბა მისა ერი დიდძალი. და იყო ზღვსკიდესა,
21. და, აჰა, მო-ვინმე-ვიდა მისა ერთი შესაკრებელისმთავარი, სახელი მისი იაროს; იხილა იგი და შეუვრდა ფერკთა მისთა.
22. შესაკრებელისმთავარი¹შესაკრებელისმთავარი a | ფერკთა¹ფერთა f |
23. და ევედრებოდა მას ფრიად და ეტყოდა, ვითარმედ: ასული ჩემი აღესრულების, რაათა მოხვდე და დაასხნე კელნი მას ზედა და განერეს და ცხოვნდეს.
23. ზედა¹] > o*af | და⁴] > o*af | ცხოვნდეს¹ცხოვნდეს a |
24. და წარვიდა იესუ მის თანა. და მისდევდა მას ერი მრავალი და შეაურვებდეს მას.
24. მისდევდა¹მისდევდეს f | შეაურვებდეს¹შეაურვებდა o*f |
25. და დედაკაცი ვინმე იყო მუნ, რომელი იყო წყაროათა სისხლისათა გუემულ ათორმეტ წელ.
25. ვინმე¹] > o*af, ვინე o^c | მუნ¹მონ o | წყაროათა¹წროათა o* | გუემულ¹გუემულ f |
26. და ფრიად ვნებულ იყო იგი მრავალთაგან მკურნალთა და წარეგო ყოველივე მისი, და არარა-ად სარგებელ ეყო, არამედ უფრო-ად უძვრესად მოვიდა.
26. იგი¹] > a | წარეგო¹წარგო a | უფრო-ად¹] + და f |
27. და ვითარცა ესმა იესუ-მისთვის, მოუკდა მას ერსა მას შორის ზურგიით კერძო და შეახო სამოსელსა მისსა,
27. და²] > f; მისსა¹მისა f |

28. რამეთუ იტყოდა გულსა შინა თუსსა: დაღათუ სამოსელსა ოდენ მისსა შევებო, ვცხოვნიდე.

28. შინა] > o*af | მისსა]მისა f | შევებო]შევახო o*af | ვცხოვნიდე]ვცხოვნიდე oaf |

29. და ვითარცა შეენო, მეცხუელად განკმა წყაროჲ იგი სისხლისაჲ მის, და ცნა კორცთაგან, რამეთუ განიკურნა გუემულებისაგან.

29. შეენო]შეახო o*af | გუემულებისაგან]გუემულებისაგან f |

30. ხოლო იესუ გულისკმა-ყო მეცხუელად თავით თუსით განსრული იგი ძალი მისგან, მოიქცა ერისა მის და თქუა: ვინ შემახო სამოსელსა ჩემსა?

30. მისგან] + და a |

31. ხოლო მოწაფენი მისნი ეტყოდეს მას: ხელავა ერსა ამას, რამეთუ შეგაჭირვებენ შენ, და შენ იტყუ: ვინ შემახო მე?

31. ხელავა]ხელავ oaf | შეგაჭირვებენ]შეგაჭირვებენ a |

32. და მიმოჰხედვიდა, რაჲთა იხილოს, რომელმან ესე ყო.

32. მიმოჰხედვიდა]მიმოხედვიდა oa, მიმოიხედვიდა f |

33. ხოლო დედაკაცსა მას შეეშინა და ძრწოდა, უწყოდა, რაჲ-იგი იქმნა მის ზედა, მოვიდა და შეუერდა მას და უთხრა მას ყოველივე ჭეშმარიტი.

33. უწყოდა] > o*af | ჭეშმარიტი]ბრალი o*af |

34. ხოლო თავადმან ჰრქუა მას: ასულო, სარწმუნოებაჲმან შენმან გაცხოვნა შენ. წარვედ მშჯლობით და იყავ შენ ცოცხალ გუემულებისაგან შენისა!

34. წარვედ] + სახიდ შენდა o*af | გუემულებისაგან]გუემულებისაგან f |

35. და ვითარ იგი ამას იტყოდა, მოვიდეს შესაკრებელისმთავრისანი მის და ეტყოდეს: ასული შენი აღესრულა, რაჲსადა აშრომებ მოძღუარსა?

35. შესაკრებელისმთავრისანი]შესაკრებელისმთავრისანი af |

36. ხოლო იესუს ვითარ ესმნეს სიტყუანი ესე, რომელსა ეტყოდეს, ჰრქუა შესაკრებელთმთავარსა მას: ნუ გეშინინ, გარნა გრწმენინ ხოლო!

36. ესმნეს]ესმეს a |

37. და არავინ უტევა მიდევნებად მის თანა, გარნა პეტრე და იაკობ და იოვანე, მამა იაკობისი.

37. პეტრე]პეტრე a | და იაკობ] > f |

38. და მოვიდა სახლსა მას შესაკრებელთმთავრისასა და იხილა შფოთი და ტირილი და ღალადებაჲ ფრიადი.

38. მოვიდა]მოვიდეს o*af | იხილა]იხილეს o*af |

39. და შევიდა და ჰრქუა მათ: რაჲსა აღშფოთებულ ხართ და სტირთ? ყრმაჲ ეგე არა მომკუდარ არს, არამედ სძინავს.

40. და იგინი ჰბასრობდეს მას, ხოლო თავადმან გამოასხა ყოველი იგი შფოთი და მიიყვანა მამაჲ მის ყრმისაჲ და ღელაჲ და მოწაფენი მისნი, და შევიდა, სადა-იგი იღვა მკუდარი იგი ყრმაჲ,

41. და უპყრა კელი ყრმისაჲ მის და ჰრქუა მას: ტალითა კუმი! – რომელ არს თარგმანებით: შენ გეტყუ, ყრმაო, აღდეგ!

42. და მეცხეულად აღდგა ქალი იგი და იწყო სლვად, რამეთუ იყო იგი ათორმეტის წლის ოდენ. და განუკურდებოდა მათ განკურვებითა ღიღითა ფრიად.

42. წლის|წლისა a |

43. და ამცნებდა მათ ფრიად, რათა არა ვინ აგრძნას ესე, და უბრძანა მათ, რათა სცენ მას ჭამადი.

43. მათ¹ | > o*f | აგრძნას|აგრძნეს f |

6

1. და გამოვიდა მიერ და მოვიდა თუსა მამულად, და მოსდევდეს მას მოწაფენი მისნი.

2. და იყო შაბათი, და იწყო შესაკრებელსა მათსა სწავლად მათა. და მრავალთა, რომელთა ესმოდა, განუკურდებოდა და იტყოდეს: ვინაჲ არს ესე ამისა? ანუ რაჲ არს სიბრძნე ესე, მოცემული ამისა, და ძალნი ესეოდენნი, კელთაგან ამისთა რომელნი იქმნებია?

2. განუკურდებოდა|განუკურდებოდა o | ვინაჲ|ვინა o* | სიბრძნე|სიბრძნე a | მოცემული|მოცემულ a | ძალნი|ძალი af | ესეოდენნი|ესოდენი o*af, ესოდენნი o^c |

3. ანუ არა ესე არსა ხურომსაჲ მის და ძმ მარიამისი და ძმაჲ იაკობისი და იოსესი, იუდაჲსი და სიმონისი, და დანი მისნი ყოველნი ჩუენ თანა არიან? – და დაბრკოლდებოდეს მისა მიმართ.

3. ხურომსაჲ|ხურომსა f | ძმ|ძე of | მისა|მისსა o |

4. ხოლო იესუ ეტყოდა: არა არს წინაწარმეტყუელი შეურაცხ, გარნა თუსსა სოფელსა და ნათესავთა შორის მისთა და სახლსა შინა თუსსა.

5. და არა ქმნა მუნ ძალი არცა ერთი, გარნა მცირედთა სნეულთა კელი დასდვა და განკურნნა იგინი.

5. განკურნნა|გ-ნურნნა a |

6. და დაუკურდა ურწმუნობაჲ იგი მათი და მიმოიქცეოდა გარემო სოფლებსა მას და ასწავებდა მათ.

7. და მოუწოდა ათორმეტთა მათ და იწყო წარვლინებად მათა ორ-ორისა და მისცემდა კელმწიფებასა სულთა ზედა არაწმიდათა.

8. და ამცნებდა მათ, რათა არა რაჲ მიიღონ გზასა ზედა, გარნა კუერთხი ხოლო: ნუცა ვაშკარანი, ნუცა პური, ნუცა სარტყელსა რვალი.

8. კუერთხი|კუეთხი a , კუზრთხი f |
9. და რაათა ესხნენ სანდალნი, და ნუცა შემოსად ორი სამოსელი.
10. და ეტყოდა მათ: ვიდრეცა შეხვდეთ სახლსა, მუნ დაადგერთ, ვიდრე მიერ გამოსლვადმდე.
11. და რაოდენთა არა შეგიწყნარნენ თქვენ და არცა ისმინონ თქუენი, გამო-რაფ-ხვლოდით მიერ, განიყარეთ მტუერი ფერკთაგან თქუენთა საწამებელად მათა. ამენ გეტყუ თქუენ, უმოლხინეს იყოს სოლომისა და გომორისა დღესა მას საშჯელისასა, ვიდრე ქალაქისა მის.
11. რაოდენთა|რაოდენთა o , რაოდენთა af | მტუერი|მტუერი f | ფერკთაგან|ფერკთაგან a | იყოს | $> o^*$ | ქალაქისა მის|ქალაქი იგი o^*af |
12. და გამოვიდეს და ქადაგებდეს, რაათა შეინანონ.
13. და ეშმაკნი მრავალნი განასხნეს და სცხებდეს ზეთსა მრავალთა სნეულთა და განჰკურნებდეს.
14. და ესმა ჰეროდეს მეფესა, რამეთუ განცხადნა სახელი მისი, და იტყოდა, ვითარმედ: იოვანე ნათლისმცემელი მკუდრეთით აღდგომილ არს, და მისთვის იქმნებიან ძალნი მის თანა.
15. და სხუანი იტყოდეს: ელია არს, გინა ვითარცა ერთი წინაწარმეტყუელთაგანი პირველთაჲ.
16. ესმა რაფ ჰეროდეს, თქუა, ვითარმედ: რომელსა მე თავი მოვჰკუეთე იოვანეს, იგი აღდგომილ არს მკუდრეთით.
16. მოვჰკუეთე|მოვჰკუეთე f |
17. რამეთუ ამან ჰეროდე მიავლინა და შეიპყრა იოვანე, შებორკილა იგი და შესუა საპყრობილედ ჰეროდიადასთვის, ცოლისა ფილიპესა, ძმისა მისისა, რამეთუ იგი შეირთო ცოლად.
17. ჰეროდიადასთვის|ჰეროდიადასთვის oaf |
18. რამეთუ ეტყოდა იოვანე ჰეროდეს, ვითარმედ: არა ჯერ-არს შენდა, ვითარმცა ცოლად გესუა ძმისცოლი შენი.
18. იოვანე|იოვანე a |
19. ხოლო ჰეროდისა გულსა დაედვა მისთვის და უნდა მოკლვამ მისი და ვერ კელ-ეწიფა.
19. ვერ|ვერარაჲ a , ვერ რაფ o^*f |
20. რამეთუ ჰეროდეს ეშინოდა იოვანესა და იცოდა იგი, რამეთუ კაცი მართალი და წმიდაჲ არს, და სცვიდა მას და ისმინის მისი და მრავალსა პატივსა უყოფდა და ჯეროვნად ისმენდა მისსა.

21. და ვითარცა იყო დღს მარჯუშ, ოდეს ჰეროდე ჟამსა შობისა მისისასა სერი უმზადა მთავართა მისთა და ათასისთავთა მისთა და აზნაურთა გალილეამსათა,

21. დღს|დღე of | მარჯუშ|მარჯუე o | გალილეამსათა|გალილეამსათა a |

22. და შევიდა ასული ჰეროდიადასი და როკვიდა; და სთნდა ჰეროდეს და მის თანა მინაჯეთა. და ჰრქუა ჰეროდე მეფემან ქალსა მას: მთხოვე, რადცა გნებავს, და მიგცე შენ.

22. ჰეროდიადასი|ეროდიადასი a, ჰეროდიადასი of |

23. და ეფუცა მას, ვითარმედ: რადცა ითხოვო, მიგცე შენ, ვიდრე ზოგადმდე მეფობისა ჩემისა.

23. ითხოვო|ითხოო oa | მეფობისა|მეფეობისა o* |

24. ხოლო იგი გამოვიდა და ჰკითხა დედასა თუსსა, ვითარმედ: რად ვითხოვო? ხოლო მან ჰრქუა მას: თავი იოვანე ნათლისმცემლისაჲ.

24. ვითხოვო|ვითხოო of |

25. და შევიდა ქალი იგი მსწრაფლ მეფისა და ჰრქუა: მნებავს, რადთა აწვე მომცე მე ლანკითა თავი იოვანე ნათლისმცემლისაჲ.

25. მე| > o* | ლანკითა|ლანკითა of |

26. და მწუხარე იქმნა ჰეროდე მეფე, ხოლო ფიცისა მისთვის და მის თანა მინაჯეთა არა ინება შეურაცხ-ყოფაჲ ქალისაჲ მის.

26. ჰეროდე|ჰეროდს a | მეფე|მეფეს oa |

27. და მეცხუელად წარავლინა მეკრძლე მისი და უბრძანა მოღებად თავი მისი.

27. მეკრძლე|მეკრძლს a |

28. ხოლო იგი წარვიდა და მოჰკუეთა თავი საპყრობილესა შინა და მოიღო თავი მისი ფეშხუნითა და მისცა ქალსა მას, და ქალმან მან მიართუა დედასა თუსსა.

28. მოჰკუეთა|მოჰკუთა f | ფეშხუნითა|ფეშხუნითა f |

29. და ესმა მოწაფეთა მისთა, მოვიდეს და შემოსეს გუამი მისი და დაჰფლეს საფლავსა.

30. და მოვიდეს და შემოკრბეს მოციქულნი იესუდსა და უთხრეს მას ყოველი, რადენი ქმნეს და ასწავეს.

30. რადენი|რადენი af |

31. და ჰრქუა მათ იესუ: მოვედით თქვენ თუსაგან უდაბნოსა ადგილსა და განისუენეთ მცირედ. რამეთუ იყვნეს მომავალნი და წარმავალნი მრავალ და არცაღა პურისა ჭამად აცალებდეს.

31. განისუენეთ|განისუნეთ f |

32. და წარვიდეს უდაბნოსა ადგილსა ნავითა თვსაგან.
33. და იხილა ერმან მან, წარ-ლა-ვიდოდეს, და გულისკმა-ყვეს მრავალთა, და მკურცხლ ყოვლისაგან ქალაქებისა შეკრბა მუნ და მოვიდეს მათა.
34. და გამოვიდა იესუ და იხილა ერი მრავალი და შეეწყალნეს ივინი, რამეთუ იყვნეს, ვითარცა ცხოვარნი, რომელთა არა აქუნ მწყემსი. და იწყო სწავლად მათდა ფრიად.
35. და ვითარ მრავალი ჟამი წარსრულ იყო, მოვიდეს მოწაფენი მისნი და ეტყოდეს მას, ვითარმედ: უდაბნო არს ადგილი ესე, და ჟამი არსლა ფრიად.
36. განუტევე ერი ესე, რამთა წარვიდენ გარემო სოფლებსა და სანახებსა და იყიდონ თავისა მათისა საზრდელი, რამეთუ, რამცა ჭამეს, არა აქუს.
36. სოფლებსა|სოფლებისა af | და¹ | > o*af | საზრდელი|რამ იგი ჭამონ o*af |რამეთუ რამცა ჭამეს, არა აქუს | > o*af |
37. ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მათ: ეცით თქუენ მაგათ ჭამადი! – ხოლო მათ ჰრქუეს მას: წარვიდეთ და ვიყიდოთ ორასისა დრაჰკინისა პური და ვსცეთ მათ ჭამადი.
38. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: რაოდენი გაქუს პური? მივედით და იხილეთ! – და იხილეს და ჰრქუეს: ხუთი პური და ორი თევზი.
38. რაოდენი|რაოდენი af |
39. და უბრძანა მან დასხდომად მათ ყოველთად პურისმტედ-პურისმტედ მწუანვილსა ზედა თივისასა.
40. და დასხდა მწყობრად-მწყობრად ას-ასი და ერგასის-ერგასისი.
40. მწყობრად-მწყობრად | + მწყობრად და a |
41. და მოილო ხუთი იგი პური და ორი თევზი და აღიხილნა ზეცად და აკურთხა და დამუსრა პური იგი და მისცემდა მოწაფეთა თვსთა, რამთა დაუგონ მათ; და ორი იგი თევზი ეგრეთვე განუყო ყოველთა.
41. განუყო|განყოფილი o |
42. და ჭამეს ყოველთა და განძღეს.
43. და აღიღეს ნეშტი ნამუსრევი ათორმეტი გოდორი სავსებით; და თევზისა მისგანცა.
44. და იყვნეს, რაოდენთა-იგი ჭამეს, ვითარ ხუთ ათას კაცნი.
44. რაოდენთა-იგი|რაოდენთა-იგი af |
45. და მეყსეულად აიძულა მოწაფეთა შესლვად ნავსა, რამთა წინაწარუძღუენ მას წიადკერძო ზღუასა მას ბეთსაიდად, ვიდრემდე განუტეოს მან ერი იგი.
45. აიძულა | + იესუ o*af | წინაწარუძღუენ | წინაწარუძღუენ f |

46. და უჯგმნა მათ და აღვიდა მთასა ლოცვად.
47. და ვითარცა შემწუნხრდა, იყო ნავი იგი შუა ოდენ ზღუასა მას, და იგი თავადი – მარტოე ქუეყანასა.
47. შუა]შუვა o* | იყო]კუალად o*af |
48. და იხილნა ივინი, რამეთუ იურვოდეს სლვასა მას ნავისასა, რამეთუ იყო ქარი იგი პირით კერძო მათსა. და მეოთხესა საკუმილავსა ღამისასა მოვიდა მათა იესუ სლვით ზღუასა ზედა და უნდა თანაწარსლვად მათგან.
48. ივინი]იგი o*a | იურვოდეს]იუროდეს o |
49. ხოლო მათ ვითარცა იხილეს იგი, ვიდოდა რამ ზღუასა ზედა, ჰგონებდეს, ვითარმედ საოცარი რამე არს და ღაღად-ყვეს.
49. საოცარი]სახილავი o*a |
50. რამეთუ ყოველთა იხილეს იგი და შეძრწუნდეს. და მეყსეულად ეტყოდა მათ და ჰრქუა: გულპყრობილ იყვნით, მე ვარ, ნუ გეშინინ!
51. და აღვიდა მათ თანა ნავსა, და დასცხრა ქარი იგი; და უმეტესად დაუკვრდებოდა მოწაფეთა მისთა.
52. რამეთუ ვერ გულისკმა-ყვეს პურთა მათ ზედა, რამეთუ იყვნეს გულნი მათნი დასულებულ.
53. და წიაღდეს და მოვიდეს ქუეყანად გენესარეთად.
53. გენესარეთად]გენესარეთა o |
54. და ვითარ გამო-ოდენ-ვიდეს მიერ ნავით, მეყსეულად იცნეს იგი კაცთა მათ მის აღგილისათა.
55. და მიმორბიოდეს ყოველსა მას სოფლებსა და იწყეს მოლებად ყოველთა სნეულთა ცხედრებითა, სადაცა ესმის, ვითარმედ მუნ არს.
55. სოფლებსა]სოფელსა a |
56. და ვიდრეცა შევიდოდა დაბნებსა და ქალაქებსა და აგარაკებსა, უბანთა ზედა დასდგმიდეს უძღურთა მათთა და ევედრებოდეს მას, რამთა ფესუსა ოდენ სამოსლისა მისისასა შეახონ, და, რაოდენნი შეეხებოდეს, ცხონდებოდეს.

7

1. და შეკრბეს მისა ფარისეველნი და რომელნიმე მწიგნობართაგანნი, რომელნი მოსრულ იყვნეს იერუსალჴმით.
2. და იხილნეს ვინმე მოწაფეთა მისთაგანნი, შეგინებულთა კელითა, ესე იგი არს, უბანელითა კელითა ჭამდეს პურსა, და ჰკმობდეს,
2. ჰკმობდეს]კმობდეს o* |

3. რამეთუ ფარისეველთა და ყოველთა ჰურიათა, უკუეთუ არა იდაყვთგან დაიბანნიან კელნი, არა ჭამიან, რამეთუ ეპყრა მათ მოცემული იგი მოძღურებაჲ სუცესთაჲ.

3. კელნი] > f |

4. და უბანთაგან რაჲ შევიდიან, უკუეთუ არა იბანნიან, არა ჭამიან, და სხუადცა მრავალი არს, რომელი მოელო პყრობად: განრცხაჲ სასუმელებისაჲ და სტამნებისაჲ და ქუაბებისაჲ და ცხედრებისაჲ.

4. და] > a | შევიდიან]ვიდიან o* | მრავალი]მრავალ o*af | რომელი]რომელ o*af | სასუმელებისაჲ]სასუმლებისაჲ of |

5. მაშინ ჰკითხეს მას ფარისეველთა მათ და მწიგნობართა: რაჲსათჳს მოწაფენი შენნი არა ვლენან მოძღურებისაებრ სუცესთაჲსა, არამედ უბანელითა კელითა ჭამენ პურსა?

5. ვლენან]ვლენ oa |

6. ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მათ, რამეთუ: კეთილად თქუა ესაია წინაწარმეტყუელმან თქუენ ორგულთათჳს, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: ერი ესე ბაგითა მათითა პატივ-მცემს მე, ხოლო გულნი მათნი შორად განშორებულ არიან ჩემგან.

6. თქუენ] > o* |

7. ამოდ მმსახურებენ მე, ასწავებენ მცნებასა და მოძღურებასა კაცთასა.

7. მმსახურებენ]მსახურებენ o*af |

8. და დაგიტევებიეს მცნებაჲ ღმრთისაჲ და გიპყრიეს მოძღურებაჲ კაცთაჲ: განრცხაჲ სასუმელებისაჲ და სტამნებისაჲ; და სხუასა ესევითარსა მრავალსა ჰყოფთ.

8. სასუმელებისაჲ]სასუმლებისაჲ of |

9. და ეტყოდა მათ: კეთილად შეურაცხ-ჰყოფთ მცნებასა ღმრთისასა, რაჲთა მოძღურებაჲ თქუენი დაამტკიცოთ.

10. რამეთუ მოსე თქუა: პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა; და რომელმან ბოროტი თქუას მამისათჳს, გინა დედისათჳს, სიკუდილით მოკუედინ.

10. მოსე]მოსე a | სიკუდილით]სიკუდილითა a | მოკუედინ]მოკუედინ f |

11. ხოლო თქუენ სთქუთ: უკუეთუ ჰრქუას კაცმან მამასა, ანუ დედასა კორბან, რომელ არს ნიჭი, რომელი-რაჲ ჩემგან სარგებელ გეყოს, –

12. და არა უტევებთ მათ მამასა და დედასა ყოფად.

13. და დაუმტკიცებელ-გიყოფიეს სიტყუაჲ ღმრთისაჲ მოძღურებითა მაგით თქუენითა, რომელსა ასწავებთ, და მსგავსსა ამათსა მრავალსა ჰყოფთ.

13. მრავალსა] > o*f |

14. და მოუწოდა ყოველსა მას ერსა და ეტყოდა მათ: ისმინეთ ჩემი ყოველთა და გულისკმა-ყავთ.
14. ყოველთა] > a |
15. არა რაჲ არს კაცისა გარეთ შემავალი მისა, რომელმანმცა შეაგინა იგი; არამედ, რომელი გამოვალს მისგან, იგი არს, რომელი შეაგინებს კაცსა.
15. გარეთ]გარშით a | რომელმანმცა]რ-ნცა a | იგი] > o*f | რომელი] რლ~იცა o*, რ-ლი o°, რ-იცა af |
16. რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!
17. და ოდეს შევიდა სახიდ ერისა მისგან, ჰკითხვიდეს მას მოწაფენი მისნი იგავისა მისთვის.
18. და ჰრქუა მათ: ეგრეთვე თქუენცა უგულისკმოვე ხართა და არა გიცნობიეს, რამეთუ ყოველი გარეშე შემავალი კაცსა არა შეაგინებს?
18. ეგრეთვე]ეგრევე o°a |
19. რამეთუ არა შევალს გულსა, არამედ მუცლად და განსავალით განვალს და განსწმედს ყოველსა ჭამადსა.
20. და იტყოდა, ვითარმედ: კაცისაგან გამომავალი შეაგინებს კაცსა.
21. რამეთუ შინაგან გულისაგან კაცთაჲსა გამოვლენან გულისსიტყუანი ბოროტნი, მრუშებანი, სიძვანი, პარვანი, კაცის-კლვანი,
22. ანგაჰრებანი და უკეთურებანი, ზაკუვანი, არაწმიდებანი, თუალბოროტებანი, გმობანი, ამპარტავანებანი, უგუნურებანი.
22. თუალბოროტებანი]თუალბოროტებანი a |
23. ესე ყოველნი ბოროტნი შინაგან გამოვლენ და შეაგინებენ კაცსა.
24. და მიერ აღდგა და წარვიდა საზღვართა ტუროსისა და სიღონისათა და შევიდა სახლსა და არა უნდა, რაჲთამცა აგრძნა ვინმე, და ვერ კელ-ეწიფა დაფარვად.
24. ტუროსისა]ტურესა a | სიღონისათა]სიღონისათა a |
25. რამეთუ ესმა ვისმე დედაკაცსა მისთვის, რომელსა ესუა ასული, სულითა არაწმიდითა ურვეული, და მოვიდა და შეუვრდა ფერქთა მისთა.
25. ურვეული]ურვილი f |
26. ხოლო დედაკაცი იგი იყო წარმართი, ნათესავით ასური ფინიკელი, ზღუსკიდით, და ევედრებოდა მას, რაჲთა განკადოს ეშმაკი იგი ასულისაგან მისისა.
26. ფინიკელი] > a | ზღუსკიდით] + ფინიკიელი a |

27. ხოლო იესუ ჰრქუა მას: მაცადე პირველად განძებად შვილთა, რამეთუ არა კეთილ არს მოღებაჲ პურისაჲ შვილთაგან და დაგებად ძაღლთა.

28. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა: უფალო, რამეთუ ძაღლნიცა ტაბლასა ქუეშე ჭამედ ნამუსრევისაგან შვილთაჲსა.

28. ქუეშექუეშე f | შვილთაჲსა|შვილთა მათთაჲსა o*af |

29. ხოლო იესუ ჰრქუა მას: მაგის სიტყვსათჳს ვილოდე! განსრულ არს ეშმაკი ასულისაგან შენისა.

30. და წარვიდა დედაკაცი იგი სახიდ თჳსა და პოვა, რამეთუ ეშმაკი იგი განსრულ იყო, და ასული იგი მისი შემოსილი, მჯდომარს ცხედარსა ზედა.

30. შემოსილი+ და a | მჯდომარს|მჯდომარე f |

31. და მერმე კუალად გამოვიდა საზღვართაგან ტუროსისა და სიდონისათა და მოვიდა ზღუასა მას გალილეაჲსასა, შორის საზღვართა ათქალაქისათა.

31. ათქალაქისათა|ათქლ~ქისთა f |

32. და მორათუეს მას ყრუჲ და ძნად მეტყუელი და ევედრებოდეს მას, რაჲთა კელი დასდვას მას ზედა.

32. მორათუეს|მორათუეს f | ყრუჲ|ყროჲ a |

33. და განიყვანა ერისა მისგან თჳსაგან და დაასხნა თითნი მისნი ყურთა მისთა და ჰნერწყუა და შეახო ენასა მისსა,

33. დაასხნა|დასხნა o*f | ყურთა მისთა და ჰნერწყუა| tr და ჰნერწყუა ყურთა მისთა o*af |

34. და აღიხილნა ზეცად და სულთ-ითქუნა და ჰრქუა მას: ეფფათა! რომელ არს: განეხუნით!

34. განეხუნით|განეხუნენ o*af |

35. და მეყსეულად განეხუნეს მას სასმენელნი, და განჰკსნდა კრულებაჲ ენისა მისისაჲ, და იტყოდა მართლად.

35. განჰკსნდა|განკსნდა a |

36. და ამცნო მათ, რაჲთა არა ვის უთხრან, და, რაოდენ იგი ამცნებდა მათ, იგინი უფროჲს მიმოდასდებდეს.

36. რაოდენ|რაგდენ af |

37. და უმეტესად განუკურდებოდა და იტყოდეს: ყოველსავე კეთილსა იქმს: ყრუთა ასმენს და უტყუთა ატყუებს.

37. იტყოდეს|იტყოდაეს a | ატყუებს|ატყუებს f |

8

1. მათ დღეთა შინა მერმე კუალად ერი მრავალი იყო და არა რაჲ აქუნდა, რაჲმცა ჭამეს; მოუწოდა მოწაფეთა თჳსთა და ჰრქუა მათ:

2. მეწყალის მე ერი ესე, რამეთუ სამი დღე არს, ვინაჲთგან მელიან მე, და არა რაჲ აქუს, რაჲ ჭამონ.
2. დღე|დღე a |
3. და უკუეთუ განუტევნე უზმანი ვანად მათა, დაჰკსნდენ გზასა ზედა, რამეთუ რომელნიმე მათგანნი შორით მოსრულ არიან.
4. და მიუგეს მოწაფეთა მისთა და ჰრქუეს: ვინაჲ ძალ-გუც განძლებად აქა პურიტა ესოდენისა ერისა უდაბნოსა ზედა?
5. და ჰკითხა მათ: რაოდენი გაქუს პური? ხოლო მათ ჰრქუეს: შუდი.
5. რაოდენი|რაგდენი af | ჰრქუეს|ჰქუეს f |
6. და უბრძანა ერსა მას დასხდომად ქუეყანასა და მოილო შუდი იგი პური, ჰმადლობდა და განტეხა და მისცემდა მოწაფეთა თვსთა, რაჲთა დაუგონ მათ; და დაუგეს ერსა მას.
7. და აქუნდა თევზიცა მცირედ, და იგიცა აკურთხა და უბრძანა მან დაგებად.
8. და ჭამეს და განძლეს; და აღიღეს ნეშტი იგი ნამუსრევი შუდი სფურიდი.
8. სფურიდი|სფურიდი f |
9. და იყვნეს, რომელთა-იგი ჭამეს, ვითარ ოთხ ათას ოდენ; და განუტევნა იგინი.
10. და მეყსეულად შევიდა იესუ ნავსა მოწაფეთა მისთა თანა და წარვიდა ადგილთა მაგდალასათა.
10. მაგდალასათა|მაგდალომსათა of | მაგდალასათა + დაღმანუთაჲსათა o° (აშიაზე) |
11. და გამოვიდეს ფარისევლნი და იწყეს გამოძიებად მის თანა და ითხოვდეს მისგან სასწაულსა ზეცით და გამოსცდიდეს მას.
11. გამოვიდეს|მოვიდეს o*af |
12. და სულთ-ითქუნა სულითა თვსითა და თქუა: რაჲ არს ნათესავი ესე, რამეთუ ეძიებს სასწაულსა? ამენ გეტყვ თქუნენ: არა ეცეს ნათესავსა ამას სასწაული.
13. და დაუტევნა იგინი და კუალად შევიდა ნავსა და წარვიდა მიერ კერძო.
14. და დაავიწყდა მიღებად პური, და ერთი ხოლო პური აქუნდა მათ ნავსა შინა.
15. და ამცნებდა მათ იესუ და ეტყოდა: იხილეთ და ეკრძალენით ცომისაგან ფარისევლთაჲსა და ცომისაგან ჰეროდთანთაჲსა.
16. ხოლო იგინი განიზრახვიდეს ურთიერთას და იტყოდეს, ვითარმედ: პური არა გუაქუს.

17. და გულისკმა-ყო იესუ და ჰრქუა მათ: რაღსა ჰზრახავთ გულთა თქუენტა, მცირედმორწმუნენო, რამეთუ პური არა გაქუს? არა გიცნობიეს, არცა მოიქსენეთ, რამეთუ დაბრმობილნი გულნი გქონან თქუნენ?

17. არა|არღა a| გქონან|გქუნან o*a|

18. თუალ-გასხენ და არა ხედავთ, და ყურ-გასხენ და არა გესმის, არცა გიცნობიეს, არცა მოიქსენეთ?

18. და²] > a|გესმის|გესმისა o*|არცა¹|არა oaf|

19. ოდეს-იგი ხუთი პური განვტეხე ხუთ ათასთათუს, და რაოდენი გოდორი, სავსე ნამუსრევითა, აღიღეთ? ხოლო მათ ჰრქუეს: ათორმეტი.

19. განვტეხე|განვტეხე a| რაოდენი|რაოდენი af| სავსე|სავსე a|

20. და ოდეს-იგი შუდი ოთხ ათასთა, რაოდენი სფურიდი ნამუსრევი აღიღეთ? – და მათ ჰრქუეს: შუდი.

20. რაოდენი|რაოდენი af| ჰრქუეს|ჰრქუეს f|

21. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: ვითარ არა გულისკმა-ჰყავთ?

22. და მოვიდა ბეთსაიდად, და მოჰგუარეს მას ბრმა და ევედრებოდეს მას, რაღათა შეახოს მას.

22. მოვიდა|მოვიდეს o*af|

23. და უპყრა კელი მისი და განიყვანა იგი გარეშე დაბასა და ჰნერწყუა თუალთა მისთა და დასდვა კელი მისი და ჰკითხა მას, რასადი ჰხედავს.

23. ჰხედავს|ხედავს af|

24. და აღიხილნა და იტყოდა: ვჰხედავ კაცთა, ვითარცა ხეთა მიმომავალთა.

24. ვჰხედავ|ვხედავ af|

25. და მერმე კუალად დაასხნა კელნი თუალთა მისთა და აღუხილნა; და მან აღიხილნა და კუალად მოეგო და ხედვიდა მბრწყინვალედ ყოველთა.

25. დაასხნა|დასხნა f| მბრწყინვალედ|მბრწყინვალედ o^caf, ბრწყინვად o*

26. და წარავლინა იგი სახიდ თუსა და ჰრქუა: წარვედ სახიდ შენდა; და დაბად რაღ შეხედე, ნუ რას ვის უთხრობ დაბასა შინა.

27. და გამოვიდა იესუ და მოწაფენი მისნი დაბნებსა მას კესარია ფილიპესსა, და გზასა ზედა ჰკითხვიდა მოწაფეთა თუსთა და ეტყოდა მათ: რაღ თქვან კაცთა ჩემთუს ყოფაღ?

27. ფილიპესსა|ფილიპესსა a| მოწაფეთა|მ-ფთა o*, მწ-ფთა o^c|

28. ხოლო მათ მიუგეს და ჰრქუეს მას: იოვანე ნათლისმცემელი, – და სხუათა: ელია, და სხუათა: ერთი წინაწარმეტყუელთაგანი.

29. ჰრქუა მათ იესუ: თქუნ რაღ სთქუთ ჩემთუს, ვინ ვარ მე? მიუგო მას პეტრე და ჰრქუა: შენ ხარ ქრისტე.

29. ვარკარი a | პეტრეპეტრზ a | ქრისტექ-ზ oa |

30. და შეპრისხნა მათ, რადთა არა ვის უთხრან მისთვის.

31. და იწყო სწავლად მათა, ვითარმედ: ჯერ-არს ძისა კაცისაჲ ფრიად ვნებაჲ და შეურაცხ-ყოფად მოხუცებულთაგან და მღვდელთმოდღუართა და მწიგნობართა და მოკლვად და მესამესა დღესა აღდგომად.

32. და განცხადებულად სიტყუასა ამას ეტყოდა და გან-რე-იყვანა იგი პეტრე და იწყო ბრალობად მისა ამის სიტყუსათვის.

32. გან-რე-იყვანა|გან-რზ-იყვანა a | პეტრეპეტრზ a |

33. ხოლო თავადი მიექცა და იხილნა მოწაფენი თვისნი, შეპრისხნა პეტრეს და ჰრქუა მას: წარვედ ჩემგან მართლუკუნ, ეშმაკო, რამეთუ არა ჰზრახავ ღმრთისასა, არამედ კაცთასა.

34. და მოუწოდა ერსა მას მოწაფეთა მისთა თანა და ჰრქუა მათ: რომელსა უნებს შემდგომად ჩემსა მოსლვაჲ, უვარ-ყავნ თავი თვისი და აღიღენ ჯუარი თვისი და შემომიღეგინ მე.

34. შემდგომად|შემოდგომად o*af |

21. მას ჟამსა შინა განკურნნა მრავალნი სნეულებათაგან და საღმობათა და სულთაგან უკეთურთა და მრავალთა ბრმათა მიჰმადლა ხედგაჲ.

22. და მიუგო და ჰრქუა მათ იესუ: მივედით და უთხართ იოვანეს, რაჲ-ესე იხილეთ და გესმა: ბრმანი აღიხილვენ, მკელობელნი ვლენან, კეთროვანნი განწმდებიან, ყრუთა ესმის, მკუდარნი აღდგებიან, და გლახაკთა ეხარების.

22. უთხართ¹უთხრათ a |

23. და ნეტარ იყოს, რომელი არა დაბრკოლდეს ჩემდა მომართ.

24. და ვითარცა წარვიდეს მოციქულნი იგი იოვანესნი, იწყო სიტყუად იესუ ერისა მის მიმართ იოვანესთვის: რაჲსა გამოხუედით უდაბნოდ ხილვად? ლერწმისა, ქარისაგან შერყეულისა?

24. გამოხუედით¹გამოხმდით f | შერყეულისაა' (ბოლო ა-ს თავზე აქვს მახვილი) f |

25. არამედ რაჲსა გამოხუედით ხილვად? კაცისა, სამოსლითა ჩრულითა მოსილისა? აჰა, ესერა, რომელნი სამოსლითა დიდებულთა და საშუებელთა არიან, სამეუფოთა შინა არიან.

25. რა'ჲსა (ა-ს თავზე აქვს მახვილი) f | გამოხუედით¹გამოხმდით f | მოსილისაა' (ა-ს თავზე აქვს მახვილი) f | საშუებელთა¹საშუებელთა f |

26. არამედ რაჲსა გამოხუედით ხილვად? წინაწარმეტყუელისა? ჰე, გეტყვ თქუენ, და უმეტეს წინაწარმეტყუელისა.

26. გამოხუედით¹გამოხმდით f | წინაწარმეტყუელისა¹ წწ~ყლისაა' (ა-ს თავზე აქვს მახვილი) f | ჰე¹ჰ a |

მინაწერი მარჯვენა აშიაზე f-ში: “არა კითხვამ არს: ლერწმისა, რასა, მოსილისა და წწ-ყლისა, არამედ მან თქვს და მანვე აღუხსნის. სამსავე სიტყუასა ორ-ორი ანი უნა.”

27. რამეთუ ესე არს, რომლისათვის-იგი წერილ არს: აჰა, ესერა, მე წარვაგლინო ანგელოზი ჩემი წინაშე პირსა შენსა, რომელმან განჰმზადნეს გზანი შენნი წინაშე შენსა.

27. პირსა] > o*af |

28. რამეთუ გეტყვ თქვენ: უფროდსი შობილთა შორის დედათადასა იოვანე ნათლისმცემლისა წინაწარმეტყუელი არავინ არს, ხოლო უმცირესი სასუფეველსა ღმრთისასა უფროდს მისა არს.

28. რამეთუ] > a | შობილთა|შობილითა a | იოვანე|იოანესა f | ნათლისმცემლისა] > o*af | წინაწარმეტყუელი|წინაწარმეტყუელისა o*af |

29. და ყოველსა ერსა ესმა და მეზუერეთა განამართლეს ღმერთი და ნათელ-იღეს ნათლის-ცემითა იოვანესითა.

29. მეზუერეთა|მეზუერთა f | მეზუერეთა] + და o*af |

30. ხოლო ფარისეველთა და შჯულისმოდღუართა ზრახვამ ღმრთისად შეურაცხ-ყვეს თავისა თვისისა, რამეთუ არა ნათელ-იღეს მისგან.

30. შჯულისმოდღუართა|შჯულისა მოდღურთა a, სჯულისმოდღუართა f |

31. ვის ვამსგავსნე კაცნი ამის ნათესავისანი, და ვისა არიან მსგავს?

32. მსგავს არიან ყრმათა, უბანთა ზედა მსხდომარეთა, რომელნი მოუწესედ მოყუასთა მათთა და ეტყუედ: გისტუნევდით თქვენ, და არა ჰროკევდით; გიგოდებდით თქვენ, და არა სტიროდეთ.

33. რამეთუ მოვიდა იოვანე ნათლისმცემელი, არცა ჭამდა პურსა, არცა სუმიდა ღვინოსა, და იტყუთ: ეშმაკეულ არს.

33. ეშმაკეულ|ეშმაკეული a |

34. მოვიდა ძმ კაცისად, ჭამს და სუამს, და იტყუთ: აჰა, კაცი მჭამელი და მსუამელი ღვინოსად და მეგობარი მეზუერეთა და ცოდვილთად.

34. ძმ|ძე oaf | მეზუერთა f |

35. და განმართლდა სიბრძნე ყოველთაგან შვილთა თვისთა.

35. სიბრძნე|სიბრძნე a | ყოველთაგან] > o* | შვილთა] > af, შვილთაგან o |

36. ევედრებოდა ვინმე მას ფარისეველთაგანი, რადთა ჭამოს პური მის თანა; და შევიდა სახლსა მის ფარისეველისასა და დაჯდა.

37. და იყო დედაკაცი ვინმე ქალაქსა მას შინა, რომელი იყო ცოდვილ. ესმა, რამეთუ არს იგი სახლსა შინა მის ფარისეველისასა, მოილო ალაბასტრი ნელსაცხებელისად.

37. მის] > o*f |

38. და დადგა ფერკთა თანა მისთა, ტიროდა და იწყო დალტობად ცრემლითა ფერკთა მისთა და თმითა თავისა მისისაჲთა წარჰკოცდა და ამბორს-უყოფდა ფერკთა მისთა და სცხებდა ნელსაცხებელსა.

38. -უყოფდა]-უყოფთა a |

39. ვითარცა იხილა ფარისეველმან მან, რომელმანცა-იგი ხადა მას, თქუა გულსა თვსსა: ესე უკუეთუმცა იყო წინაწარმეტყუელი, უწყოდამცა, ვინ და რაბამი დედაკაცი შეეხების მას, რამეთუ ცოდვილ არს.

39. ხადა|ჰხადა o* |

40. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: სიმონ, მაქუს რამე შენდა სიტყუად. – ხოლო მან თქუა: მოძღუარ, იტყოდე!

41. და თქუა: ორნი თანამდებნი იყვნეს მასესხებელისა ვისნიმე: ერთსა თანაედგა ხუთასი დრაჰკანი, ხოლო ერთსა მას – ერგასისი.

41. ვისნიმე|ვისნიმე o*a |

42. და ვითარ არარაჲ აქუნდა მათ, ორთავე მიუტევა. აწ თქუ შენ: ვინ უფროჲს შეიყუაროს იგი?

43. მიუგო სიმონ და თქუა: მე ეგრე ვჰკონებ, ვითარმედ რომელსაცა-იგი უფროჲსი მიუტევა. – ხოლო თავადმან თქუა: სამართლად საჯე.

43. საჯე|საჯე a |

44. და მიექცა დედაკაცსა მას და სიმონს ეტყოდა: ხელავა ამას დედაკაცსა? შემოვედ სახლსა შენსა, წყალი ფერკთა ჩემთა არა მეც, ხოლო ამან ცრემლითა დაალტვნა ფერკნი ჩემნი და თმითა თვსითა წარჰკოცნა;

44. წარჰკოცნა|წარმკოცნა a, წარკოცნა f |

45. ამბორის-ყოფაჲ არა მომეც მე, ხოლო ესე, ვინაჲთგან შემოვიდა, არა დასცხრების ამბორის-ყოფითა ფერკთა ჩემთაჲთა;

46. ზეთი თავსა ჩემსა არა მცხე, ხოლო ამან ნელსაცხებელი მცხო ფერკთა ჩემთა,

46. მცხე| სცხო o^c, მცხე a |

47. რომლისა მადლისათჳს გეტყჳ შენ: მიეტევენ მგას ცოდვანი მაგისნი მრავალნი, რამეთუ შეიყუარა ფრიად. ხოლო რომელსა მცირედი მიეტეოს, მცირედცა შეიყუაროს.

47. მცირედი|მცირედ a |

48. და ჰრქუა მას: მიეტევენ შენ ცოდვანი შენნი!

49. და იწყეს თანამეინაკეთა მათ სიტყუად გულთა შინა მათთა: ვინ არს ესე, რომელი ცოდვათა მიუტეებს?

49. რომელ o* |

50. ჰრქუა დედაკაცსა მას: სარწმუნობამან შენმან გაცხოვნა შენ. გუალე, ვილოდე მშულობით!

8

1. და იყო, ამისა შემდგომად თავადი ვილოდა ქალაქად-ქალაქად და დაბად-დაბად, ქადაგებდა და ახარებდა სასუფეველსა ღმრთისასა; და ათორმეტნი მოწაფენი მის თანა.

2. და დედანი ვინმე, რომელნი განკურნებულ იყვნეს სულთავან არაწმიდათა და უძღურებათა: მარიამ, რომელსა ერქუა მაგდალენელი, რომლისაგან შუდნი ეშმაკნი განსრულ იყვნეს,

2. მაგდალენელი|მაგდანელი o*af|

3. იოანნა, ცოლი ქოზაძისი, ეზოძსმოდღურისა ჰეროდესი, და სუსანნა და სხუანი მრავალნი, რომელნი ჰმსახურებდეს მას ნაყოფთავან მათთა.

3. იოანნა|იოჰანა o*af| ჰეროდესი|ჰეროდიეშსი a| სუსანნა|სუსანა o*af|

4. ხოლო რომელნი-იგი მის თანა იყვნეს, ერნი მრავალნი და ქალაქად-ქალაქად რომელნი მოვიდოდეს მისა, ეტყოდა მათ იგავით:

5. გამოვიდა მთესვარი თესვად თესლისა თვისისა; და თესვასა მას მისსა რომელიმე დავარდა გზასა ზედა და დაითრგუნა, და მფრინველთა ცისათა შეჭამეს იგი.

5. მისსა|მისა f|

6. და სხუად დავარდა კლდესა ზედა, აღმოსცენდა და განკმა, რამეთუ არა იყო სიღრმე მიწისაჲ.

6. სიღრმე|სიღრმე a|

7. და რომელიმე დავარდა შორის ეკალთა; და აღმოსცენდეს ეკალნი და შეაშთვეს იგი.

7. რომელიმე|მერმე o*f|

8. და სხუად დავარდა ქუეყანასა კეთილსა და აღმოსცენდა და ყო ნაყოფი ასი წილი. ამას ეტყოდა კმითა: რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ.

9. ჰკითხვიდეს მას მოწაფენი მისნი, ვითარმედ: რაჲ არს იგავი ესე?

10. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: თქუნდა მოცემულ არს ცნობად საიდუმლოჲ სასუფეველისა ღმრთისაჲ, ხოლო სხუათა — იგავით, რაჲთა ხეღვიდენ და ვერ იხილონ და ესმოდის და ვერ გულისკმა-ყონ.

11. ხოლო იგავი იგი ესე არს: თესლი იგი არს სიტყუაჲ ღმრთისაჲ.

11. თესლი|თელი a|

12. ხოლო გზასა ზედა ივინი არიან, რომელთა ესმის, მერმე მოვიდის ეშმაკი და მოულის სიტყუაჲ იგი გულისაგან მათისა, რაჲთა არა ჰრწმენეს და ცხონდენ.

12. ესმის] + და ი* | ცხონდეს f |

13. ხოლო რომელ-იგი კლდესა ზედა, – რომელთა-იგი რაჟამს ისმინიან, სისარულით შეიწყნარიან სიტყუაჲ იგი, და ამათ ძირი არა უბნ, რომელთა-იგი ჟამ ერთ ჰრწამნ და ჟამსა განსაცდელისასა განდგიან.

14. ხოლო რომელი-იგი ეკალთა შინა დავარდა, ესე არიან, რომელთა ისმინიან სიტყუაჲ და ზრუნვისაგან და სიმდიდრისა და გემოთაგან ამის სოფლისათა ვლენედ და შეაშთვიან და არა ნაყოფიერ იქმნიან.

15. ხოლო რომელი-იგი კეთილსა ქუეყანასა დაეთესა, ესე არიან, რომელთა გულითა კეთილითა და სახიერთა ისმინიან სიტყუაჲ და შეიკრძალიან და ნაყოფი გამოიღიან მოთმინებითა.

16. არა ვინ სანთელი აღანთის და დაფარის ჭურჭლითა, გინა ქუეშე ცხედარსა შედგიან, არამედ სასანთლესა ზედა დადგიან, რაჲთა შემავალნი იგი ნათელსა ხედვიდენ.

16. ქუეშე ცხედარსა] tr ცხედარსა ქუეშე ი* | ქუეშე|ქუეშე f |

17. რამეთუ არა არს დაფარული, რომელი არა გამოცხადნეს, არცა საიდუმლოჲ, რომელი არა საცნაურ იყოს და ცხადად მოვიდეს.

17. გამოცხადნეს]გამოცხადეს a |

18. იხილეთ უკუე, ვითარ-ეგე ისმინთ: რომელსა აქუნდეს, მიეცეს მას, და რომელსა არა აქუნდეს, და რომელსა-იგი ჰკონიეს, ვითარმედ აქუს, მო-ვე-ელოს მას.

18. უკუე|უკუე of | ისმინთ]ისმინეთ ი* | ჰკონიეს] ჰკონებდეს ი*f |

19. მოვიდეს მისა დედაჲ და ძმანი მისნი და ვერ ეძლო შემთხუევად მისა ერისა მისგან.

20. უთხრეს მას და ეტყოდეს: დედაჲ შენი და ძმანი შენნი გარე დგანან და ხილვაჲ შენი ჰნებავს.

20. უთხრეს] pr და a |

21. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: დედაჲ ჩემი და ძმანი ჩემნი ესენი არიან, რომელთა სიტყუაჲ ღმრთისაჲ ისმინონ და ყონ იგი.

21. ესენი] ესე ი |

22. და იყო ერთსა შინა დღესა და თავადი შევიდა ნავსა, და მოწაფენი მისნი მის თანა, და ჰრქუა მათ: განვიდეთ წიაღკერძო ტბასა მას! – და აღვიდეს.

22. განვიდეთ] განვედით f |

23. და მი-რა-ვიდოდეს იგინი ნავითა, მიეძინა. და გარდამოკდა არმური ქარისაჲ ტბასა მას ზედა, და აღივსებოდა ნავი იგი, და იურვოდეს.

23. ტბასა|ზღუასა o*af|იურვოდეს|იუროდეს o*|

24. და მოვიდეს და განაღუქეს და ეტყოდეს: მოძღუარ, მოძღუარ, წარვწყმდებით. – ხოლო თავადი აღდგა და შეპრისხნა ქარსა მას და ღელვასა წყალთასა; და დასცხრეს, და იყო დაყუდებამ დიდი.

24. მოძღუარ²] > o*af|

25. და ჰრქუა მათ: სადა არს სარწმუნოებამ თქუენი? ხოლო მათ შეეშინა და დაუკვრდა და იტყოდეს ურთიერთას: ვინმე არს ესე, რამეთუ ქართაცა უბრძანებს და წყალთა, და ერჩიან მას?

26. და განვიდეს სოფელსა მას და გადარინელთასა, რომელ არს წიაღკერძო გალილეასა.

26. და²] > a|გადარინელთასა|გერგესეველთასა o*af|გალილეასა|გალილეა oa|

27. და ვითარცა განვიდეს იგინი ქუეყანად, მო-ვინმე-ეგებოდა კაცი ქალაქისაგან, რომლისა თანა იყვნეს ეშმაკნი; და მრავალ ჟამ სამოსელი არა შეემოსა და სახლსა შინა არა იყოფოდა, არამედ საფლავებსა.

27. შეემოსა|შემოსა a|

28. და ვითარცა იხილა მან იესუ, დაღად-ყო და შეუერდა ფერკთა მისთა და კმითა დიდითა იტყოდა: რამ ძეს ჩემი და შენი, იესუ, ძეო ღმრთისა მაღლისაო? გევედრები, ნუ მტანჯავ მე.

28. ძეო|ძხო a|

29. რამეთუ უბრძანა სულსა მას არაწმიდასა განსლვად კაცისა მისგან; რამეთუ მრავალგზის წარიტაცის იგი, და შებორკილიან იგი ჯაჭვთა და საკრველითა და სცვედ, და განხეთქნის საკრველნი და იღვენებინ ეშმაკისა მისგან უდაბნოთა.

30. ჰკითხა მას იესუ: რამ არს სახელი შენი? ხოლო მან ჰრქუა: ლეგეონ, – რამეთუ ეშმაკნი მრავალნი შესრულ იყვნეს მისა.

31. და ევედრებოდეს მას, რამთა არა უბრძანოს მათ უფსკრულთა შთასლვამ.

32. და იყო მუნ კოლტი ღორთამ მრავალი, მძოვარი მთასა ზედა; და ევედრებოდეს მას, რამთა უბრძანოს მათ ღორებსა მას შესლვამ. და თავადმან უბრძანა მათ.

33. და გამოვიდეს ეშმაკნი იგი კაცისა მისგან და შევიდეს ღორთა მათ. და მიიმართა ყოველმან მან კოლტმან კბოდესა მას ტბად და დაიშთვნეს.

33. მან] > af|მას] > o*af|ტბად|ზღუად o*af|

34. ვითარცა იხილეს მწყემსთა მათ საქმს ესე, ივლტოდეს და შევიდეს და უთხრეს ქალაქსა და დაბნებსა.

34. საქმე of|

35. და გამოვიდეს ხილვად, რომელი-იგი იქმნა, და მოვიდეს იესუმსა და იხილეს კაცი იგი მჯდომარე, რომლისაგან ეშმაკნი იგი განსრულ იყვნეს, შემოსილი და გონიერი, ფერკთა თანა იესუმსთა, და შეეშინა.

35. მჯდომარე|მჯდომარწ a|

36. რამეთუ უთხრეს, რომელთა-იგი ეხილვა, ვითარ-იგი ცხოვნდა ეშმაკეული.

36. ცხოვნდა|ცხოვნდა af|

37. და ევედრებოდეს მას ყოველი იგი სიმრავლე გარემოსოფლებისაჲ მის გადარინელთაჲსაჲ, რაჲთა წარვიდეს მათგან, რამეთუ შიშითა დიდითა შეპყრობილ იყვნეს. ხოლო თავადი შევიდა ნავსა და მიიქცა მუნვე.

37. სიმრავლე|სიმრავლწ a|გარემოსოფლებისაჲ|გარემოსოფლებისა a|

გადარინელთაჲსაჲ|გერგესეველთაჲსა o*af|რაჲთა წარვიდეს მათგან|> a|მათგან|> o*f|
იყვნეს|იქმნეს o*f|

38. ევედრებოდა მას კაცი იგი, რომლისაგან ეშმაკნი განსრულ იყვნეს, რაჲთა იყოს მის თანა. ხოლო თავადმან განუტევა იგი და ჰრქუა:

39. მიიქეც სახიდ შენდა და მიუთხარ, რაოდენი გიყო შენ ღმერთმან! – და წარვიდა ყოველსა მას ქალაქებსა და ქადაგებდა, რაჲ-იგი ყო მისთვის იესუ.

39. სახიდ|სახიდ f|ქალაქებსა|ქალაქსა a|

40. და იყო მიქცევასა მას იესუმსსა, მუნვე შეიწყნარა იგი ერმან მან, რამეთუ ყოველნივე მოელოდეს მას.

40. იესუმსსა|იესუმსა af|

41. და, აჰა, ესერა, მოვიდა კაცი, და სახელი მისი იაიროს, და ესე მთავარი იყო შესაკრებლისაჲ; და დავარდა ფერკთა თანა იესუმსთა და ევედრებოდა მას, რაჲთა შევიდეს სახლსა მისსა.

41. შესაკრებლისაჲ|შესაკრებლისაჲ a|

42. რამეთუ ასული მარტოჲ ესუა მას, რომელი იყო ათორმეტის წლის, და იგი მოკუდებოდა. და მისლვასა მას მისსა ერი იგი შეკრებოდა მისა.

42. მისსა|მისა a|

43. და იყო ვინმე დედაკაცი წყაროჲთა სისხლისაჲთა ათორმეტით წლითგან, რომელსა ყოველი მონაგები მისი წარეგო მკურნალთა ზედა, და ვერვის განეკურნა.

43. ვერვის|ვერვისგან a|განეკურნა|განიკურნა a|

44. და მოვიდა ზურგით კერძო და შეახო ფესუსა სამოსლისა მისისასა. და მეყსეულად დასცხრა წყაროჲ იგი სისხლისა მისისაჲ.

44. კერძო|+ იესუმსა o*f|

45. და თქუა იესუ: ვინ შემახო მე? – და ვითარცა უვარ-ჰყოფდეს ყოველნი, ჰრქუა პეტრე და მისთანათა: მოძღუარ, ერნი გარემოგადგან და შეგაიწრებენ შენ, და შენ იტყუ: ვინ შემახო მე?

46. ხოლო იესუ ჰრქუა: შე-ვინმე-მასხო მე, რამეთუ მე ვცან ძალი, განსრული ჩემგან.
47. და იხილა რაჲ დედაკაცმან მან, რამეთუ არა დაეფარა, მოვიდა ძრწოლით და შეუვრდა მას და, რომლისა ბრალისათჳს შეახო, უთხრა წინაშე ყოვლისა ერისა, და ვითარ-იგი მეყსეულად განიკურნა.
48. ხოლო იესუ ჰრქუა მას: ნუ გეშინინ, ასულო, სარწმუნობამან შენმან გაცხოვნა შენ, ვიდოდე მშჯლობით!
49. და ვითარ იგი ეტყოდა ოდენ, მო-ვინმე-ვიდა შესაკრებელისმთავრისაჲ მის და ჰრქუა მას, ვითარმედ: ასული შენი მოკუდა, ნუ დააშრობ მოძღუარსა.
49. შესაკრებლისმთავრისაჲ|შესაკრებლისმთავრისა oa|
50. ხოლო იესუს ვითარცა ესმა, ჰრქუა მას: ნუ გეშინინ, გარნა გრწმენინ, და ცხონდეს იგი.
51. და ვითარცა მოვიდა იესუ სახლსა მას, არა ვინ უტევა შესლვად მის თანა, გარნა პეტრე და იაკობ და იოვანე და მამაჲ და დედაჲ მის ყრმისაჲ.
51. პეტრე|პეტრე a|
52. სტიროდეს მას ყოველნი და ეტყებდეს. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: ნუ სტირით, რამეთუ ყრმაჲ ეგე არა მომკუდარ არს, არამედ სძინავს.
53. ხოლო იგინი ჰბასრობდეს მას, უწყოდეს, რამეთუ მომკუდარ იყო.
54. და თავადმან გამოასხა ყოველი და უპყრა კელი ყრმისაჲ მის და კმა-უყო: ყრმაო, აღდეგ!
55. და მოიქცა სული მისი, და მეყსეულად აღდგა. და უბრძანა, რაჲთა სცენ მას ჭამადი.
56. და განუკურდებოდა მამა-დედათა მისთა. ხოლო თავადმან ამცნო მათ, რაჲთა არავის უთხრან საქმე იგი.
56. საქმე|საქმე of|

9

1. და მოუწოდა იესუ ათორმეტთა მათ მოწაფეთა თჳსთა და მისცა მათ ძალი და კელმწიფებაჲ ყოველთა ზედა ეშმაკთა და სენთა განკურნებაჲ.
2. და წარავლინნა იგინი ქადაგებად სასუფეველსა ღმრთისასა და განკურნებად უძლურთა.

3. და ჰრქუა მათ: ნურარაჲ გაქუნ გზასა ზედა, ნუცა კუერთხი, ნუცა ვაშკარანი, ნუცა პური, ნუცა ვეცხლი, ნუცა ორი სამოსელი გაქუნ.
3. კუერთხი|კუწროთხი f|
4. და რომელსაცა სახლსა შეხვდეთ, მუნ დაადგერთ და მიერ გამოვედით.
4. მიერ|მიერვე o*af|
5. და რაოდენთა არა შეგიწყნარნენ თქუნ, გამო-რაჲ-ხვლოდით მიერ ქალაქით, მტუერი ფერკთა თქუნთაგან განიყარეთ საწამებელად მათა.
5. რაოდენთა|რაოდენთა oaf|მტუერი|მტუწრი f|
6. და გამო-რაჲ-ვიდეს, მიმოვილოდეს დაბნებსა მას და ახარებდეს და განჰკურნებდეს სნეულთა ყოველთა ადგილთა.
6. გამო-რაჲ-ვიდეს, მიმოვილოდეს დაბნებსა მას და ახარებდეს და განჰკურნებდეს სნეულთა ყოველთა ადგილთა.
7. ესმნეს ჰეროდეს მეოთხედ მთავარსა ყოველნი იგი საქმენი, რომელნი მის მიერ იქმნებოდეს, და განიზრახვიდა, რამეთუ იტყოდეს ვინმე, ვითარმედ: იოვანე ნათლისმცემელი აღდგომილ არს მკუდრეთით.
7. ესმნეს|ესმა o*af|ყოველნი იგი საქმენი|საქმეწ იგი o*af|
8. ხოლო რომელნიმე იტყოდეს: ელია გამოჩნდა; და სხუანი იტყოდეს: წინაწარმეტყუელი ვინმე პირველთაგანი აღდგომილ არს.
8. ხოლო რომელნიმე იტყოდეს: ელია გამოჩნდა; და სხუანი იტყოდეს: წინაწარმეტყუელი ვინმე პირველთაგანი აღდგომილ არს.
9. ხოლო ჰეროდე თქუა: იოვანეს მე თავი მოვჰკუეთე, ხოლო ესე ვინ არს, რომლისათჳს ესევითარი მესმის, არა ვიცი. და უნდა ხილვაჲ მისი.
9. მოვჰკუეთე|მოვჰკუეწთე f|
10. და მოიქცეს მოციქულნი და უთხრეს იესუს, რაოდენი ქმნეს. და წარიყვანნა იგინი და განემორა თჳსაგან ადგილსა უდაბნოსა ქალაქისასა, რომელსა ჰრქვან ბეთსაიდაჲ.
10. უდაბნოსა] > o*af|
11. ხოლო ერმან მან აგრძნა და მისდევდეს მას. და შეიმთხვნა იგინი და ეტყოდა მათ სასუფეველისათჳს ღმრთისა, და რაოდენთა უკმადა განკურნებაჲ, განჰკურნებდა.
11. ხოლო ერმან მან აგრძნა და მისდევდეს მას. და შეიმთხვნა იგინი და ეტყოდა მათ სასუფეველისათჳს ღმრთისა, და რაოდენთა უკმადა განკურნებაჲ, განჰკურნებდა.
12. და ვითარცა იწყო დღემან მიდრეკად, მოვიდეს ათორმეტნი იგი და ჰრქუეს მას: განუტევე ერი ესე, რაჲთა წარვიდენ გარემო დაბნებსა და აგარაკებსა და დაადგრენ მუნ და პოვონ საზრდელი თავისა მათისაჲ, რამეთუ აქა უდაბნოსა ადგილსა ვართ.
12. ათორმეტნი იგი|მოწაფენი მისნი o*af|პოვონ] პოონ o|მათისაჲ|მათისა af|
13. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: თქუნ ეცით მაგათ ჭამადი. და მათ ჰრქუეს: არა არს ჩუენ თანა უფროჲს, გარნა ხუთი კუეზაჲ პური და ორი თევზი; გარნა თუ ჩუენ წარვიდეთ და უყიდოთ ყოველსა ამას ერსა საზრდელი?
13. კუეზაჲ]კუწზაჲ f|
14. რამეთუ იყვნეს კაცნი იგი ვითარ ხუთ ათას ოდენ. ჰრქუა იესუ მოწაფეთა თჳსთა: დასხით კაცები ეგე პურისმტედ-პურისმტედ ერგასეული.
14. რამეთუ იყვნეს კაცნი იგი ვითარ ხუთ ათას ოდენ. ჰრქუა იესუ მოწაფეთა თჳსთა: დასხით კაცები ეგე პურისმტედ-პურისმტედ ერგასეული.

15. და მათ ყვეს ეგრე და დასხეს ყოველი იგი ერი.
16. ხოლო თავადმან მოილო ხუთი იგი პური და ორი თევზი და აღიხილნა თუალნი ზეცად და აკურთხნა იგინი და დაბუსრა და მისცემდა მოწაფეთა, რაათა დაუგონ ერსა მას.
16. ხუთი|ხუთი a|დაბუსრა|დაბუსრნა a|
17. და ჭამეს და განძღეს ყოველნი; და აღიღეს, რომელ-იგი დაუშთა მათ ნამუსრევი, ათორმეტი გოდორი.
18. და იყო ლოცვასა მას მისსა თუსაგან, მის თანა იყვნეს მოწაფენი; ჰკითხვიდა მათ და ჰრქუა: ვინ ვჰგონიე მე ერსა ამას და რაა თქჳან ჩემთჳს ყოფად?
18. მისსა|მისა af|
19. ხოლო მათ მიუგეს და ჰრქუეს: იოვანე ნათლისმცემელი; და სხუათა – ელია; და რომელნიმე იტყჳან: წინაწარმეტყუელი ვინმე პირველთაგანი აღდგომილ არს.
20. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: თქუენ ვინ გგონიე მე? მიუგო პეტრე და ჰრქუა: ცხებული ღმრთისაჲ.
21. ხოლო თავადმან შეჰპრისხნა მათ და ამცნო, რაათა არავის უთხრან ესე.
22. და ჰრქუა მათ, ვითარმედ: ჯერ-არს ძისა კაცისაჲ ფრიად ვნებაჲ და შეურაცხ-ყოფაჲ მოხუცებულთაგან და მღდელთმოდღუართა და მწიგნობართა და მოკლვად და მესამესა დღესა აღდგომად.
23. და იტყოდა ყოველთა მიმართ: რომელსა უნებს შემოდგომად ჩემდა, უვარ-ყავნ თავი თჳსი და აღიღენ ჯუარი თჳსი და მომღევდინ მე.
23. იტყოდა|იტყოდა o*af|იტყოდა| + მათ o*f|ყოველთა|ყოველსა af|მიმართ| > o*af|
24. რამეთუ რომელსა უნდეს განრიდებად სულისა თჳსისა, წარიწყმიდოს იგი; და რომელმან წარიწყმიდოს სული თჳსი ჩემთჳს, მან პოოს იგი.
24. წარიწყმიდოს|წარიწყმიდოს a|
25. რაა სარგებელ არს კაცისა, შე-თუ-იძინოს სოფელი ყოველი და თავი თჳსი წარიწყმიდოს, გინა იზღვიოს?
26. რომელსა სირცხულ-უჩნდეს ჩემდა მომართ და სიტყუათა ჩემთაჲ, ამას ძემანცა კაცისამან არცხუნოს, ოდეს მოვიდეს დიდებითა თჳსითა და მამისაჲთა და წმიდათა ანგელოზთაჲთა.
27. გეტყჳ თქუენ: არიან ვინმე აქა მდგომარეთაგანნი, რომელთა არა იხილონ გემოჲ სიკუდილისაჲ, ვიდრემდე იხილონ სასუფეველი ღმრთისაჲ.
27. აქა|მანდა o*af|
28. და იყო შემდგომად სიტყუათა ამათ ვითარ რვა ოდენ დღე, და წარიყვანნა იესუ პეტრე და იაკობ და იოვანე და აღვიდა მთასა ლოცვად.

28. დღე|ღღ a |
29. და იყო ლოცვასა მას მისსა ხილვად პირისა მისისაჲ სხუა, და სამოსელი მისი სპეტაკ და ელვარე.
29. მისსა|მისა of | ელვარე|ელვარჳ a |
30. და, აჰა, ესერა, ორნი კაცნი მის თანა ზრახვიდეს, რომელნი იყვნეს მოსე და ელია,
30. მოსე|მოსჳ a |
31. რომელნი გამოჩნდეს დიდებითა და იტყოდეს განსლვასა მას მისსა, რომელი ეგულებოდა აღსრულებად იერუსალჳმს.
31. მისსა|მისა f | იერუსალჳმს|იერუსალ-მს o |
32. ხოლო პეტრე და მისთანანი დამძიმებულ იყვნეს ძილითა; ხოლო გან-რაჲ-იღუძეს, იხილეს დიდებაჲ მისი და ორნი კაცნი მის თანა მდგომარენი.
33. და იყო განშორებასა მას მათსა მისგან ჰრქუა პეტრე იესუს: მოძღუარ, კეთილ არს ჩუენდა აჲა ყოფაჲ; და ვქმნეთ აჲა სამ ტალავარ: ერთი შენდა და ერთი მოსესა და ერთი ელიაჲსა, – რამეთუ არა იცოდა, რასა იტყოდა.
33. პეტრე|პეტრჳ a | შენდა|შენ af |
34. და ვითარცა ამას იტყოდა, აჰა, ღრუბელი აგრილობდა მათ, და შეეშინა მათ შესლვად ღრუბელსა მას.
35. და კმაჲ იყო ღრუბელით გამო: ესე არს ძჳ ჩემი საყუარელი, ამისი ისმინეთ!
35. ღრუბელით|ღრუბლით af | ძე of |
36. და ესე რაჲ იყო კმაჲ, იპოვა იესუ მარტოჲ. და მათ დაიდუმეს და არაჲ ვის უთხრეს მათ დღეთა შინა, რომელ-იგი იხილეს.
36. იპოვა|იპოა o | არაჲ|არა f |
37. და იყო მერმესა დღესა, გარდამოსლვასა მათსა მიერ მითი მოეგებვოდა მას ერი მრავალი.
38. და, აჰა, კაცმან ვინმე დაღად-ყო ერსა მას შორის და თქუა: მოძღუარ, გვედრები შენ, მოიხილე ძესა ზედა ჩემსა, რამეთუ ესე ხოლო მარტოჲ მივის.
38. დაღად-|დაღატ- oa |
39. და სულმან უკეთურმან შეიპყრის იგი, და მეყსეულად დაღად-ყვის, და დააკუეთის იგი, და პერიონ, და ძნად განემორის მისგან და შემუხრის იგი.
39. დაღად-|დაღატ- oa | დააკუეთის|დააკუჳთის f | პერიონ|პეროჳნ f.
40. და ვევედრე მოწაფეთა შენთა, რაჲთამცა განაშორეს იგი, და ვერ შეუძლეს.

41. ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა: ჭ, ნათესავი ურწმუნოა და გულარძნილი! ვიდრემდე ვიყო თქვენ თანა და თავს-ვიდებდე თქვენსა? მომგუარე მე აქა ძმ შენი!

41. ძმ|მე of|

42. და ვიდრე იგი მოვიდოდა, დააკუეთა იგი ეშმაკმან მან და აძრწოლებდა მას. შეჰრისხნა იესუ სულსა მას არაწმიდასა და განკურნა ყრმაჲ იგი და მისცა მამასა თვისსა.

42. დააკუეთა|დააკუშთა f|

43. და განუკურდებოდა ყოველთა დიდებასა მას ზედა ღმრთისასა, და ყოველნი დაკურვებულ იყვნეს ყოველსა მას ზედა, რომელსა იქმოდა იესუ. ხოლო იესუ ჰრქუა მოწაფეთა თვისთა.

44. დაისხენით თქვენ სიტყუანი ესე ყურთა თქუნთა, რამეთუ ძმ კაცისაჲ მიცემად არს კელთა კაცთასა.

44. ძმ|მე of|

45. ხოლო იგინი უმეცარ იყვნეს სიტყუასა ამას ზედა, და იყო დაფარულ მათგან, რაჲთა ვერ გულისკმა-ყონ იგი, და ეშინოდა მათ კითხვად მისა სიტყვსა ამისთვის.

45. სიტყუასა|სიტყვსა f|ამას|მას a|ამისთვის|მისთვის a|

46. შევიდა მათდა გულისსიტყუაჲცა: ვინძი უდიდეს იყოს შორის მათსა?

47. ხოლო იესუ იცნოდა გულისზრახვანი მათნი და მოიყვანა ყრმაჲ და დაადგინა იგი წინაშე მათსა

48. და ჰრქუა მათ: რომელმან შეიწყნაროს ესე ყრმაჲ სახელითა ჩემითა, მე შემეწყნარა; და რომელმან მე შემეწყნაროს, შეიწყნაროს მომავლინებელი ჩემი. ხოლო უმცირესი თქვენ ყოველთა შორის იგი არს დიდ.

49. მიუგო იოვანე და ჰრქუა: მოძღუარ, ვიხილეთ ვინმე, რომელი სახელითა შენითა ეშმაკთა განასხმიდა, და ჩუენ ვაყენებდით მას, რამეთუ არა შემოგუდგს ჩუენ.

50. ჰრქუა მას იესუ: ნუ აყენებთ, რამეთუ რომელი არა არს ჩუენდა მტერ, იგი ჩუენ კერძო არს.

51. და იყო აღსრულებასა მას დღეთა ამაღლებისა მისისათა და თავადმან დაამტკიცა პირი თვისი აღსლვად იერუსალჴმდ.

52. და წარავლინნა მოციქულნი წინაშე მისა. და იგინი წარვიდეს და შევიდეს დაბასა სამარტელთასა, რაჲთა მო-რაჲმე-უმზადონ მას.

53. და არა შეიწყნარნეს იგინი, რამეთუ პირი მისი იყო მისლვად იერუსალჴმდ.

53. იერუსალჴმდ|იერუსალჴმდ o|

54. ვითარცა იხილეს მოწაფეთა მისთა იაკობ და იოვანე, თქუეს: უფალო, გნებავსა, რაჲთა ვთქუათ, და ცეცხლი გარდამოკდეს ზეცით და აკოცნეს იგინი, ვითარცა ელია ყო?

55. მიექცა იესუ და შეჰრისხნა მათ და ჰრქუა: არა იცითა, რომლისა სულისანი ხართ თქუნ?

56. რამეთუ ძე კაცისაჲ არა მოვიდა წარწყმელად სულსა კაცთასა, არამედ ცხორებად. – და წარვიდეს სხუასა დაბასა.

56. ძემჲ ა|

57. და იყო, სლვასა მათ მათსა გზასა ზედა ჰრქუა ვინმე მას: მიგდევე შენ, ვიდრეცა მიხუალ.

57. მათმას აფ|

58. ჰრქუა მას იესუ: მეღთა კურელი უნს და მფრინველთა ცისათა საყოფელი, ხოლო ძესა კაცისასა არა აქუს, სადა თავი მიიდრიკოს.

58. უნსიუნს ა| ძესაქმსა ა|

59. ხოლო სხუასა ჰრქუა: შენ მომდევი მე! – და მან ჰრქუა: უფალო, მიბრძანე მე პირველად მისლვად და დაფლვად მამისა ჩემისა.

60. ჰრქუა მას იესუ: აცადენ მკუდარნი დაფლვად თუსთა მკუდართა, ხოლო შენ წარვედ და მიმოსდევე სასუფეველი ღმრთისაჲ.

61. ჰრქუა მას სხუამან: მეცა მიგდევე შენ, უფალო, ხოლო პირველად მიბრძანე მე ჯმნაჲ სახლეულთა ჩემთაგან.

62. ჰრქუა მას იესუ: არა ვინ დასდვის კელი საკნველსა და ხედავნი იგი გარეუკუნ და წარმართებულ არნ სასუფეველსა ღმრთისასა.

10

1. და ამისა შემდგომად გამოირჩინა უფალმან სხუანი სამეოცდაათნი და წარავლინნა იგინი ორ-ორი წინაშე მისსა ყოველსა ქალაქებსა და დაბნებსა, ვიდრეცა ეგულებოდა მას მისლვად.

1. მისსა]მისა აფ|მისსა] + და ა|

2. და ეტყოდა მათ: სამკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკნი მცირედ. ევედრენით უკუე უფალსა სამკალისასა, რაჲთა მოავლინნეს მუშაკნი სამკალსა თუსსა.

2. უკუე]უკუე oaf|

3. წარვედით! აჰა, ესერა, მიგავლინებ თქუნ, ვითარცა კრავთა შორის მგელთა.

4. ნუ წარგაქუნ ბალანტი, ნუცა ვაშკარანი, ნუცა შესასხმელი ფერკთაჲ და ნუცა ვის გზასა ზედა მოიკითხავთ.

4. და $| > a |$

5. და რომელსაცა სახლსა შეხვდეთ, პირველად თქუთ: მშულობაჲ სახლსა ამას!

6. და უკუეთუ იყოს მუნ ძმ მშულობისაჲ, განისუენოს მის ზედა მშულობამან თქუენმან, უკუეთუ არა – თქუენდავე მოიქცეს.

6. ძმ^იჲ of $|$

7. მასვე სახლსა შინა იყვნით, ჭამდით და სუემდით მათ თანა, რამეთუ ღირს არს მუშაკი სასყიდლისა თვისისა, ნუ მიხუალთ სახლითი სახლად.

7. სუემდით^ისუემდით $f |$

8. და რომელსა ქალაქსა შეხვდეთ, და შეგიწყნარნენ თქუენ, ჭამდით წინადაგებულსა თქუენსა

9. და განჰკურნებდით მას შინა უძღურთა და ეტყოდეთ მათ: მოახლებულ არს თქუენ ზედა სასუფეველი ღმრთისაჲ.

9. ეტყოდეთ^იეტყვდეთ $f |$

10. და რომელსა ქალაქსა შეხვდეთ, და არა შეგიწყნარნენ თქუენ, გამო-რაჲ-ხვდოდით უბანთა მისთა, არქუთ მათ:

11. აჰა, ესერა, მტუერი რომელ აღეკრა ფერკთა ჩუენთა ქალაქისაგან თქუენისა, განვიყრიოთ თქუენ ზედა; გარნა ესემცა უწყით, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ღმრთისაჲ.

11. მტუერი^იმტუერი $f |$

12. გეტყვ თქუენ: სოდომელთაჲ უმოლხინეს იყოს მას დღესა შინა, ვიდრე ქალაქისა მის.

12. სოდომელთა^ისოდომელთა $o * a f |$

13. ვაჲ შენდა, ქორაზინ, და ვაჲ შენდა, ბეთსაიდა, რამეთუ ტუროსს და სიდონს თუშცა იქმნეს ძალნი, რომელ იქმნეს თქუენ შორის, პირველვემცა ძაძითა და ნაცარსა ზედა მსხლომარეთა შეინანეს.

13. რომელ^ი + რომელ $a |$ იქმნეს^იიქმნეს $a |$ თქუენ^იშენ $a |$ პირველვემცა^იპირველმცა $o * f |$

14. ხოლო ტუროსი და სიდონი უმოლხინეს იყოს საშჯელსა მას, ვიდრე თქუენ.

14. საშჯელისა^ისაშჯელსა $f |$

15. და შენ, კაპერნაუმ, ნუ ცადმდე აჰმალდები, არამედ ჯოჯოხეთადმდე შთაჰკდე.

15. კაპერნაუმ^იკაფარნაუმ $o * a f |$ არამედ^ი + ვიდრე $o * a |$

16. რომელმან თქუენი ისმინოს, ჩემი ისმინა; და რომელმან თქუენ შეურაცხ-გვენეს, მე შეურაცხ-მყოფს; და რომელმან მე შეურაცხ-მყოფს, შეურაცხ-ჰყოფს მომავლინებელსა ჩემსა.

17. და მოიქცეს სამეოცდაათნი იგი სიხარულითა და იტყოდეს: უფალო, ეშმაკნიცა დაგუემორჩილებიან სახელითა შენითა.

17. დაგუემორჩილებიან|დაგუემორჩილებიან f|

18. ჰრქუა მათ იესუ: ვხედევდ ეშმაკსა, ვითარცა ელვასა, ზეცით გარდამოვრდომილსა.

19. აჰა, მიგცემ თქუენ კელმწიფებასა დათრგუნვად გუელთა და ღრიაკალთა და ყოველსა ზედა ძალსა მტერისასა, და თქუენ არარაჲ გვენოს.

19. გუელთა|გუელთა f | თქუენ არარაჲ|tr არარაჲ თქუენ a|

20. ხოლო ამას ზედა ნუ გიხარინ, რამეთუ სულნი უკეთურნი დაგემორჩილებიან, არამედ გიხაროდენ, რამეთუ სახელები თქუენი დაიწერა ცათა შინა.

20. გიხარინ|გიხარიან a|

21. მას ჟამსა შინა იხარებდა იესუ სულითა და თქუა: აღვიარებ შენ, მამაო, უფალო ცისა და ქუეყანისაო, რამეთუ დაჰფარე ესე ბრძენთაგან და მეცნიერთა და გამოუცხადე ესე ჩხვლთა. ჰე, მამაო, რამეთუ ესრეთ სათნო იყო შენ წინაშე.

21. სულითა|+ წმიდითა o*af | ქუეყანისაო|ქ-ყნისო a| ჰე|ჰმ a|

22. და მიექცა მოწაფეთა და ჰრქუა: ყოველივე მომეცა მე მამისა ჩემისა მიერ, და არა ვინ იცის, ვინ არს მამაჲ, გარნა ძემან; და არცა ვინ იცის, ვინ არს ძმ, გარნა მამამან; და ვისა უნდეს ძესა გამოცხადების, გამოუცხადოს.

22. ძმ|ძე of | ვისა| ვის o* | ძესა|ძმსა a|

23. და მიექცა მოწაფეთა მისთა თჳსაგან და ჰრქუა: ნეტარ არიან თუაღნი, რომელნი ხედვენ, რომელსა თქუენ ხედავთ, და ესმის, რომელი თქუენ გესმის.

23. ხედვენ|ჰხედვენ a| ხედავთ|ჰხედავთ a| რომელი|რომელ o*|

24. ხოლო გეტყვ თქუენ, რამეთუ: მრავალთა წინაწარმეტყუელთა და მეფეთა უნდა ხილვაჲ, რომელსა თქუენ ხედავთ, და ვერ იხილეს, და სმენად, რომელი თქუენ გესმის, და ვერ ესმა.

24. და¹ > o*|

25. და, აჰა, ესერა, შჯულისმეცნიერი ვინმე აღდგა და გამოსცდიდა იესუს და ეტყოდა: მოძღუარ, რაჲ ვქმნე, რაჲთა ცხორებაჲ საუკუნოჲ დავიმკვიდრო?

25. შჯულისმეცნიერი|სჯულისმეცნიერი f|

26. ხოლო თავადმან ჰრქუა მას: შჯუღსა ვითარ წერილ არს? ვითარ აღმოიკითხავ?
26. შჯუღსა|სჯუღსა f |აღმოიკითხავ|აღმოიკითხი o*af |
27. ხოლო მან ჰრქუა: შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა, და მოყუასი შენი – ვითარცა თავი თუსი.
28. ჰრქუა მას იესუ: მართლ მომიგე, მაგას იქმოდე და სცხონდე.
28. სცხონდე|სცხონდე a |
29. ხოლო მას უნდა განმართლებად თავი თუსი და ჰრქუა იესუს: და ვინ არს მოყუას ჩემდა?
30. მიუგო იესუ და ჰრქუა: კაცი ვინმე გარდამოვიდოდა იერუსალსმით იერიქოდ, და ავაზაკნი დაესხნეს, განძარცუეს იგი, დაწყლეს და წარვიდეს და დაუტევეს მწყდარი.
30. განძარცუეს|განძარცუეს f |მწყდარი|მწყდარი af |
31. ხოლო დამთხუევით მღდელი ვინმე შთავიდოდა მასვე გზასა და იხილა იგი და თანაწარჰკდა.
31. ხოლო დამთხუევით] > o*af | და¹ | + მიემთხვა o*af |
32. და ეგრეთვე ლევიტელი მასვე ადგილსა მივიდა და იხილა იგი და თანაწარჰკდა.
32. და²] > o*f |
33. მერმე სამარიტელი ვინმე წარვიდოდა, მოვიდა მასვე ადგილსა, იხილა იგი და შეეწყალა.
34. და მოვიდა მისა და შეუხვა წყლული იგი და დაასხა ზეთი და ღვინო და აღსუა იგი კარაულსა თუსსა და მოიყვანა იგი ყოველთასა მას სადგურსა და იღუაწა იგი.
34. და³] > o*f |
35. და ხვალისაგან, გამო-რა-ვიდოდა, ორი დრაჰკანი მისცა ყოველთა სადგურისა მოღუაწესა მას და ჰრქუა: იღუაწე ეგე და, სხუად თუ რადმე წარავო უმეტესი, მო-რა-ვიდე, მიგცე შენ.
36. ვინ უკუე ამათ სამთაგანი გგონიეს შენ მოყუას მისა, რომელ იგი შევარდა ავაზაკთა მათ?
36. უკუე] > o*af | ამათ] მათ o*f | მისა]მისსა o.
37. ხოლო მან თქუა: რომელმან ყო წყალობად მის თანა. – ჰრქუა მას იესუ: ვიდოდე და ჰყოფდ შენცა ეგრევე.

38. და იყო ვითარცა წარვიდეს ესენი, და თავადი შევიდა დაბასა რომელსამე. და იყო მუნ ვინმე დედაკაცი, რომლისა სახელი მართა, და შეიყვანა თავადი სახიდ თუსა.

38. იყო¹] > o*af | მუნ] > a | მუნ ვინმე] tr ვინმე მუნ f |

39. და იყო დაჲ მისი, რომელსა ერქუა მარიაჲ, რომელი დაჳდა ფერკთა თანა იესუჲსთა და ისმენდა სიტყუათა მისთა.

39. დაჳდა] ჳდა o*f |

40. ხოლო მართა მიმოდაზრუნვიდა მრავლისა მსახურებისათჳს, ზედამიადგა და ჰრქუა: უფალო, არა ილუწი, რამეთუ დამან ჩემმან მარტოჲ დამიტევა მე მსახურებად? არქუ მას, რადთა შემეწეოდის მე.

40. შემეწეოდის] შემეწეოდის a |

41. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: მართა, მართა! ზრუნავ და შფოთ ხარ მრავლისათჳს,

42. აქა ერთისაჲ არს საკმარ. ხოლო მარიაჲ კეთილი ნაწილი გამოირჩია, რომელი არასადა მიეღოს მისგან.

42. ერთისაჲ] მცირელი o*af | გამოირჩია] გამოიჩია o*, გამოიძია f |

11

1. და იყო, ადგილსა რომელსამე თავადი ილოცვიდა. და ვითარცა დასცხრა ლოცვისაგან, ჰრქუა ვინმე მას მოწაფეთაგანმან: უფალო, გუასწავე ლოცვაჲ, ვითარცა იოვანე ასწავა მოწაფეთა თუსთა.

2. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: რაჟამს ილოცვიდეთ, თქუთ: მამაო ჩუენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევაჲ შენი, იყავნ ნებაჲ შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქუეყანასა ზედა.

2. შინა¹] > a |

3. პური ჩუენი არსობისაჲ მომეც ჩუენ ღლითი ღღედ.

3. პური] + ესე o*af |

4. და მომიტევენ ჩუენ ცოდვანი ჩუენნი, და რამეთუ ჩუენცა მიუტევებთ ყოველთა თანამდებთა ჩუენთა, და ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაცდელსა, არამედ მიკსნენ ჩუენ ბოროტისაგან.

4. მიკსნენ] იკსენინ a |

5. და ეტყოდა მათ: ვის თქუენგანსა ესუას მეგობარი და მივიდეს მისა შუვალამეს და ჰრქუას მას: მეგობარო, მავასხენ მე სამნი პურნი,

5. და²] > o* | შუვალამეს] შუვალამს a, შუვალამეს f |

6. რამეთუ მეგობარი მოვიდა ჩემდა გზით, და არარაჲ მაქუს, რაჲ დაუგო მას.

7. მან მიუგოს შინაგანად გამო და ჰრქუას: ნუ შრომასა შემამთხუევ მე, რამეთუ კარი დაკშულ არს, და ყრმანი ჩემნი ჩემ თანა არიან სარეცელსა ზედა; ვერ ძალ-მიც აღდგომად და მიცემად შენდა.

7. შემამთხუევ|შემამთხუე f|

8. გეტყვ თქუენ: დაღაცათუ არა ეძლოს მას აღდგომად და მიცემად, რამეთუ არს იგი მეგობარ მისა, წყინებისა მისთვის მისისა აღდგეს და მისცეს, რაოდენი უკმდეს მას.

9. ხოლო მე გეტყვ თქუენ: ითხოვდით და მოგეცეს თქუენ, ეძიებდით და ჰპოოთ, ირეკდით და განგელოს თქუენ,

10. რამეთუ ყოველი რომელი ითხოვდეს, მოილოს, და რომელი ეძიებდეს, პოოს, და რომელი ირეკდეს, განელოს.

11. ვის უკუე თქუენგანსა მამასა სთხოვდეს ძმ პურსა, ნუუკუე ქვაჲ მისცეს მას? გინა თუ თევზსა სთხოვდეს, ნუუკუე თევზისა წილ გუელი მისცეს მას?

11. უკუე უკუე of|ძმ|ძე of|ნუუკუე|ნუუკუე of|ნუუკუე|ნუუკუე of|გუელი|გუელი f|

12. გინა თუ კუერცხსა სთხოვდეს, ნუუკუე ღრიაკალი მისცეს მას?

12. კუერცხსა|კუერცხსა f|ნუუკუე|ნუუკუე of|

13. უკუეთუ თქუენ, უკეთურთა, იცით მისაცემელი კეთილი მიცემად შვილთა თქუენთა, რაოდენ უფროჲს მამამან ზეცით მოსცეს სული წმიდაჲ, რომელი სთხოვდენ მას.

13. მოსცეს|მოსცის f| რომელი|რომელნი f|

14. და კაცისა ვისგანმე განადო ეშმაკი, რომელი იყო ყრუჲ. და იყო, განსლვასა მას ეშმაკისასა იტყოდა ყრუჲ იგი. და უკურდა ყოველსა მას ერსა.

14. ყრუჲ|ყრუჲ a|

15. ხოლო რომელთამე მათგანთა თქუეს: ბელზებულითა, მთავრითა მით ეშმაკთაჲთა, განასხამს ეშმაკთა.

15. ეშმაკთა|+ (და f) მიუგო და ჰრქუა ვითარ შემძლებელ არს ეშმაკი ეშმაკისა განკლად of|af|

16. და სხუანი ვინმე გამოცდით სასწაულსა ზეცით ითხოვდეს მისგან.

17. ხოლო თავადმან იცნოდა ზრახვანი მათნი და ჰრქუა მათ: ყოველი მეუფებაჲ, რომელი თავსა თვსსა განევლთის, მოოკრდის, და სახლი სახლსა ზედა დაეცის.

17. და|> of|

18. და უკუეთუ ეშმაკი თავსა თვსსა განევლთა, ვითარ დამტკიცნეს მეუფებაჲ მისი? რამეთუ იტყუო ჩემთვის, ვითარმედ ბელზებულითა განვასხამ ეშმაკთა.

18. განვასხამ|განასხამ of|

19. უკუეთუ მე ბელზებულთა განვასხამ ეშმაკთა, ძენი თქუენნი რაათა განასხმენ? ამისთვის იგინივე მსაჯულ გექმნენ თქუენ.

19. გექმნენ|გექმნენ oaf|

20. უკუეთუ მე თითითა ღმრთისადათა განვასხამ ეშმაკთა, მო-სამე-წევნულ არს თქუენ ზედა სასუფეველი ღმრთისადა.

21. რაჟამს ძლიერი შეჭურვილი სცვიდეს ეზოსა თუსსა, მშულობით არნ მონაგები მისი.

21. სცვიდეს|სცვიდის of, სცვიდინ a|მონაგები|საყოფელი o*af|

22. და ოდეს უძლიერესი მისი ზედა მოუკდის, სძლის მას და საჭურველი მისი მოულის, რომელსა-იგი ესვიდა, და ნატყუენავი მისი განუყვის.

22. მისი¹|მისსა a| სძლის|სძლიის a|ნატყუენავი|ნატყუენავი f|

23. რომელი არა არს ჩემ თანა, მტერი ჩემი არს; და რომელი არა შეჰკრებს ჩემ თანა, იგი განაბნევს.

23. შეჰკრებს|შეიკრებს f|

24. რაჟამს სული არაწმიდადა განვიდის კაცისაგან, მიმოვალნ ურწყულთა ადგილთა და ეძიებნ განსუენებასა და არა პოვის, თქუს: მივიქცე სახლსავე ჩემსა, ვინადაცა გამოვედ.

24. განსუენებასა|განსუენებასა f|

25. და მოვიდის და პოვის იგი განშუენებული და შემკული.

25. პოვის|პოის oaf|განშუენებული|განშუენებული f|

26. მაშინ წარვიდის და მოიყვანის სხუანი შუენი სულნი, უბოროტესნი მისსა, და შევიდის და დაიმკუდრის მას შინა, და იქმნის უკუანაფსკნელი კაცისადა მის უძურეს პირველისა.

26. მაშინ| > o*af; და¹ > o* |დაიმკუდრის|დაემკუდრის a| უკუანაფსკნელი|უკანაფსკნელ a|

27. და იყო, ვიდრე იტყოდალა იგი ამას, აღ-ვინმე-ილო დედაკაცმან კმადა ერსა მას შორის და ჰრქუა მას: ნეტარ არს მუცელი, რომელმან გიტურთა შენ, და ძუძუნი, რომელთა სწოვდი.

28. ზოლო თავადმან თქუა: არამედ ნეტარ არიან, რომელთა ისმინონ სიტყუადა ღმრთისადა და დაიმარხონ იგი.

28. იგი| > o*|

29. და ვითარცა შეკრებოდა ერი იგი, იწყო სიტყუად მათდა: ნათესავი ესე ნათესავი ბოროტი არს, სასწაულსა ითხოვს, და სასწაული არა ეცეს მას, არამედ სასწაული იონა წინაწარმეტყუელისადა.

29. შეკრებოდა| + მისა o*f|

30. ვითარცა-იგი ექმნა იონა სასწაულ ნინეველთა, ეგრეთ ეყოს ძმ კაცისადა ნათესავსა ამას.

30. ეყოს|იყოს af |ძმ|ბე ofaf |
31. დელოფალი იგი სამხრისაჲ აღდგეს საშჯელსა მას კაცთა თანა ამის ნათესავისათა და დაშჯიდეს მათ, რამეთუ მოვიდა კიდით ქუეყანისაჲთ სმენად სიბრძნესა სოლომონისსა; და, აჰა, ესერა, უფროჲს სოლომონისსა არს აჰა.
31. დელოფალი|დეღუფალი f | საშჯელსა|სასჯელსა f | დაშჯიდეს|დასჯიდეს af |
32. კაცნი იგი ნინეველნი აღდგენ საშჯელსა მას ნათესავისა ამის თანა და დაშჯიდენ მათ, რამეთუ შეინანეს ქადაგებასა მას იონაჲსსა; და, აჰა, ესერა, უფროჲს იონაჲსსა არს აჰა.
32. საშჯელსა|სასჯელსა of | დაშჯიდენ|დასჯიდენ f | იონაჲსსა|იონაჲსა of |
33. არავინ აღანთის სანთელი და დადგის ფარულად, გინა კჳმირსა ქუეშე. არამედ სასანთლესა ზედა, რამთა შემავალნი ხედვიდენ ნათელსა.
33. ქუეშე|ქუეშე a, ქუშე f |
34. სანთელი გუამისაჲ არს თუალი; ოდეს თუალი შენი განმარტებულ იყოს, ყოველი გუამი შენი ნათელ იყოს. და უკუეთუ თუალი შენი ბოროტ იყოს, ყოველი გუამი შენი ბნელ იყოს.
34. თუალი| + შენი o*af |
35. იხილე, ნუუკუე ნათელი იგი შენ შორის ბნელ იყოს.
35. ნუუკუე|ნუუკუე of |
36. უკუეთუ ყოველი გუამი შენი ნათელ არს და არა აქუნდეს ადგილი რამჲე ბნელისაჲ, იყოს იგი ყოვლად ნათელ, ვითარცა-იგი სანთელი ელვითა განგანათლოს შენ.
36. არა|არაჲ ofaf |
37. და ვითარცა იტყოდა ამას თავადი, ჰლოცვიდა ვინჲე ფარისეველი, რამთა პური ჭამოს მის თანა; და შევიდა და დაჯდა.
37. და ვითარცა იტყოდა ამას თავადი, ჰლოცვიდა ვინჲე ფარისეველი, რამთა პური ჭამოს მის თანა; და შევიდა და დაჯდა.
38. ხოლო ფარისეველმან მან ვითარცა იხილა, უკჳრდა, რამეთუ პირველად არა იბანა, ვიდრე სადილობადმდე.
38. ხოლო ფარისეველმან მან ვითარცა იხილა, უკჳრდა, რამეთუ პირველად არა იბანა, ვიდრე სადილობადმდე.
39. ჰრქუა მას უფალმან: აწ თქუნ, ფარისეველთა, გარეშე სასუმელისაჲ და პინაკისაჲ განსწმიდით, და შინაგანი თქუენი სავსე არნ ნატაცებითა და უკეთურებითა.
39. გარეშე|გარეშე a | სასუმელისაჲ| სასუმილისაჲ of | სასუმელისაჲ a |
40. ორგულნო, ანუ არა რომელმან-იგი გარეშე შექმნა, მანვე შინაგანი შექმნა?
40. ორგულნო|ურგულნო a | გარეშე|გარეშე of |
41. გარნა ესე, რომელი ჯერ-არს, მიეცით მოწყალებაჲ, და, აჰა, თქუენი ყოველი წმიდა არს.
41. გარნა ესე, რომელი ჯერ-არს, მიეცით მოწყალებაჲ, და, აჰა, თქუენი ყოველი წმიდა არს.

42. არამედ ვამ თქვენდა, ფარისეველნო, რამეთუ ათეულსა აღიღებთ პიტნაკისა და ტევანისასა და ყოვლისა მხლისასა და თანაწარჰკვალთ სამართალსა და სიყუარულსა ღმრთისასა. ესე ჯერ-იყო ყოფად და იგი არა დატევებად.

42. ჯერ-იყო|ჯერ-არს o*af |

43. ვამ თქვენდა, ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ გიყუარს თქვენ ზემოჯდომად შესაკრებელთა შორის და მოკითხვამ უბანთა ზედა.

44. ვამ თქვენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ ხართ, ვითარცა საფლავნი უჩინონი, და კაცნი ზედა ვლენ და არა იციან.

45. მიუგო შჯულისმეცნიერმან ვინმე და ჰრქუა მას: მოძღუარ, მაგას რამ იტყვ, ჩუენცა გუაგინებ.

45. შჯულისმეცნიერმან|სჯულისმეცნიერმან f |

46. ხოლო თავადმან ჰრქუა მას: თქვენდაცა, შჯულისმეცნიერთა, ვამ არს, რამეთუ აღჰკიდით კაცთა ტურთი ძნიად სატურთავი და თქვენ ერთითაცა თითითა არა შეახით ტურთსა მას.

46. თქვენდაცა|თქვენცა o*f | შჯულისმეცნიერთა| სჯულისმეცნიერთა f | აღჰკიდით|აჰკიდით o*a |

47. ვამ თქვენდა, რამეთუ აშენებთ საფლავებსა წინაწარმეტყუელთასა, ხოლო მამათა თქვენთა მოსწყვდნეს იგინი.

48. ეწამებით სამე და თანა-სათნო-ეყოფვით საქმესა მამათა თქვენთასა, რამეთუ მათ მოსწყვდნეს იგინი, და თქვენ საფლავთა მათთა აშენებთ.

48. საქმესა|საქმსა a |

49. ამისთვისცა-იგი სიბრძნემან ღმრთისამან თქუა: მოვავლინე მათა წინაწარმეტყუელნი და მოციქულნი, და მათგანნი მოსწყვდნენ და დევნენ.

49. და² > f | მათგანნი|მათგანი a | დევნენ|დევნენ a |

50. რამათა იდიოს სისხლი ყოველთა წინაწარმეტყუელთაჲ, დათხეული დასაბამითგან სოფლისაჲთ ნათესავისა ამისგან,

51. სისხლითგან აბელისით, ვიდრე სისხლადმდე ზაქარიაჲსა, რომელი წარწყმდა შორის საკურთხეველისა მის და ტადრისა. ჰე, გეტყვ თქვენ, იდიოს ნათესავისა ამისგან.

51. ჰე|ჰმ a |

52. ვამ თქვენდა, შჯულისმოდღუარნო, რამეთუ დაჰმალენით კლიტენი მეცნიერებისანი; თქვენ შე-არა-ხუალთ და შემავალთა აყენებთ.

52. შჯულისმოდღუარნო|სჯულისმოდღუარნო f |

53. და ვითარ-იგი თავადი ეტყოდა მათ ამას წინაშე ყოვლისა მის ერისა, იწყეს მწიგნობართა მათ და ფარისეველთა განზრახვად ბოროტისა, და უძნდა სიტყუაჲ იგი და ჰგმობდეს მას მრავლისა მისთვის სიტყუსა.

54. და უმზირდეს მას პოვნად რასმე სიტყუასა პირისაგან მისისა, რაათა შეასმინონ იგი.

54. რასმერასამე f |

12

1. რომელთა ზედა შეკრებულ იყო ბევრეული ერი, ვიდრემდე დასთრგუნვიდეს ურთიერთას. იწყო პირველად სიტყუად მოწაფეთა თვსთა და ჰრქუა: ეკრძალენით თავთა თქუნთა ცომისაგან ფარისეველთაჲსა, რომელ არს ორგულეზაჲ.

1. ვიდრემდე|ვიდრემდის f |

2. ხოლო არარაჲ არს დაფარული, რომელი არა გამოცხადნეს, და დამალული, რომელი არა საცნაურ იყოს.

2. ხოლო|რამეთუ a |

3. ამისთვის რომელი ბნელსა შინა სთქუათ, ნათელსა შინა ისმეს, და რომელსა ყურსა ეტყოდით საუნჯეთა შინა, იქადაგოს ერდოთა ზედა.

3. შინა²] > o*af |

4. ხოლო გეტყვ თქუნ, მეგობართა ჩემთა: ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოსწყვდნენ კორცნი და ამისა შემდგომად ვერარაჲ აქუს უმეტესი, რაჲ გიყონ თქუნ.

5. ხოლო გიჩუნო თქუნ, ვისა გეშინოდის: გეშინოდენ მისა, რომელსა შემდგომად მოწყუედისა კელ-ეწიფების შთაგდებად გეჭენიასა. ჰე, გეტყვ თქუნ, მისა გეშინოდენ.

5. გიჩუნო|გიჩუნო f | მოწყუედისა|მოწყუედისა f | ჰე|ჰე a |

6. ანუ არა ხუთი სირი განისყიდების ორის ასარის? და ერთიცა მათგანი არა არს დაფარულ წინაშე ღმრთისა.

7. არამედ თმანიცა თავისა თქუნისანი ყოველნი განრაცხილ არიან. ნუუკუე გეშინინ, რამეთუ მრავალთა სირთა უმჯობეს ხართ.

7. ნუუკუენ|ნუუკუენ of |

8. ხოლო გეტყვ თქუნ: ყოველმან რომელმან აღიაროს ჩემდა მომართ წინაშე კაცთა, ძემანცა კაცისამან აღიაროს იგი წინაშე ანგელოზთა ღმრთისათა.

9. და რომელმან უვარ-მყოს მე წინაშე კაცთა, უვარ იქმნეს იგიცა წინაშე ანგელოზთა ღმრთისათა.

9. უვარ|უვარ a |

10. და ყოველმან რომელმან თქუას სიტყუაჲ ძისა მიმართ კაცისა, მიეტეოს მას, ხოლო სულისა წმიდისა მგმობარსა არა მიეტეოს.

10. მიეტეოს|მიეტეოს of |

11. და ოდეს შეგიყვანენ თქვენ შესაკრებელთა და წინაშე მთავართა და კელმწიფეთა, ნუ ჰზრუნავთ, ვითარ, ანუ რაჲ სიტყუაჲ მიუგოთ, ანუ რაჲ სთქუათ,
11. ჰზრუნავთ]ზრუნავთ f|
12. რამეთუ სულმან წმიდამან გასწაოს თქვენ მას ჟამსა შინა, რაჲ-იგი სთქუათ.
13. ჰრქუა ვინმე მას მის ერისაგანმან: მოძღუარ, არქუ ძმასა ჩემსა, რაჲთა განმეყოს მე სამკუდრებელსა.
14. ხოლო თავადმან ჰრქუა მას: კაცო, ვინ დამადგინა მე მსაჯულად და განმყოფელად თქუენდა?
14. დამადგინა]დამაგინა o|
15. და ეტყოდა მათ: ეკრძალენით და დაიცვენით თავნი თქუენნი ყოვლისაგან ანგაპრებისა, რამეთუ არა ნამეტნავისაგან ვისამე არნ ცხორებაჲ მისი ნაყოფთა მისთაგან.
15. ნამეტნავისაგან]ნამეტნავ o° | არნ]არს o*af|მისთაგან]მათგან o*af|
16. და ეტყოდა მათ იგავსაცა და ჰრქუა მათ: კაცისაჲ ვისიმე მდიდრისაჲ ნაყოფიერ იყო აგარაკი.
16. ვისიმე]ვისიმე o*|
17. და განიზრახვიდა გულსა შინა თვისსა და თქუა: რაჲმე ვყო, რამეთუ არა მაქუს, სადა შევიკრიბო ნაყოფი ჩემი?
17. შინა] > o*af|შევიკრიბო]დავიკრიბო o*af|
18. და თქუა: ესე ვყო: დავარღუნე საუნჯენი ჩემნი და უფროდსნი აღვაშენნე და შევიკრიბო მუნ ყოველი ნაყოფი და კეთილი ჩემი.
18. შევიკრიბო]შევეკრიბო a|
19. და ვჰრქუა სულსა ჩემსა: სულო, გაქუს მრავალი კეთილი დაუნჯებული მრავალთა წელთა: განისუენე, ჭამე და სუ და იხარებდ.
19. განისუენე]განისუენე f|
20. ჰრქუა მას ღმერთმან: უგუნურო, ამას დამესა მიგიღონ სული შენი შენგან; ეგე, რომელ მოიმზადე, ვისა იყოს?
21. ეგრეცა რომელი იუნჯებდეს თავისა თვისისა და არა ღმერთისა მიერ განმდიდრდებოდის.
22. და ჰრქუა იესუ მოწაფეთა თვისთა: ამისთვის გეტყვ თქუენ: ნუ ჰზრუნავთ სულისა თქუენისა, რაჲ შჭამოთ, და ნუცა კორცთა თქუენთა, რაჲ შეიმოსოთ.
22. შჭამოთ]სჭამოთ f|
23. რამეთუ სული უფროდს არს საზრდელისა და კორცნი – სამოსლისა.

24. განიცადენით ყორანნი, რამეთუ არა სთესვენ, არცა მკიან, რომელთა არა აქუს საუნჯე, ანუ სადა შეიკრიბონ, და ღმერთი ზრდის მათ. რაოდენ თქვენ უძვობეს ხართ მფრინველთა?

24. საუნჯე|საუნჯე of|

25. ვინმე უკუე თქვენგანი ზრუნვიდეს და შეუძლოს შეძინებად ჰასაკსა თუსსა წყრთა ერთ?

25. უკუე|უკუე of|

26. უკუეთუ არცა უმცირესსა შემძლებელ ხართ, რადასადა სხუასა მას ჰზრუნავთ?

26. ჰზრუნავთ | ზრუნავთ of|

27. განიცადენით შრომანნი, ვითარ-იგი აღორძნდის: არცა შურების, არცა სთავს. ხოლო გეტყვ თქვენ, რამეთუ: არცა სოლომონ ყოველსა დიდებასა თუსსა შეიმოსა, ვითარცა ერთი ამათგანი.

28. უკუეთუ ველსა გარე, რომელი დღეს თივა არს და ხვალე თორნესა შთაეგზნეს, ღმერთმან ესრეთ შემოსის, რაოდენ უფროდს თქვენ, მცირედ მორწმუნენო?

29. და თქვენ ნუ ეძიებთ, რაჲ შჯამოთ და რაჲ ჰსუათ, და ნუცა განსცხრებით,

29. შჯამოთ|სჯამოთ f| ჰსუათ|სუათ f|

30. რამეთუ ამას ყოველსა ნათესავნი სოფლისანი ეძიებენ, ხოლო მამამან თქვენმან იცის, რაჲ გიკმს ამათ ყოველთაგანი,

30. რაჲ| რ-ი af|

31. გარნა ეძიებდით სასუფეველსა ღმრთისასა, და ესე ყოველი შეგეძინოს თქვენ.

31. თქვენ|თქუნ f|

32. ნუ გეშინინ მცირესა მაგას სამწყსოსა, რამეთუ სათნო-იყო მამამან თქვენმან ზეცათამან მოცემად თქვენდა სასუფეველი.

33. განციდენით მონაგებნი თქვენნი და მიეცით ქველისსაქმს და ყავთ თავისა თქვენისა საფასს, რომელი არა დაბუელდეს, და საუნჯე მოუკლებელი ცათა შინა, სადა-იგი მპარავი არა მიეხების, არცა მდილმან განრყუნის.

33. განციდენით|განციდეთ o*; ქველისსაქმს|ქველისსაქმე of|ქველისსაქმს| + თქუენი o*af| საფასს|საფასე of| დაბუელდეს |დაბუელდეს f| საუნჯე|საუნჯე ofaf|

34. სადაცა არს საუნჯე თქუენი, მუნცა იყოს გული თქუენი.

34. საუნჯე|საუნჯე a| თქუენი|თქუენი f|

35. იყვნედ წელნი თქუენნი მორტყმულ და სანთელნი თქუენნი აღნთებულ.

36. და თქვენ ემსგავსებით კაცთა მათ, რომელნი მოელიედ უფალსა თვსსა, ოდეს მოვიდეს ქორწილისაგან, რაჟთა, რაჟამს მოვიდეს და ირეკოს, მეყსეულად განუღონ მას.

37. ნეტარ იყვნენ იგი მონანი, რომელთაჲ მოვიდეს უფალი მათი და პოვნეს იგინი მღუპარენი. ამენ გეტყვ თქვენ, რამეთუ მოირტყნეს და დასხნეს იგინი, წარმოუდგეს და ჰმსახურებდეს მათ.

38. დაღათუ მეორესა საკუმილაგსა და მესამესა მოვიდეს და პოვნეს ესრეთ, ნეტარ იყვნენ იგინი.

39. ხოლო ესემცა უწყით: უკუეთუმცა იცოდა სახლისა უფალმან, რომელსა ჟამსა მპარავი მოვალს, იღუძებდამცა და არა უტევა დათხრად სახლისა თვისისა.

39. უკუეთუმცა|უკუთომცა f | დათხრად|+ გუერდი o*a, გუზრდი f |თვისისა|თვისისაჲ o*af |

40. და თქვენცა იყვნით განმზადებულ, რამეთუ ჟამსა, რომელსა არა ჰკონებდეთ, ძმ კაცისაჲ მოვიდეს.

40. ძმ| ბემ o, ბე af |

41. ჰრქუა მას პეტრე: უფალო, ჩუენდა მომართ ხოლო იტყვ იგავსა ამას, ანუ სხუათა ყოველთა მიმართ?

42. და ჰრქუა იესუ: ვინმე არს მნე იგი სარწმუნოჲ და გონიერი, რომელი დაადგინოს უფალმან მონათა თვსთა ზედა მიცემად იფქლი ჟამსა თვსსა?

42. ზნე|მნ a |

43. ნეტარ არს იგი მონაჲ, რომლისაჲ მოვიდეს უფალი მისი და პოვოს იგი ესრეთ მოქმედი.

43. პოვოს|პოოს oaf | იგი² > o* |

44. ამენ გეტყვ თქვენ, რამეთუ ყოველთა ზედა მონაგებთა მისთა დაადგინოს იგი.

45. უკუეთუ თქუას მონამან მან გულსა შინა თვსსა: ყოვნის უფალი ჩემი მოსლვად, და იწყოს გუემად მონათა და მკევალთა და ჭამად და სუმად და დათრობად,

45. შინა| > o*af | გუემად|გუშმად f |

46. მოვიდეს უფალი იგი მონისაჲ მის დღესა, რომელსა არა მოელოდის, და ჟამსა, რომელი არა იცის, და ორგან განკუეთოს იგი და ნაწილი მისი დადვას ურწმუნოთა თანა.

46. და² > o* | განკუეთოს|განკუთოს f | ურწმუნოთა| ორგულთა o* |

47. ხოლო მონამან რომელმან იცის ნებაჲ უფლისა თვისისაჲ და არა განემზადოს ნებისაებრ მისისა, იტანჯოს იგი ფრიად.

48. ხოლო რომელმან არა იცის და ქმნეს რამე ღირსი ტანჯვისაჲ, იგუმოს მცირედ, რამეთუ ყოველსა რომელსა მიეცა ღიდად, ღიდადცა იდიოს მისგან, და რომელსა მიეცა ფრიად, უმეტესი მოჰკადონ მას.
48. იგუმოს|იგუმოს f |
49. ცეცხლისა მოვედ მიფენად ქუეყანასა ზედა და რაჲ მნებავს, რაჲთა აწვე აღეგზნეს!
49. ზედა] > o*af | რაჲ] არაჲ a |
50. ხოლო ნათლის-ღებაჲ მაქუს ნათლის-ღებად და ვითარ შეურვებულ ვარ, ვიდრემდე აღესრულოს!
51. ეგრე ჰგონებთ, ვითარმედ მშულობისა მოვედ მიფენად ქუეყანასა ზედა? არა, გეტყვ თქუნ, არამედ – განყოფად.
52. რამეთუ იყვნენ ამიერითგან ხუთნი სახლსა შინა ერთსა განყოფილ: სამნი ერთგან და ორნი სამთაგან;
53. განყოფად მამაჲ ძისაგან და ძმ მამისაგან; და დედაჲ ასულისაგან და ასული დედისაგან; დედამთილი ძისცოლისაგან მისისა და სძალი დედამთილისაგან.
53. ძმ] ძე of | და²] > f |
54. ეტყოდა იესუ ერსაცა მას: რაჟამს იხილოთ ღრუბელი აღმომავალი დასავალით, მეყსეულად სთქვთ, ვითარმედ: წუმაჲ მოაქუს, – და არნ ეგრეთ.
54. ეგრეთ] ეგრე a |
55. და რაჟამს სამხრით ქარი ქრინ, სთქვთ, ვითარმედ: სიცხე იყოს, და არნ ეგრე.
55. სიცხე] სიცხე a |
56. ორგულნო, პირი სამე ქუეყანისაჲ და ცისაჲ იცით გამოცდად, ხოლო ჟამი ესე ვითარ არა გამოიცადეთ?
57. ანუ რაჲსა თავით თჳსით არა შჯით სამართალსა?
57. სჯით f |
58. რამეთუ ოდეს მიხუალ მოსაჯულისა შენისა თანა მთავრისა წინაშე გზასა ზედა, მიეც საქმარი განთავისუფლებად მისგან, ნუუკუე მიგიყვანოს შენ მსაჯულისა, და მსაჯულმან მიგცეს შენ მეხარკესა, და მეხარკემან მიგცეს შენ საპყრობილედ.
58. ნუუკუე] ნუუკუე f | მეხარკესა] სეფე კაცსა o*af | მეხარკემან] სეფე კაცმან o*af |
59. გეტყვ შენ: ვერ გამოხვდე მიერ, ვიდრემდე უკუანაჲსკნელიცა იგი მი-ვე-სცე მწულილი.
59. ვერ] არა o*af |

1. მო-ვინმე-სრულ იყენეს მას ჟამსა ოდენ და უთხრეს მას გალილეველთა მათოჲს, რომელთაჲ-იგი სისხლი პილატე შეჰპრია მსხუერპლთა მათთა.
1. მსხუერპლთა] მსხუერპლთა f |
2. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ეგრე გგონიეს, ვითარმედ გალილეველნი ესე უფროჲს ყოველთა გალილეველთა იყენეს ცოდვილ, რამეთუ ესევეთარი ევნო მათ?
2. იყენეს] იყენეთ a | მათ] > a |
3. გეტყვ თქუენ: არა; არამედ უკუეთუ არა შეინანოთ, ეგრევესახედ ყოველნი წარსწყმდეთ.
3. ა'რა f (ა-ს მახვილი უზის) |
4. ანუ იგი, რომელ ათრვამეტთა ზედა სილოამს გოდოლი დაეცა და მოსწყყნა იგინი, ჰგონებთ, ვითარმედ იგინი ხოლო თანამდებ იყენეს უფროჲს ყოველთა კაცთა, რომელნი მკუდრ არიან იერუსალჴმს?
4. იერუსალჴმს] იერუსალჴმს o |
5. გეტყვ თქუენ: არა; არამედ უკუეთუ არა შეინანოთ, ყოველნივე ეგრეთ წარსწყმდეთ.
5. ა'რა f (ა-ს მახვილი უზის) |
6. და ეტყოდა მათ იგავსა ამას: ლელუ ვისმე ედგა ნერგი სავენაკესა თუსსა, მოვიდა და ეძიებდა ნაყოფსა მისგან და არა პოვა.
6. მათ] იესუ o *af | პოვა] იპოვა f |
7. და ჰრქუა ვენაკისა მოქმედსა მას: აჰა, ესერა, სამი წელი არს, ვინაჲთგან მოვალ და ვეძიებ ნაყოფსა ლელუსა ამას შინა და არა ვპოვებ. მოჰკუეთე ეგე, რაჲსათჴს ქუეყანაჲცა დაუპყრიეს უქმად?
7. ვპოვებ] ვპოვებ oaf | მოჰკუეთე] მოჰკუეთო a, მოჰკუთე f |
8. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა: უფალო, უბევე ეგე ამასცა წელსა, ვიდრემდე მოუთოკნო მას გარემო და სკორჴს დაუდვა,
8. სკორჴს] სკორე of |
9. ყოს ხოლო თუ ნაყოფი; უკუეთუ არა, მერმე მოჰკუეთე იგი.
9. მოჰკუეთე] მოჰკუეთო o, მოჰკუთე f |
10. და ასწავებდა მათ იესუ შესაკრებელსა ერთსა შაბათსა შინა.
11. და, აჰა, ესერა, დედაკაცი იყო, რომლისა თანა იყო სული უძღურებისაჲ ათრვამეტ წლითგან; და იყო იგი დაღონებულ და ვერ ეძლო ზეახილვად ყოვლითურთ.
11. წლითგან] წელ f |

12. იხილა იგი იესუ, მოუწოდა და ჰრქუა მას: დედაკაცო, განტევებულ ხარ უძღურებისაგან შენისა.

13. და დაასხნა მას ზედა კელნი, და მეყსეულად აღემართა და ვიდოდა და აღიდებდა ღმერთსა.

13. დაასხნა|დასხნა f|

14. მიუგო შესაკრებელისმთავარმან მან რისხვით, რამეთუ შაბათსა განკურნა იგი იესუ, და ეტყოდა ერსა მას: ექუსნი ღლენი არიან, რომელთა შინა ჯერ-არს საქმედ; მათ შინა მომავალნი განიკურნებოდეთ და ნუ ღლესა შაბათსა.

14. შესაკრებელისმთავარმან|შესაკრებელისმთავარმან a| განიკურნებოდეთ|განიკურნებოდენ oa|

15. მიუგო მას იესუ და ჰრქუა: ორგულო, კაცად-კაცადმან თქუენმან არა აჰქსნისა შაბათსა შინა კარი, გინა ვირი ბაგათაგან მათთა და წარიბის და ასუს მას წყალი?

15. აჰქსნისა|აჰქსნისა a| ასუს| ასუჲს o*|

16. ხოლო ესე ასული აბრაჰამისი იყო, რომელი შეეკრა ეშმაკსა, აჰა, ესერა, ათრვამეტი წელი არს; არა ჯერ-იყოა განქსნად საკრველთაგან მისთა ღლესა შაბათსა?

16. ჯერ-იყოა|ჯერ-იყო a| განქსნად|განქსნაჲ a|

17. და ამას რაჲ იტყოდა თავადი, ჰრცხუნოდა ყოველთა წინააღმდგომთა მისთა; და ყოველსა მას ერსა უხაროდა ყოველთა მათ ზედა ღიდებულებათა მისთა, რომელნი იქმნებოდეს მის მიერ.

17. ჰრცხუნოდა|ჰრცხუნოდა f|

18. და იტყოდა: რასა ვამსგავსო სასუფეველი ღმრთისაჲ, და ვისა მსგავს არს იგი?

18. იტყოდა|იტყოდა a| იტყოდა| + უფალი o*af|

19. მსგავს არს იგი მარცუალსა მდოგუსასა, რომელი მოილო კაცმან და დასთესა იგი მტილსა თუსსა; და აღორძნდა და იქმნა იგი ხე ღიდ, და მფრინველთა ცისათა დაიმკუდრეს რტოთა მისთა.

19. ხე|ხე a|

20. მერმე კუალად თქუა: რასა ვამსგავსო სასუფეველი ღმრთისაჲ?

21. ვამსგავსო იგი ცომსა, რომელი მოილო დედაკაცმან და შეჰრთო იგი ფქვილსა სამსა საწყაულსა, ვიდრემდე აღაფუენოს ყოველი.

22. და მიმოვიდოდა ქალაქებსა და დაბნებსა და ასწავებდა და წარიგზავნებოდა იერუსალმდ.

70. და ჰრქუეს მას ყოველთა: შენ უკუე ხარა ძმ ღმრთისაჲ? – ჰრქუა მათ იესუ: თქვენ იტყვოთ, ვითარმედ მე ვარ.

70. უკუე|უკუე f| ძმ|ძე of|

71. და მათ თქუეს: რაჲსაღა გუკმან მოწამენი? რამეთუ ჩუენ თუთ გუესმის პირისაგან მაგისისა.

71. თქუეს|ჰრქუეს a| გუესმის|გუესმის f|

23

1. და აღდგა ყოველი იგი სიმრავლე მათი და მოიყვანეს იგი პილატესა.

2. და იწყეს შესმენად მისა და იტყოდეს: ესე ვპოეთ, რამეთუ გარდააქცევდა ნათესავსა ჩუენსა და აყენებდა ხარკსაცა მიცემად კეისრისა და იტყოდა თავსა თუსსა ქრისტედ და მეუფე-ყოფად.

2. ვპოეთ|ვპოვეთ a| მეუფე-|მეუფე- a|

3. და ჰკითხა მას პილატე და ჰრქუა: შენ ხარა მეუფე ჰურიათაჲ? ხოლო თავადმან ჰრქუა მას: შენ იტყუ.

3. მეუფე|მეუფე of|

4. ხოლო პილატე ჰრქუა მღდელთმოდღუართა და ერსა მას: არარას ბრალსა ვჰპოებ კაცისა ამის თანა.

5. ხოლო იგინი უფროჲს განძლიერდებოდეს და იტყოდეს, ვითარმედ: აღაშოთებს ერსა და ასწავებს ყოველსა ჰურიასტანსა, უწყყეს გალილეად ვიდრე აქამომდე.

6. ხოლო პილატეს რაჲ ესმა გალილეად, ჰკითხა მათ: უკუეთუ გალილეადთ არს კაცი ესე?

7. და გულისკმა-ყო, რამეთუ კელმწიფებისაგან ჰეროდესისა არს, მიუძღუნა იგი ჰეროდესს, რამეთუ იყო იგიცა მაშინ იერუსალჴმს მათ დღეთა შინა.

8. ხოლო ჰეროდე ვითარცა იხილა იესუ, განიხარა ფრიად, რამეთუ უნდა მისი ხილვად მრავლით ჟამითგან ამისთვის, რამეთუ ესმოდა მისთვის და სწადოდა ხილვად რაჲსამე სასწაულისა ყოფასა მისგან.

9. და ჰკითხვიდა მას სიტყვთა მრავლითა, ხოლო თავადმან არარაჲ მიუგო მას.
10. დგეს მღღელთმოდუარნი იგი და მწიგნობარნი და განკრძალულად შეასმენდეს მას.
11. ხოლო ჰეროდე შეურაცხ-ყო იგი და ერმან მისმან, და განკიცხეს იგი და შეჰმოსეს მას სამოსელი ბრწყინვალე და მიუძღუნეს პილატეს.
11. ბრწყინვალე|ბრწყინვალეჲ a |
12. და იქმნეს მეგობარ პილატე და ჰეროდე ურთიერთას მას დღესა შინა, რამეთუ პირველ მტერ იყვნეს იგინი.
12. იქმნეს|იქმნეს of |დღესა|დღესა a |
13. ხოლო პილატე მოუწოდა მღღელთმოდუართა მათ და მთავართა და ერსა მას
14. და ჰრქუა მათ: მომგუარეთ მე კაცი ესე, ვითარცა გარდამაქცეველი ერისაჲ, და მე წინაშე თქუენსა განვიკითხე და არარაჲ ვპოვე ბრალი კაცისა ამის თანა, რასა-იგი შეასმენდით მას.
14. ვპოვე|ვპოვე f |
15. და არცა ჰეროდე, რამეთუ მიუძღუნე მას, და, აჰა, არარაჲ ღირსი სიკუდილისაჲ საქმე არს მის თანა.
15. საქმე of |
16. ვსწავლო იგი და განუტევო.
16. განუტევო|განუტეო o*af |
17. რამეთუ უნებელად ედებოდა მას განტევებად დღესასწაულსა მას ერთი.
17. დღესასწაულსა|დღესასწაულსა a |ერთი| + ჰყობილი o*f |
18. ღალად-ყვეს ყოველმან მან სიმრავლემან და იტყოდეს: აღიღე ეგე და მოგუტევე ჩუენ ბარაბა,
18. ღალად-|ღალატ- a | მან| > o*f | ბარაბა|ბარაბაჲ a |
19. რომელი შფოთისა ყოფასა ქალაქსა შინა და კაცის-კლვისათჳს შეგდებულ იყო საჰყობილესა.
20. კუალად უკუე მოუწოდა მათ პილატე, რამეთუ უნდა განტევებაჲ იესუჲსი.
20. უკუე f |
21. ხოლო იგინი ღალადებდეს და იტყოდეს: ჯუარს-აცუ, ჯუარს-აცუ ეგე!
22. ხოლო მან მესამედ ჰრქუა მათ: რაჲ ბოროტი უქმნიეს ამას? არარაჲ ბრალი სიკუდილისაჲ ვპოვე ამის თანა. ვსწავლო ეგე და განუტევო.
22. განუტევო|განუტეო o*af |

23. ხოლო იგინი ზედადაესზმოდეს კმითა დიდითა და გამოითხოვდეს მას ჯუარ-ცუმად. და განძლიერდებოდეს კმანი მათნი და მღდელთმოდუართანი.

24. მაშინ პილატე საჯა თხოვისაებრ მათისა

25. და მიუტევა მათ ბარაბა, რომელი-იგი შფოთისათჳს და კაცის-კლვისა შეგდებულ იყო საპყრობილესა, რომელსაცა ითხოვდეს, ხოლო იესუ მისცა ნებასა მათსა.

25. ბარაბა|ბარაბა a |რომელი-|რომელ- a |იესუ|იესუ a |

26. და ვითარცა წარიყვანეს იგი, შეიპყრეს სიმონ ვინმე კურინელი, მომავალი ველით, და დასდვეს მას ზედა ჯუარი იგი, და მიაქუნდა შემდგომად იესუჲსა.

27. და შეუდგა მას სიმრავლე ერისაჲ და დედებისაჲ, რომელნი ეტყებდეს და სტიროდეს მას.

27. იტყებდეს f |

28. მიექცა მათ იესუ და ეტყოდა: ასულნო იერუსალჴმისანო, ნუ სტიროთ ჩემ ზედა, არამედ თავთა თქუენტა სტიროდეთ და შვილთა თქუენტა.

28. ილ-ლმისანო of |

29. რამეთუ, აჰა, ესერა, მოვლენან დღენი, რომელთა შინა თქუან: ნეტარ არიან ბერწნი და მუცელნი, რომელთა არა შენეს, და ძუძუნი, რომელთა არა განზარდნეს.

29. შენეს|შვეს ი* |

30. მაშინ იწყონ სიტყუად მათა: დამეცენით ჩუენ ზედა! – და ბორცუთა: დამფარენით ჩუენ!

31. რამეთუ უკუეთუ ნედლსა ხესა ესრეთ უყოფენ, კმელსა მას რაჲმე ეყოს?

31. ეყოს|იყოს a |

32. მაშინ მოჰყვანდეს სხუანიცა ორნი ძურისმოქმედნი მოკლვად მის თანა.

33. და ვითარცა მოჰყვანდეს ადგილსა მას, რომელსა ჰრქუან თხემისა ადგილი, და მუნ ჯუარს-აცუეს იგი და ძურისმოქმედნიცა იგი მის თანა, რომელიმე მარჯუენით და რომელიმე მარცხენით მისა ჯუარს-აცუნეს.

33. ჯუარს-აცუეს|ჯუარს-აცუეს¹ f | მარჯუენით|მარჯუენით f |

34. ხოლო იესუ იტყოდა: მამაო, მიუტევე ამათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან.

– ხოლო გან-რაჲ-იყოფდეს სამოსელსა მისსა, განიგდეს წილი.

35. და დგა ერი და ხედვიდა. ხოლო შეურაცხ-ჰყოფდეს მას მთავარნიცა იგი მათ თანა და იტყოდეს: სხუანი აცხოვნნა, იცხოვნენ თავიცა თუსი, უკუეთუ ეგე არს ქრისტს, რჩეული ღმრთისაჲ.

35. ქრისტს]ქ~ე of |

36. ემღერდეს მას ერისკაცნიცა იგი, მოუკლიან მას და ძმარი მოართვან

36. მას] > o* |

37. და ეტყუედ: შენ თუ ხარ მეუფს ჰურიათაჲ, იკსენ თავი შენი!

37. მეუფს]მეუფე of |

38. ხოლო იყო ზედაწერილიცა, რომელი დაწერილ იყო მას ზედა წიგნითა ბერძულითა და პრომაელეებრითა და ებრაელეებრითა, ვითარმედ: ესე არს იესუ, მეუფს ჰურიათაჲ.

38. მეუფს]მეუფე of |

39. ხოლო ერთი იგი დამოკიდებულთაგანი ძურისმოქმედი ჰგმობდა მას და ეტყოდა: შენ თუ ხარ ქრისტს, იკსენ თავი შენი და ჩუენცა!

39. ქრისტს]ქრისტე f |

40. მიუგო ერთმან მან მოყუასმან, შეჰრისხნა მას და ეტყოდა: არცაღა გეშინის შენ ღმრთისა, რამეთუ მასვე საშჯელსა შინა ხარ?

40. საშჯელსა]სასჯელსა f |

41. და ჩუენ სამართლად ღირსი, რომელი ვქმენით, მოგუეგების, ხოლო ამან არარაჲ უჯეროჲ ქმნა.

41. და] > o*f | და ჩუენ] tr ჩუენ და a | მოგუეგების] მოგუეგების a, მოგუშგების f |

42. და ეტყოდა იესუს: მომიკსენე მე, უფალო, ოდეს მოხუდე სუფევითა შენითა.

43. ხოლო იესუ ჰრქუა მას: ამენ გეტყუ შენ: დღეს ჩემ თანა იყო სამოთხესა.

44. და იყო ჟამი მეექუსს, და ბნელი იყო ყოველსა ქუეყანასა ვიდრე მეცხრედ ჟამადმდე.

44. მეექუსს]მეექუსე of |

45. და დაბნელდა მზს, და განიპო კრეტსაბმელი ტაძრისაჲ მის შორის.

45. მზს]მზე of |

46. და კმა-ყო კმითა დიდითა იესუ და თქუა: მამაო, კელთა შენთა შევჰვედრებ სულსა ჩემსა. – და ესე რაჲ თქუა, განუტევა სული.

47. და ვითარცა იხილა ასისთავმან მან საქმე ესე, აღიდებდა ღმერთსა და იტყოდა: ჭეშმარიტად კაცი ესე მართალი იყო.

47. საქმე]საქმს a |

48. და ყოველნი მათ თანა მოსრულნი და რომელთა იხილეს ხილვაჲ ესე და საქმენი ესე, იცემდეს მკერდსა მათსა და წარვილოდეს.

48. მათ]მის f |

49. და ღგეს ყოველნი მეცნიერნი მისნი შორით; და დედანი, რომელნი შეუდგეს მას გალილეათ, ხედვიდეს მას.

50. და, აჰა, ესერა, კაცი, სახელით იოსებ, მზრახვალი, იყო კაცი სახიერი და მართალი;

51. ესე არა თანაშერთულ იყო ზრახვასა მათსა და საქმესა. იყო იგი არიმათიათ, ქალაქისა ჰურიათათსა, რომელი-იგიცა მოელოდა სასუფეველსა ღმრთისასა.

52. ესე მივიდა პილატესა და მოითხოვა გუამი იგი იესუმსი,

53. და გარდამოჰქსნა იგი და შეჰპოსა მას არდაგი და დადვა იგი საფლავსა გამოკუეთილსა კლდისაგან, სადა არა ვინ დადებულ იყო.

53. გამოკუეთილსა]გამოკუთილსა f |

54. და ღღს იგი იყო პარასკევი, შაბათად განთენდებოდა.

54. ღღს]ღღე of | იგი] > o*f |

55. შეუდგეს მას დედანიცა, რომელნი მის თანა მოსრულ იყვნეს გალილეათ, და იხილეს საფლავი და ვითარ დასდებდეს გუამსა მისსა.

55. საფლავი] + იგი o*af |

56. და წარვიდეს და მოჰმზადეს საკუმეველი სულნელი და ნელსაცხებელი და შაბათი იგი და-და-იდუმეს მცნებისა მისთვის.

56. მომზადეს]მომზადეს o | სულნელი]სურნელი oa |

24

1. ხოლო ერთსა მას შაბათსა, ცისკარსა მსთუად მოვიდეს საფლავსა მას და მოაქუნდა, რაჲ-იგი მოემზადა სულნელი და ნელსაცხებელი, და სხუანი ვინმე მათ თანა.

1. სულნელი]სურნელი oa |

2. და პოვეს ლოდი იგი გარდაგორვებული საფლავისა მისგან.

3. და შე-რაჲ-ვიდეს შინა, არა პოვეს გუამი იგი უფლისა იესუმსი.

3. პოვეს]პოვეს a |

4. და იყო განზრახვასა მას მათსა ამისთვის, და, აჰა, ესერა, ორ კაც ზედამოადგეს მათ სამოსლითა ელვართა.

5. და ვითარ შეშინებულ იყვნეს ივინი და დაედრიკნეს პირნი მათნი ქუეყანად, ჰრქუეს მათ: რაჲსა ეძიებთ ცხოველსა მას მკუდართა თანა?
5. ქუეყანად] + და a |
6. არა არს აქა, არამედ აღდგა. მოიქსენეთ, ვითარ-იგი გეტყოდა თქუენ, ვიდრე იყოლა იგი გალილეას,
7. და თქუა, ვითარმედ: ჯერ-არს ძისა კაცისაჲ მიცემად კელთა კაცთა ცოდვილთასა და ჯუარ-ცუმად და მესამესა დღესა აღდგომად.
7. ვითარმედ] რამეთუ o*af |
8. და მოექსენნეს სიტყუანი მისნი.
8. მისნი] ესე o*af |
9. და მიიქცეს საფლავით და უთხრეს ესე ყოველი ათერთმეტთა მათ და სხუათა ყოველთა.
9. საფლავით] > o*af | უთხრეს (უთხრნეს f) | + სიტყუანი o*af | ყოველი] > o*af |
10. ხოლო იყვნეს მაგდალენელი მარიამ და იოანნა და მარიამ იაკობისი და სხუანი მათ თანა, რომელნი უთხრობდეს მოციქულთა ამას.
10. მაგდალენელი] მაგდანელი of, მაღდანელი a | იოანნა] იოჰანა af | რომელნი] > o*f, და a |
11. და უწნდეს სიტყუანი მათნი, ვითარცა სიჩქურისანი, მათ წინაშე და არა ჰრწმენა მათი.
12. ხოლო პეტრე აღდგა და მირბიოდა საფლავად და შთახედნა საფლავსა მას და იხილნა ტილონი იგი ხოლო მდებარენი და წარვიდა თვსგან, და დაუკურდა საქმს ესე.
12. შთახედნა] შთახედა o*f | და⁵] > o^c | საქმე of |
13. და, აჰა, ორნი მათგანნი მოვიდოდეს მასვე დღესა შინა დაბასა, რომელი შორავს იერუსალსმსა სამეოც უტევან, რომლისა სახელი ემმოს.
13. იერუსალემსა o, იმ-ლმსა f | ემმოს] ემმოს o a |
14. და ესენი ზრახვიდეს ურთიერთას ყოვლისა ამისთჳს, რომელი იქმნა.
14. ამისთჳს] მისთჳს o*af |
15. და იყო ზრახვასა მას მათსა და გამოძიებასა, და თავადი იესუ მიეახლა მათ და თანაუვიდოდა.
15. თავადი] თ-ვი a |
16. ხოლო თუალნი მათნი შეპყრობილ იყვნეს, რაჲთა ვერ იცნან იგი.
17. და ჰრქუა მათ: რაჲ არიან სიტყუანი ესე, რომელთა იცილობით ურთიერთას სლვასა შინა და ხართ თქუენ მწუხარე?
17. არიან] არიანი a | ესე] ევე o*af | მწუხარე] მწუხარს a |

18. მიუგო ერთმან მათგანმან, რომლისა სახელი კლეოპა, და ჰრქუა მას: შენ ხოლო მწირ ხარ იერუსალჴმს და არა სცანა, რაჲ-ესე იქმნა მას შინა ამათ დღეთა?

18. რომლისა|რომლისაჲ o*af| სცანა|უწყი o*af|

19. და მან ჰრქუა მათ: რომელი? ხოლო მათ ჰრქუეს: იესუჲსთჴს ნაზარეველისა, რომელი იყო კაცი წინაწარმეტყუელი, ძლიერი საქმითა და სიტყუთა მისითა წინაშე ღმრთისა და ყოვლისა ერისა;

20. ვითარ-იგი მისცეს მღდელთმოდუართა და მთავართა ჩუენთა საშჯელსა სიკუდილისასა და ჳუარს-აცუეს იგი.

20. სასჯელსა f| აცუეს f|

21. ხოლო ჩუენ ვესაუთ, ვითარმედ იგი არს, რომელმან იქსნეს ისრაჴლი; და ამას ყოველსა თანა ესე მესამე დღჴ არს, ვინაჲთგან ესე იქმნა.

21. დღჴ|დღე oaf|

22. არამედ დედათაცა ვიეთმე ჩუენგანთა დამაკურვნეს ჩუენ, ვითარ-იგი მივიდეს ცისკარსა საფლავსა მას

22. დამაკურვნეს|დამაკურვნეს o*af|-იგი > o*af|მივიდეს| + იგინი o*af|ცისკარსა|ცისკარს af|

23. და არა პოვეს გუამი მისი. მოვიდეს და თქუეს, ვითარმედ ხილვადცა ანგელოზთაჲ იხილეს, რომელთა ჰრქუეს მათ, ვითარმედ: ცხოველ არს იგი.

23. პოეს o|გუამი| + იგი o*af|ხილვადცა| + და გამოჩინებაჲ o*af|

24. და მი-ვინმე-ვიდეს ჩუენგანნიცა საფლავად და პოვეს ეგრე, ვითარცა დედათა მათ თქუეს, ხოლო იგი თავადი ვერ იხილეს.

25. ხოლო მან ჰრქუა მათ: ჴ, უცნობელნო და მძიმენო გულითა სარწმუნოებისათჴს ყოველსა ჴედა, რომელსა იტყოდეს წინაწარმეტყუელნი!

25. ჴ|ოჲ a|

26. ანუ არა ესრეთ ჳერ-იყო ვნებად ქრისტესა და შესლვად დიდებასა თჴსსა?

27. და იწყო მოსესითგან და წინაწარმეტყუელთა და გამოუთარგმანებდა მათ ყოველთაგან წიგნთა მისთჴს.

28. და მიეახლნეს დაბასა მას, ვიდრეცა ვილოდეს. ხოლო თავადმან მიზეზ-ყო უშორესადრე წარსლვაჲ.

29. ხოლო იგინი აიძულებდეს მას და ეტყოდეს: დაადგერ ჩუენ თანა, რამეთუ მწუხრ არს, და მიდრეკილ არს დღჴ. – და შევიდა დადგომად მათ თანა.

29. დღე of|დადგომად|დადგრომად a|

30. და იყო ინაკით-ჯდომასა მას მისსა მათ თანა, მოილო პური, აკურთხა და განტეხა და მისცემდა მათ.

30. ჯგომასა]-დაჯგომასა a |
31. ხოლო მათ თუაღნი მათნი განეხუნეს და იცნეს იგი. და თავადი მიეფარა მათგან.
32. და იგინი იტყოდეს ურთიერთას: ანუ არა გულნი ჩუენნი განკურვებულ იყვნეს ჩუენ შორის, ვითარ-იგი მეტყოდა ჩუენ გზასა ზედა და ვითარ-იგი გამოძითარგმანებდა ჩუენ წიგნთა?
32. ჩუენ³ > a | წიგნთა | წიგნთაგან o*f |
33. და აღდგეს მასვე ჟამსა შინა და მოიქცეს იერუსალმად და პოვნეს კრებულად ათერთმეტნი იგი და სხუანი მათთანანი,
34. იტყოდეს რაჲ, ვითარმედ: ნანდვლვე აღდგა უფალი და ერუენა სიმონს.
34. იტყოდეს|pr და f | რაჲ | > af | იტყოდეს რაჲ|tr რაჲ იტყოდეს o* | ერუენა|ერუენა f |
35. და იგინი უთხრობდეს გზისასა მას და ვითარ იგი გამოეცხადა მათ განტეხასა მას პურისასა.
35. იგინი|იგი of |
36. და ვითარ იგინი ამას იტყოდეს ოდენ, და თავადი იესუ დადგა შორის მათსა და ჰრქუა მათ: მშჯლობაჲ თქუენ თანა!
37. ხოლო იგინი შეძრწუნდეს და შეეშინა, ეგონა, ვითარმედ სული რაჲმე იხილეს.
38. და თავადმან ჰრქუა მათ: რაჲსა შეძრწუნებულ ხართ, და რაჲსათჳს გულისსიტყუანი მრავალნი მოვლენან გულთა თქუენთა?
38. მოვლენან|მოვლენ a |
39. იხილენით კელნი ჩემნი და ფერკნი, რამეთუ თავადი მე ვარ; კელი შემახეთ მე და იხილეთ, რამეთუ სულსა კორც და ძუალ არა ასხენ, ვითარცა-ესე მე მხედავთ, რამეთუ მასხენ.
40. და ესე რაჲ თქუა, უჩუენნა მათ კელნი და ფერკნი მისნი.
40. უჩუენნა f |
41. და ვიდრე-იგი არღა ჰრწმენა მათ სიხარულისა მისგან და საკურველებისა, ჰრქუა მათ იესუ: გაქუს რაჲა აქა ჭამადი?
42. ხოლო მათ მიუპყრეს მას თევზისა მწურისა ნახევარი და თაფლისაგან გოლი.
43. და ჭამა წინაშე მათსა და მოილო ნემტი იგი და მისცა მათ
44. და ჰრქუა: ესე იგი სიტყუანი არიან, რომელთა გეტყოდე თქუენ, ვიდრე-იგი ვიყავდა თქუენ თანა, ვითარმედ: ჯერ-არს აღსრულებად ყოველი წერილი შჯულსა მოსესსა და წინაწარმეტყუელთასა და ფსალმუნთა ჩემთჳს.

44. სჯულსა f | მოსესსა | მოსესა a | ფსალმუნთა | ფსალმუნთასა o*, ფსალმუნთასა f |
45. მაშინ განუხუნა გონებანი მათნი გულისკმის-ყოფად წიგნთა
46. და ჰრქუა მათ, რამეთუ: ესრეთ ჯერ-იყო ვნებად ქრისტესა და აღდგომად მკუდრეთით მესამესა დღესა.
47. და ქადაგებად სახელითა მისითა სინანული და მოტყეებად ცოდვათადა ყოველთა მიმართ წარმართთა, იწყეთ იერუსალჴმით,
48. რამეთუ თქუენ ხართ მოწამე ამის ყოვლისა.
48. მოწამე | მოწამჴ a |
49. და, აჰა, ესერა, მე მოგივლინო თქუენ აღთქუმადა იგი მამისა ჩემისადა. ხოლო თქუენ დასხედით ქალაქსა ამას შინა იერუსალჴმსა, ვიდრემდე შეიმოსოთ ძალი ძალდით.
49. ძალით | + გამო o*af |
50. და განიყვანნა იგინი გარე ვიდრე ბეთანიადმდე და აღიპყრნა კელნი თჳსნი და აკურთხნა იგინი.
50. გარე | > o*af | და³ | > o* |
51. და იყო კურთხევასა მას იესუჴსსა მათა მიმართ, განეშორა მათგან და აღვიდოდა ზეცად.
51. იესუჴსსა | იჴჴსა oaf |
52. და იგინი თაყუანის-სცემდეს მას და მოიქცეს იერუსალჴმდ სინარულითა დიდითა.
53. და იყოფოდეს ტადარსა მას შინა მარადის, აქებდეს და აკურთხევდეს ღმერთსა. ამენ.

ბინაწერები:

o (გადამწერისვე ხელით): დიდებადა მამასა და ძესა და წმიდასა სულსა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

რედაქტორის ხელით: აღიწერა სახარებადა ლუკას შემდგომად აღმადღებისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა წელსა მეათხუთმეტესა სტიქონი ორათას სამეოცდაათი, თავნი საკითხავთანი 273.

a: დიდებადა მამასა და ძესა და წმიდასა სულსა და აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამენ. განსრულდა ესეცა თავი სახარებადა შეწევნითა და მომადლებითა წმიდისა და თაყუანისსაცემელისა სამებისა ერთარსებისა და ერთღვთაებისა მამისა და ძისა და წმიდისა სულისადათა და მეოხებითა წმიდისა ლუკა მახარებელისადათა, კელითა ფრიად ცოდვილისა გიორგისითა.

იოანეს სახარება*

1

1. პირველითგან იყო სიტყუაჲ და სიტყუაჲ იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუაჲ იგი.

* სახარებაჲ იოვანეს თავი o | წმიდაჲ სახარებაჲ თავი \sim დ იოვანესი a | სახარებაჲ იოანეს თავის f .

** f -ში მარჯვენა აშიაზე არის გვიანდელი მინაწერი: „გალობასა ვიტყვით \mathcal{U} -ნ აღვსებაჲ ჩუენი ქრისტე აღდგომილ არს მკვდრეთით, მივედით და მივეგებოვდით გამოშავალსა საფლავით, ვითარცა სიძესა და თაყუანის-ვსცეთ მძლესა სიკუდილისასა, რომელმან წარმოტყუვა ჯოჯოხეთი ჯუარითა და დაჰყარ მტერსა ნატყენავი და იგი ნიჭი და რომელნი დავითის გალობასა იტყვან: *შენ გშუენის გალობაჲ ღმერთო სიონს და შენ მივეცეს ლოცვაჲ ილ-ლმს.*“

2. ესე იყო პირველითგან ღმრთისა თანა.

3. ყოველივე მის მიერ შეიქმნა, და თუნიერ მისა არცა ერთი რაჲ იქმნა, რაოდენი-რაჲ იქმნა.

4. მის თანა ცხორებაჲ იყო და ცხორებაჲ იგი იყო ნათელ კაცთა.

5. და ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს, და ბნელი იგი მას ვერ ეწია.

6. იყო კაცი მოვლინებული ღმრთისა მიერ, და სახელი მისი იოვანე.

7. ესე მოვიდა მოწამედ, რაჲთა წამოს ნათლისა მისთვის, რაჲთა ყოველთა ჰრწმენეს მისგან.

7. წამოს|წამონ a |

8. არა თუ იგი იყო ნათელი, არამედ რაჲთა წამოს ნათლისა მისთვის.

8. თუ] + თუთ $o*f$ | თუ] თუთ a |

9. იყო ნათელი ჭეშმარიტი, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა, მოშავალსა სოფლად.

9. მოშავალსა|მოშავალი f |

10. სოფელსა შინა იყო, და სოფელი მის მიერ შეიქმნა, და სოფელმან იგი ვერ იცნა.

11. თუსთა თანა მოვიდა, და თუსთა იგი არ შეიწყნარეს.

11. თანა] $> a$ |

12. ხოლო რაოდენთა-იგი შეიწყნარეს, მოსცა მათ კელმწიფებაჲ შვილ ღმრთისა ყოფად რომელთა ჰრწამს სახელი მისი.

12. რაოდენთა-იგი|რაოდენთა-იგი oa |

13. რომელნი არა სისხლთაგან, არცა ნებითა კორცთაჲთა, არცა ნებითა მამაკაცისაჲთა, არამედ ღმრთისაგან იშვნეს.

14. და სიტყუაჲ იგი კორციელ იქმნა და დაემკვდრა ჩუენ შორის, და ვიხილეთ დიდებაჲ მისი, დიდებაჲ, ვითარცა მხოლოდშობილისაჲ მამისა მიერ, სავსე მადლითა და ჭეშმარიტებითა.

14. სავსე|სავსე a |

15. იოვანე წამა მისთვის, დაღად-ყო და თქუა: ესე არს, რომლისათვის-იგი ვთქუ: რომელი ჩემსა შემდგომად მოვალს, ჩემსა უწინარეს იყო, რამეთუ პირველ ჩემსა არს.

15. დაღად-|დაღად- oa |

16. და სავსებისაგან მისისა ჩუენ ყოველთა მოვიდეთ, და მადლი მადლისა წილ.

16. და¹|ხოლო a, რამეთუ f |

17. რამეთუ შჯული მოსესგან მოეცა, ხოლო მადლი და ჭეშმარიტებაჲ ქრისტეს იესუმს მიერ იქმნა.

17. შჯული|სჯული f |

18. ღმერთი არავინ სადა იხილა; მხოლოდშობილმან ძემან, რომელი იყო წიაღთა მამისათა, მან გამოთქუა.

19. და ესე არს წამებაჲ იოვანესი, ოდეს მიავლინნეს მისა ჰურიათა იერუსალჴმით მღღელნი და ლევიტელნი, რაჲთა ჰკითხონ მას, ვითარმედ: შენ ვინ ხარ?

20. და აღიარა და არა უვარ-ყო; აღიარა, ვითარმედ: მე არა ვარ ქრისტჴ.

20. ქრისტჴ|ქრისტე f |

21. და მათ ჰკითხეს მას: და უკუე ვინ ხარ შენ? ელია ხარა? – და მან თქუა: არა ვარ; წინაწარმეტყუელი იგი ხარა შენ? – და მიუგო: არა.

21. და² > a | უკუე|უკუეთუ a, უკუე f | ელია|ელია a |

22. და ჰრქუეს: გუარქუ ჩუენ, ვინ ხარ შენ, რაჲთა სიტყუაჲ მივართუათ მომავლინებელთა ჩუენთა, რასა იტყუ შენთვის?

23. და თქუა: მე – კმაჲ დაღადებისაჲ უდაბნოსა: განჰმზადენით გზანი უფლისანი, ვითარცა თქუა ესაია წინაწარმეტყუელმან.

24. და მივლინებულნი იგი იყვნეს ფარისეველთაგანნი.

25. ჰკითხეს მას და ჰრქუეს: და რაჲსათვის ნათელ-სცემ, უკუეთუ არა ხარ შენ ქრისტჴ, არცა ელია, არცა წინაწარმეტყუელი იგი?

25. ჰკითხეს|ჰკითეს a | ქრისტჴ|ქრისტე f |

26. მიუგო იოვანე და ჰრქუა მათ: მე ნათელ-ვსცემ წყლითა, ხოლო შორის თქუენსა დგას, რომელი თქუენ არა იცით,

26. -ვსცემ|-ვცემ a | რომელი თქუენ არა იცით > 0* |

27. რომელი ჩემსა შემდგომად მოსლვად არს, რომელი პირველ ჩემსა იყო, რომლისა არა ღირს ვარ მე, რაჲთა განვჰქსნე საბელნი კამლთა მისთანი.

28. ესე ბეთაბრას იყო, წიად-იორდანესა, სადა-იგი იყო იოვანე და ნათელ-სცემდა.
29. ხვალისაგან იხილა იოვანე იესუ, მომავალი მისა, და თქუა: აჰა, ტარივი ღმრთისაჲ, რომელმან აიხუნეს ცოდვანი სოფლისანი.
29. იესუ|იესუჲ a|აიხუნეს|აიხუნეს a|
30. ესე არს, რომლისათჳს-იგი ვთქუ: შემდგომად ჩემსა მოვალს კაცი, რომელი პირველ ჩემსა იყო, რამეთუ უპირატეს ჩემსა არს.
30. უპირატეს|უპირატეს a|
31. და მე არა ვიცოდე იგი, არამედ რაჲთა გამოეცხადოს ისრაჴლსა, ამისთვის მოვედ მე წყლითა ნათლის-ცემად.
32. და წამა იოვანე და თქუა, რამეთუ: ვიხილე სული ღმრთისაჲ, ვითარცა ტრედი, გარდამომავალი ზეცით, და დაადგრა მას ზედა.
33. და მე არა ვიცოდე იგი, არამედ რომელმან მომავლინა მე ნათლის-ცემად წყლითა, მან მრქუა მე: რომელსა ზედა იხილო სული გარდამომავალი და დადგრომილი მის ზედა, იგი არს, რომელმან ნათელ-გცეს სულითა წმიდითა.
34. და მე ვიხილე და ვწამე, რამეთუ ესე არს ძმ ღმრთისაჲ.
34. ძმ|ძე of|
35. ხვალისა დღე დგა კუალად იოვანე და მოწაფეთა მისთაგანნი ორნი.
35. დღე|დღე a|მისთაგანნი|მისთაგანნი a|
36. და მიჰხედა იესუს, ვიდოდა რაჲ იგი, და თქუა: აჰა, ტარივი ღმრთისაჲ!
36. აჰა|+ ქრისტე a|
37. და ესმა მისი ორთა მათ მოწაფეთა, იტყოდა რაჲ ამას, და მისდევდეს იესუს.
38. მოექცა იესუ და იხილნა ივინი, მი-რაჲ-სდევდეს მას, და ჰრქუა მათ: რასა ეძიებთ? – ხოლო მათ ჰრქუეს მას: რაბი (რომელი ითარგმანების მოძღუარ), სადა იყოფი?
39. ჰრქუა მათ: მოვედით და იხილეთ! – და მივიდეს და იხილეს, სადა იყოფოდა, და მის თანა დაადგრეს მას დღესა შინა. ჟამი იყო ვითარ მეთე.
39. მეთე|მეთე a|
40. იყო ანდრეა, ძმაჲ სიმონ-პეტრესი, ერთი ორთაგანი, რომელთა ესმა იოვანესგან, და მისდევდეს მას.
41. პოვა ამან პირველად ძმაჲ თჳსი სიმონ და ჰრქუა მას: ვპოეთ მესია, რომელ არს თარგმანებით ქრისტე.
41. ქრისტე|ქრისტე f|
42. ამან მოიყვანა იგი იესუჲსა. მიხედა მას იესუ და ჰრქუა: შენ ხარ სიმონ, ძმ იოანაჲსი, შენ გეწოდოს კეფა, რომელი ითარგმანების კლდე.

42. ძმ|ქე f|

43. ხვალისაგან უნდა იესუს განსლვად გალილეად და პოვა ფილიპე და ჰრქუა მას იესუ: მომდევედი მე!

43. იესუს| > o*af| ფილიპე|ფილიპე a|

44. ხოლო იყო ფილიპე ბეთსაიდაათ, ქალაქისაგან ანდრეასა და პეტრესა.

44. ფილიპე|ფილიპე a| ანდრეასა|ანდრეასა a|

45. პოვა ფილიპე ნათანაელ და ჰრქუა მას: რომელი-იგი დაწერა მოსე შჯულსა და წინაწარმეტყუელთა, ვპოეთ იესუ, ძმ იოსებისი, ნაზარეთით.

45. ნათანაელ|ნათანაელი af| მოსე|მოსე a| შჯულსა|სჯულსა f| წინაწარმეტყუელთა|წინაწარმეტყუელთა o, წწ~ყელთა f| ძმ|ქე of|

46. და ჰრქუა მას ნათანაელ: ნაზარეთით შესაძლებელ არსა კეთილისა რაჲსამე ყოფად? – ჰრქუა მას ფილიპე: მოვედ და იხილე!

46. არსა|არს a| ფილიპე|ფილიპე a|

47. იხილა რაჲ იესუ ნათანაელ, მომავალი მისა, და თქუა მისთვის: აჰა, ჭეშმარიტად ისრაიტელი, რომლისა თანა ზაკუვად არა არს.

47. ნათანაელ|ნათანაელი o*af|

48. ჰრქუა მას ნათანაელ: ვინაჲ მიცი მე? – მიუგო იესუ და ჰრქუა მას: პირველ ფილიპეს კმობადმდე შენდა, იყავ რაჲ ლელუსა ქუეშე, გიხილე შენ.

48. ქუეშე|ქუეშე af|

49. მიუგო მას ნათანაელ და ჰრქუა: რაბი, შენ ხარ ძმ ღმრთისაჲ, შენ ხარ მეუფე ისრაელისაჲ!

49. ძმ|ქე of| მეუფე|მეუფე o|

50. მიუგო იესუ და ჰრქუა მას, რამეთუ: გარქუ შენ, ვითარმედ: გიხილე შენ ლელუსა ქუეშე, და გრწამს. უფროდსი ამათსა იხილო.

50. ქუეშე|ქუეშე a, ქუეშე f|

51. და ჰრქუა მათ: ამენ, ამენ გეტყვ თქუენ: იხილნეთ ცანი განხუმულნი და ანგელოზნი ღმრთისანი, აღმავალნი და გარდამომავალნი ძესა ზედა კაცისასა.

2

1. და მესამესა დღესა ქორწილი იყო კანას გალილეასასა, და მუნ იყო დედაჲ იესუდსი.

1. გალილეასასა| გალილეასა o*f, გალილეასა a|

2. მიჰხადეს იესუს და მოწაფეთა მისთა ქორწილსა მას.

2. მიჰხადეს|მიხადეს af|

3. და ვითარ მოაკლდა ღვინო, ჰრქუა იესუს დედამან მისმან: ღვინო არა აქუს.

4. ჰრქუა მას იესუ: რაჲ არს ჩემდა და შენდა, დედაკაცო? არღა მოწვევნულ არს ჟამი ჩემი.
5. ჰრქუა დედამან მისმან მსახურთა მათ, ვითარმედ: რაჲცა გრქუას თქვენ, ყავთ!
6. იყვნეს მუნ სარწყულნი ქვისანი ექუსნი მდგომარენი, მსგავსად განწმედისა მის ჰურიათაჲსა. რომელთა შთაისხიან საწყაული ორ-ორი, გინა სამ-სამი.
6. შთაისხიან|შთაასხიან af|
7. და ჰრქუა მათ იესუ: აღავსენით სარწყულნი ეგე წყლითა! – და მათ აღავსნეს იგინი ჰირისჰირ.
7. აღავსნეს|აღლსნეს a|
8. და ჰრქუა მათ: აღმოავსეთ აწ და მოართუთ ჰურისა უფალსა! – ხოლო მათ მოართუეს.
8. აღმოავსეთ|აღმოივსეთ a| მოართუეს| მოართუეს f|
9. და ვითარცა გემოჲ იხილა ჰურისა უფალმან წყალი იგი, რომელი ღვნო იქმნა, და არა უწყოდა, ვინაჲ იყო, გარნა მსახურთა მათ უწყოდეს, რომელთა აღავსნეს წყლითა. მოუწოდა ჰურისა უფალმან მან სიძესა
10. და ჰრქუა მას: ყოველმან კაცმან კეთილი ღვნოჲ ჰირველად წარმოდგის და, ოდეს დაითრგნიან, მაშინ უჯერესიცა. ხოლო შენ დაჰმარხე ღვნოჲ კეთილი აქამომდე.
11. ესე ქმნა დასაბამად სასწაულთა იესუ კანას გალილეაჲსასა და გამოუცხადა დიდებაჲ თჳსი, და ჰრწმენა მისი მოწაფეთა მისთა.
11. და²| > a|
12. ამისა შემდგომად შთავიდა იესუ კაპერნაუმდ, იგი და დედაჲ მისი და ძმანი მისნი და მოწაფენი მისნი მის თანა, და მუნ დაადგრა არა მრავალ დღე.
12. კაპერნაუმდ|კაფარნაუმდ o*af|ღღ|ღღე a|
13. და მოახლებულ იყო ჰასექი იგი ჰურიათაჲ, და აღვიდა იესუ იერუსალმდ.
14. და ჰოვნა ტადარსა მას შინა მოფარდულნი ზროხათანი და ცხოვართანი და ტრედთანი და მეკერმენი მსხდომარენი.
14. ტრედთანი|ტრედთაჲ oaf|
15. და შექმნა შოლტი საბლისაჲ და ყოველი იგი გამოასხა ტადრით: ზროხაჲ და ცხოვარი: და კერმისმსყიდელთა მათ დაუთხია კერმაჲ და ტაბლები იგი დაუმკუა.
15. დაუმკუა|დაამკუა a|
16. და ტრედისმოფარდულთა მათ ჰრქუა: აღიღეთ ესე ამიერ და ნუ ჰყოფთ სახლსა მამისა ჩემისასა სახლ სავაჭრო.
17. და მოექსენა მოწაფეთა მისთა, რამეთუ წერილ არს: შურმან სახლისა შენისამან შემჭამა მე,

18. მიუგეს ჰურიათა და ჰრქუეს მას: რასა სასწაულსა მიჩუენებ ჩუენ, რამეთუ ამას იქმ?
18. მიჩუენებ|მიჩუენებ f |
19. მიუგო იესუ და ჰრქუა: დაჰქსენით ტადარი ესე, და მესამესა დღესა აღვადგინო ეგე.
19. ჰრქუა| + მათ a |
20. ჰრქუეს მას ჰურიათა: ორმოცდაექუსსა წელსა აღეშენა ტადარი ესე, და შენ სამთა დღეთა აღადგინო იგი?
21. ხოლო იგი იტყოდა ტადრისათუს გუამისა თუსისა.
22. და ოდეს აღდგა მკუდრეთით, მოეკენა მოწაფეთა მისთა, რამეთუ ამისთუს იტყოდა, და ჰრწმენა წიგნისა და სიტყუა იგი, რომელი ჰრქუა მათ იესუ.
23. და ოდეს იყო იგი იერუსალმს პასქასა მას დღესასწაულსა, მრავალთა ჰრწმენა სახელისა მისისა და, რამეთუ ხეღვიდეს სასწაულთა მისთა, რომელთა იქმოდა.
23. დღესასწაულსა|დღესასწაულსა a | ხეღვიდეს|ხეღვიდეს a |
24. ხოლო თუთ იესუ არა არწმუნებდა მათ თავით თუსით, რამეთუ ყოველთა იცოდეს იგი.
25. და რამეთუ არა უკმა, რადთა წამოს ვინმე კაცისა მისთუს, რამეთუ მან თუთ იცოდა, რად იყო კაცისა მის თანა.

3

1. იყო ვინმე კაცი ფარისეველთაგანი, სახელით ნიკოდიმოს, მთავარი ჰურიათა და.
1. ნიკოდიმოს|ნიკოდიმოს f |
2. ესე მოვიდა იესუმსა ღამს და ჰრქუა მას: რაბი, უწყით, რამეთუ ღმრთისა მიერ მოსრულ ხართ მოძღურად, რამეთუ ვერვის კელ-ეწიფების სასწაულთა ამათ საქმედ, რომელთა შენ იქმ, უკუეთუ არა ღმერთი იყოს მის თანა.
2. ღამს|ღამე of | ხართ| ხარ f |
3. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: ამენ, ამენ გეტყვ შენ: უკუეთუ ვინმე არა იშვეს მეორედ, ვერ კელ-ეწიფების ხილვად სასუფეველი ცათა და.
4. ჰრქუა მას ნიკოდიმოს: ვითარ კელ-ეწიფების კაცსა ბერსა შობად? ნუუკუე შესაძლებელ არს მუცელსა დედისა თუსისასა შესლვად მეორედ და შობად?
4. ნიკოდიმოს|ნიკოდიმოს f | ნუუკუე|ნუუკუე of |
5. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: ამენ, ამენ გეტყვ შენ: უკუეთუ ვინმე არა იშვეს წყლისაგან და სულისა, ვერ კელ-ეწიფების შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა.
5. უკუეთუ|უკუეთუ f |

6. შობილი იგი კორცთაგან კორცი არს, და შობილი იგი სულისაგან სული არს.

6. კორცი|კორც af| სული|სულ f|

7. ნუ გიკვრნ, რამეთუ გარქუ შენ ესე: ჯერ-არს თქუენდა მეორედ შობად.

8. სულსა ვიდრეცა უნებნ, ქრინ, და კმაჲ მისი გესმის, არამედ არა იცი, ვინაჲ მოვალს და ვიდრე ვალს. ესრეთ არს ყოველი შობილი სულისაგან.

8. არა|არაჲ af|

9. მიუგო ნიკოდიმოს და ჰრქუა მას: ვითარ შესაძლებელ არს ყოფად ესე?

9. ნიკოდიმოს|ნიკოდემოს f| ესე| > 0°|

10. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: შენ ხარ მოძღუარი ისრაჴლისაჲ და ესე არა იცია?

11. ამენ, ამენ გეტყვ შენ, რამეთუ: რომელი ვიცით, ვიტყვთ, და რომელი ვიხილეთ, ვწამებთ, და წამებასა ჩუენსა არა შეიწყნარებთ.

11. ამენ|ამინ f|

12. უკუეთუ ქუეყანისაჲ გითხარ თქუენ, და არა გრწამს, ვითარ უკუე ზეცისაჲ გითხრა თქუენ, და გრწმენეს?

12. გითხარ|გითხრა af| უკუე|უკუე f| თქუენ²| > a|

13. და არა ვინ აღკდა ზეცად, გარნა რომელი-იგი გარდამოკდა ზეცით – ძე კაცისაჲ, რომელი არს ზეცათა შინა.

13. ძე|ძე a|

14. და ვითარცა-იგი მოსე აღამაღლა გუელი უდაბნოს, ეგრეთ ჯერ-არს ამაღლებაჲ ძისა კაცისაჲ,

14. გუელი|გუელი f| უდაბნოს|უდაბნოსა 0*af|

15. რადთა ყოველსა რომელსა ჰრწმენეს იგი, არა წარწყმდეს, არამედ აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ.

16. რამეთუ ესრეთ შეიყუარა ღმერთმან სოფელი ესე, ვითარმედ ძეცა თჳსი მხოლოდშობილი მოსცა მას, რადთა ყოველსა რომელსა ჰრწმენეს იგი, არა წარწყმდეს, არამედ აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ.

17. რამეთუ არა მოავლინა ღმერთმან ძე თჳსი სოფლად, რადთა დასაჯოს სოფელი, არამედ რადთა აცხოვნოს სოფელი მის მიერ.

17. ძე|ძე a|

18. რომელსა ჰრწმენეს მისი, არა დაისაჯოს; ხოლო რომელსა არა ჰრწმენეს, აწვე დაშვილ არს, რამეთუ არა ჰრწმენა სახელისა მიმართ ძისა ღმრთისა მხოლოდშობილისა.

18. დაშვილ|დასჯილ f| მხოლოდშობილისა| > 0*af|

19. და ესე არს საშჯელი, რამეთუ ნათელი მოვიდა სოფლად, და შეიყუარეს კაცთა ბნელი, ვიდრე ნათელი, რამეთუ იყვნეს საქმენი მათნი ბოროტ.

19. საშჯელი|სასჯელი f| მოვიდა|მოივლინა o*af|

20. რამეთუ ყოველი რომელი ბოროტსა იქმს, სძულს მას ნათელი და არა მოვალს ნათელსა, რადთა არა ემხილნენ საქმენი მისნი.

21. ხოლო რომელი იქმნ ჭეშმარიტებასა, მოვალს ნათლად, რადთა ცხად იყვნენ საქმენი მისნი, რამეთუ ღმრთისა მიერ ქმნულ არიან.

21. იქმნ|იქმს f|

22. ამისა შემდგომად მოვიდა იესუ და მოწაფენი მისნი ქუეყანად ჰურიასტანისა და მუნ იყოფოდა მათ თანა და ნათელ-სცემდა.

23. იყო იოვანეცა და ნათელ-სცემდა ენონს, მახლობელად სალიმსა, რამეთუ წყალნი ფრიად იყვნეს მუნ, და მოვიდოდეს და ნათელს-იღებდეს მისგან.

23. მოვიდოდეს|მოვიდოდეს a|მოვიდოდეს| + მრავალნი o*f, მრავალნი და a|მისგან| > o*af|

24. რამეთუ არღა შევრდომილ იყო იოვანე საპყრობილედ.

24. არღა|არა o*af|

25. და იყო გამოძიებაჲ მოწაფეთაგან იოვანესთა ჰურიათა თანა განწმედისათჳს.

26. და მოვიდეს იოვანესა და ჰრქუეს მას: რაბი, რომელი-იგი იყო შენ თანა წიად იორდანესა, რომლისათჳს შენ სწამე, აჰა, იგი ნათელ-სცემს, და ყოველნი მივლენან მისა.

26. იოვანესა|იოვანესსა af|

27. მიუგო იოვანე და ჰრქუა მათ: ვერ კელ-ეწიფების კაცსა მოღებად თავით თჳსით არცა ერთი რაჲ, უკუეთუ არა არს მოცემულ მისა ზეცით.

27. მისა|მისსა a|

28. თქვენ თუთ მეწამებით მე, რამეთუ ვთქუ: არა ვარ მე ქრისტჳ, არამედ მოვლინებულ ვარ წინაშე მისა.

28. ქრისტე f|

29. რომელსა აქუნდეს სძალი, იგი სიძე არს; ხოლო მეგობარი სიძისაჲ რომელი ღვას და ესმის მისი, სიხარულით უხარის კმითა სიძისაჲთა. ესე უკუე სიხარული ჩემი აღსრულებულ არს.

29. აქუნდეს|აქუს f| სიძე|სიძე a| უკუე| > o*af|

30. მისა ჯერ-არს აღორძინებად, ხოლო ჩემდა მოკლებად.

31. ზეგარდამომაგალი იგი ყოველთა ზედა არს. და რომელი არს ქუეყანით, ქუეყანისაგანი არს და ქუეყანისასა იტყვს, ხოლო ზეცით მომაგალი ყოველთა ზედა არს.

32. და რომელი იხილა და ესმა, ამას წამებს, და წამებასა მისსა არავინ მიიღებს.

32. და¹] > a |

33. რომელმან მიიღო წამება მისი, დაჰბეჭდა, რამეთუ ღმერთი ჭეშმარიტ არს.

34. და რომელი მოავლინა ღმერთმან, სიტყუათა ღმრთისათა იტყვს, რამეთუ არა ზომით მოსცა ღმერთმან სული.

35. მამასა უყუარს ძმ და ყოველივე მოსცა კელთა მისთა.

35. ძმ]ძე of |

36. რომელსა ჰრწმენეს ძმ, აქუნდეს ცხორება საუკუნოდ, ხოლო რომელი ურჩ იყოს ძისა, არა იხილოს ცხორება, არამედ რისხვად ღმრთისად დადგრომილ არს მის ზედა.

36. ძისა]ძისგან ი*af, ძე of |

4

1. ვითარცა გულისკმა-ყო უფალმან, რამეთუ ესმა ფარისეველთა, ვითარმედ იესუს უმრავლესნი მოწაფენი უსხენ და ნათელ-სცემს, ვიდრე იოვანეს,

2. რამეთუ თვთ იესუ არა ნათელ-სცემდა, არამედ მოწაფენი მისნი,

3. დაუტევა ჰურიასტანი და წარვიდა გალილეად.

4. ხოლო თავადი განსლვად იყო სამარიადთ.

5. და მივიდა ქალაქსა სამარიტელთასა, რომელსა ჰრქვან სუქარ, მახლობელად დაბასა, რომელი მისცა იაკობ იოსებს, ძესა თვსსა.

6. და იყო მუნ წყაროდ იაკობისი, ხოლო იესუ, მაშურალი გზისა სლვისაგან, ჯდა წყაროსა მას ზედა. ჟამი იყო, ვითარ მეექუსს.

6. მეექუსს] მეექუსე f |

7. მოვიდა დედაკაცი სამარიადთ ვსებად წყლისა. ჰრქუა მას იესუ: მასუ მე წყალი!

8. – რამეთუ მოწაფენი მისნი წარსრულ იყვნეს ქალაქად, რათა საზრდელი იყიდონ.

9. ჰრქუა მას დედაკაცმან სამარიტელმან: ვითარ, შენ ჰურიად ხარ და ჩემგან წყალსა ითხოვ, სამარიტელისა დედაკაცისაგან? – რამეთუ არა შეეხნიან ჰურიანი სამარიტელთა.

9. დედაკაცმან] + მან of |

10. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: უკუეთუმცა იცოდე შენ ნიჭი ღმრთისად და ვინ არს, რომელი გეტყვს შენ: მეც მე წყალი, რათა ვსუა, – შენმცა სთხოვე მას, და გცამცა წყალი ცხოველი.

10. იცოდეთ იცოდეს $a | სოხოვე | სოხოვე o |$
11. ჰრქუა მას დედაკაცმან მან: უფალო, არცა სავსებელი გაქუს, და ჯურღმული ესე ღრმა არს. ვინაჲ გაქუს შენ წყალი ცხოველი?
11. მან $> a |$
12. ნუუკუე შენ უფროდს ხარა მამისა ჩუენისა იაკობისა, რომელმან ესე ჯურღმული მომცა ჩუენ? და იგი თავადი ამისგან სუმიდა და ძენი მისნი და საცხოვარი მისი.
12. ნუუკუენუუკუე $a | ძენი | ძენი a |$
13. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: ყოველი რომელი სუმიდეს წყლისა ამისგან, სწყუროდის კუალადცა.
13. სუმიდეს | სუამს $o * af |$ კუალადცა | კუალად $o * af |$
14. ხოლო რომელმან სუას წყლისა მისგან, რომელი მე მივსცე მას, არღარა სწყუროდის უკუნისამდე, არამედ წყალი, რომელი მე მივსცე მას, იქმნეს მის შორის წყარო წყლის, რომელი ვიდოდის ცხორებად საუკუნოდ.
14. უკუნისამდე | უკუნისამდღ $a |$ იქმნეს | იქმნას $o * af |$ მის | მას $o * a, m - s f |$ შორის $> o * af |$
15. ჰრქუა დედაკაცმან მან: უფალო, მეც მე წყალი ესე, რადთა არა მწყუროდის, არცაღა მოვიდე აქა ვსებად.
15. ესე | ეგე $o * af |$
16. ჰრქუა მას იესუ: წარვედ და მოხადე ქმარსა შენსა და მოვედ აქა!
17. მიუგო დედაკაცმან მან და ჰრქუა: არა მივის ქმარი. – ჰრქუა მას იესუ: კეთილად სთქუ, ვითარმედ: არა მივის ქმარი,
17. იესუ | + ეგე $o * af |$ ვითარმედ | რამეთუ $o * af |$ მივის | გივის $o * af |$
18. რამეთუ ხუთ ქმარ გესხნეს, და აწ რომელი გივის, არა არს ქმარი შენი; ესე ჭეშმარიტი სთქუ.
18. რომელი | რომელ $a |$ ესე | ეგე $o * af |$
19. ჰრქუა მას დედაკაცმან მან: უფალო, ვხედავ, რამეთუ წინაწარმეტყუელი ხარ შენ.
19. რამეთუ | ვითარმედ $o * af |$ შენ $> o * af |$
20. მამანი ჩუენნი მთასა ამას თაყუანის-სცემდეს, და თქუენ იტყუთ, ვითარმედ: იერუსალჴმს არს ადგილი, სადა ჯერ-არს თაყუანის-ცემაჲ.
21. ჰრქუა მას იესუ: დედაკაცო, გრწმენინ ჩემი, რამეთუ მოვალს ჟამი, ოდეს არცა ამას მთასა, არცა იერუსალჴმს თაყუანის-სცემდეთ მამასა.
21. -სცემდეთ | -სცეთ $a |$
22. თქუენ თაყუანის-სცემთ, რომელი არა იცით, ხოლო ჩუენ თაყუანის-ვსცემთ, რომელი ვიცით, რამეთუ ცხორებაჲ ჰურიათაგან არს.

23. არამედ მოვალს ჟამი, და აწვე არს, ოდეს ჭეშმარიტნი თაყუანის-მცემელნი თაყუანის-სცემდენ მამასა სულითა და ჭეშმარიტებითა, რამეთუ მამადცა ეგვეთართა ეძიებს თაყუანისმცემელთა მისთა.

24. სულ არს ღმერთი, და თაყუანისმცემელთა მისთა სულითა და ჭეშმარიტებითა თანააც თაყუანის-ცემად.

24. თანააც|ჯერ-არს o*af|

25. ჰრქუა მას დედაკაცმან მან: ვიცი, რამეთუ მესია მოვალს, რომელსა ჰრქვან ქრისტს. ოდეს მოვიდეს იგი, მითხრას ჩუენ ყოველი.

25. მას] > o*af| ქრისტე f|

26. ჰრქუა მას იესუ: მე ვარ, რომელი გეტყვ შენ.

27. და ამას ოდენ სიტყუასა ზედა მოვიდეს მოწაფენი მისნი და უკურდა, რამეთუ დედაკაცისა თანა იტყოდა. და არავინ ჰრქუა მას: რასა ეძიებ? ანუ: რასა იტყვ მის თანა?

27. ზედა] > af|

28. დაუტევა უკუე სარწყული იგი მისი დედაკაცმან მან და წარვიდა ქალაქად და უთხრა კაცთა მათ:

28. უკუე] > o*af|

29. მოვედით და იხილეთ კაცი, რომელმან მითხრა მე ყოველი, რადცა ვქმენ. ნუუკუე იგი არს ქრისტს?

29. ნუუკუე|ნუუკუე af| ქრისტს|ქრისტე f|

30. გამოვიდეს ქალაქით და მოვიდოდეს მისა.

30. მოვიდოდეს|მოვიდეს o*af| მისა|მისსა a|

31. და ვიდრე-იგი მოვიდოდეს, ამას ოდენ სიტყუასა ეტყოდეს მას მოწაფენი და ჰრქუეს: რაბი, ჭამე!

31. ვიდრე-იგი მოვიდოდეს] > o*af|

32. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: მე ჭამადი მაქუს ჭამად, რომელი თქუენ არა იცით.

33. იტყოდეს მოწაფენი ურთიერთას: ნუუკუე მო-ვინმე-ართუა მას ჭამადი?

33. ნუუკუე|ნუუკუე af|

34. ჰრქუა მათ იესუ: ჩემი ჭამადი არს, რადთა ვყო ნებად მომავლინებელისა ჩემისადა და აღვასრულო საქმს მისი.

34. საქმე of|

35. არა თქუენ იტყვთა, ვითარმედ: ოთხლა თუე არიან, და მოვალს მკაად? აჰა, ესერა, მე გეტყვ თქუენ: აღიხილენით თუალნი თქუენნი და იხილეთ ყანები, რამეთუ სპეტაკ არიან სამკალად აწვე.

35. თუეთუე af| აღიხილენით|აღიხილენით a| სამკალად|სამკალად af|

36. და მომკალმან სასყიდელი თუხი მოილოს და შეკრიბოს ნაყოფი ცხორებად საუკუნოდ, რაათა მთესვარსა და მომკალსა ერთბამად უხაროდის მის თანა.

36. მოილოს|მოილოს f| შეკრიბოს of|

37. რამეთუ ამით არს ჭეშმარიტ სიტყუაჲ იგი, ვითარმედ სხუაჲ არს მთესვარი, და სხუაჲ არს მომკალი.

38. მე წარგავლინებ თქუენ მკად, რომელსა თქუენ არა დაშუერთ, სხუანი დამაშურალ არიან, და თქუენ შრომილსა მათსა შემოხუედით.

38. დაშუერთ|დაშუერთ f| შემოხუედით|შემოხუედით f|

39. ხოლო ქალაქისა მისგანთა მრავალთა ჰრწმენა მისა მიმართ, სამარიტელთა მათ, სიტყუთა მის დედაკაცისათა, რამეთუ წამებდა, ვითარმედ: ყოველივე მითხრა მე, რაოდენი ვქმენ.

39. რაოდენი|რაოდენი af|

40. და ვითარცა მოვიდეს მისა სამარიტელნი იგი, ევედრებოდეს მას, რაათა დაადგრეს მათ თანა. და დაადგრა მუნ ორ ღლე.

40. ევედრებოდეს|ეტყოდეს o*af|ღლე|ღლს a|

41. და უფროდსა სიმრავლესა ჰრწმენა სიტყუათა მისთაჲ.

42. და ეტყოდეს დედაკაცსა მას, ვითარმედ: არღარა სიტყუთა შენითა გურწამს, რამეთუ ჩუენ თუთ გუესმა მისგან და უწყით, რამეთუ ესე არს ჭეშმარიტად მაცხოვარი სოფლისაჲ, ქრისტჳ.

42. გუესმა|გუესმა f| მისგან|მაგისგან f| ქრისტჳ|ქრისტჳ f|

43. შემდგომად ორისა მის ღლისა გამოვიდა მიერ და წარვიდა გალილეად.

43. შემდგომად pr და of|

44. რამეთუ თავადი იესუ წამებდა, ვითარმედ: წინაწარმეტყუელსა თუსსა სოფელსა პატივი არა აქუს.

45. ოდეს მივიდა გალილეად, შეიწყნარეს იგი გალილეველთა, რამეთუ ყოველი ეხილვა, რაოდენი ქმნა იერუსალჳმს ღლესასწაულსა მას და რამეთუ იგინიცა მოსრულ იყვნეს ღლესასწაულსა მას.

45. ოდეს pr და of| რაოდენი|რაოდენი of| რამეთუ > o*af|ღლესასწაულსა²|ღლესასწაულსა a|

46. მოვიდა იესუ მერმეცა კანად გალილეაჲსა, სადა-იგი ქმნა წყალი ღუნოდ. და იყო ვინმე სამეუფოჲთ მოსრული კაცი, რომლისა ძმ სნეულ იყო კაპერნაუმს.

46. ძმ|ძმს o, ძე f| კაპერნაუმს|კაფარნაომს o*af|

47. ამას ესმა, ვითარმედ: იესუ მოსრულ არს ჰურიასტანით გალილეას; მოვიდა მისა და ევედრებოდა, რაათა მივიდეს მის თანა და განკურნოს ძმ იგი მისი, რომელი მიახდა სიკუდიდ.

47. ძმ|ძე of| მიახდა|მიახდა a| სიკუდიდ|სიკუდილად a|

48. ჰრქუა მას იესუ: უკუეთუ არა იხილოთ სასწაულები და ნიშნები, არა გრწმენეს.

48. ნიშნები|ნიშები af |

49. ჰრქუა მას სამეუფოჲსა კაცმან მან: უფალო, მოვედ პირველად მოსიკუდილადმდე ძისა ჩემისა.

49. მოსიკუდილადმდე|მოსიკუდილმდე a |

50. ჰრქუა მას იესუ: ვილოდე, ცოცხალ არს ძმ შენი! – და ჰრწმენა კაცსა მას სიტყუაჲ იგი, რომელი ჰრქუა მას იესუ, და წარვიდა.

50. ძმ|ძე of |

51. და ვითარცა მი-ოდენ-ვილოდა იგი, მონანი მისნი მოეგებვოდეს მას და უთხრეს და ჰრქუეს, ვითარმედ: ძმ შენი ცოცხალ არს.

51. ძმ|ძე of |

52. ჰკითხვიდა მათ: რომელსა ჟამსა უმოლხინეს იქმნა? ჰრქუა მას: გუშინ მეშუდესა ჟამსა ოდენ დაუტევა იგი მკურვალეზამან.

52. ოდენ] > af |

53. მოეკუნა მამასა მის ყრმისასა, რამეთუ მას ჟამსა ოდენ ჰრქუა მას იესუ, ვითარმედ: ძმ შენი ცოცხალ არს. და ჰრწმენა მას და ყოველთა სახლეულთა მისთა.

53. ძმ|ძე of |

54. ესე კუალად მეორე სასწაული ქმნა იესუ, მო-რაჲ-ვიდა ჰურიასტანით გალილეად.

54. მეორე|მეორზ a |

5

1. ამისა შემდგომად იყო დღესასწაული ჰურიათაჲ, და აღვიდა იესუ იერუსალმმდ.

1. ამისა|ამისსა o |დღესასწაული|დღსსასწაული a |

2. და არს იერუსალმს ცხოვართა საბანელსა მას ტბაჲ, რომელსა ჰრქუან ებრაელებრ ბითეზდა, და ხუთ სტოვა იყო.

2. იერუსალმს|იერუსალიმს f |ბითეზდა|ბითესდა o*a, ბეთელ f |

3. ამას შინა ისხა სიმრავლე უძღურთაჲ, ბრმები, მკელობლები, განკმელები, რომელნი მოელიედ წყლისა მის აღმრლუევასა.

3. სიმრავლე|სიმრავლზ a |მკელობლები|მკელობრები f |აღმრლუევასა|აღმრლუზვასა f.

4. რამეთუ ანგელოზი წლითი წლად გარდამოვილოდა საბანელსა მას და აღამრლვის წყალი იგი; და რომელიცა პირველ შთავიდის აღმრლუევასა მას წყლისასა, განიკურნის, რომლითაცა შეპყრობილ არს სნეულებითა.

4. აღმრლუევასა|აღმრლუზვასა f |მას²] > f |

5. იყო ვინმე მუნ კაცი, რომელსა ოცდაათრვაგამეტი წელი დაეყო უძღურებასა შინა.

6. ესე იხილა იესუ მღებარე და გულისკმა-ყო, რამეთუ მრავალი წელი აქუს უძღურებასა შინა. ჰრქუა მას იესუ: გნებავსა, რაათა განიკურნო?
6. მღებარე|მღებარწ a |
7. მიუგო უძღურმან მან და ჰრქუა: უფალო, კაცი არა მაქუს, რაათა, რაჟამს წყალი ესე აღიმრღუეს, და შთა-მცა-მაგლო საბანელსა ამას. ვიდრე მე მოვიდოდი, სხუად უწინარეს ჩემსა შთავიდის და განიკურნის.
7. მიუგო|მიუგუ a |აღიმრღუეს|აღიმრღუწს f |
8. ჰრქუა მას იესუ: აღდეგ, აღილე ცხედარი შენი და ვიდოდე!
9. და მეყსეულად განცოცხლდა კაცი იგი და აღილო ცხედარი თვისი და წარვიდა. ხოლო იყო შაბათი დღწ იგი.
9. და მეყსეულად| > o*af | დღწ|დღე f |
10. ეტყოდეს მას ჰურიანი იგი: შაბათი არს, და არა ჯერ-არს შენდა აღებად ცხედარი შენი.
11. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა მათ: რომელმან-იგი განმკურნა მე, მან მრქუა: აღილე ცხედარი შენი და ვიდოდე!
12. ჰკითხვიდეს უკუე მას ჰურიანი იგი და ჰრქუეს: ვინ არს კაცი იგი, რომელმან გრქუა შენ: აღილე ცხედარი შენი და ვიდოდე?
12. უკუე მას| tr მას უკუწ a | უკუე|უკუწ f | კაცი იგი| > o*af |
13. ხოლო განკურნებულმან მან არა უწყოდა, ვინ არს, რამეთუ იესუ მიეფარა, რამეთუ ერი იყო ადგილსა მას.
14. ამისა შემდგომად პოვა იგი იესუ ტაძარსა მას შინა და ჰრქუა მას: აჰა, ცოცხალ იქმენ, ნუღარა სცოდავ, რაათა არა უძურესი რაიმე გეყოს შენ.
14. აჰა| + ეგერა o*af | უძურესი|უძურწსი a |
15. წარვიდა კაცი იგი და უთხრა ჰურიათა მათ, ვითარმედ: იესუ არს, რომელმან განმკურნა მე.
16. და ამისთვის სდევნიდეს ჰურიანი იგი იესუს და ენება მოკლვად მისი, რამეთუ ამას იქმოდა შაბათთა შინა.
17. ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მათ: მამად ჩემი მოაქამომდე იქმს, და მეცა ვიქმ.
18. ამისთვის უფროდს ხოლო ეძიებდეს ჰურიანი იგი მოკლვად იესუს, რამეთუ არა ხოლო თუ შაბათსა დაჰკნინდა, არამედ ღმერთსაცა მამად თვისა იტყოდა და თავსა თვისსა სწორ-ჰყოფდა ღმრთისა.
18. თვისა|თვისსა oaf |
19. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ამენ, ამენ გეტყვ თქვენ: არა კელ-ეწიფების ძესა

კაცისასა საქმედ თავით თჳსით არცა ერთი რად, უკუეთუ არა იხილოს რადმე მამისაგან საქმს, რამეთუ რავდენსა-იგი მამად იქმს, მას ძმ ეგრეთვე მსგავსად იქმს.

19. საქმეს|საქმე of|ძმ|ძე of| ეგრეთვე|ეგრეთვე a|

20. რამეთუ მამასა უყუარს ძმ და ყოველსავე ურუენებს მას, რაოდენსაცა-იგი იქმს, და უფროდსიცა ამისა ურუენოს მას საქმს, რადთა თქუენ გიკურდეს.

20. ძმ|ძეს ი, ძე f| ურუენებს|ურუენებს f| რაოდენსაცა-|რავდენსაცა- af| ურუენოს|ურუენოს f| საქმს|საქმე of| თქუენ|თქუენ f|

21. რამეთუ ვითარცა-იგი მამად აღადგინებს მკუდართა და აცხოვნებს, ეგრეცა ძმ, რომელთაჲ ჰნებავს, აცხოვნებს.

21. ძმ|ძე of|

22. არცაღა მამად შჯის არავის, არამედ ყოველი საშჯელი მოსცა ძესა,

22. შჯის| სჯის f| საშჯელი| სასჯელი f|

23. რადთა ყოველნი პატივ-სცემდენ ძესა, ვითარცა-იგი პატივ-სცემენ მამასა, რამეთუ რომელმან არა პატივ-სცემეს ძესა, მან არა პატივ-სცა მამასა, რომელმან მოავლინა იგი.

23. პატი- ი|-სცემეს|სცეს ofaf|

24. ამენ, ამენ გეტყუ თქუენ, რამეთუ რომელმან სიტყუანი ჩემნი ისმინნეს და ჰრწმენეს მომავლინებელი ჩემი, აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოდ, და საშჯელსა იგი არა შევიდეს, არამედ გარდაიცვალოს იგი სიკუდილისაგან ცხორებად.

24. საშჯელსა| სასჯელსა f|

25. ამენ, ამენ გეტყუ თქუენ, რამეთუ მოვალს ჟამი, და აწვე არს, ოდეს მკუდართა ისმინნენ სიტყუანი ძისა ღმრთისანი; და რომელთა ისმინნენ, ცხონდენ.

26. რამეთუ ვითარცა-იგი მამასა აქუს ცხორებაჲ თავისა თჳსისა თანა, ეგრეცა ძესა მოსცა, რადთა აქუნდეს ცხორებაჲ თავისა თჳსისა თანა.

27. და კელმწიფებაჲ მოსცა მას საშჯელისაცა ყოფად, რამეთუ ძმ კაცისაჲ არს.

27. საშჯელისაცა| სასჯელისაცა f|ძმ|ძე f|

28. ნუ გიკურნ ესე, რამეთუ მოვალს ჟამი, რომელსა ყოველნი რომელნი ისხნენ საფლავებსა, ისმინონ კმისა მისისაჲ.

29. და გამოვიდოდინ კეთილისმოქმედნი აღდგომასა ცხორებისასა, ხოლო ბოროტისმოქმედნი აღდგომასა საშჯელისასა.

29. გამოვიდოდინ| + და ი*af| კეთილისმოქმედნი|კეთილისა მოქმედნი ofa| ბოროტისმოქმედნი|ბოროტისა მოქმედნი ofa| აღდგომასა²| + მას af| საშჯელისასა|სასჯელისასა f|

30. არა კელ-მეწიფების მე საქმედ თავით თჳსით არარაჲ, არამედ ვითარცა მესმის, ვშჯი, და საშჯელი ჩემი მართალ არს, რამეთუ არა ვეძიებ ნებასა ჩემსა, არამედ ნებასა მომავლინებელისა ჩემისა მამისასა.

30. ვშჯი| ვსჯი f| საშჯელი| სასჯელი f.

31. უკუეთუ მე ვწამებდე თავისა ჩემისათჳს, წამებაჲ ჩემი არა არს ჭეშმარიტ.
32. სხუაჲ არს, რომელი წამებს ჩემთჳს, და უწყი, რამეთუ ჭეშმარიტ არს წამებაჲ მისი, რომელსა წამებს ჩემთჳს.
33. თქუენ მიავლინეთ იოვანესა, და წამა ჭეშმარიტი.
34. ხოლო მე წამებაჲ კაცისაგან არა მოვილო, არამედ ამას ვიტყჳ, რადთა თქუენ სცხონდეთ.
34. თქუენ] > o*af | სცხონდეთ|სცხონდეთ o*af |
35. იგი იყო სანთელი აღნთებული და საჩინოჲ, ხოლო თქუენ ინებეთ ჟამ ერთ სიხარული ნათელსა მისსა.
35. რამეთუ იგი o*af | და] > o*f |
36. ხოლო მე მაქუს წამებაჲ უფროჲს იოვანესა, რამეთუ საქმენი რომელნი მომცნა მე მამამან, რადთა აღვასრულნე ივინი, ესევე საქმენი წამებენ ჩემთჳს, რომელთა მე ვიქმ, რამეთუ მამამან მომავლინა მე.
36. იოვანესა|იოვანესსა oaf | საქმენი|საქმე o*f, საქმს a | რომელნი|რომელი o*af | მომცნა|მომცა o*f | აღვასრულნე|აღვასრულეთ o*af | ივინი|იგი o*af |
37. და რომელმან მომავლინა მე, მამამან, მან წამა ჩემთჳს. თქუენ არცა კმაჲ მისი გესმა სადამე, არცა ხატი მისი იხილეთ.
37. მისი|მის a |
38. და სიტყუაჲ მისი არა არს თქუენ თანა დადგრომილ, რამეთუ რომელი-იგი მოავლინა ღმერთმან, ესე თქუენ არა გრწამს.
38. რამეთუ|ხოლო f |
39. გამოეძიებდით წიგნთა, რამეთუ თქუენ ჰგონებთ, ვითარმედ გაქუს ცხორებაჲ საუკუნოჲ მათ შინა; და ივინი არიან, რომელნი წამებენ ჩემთჳს.
39. გამოეძიებდით|გამოიძიებდით o^c, გამოიძიეთ o*af | წიგნთა|წიგნთაგან o*af | ჰგონებთ] + თავთა თქუენთა შინა o*af | შინა|მიერ o*af |
40. და თქუენ არა გნებავს მოსლვად ჩემდა, რადთა ცხორებაჲ გაქუნდეს.
41. დიდებაჲ კაცთაგან არა მოვილო.
42. არამედ გიცნი თქუენ, რამეთუ სიყუარული ღმრთისაჲ არა გაქუს თავთა შინა თქუენთა.
42. თავთა შინა თქვენთა|თავისა თქუენისა თანა o*af |
43. მე მოვედ სახელითა მამისა ჩემისაჲთა, და არა შემიწყნარებთ. უკუეთუ სხუაჲ მოვიდეს სახელითა თჳსითა, იგი შეიწყნაროთ.
43. უკუეთუ] + ვინ o*af |
44. ვითარ უკუე კელ-გეწიფების თქუენ რწმუნებად, რამეთუ დიდებასა ურთიერთას მიიღებთ და დიდებასა მხოლოჲსა ღმრთისასა არა ეძიებთ.
44. უკუე|უკუშ af |

45. ნუ ჰგონებთ, ვითარმედ მე შეგასმინნე თქვენ მამასა ჩემსა; არს შემასმენელი თქუენი მოსე, რომელსა თქუენ ესავეთ.

45. შეგასმინნე|შეგასმინნე a | მამასა ჩემსა|მამისა ჩემისა a |მოსე|მოსე a |

46. უკუეთუმცა გრწმენა მოსესი, გრწმენამცა ჩემიცა, რამეთუ მან ჩემთვის დაწერა.

47. უკუეთუ მისთა წიგნთაჲ არა გრწამს, ჩემთა სიტყუათაჲ ვითარმე გრწმენეს?

6

1. ამისა შემდგომად წილკდა იესუ წილ ზღუასა მას გალილეასასა, რომელ არს ტიბერიასაჲ.

2. და მისდევდა მას ერი მრავალი, რამეთუ ხედვიდეს სასწაულთა მათ, რომელთა იქმოდა უძღურთა ზედა.

3. და აღვიდა იესუ მთასა და მუნ დაჯდა მოწფითურთ თვისით.

3. მოწფითურთ|მოწ-ფითურთ f |

4. და იყო მოახლებულ პასქაჲ, დღესასწაული იგი ჰურიათაჲ.

4. დღე|დღე a |იგი| > 0* |

5. აღიხილნა თუალნი თვისნი იესუ და იხილა, რამეთუ მრავალი ერი მოვალს მისა. ჰრქუა ფილიპეს: ვინაჲ ვიყიდოთ პური, რაჲთა ჭამონ ამათ?

5. რამეთუ| > 0*af | მოვალს|მომავალი 0*af |

6. ამას რაჲ ეტყოდა, გამოსცდიდა მას, ხოლო თუთ უწყოდა, რაჲ ეგულებოდა ყოფად.

6. ეტყოდა| + რამეთუ 0*af |ყოფად|ყოფად a |

7. ჰრქუა ფილიპე: ორასისა დრაჰკნისა პური ვერ კმა არს ამათა, რაჲთა კაცად-კაცადმან მცირედ რაჲმე მიიღოს.

8. ჰრქუა მას ერთმან მოწაფეთა მისთაგანმან, ანდრეა, ძმამან სიმონ-პეტრესმან:

9. არს აქა ყრმაჲ, რომელსა აქუს ხუთი პური ქრთილისაჲ და ორი თევზი, არამედ ესე რაჲ არს ესოდენტა წინაშე?

10. ჰრქუა მას იესუ: დასხით კაცები ესე! – და იყო თივაჲ ფრიად აღვილსა მას, და დასხდა კაცები იგი, რიცხუთ ვითარ ხუთ ათას ოდენ.

10. ფრიადი| > a |მას| + a |

11. და მოიხუნა იესუ პურნი იგი და ჰმადლობდა და მისცემდა მოწაფეთა, და მოწაფენი მისცემდეს ერსა მას, რომელნი-იგი დასხდეს; ეგრეცა თევზთა მათგანი, რაოდენი-იგი უნდა მათ.

12. და ვითარცა განძღეს, ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა: შეკრიბეთ ნეშტი ეგე ნამუსრევი, რაჲთა ნუმცა რაჲ წარწყმდების.
12. ეგეიგი f |
13. ხოლო მათ შეკრიბეს და აღავსეს ათორმეტი გოდორი ნამუსრევითა ხუთთა მათ პურთაგან ქრთილისათა, რომელ-იგი დაუშთა მათ, რომელთა-იგი ჭამეს.
14. ხოლო კაცთა მათ ვითარცა იხილეს სასწაული იგი, რომელ ქმნა იესუ, იტყოდეს: ესე არს ჭემმარიტად წინაწარმეტყუელი, რომელი მოსრულ არს სოფლად.
14. წინაწარმეტყუელი|წინაჲსწარ-მეტყუელი o |
15. ხოლო იესუ გულისკმა-ყო, რამეთუ მოვიდოდეს წარტაცებად, რაჲთამცა ყვეს იგი მეფე, და განემორა და წარვიდა მთად იგი ხოლო მარტომ.
15. მეფე|მეფე a |
16. და ვითარცა შემწუხრდა, შთავიდეს მოწაფენი მისნი ზღუად.
17. და შევიდეს ნავსა და მოვიდოდეს წიად ზღუასა მას კაპერნაუმდ. და ვითარ შე-ოდენ-რიჟუდებოდა, და არღა მოსრულ იყო მათა იესუ,
17. კაპერნაუმდ|კაფარნაომდ o*a, კაფარნაუმდ f |
18. და ზღუაჲ იგი ქარისაგან დიდისა აღიდრვოდა.
19. და შე-ოდენ-სრულ იყვნეს ვითარ ოცდახუთ უტევან, გინა ოცდაათ, იხილეს იესუ, ვიდოდა რაჲ ზღუასა ზედა; და მოეახლა რაჲ ნავსა მას, შეეშინა მათ.
19. ოცდაათ| + და o*af | მოეახლა რა|ახლოს იყო o*af | შეეშინა მათ| tr მათ შეეშინა o*a, და მათ შეეშინა f |
20. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: მე ვარ, ნუ გეშინინ!
20. ხოლო|და o*af |
21. უნდა მათ, რაჲთამცა შეიყვანეს იგი ნავსა მას. და მეყსეულად იპოვა ნავი იგი ქუეყანასა მას, ვიდრეცა მივიდოდეს.
22. ხვალისაგან ერი იგი რომელ დგა წიად ზღუასა მას, უწყოდეს, რამეთუ სხუაჲ ნავი არა იყო მუნ, გარნა ერთი იგი ხოლო, რომელსა შესრულ იყვნეს მოწაფენი იესუჲსნი, და რამეთუ არა შევიდა იესუ მოწაფეთა თანა ნავსა მას, არამედ მოწაფენი ხოლო მისნი შევიდეს.
22. რომელ|რომელი oaf |
23. მოვიდეს უკუე სხუანიცა ნავნი ტიბერიით, მახლობელად ადგილსა მას, სადა-იგი ჭამეს პური, რომელი-იგი აკურთხა უფალმან და ჰმადლობდა.
23. უკუე| > a, უკუე f |
24. ვითარცა იხილა ერმან მან, ვითარმედ იესუ არა მუნ არს, არცა მოწაფენი მისნი, მოადგინეს მათ ნავები იგი და მოვიდეს კაპერნაუმდ და ეძიებდეს იესუს.
24. მათ| > o*f | კაპერნაუმდ|კაფარნაომდ o*a, კაფარნაუმდ f |
25. და პოვეს იგი წიად ზღუასა მას და ჰრქუეს მას: რაბი, ოდეს მოხუედ აქა?

25. პოვეს|მოვეს a | მოხუედ|მოხუედ f |
26. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ამენ, ამენ გეტყვ თქუენ: მეძიებთ მე, არა თუ რამეთუ იხილენით სასწაულნი, არამედ რამეთუ შჭამეთ პურთა მათგან და განსძელით.
26. სჭამეთ f | განსძელით|განსძელით a |
27. იქმოდეთ ნუ საზრდელსა წარსაწყმედელსა, არამედ საზრდელსა, რომელი ჰგიეს ცხორებად საუკუნოდ, რომელი ძემან კაცისამან მოგცეს თქუენ, რამეთუ ამას მამამან დაჰბეჭდა, ღმერთმან.
27. ძემან|ძმმან a |
28. ჰრქუეს მას: რაჲ ვყოთ, რაჲთა ვიქმოდით საქმესა ღმრთისასა?
29. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ესე არს საქმწ ღმრთისაჲ, რაჲთა გრწმენეს, რომელი-იგი მან მოავლინა.
29. საქმწ|საქმე of |
30. და მათ ჰრქუეს მას: რასა სასწაულსა იქმ, რაჲთა ვიხილოთ და გურწმენეს შენი? რასა იქმ?
31. მამანი ჩუენნი ჭამდეს მანანასა უღაბნოსა ზედა, ვითარცა წერილ არს: პური ზეცით მოსცა მათ ჭამად.
32. ჰრქუა მას იესუ: ამენ, ამენ გეტყვ თქუენ: არა მოსე მოგცა თქუენ პური ზეცით, არამედ მამამან ჩემმან მოგცა თქუენ პური ჭემმარიტი ზეცით.
32. მას|მათ of | მოსე|მოსწ of |
33. რამეთუ პური ღმრთისაჲ არს, რომელი გარდამოკდა ზეცით და მოსცა ცხორებაჲ სოფელსა.
34. ჰრქუეს მას: უფალო, მარადის მომეც ჩუენ პური ესე!
34. ესე| + ჭამად of |
35. ჰრქუა მათ იესუ: მე ვარ პური ცხორებისაჲ; რომელი მოვიდეს ჩემდა, არა შიოდის, და რომელსა ჰრწმენეს ჩემი, არასადა სწყუროდის.
35. შიოდის|ჰშიოდის a | სწყუროდის|ჰსწყუროდის of |
36. არამედ გარქუ თქუენ, ვითარმედ: მიხილეთ მე და არა გრწამს.
36. ვითარმედ| > of *of |
37. ყოველი რომელი მომცა მე მამამან ჩემმან, ჩემდა მოვიდეს; და რომელი მოვიდეს ჩემდა, არა განვაძო გარე.
37. მომცა|მომცეს a | და| > a | გარე|გარწ a |
38. რამეთუ გარდამოვკედ ზეცით, არა რაჲთა ვყო ნებაჲ ჩემი, არამედ ნებაჲ მომავლინებელისა ჩემისა მამისაჲ.
39. ხოლო ესე არს ნებაჲ მომავლინებელისა ჩემისა მამისაჲ, რაჲთა ყოველი,

რომელი მომცა მე, არა წარვწყმიდო მისგან, არამედ აღვადგინო იგი უკუანაღსკნელსა მას ღღესა.

39. ხოლო]რამეთუ $o*af$ | მისგან] მისგანი f |

40. რამეთუ ესე არს ნებაჲ მომავლინებელისა ჩემისაჲ, რაჲთა ყოველი რომელი ხელვიდეს ძესა და ჰრწმენეს მისი, აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ, და მე აღვადგინო იგი უკუანაღსკნელსა მას ღღესა.

40. ყოველი] $> o*af$ |

41. ღრტუნვიდეს მისთვის ჰურიანი იგი, რამეთუ თქუა: მე ვარ პური იგი, რომელი ზეცით გარდამოვკედ, –

41. იგი²] $> f$ |

42. და იტყოდეს: არა ესე არსა იესუ, ძმ იოსებისი, რომლისა მამაჲ და ღელაჲ ჩუენ ვიცით? ვითარ უკუე იტყვს ესე, ვითარმედ: ზეცით გარდამოვკედ?

42. ძმ]მე² o , მე f | უკუე]უკუე af | იტყვს] $+$ აწ $o*af$ |

43. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ნუ სდრტუნავთ ურთიერთას!

44. ვერვის კელ-ეწიფების მოსლვად ჩემდა, უკუეთუ არა მამამან, მომავლინებელმან ჩემმან, მოიყვანოს იგი ჩემდა, და მე აღვადგინო იგი უკუანაღსკნელსა მას ღღესა.

44. მოიყვანოს]მომავლინოს $o*af$ | მას] $> o*a$ |

45. წერილ არს წინაწარმეტყუელთა შინა, ვითარმედ: იყვნენ ყოველნი ღმრთივ სწავლულ. ყოველსა რომელსა ესმეს მამისა ჩემისაგან და ისწავოს, მოვიდეს ჩემდა.

45. წინაწარმეტყუელთა]წინაწარმეტყუელთასა $o*a$, წწ~ყლისა f | შინა] $> f$ | ესმეს]ესმას oaf | ისწავოს]ისწავოს a |

46. არა თუ ღმერთი ვის უხილავს, არამედ რომელი-იგი არს ღმრთისაგან, ამან იხილა მამაჲ.

47. ამენ, ამენ გეტყვ თქუენ: რომელსა ჰრწმენეს ჩემი, აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ.

47. ამენ]ამინ f | საუკუნოჲ] $+$ და მე აღვადგინო იგი უკანაღსკნელსა მას ღღესა $o*af$ |

48. მე ვარ პური ცხორებისაჲ.

49. მამათა თქუენტა ჭამეს მანანაჲ უდაბნოსა და მოსწყდეს.

50. ესე არს პური, რომელი ზეცით გარდამოვკდა; უკუთუ ვინმე ჭამოს მისგანი, არა მოკუდეს.

50. გარდამოვკდა] $+$ და რაჲთა af |

51. მე ვარ პური ცხოველი, რომელი ზეცით გარდამოვკედ. უკუეთუ ვინმე ჭამდეს ამის პურისაგან, არა მოკუდეს, არამედ ცხოვნდეს უკუნისამდე. და პური, რომელი მე მივსცე, კორცი ჩემი არს, რომელსა მე მივსცემ ცხორებისათვის სოფლისა.

51. ცხოველი]ცხორებისაჲ $o*af$ | უკუეთუ]უკუითუ f | ჭამდეს] ჭამოს f | ცხოვნდეს]ცხოვნდეს oaf |

52. ილაღვიდეს ურთიერთას ჰურიანი იგი და იტყოდეს: ვითარმე კელ-ეწიფების

ამას მოცემად ჩუენდა კორცი თუსი ჭამად?

53. ჰრქუა მათ იესუ: ამენ, ამენ გეტყვ თქუნ: უკუეთუ არა შჭამოთ კორცი ძისა კაცისა და სუათ სისხლი მისი, არა გაქუნდეს ცხორება თავთა შორის თქუნთა.

53. შჭამოთ|სჭამოთ f| სუათ|ჰსუათ a|თავთა შორის თქუნთა|თავისა თქუნისა o*af|

54. ხოლო რომელი ჭამდეს კორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, აქუნდეს ცხორება საუკუნოდ, და მე აღვადგინო იგი უკუნადსკენელსა მას დღესა.

55. რამეთუ კორცი ჩემი ჭემმარიტი საჭმელი არს, და სისხლი ჩემი ჭემმარიტი სასუმელი არს.

56. და რომელი ჭამდეს კორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, იგი ჩემ თანა დადგრომილ არს, და მე მის თანა.

57. ვითარცა მომაგლინა მე ცხოველმან მამამან, და მეცა ცხოველ ვარ მამისა თანა; და რომელი ჭამდეს ჩემგან, იგიცა ცხონდეს ჩემ მიერ.

58. რამეთუ ესე არს პური, რომელი ზეცით გარდამოკდა. არა ეგრეთ, ვითარ-იგი ჭამეს მამათა თქუნთა მანანად და მოსწყდეს. ხოლო რომელი ჭამდეს ამას პურსა, ცხონდეს უკუნისამდე.

58. უკუნისამდე|უკუნისამღწ a|

59. ესე თქუა შესაკრებელსა შორის და ასწავებდა კაპერნაუმს.

59. კაპერნაუმს|კაფარნაუმს o*a, კაფარნაუმს f|

60. მრავალთა უკუე მოწაფეთა მისთაგანთა ესმა ესე და იტყოდეს: ფიცხელ არს სიტყუა ესე. ვის კელ-ეწიფების სმენად მისა?

60. უკუე > o*af | და > o*af | მისთაგანთა|მისთაგან a | მისთაგანთა | რომელთა o*af | მისა|მისსა a |

61. იცოდა იესუ თავით თუსით, რამეთუ ღრტუნვენ მოწაფენი მისნი ამისთუს, და ჰრქუა მათ: ესე დაგაბრკოლებსა თქუნ?

61. თავით თუსით|სულითა თუსითა o*af |

62. უკუეთუ იხილოთ ძმ კაცისა და აღმაგალი, სადაცა იყო პირველ?

62. უკუეთუ|pr ხოლო a | ძმ|მე of |

63. სული არს განმაცხოველებელ, ხოლო კორცნი არად სარგებელ არიან; სიტყუათა რომელთა გეტყვ თქუნ, სულ არიან და ცხორება,

63. არად|არა a | გეტყვ|გეტყოლე o*af |

64. არამედ არიან ვინმე თქუნგანნი, რომელთა არა ჰრწამს. – რამეთუ იცოდა იესუ პირველითგან, თუ ვინ არიან იგინი, რომელთა არა ჰრწამს, ანუ ვინ არს მიმცემელი მისი.

65. და ეტყოდა: ამისთუს გარქუ თქუნ: ვერვის კელ-ეწიფების მოსლვად ჩემდა, უკუეთუ არა არს მოცემულ მისა მამისაგან ჩემისა.

65. ჩემდა > a |

66. ამის გამო მრავალნი მოწაფეთა მისთაგანნი უკუნიქცეს და არღარა ვილოდეს მის თანა.

67. ჰრქუა იესუ ათორმეტთა მათ: ნუუკუე თქუნცა გნებავს წარსლვის?

67. ნუუკუენუუკუმ af |

68. მიუგო მას სიმონ-პეტრე და ჰრქუა: უფალო, ვისა მივიდეთ ჩუნ? რამეთუ სიტყუანი ცხორებისა საუკუნოხსანი გქონან შენ.

68. -პეტრე]-პეტრზ a |ვისა]ვისსა oaf |

69. და ჩუნ გურწმენა და გვცნობიეს, რამეთუ შენ ხარ ქრისტს, ძს ღმრთისა ცხოველისაჲ.

69. ქრისტს]ქრისტე f |ძს]ძე f |

70. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: არამე ათორმეტნი გამოგირჩიენა? და ერთი თქუნგანი ეშმაკი არს.

70. გამოგირჩიენა]გამოგარჩიენა a |

71. ხოლო იტყოდა იუდას სიმონისსა, ისკარიოტელსა, რომელი იყო ერთი ათორმეტთაგანი, რამეთუ ამას ეგულებოდა მიცემაჲ მისი.

71. იტყოდა] + და o | სიმონისსა]სიმონ a |

7

1. ამისა შემდგომად იქცეოდა იესუ გალილეას და არა უნდა მისლვად ჰურიასტანს, რამეთუ ეძიებდეს მას ჰურიანი იგი მოკლვად.

2. ხოლო იყო მახლობელ დღესასწაული იგი ჰურიათაჲ, რომელ არს კარვობისაჲ.

2. მახლობელ] მოახლებულ o* |დღესასწაული]დღესასწაული a |

3. ჰრქუეს მას ძმათა მისთა: გარდაგუალე ამიერ და წარვედ ჰურიასტანად, რაჲთა მოწაფეთაცა შენთა იხილნენ საქმენი შენნი, რომელთა იქმ!

4. რამეთუ არავინ ფარულად რასმე იქმ და ეძიებნ, რაჲთამცა განცხადებულ იყო. უკუეთუ ამას იქმ, გამოუცხადე თავი შენი სოფელსა!

4. ეძიებნ]ჰგონებნ o*af |

5. რამეთუ არცაღა ძმათა მისთა ჰრწმენა მისი.

6. ჰრქუა მათ იესუ: ჟამი ჩემი არღა მოწვეწულ არს, ხოლო ჟამი თქუნნი ოდესვე განმზადებულ არს.

7. ვერ კელ-ეწიფების სოფელსა მოძულებად თქუნდა, ხოლო მე ვსძულ, რამეთუ ვწამებ მისთვის, ვითარმედ საქმენი მისნი ბოროტ არიან.

7. ვწამებ]ვამხილებ o*af |მისთვის]მას o*af |ვითარმედ]რამეთუ o*af |

8. თქვენ აღვედით დღესასწაულს ამას. ხოლო მე არა აღვალ დღესასწაულს ამას, რამეთუ ჟამი ჩემი არღა აღსრულებულ არს.
8. დღესასწაულს¹ | დღესასწაულს ა | დღესასწაულს² | დღესასწაულს ა |
9. ესე ჰრქუა მათ და დაადგრა გალილეას.
10. და ვითარცა აღვიდეს ძმანი მისნი დღესასწაულს მას, მაშინ თავადიცა იესუ აღვიდა არა განცხადებულად, არამედ ვითარცა ფარულად.
10. დღესასწაულს | დღესასწაულს ა | ვითარცა > 0 * აფ |
11. ხოლო ჰურიანი იგი ეძიებდეს მას დღესასწაულს მას და იტყოდეს: სადამე არს იგი?
11. იგი¹ > ა | დღესასწაულს მას > ა |
12. და იყო მრავალი დრტუნვაჲ მისთვის ერსა შორის. რომელნიმე იტყოდეს: კეთილ არს; – ხოლო სხუანი იტყოდეს: არა, არამედ აცთუნებს ერსა.
12. მრავალი > 0 * აფ | არს | + იგი 0 * აფ |
13. და არავინ განცხადებულად იტყოდა მისთვის შიშისათვის ჰურიათაჲსა.
14. და ვითარცა დღესასწაული იგი გან-ოდენ-ზოგებულ იყო, აღვიდა იესუ ტაძრად და ასწავებდა.
14. დღესასწაული | დღესასწაული ა |
15. უკვრდა ჰურიათა მათ და იტყოდეს: ვითარ უკუე ამან წიგნი იცის უსწავლელად?
15. უკუე | უკუე აფ |
16. მიუგო იესუ და ჰრქუა: ჩემი ესე მოძღურებაჲ არა არს ჩემი, არამედ მომავლინებელისა ჩემისაჲ.
16. ჰრქუა | + მათ ა | ჩემი > ა |
17. უკუეთუ ვინმე ნებასა მისსა ჰყოფდეს, ცნას მან მოძღურებაჲ ესე, ვითარ რაჲ არს: ღმრთისაგან არს, ანუ მე თავით თვისით ვიტყვ.
17. უკუთუ f |
18. რომელი თავით თვისით იტყუნ, დიდებასა თავისა თვისისა ეძიებნ; ხოლო რომელი ეძიებნ დიდებასა მომავლინებელისა თვისისასა, იგი ჭეშმარიტ არს, და სიცრუჲ არა არს მის თანა.
18. სიცრუჲ | სიცრუვე აფ |
19. ანუ არა მოსე მოგცა თქვენ შჯული? და არავინ თქვენგანი ჰყოფს შჯულსა. რაჲსათვის მეძიებთ მე მოკლვად?
19. შჯული | სჯული f | შჯულსა | სჯულსა f |
20. მიუგო ერმან მან და ჰრქუა: ეშმაკი არს შენ თანა. ვინ გეძიებს შენ მოკლვად?
21. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ერთი საქმჲ ვქმენ თქვენ შორის, და ყოველთა

გიკურს.

21. საქმს|საქმე of|

22. ამისთვის მოსე მოგცა თქვენ წინადაცუეთაჲ. არა თუ მოსესგან არს, არამედ მამათაგან, და შაბათსა წინადაცუთის კაცმან.

22. მოსე|მოსე a| წინადაცუეთაჲ|წინადაცუთთაჲ f|

23. უკუეთუ წინადაცუეთილებაჲ მოილის კაცმან შაბათსა, რაჲთა არა განქარდეს შჯული მოსესი, მე მაბრალებთა, რამეთუ ყოვლადვე განვაცოცხლე კაცი შაბათსა შინა?

23. წინადაცუეთილებაჲ|წინადაცუთილება f| შჯული|სჯული f|

24. ნუ შჯით თუალ-ლებით, არამედ სამართალი საშჯელი საჯეთ.

24. შჯით|შით a, სჯით f| საშჯელი|სასჯელი f.

25. იტყოდეს ვინმე იერუსალმელთაგანნი: არა ესე არსა, რომელსა ეძიებდეს მოკლვად?

26. აჰა, ესერა, განცხადებულად ეტყვს, და არას ეტყვან მას. ნუუკუე ჭეშმარიტად ცნეს მთავართა მათ, ვითარმედ ესე არს ჭეშმარიტად ქრისტს?

26. ნუუკუენუუკუე af| ჭეშმარიტად| > o*af| ქრისტს|ქრისტე f|

27. არამედ ესე ვიცით, ვინაჲ არს. ხოლო ქრისტს ოდეს მოვიდეს, არავინ უწყოდის, თუ ვინაჲ არს.

27. ქრისტს|ქრისტე of|

28. დაღად-ყო იესუ ტადარსა მას შინა, ასწავებდა და ეტყოდა: მეცა მიცით და იცით, ვინაჲ ვარ; და თავით ჩემით არა მოსრულ ვარ, და არს ჭეშმარიტ. რომელმან-იგი მომავლინა მე, რომელი თქვენ არა იცით.

28. დაღად-ყო|დაღატ-ყო oa| და³| > o*|

29. ხოლო მე ვიცი იგი, რამეთუ მის მიერ ვარ, და მან მომავლინა მე.

30. ეძიებდეს მას შეპყრობად, და არავინ დაასხნა მას კელნი, რამეთუ არღა მოწევნულ იყო ჟამი მისი.

31. და მრავალთა ერისა მისგანთა ჰრწმენა მისა მიმართ და იტყოდეს: ქრისტს ოდეს მოვიდეს, ნუუკუე უმრავლესნი სასწაულნი ქმნესა, რომელნი ამან ქმნა?

31. და¹| + ამისა შემდგომად o*af| მისა მიმართ|იგი o*af| ქრისტე of| ნუუკუენუუკუე af| უმრავლესნი|უმრავლესი a| სასწაულნი|სასწაული a| ქმნესა|ქმნესა af| რომელნი|რომელი a|

32. და ესმა ფარისეველთა ერისა მის დრტუნვაჲ მისთვის. და მიავლინეს მღვდელთმოდღუართა მათ და ფარისეველთა მსახურნი, რაჲთა შეიპყრან იგი,

33. და თქუა იესუ: მცირედ ჟამ თქვენ თანა ვარ და წარვალ მომავლინებელისა ჩემისა.

33. თქუა|პრქუა a|

34. მეძიებდეთ მე და არა მპოვოთ: და სადა-იგი მე ვიყო, თქვენ ვერ ძალ-გიც მოსლვად.

34. მპოვოთ|მპოოთ f|

35. იტყოდეს ურთიერთას ჰურიანი იგი: ვიდრემე ეგულების ამას წარსლვად, და ჩუენ არა ვპოოთ იგი? ნუუკუე განთესულთა მათ წარმართთასა ეგულების მისლვად და სწავლად მუნ წარმართთა?

35. ნუუკუე|ნუუკუე af|

36. რაჲ არს სიტყუაჲ ესე, რომელსა იტყვს: მეძიებდეთ მე და არა მპოოთ, და: სადა მე ვიყო, თქვენ ვერ კელ-გეწიფების მოსლვად?

36. მპოოთ|მპოვოთ a|

37. და დასასრულსა მას დიდისა მის დღესასწაულისასა დადგა იესუ, ღაღად-ყო და თქუა: უკუეთუ ვისმე სწყუროდის, მოვედინ ჩემდა და სუემდინ.

37. დღესასწაულისასა|დღესასწაულისასა a| დადგა|დგა o*af| ღაღად-ყო|ღაღატ-ყო oa|

სუემდინ|სუემდინ f|

38. და რომელსა ჰრწმენეს ჩემი, ვითარცა თქუა წიგნმან, მდინარენი მუცლისა მისისაგან დიოდინ წყლისა ცხოველისანი.

39. ესე თქუა სულისა მისთვის, რომელი მიღებად იყო მორწმუნეთა მათ მისა მიმართ, რამეთუ არღა მოცემულ იყო სული წმიდაჲ, რამეთუ იესუ არღა იყო დიდებულ.

39. მიღებად|მიღებად o*| მისა| მისსა o|

40. მრავალთა ერისა მისგანთა ისმინეს სიტყუაჲ ესე და იტყოდეს: ესე არს ჭეშმარიტად წინაწარმეტყუელი.

41. სხუანი იტყოდეს: ესე არს ქრისტე; – ხოლო სხუანი იტყოდეს: ნუუკუე გალილეაჲთ მოსლვად არსა ქრისტე?

41. ქრისტე|ქრისტე of| ნუუკუე|ნუუკუე f| ქრისტე²|ქრისტე of|

42. არა წიგნი იტყვსა, ვითარმედ თესლისაგან დავითისა და ბეთლემით დაბით, სადა იყო დავით, მოვიდეს ქრისტე?

42. ქრისტე|ქრისტე o, ქრისტე f|

43. და განწვალებაჲ იყო მისთვის ერსა შორის.

44. და რომელთამე მათგანთა უნდა შეპყრობაჲ მისი, და არავინ მიყვნა კელნი მის ზედა.

45. მოვიდეს მსახურნი იგი მღვდელთმოდუართანი და ფარისევლთანი, და ჰრქუეს მათ: რად არა მოიყვანეთ იგი?

46. მიუგეს მსახურთა მათ და ჰრქუეს: არასადა ვინ იტყოდა კაცი ესრეთ, ვითარ ესე კაცი.

47. მიუგეს ფარისეველთა მათ და ჰრქუეს: თქუენცა ნუუკუე შე-ვე-ცთომილ ხართა?

47. ნუუკუე|უკუე o^*a , ნუუკუე f | შე-ვე-ცთომილ|შეცთომილ of , შეცთომილ a | ხართა|ხართ oaf |

48. ნუუკუე მთავართაგანთა ვიეთმე ჰრწმენაა მისი, ანუ ფარისეველთა?

48. ნუუკუე|ნუუკუე af | ჰრწმენაა|ჰრწმენა a |

49. არამედ ერსა ამას, რომელმან არა იცის შჯული, დაწყეულ არიან.

49. შჯული|სჯული f |

50. ჰრქუა მათ ნიკოდიმოს, რომელ-იგი მოსრულ იყო პირველ მისა, იყო ერთი მათგანი:

50. ნიკოდიმოს|ნიკოდემოს o^*af | რომელ-|რომელი- oa | მისა| + და a |

51. ნუუკუე შჯული ჩუენი დაშჯის კაცსა, უკუეთუ არა პირველად ისმინოს მისგან და ცნას, რასა იქმს?

51. ნუუკუე|ნუუკუე af | შჯული|სჯული f | დასჯის f |

52. მიუგეს მათ და ჰრქუეს მას: ნუ შენცა გალილეათ ხარ? გამოიძიე და იხილე, რამეთუ გალილეათ წინაწარმეტყუელი არა აღდგომილ არს.

52. გამოიძიე|გამოიძე a | იხილე|იხილო a | აღდგომილ|აღდგომოლ a |

53. და წარვიდა კაცად-კაცადი სახიდ თუსად.

53. სახიდ|სახედ a |

8

1. ხოლო იესუ წარვიდა მთასა მას ზეთისხილთასა.

2. და განთიად კუალად მოვიდა ტაძრად, და ყოველი ერი მოვიდოდა მისა მიმართ, და დაჯდა და ასწავებდა მათ.

3. ხოლო მწიგნობართა მათ და ფარისეველთა მოიყვანეს მისა დედაკაცი, რომელი ცხადად ერსა ზედა დაეპყრა მრუშებასა, და დაადგინეს იგი შორის

3. ცხადად ერსა ზედა > o^*af | მრუშებასა| + ზედა o^*af |

4. და ჰრქუეს მას, რამეთუ გამოსცდიდეს: მოძღუარ, ესე დედაკაცი ცხადად მრუშებასა დაეპყრა.

4. რამეთუ გამოსცდიდეს| > o^*af |

5. და მოსე ამცნო შჯულსა შინა ჩუენსა ესევეითართა ქვისა დაკრებაჲ. შენ უკუე რასა იტყუ?

5. მოსე|მოსე a | შჯულსა| სჯულსა f | უკუე|უკუე af |

6. ხოლო ესე თქუეს და გამოსცდიდეს მას, რადთა აქუნდეს შესმენად მისა. ხოლო იესუ ქუეყანად დადრკა და თითითა ქუეყანასა წერდა და არარას ეტყოდა.

6. თქუეს|თქუეს f | და არარას ეტყოდა| > o^*af |

7. და ვითარ მყოვარ დგეს და ჰკითხვიდეს მას, აღემართა ზე და ჰრქუა მათ: ვინ უცოდველ არს თქუენგანი, პირველად მან დაუტევენ ქვაჲ მაგას ზედა.
7. მყოვარ|მყოვარ a| ზე|ზს a|
8. და კუალად ქუედარკა და წერდა ქუეყანასა.
8. ქუედარკა|ქუსლადრკა f|
9. ხოლო მათ ვითარცა ესმა, მხილებულნი სზნიდისისაგან, განვილოდეს თითოჲ: იწყეს მოხუცებულთგან, ვიდრემდის დაშთა თავადი მარტოჲ, და დედაკაცი იგი დგა შორის.
9. მხილებულნი სზნიდისისაგან] > o*af | შორის|წინაშე მისსა o*af |
10. ხოლო იესუ აღემართა და არავინ იხილა, გარნა დედაკაცი იგი და ჰრქუა მას: სადა არიან შემასმენელნი შენნი? არავინ განგიკითხა შენ?
10. აღემართა და არავინ იხილა, გარნა დედაკაცი იგი|მიხელა o*af|მას] + დედაკაცი af |
11. ხოლო მან ჰრქუა: არავინ, უფალო! – ხოლო იესუ ჰრქუა მას: არცა მე განგიკითხავ შენ; წარვედ და ამიერითგან ნულარა სცოდავ.
12. მერმეცა ეტყოდავე იესუ და ჰრქუა მათ: მე ვარ ნათელი სოფლისაჲ, რომელი შემომიდგეს მე, არა ვიდოდის ბნელსა, არამედ აქუნდეს ნათელი ცხორებისაჲ,
13. ჰრქუეს მას ფარისეველთა შენ თავისა შენისათჳს სწამებ, და წამებაჲ შენი არა არს ჭეშმარიტ.
14. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: დადაცათუ მე ვწამო თავისა ჩემისათჳს, ჭეშმარიტ არს წამებაჲ ჩემი, რამეთუ ვიცი, ვინაჲ მოსრულ ვარ და ვიდრე მივალ, ხოლო თქუენ არა იცით, ვინაჲ მოვედ და ვიდრე ვალ.
14. მე] > a*.
15. თქუენ კორცთაებრ შჯით, ხოლო მე არავის ვშჯი.
15. შჯით|სჯით f| ვშჯი|ვსჯი f|
16. უკუეთუ ვშჯიდე მე, საშჯელი ჩემი ჭეშმარიტ არს, რამეთუ არა ვარ მარტოჲ, არამედ მე და მომავლინებელი ჩემი მამაჲ.
16. ვშჯიდე|ვსჯიდე f| საშჯელი|სასჯელი f|
17. რამეთუ შჯულსაცა თქუენსა წერილ არს, ვითარმედ: ორისა კაცისა წამებაჲ ჭეშმარიტ არს.
17. სჯულსაცა f|
18. მე ვარ, რომელი ვწამებ ჩემთჳს, და წამებს ჩემთჳს მომავლინებელი ჩემი მამაჲ.
19. ჰრქუეს მას ჰურიათა მათ: სადა არს მამაჲ შენი? – მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: არცა მე მიცით, არცა მამაჲ ჩემი. უკუეთუმცა მიცოდეთ მე, მამაჲცამცა ჩემი იცოდეთ.

20. ამას სიტყუასა ეტყოდა ფასისსაცავსა მას თანა და ასწავებდა ტადარსა შინა, და არავინ შეიპყრა იგი, რამეთუ არღა მოსრულ იყო ჟამი მისი.
21. მერმე ჰრქუა მათ იესუ: მე წარვალ, და მეძიებდეთ მე და არა მპოოთ და ცოდვათა შინა თქუენტა მოსწყდეთ; და ვიდრე-იგი მე მივალ, თქუენ ვერ კელ-გეწიფების მოსლვად.
22. იტყოდეს ურთიერთას ჰურიანი იგი: ნუუკუე მოიკლავს თავსა თვსსა, რამეთუ იტყვს: ვიდრე-იგი მე მივალ, თქუენ ვერ კელ-გეწიფების მოსლვად.
22. ნუუკუენუუკუე af | მოიკლავს | თავს a |
23. და ეტყოდა მათ იესუ: თქუენ ქუეყანისაგანნი ხართ, ხოლო მე ზეცისაგანი ვარ; თქუენ ამის სოფლისაგანნი ხართ, ხოლო მე არა ამის სოფლისაგანი ვარ.
24. გარქუ თქუენ, ვითარმედ: მოსწყდეთ ცოდვათა შინა თქუენტა. უკუეთუ არა გრწმენეს ჩემი, რამეთუ მე ვარ, მოსწყდეთ ცოდვათა შინა თქუენტა.
25. ეტყოდეს მას: და შენ ვინ ხარ? – ჰრქუა მათ იესუ: პირველად, რამეთუ მე გეტყვ თქუენ:
25. და > a |
26. მრავალი მაქუს თქუენდა სიტყუად და განკითხვად, არამედ რომელმან მომავლინა მე, ჭემმარიტ არს, და რაჲ-იგი მესმა მისგან, მას ვიტყვ სოფელსა ამას შინა.
27. ხოლო მათ არა ცნეს, რამეთუ მამასა თვსსა უთხრობდა მათ.
28. მერმე ჰრქუა მათ იესუ: ოდეს აღამაღლოთ ძმ კაცისაჲ. მაშინ სცნათ, რამეთუ მე ვარ და თავით ჩემით არას ვიქმ, არამედ ვითარცა მასწავა მე მამამან, მასცა ვიტყვ.
28. ძმ|ბე of | ჩემით|ჩემით a |
29. და რომელმან მომავლინა მე, ჩემ თანა არს; არა დამიტევა მე მარტოჲ მამამან, რამეთუ მე სათნოებასა მისსა ვიქმ მარადის.
30. ამას რაჲ ეტყოდა, ჰრწმენა მრავალთა მისი.
31. და ეტყოდა იესუ მორწმუნეთა მათ მისთა ჰურიათა: უკუეთუ თქუენ დაადგრეთ სიტყუათა ჩემთა, ჭემმარიტად მოწაფენი ჩემნი ხართ.
32. და სცნათ ჭემმარიტი, და ჭემმარიტებამან განგათავისუფლნეს თქუენ.
33. მიუგეს ჰურიათა მათ და ჰრქუეს მას: ჩუენ ნათესაენი აბრაჰამისნი ვართ და არასადა ვის ვჰმონებდით. ვითარ-ეგე შენ იტყვ, ვითარმედ: განსთავისუფლდეთ?
33. განსთავისუფლდეთ|განჰსთავისუფლდეთ a |
34. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ამენ, ამენ გეტყვ თქუენ, რამეთუ: ყოველმან რომელმან ქმნეს ცოდვაჲ, მონაჲ არს იგი ცოდვისაჲ.

34. რამეთუ $\{ > a^* |$
35. და მონამან არა დაიმკვდროს სახლსა შინა უკუნისამდე, ხოლო ძემან დაიმკვდროს უკუნისამდე.
35. უკუნისამდე|უკუნისამდე $a |$
36. უკუეთუ ძემან განგათავისუფლნეს, ჭეშმარიტად თავისუფალ იყვნეთ.
37. უწყი, რამეთუ ნათესავნი აბრაჰამისანი ხართ, არამედ მეძიებთ მე მოკლვად, რამეთუ სიტყუად ჩემი ვერ დაეტევის თქუენ შორის.
38. მე რომელი ვიხილე მამისა ჩემისა თანა, მას ვიტყვ; და თქუენ რომელი იხილეთ მამისა თქუენისა თანა, მას ჰყოფთ.
38. იხილეთ|გასმიეს $o^*af |$ თქუენისა თანა|თქუენისაგან $o^*af |$ ჰყოფთ|იქმთ $o^*af |$
39. მიუგეს და ჰრქუეს მას: მამად ჩუენი აბრაჰამი არს. — მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: უკუეთუმცა შვილნი აბრაჰამისნი იყვენით, საქმეთამცა აბრაჰამისთა იქმოდეთ.
40. ხოლო აწ მეძიებთ მე მოკლვად, კაცსა, რომელი ჭეშმარიტსა გეტყვ თქუენ, რომელი მესმა ღმრთისაგან. ესე აბრაჰამ არა ქმნა.
41. ხოლო თქუენ იქმთ საქმესა მამისა თქუენისასა. — ჰრქუეს მას: ჩუენ სიძვით არა შობილ ვართ, ერთი მამად ვიცით — ღმერთი.
41. საქმესა|სამესა $f |$
42. ჰრქუა მათ იესუ: უკუეთუმცა ღმერთი მამად თქუენი იყო, გიყუარდიმცა მე, რამეთუ ღმრთისაგან გამოვედ და მოსრულ ვარ, რამეთუ არა თავით თუსით მოსრულ ვარ, არამედ მან მომავლინა მე.
43. რამესათუს სიტყუანი ჩემნი არა იცნით? რამეთუ ვერ ძალ-გიც სიტყუათა ჩემთა სმენად.
44. თქუენ მამისა ეშმაკისანი ხართ და გულისთქუმათა მამისა თქუენისათა გნებავს ყოფად; რამეთუ იგი კაცისმკლველი იყო დასაბამითგან და ჭეშმარიტებასა არა დაადგრა, რამეთუ ჭეშმარიტებად არა არს მის თანა. ოდეს იტყუნ ტყუვილსა, თუსისაგან გულისა იტყუნ, რამეთუ მტყუვარ არს, და რამეთუ მამადცა მისი მტყუვარი არს.
44. მამისა|მამისაგან $a |$ ეშმაკისანი|ეშმაკისა $a |$ გულისთქუმათა|გულისთქუმად $o^*af |$ თქუენისათა|თქუენისა $o^*af |$ იყო|არს $o^*af |$
45. ხოლო მე ჭეშმარიტსა გეტყვ თქუენ, და არა გრწამს ჩემი.
46. ვინ თქუენგანმან მამხილოს მე ცოდვისათუს? უკუეთუ ჭეშმარიტსა გეტყვ თქუენ, რამესათუს არა გრწამს ჩემი?
47. რომელი ღმრთისაგან არს, სიტყუათა ღმრთისათა ისმენს; ამისთუს არა ისმენთ თქუენ, რამეთუ არა ხართ ღმრთისაგან.

48. მიუგეს ჰურიათა მათ და ჰრქუეს მას: არა კეთილად ვთქუთა, ვითარმედ სამარიტელ ხარ შენ, და ეშმაკი არს შენ თანა?

48. სამარიტელ]სამარიტელი af |

49. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ჩემ თანა ეშმაკი არა არს, არამედ პატივ-ვსცემ მამასა ჩემსა, და თქუენ მაგინებთ მე*.

* აქედან წყდება o.

50. ხოლო მე არა ვეძიებ დიდებასა ჩემსა; არს, რომელი ეძიებს და შჯის.

50. შჯის]სჯის f |

51. ამენ, ამენ გეტყვ თქუენ: უკუეთუ ვინმე სიტყუაჲ ჩემი დაიმარხოს, სიკუდილი არა იხილოს უკუნისამდე.

52. ჰრქუეს მას ჰურიათა: აწ გუცნობიეს, რამეთუ ეშმაკეულ ხარ: აბრაჰამ მოკუდა და წინაწარმეტყუელნიცა, და შენ იტყვ: უკუეთუ ვინმე სიტყუაჲ ჩემი დაიმარხოს, არა იხილოს გემოჲ სიკუდილისაჲ უკუნისამდე.

53. ნუუკუე შენ უფროდს ხარა მამისა ჩუენისა აბრაჰამისა, რომელი მოკუდა, და წინაწარმეტყუელნი მოწყდეს? შენ ვის ჰყოფ თავსა შენსა?

53. ნუუკუე]ნუუკუე f | მოწყდეს]მოსწყდეს af |

54. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: უკუეთუ მე ვადიდებდე თავსა ჩემსა, დიდებაჲ ჩემი არარაჲ არს; არამედ არს მამაჲ ჩემი, რომელი მადიდებს მე, რომელ თქუენ სთქუთ, ვითარმედ: ღმერთი ჩუენი არს იგი.

54. რომელ]რომელი af |

55. და არა იცით იგი, ხოლო მე ვიცი იგი, და უკუეთუ ვთქუა, ვითარმედ არა ვიცი იგი, ვიყო მეცა მსგავს თქუენდა მტყუვარ, არამედ ვიცი იგი და სიტყუასა მისსა ვიმარხავ.

55. თქუენდა]თქუენდა f |

56. აბრაჰამს, მამასა თქუენსა, უხაროდა, რამთა იხილოს ღლე ესე ჩემი, იხილა და განიხარა.

56. ღლე]ღლე a |

57. ჰრქუეს მას ჰურიათა მათ: ერგასის წლის არლა ხარ და შენ აბრაჰამი გიხილავსა?

58. ჰრქუა მათ იესუ: ამენ, ამენ გეტყვ თქუენ: პირველ აბრაჰამის ყოფადმდე მე ვარ.

58. პირველ]ვიდრე af |

59. აღიღეს ქვები ჰურიათა მათ, რამთა დაჰკრიბონ მას. ხოლო იესუ დაეფარა და განვიდა ტაძრით, განვლო შორის მათსა და წარვიდა ესრეთ.

59. ტაძრით] + და f |

1. და ვითარცა წარვიდოდა იესუ, იხილა კაცი, ბრმაა შობითგან.
2. ჰკითხვიდეს მოწაფენი მისნი და ეტყოდეს: რაბი, ვინ ცოდა: ამან, ანუ მშობელთა ამისთა, რამეთუ ბრმაა იშვა?
3. ჰრქუა მათ იესუ: არცა ამან ცოდა, არცა მშობელთა ამისთა, არამედ რაფთა გამოცხადნეს საქმე ღმრთისაჲ მაგას ზედა.
3. საქმესაქმს ა |
4. და ჩემდა ჯერ-არს საქმედ საქმესა მომავლინებელისა ჩემისასა, ვიდრე დღს არსდა; მოცვალს ღამე, ოდეს ვერვის კელ-ეწიფოს საქმედ.
4. ღამელამს აფ |
- * აქედაბ გრძელდება ო.
5. ვიდრემდე ვარ სოფელსა შინა, ნათელი ვარ სოფლისაჲ.
6. და ესე ვითარცა თქუა, ჰნერწყუა ქუეყანასა და შექმნა თიკაჲ ნერწყუსაგან, და სცხო თიკაჲ იგი თუალთა მის ბრმისათა
7. და ჰრქუა მას: წარვედ და დაიბანე საბანელსა მას სილოამისასა, რომელი ითარგმნების მოვლინებულად. – წარვიდა კაცი იგი და დაიბანა, მოვიდა და ხედვიდა.
8. ხოლო მოძმენი და რომელთა ეხილვა იგი პირველად, რამეთუ მთხოველი იყო, იტყოდეს: არა ესე არსა, რომელი ზინ და ითხოვნ.
8. მთხოველი|მთხოველ ა |
9. სხუანი იტყოდეს: ესე არს; – ხოლო რომელნიმე იტყოდეს: არა, არამედ მსგავსი მისი არს; ხოლო იგი იტყოდა: მე ვარ.
9. იტყოდა|იტყოდა of |
10. ჰკითხვიდეს მას: ვითარ აღგეხილნეს თუალნი შენნი?
11. მან მიუგო და ჰრქუა მათ: კაცსა რომელსა ჰრქუან იესუ, თიკაჲ შექმნა და მცხო თუალთა ჩემთა და მრქუა მე: წარვედ საბანელსა მას სილოამისასა და დაიბანე. მივედ და დავიბანე და აღვიხილენ.
11. საბანელსა მას | > ო*af | სილოამისასა | სილოამდ ო*af |
12. ჰრქუეს მას: სადა არს იგი? ხოლო მან ჰრქუა მათ: არა უწყი.
13. იყო შაბათი, ოდეს-იგი თიკაჲ შექმნა იესუ და აღუხილნა თუალნი მისნი.
14. მოიყვანეს იგი წინაშე ფარისეველთა, რომელ-იგი პირველად ბრმაა იყო.
15. კუალად ჰკითხვიდეს მას ფარისეველნიცა იგი: ვითარ აღიხილენ? ხოლო მან ჰრქუა მათ: თიკაჲ ღამდვა თუალთა ჩემთა, და დავიბანე და აწ ვხედავ.

16. იტყოდეს ვინმე ფარისეველთაგანნი: ესე კაცი არა არს ღმრთისაგან, რამეთუ შაბათსა არა იმარხავს. – სხუანი იტყოდეს: ვითარ კელ-ეწიფების კაცსა ცოდვილსა ესევეითარისა სასწაულისა საქმედ? – და ცილობად იყო მათ შორის.

16. ღმრთისაგან|ღმრთისა a|

17. ჰრქუეს მას, რომელი-იგი პირველ ბრმად იყო: შენ რასა იტყვ მისთვის, რამეთუ აღვიხილნა თუალნი შენნი? ხოლო მან ჰრქუა მათ: წინაწარმეტყუელი არს.

18. არა ჰრწმენა ჰურიათა მისთვის, ვითარმედ ბრმად იყო და აღვიხილნა თუალნი, ვიდრემდე მოუწოდეს მამა-დედათა მისთა, რომელმან-იგი აღვიხილნა,

19. ჰკითხვიდეს მათ და ჰრქუეს: ესე არსა ძმ იგი თქუენი, რომლისადა თქუენ სთქუთ, ვითარმედ: ბრმად იშვა? აწ უკუე ვითარ ხედავს?

19. ჰრქუეს|ჰრქუეს f|ძმ] ძე of, ძე a|უკუე] უკუფ f|

20. მიუგეს მამა-დედათა მისთა და ჰრქუეს: უწყით, რამეთუ ესე არს ძმ ჩუენი და რამეთუ ბრმად იშვა.

20. ძმ]ძე f|

21. ხოლო აწ ვითარ ხედავს, ჩუენ არა ვიცით; ანუ ვინ აღუხილნა მაგას თუალნი, ჩუენ არა უწყით; მაგას ჰკითხეთ, ჰასაკი აქუს, ეგე თავისა თვისისათვის იტყოდენ.

22. ამისთვის ესე თქუეს მშობელთა მისთა, რამეთუ ეშინოდა ჰურიათაგან, რამეთუ შეთქუემულ იყვნეს ჰურიანი, რადთა აღ-თუ ვინმე-იაროს იგი ქრისტედ, კრებულისაგან განკადონ იგი.

22. თქუეს|თქუეს f|

23. ამისთვის თქუეს მამა-დედათა მისთა, ვითარმედ: ჰასაკი აქუს, მაგას ჰკითხეთ.

23. თქუეს|ჰრქუეს a|

24. მოუწოდეს კაცსა მას მეორედ, რომელი-იგი პირველ ბრმად იყო, და ჰრქუეს მას: მიეც დიდებად ღმერთსა; ჩუენ უწყით, რამეთუ კაცი ესე ცოდვილი არს.

25. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა: ცოდვილი თუ არს, მე არა უწყი; ხოლო ერთი ესე უწყი, რამეთუ ბრმად ვიყავ და აწ ვხედავ.

26. მერმე ჰრქუეს მას: რად გიყო შენ? ვითარ აღვიხილნა თუალნი შენნი?

27. მიუგო და ჰრქუა მათ: გარქუ თქუენ პირველვე, და არა გესმა; რადსაღა გნებავს კუალად სმენად? ანუ თქუენცა გნებავს მოწაფე-ყოფად მისა?

27. მოწაფე-|მოწაფე- a|

28. ხოლო იგინი აგინებდეს მას და ჰრქუეს: შენ ხარ მოწაფე მისი, ხოლო ჩუენ მოწაფენი მოსესნი ვართ.

29. მოწაფე|მოწაფე f|

29. უწყით, რამეთუ მოსეს ეტყოდა ღმერთი, ხოლო ესე არა ვიცით, ვინაჲ არს.
29. ეტყოდა ღმერთი | tr ღმერთი ეტყოდა o*af |
30. მიუგო კაცმან მან და ჰრქუა მათ: საკურველი ესე არს, რამეთუ თქუენ არა იცით, ვინაჲ არს, და მე აღმიხილნა თუალნი.
31. ესე უწყი, რამეთუ ცოდვილისაჲ არა ისმინის ღმერთმან, არამედ უკუეთუ ვინმე არნ ღმრთისმსახურ და ნებასა ღმრთისასა ჰყოფნ, ამისი ისმინის ღმერთმან.
32. საუკუნითგან არასადა ისმა, ვითარმცა აღ-ვინმე-უხილნა თუალნი შობითგან ბრძისანი.
33. უკუეთუმცა არა იყო ესე ღმრთისაგან, ვერმცა რას შემძლებელ იყო საქმედ.
34. მიუგეს და ჰრქუეს მას: ცოდვათა შინა შობილ ხარ შენ ყოვლად და შენ გუასწავებ ჩუენ? – და განკადეს იგი გარე.
34. ცოდვათა | ცოდვასა af | შენ | > o*f | გარე | გარეშ a |
35. ესმა იესუს, რამეთუ განაძეს იგი გარე, ჰოვა იგი და ჰრქუა მას: შენ გრწამსა ძმ ღმრთისაჲ?
35. ძმ | ძე of |
36. მან მიუგო და ჰრქუა: ვინ არს იგი, უფალო, რაათა მრწმენეს იგი?
37. ჰრქუა მას იესუ: იხილე იგი, და რომელი იტყვს შენ თანა, იგი არს.
38. ხოლო მან ჰრქუა მას: მრწამს, უფალო, და თაყუანის-სცა მას.
39. და თქუა იესუ: შჯად სოფელსა ამას მოსრულ ვარ მე, რაათა, რომელნი არა ხედვიდეს, ხედვიდენ; და რომელნი ხედვიდეს, დაბრმენ.
40. ესმა ესე ფარისეველთაგანთა, რომელნი იყვნეს მის თანა, და ჰრქუეს: ნუუკუე ჩუენცა ბრძანი ვართა?
40. ნუუკუე | ნუუკუე f |
41. ჰრქუა მათ იესუ: უკუეთუმცა ბრძანი იყვნით, ცოდვამცა არა გაქუნდა; ხოლო აწ იტყვთ, ვითარმედ: ვხედავთ, და ცოდვანი თქუენნი ჰგიან.

10

1. ამენ, ამენ გეტყვ თქუენ: რომელი არა შევალს კარით ეზოსა ცხოვართასა, არამედ სხუთ კერძო შევალს, იგი მპარავი არს და ავაზაკი.
2. ხოლო რომელი შევალს კარით, მწყემსი არს ცხოვართაჲ.
3. ამას მეკარემანცა განულის, და ცხოვართა კმისა მისისაჲ ისმინიან, და თუსთა

ცხოვართა უწესნ სახელით და განიყვანის იგინი.

3. იგინი]იგი of |

4. და ოდეს თუსნი იგი ყოველნი განიყვანის, წინაშე მათსა ვილოდის, და შეუდგენ მას ცხოვარნი იგი, რამეთუ იციან კმაჲ მისი.

5. ხოლო უცხოთა არა შეუდგენ, არამედ ივლტოდიან მისგან, რამეთუ არა იციან კმაჲ უცხოთსაჲ მის.

6. ამას იგავსა ეტყოდა მათ იესუ, და მათ არა გულისკმა-ყვეს, რასა-იგი ეტყოდა მათ.

7. ხოლო იესუ მერმეცა ჰრქუა მათ: ამენ, ამენ გეტყვ თქუნენ: მე ვარ კარი ცხოვართაჲ.

8. ყოველნი რომელნი ჩემსა პირველად მოვიდეს, მპარავნი იყვნეს და ავაზაკნი, არამედ არა ისმინეს მათი ცხოვართა.

9. მე ვარ კარი: ჩემ მიერ თუ ვინმე შევიდეს, ცხონდეს; შევიდეს და გამოვიდეს და საძოვარი პოვოს.

10. ხოლო მპარავი იგი არა მოვიდის, არამედ რაათა იპაროს და დაკლას და წარწყმიდოს. ხოლო მე მოვედ, რაათა ცხორებაჲ აქუნდეს და უმეტესი აქუნდეს.

11. მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თუსი დადვის ცხოვართათუს.

12. ხოლო სასყიდლითდადგინებულმან და რომელი არა არნ მწყემსი, რომლისა არა არიედ ცხოვარნი თუსნი, იხილის რაჲ მგელი მოძავალი, დაუტევნის ცხოვარნი და ივლტინ, და მგელმან წარიტაცნის იგინი და განაბნინის.

13. რამეთუ სასყიდლითდადგინებული არნ და არარაჲ სჭირნ მას ცხოვართათუს.

13. არარა]არარაჲ of, არაჲ a |

14. მე ვარ მწყემსი კეთილი და ვიცნი ჩემნი იგი, და მიციან ჩემთა მათ.

15. ვითარცა მიცის მე მამამან, ვიცი მეცა მამაჲ და სულსა ჩემსა დავსდებ ცხოვართათუს.

16. და სხუანიცა ცხოვარნი მიდგან, რომელნი არა არიან ამის ეზოთსაგანნი, იგინიცა ჯერ-არიან მოყვანებად ჩემდა, და კმისა ჩემისაჲ ისმინონ და იყვნენ ერთ სამწყსო და ერთ მწყემს.

17. ამისთვის უყუარ მე მამასა, რამეთუ მე დავსდებ სულსა ჩემსა, რაათა კუალად მოვილო იგი.

18. არავინ მიმილოს იგი ჩემგან, არამედ მე დავსდებ მას თავით ჩემით. კელ-მეწიფების დადებად მისა და კელ-მეწიფების კუალად მოლებად მისა. ესე მცნებაჲ

მომიღებებს მამისა ჩემისაგან.

19. და იყო განწვალებაჲ კუალად ჰურიათა მათ შორის ამის სიტყვსათჳს.

20. და იტყოდეს მრავალნი მათგანნი: ეშმაკეულ არს და ცბის. რაჲსა ისმენთ მისსა?

20. მისსა]მისა of |

21. და სხუანი იტყოდეს: ესე სიტყუანი არა ეშმაკეულისანი არიან. ნუუკუე ეშმაკსა კელ-ეწიფების ბრმისა თუალთა ახილვად?

21. ეშმაკეულისანი]ეშმაკეულისნი a | ნუუკუე|ნუუკუე af |

22. და იყო მამინ სატფურებაჲ იერუსალჴმს; ზამთარი იყო.

23. და იქცეოდა იესუ ტადარსა მას შინა და სტოასა სოლომონისსა.

23. სტოასა]სტოვასა a |

24. გარემოადგეს მას ჰურიანი იგი და ეტყოდეს: ვიდრემდის სულთა ჩუენთა წარგუქდი? უკუეთუ შენ ხარ ქრისტჴ, გუთხარ ჩუენ განცხადებულად.

25. მიუგო იესუ და ჰრქუა: გარქუ თქუენ, და არა გრწამს; საქმეთა რომელთა ვიქმ სახელითა მამისა ჩემისაჲთა, ესენი წამებენ ჩემთჳს.

26. და თქუენ არა გრწამს ჩემი, რამეთუ არა ხართ ცხოვართა ჩემთაგანნი, ვითარცა გარქუ თქუენ.

27. ცხოვართა ჩემთა კმისა ჩემისაჲ ისმინიან, და მე ვიცნი იგინი, და მომღევდენ მე.

28. და მე ცხორებაჲ საუკუნოჲ მივსცე მათ, და არა წარწყმდენ უკუნისამდე, და არავინ მიმტაცნეს იგინი კელთაგან ჩემთა.

28. უკუნისამდე]უკუნისამდჴ af |

29. მამაჲ ჩემი, რომელმან მომცნა იგინი, უფროჲს ყოველთასა არს, და არავის კელ-ეწიფების მიტაცებად მათა კელთაგან მამისა ჩემისაჲთა.

30. მე და მამაჲ ჩემი ერთ ვართ.

31. აქუნდა კუალად ქვები ჰურიათა მათ, რაჲთამცა დაჰკრიბეს მას.

32. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: მრავალი საქმჴს კეთილი გიჩუენე თქუენ მამისა ჩემისა მიერ; რომლისა მათგანისა საქმისათჳს ქვასა დამკრებთ მე?

32. საქმჴს]საქმე of | გიჩუენე]გიჩუენე f |

33. მიუგეს ჰურიათა და ჰრქუეს მას: კეთილისა საქმისათჳს ქვასა არა დაგკრებთ შენ, არამედ გმობისათჳს, და რამეთუ კაცი ხარ შენ და გიყოფიეს თავი შენი ღმერთ.

34. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: არა წერილ არსა შჯულისა, ვითარმედ: მე ვთქუ: ღმერთნი სამე ხართ?

34. შჯულისა|სჯულისა f|

35. უკუეთუ იგინი თქუნა ღმრთად, რომელთა მიმართ იყო სიტყუაჲ ღმრთისაჲ, და ვერ კელ-ეწიფების დაქსნად წერილი.

36. და რომელი-იგი მამამან წმიდა-ყო და მოავლინა სოფლად, თქუენ იტყუთ, ვითარმედ: გმობს, – რამეთუ ვთქუ, ვითარმედ: მე ღმრთისაჲ ვარი მე.

36. ბექმ a|

37. უკუეთუ არა ვიქმ საქმესა მამისა ჩემისასა, ნუ გრწამნ ჩემი.

37. უკუეთუ|უკუთუ f|

38. უკუეთუ ვიქმ, დაღაცათუ ჩემი არა გრწამს, საქმენი გრწმენელ, რაჲთა სცნათ და უწყოდით, რამეთუ მამაჲ ჩემ თანა არს, და მე მამისა თანა.

38. სცნათ|სცნათ a|

39. ეძიებდეს კუალად შეპყრობად მას, და განვიდა კელთაგან მათთა.

40. და წიაღკდა მიერ იორდანესა, ადგილსა მას, სადა ნათელ-სცემდა პირველად იოვანე, და დაადგრა მუნ.

41. და მრავალნი მოვიდოდეს მისა და იტყოდეს, ვითარმედ: იოვანე სასწაული არარაჲ ქმნა; ხოლო ყოველი, რომელი თქუა იოვანე ამისთვის, ჭეშმარიტი იყო.

41. ამისთვის| მისთვის f| ჭეშმარიტი იყო|ჭეშმარტ არს o*af|

42. და მრავალთა ჰრწმენა მისი მუნ.

11

1. იყო ვინმე უძლური ლაზარე ბეთანიაჲთ, დაბისაგან მარიამისა და მართაჲსა, ღისა მისისა.

2. ესე იყო მარიამ, რომელმან სცხო ნელსაცხებელი უფალსა და თმითა თვისითა წარჰკოცნა ფერკნი მისნი, რომლისაჲ ძმაჲ მისი ლაზარე სნეულ იყო.

3. მიუვლინეს იესუს დათა მისთა და ჰრქუეს: უფალო, აჰა, რომელი გიყუარს, სნეულ არს.

3. აჰა| > o*f|რომელი| + იგი o*af| გიყუარს|გიყუარდა o*af|

4. ხოლო ვითარცა ესმა იესუს, თქუა: ესე სნეულებაჲ არა არს სასიკუდინს, არამედ ღიდებისათვის ღმრთისა, რაჲთა იდილოს მე ღმრთისაჲ მისგან.

4. ხოლო| > o*af|ესმა| + ესე a| სასიკუდინს|სასიკუდინე a, სასიკუდინე f| ბექმ a|

5. უყუარდა იესუს მართა და დაჲ მისი და ლაზარე.

5. ლაზარე|ლაზარზ ა|
6. ვითარცა ესმა, რამეთუ სნეულ არს, მაშინ და-ლა-ადგრა ადგილსა მას, სადაცა იყო, ორ დღე.
6. დღე|დღზ ა|
7. მერმე, ამისა შემდგომად, ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა: გუაღეთ, წარვიდეთ კუალად ჰურიასტანად.
7. მერმე| > ო*af| გუაღეთ|გუაღე ო*af|
8. ჰრქუეს მას მოწაფეთა: მოძღუარ, აწლა გეძიებდეს შენ ჰურიანი ქვისა დაკრებად, და კუალად მუნვე მიხუალა?
9. ჰრქუა მას იესუ: არა ათორმეტნი ჟამნი არიანა დღისანი? უკუეთუ ვინმე ვიდოდის დღისი, არა წარსცეს ფერკი, რამეთუ ნათელსა ამის სოფლისასა ხედავს.
9. მას| მათ ოf| დღისი|დღესა ო*af| წარსცეს ფერკი|უბრკუმეს ა|
10. და უკუეთუ ვინმე ვიდოდის ღამესა შინა, უბრკუმეს მას, რამეთუ ნათელი არა არს მას შინა.
10. შინა| > ო*af|
11. ესე თქუა და ამისა შემდგომად ჰრქუა მათ: ლაზარე, მეგობარმან ჩემმან, დაიძინა, არამედ მე მივიდე და განვაღუძო იგი.
11. ესე| + რაჲ ო*af| და| > ო*af|
12. ჰრქუეს მას მოწაფეთა: უფალო, უკუეთუ დაიძინა, ცხონდეს.
13. ხოლო იესუ ჰრქუა სიკუდილისა მისისათჳს, და მათ ეგონა, ვითარმედ მძინარებისათჳს ძილისა თქუა.
13. ჰრქუა|თქუა ა|
14. მაშინ ჰრქუა მათ იესუ განცხადებულად: ლაზარე მოკუდა.
14. ლაზარე|ლაზარზ ა|
15. და მე მიხარის თქუენთჳს, რაჲთა გრწმენეს ჩემი, რამეთუ არა ვიყავ მუნ. არამედ მოგუაღეთ, მივიდეთ მისა.
15. რამეთუ| + მე ო*af| ვიყავ მუნ| თ მუნ ვიყავ ა|
16. ჰრქუა უკუე თომა, რომელსა ერქუა მარჩბივ, მისთანათა მათ მოწაფეთა: მოგუაღეთ, მივიდეთ, რაჲთა მოვწყდეთ ჩუენცა მის თანა.
16. ჰრქუა|თქუა ა| უკუე|უკუმ af| მათ| > ა| მოწაფეთა| მოწაფეთაგანმან ა| მივიდეთ| + ჩუენცა ო*af| მოვწყდეთ| მოვსწყდეთ f|
17. და ვითარცა მოვიდა იესუ ბეთანიად, პოვა იგი, რამეთუ ოთხი დღე აქუნდა საფლავსა შინა.
17. დღე|დღზ ა|
18. ხოლო იყო ბეთანიაჲ მახლობელ იერუსალჴმსა ვითარ ათხუთმეტ ოდენ უტევან.

19. და მრავალნი ჰურიათაგანნი მოსრულ იყვნეს მართაჲსა და მარიამისა, რაჲთა ნუგეშინის-სცენ მათ ძმისა მათისათჳს.

19. მართაჲსა|მართაჲსსა oaf| მარიამისა|მარიამისსა oaf|

20. ხოლო მართას ვითარცა ესმა, რამეთუ იესუ მოვალს, მიეგებვოდა მას, ხოლო მარიამ სახლსა შინა ჯდა.

21. ჰრქუა მართა იესუს: უფალო, უკუეთუმცა აქა იყავ, არამცა მომკუდარ იყო ძმაჲ იგი ჩემი,

22. არამედ და აწცა უწყი, ვითარმედ: რაჲცა-იგი სთხოო ღმერთსა, მოგცეს შენ ღმერთმან.

22. არამედ|> a| ვითარმედ| > o*f| რაჲცა-|რაჲ- a| სთხოო|სთხოვო af|

23. ჰრქუა მას იესუ: აღდგეს ძმაჲ შენი.

24. ჰრქუა მას მართა: უწყი, რამეთუ აღდგეს აღდგომასა მას უკუანაჲსკნელსა ღლესა.

25. ჰრქუა მას იესუ: მე ვარ აღდგომაჲ და ცხორებაჲ. რომელსა ჰრწმენეს ჩემი, მო-ღათუ-კუდეს, ცხოვნდესვე.

25. ცხოვნდესვე|ცხოვნდესვე oaf|

26. და ყოველი, რომელი ცოცხალ არს და ჰრწმენეს ჩემი, არა მოკუდეს იგი უკუნისამდე. გრწამსა ესე?

27. ჰრქუა მას მართა: ჰე, უფალო, მრწამს, რამეთუ შენ ხარ ქრისტჳ, ძმ ღმრთისაჲ, მომავალი სოფლად.

27. ჰე|ჰმ a| ქრისტჳ|ქრისტე f| ძმ|ძე f|

28. და ვითარცა ესე თქუა, წარვიდა და მოუწოდა მარიამს, დასა თჳსსა, იღუმალ და ჰრქუა მას: მოძღუარი მოსრულ არს და გიწესს შენ.

29. ხოლო მას ვითარცა ესმა, აღდგა ადრე და მივიდოდა მისა.

29. ადრე|ადრჳ a| მისა|მისსა a|

30. რამეთუ არღა მოსრულ იყო იესუ დაბად, არამედ მუნღა იყო ადგილსა მას, სადაცა მიეგებვოდა მას მართა.

31. ხოლო ჰურიანი იგი, რომელნი იყვნეს მის თანა სახლსა შინა და ნუგეშინის-სცემდეს მათ, ვითარცა იხილეს მარიამ, რამეთუ ადრე აღდგა და გამოვიდა, მისდევდეს მას, ჰგონებდეს, ვითარმედ საფლავად მივალს ტირილად მისა.

31. მისა|მისსა a|

32. ხოლო მარიამ ვითარცა მოვიდა, სადა-იგი იყო იესუ, ვითარცა იხილა იგი, დავარდა ფერკთა მისთა თანა და ჰრქუა მას: უფალო, უკუეთუმცა აქა ყოფილ იყავ, არამცა მომკუდარ იყო ძმაჲ იგი ჩემი.

32. მისთა თანა| tr თანა მისთა o*f| მომკუდარ იყო|მოკუდა a|

33. ხოლო იესუ ვითარცა იხილა იგი, რამეთუ ტიროდა, და მის თანა მოსრულნი იგი ჰურიანიცა ტიროდეს, შეძრწუნდა სულითა, ვითარცა რისხვით,
34. და ჰრქუა მათ: სადა დასდევით იგი? – ჰრქუეს მას: მოვედ და იხილე!
35. და ცრემლოდა იესუცა.
36. იტყოდეს უკუე ჰურიანი იგი: აჰა, ვითარ სამე უყუარდა იგი!
36. უკუეუკუეშ აf |
37. ვიეთნიმე მათგანნი იტყოდეს: არამცა ეძლო ამას, რომელმან აღუხილნა თუალნი ბრმასა, ყოფად რამე, რაფთამცა ესეცა არა მოკუდა?
38. ხოლო იესუ კუალად, ვითარცა განრისხებული თავსა შორის თუსსა, მოვიდა საფლავსა მას. ხოლო იყო ქუაბი, და ლოდი ზედაედვა მას.
38. თავსა შორის თუსსა|გონებასა თუსსა o*af |
39. ჰრქუა მათ იესუ: აღიღეთ ლოდი ეგე! – ჰრქუა მას მართა, დამან მის მკუდრისამან: უფალო, ყროდისდა, რამეთუ მეოთხე დღე არს.
39. დამან მის მკუდრისამან > o*a |დღე|დღშ a |
40. ჰრქუა მას იესუ: არა გარქუ შენ, ვითარმედ: უკუეთუ გრწმენეს, იხილო დიდებად ღმრთისაჲ?
41. აღიღეს უკუე ლოდი იგი, სადა მდებარე იყო მკუდარი იგი. ხოლო იესუ აღიხილნა თუალნი ზეცად და თქუა: მამაო, გმადლობ შენ, რამეთუ ისმინე ჩემი,
41. ვითარცა აღიღეს o*af |უკუე| > o*af |
42. და მე ვიცი, რამეთუ მარადის ისმენ ჩემსა, არამედ ერისა ამისთვის, რომელი გარემომადგს მე, ვთქუ, რაფთა ჰრწმენეს, რამეთუ შენ მომავლინე მე.
42. ისმენ|ისმინი o*af |ჩემსა|ჩემი o*af |
43. და ესე ვითარცა თქუა, კმითა დიდითა ღალად-ყო: ლაზარე, გამოვედ გარე!
43. ღალად-ღალატ- o |ლაზარე|ლაზარშ a |გამოვედ| + გამოვედ a |გარე|გარეშ a |
44. და გამოვიდა მკუდარი იგი, შეკრული კელით და ფერკით სახუეველითა, და პირი მისი დაბურვილ იყო სუდართა. ჰრქუა მათ იესუ: განჰკსენით ეგე და უტევეთ, ვილოდის!*
44. სახუეველითა|სახუეველითა f |
- * აქ წყდება o.
45. მრავალთა უკუე ჰურიათაგანთა, რომელნი მოსრულ იყვნეს მარიამისა და მართაძსა, იხილეს, რომელი-იგი ქმნა იესუ, და ჰრწმენა მისა მიმართ.
45. უკუე > af |მისა მიმართ|მისი af |
46. ხოლო რომელნიმე მათგანნი წარვიდეს და უთხრეს ფარისეველთა მათ, რაჲ-იგი ქმნა იესუ.

47. და შეკრიბეს მღღელთმოდღუართა მათ და ფარისეველთა კრებული და იტყოდეს: რაამე ვყოთ, რამეთუ კაცი ესე მრავალსა სასწაულსა იქმს?

48. უკუეთუ დაუტეოთ იგი ესრეთ, ყოველთა ჰრწმენეს მისა მიმართ, და მოვიდეს ჰრომნი და მიგვლონ ჩუენ ადგილიცა ჩუენი და ნათესავიცა.

48. მისა მიმართ|მისი af|მოვიდეს|მოვიდენ af|

49. ერთმან ვინმე მათგანმან, კაიაფა, რომელი იყო მღღელთმოდღუარი მის წელიწდისაჲ, ჰრქუა მათ: თქუენ არა იცით არცა ერთი,

49. ვინმე| > af|

50. არცა განგიზრახავს, რამეთუ უმჯობეს არს ჩუენდა, რაათა ერთი კაცი მოკუდეს ერისათჳს, და არა ყოველი ნათესავი წარწყმდეს.

51. ესე თავით თჳსით არა თქუა, არამედ მღღელთმოდღუარი იყო მის წელიწდისაჲ და წინაწარმეტყუელა, რამეთუ ეგულებოდა იესუს მოსიკუდიდ ნათესავთათჳს,

51. წინაწარმეტყუელა|წინაწარმეტყუელებდა af|

52. და არა ხოლო ნათესავთათჳს, არამედ რაათა შვილნიცა ღმრთისანი განბნეულნი შეკრიბნეს ერთად.

53. მიერ ღლითგან შეიზრახნეს ჰურიანი, რაათა მოკლან იგი.

54. ხოლო იესუ არღარა განცხადებულად ვიდოდა ჰურიათა შორის, არამედ წარვიდა მიერ სოფელსა, მახლობელად უდაბნოსა, ქალაქსა, რომელსა ჰრქუან ეფრაიმ, და მუნ დაადგრა მოწფითურთ თჳსით.

54. ეფრაიმ|ეფრაიმი a|

55. ხოლო იყო მახლობელ პასექი იგი ჰურიათაჲ, და აღვიდეს მრავალნი იერუსალჴმდ სოფლებისაგან უწინარეს მის პასექისა, რაათა განიწმიდნენ თავნი თჳსნი.

55. ხოლო| > af|პასექი| + დღსასწაული a, დღესასწაული f|პასექისა| + რომელ არს ვნებაჲ af|

56. ხოლო ჰურიანი ეძიებდეს იესუს და იტყოდეს ურთიერთას, დგეს რაჲ ტაძარსა შინა: ვითარ ჰგონებთ თქუენ, არამე მოვიდესა დღესასწაულსა ამას?

56. დღესასწაულსა|დღსასწაულსა a|

57. რამეთუ მიეცა მცნებაჲ მღღელთმოდღუართა მათ და ფარისეველთა, რაათა, უკუეთუ ვინმე უწყოდის, სადა არს, აუწყოს მათ, რაათა შეიპყრან იგი.

57. ვინმე|ვინ f|არს| + რაათა af|რაათა|და af|

12

1. ხოლო იესუ უწინარეს ექუსისა დღისა ვნებისა მის მოვიდა ბეთანიად, სადა-იგი იყო ლაზარე მომკუდარ, რომელი-იგი აღადგინა მკუდრეთით.

1. ლაზარე|ლაზარე a|მომკუდარ|მომკუდარი af|აღადგინა| + იესუ af|

2. და მოუმზადეს მას მუნ სერი, და მართა ჰმსახურებდა მას, ხოლო ლაზარე იყო მენინაკეთაგანი მის თანა.

2. იყო] + ერთი af |

3. ხოლო მარიამ მოილო ლიტრად ერთი ნელსაცხებელი ნარდისა სარწმუნოდად მრავალსაყილდისა და სცხო ფერკთა იესუმთა და თმითა თუსითა წარჰკოცნა ფერკნი მისნი, და სახლი იგი ყოველი აღივსო სულნებელითა მის ნელსაცხებელისადათა.

3. ნარდისა|ნარდისა a | იგი > f | სულნებელითა|სურნელებითა a |

4. თქუა ვინმე ერთმან მოწაფეთა მისთაგანმან, იუდა სიმონისმან, ისკარიოტელმან, რომელსა ეგულებოდა მიცემა მისი:

4. მისთაგანმან|მისთაგან a |

5. რადასათუს ნელსაცხებელი ესე არა განისყიდა სამასის დრაჰკნის და მიეცა გლახაკთა?

6. ხოლო ესე თქუა, არა თუ გლახაკთა რამე ზრუნვად ედვა გულსა მისსა, არამედ რამეთუ მპარავი იყო და გუადრუცი იგი მას აქუნდა და შთასადებელი იგი მას ჰკიდავნ.

6. ესე] + მისთუს af | მისსა|მისა f | გულსა მისსა] > a |

7. და თქუა იესუ: უტევე მაგას, დღედ დაფლვისა ჩემისა დამიმარხა ეგე.

7. უტევე|უტევეთ af | მაგას] + რაათა af | დამიმარხა|დამიმარხოს af |

8. რამეთუ გლახაკნი მარადის თქუენ თანა არიან, ხოლო მე არა მარადის თქუენ თანა ვარ.

9. აგრძნა უკუე ყოველმან ერმან ჰურიათამან, რამეთუ იესუ მუნ არს; მოვიდეს არა ხოლო თუ იესუმთუს, არამედ რაათა ლაზარეცა იხილონ, რომელი-იგი აღადგინა მკუდრეთით.

9. უკუე|უკუე f |

10. ხოლო ზრახვა-ყვეს მდღელთმოდუართა მათ, რაათა ლაზარეცა მოკლან.

10. ხოლო] > af |

11. რამეთუ მრავალნი ჰურიათაგანნი მისთუს მივიდოდეს და ირწმუნებდეს იესუმსსა.

11. მისთუს] > af | ირწმუნებოდეს იესუმსსა|ჰრწმუნა მათ იესუმსი af |

12. ხვალისაგან ერი მრავალი რომელ-იგი მოსრულ იყვნეს დღესასწაულსა მას, რამეთუ ესმა, ვითარმედ იესუ მოვალს იერუსალმდ,

12. დღესასწაულსა|დღესასწაულსა a |

13. მოიღეს რტოები დანაკისკუდთაგან და განვიდეს მიგებებად მისა, დაღადებდეს და იტყოდეს: ოსანა, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისადათა, მეუფე ისრაელისა!

13. მისა|მისა a | მეუფე|მეუფე f |

14. და პოვა იესუ ვირი და დაჯდა მას ზედა, ვითარცა წერილ არს:
15. ნუ გეშინინ, ასულო სიონისაო! აჰა, ესერა, მეუფე შენი მოვალს შენდა და ზეზის იგი კიცუსა ვირისასა.
15. მეუფე f|ვირისასა|ვირსა a|
16. ხოლო ესე არა ეცნა მოწაფეთა მისთა პირველად, არამედ ოდეს იდიდა იესუ, მაშინ მოეცენა, რამეთუ ესრეთ წერილ იყო მისთვის, და ესე უყვეს მას.
16. ხოლო] > af|მაშინ] > af|
17. და ეწამებოდა მას ერი იგი, რომელი იყო მის თანა, რაჟამს ლაზარეს უწოდა საფლავით და აღადგინა იგი მკურნალობით.
18. ამისთვისცა მიეგებოდა მას ერი იგი, რამეთუ ესმინა, ვითარმედ ესე სასაწაული ქმნა იესუ.
19. ხოლო ფარისეველთა მათ თქუეს ურთიერთას: ჰხედავთა, რამეთუ არა ირგებთ არარას? აჰა, ესერა, სოფელი ყოველი მივიდა შედგომად მისა.
19. თქუეს|თქუეს f|არა|არას af|ესერა| + ჰრწამს და af|შედგომად|შედგომად a|
20. იყვნეს ვინმე წარმართაგანნიცა აღმოსრულთა მათგანნი, რათა თაყუანის-სცენ დღესასწაულსა მას.
20. დღესასწაულსა|დღესასწაულსა a|
21. ესენი მოვიდეს ფილიპესა, რომელი-იგი იყო ბეთსაიდათ გალილეაჲსაჲთ, და ეტყოდეს მას: უფალო, გუნებავს იესუმსი ხილვაჲ.
21. ფილიპესა|ფილიპესა af|გალილეაჲსაჲთ|გალილეაჲსაჲთ a*|
22. მივიდა ფილიპე და ჰრქუა ანდრეას; და მოვიდეს ანდრეა და ფილიპე და ჰრქუეს იესუს.
22. ფილიპე|ფილიპე a|
23. ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მათ: მოიწია ჟამი, რათა იდილოს ძმ კაცისაჲ.
23. ძმ|ძმ af|
24. ამენ, ამენ გეტყუ თქუენ: უკუეთუ არა მარცუალი იფქლისაჲ დავარდეს ქუეყანასა და მოკუდეს, იგი მარტოჲ ხოლო ეგოს; ხოლო უკუეთუ მოკუდეს, მრავალი ნაყოფი გამოიღოს.
24. ხოლო] > af|
25. რომელსა უყუარდეს სული თვისი, წარიწყმიდოს იგი; და რომელსა სძულდეს სული თვისი ამას სოფელსა, ცხორებად საუკუნოდ დაიმარხოს იგი.
25. წარიწყმიდოს|განუტეოს af|
26. უკუეთუ ვინმე მე მმსახურებდეს, მე შემომიდეგინ; და სადაცა მე ვიყო, მუნცა მსახური ჩემი იყოს. და უკუეთუ ვინმე მე მმსახურებდეს, პატივ-სცეს მას მამამან ჩემმან.
26. მმსახურებდეს¹|მსახურებდეს af|მსახური| + იგი a|მმსახურებდეს²] + მემსახურებდეს af|

27. აწ სული ჩემი შეძრწუნებულ არს და რამე ვთქუა? მამაო, მიკსენ მე ჟამისა ამისგან, არამედ ამისთვის მოვედ ჟამსა ამას.

28. მამაო, აღიდე ძე შენი. მოიწია მისა კმაჲ ზეცით: და ვადიდე და კუალადცა ვადილო.

28. ძე|ძმ a|ღა¹] > af|ვადიდე|გადიდე af|ვადიდე| + შენ af|ვადილო|გადილო af|

29. ხოლო ერი იგი, რომელი დგა და ესმა, იტყოდეს, ვითარმედ: ქუხილი იყო; – ხოლო სხუანი იტყოდეს: ანგელოზი ეტყოდა მას.

30. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: არა ჩემთვის იყო კმაჲ ესე, არამედ თქუენთვის.

31. აწ არს საშჯელი ამის სოფლისაჲ, აწ მთავარი იგი ამის სოფლისაჲ განვარდეს გარე.

31. საშჯელი|სასჯელი f|განვარდეს|გარდამოვარდეს af|გარე|ქუშ af|

32. და მე ოდეს ავმალდე ქუეყანით, ყოველნი მოვიზიდნე ჩემდა.

33. ხოლო ამას რაჲ იტყოდა, აუწყებდა, რომლითა სიკუდილითა ეგულებოდა სიკუდილად.

33. სიკუდილად|სიკუდილად a|

34. მიუგო მას ერმან მან და ჰრქუა: ჩუენ გუასმიეს შჯულისაგან, ვითარმედ ქრისტს უკუნისამდე ეგოს. და შენ ვითარ იტყუ, ვითარმედ: ჯერ-არს ამაღლებაჲ ძისა კაცისაჲ? ვინ არს ესე ძმ კაცისაჲ?

34. შჯულისაგან|სჯულისაგან f|ქრისტს|ქრისტე f|უკუნისამდე|უკუნისამდს a|ძმ|ძე f|

35. ჰრქუა მათ იესუ: მცირედ ჟამ ნათელი თქუენ თანა არს. ვიდოდეთ, ვიდრე ნათელი გაქუსლა, რაჲთა არა გეწიოს თქუენ ბნელი, რამეთუ რომელი ვალნ ბნელსა, არა უწყინ, ვიდრე ვალნ.

36. ვიდრე ნათელი გაქუს, გრწმენინ ნათელი, რაჲთა ძე ნათლის იყვნეთ. – ამას ეტყოდა იესუ და წარვიდა და დაეფარა მათგან.

36. ძე|ძმ a|ნათლის|ნათლისა f|ეტყოდა|იტყოდა a|ღა²] > a|

37. და ესოდენნი სასწაულნი ქმნა წინაშე მათსა, და არა ჰრწმენა მისა მიმართ,

38. რაჲთა აღესრულოს სიტყუაჲ იგი ესაია წინაწარმეტყუელისაჲ, რომელსა იტყუს: უფალო, ვისმე ჰრწმენა სასმენელი ჩუენი? და მკლავი უფლისაჲ ვის გამოეცხადა?

38. ვის|ვისმე af|

39. ამისთვის ვერ ჰრწმენა, რამეთუ მერმეცა თქუა ესაია:

40. დაუბრმეს მათ თუალნი მათნი, რაჲთა ვერ იხილონ თუალითა, და დაუსულბეს გულნი მათნი, რაჲთა არა გულისკმა-ყონ გულითა და მოიქცენ, და მე განვკურნნე იგინი.

40. მათ] > a|

41. ესე თქუა ესაია, ოდეს-იგი იხილა ღიღებაჲ მისი და იტყოდა მისთვის.
42. ხოლო მთავართაგანთაცა მრავალთა ჰრწმენა მისა მიმართ, არამედ ფარისეველთათჳს ვერ აღიარეს, რაჲთა არა კრებულისაგან განასხნენ,
43. რამეთუ შეიყუარეს ღიღებაჲ კაცთაჲ უფროჲს, ვიდრე ღიღებაჲ ღმრთისაჲ.
44. ხოლო იესუ ღალად-ყო და თქუა: რომელსა ვჰრწმენე მე, არა მე ვჰრწმენე, არამედ მომავლინებელი ჩემი.
44. ღალად-ღალად- a |
45. და რომელმან მიხილა მე, იხილა მომავლინებელი ჩემი.
46. მე, ნათელი, სოფლად მოვივლინე, რაჲთა ყოველსა რომელსა ჰრწმენეს ჩემი, ბნელსა შინა არა დაადგრეს.
47. და რომელმან ისმინეს სიტყუანი ჩემნი და არა ჰრწმენენ, მე არა ვსაჯო იგი, რამეთუ არა მოვედ მე შჯად სოფლისა, არამედ რაჲთა ვაცხოვნო სოფელი.
47. ჰრწმენენ]ჰრწმენენ af | შჯად]სჯად f |
48. ხოლო რომელმან შეურაცხ-მყოს და არა შეიწყნარნეს სიტყუანი ჩემნი, აქუს მსაჯული თჳსი: სიტყუასა რომელსა ვიტყოდე, მან საჯოს იგი უკუანაჲსკნელსა ღღესა.
48. შეურაცხ-მყოს] + მე af | ღღესა]ღღსა a |
49. რამეთუ მე თავით თჳსით არარას ვიტყოდე, არამედ რომელმან მომავლინა მე, მამამან, მან მომცა მე მცნებაჲ, რაჲ ვთქუა და რასა ვიტყოდი.
49. მან] > af |
50. და უწყი, რამეთუ მცნებაჲ მისი ცხორება საუკუნო არს. და რომელსა ვიტყუ მე, ვითარცა მამცნო მე მამამან, ეგრეცა ვიტყუ.

13

1. და უწინარეს ღღესასწაულისა მის პასექისა იცოდა იესუ, რამეთუ მოიწია ჟამი მისი, რაჲთა განვიდეს ამიერ სოფლით და მივიდეს მამისა, რამეთუ შეიყუარნა თჳსნი იგი ამას სოფელსა შინა და სრულიად შეიყუარნა იგინი.
1. ღღესასწაულისა]ღღსასწაულისა a | პასექისა] + რომელ არს ვნებაჲ af | იცოდა]იტყოდა a | სოფელსა] + მყოფნი f | შინა] > af |
2. და ვითარცა სერობაჲ იგი იყო, და ეშმაკი შესრულ იყო გულსა იუდაჲსსა, სიმონ ისკარიოტელისასა, რაჲთა განსცეს იგი.
2. განსცეს]განჰსცეს af |
3. იცოდა იესუ, რამეთუ ყოველივე მოსცა მას მამამან კელთა მისთა, და რამეთუ ღმრთისაგან გამოვიდა და ღმრთისა მივალს.

4. აღდგა სერობისა მისგან და დადგა სამოსელი თუსი და მოილო არდაგი და მოირტყა იგი.
5. და მოილო წყალი და შთაასხა საბანელსა მას და იწყო ბანად ფერკთა მოწაფეთა თუსთა და წარჰკოცდა არდაგითა მით, რომელი მოერტყა.
5. ბანად|ლაბანად a|მოწაფეთა|მოწაფეთასა a|თუსთა| > a|მოერტყა|შეემოსა af|
6. და მოვიდა სიმონ-პეტრესა. ჰრქუა მას პეტრე: უფალო, შენ დამბანა ფერკთა ჩემთა?
6. სიმონ-პეტრესა|სიმონ-პეტრესა af|პეტრე|პეტრს a|დამბანა|დამბანნა af|ფერკთა|ფერკნი af|ჩემთა|ჩემნი af|
7. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: რომელსა მე ვიქმ, არა იცი აწ, ხოლო სცნა ამისა შემდგომად.
8. ჰრქუა მას პეტრე: არა დამბანნე ფერკნი ჩემნი უკუნისამდე. — ჰრქუა მას იესუ: უკუეთუ არა დაგბანნე შენ ფერკნი, არა გაქუნდეს ნაწილი ჩემ თანა.
8. პეტრე|პეტრს a|დამბანნე|დამბანნე f|გაქუნდეს|გაქუნს a|
9. ჰრქუა მას სიმონ-პეტრე: უფალო, ნუ ხოლო ფერკნი ჩემნი, არამედ კელნიცა და თავიცა ჩემი.
9. სიმონ-პეტრე|სიმონ-პეტრს a|
10. ჰრქუა მას იესუ: განბანილსა მას არა უქმს, გარნა ფერკნი ხოლო დაბანად, რამეთუ ყოვლად წმიდა არს იგი, და თქუენცა წმიდა ხართ, არამედ არა ყოველნი.
10. თქუენცა|თქუენ af|
11. რამეთუ იცოდა იესუ მიმცემელი იგი. ამისთვის თქუა, ვითარმედ: არა ყოველნი წმიდა ხართ.
12. და ოდეს დაჰბანნა ფერკნი მათნი, მოილო სამოსელი თუსი და ინაკ-იდგა და მერმე ჰრქუა მათ: უწყითა, რაჲ-ესე გიყავ თქუენ?
13. თქუენ მხადით მე: მოძღუარო და უფალო, — და კეთილად სთქუთ, რამეთუ ვარ.
13. მე| > a|
14. უკუეთუ მე დაგბანნე ფერკნი, უფალმან და მოძღუარმან, და თქუენცა თანაგაც ურთიერთას დაბანად ფერკთა.
